

ჭანსულ
ლვინტიდია

ზომიერების
ბრძნობა
თანაგედროვე
ქართულ
ქრისტიანულ
აზროვნებაში

სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა თანამედროვე კრიტიკული აზროვნების მტკივნეულ პრობლემებზე მსჯელობას, რამდენადაც კრიტიკულ აზროვნებაზე დიდად არის დამოკიდებული კულტურული ცხოვრების დონის ამაღლება, მისი სწორი მიმართულებისა და სასურველი მომავლის განსაზღვრა.

ქართულ კრიტიკულ აზროვნებასაც, ცხადია, აქვს თავისი მტკივნეული პრობლემები. მის ნაკლოვანებასა და აღორძინების მაუწყებელ ტენდენციებზეც დიდი სანია მიმდინარეობს კამათი.

წინამდებარე წიგნი სალიტერატურო კრიტიკის ერთი არსებითი საკითხის დამუშავების ცდას წარმოადგენს. ამ საკითხს (ზომიერების გრძნობისათვის თანამედროვე ქართულ კრიტიკულ აზროვნებაში) უკავშირდება დღევანდელი ქართული მწერლობის განვითარებასა და აღმავლობის მასულდგმულებელი თუ სელისშემქმელი ბევრი პირობა, რომელთა შესახებ დაწერილებით გვესაუბრება ავტორი.

წიგნში მრავალ ისეთ საკითხზე მიხდება მსჯელობა, რომლებიც, ერთი შესედეით, თითქოს შორს დგანან ერთმანეთისაგან, მაგრამ მხოლოდ ზერელე დაკვირვებისას თუ შეიქმნება ასეთი შთაბეჭდილება. სინამდვილეში ყველა აქ განსილული საკითხი, ფაქტი თუ მოვლენა უღრმესი ფესვებით არიან ერთმანეთში გადასლართული და ერთმანეთზე სასიცოცსლოდ დამოკიდებულნი.

ქართულ სალიტერატურო კრიტიკის ნაკლსა და უარყოფით ტენდენციებზე საუბარი ისე არ უნდა აისხნას, თითქოს ამ სფეროში მნიშენლოვანი არაფერი გაკეთებულიყოს ან არ კეთდებოდეს. კიდევ გაკეთებულა და კიდევაც კეთდება. კრიტიკას ჰყავს თავისი ღირსეული წარმომადგენლები, პირუთენელი და ობიექტური შემფასებლები ლიტერატურული პროცესისა, მაღალი აზროვნების დონითა და უკომპრომისო დამოკიდებულებით გამორჩეული კრიტიკოსები. და თუ უკომპრომის გრძნობაზე ასე გადაჭრით ვლაპარაკობთ, მხოლოდ იმ მიზნით, რომ უფრო სრულად გამოვლინდეს ქართული სალიტერატურო კრიტიკის პოტენცია, იქცეს იგი ლიტერატურული პროცესის წარმმართველ ძალად, ღირსეულად უპასუხოს მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის უნიკალურ თვისებებს, იდგეს ჭეშმარიტების გუშაგად, სიფხიზლის განსასიერებად, აღიჭურვოს კუთენილი ფუნქციებით და ეროვნულ მწერლობას სრულ გამოვლენას მაქსიმალური თვითგაღებით მოემსახუროს.



მიედინება მეოცე საუკუნის სულიერი ცხოვრება დაძაბული, ნერვიული რიტმით. მასშტაბები უსაზღვროდ გაფართოვდა, შინაარსი საგრძნობლად გაღრმავდა. აქვს ჩვენს დროს თავისი სინამდვილე — განსხვავებული სხვა დროის სინამდვილისაგან, გადაიტანა დიდი ტრავმა, ეზიარა გარემოცველის თვალჩაუწვდენ სიღრმეს და იწვინია ამ შეხვედრის მკაცრი გამოცდა. თავისთავადმა, მსოფლიოდ მისმა კუთვნილმა სინამდვილემ გაუღრმავა შინაარსი მსოფლიოს სულიერ ცხოვრებას, ამოიზარდა ამ ნიადაგიდან რიტმიც და ფორმაც.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ ინფორმაციებისა და მასობრივი კომუნიკაციების მოძქლავრებაზე. ინფორმაციების ნიაღვარი უკვალოდ არ გადადის. მსოფლიოს სულიერი კულტურის ოკეანე მეტი ინტენსივობით მოძრაობს ეროვნული კულტურის კალაპოტში, მისი ვეებერთელა ტალღები უფრო სშირად სტუმრობენ აქამდე მშეიდად დაყუდებულ ჯებირებს.

დანარჩენი ქვეყნიერების სულიერი ცხოვრება მუდამ ოკეანედ აღიქმებოდა, მაგრამ ქართულ კულტურას, მის მწერლობას არასდროს არ აკრთობდა ოკეანის სიღრმე და სიღადადე. დაინტერესებული თვალი აქ მუდამ აწყდებოდა განუმეორებელს, შეუღასველს, თავისთავადს, აწყდებოდა დიდსა და მძლავრ დინებას, რომელიც ოკეანის სიღრმეში არასდროს არ იკარგებოდა, თუ საერთოდ იპოვიდა გზას ოკეანეში გასასვლელად.

წინამდებარე წიგნი არ არის სიმშვიდისათვის გამიზნული და ზომიერების გრძნობაზე საუბარი შესავალშივე, ყოველგვარი დაზვერვის გარეშე შეიძლება დაიწყოს.

მაგრამ სანამ წიგნის თემას უშუალოდ შევესებოდე, უნდა ერთი საკითხისაკენ მივებრუნო მკითხველის გულისყური: ჩვენს ყველა სერიოზულ საფიქრალს, ცხოვრების რომელ სფეროსაც არ უნდა გულისხმობდეს იგი, აქვს თავისი დიდი მიზანი და იმ მიზნის წინაშე პასუხისმგებლობა ანიჭებს მას წონას. პასუხისმგებლობაც და მიზანიც ჩვენი საფიქრალისა საკუთარი ქვეყნის სამსახურში დვას მუდამ და გადასახედის

სიმაღლეზეა დამოკიდებული, რა სივრცეებს მოეწევა ერას გონიერი თვალი. ამიტომ ჩვენი ფიქრების, მიზნისა და პასუხისმგებლობის გრძნობისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორ განიცდი საკუთარ ქვეყანას. ამ განცდის სიცხოველე ამოძრავებს აზრს, ამაღლებს მიზანს და ააღმასებს პასუხისმგებლობას.

საქართველო არ არის პატარა ქვეყანა

სათაურს შეიძლება ახლდეს მოულოდნელობის განცდა. „საქართველო პატარა ქვეყანაა“ — დღეს სხვა შინაარსი შეიძინა ამ სიტყვებმა.

მაგრამ მანამდეც, საუკუნეების სიღრმეში, დროდადრო — ზოგჯერ ხანგრძლივ, ზოგჯერ ხანმოკლედ, ქართველი კაცის გონის არტერიას გასდევდა დამთრგუნველი შეგრძნება სიტყვებისა „ერთი მუჭა ქართველები“, „ჩვენი პატარა კუთხე.“ ამ სიტყვებს კიდევ ჰქონდა საფუძველი, კიდევ არ ჰქონდა საფუძველი. მაგრამ სანამ სულის ხეულებში მოხშიანე აზრს წარსულს მოეუჩსრეკდეთ, მანამ მის დღევანდელ არსზე უნდა ითქვას.

მე აუცილებლად მიმაჩნია სიტყვების — „საქართველო პატარა ქვეყანაა“ — შინაარსთან დაპირისპირება. არ არის იგი მხოლოდ პირობითი, უწყინარი ფრაზა, ფრაზა, რომელსაც ზემოქმედების უნარი ჰქონდეს დაკარგული. იგი კონცეფციად გამკვერივდა ჩვენს ფიქრებში, ე. ი. ჩვენს ხასიათშიცაა მოკალათებული, თუ შეიძლება ასე ითქვას. სისხლში გაგვიჯდა და თავისი შინაარსის შესაფერის ნაყოფს იხსამს. ფიზიკური, გარეგნული მასშტაბების გათვალისწინებით პირობითად პატარა ქვეყნებად იხსენიება საბერძნეთი, პორტუგალია, ბელგია, ავსტრია, იუგოსლავია, პოლანდია, ნორვეგია... ხვალ-ხეგ შეიძლება პატარა ქვეყნებად მოიხსენიონ ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია... მაგრამ არ შეიძლება ასეთი დახასიათება პირობითობის შინაარსს გასცილდეს. ნამდვილი საზომები დიდი ერების რიგში, — ცივილიზებული, კულტურუ-

ლი ერების რიგში აყენებენ არა ტერიტორიის სიფართოვითა და რიცხვმრავლობით გამორჩეულ ქვეყნებს, არამედ სწორედ სულიერი კულტურის სიღრმითა და მშვენიერებით ცნობილ ხალხებს.

ტექნიკის უსაზღვრო განვითარებამ ერთგვარად შეარბილა სივრცის გრანდიოზულობის განცდა. და, რაც მთავარია, მანვე უფრო მეტი წონა შესძინა სულიერი კულტურის საწყაოს. მან დაუბრუნა თავისი შინაარსი ქვეყნების ნამდვილ სიდიადეს და მოითხოვა მისთვის ანგარიშის გაწევა. იგი სვალ უფრო გაფართოებული თვალთახედვით დააკვირდება სივრცეებისა და ფიზიკური ნიშნებისაგან დამოუკიდებელ სიღრმეებს და დაგვარწმუნებს ნამდვილი სასომების დირებულებაში. ამ ტენდენციის მძლავრ მაჯისცემას ალბათ ყველა ვგრძნობთ და მით უფრო საჭიროდ მიმაჩნია დღეს ჩვენს ფიქრში მოკალათებულ კონცეფციასთან დაპირისპირება. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ საქართველოს კულტურის სიმადლეზე, მის მიღწევებსა და ბედნიერ მომავალზე, ეს კონცეფცია მაინც ცოცხლობს და ჩვენც სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება იგი. მივეჩვიეთ და შევეგუეთ მის არსებობას. გაგვიშინაურდა და ერთგვარი სილამაზეც კი ახლავს ჩვენს თვალში. მით უმეტეს, რომ რამდენი რამის გამართლება შეგვიძლია მისი წყალობით: „რა უნდა გვექნა ერთ მუჭა ქართველებს“, „პატარა საქართველოს რა არ გადასდენია“, „ჩვენ, პატარა ხალხის შვილებს, ალბათ, გვეპატიება“, „იმ დიდ მეჯლისზე პატარა საქართველოს სასელიც ისმოდა“.

გამკვირიებულ კონცეფციას — „საქართველო პატარა ქვეყანაა“ — ჭირდება გაცნობიერება და უკუგდება. ამის შეგნებამ უკარნახა სიმონ ჩიქოვანს ცნობილი ლექსი „ვინა სთქვა“. ეს იყო პოეტურ ენაზე გამოთქმული შინაგანი პროტესტის გრძნობა. მაგრამ, რაც პოეტმა ლექსის სტრიქონებში ნაგულისხმევ აღმაფრენას ანდო, მეტი გულისყურითა და გამოწველილვით განჩხრეკას მოითხოვს. იგი საჭიროებს ბოლომდე გაცნობიერებას აზრისას, რომელიც ერის ფიზიკური და სულიერი ცხოვრების ყოველი უჯრედით განიცდება. განიცდება! — ეს არის საგულისხმო. ერის ორგანიზმი, ყოველი ჩვენთაგანის არსება იმ ჩანცდით დამუხტული ცოცხლობს, ცხოვ-

რობს, იღვწის და ქმნის. ყოველ მათგანს — სიცოცხლესაც, ცხოვრებასაც, მოღვაწეობასაც და შექმნასაც ამ განცდის ტვირთი. დიას, იგი სიმძიმეა, რადგან სიპატარავის მოკრძალება და რიდი ახლავს ასპარეზზე გამოსვლამდეც და ასპარეზზე გამოსვლის შემდეგაც. გულსა და გონებას ღადრავს აზრი, რომ შენ ქმნი, მაგრამ იგი შექმნილი გაურკვეველად სანგრძლივი დროით მსოლოდ შენსავე სიპატარავის ფარგლებშია დიადი.

არადა, ნამდვილი სიდიადის შეგრძნებაც არ ისვენებს. წინაპართა დიდმა სელოვნებამ — პოეზიამ და სუროთმოდვრებამ სათავე დაუდო სულიერი ცხოვრების პროცესს, შემდეგ კი აღმართა ისეთი სიმაღლეები, რომელთა გვერდით ქრება განცდა სიპატარავისა. არადა, ის სიმაღლეები მოითხოვენ პასუხს, ერის ცხოვრებაში თვალუწვდენი მთაგრეხილებით რომ გადაჭიმულან და სიერცის სადავეები ჩაუბღუჯიათ, ისინი მოითხოვენ მოვიცილოთ „ერთი მუჭა ქართველობის“, „პატარა ქვეყნის შეილობის“ კონცეფცია ფიქრიდან და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით დავიმუხტოთ. მე არ მინდა მაჟორი იგულისხმოს ბოლო წინადადებაში მკითხველმა. მკაცრი, მშვიდი გულის ძვერიდან მინდა აღიქვას აუცილებლობის შინაარსი. არც სიმონ ჩიქოვანის ლექსის სათქმელია მსოლოდ პათოსიდან ამოზრდილი. იგი შინაგანი პროტესტის წიაღიდან წამოსული განცხადებაა. პოეტს არ სურს ერთი წუთითაც კი შეურიგდეს სიპატარავის, როგორც ცნების, განცდას. ლექსის პათოსი კატეგორიულია — საუკუნეების განმავლობაში ქართველი კაცისაგან ამ საკითხზე ნაფიქრალის მწკრივს დაესვა თითქოს წერტილი პოეზიაში.

და მიუხედავად უძველესი ძირებისა, ამ საკითხზე საუბარს მაინც ახლავს გულუბრყვილობის ილუზია. იქნებ ამიტომაც მიმართა პოეტმა ლექსს, როგორც ფორმას საწუსარის გამოსასატავად. როდესაც ირგვლივ რვაას, ექვსას, სამას, ორას მილიონიანი ერები მოძრაობენ პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების გრანდიოზული მასშტაბებით, იქნებ მართლაც გულუბრყვილობა იყოს სიპატარავის განცდისადმი დაპირისპირება აქ, ჩვენში, სუთმილიონიან ქვეყანაში, მაგრამ მე პირიქით მეჩვენება, მეჩვენება, რომ ერთი სოციოლო-

გის განცხადება, „მომავალი პოლიტიკური ბრძოლების არენა მე წარმომიდგენია ორი სპილოს შერკინების ადგილად, სადაც პატარა ცხოველები უნდა ეცადონ, რომელიმე სპილომ ფეხი არ დაადგასო“, სწორედ სიდიდე-სიპატარაის საზომების გადაფასების შინაარსს გამოხატავს „პატარა ქვეყნების“ სასარგებლოდ. იგი გამოხატავს კარზე მომდგარ პროცესსაც ერის სულიერი ძალების გადაფასებისას. ქართველ ხალხს აქვს საერთო მიზანი, კაცობრიობის უკეთესი მომავლის აშენებას რომ გულისხმობს. ეს მისი კონკრეტული მიზანიც არის, მაგრამ საერთო მიზანში ჩვენი ერის თვითგამოხატვა საკუთრივ საქართველოს სისხლსორცეულ მიზნად ივარაუდება. ყოველ ერს უკანასკნელ ნიუანსამდე ჰქონდა შეცნობილი თავისი მიზანი, მხოლოდ ამის შემდეგ თუ განაღებდა იგი თავის სულიერ და ფიზიკურ ძალებს მიზნის მისაღწევად.

იწყება დღემდე უცნობი ინტენსიური სულიერი თანაცხოვრების დიდი ხანა მსოფლიოში. ურთიერთგაგებისა და სიახლოვის ფორმები დასაბამითვე მოქმედებდნენ, მაგრამ ბრმისთვისაც ნათელი უნდა იყოს, რომ ურთიერთობის შინაარსი მაქსიმალურად იცვლება ჩვენს თვალწინ, იცვლება ინტენსიურობის სარჯზე. და საკუთარი ბუნების განვითარება და გამოვლენა ამ ურთიერთობის გარემოცვაში ან უდიდესი ბედნიერებისა, ან გამოუსწორებელი უბედურების მომტანი იქნება. ბედნიერებისა მაშინ, თუ ერი საკუთარ ენერგიას შესაფერისი კალაპოტით გაატარებს, უბედურებისა, თუ სულიერი ცხოვრების ციტადელს ვერ აიგებს და ძველ სიმალლეზე დარჩენილ ჯებირებსღა შეაგებებს მოზღვავებულ ტალღებს. მსოფლიოს მშვიდობა და ძმურ ოჯახში სხვებთან ერთად კაცობრიობის მომავლის შენება ჯერ კიდევ არ ნიშნავს სრულ გარანტიას თავისთავადი და მაღალი კულტურის შექმნისას. როდესაც საკუთარი კონკრეტული წვლილის გაცნობიერება გაუძღვება ცხოვრებას, მაშინ, ბუნებრივია, რეალურად იქნება შესაძლებელი ეპოქის სუნიქვასთან გათანაბრება. მაშინ დაედება ფასი ჩვენთვის მშვიდობის გარანტიასაც და საერთოდ ყოველგვარ პირობას.

დრომ, საბედნიეროდ, თვით ამა თუ იმ ქვეყნის სიდიდე-სიპატარაეზე ლაპარაკს მიანიჭა გულუბრყვილობის შინა-

არსი. მან სულიერი ცხოვრების სარისხს გადაულოცა უპირატესობა და თავის მხრივ მოითხოვა კიდევ ამ სულიერი ცხოვრების მაქსიმალური მოწესრიგება.

ჩვენ გვექონია და გვაქვს გაზვიადებული წარმოდგენა კულტურულ შემკვიდრეობაზე. ამ გაზვიადებას აქვს რეალური საფუძველი. წინაპრებმა მართლაც დაგვიტოვეს დიდი საგანძური, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, გაზვიადებას პირზე ხელი არ ავაფართოთ და კეთილშობილური უკმარობის გრძნობას გზა არ გაუფხვანათ. სწორედ დიდი წინაპრების მასშტაბები და შინაგანად დაგროვილი შემოქმედებითი პოტენცია გვავალებს დროის შესატყვისად ვაღრმავებდეთ ერისაგან გასატან კვალს ცხოვრების დიდ მინდორზე.

ამ დიდი მიზნის გზაზე გვეღობება ჩვენ სისხლში გამჯდარი სიპატარავის შეგრძნება და, ვფიქრობ, არ ვიქნები შემცდარი, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი თავისაგან დიდი პროცესის შესატყვის შრომას კი არ მოვითხოვთ, არამედ ვეფარებით „პატარა და მარგალიტი საქართველოს“ ზურგს და მსარ-თე-ძოზე წამოწოლილნი თვლემას განვაგრძობთ. გვეჩვენება, თითქოს, შესაქმნელი შევქმენით და დღევანდელ დღეს ისღა გვევალება, მოვითხოვთ მსოფლიოსაგან იმ დიადის დაფასება. თუმცა, არა მგონია, წარსულის კულტურის მსოფლიოსათვის დანახვების აკადემიური ფორმები გვექონდეს დაძებნილი. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ერის სულიერი ენერჯის შესატყვის და საკადრის პროცესს ვერ ვაჩაღებთ, თითქოს უაზრობად მივიჩნევთ „დიდი“ ერების სულიერ ცხოვრებასთან ჭიდილს თუ გაჯიბრებას და... ისევ „ერთი მუჭა ქართველობის“ დალოცვილ ფილოსოფიას ვეფარებით.

გავიხსენოთ, რამდენი რამ იწერება შელახულ ტრადიციებზე, დამახინჯებულ ჩვევებზე, ვისი აზრი არ ჩაერია ამ გულისმომკვლელი სინამდვილის ასახსნელად. აქაც გამოტეხს სიპატარავის განცდის საშიში კონცეფცია. მცდარად დავასკვნით, თითქოს დროის შესატყვისად იმ ტრადიციულის განვითარება არ იყოს საჭირო. თითქოს ყველაფერი წარსულში შევქმენით და ჩვენი ხალხის ფანტაზიას ტრადიციების სფეროში მეტი გაღვივება არ ჭირდებოდა. იქ, წარსულში, სულ უმჯობესი ფორმის მონახვაზე იხარჯებოდა ხალხის ენერჯია.

აქ კი, განვითარებული და განათლებული დროის გარემოცვაში, რატომღაც ჩვენი სალსის ფანტაზიამ ვერ შეძლო დროისათვის იმ ტრადიციულის დიდებული გაგრძელება შეეთავიშებინა, პირიქით, დაამასინჯა და საშინელებას დაამგვანა ნაცადი ფორმები. ისეთ საშინელებას, რომლის ჩვეულებრივმა განფენილობამ ტრადიციის ოდინდელი ფორმების სილამაშუც კი დააყენა ეჭვის ქვეშ. ჩვენ უცსოს ვასათავისებლად და 'უღლზე დასამყნობად გავემზადეთ, სოლო საკუთარი სულის სიღრმიდან ამოზრდილი მცენარეები კი გადავჭერით. იმ უცსო ფორმებიდან ბევრი, რაც ცხოვრების წესად ვაქციეთ, სურელე დაკვირვების დროსაც კი ვერ მაღავეს თავის სიღარიბეს. მაინც მივიღეთ და გვიზიდავს. აქაც გამოტყვს სიპატარავის განცდა, იგი თრგუნავს სითამამეს, რომლის ძალითაც შეიძლება საკუთარი ტრადიციის მშვენიერი ფორმები გაათანადროულო და თვით შესთავაზო კაცობრიობის დღევანდელ ცხოვრებას; იგი სიამოვნებით მიიღებდა ბევრ მათგანს, თუკი თანადროულობის ელფერით იქნებოდა დამუხტული... არა და არა! ჩვენ თითქოს კინოფილმებიდან, ტელევიზორის ეკრანიდან, უცსოეთში მოგზაურობიდან მოზღვავებული შთაბეჭდილებები გვითრგუნავს საკუთარი ღირსების გრძნობას და ფანტაზიის ძალას... და აზრადაც არ მოგვდის, რომ თვით შეგვიძლია თანამედროვე ტრადიცია შევექმნათ, ტრადიცია, რომელიც ქართული იქნება, ტანსაცმელი, რომელიც ქართული იქნება, ჩვევა, რომელიც ქართული იქნება. არ ვაბობ, რომ ყველაზე ძვირფასი თვისება დავკარგეთ, ამისაგან ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ბევრი რამ დავკარგეთ, უფრო მთავარი ის არის, რომ ახალი, დღევანდელი, ქართული, ვერ მივაწოდეთ ჯერ ჩვენს ცხოვრებას, შემდეგ სხვებს. არის თუ არა ეს შინაგანი ღირსების დაძინების ნიშანი, როცა შექმნილის არენაზე გატანისას გეშინია, როდესაც ქვემოდან შესცივინებ მაღლებს.

ქართულ კულტურას, კერძოდ, ლიტერატურას, სულ უფრო ცხადად ემჩნევა მსოფლიო სტანდარტებთან გათანაბრების სურვილი, ჭიდილის ვნება და ძალების მობილიზება სწორედ სიპატარავის განცდის გადასალახავად. ეს არის სასიამოვნო ტენდენცია, მომძლავრებული და ანგარიშგასაწევი

სუნთქვა, სულიერი ცსოვრების სიღრმიდან რომ მოიწევს. ამ პრობლემისაკენ გულისყურის მიბრუნების საფუძველიც ის არის. სხვაგვარად სიპატარავის ფენომენზე სიტყვის ჩამოგდებას არც ექნებოდა აზრი. იგი მაშინ მართლაც ჩაიძირებოდა გულუბრყვილობის ქსოვილში.

საქართველოს სიპატარავეზე ფიქრს წარსულში კიდევ ჰქონდა და კიდევაც არ ჰქონდა საფუძველი.

ეს ფრაზა თითქოს ალოგიკურია, მაგრამ მსოფლიო ერთა შესედეით. საკმარისია დაკვირვებით „გაისიგრძეგანო“ ქართველი ხალხის ისტორია, რომ ზემოთქმულის სიზუსტე იწამო. სპარსელებთან — ვახტანგ გორგასლის დროს, მურვან ყრუს არაბებთან, თურქ-სელჯუკებთან დავით აღმაშენებლის სელმძღვანელობით — თბილისის განთავისუფლებისას, დიდგორის ომში; ქვეყნის საზღვრების კიდევ უფრო გაფართოებისას დემეტრე მეფის და გიორგი მესამის დროს, თამარ მეფის ხანაში — ბასიანისა და შამქორის ძღვევამოსილ ბრძოლებში; თემურ-ლენგთან გააფთრებული წინააღმდეგობისას; მარტყოფისა და მარაბდის ომებში გიორგი სააკაძის ხელმძღვანელობით, ბასტრიონის აღებისას, ასპინძის ომში ერეკლე მეორის მეთაურობით... ქართველ ხალხს ერთი წამითაც არ სწვევია სიპატარავის ვანცდა. იგი იბრძოდა საკუთარი ღირსებისა და ძალის შეგრძნებით, ზოგჯერ მარცხდებოდა, მაგრამ შინაგანად უძლეველი, მოუტესელი იყო. იცოდა, მონობა არ ეკადრებოდა და არც უნდა შეჰკუებოდა. ასეთ დროს წუთითაც არ დასჭირვებია, „ერთი მუჭა ქართველობის“ ზურგს ამოფარებოდა. ჩამოთვლილ ბრძოლებს არ უკვირთ მასშტაბი არც ერთი დიდი ომისა, რაც კი მეცხრამეტე საუკუნემდე კაცობრიობას გარდასდენია. ეს იყო ომები, რომლებშიც ორმოცდაათ, სამოც, ოთხმოც, ას, ორას, ოთხას ათასიანი არმიებით მოსულ მტერს შეჰკებებია საქართველო. მარტიო დიდგორის ომის მასშტაბი კმარა სანიმუშოდ. ვის ეცალა, ვინ დაუშვებდა ფიქრში პატარა ქვეყნის შეიღობით გამართლებულ შიშს. ქართველმა ხალხმა გასაქცევი გზა ჩაიხერგა. მოსალოდნელი დამარცხების გასამართლებლად არა და არ დაუგულვებია ცნობილი ფრაზის შინაარსი, მაშინ არც ჩაიხერგავდა გასაქცევ გზას. საწუთროს მრისხანე მოვლენებთან

პირისპირ გავიდა და საკუთარი ღირსების შეგრძნებამ და შინაგანმა შემართებამ გაამარჯვებინა იმ დროისთვის იშვიათი მასშტაბის ომში. იგივე შეიძლება ითქვას ზემოთ არასრულად ჩამოთვლილი დიდი ომების შესახებაც. უკლებლივ ყველაზე და მათთან ერთად ნაგულისხმევი სასელოვანი ბრძოლების მწკრივზეც უნდა ითქვას, რომ საქართველო არ გასულა ველზე საკუთარი სიპატარაის გრძნობით. ვერც გაიმარჯვებდა იგი, ამ განცდით თუ ექნებოდა სისხლძარღვები დამძიმებული და დაძაბუნებული. აი, ამ დროს არ ჰქონდა არავითარი საფუძველი სიპატარაის განცდას. არც მაშინ ჰქონია საფუძველი, როდესაც იწერებოდა „შუშანიკის წამება“, „გრიგოლ სანძთელის ცხოვრება“, როდესაც იბერწებოდა „ვეფხისტყაოსნის“, „დავითიანის“, ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის კოლოსალური პოეტური სამყარო, როდესაც იწერებოდა „სიბრძნე სიცრუისა“, „სიტყვის კონა“, „კალმასობა“, „დედა-ენა“, დავით კლდიაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, კონსტანტინე გამსახურდიას ღონიერი პროზა, როდესაც მოყოლებული ჯერის მონასტრით, იგებოდა ხელთუქმნელი ხუროთმოძღვრული ნიმუშები, ისატებოდა უმშვენიერესი ფრესკები, როდესაც გაუტესლობის ნიშნად საქართველოს მთაგრესილებზე იჯაჭვებოდა ციხე-კოშკების მწკრივი... ამ დროს საქართველოს არ აწუხებდა სიპატარაის განცდა.

მაგრამ უამი-უამ, ზოგჯერ ხანმოკლედ, ზოგჯერ ხანგრძლივ, ერის ორგანიზმს მოედებოდა სულიერი და ფიზიკური დაკნინების მაუწყებელი ავი სენი, ფეხს მოიდგამდა, იმძლავრებდა შური, ღალატი, ვიწრო ინტერესები, ზნეობრივი გახრწნილება და სრული განუკითხაობა. იკარგებოდა შინაგანი წონასწორობა, ერთიანად მოეშვებოდა ქვეყნის სახსრები. ასეთ დროს ყველა წაგებული ომის გასამართლებლად, ყოველგვარი უმსგავსოების ასახსნელად, მოშვებული სადავეების კვალდაკვალ მიქროდა ფიქრიც და საიმედო ნავთსაყუდელს „პატარა ქვეყნის შეილობაში“ ჰპოვებდა. „ერთი მუჭა ქართველობით“ ხსნიდა მარცხს, გადაგვარებას, ღირსების დაკარგვას, ამ ფრაზით ამართლებდა თავის მონობას, ივიწყებდა წინაპართა სიმაღლესა და ძლევამოსილებას ამ ფრაზით; ეჭვის

ქვეშ აყენებდა მომავალს ამ ფრაზით. იყო და არის ჩაბუდებული ქართველი კაცის ხასიათში ეს ტენდენცია, თითქოს სისხლის მოძრაობა იცვლიდა ჟამი-ჟამ მიმართულებას და დაკინებისაკენ მიაქცევდა ქვეყნის ორგანიზმს. ქვეყნის სიპატარავე კი არ ყოფილა ბრალში, არც ქართველობა ყოფილა ერთი მუჭა. ასეთ დროს შინაგანად ვიყაყით დაპატარავებულნი, მოშვებულები, უმაქნისები, გულგრილები. ლუარსაბ თათქარიძის სახეს იღებდა ხალხის სული.

შემთხვევით არ გაჩენილა ეს კრებითი ხასიათი ლიტერატურაში. ილია ჭავჭავაძის დიდმა, ლოგიკურმა აზროვნებამ აუცილებლად მიიჩნია მხატვრულ სინამდვილედ გაეცხადებინა ამ ნიშნების კომპლექსი. ის კი მეცხრამეტე საუკუნის ან ერთი წოდების ავადმყოფობა არ ყოფილა მხოლოდ. შინაგანი მოშვებულობისა და ბედოვლათობის ბლანტ სითხეს არაერთხელ გადაუსილავს ქვეყნის ნათელი გონება, არაერთხელ დავმარცხებულვართ იქ, სადაც უბრალოდ იოლი იყო გამარჯვება, არაერთხელ დავქსაქსულვართ იქ, სადაც აუცილებელი იყო გრანიტის სიმკვრივე... ამ დროს ჩნდებოდა მატრიანეებსა, მოთხრობებსა და ლექსებში, პოემებსა და შრომებში ფრაზა „ერთი მუჭა ქართველობა“. ჩნდებოდა ინერციით ისეთი ადამიანების ნააზრევშიც, ვინც ღირსებისა და შემართების განსახიერება იყო. ვფიქრობ, არც უნდა ყოფილიყო ეს მოულოდნელი. ამ ფრაზამ სისხლხორცეულობის ბუნებრიობა და, რაც მთავარია, ჩვენი არსისაგან განუყრელობის ნიშანი შეიძინა — სისხლში თავისუფლად ცურვა ისწავლა.

აი, ამ დროს ჰქონდა საფუძველი სიპატარავის განცდას, მაგრამ შეიძლება და კიდევ უნდა აიხსნას მისი წარმომავლობა. მას ფარად, ჯავშნად თვისად გამოიხმობს ხოლმე სენი მოშვებულობის, შინაგანი დაბეჩავეებისა და გადაგვარებისა, რომელიც ჟამი-ჟამ განებივრდებოდა ხოლმე ქართულ მიწაზე. სინამდვილეში დიდი ომების ქვეყანას, მაღალი ხელოვნებისა და კულტურის ხალხს არაფერი აქვს საერთო დაკინებულ მასშტაბებთან. ეს მისი ხანმოკლე თუ ხანგრძლივი კრიზისების ერთ-ერთი ფორმაა.

სიპატარავის განცდას დღეს, ჩემი აზრით, უნდა შევხედოთ ამ კუთხით, ამ სიმკაცრით, არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი

უსაფუძვლო მეჩვენება, არამედ იმიტომაც, რომ საქართველოს მოპოვებული აქვს უფლება დიდი სულიერი კულტურის სალხთა მეჯლისში მონაწილეობისა და სიპატარავეზე თუნდაც გადაკრული სიტყვა დანაშაულის შინაარსს ატარებს დღეს. ვიმეორებ, ჯერ ერთი, იგი უსაფუძვლოა, და, მეორეც, საფუძველი კიდევ რომ ჰქონდეს, დღეს უნდა ამოიკვეთოს ამ განცდის ძირები ჩვენს სულში, ხასიათში, უნდა ამოიწვას სისსლში მოძრავი ბაცილა. მსოფლიოს სალხთა ინტენსიური თანაცხოვრების ეპოქაში სულიერი მოშვებულობისათვის არ რჩება დრო და ადგილი. გამუდმებული სიფსიზლის სინათლის ქვეშ დიდი პოტენციის შესატყვისი კულტურის შექმნისათვის უნდა გვეგულებოდეს დრო და ადგილი. წავიდა დრო მოულოდნელი თავდასსმებისა და აუსხნელი, გაურკვეველი სიჩუმისა, იმ თავდასსმების შემდეგ რომ ყინავდა ჰაერს. იმ სამარისებურ გაურკვეველობაში მოშვებულობა გაინებიერებდა ხოლმე თავს. დგას დრო განუწყვეტელი წეის, სიფსიზლისა და შექმნის, რაც აწესრიგებს ყოველი სალხის ირგვლივ სასურველ ატმოსფეროს, ერს უნარჩუნებს სიმაღლეს და ღირსების გრძნობას. ინტერვალი არ არსებობს. თანამედროვე ცხოვრების ინტენსიურმა ხასიათმა მოითხოვა ანგარიშის გაწევა და რაკი ინტერვალი არ არსებობს, მოშვებულობის უფლებაც დავკარგეთ, რაც ქვეყნის სიპატარავეს განცდას ანებიერებდა ფიქრში.

იქნებ რამდენადმე მოულოდნელი იყოს კრიტიკულ აზროვნებაზე საუბრისას ამ დიდ სატიკივარზე სიტყვის ჩამოგდება. უფრო სწორად, ორ ფენომენს შორის შინაგან კავშირს იქნებ სჭირდებოდეს მეტი სინათლე.

კრიტიკული აზროვნება არავის გაუყვია ქვეყნის სულიერი ცხოვრების მდინარებისაგან, წარმოუდგენელიც კია ასეთი რამ. სამწუხარო სხვა რამ არის: ქართული კრიტიკული აზროვნება ჩაყენებულია მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში. იგი არათუ დგას იქ, სადაც ევალება რაინდული დგომა, არამედ ხშირად მისი არსებობაც კი მოექცევა ხოლმე კითხვის ნიშნის ქვეშ. პირადად მე კრიტიკული აზროვნების

მდგომარეობა შეჩვენება გამოვლინებად ყოველგვარი მოშე-
ბულობისა, სისხლისა და გონების გაზანტებისა. ის დაკნინ-
ების მსასურია თითქოს, მისი ხელის შემშველბელი, მისი
შემკვიდრე. ქართული კრიტიკული აზროვნება არ პასუხობს
შემართებითა და ღირსების გრძნობით დაპყრობილ სიმაღ-
ლებს, მოგებულ ომებს და აღდგენილ წონასწორობას. იგი
მეორე ტენდენციას — უგერგილობისა და ბედოვლათობის
ტენდენციას პასუხობს უმეტესად.

იყო ცდა საჭის შემობრუნებისა. ჯერ „დავიითანის“ პა-
თოსში, შემდგომ — ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილისა
და აკაკი წერეთლის შემოქმედებაში; შემობრუნდა კიდევ
პროფესიონალი კრიტიკოსებიც გამოჩნდნენ და კრიტიკული
აზროვნება მათი წყალობით უკმარობის გრძნობამდე ამაღ-
ლებულა ხშირად. იგი კისრად იღებდა სულიერი ცხოვრების
გზის განათებას და თავის ცხოველყოფელ ზემოქმედებას
გვაგრძნობინებდა.

მაგრამ აზროვნების წესად, მით უმეტეს სისტემად ვერ
დაკრისტალდა ეს მდინარება; კრიტიკული აზროვნება თან-
დათან ისევ დაეშვა დაბლა და დაუბრუნდა თავდაპირველ დო-
ქტს; პასიურ მდგომარეობას.

არ არსებულა დრო, ხალხსა და ქვეყანას კრიტიკული აზ-
როვნება რომ არ სჭირებოდა. იგი გულისხმობს ქვეყნის
შიფსიზლის გრძნობას — ერთი მხრივ, მიზნის გაცნობიერე-
ბასა და დადგინებას — მეორეს მხრივ. ძალთა მობილიზებასა
და განლაგებას — მესამეს მხრივ და არსი ასეთი შინაგანი მო-
ბილიზებისა ქვეყანას ჭირდებოდა მუდამ, მსეღელობის ყო-
ველ მონაკვეთში, მდინარების ყოველ მოსახვევში, ჰორიზონ-
ტამდე გაწმენდილ სწორ კალაპოტში მოქცევის უამსაც. მაგ-
რამ არასდროს ისე არ დასჭირებია ქვეყნებსა და ხალხებს,
მათ სულიერ კულტურას კრიტიკული აზროვნების აკადემი-
ური შინაარსი, როგორც დღეს, სწორედ თანამედროვე ცხოვ-
რების ინტენსიური ხასიათის მიზეზით. ეს ინტენსიურობა
უნდა გაეიგოთ, არა როგორც უბრალოდ, რიტმის მარეგუ-
ლირებელი ძალა; არამედ როგორც საყოველთაო შინაარსი.
კაცობრიული ყოფისა, თანაც იგი სისწრაფის მომატებას წ
წრაფვის დღენიადავ.

ქართულმა კრიტიკულმა აზროვნებამ უნდა დაიბრუნოს დაკარგული სიმაღლე, მწყობრ სისტემად აქციოს სრულფასოვანი ფორმები, რომელთაც მივიწყების ფარფლი აყრია და ისინიც, რომლებიც დღეს გარკვეულ ღირებულებას დაატარებენ; მშობლიური ლიტერატურის წიაღიდან ამოსრდილმა შექმნას შესატყვისი ახალი ფორმები კვლევისა და ანალიზისა, მტკიცებისა და სააზროვნო ლოგიკისა, თავის შინაარსად აქციოს უკმარობის გრძნობა და ერთი წამითაც არ დაივიწყოს უკომპრომისობის აუცილებლობა. მას და მხოლოდ მას ეკისრება დიდი მისია — სულიერი კულტურების გარემოცვაში ეძიებდეს ქართული კულტურის გზას, არ უკრთოდეს თანაცხოვრების პულსს. იღებდეს და ითავისებდეს მსოფლიო კულტურის გამანაყოფიერებელ წვენს, პოულობდეს იმ კულტურის ოპერატიულად ათვისებისა და გადახარშვის ფორმებს, რათა დიდი გარემოცვის წნევა ერის სულიერი ენერჯის რიტმს აძლიერებდეს და არ კი ეღობებოდეს გზაზე.

კრიტიკულმა აზროვნებამ უნდა შეიძლოს ჩვენს სასიათში უკმარობის გრძნობის აღწევა და დამკვიდრება, გრძნობისა, რაც გზას დაუხშავს კმაყოფილებასა და დაგვარწმუნებს, რომ სულ მცირე ენერჯიას ვსარჯავთ შესაქმნელად, რომ დანარჩენი იფლანგება თვითდამშვიდების ტკბილ ატმოსფეროში. მან უნდა დაამსხვრიოს ხელოვნურად გაბერილი კერპები და გაზვიადებული წარმოდგენები. მან არ უნდა მისცეს მოსვენება შემოქმედებით პროცესს, წუთებიდა „ადირსოს“ შექმნილით ტკბობისათვის და დროის უდიდეს ნაწილში ასლის შესაქმნელად განაწყოს.

სხვა უფრო შედავათიანი და მსუბუქი მისია ქართულ კრიტიკულ აზროვნებას არ აქვს და არ შეიძლება ჰქონდეს. მან უნდა მიიღოს მკაცრი გამოცდის პირობები, თვითშეცნობის ლოგიკას რომ მოსდევს თან და აკეთოს თავისი დიდი საქმე. ის საქმე კი გადაწნულია ქართველი ხალხის შინაგან წონასწორობასთან. კრიტიკულ აზროვნებას დღეს არნახულად ემატება სიფხიზლის დოზა და იგი აგებს პასუხს ყველაფრისათვის, რაც კი უღრანად გაიფოფრება ქვეყნის აღმავლობის გზაზე.

ამიტომ მეჩვენება ორგანული კრიტიკული აზროვნებისა-

თვის სიპატარაის განცდაზე საუკუნეობით ნაფიქრალი. იგი უნდა სედავედეს ამ განცდის წყალდიდობის საშიშ მსარეს.

„საქართველო არ არის პატარა ქვეყანა“ — სწორედ კრიტიკულმა აზროვნებამ უნდა გაუსხსნას გზა ამ აზრს ქართველი კაცის ყოველ ფიქრში, ყოველ მოძრაობაში და ეს იქნება ბუნებრივი გამოსატულება დღემდე შექმნილი კულტურული სამყაროს შინაარსისა და იმ დიდი სულიერი პოტენციისაც, რაც დაძაბულა მომავალში გასაცხადებლად.

ქართული კრიტიკის სკოლა

ჯერ არაა გამოკვეთილი ქართული ლიტერატურული კრიტიკის სკოლის სასე. მეჩვენება, რომ ამიტომაც არ ატარებს კვლევის მეთოდები და ფორმები უნივერსალურ სასიათს. ეროვნული მწერლობის ბუნებამ საყოველთაო მეთოდებსა და ფორმებს უნდა მისცეს განსხვავებული შინაარსი და ამ გზით გაამდიდროს ლიტერატურის საღარო. ლიტერატურული კრიტიკის სკოლები, სახელდებული ამ თუ იმ „იზმით“, უმეტესწილად იქმნებოდა აუცილებლობის კარნახით, რაც მწერლობის განვითარების შიგნით მომწიფდებოდა ხოლმე.

ეროვნული მწერლობის შინაგანი მზადყოფნის სარისხზე იყო მუდამ დამოკიდებული, როგორ მიიღებდა ახალი „იზმის“ კანონებს, ხელოვნურად გადმონერგავდა თუ მოუძებნიდა საკუთარი მწერლობის გასაღებს. როგორ ბუნებრივადაც არ უნდა გაკეთებულიყო ეს საქმე, დამოუკიდებლობის, თავისთავადობის პროცენტი მაინც იკლებდა, ეროვნული ლიტერატურული კრიტიკის სისუსტე მაინც იგულისხმებოდა. მე ვამბობ — ლიტერატურული კრიტიკისა! და არა ეროვნული მწერლობისა, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში (მათ შორის საქართველოში) ღირსი იყო ჰქონოდა თავისთავადი ლიტერატურული კრიტიკა.

ყოველ ეროვნულ მწერლობას დამოუკიდებელი სასიათი აქვს. როგორაც არ უნდა განსხვავდებოდნენ რჩეული მწერ-

ლები ერთმანეთისაგან, როგორი თავისთავადი და ორიგინალურიც არ უნდა იყვნენ ისინი, ჯამი ეროვნული მწერლობისა მაინც გვიცხადებს ერთ მთლიან სასიათს, როგორც ის ერი, რომელსაც ნიჭიერი მწერლები ეკუთვნიან. ერის სული, ერის ხასიათი, გაუონილი თვით უადრესად ორიგინალური მწერლების შემოქმედებაში, ამ მთლიანი ხასიათით აღინიშნება და ეროვნული, კერძოდ, ქართული მწერლობაც იმ საერთო ხასიათს ჰქვიათ. სამყაროს სედევის და სულიერი ცხოვრების განცდის თავისებურება ქართულ ლიტერატურას სხვათაგან განსხვავებული აქვს. თავისებურება ზოგ ქვეყანაში იქნებ მწირ ნიადაგს ეყრდნობოდეს, იქნებ ოკეანის სიღრმეს იყოს დაფუძნებული. მწირი ნიადაგის მწერლობა უმარტივეს, თუ შეიძლება ითქვას „პრიმიტიულ სააზროვნო ფორმებს ფლობს და არც არის მოწოდებული მსოფლიო ლიტერატურის გასამდიდრებლად. ამიტომაც მას არც ლიტერატურული კრიტიკის სკოლის შექმნა შეუძლია, უბრალოდ არ არსებობს ამის აუცილებლობა. მაგრამ იქ, სადაც სუნთქავს „შუშანიკის წამებით“ დაწყებული — „ვეფხისტყაოსნის“, გურამიშვილის, სულხან-საბას, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის, ალექსანდრე ყაზბეგის, დავით კლდიაშვილის, ეგნატე ნინოშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, კონსტანტინე გამსახურდიას და სხვათა კოლოსალური ლიტერატურული სამყარო, საკითხი სულ სხვაგვარად დგება, სხვაგვარ სიმწვავეს გვაგრძნობინებს.

ქართული ლიტერატურული კრიტიკისათვის არც საკუთარი თვალსაწიერი ყოფილა ოდესმე დახშული, არც უცხოური „იხმები“ დარჩენია „ტერა ინკოგნიტოდ“. იგი მუდამ საქმის კურსში იყო. პროფესიული კრიტიკის მონაპოვართა ცოდნა ინტელიგენციას წყურვილად ექცეოდა ხოლმე. საამისოდ ბევრი მათგანი უცხოეთს მიაშურებდა. ცოდნის გათავისების ხარისხიც მაღლდებოდა დღითი დღე. ინერგებოდა საუკეთესო მეთოდები და ფორმები, საშური კულტურით ინერგებოდა (უპირველეს ყოვლისა, კიტა აბაშიძისა და გერონტი ქიქოძის შემოქმედება იგულისხმება). მაგრამ მაინც რჩებოდა ამოუწურავი უკმარობის გრძნობა, თითქოს ყველა-

ფერი რიგზე იყო — ლიტერატურისმცოდნეობის საერთო კანონების, მეთოდებისა და ფორმების გათავისებების კულტურა პასუხობდა მაღალ დონეს, ერთი შეხედვით გარემოცავდა ეროვნული მწერლობის ორგანიზმს; ნათდებოდა ქართული მწერლობის სული და სასიათი... და მაინც ვერ იკიდებდა ფეხს ნაცადი, დიდი პრაქტიკით შემოწმებული კრიტიკული სკოლა. ამის ერთადერთი მიზეზი მე თვით ქართული ლიტერატურის განუმეორებლობა მგონია.

ქართულ მწერლობას ჭირდება და იგი იგუებს მსოფლიო ისეთ კრიტიკულ სკოლას, რომელიც თვით ქართული მწერლობის სასიათიდან ამოიზრდება, სკოლა, რომელიც ღრმად შეცნობის შემდგომ იმავე ლიტერატურის შესატყვის შინაარსს მიანიჭებს კვლევის მეთოდებსა და ფორმებს. ქართული მწერლობის განუმეორებლობა კვლევის განუმეორებელი ფორმების დაძებნას გვავალებს და კვლევის ასეთი ფორმები თავისთავად წარმოშობს კრიტიკული აზროვნების ქართულ სკოლას.

ქართული მწერლობის ხარისხმა კარგა ხანია მოამწიფა საკუთარი კრიტიკის სკოლის აუცილებლობა. ეს სკოლა, ბუნებრივია, არსით განსხვავებული იქნება ყველა იმ „იზმისაგან“, რაც კი წარმოშობილა მსოფლიო ლიტერატურის დიდ გზაზე სხვადასხვა დროს. თავისთავად იგულისხმება, რომ იგი გაითავისებს იმ ძვირადღირებული ლიტერატურული სკოლების გამოცდილებას და გამოიყენებს საყოველთაო ანალიზის ნაცად კანონებსა და ფორმებს. გათავისების ხარისხი და ინფორმაციული „აზროვნება“ ქართული კრიტიკის თვისებათა კომპლექსში არნახულ სიმჭიდროვეს ესწრაფვის.

ქართულ მწერლობას აქვს მოუხილველი სიღრმეები, შინაგანი წყობის ისეთი თავისებურება ახასიათებს, რომელთა შეცნობა სხვათა მწერლობის შესატყვისი ლიტერატურული კრიტიკის ფორმებით, უბრალოდ, შეუძლებელია. კერძოდ, პოეზიის არსი თვითვე აძლევს მიმართულებას კრიტიკულ აზროვნებას, ამოძრავებს მას და თვითვე გვევლინება წიადად, სადაც ამ მოძრაობის ფორმები შეიძლება დაიბადოს. ამიტომ მეჩვენება ქართული ლიტერატურული კრიტიკის სკოლის შექმნა გარდუვალ მოვლენად.

ქართული მწერლობის არსიდან ამოსრდილი კრიტიკული სკოლა თვითონაც განუმეორებელი იქნება არსით. ამდენად იგი თავისებურ სიახლედ მიემატება გასმარებული უცხოური სკოლების რიგს.

არ არსებობს ქართული კრიტიკული სკოლა თავისთავადი მეთოდითა და ფორმებით, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს კრიტიკოსები, რომლებიც ქართული მწერლობის სულს განიხილავდნენ, მხოლოდ უცხოური სკოლების გავლენის ქვეშ დარჩნენ. შეესებოდნენ თუ არა თვით ქართული მწერლობის წიაღს, ისინი სშირად იმავე მწერლობის შინაგანი კანონების კარნახით ქმნიდნენ და იშველიებდნენ კრიტიკული აზროვნების ახალ ფორმებს. ლიტერატურის სულს თავისთავად მიჰყავდა ისინი ორიგინალური გზით, თვითვე აძლევდა მიმართულებას. ქართული კლასიკური კრიტიკის ფონდში დევს ბევრი ძვირფასი, საგულისხმო ტენდენცია, რომლებიც შესაქმნელ სალიტერატურო კრიტიკულ სკოლას არტერიებად უნდა გამოადგეს. მაგრამ ტენდენციები ჯერ კიდევ არ ნიშნავს ბოლომდე გაცნობიერებულ და ორგანიზებულ სააზროვნო სისტემას, ის გვევლინება მხოლოდ საიმედო ნიადაგად. კრიტიკის სკოლა ბუნებრივად გულისხმობს მოწესრიგებულ სააზროვნო სისტემას, რომლის პერიოდულ განახლებას სისხლსორცეული კავშირი ექნებოდა საკუთარი მწერლობის დინებასთან და წვლილსაც განუსაზღვრელს შეიტანდა იმ მდინარების გაძლიერებაში.

რაკი კრიტიკის სკოლა არ არსებობს, ვერ დამკვიდრდა კანონზომიერული დონეც კრიტიკული აზროვნებისა, რომელიც მეცნიერული კამათისათვის მიუღებელ ფორმებს გადაუკეტავდა გზას, ამიტომ მოკალათდნენ მწერლობის შუაგულში ისეთი ნეგატიური ტენდენციები, რომელთა არსებობა ქართული ლიტერატურის სიმალლისა და დონისათვის უბრალოდ აუხსნელი ფაქტი უნდა იყოს.

უარყოფითი ტენდენციების კომპლექსს, ჩემი აზრით, ყველაზე უფრო გამოსატავს ზომიერების გრძნობის დარღვევა.

ზომიერების გრძნობის დაკარგვა არ არის მარტივი ბუნების მოვლენა, იგი შედარდება არსშიც და ნიუანსშიც. მე აქ არ ვაგრძელებ სიტყვას ამ გრძნობის წვლილზე შექმნის პრო-

ცესში, მასზე გაცილებით ადრე და გაცილებით უკეთ თქმულა და თქმულა არაერთგზის. გავისხენოთ მხოლოდ ერთი თვისე-
ბა: თვით გენიალური წედომის მომენტშიც შემოქმედი ზომი-
ერების გრძნობას ეყრდნობა — ამ გზით იქმნება სრულყოფი-
ლი მსატერული სახე. წედომის ჟამს მხოლოდღა ერთი — ზო-
მიერების გრძნობა აწესრიგებს მშვენიერის შინაარსს. ამ უნი-
ვერსალური შინაარსიდან ზომიერების გრძნობა იტოტება
სხვადასხვა ფუნქციად და თითოეული მისი ფუნქცია ჰაერი-
ვით აუცილებელი და საჭირო სდება.

ზომიერების გრძნობის დაკარგვას ლიტერატურისათვის
ბოლომდე ძნელად გასააზრებელი ზიანი მოსდევს.

ზომიერების გრძნობის დაკარგვა შემოქმედებს პრინციპე-
ბის, პოზიციების, მეთოდების, ფორმების არჩევაზე. იგი
მუდავნდება კრიტიკის მოუთმენლობის ფსიქოზში, ინტელექ-
ტის გათავისების ხარისხში, ნაწარმოების შეფასების, ლიტე-
რატურული პროცესის შეცნობისა და ადგილის მიჩენის
დროს. როდესაც კრიტიკული აზროვნების კომპლექსში იგი
თავის ბუნებას მოაკალათებს, მაშინ კრიტიკული აზროვნება
კარგავს წონასწორობას და თავისი მოშლილი მექანიზმით
მწერლობის მუსრუჭად იქცევა.

ამიტომ დიდძალი შავი სამუშაოს ჩატარების გზით უნდა
გაშიშვლდეს ის კონკრეტული მაგალითები, რომლებიც გვი-
დასტურებენ ზომიერების გრძნობის დაკარგვას. კრიტიკული
აზროვნების თითოეული ფორმა ამ სენით არის დაავადებული.
ქვეყნის კულტურული ცხოვრების გზაზე დგება ხოლმე დრო,
როდესაც ამა თუ იმ სფეროს არსებობას უნივერსალური მო-
წესრიგების გარეშე აზრი ეკარგება. ქართული მწერლობის
წიაღიდან კარგა ხანია ამოიზარდა სუნთქვა პასუსისმგებლო-
ბისა, რომელიც მაქსიმალურ მოწესრიგებას ავალებს ქართულ
ლიტერატურულ კრიტიკას. პასუსისმგებლობის გრძნობა მას
ეკისრება ლიტერატურული პროცესის წარმართვის საქმეში.
ეს პროცესი გამუდმებით მოძრაობს ცალკეული შემოქმედის
ხასიათის შესატყვისად. მის რეაგირებაზე ბევრი რამ არის და-
მოკიდებული. კრიტიკას თავის ჭეშმარიტ დანიშნულებად მი-
აჩნდა, სხვათა შორის, არა მარტო ის, რომ განესაზღვრა ნიჭის
მიმართულება, არამედ ისიც, შეეცნო შემოქმედის ხასიათი —

რამდენად სრულყოფილად მოემსახურებოდა და გამოავლენდა იგი ნიჭს, დაამუხრუჭებდა თუ მთელი სისაესით გამოაფენდა მასში ჩაბუდებულ ბუნების მადლს. კრიტიკოსის ვნებათაღელვა მუდამ ესწრაფვოდა მოენახა გასაღები შემოქმედის სასიათისათვის, გასაღები მოენახა მისი კალმის ნაყოფისათვისაც, თანაც ერთი წუთითაც არ დაეშვა გაზვიდების ცნობილი ლიტერატურული ხერხი იქ, სადაც მეცნიერული გაანალიზების კანონები მოქმედებენ. გარდამავალი ზღვარი ამ ორ სფეროს შორის იმდენად შეუმჩნეველია, შეიძლება ერთ წამში აგვერაოს სიბრტყეები. ასეთ დროს ერთი შემოქმედის ძალები როდი დუნდება მსოლოდ, შემოქმედთა მთელ წყებას ეწამლება გუნება უნდობლობის ატმოსფეროთი. მოწამლული გუნება კი დაუნდობლად ფლანგავს დროს და გვიან, გვიან თუ ასერსებს შემოქმედებითი წვა ისევე გაიღვივოს სულში. პასუხისმგებლობის გრძნობა პროცესის მიმართ ცალკეული, კონკრეტული სასკელების რეაგირებას ეყრდნობა, მაგრამ მას უჩნდება გრძნობაც პროცესის ერთ მთელად გააზრებისა, რათა ეს პროცესი მოიმართოს მეტი სიღრმისა და უფრო დიდი სივრცის დასაუფლებლად. ამიტომ ჭირდება პროცესს კრიტიკული აზროვნების ძლიერი სინაართლით გზის გაკვლევა. ამ სინაართლის მარაგი კი მან, ჩემი აზრით, უნდა აიღოს საკუთარი ეროვნული ბუნების სელუსლებელი სალაროდან.

მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის გრძნობა გულისხმობს კლასიკური ქართული მწერლობის მოვლას. მსოლოდ, ამ მოვლაში უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება მემკვიდრეობის სრული შეცნობა. აუცილებელი სდება ლიტერატურული სამყაროს მთელი სიგრძე-სიგანით გააზრება და მსოფლიოს არენაზე მისი ჭეშმარიტი ღირებულების გასატანად გზების გამოწასვა. მსოლოდ ამის შემდეგ ამადლდება კრიტიკული აზროვნების პასუხისმგებლობის გრძნობა ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობამდე. მას ეძლევა უფლება ემსახუროს ერს და მის მომავალს.

კრიტიკოსის ფენომენი რთული ბუნებისაა. კრიტიკის დანიშნულებასა და ადვილზე ასე თუ ისე გარკვეული წარმოდგენა არსებობს. იქნებ ამ შესედულებათა თუ წარმოდგენათა უმრავლესობა მცდარია, ან ყოველ შემთხვევაში ბოლომდე ნათელი და სრულყოფილი არ იყოს, მაგრამ მისასლოებათი მაინც არის იგი დახასიათებული. კრიტიკოსის ფენომენი კი სერიოზული შეცნობის მიღმა დარჩენილი. ეულგრილობის შრეები ასლოს არ იკარებს მას. ერთხმად ყველამ უწოდა კრიტიკოსის საქმეს უმადური პროფესია და განწყობილებაც კრიტიკოსის ფენომენისადმი უმადურობას დაექვემდებარა.

კრიტიკოს ფუნქცია კი იმდენად დიდი, მისგან აღსასრულებელი საქმე ისე რთულია, რომ დანაშაულად აღიქმება კრიტიკოსის ფენომენისადმი დამოკიდებულების უყურადღებოდ მიტოვება. კრიტიკოსზე, მისი ფუნქციისა და ბუნების გამო, უკვე ნაკლებ არის დამოკიდებული პატივისცემას დაიძმასურებს თუ სიზღს, რადგან იგი ადამიანის ბუნებრივი სისუსტის გამო როგორი ობიექტურიც არ უნდა იყოს, ერთისათვის მისაღებია, სოლო უმრავლესობისთვის საძულველიც კი. მაგრამ კრიტიკოსს დიდი და სერიოზული საქმეები აქვს საკეთებელი და მისი ენერჯის უმთავრესი ნაწილი არ უნდა შეეწიროს „უმადური პროფესიით“ შობილ განწყობილებას. ლიტერატურული ატმოსფერო ისევე უნდა სრუნაედეს კრიტიკოსის ფენომენზე, როგორც პოეტზე, პროზაიკოსსა და დრამატურგზე ზრუნავს. კრიტიკოსისადმი დამოკიდებულება განსხვავებულია ამ სამი ფენომენისადმი დამოკიდებულებისაგან. მათ შემოქმედებით გამარჯვებებს სიყვარული და პატივისცემის გრძნობა ასლავს, წარუმატებლობას — მიტევებისა. კრიტიკოსის ყოველი სიტყვა — ზუსტიც და არაზუსტიც სულ სხვაგვარ დამოკიდებულებას ექვემდებარება და ამიტომაც ლიტერატურულ ატმოსფეროს ევალება კრიტიკოსის ფენომენისადმი დამოკიდებულების კულტურა დაამკვიდროს. მხოლოდ მას მოეკითხება, რამდენად შეუწყო ხელი კრიტიკოსის პოტენციის სრულ გამოვლინებას და კრიტიკის მხრივ თავისი ფუნქციის აღსრულებას.

ყველა ის საგანი, რომელიც კრიტიკის სფეროში შექმნილია, მოითხოვს გარკვეულ პოზიციას, მრწამსს და დამოკიდებულებას. ლიტერატურა და ცხოვრება ამ შემთხვევაში სასინჯო ქვაა. იგი არა მარტო ფასდება კრიტიკოსის მხრივ, არამედ თავის მხრივ ამჟღავნებს კრიტიკოსს, როგორც ფენომენს და მის სრულფასოვნებასა და მსადაყოფნას ამოწმებს. სიტყვა „ფასდება“ მართოდენ ინერციის წყალობით არ მოხვედრილა აქ. კონტექსტში იგი ზუსტად გამოსატავს თავის ფუნქციას, მაგრამ ამ სიტყვის ინერციის სანგრძლივობა უფრო ქვემოთ ისევ გასდება მსჯელობის საგანი. იგი ძალიან სშირად გამოხატავს კრიტიკის არსზე ჩვენს გაღარიბებულ წარმოდგენებსა და შეხედულებებს.

როგორ შეხედულებას არ წაიკითხავთ (ან მოისმენთ) კრიტიკოსზე, კრიტიკის არსზე. ნურავეს გაუკვირდება — თვით შესანიშნავი მწერლებიც კი ზოგჯერ პარადოქსალური შესხედულებებისა არიან. ბევრი მათგანი კრიტიკას საერთოდ ზედმეტ საგნად, ლიტერატურის ბალასტად თვლის. ბევრისთვის კრიტიკა სერიოზულ დანიშნულებას არის მოკლებული, მისი როლი და ადგილი უმნიშვნელოზე უმნიშვნელოდ ისახება. „კრიტიკოსები—საერთოდ ვინ არიან ისინი?“ ლიტერატურას სტეინბეკის ეს კითხვაც ახსოვს. ხოლო ფრაზა „ჩემი გაჭედილი ხატის ამბავი მე უკეთ ვიცი“ ვინ უწყის მერამდენედ გაისმა ლიტერატურის თაღქვეშ. ეს ფრაზა, ცხადაა, კრიტიკის არად ჩაგდებას, მისდამი უსიამოვნო დამოკიდებულებას გულისხმობს. ოპოზიცია „მწერალი-კრიტიკოსი“ მარტივი შინაარსისა არ არის. ამ ოპოზიციის დაძაბული სივრცე მეხის გავარდნის მოლოდინით არის აფორიაქებული მუდამ და უკმაყოფილების გრძნობით სავსე მზერა მძიმედ ებჯინება მის ჰორიზონტს. დაძაბული სივრცე თრთის თითქოს შესებებისთანავე დამსხვრევის შიშით.

ლიტერატურის ძლევამოსილი სვლის მათრგანიზებულ კანონებს, ბუნებრივია, არასოდეს დაუყენებია ეჭვქვეშ კრიტიკის ფუნქცია. ოპოზიცია მისი ფართო ველის არეში, შიგ-

ნით მოძრაობს. იგი დაპირისპირებულთა ბრძოლისა და ერთი-ანობის მარადიულ კანონს გვაგონებს. მაგრამ ოპოზიცია „მწერალი-კრიტიკოსის“ ეს „მტრული ბრძოლა“ იმდენ უცნაურ შესედულებას, უსაფუძვლო მოსაზრებას და ნაჩქარევ დასკვნებს აჯგუფებს ლიტერატურის გზაზე, რომ შესაძლოა არათუ მკითხველი, თვითონ მწერალიც დააბნოს, გააბატონოს ეჭვნარევი დამოკიდებულების ფსიქოზი, რომლის წყალობითაც კრიტიკაზე ფიქრისას უდღეური, უმწიფარი აზრები აქსიომატურ ჭეშმარიტებად გვეჩვენება.

კრიტიკოსისათვის, რომლის თვალთასედვის არეში ლიტერატურისა და ცხოვრების უთვალავი საგანი უნდა შემოდოდეს, განუსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება საკუთარი მოწოდების არსში გარკვევას, დროდადრო ძლიერდება წყურვილი კრიტიკის არსი ყველა თავისი განზომილებით აღიდგინო შენს ფიქრში, დარჩე მასთან პირისპირ და თვალთ გაზომო მთელი ის მარაგი, რაც კრიტიკოსის მოწოდებას მართლაც გააჩნია. ეს პირისპირ დარჩენა იქნებ ვერც დიალოგის ფორმაში მოთავსდეს, ვერც მონოლოგისა. არც წმინდა კრიტიკული წერილის საზღვრებში თავსდება იგი. ამ შემთხვევაში, ალბათ, სრული ნდობა უნდა გამოეცხადოს „თავისით“ მოსულ ფორმას, რომელიც, სამწუხაროდ, სრულებითაც არ იქნება უცხო ხილი „უსაშველოდ“ მდიდარი ლიტერატურისათვის.

კრიტიკის არსზე პარადოქსალური შესედულებების გამოვილაპარაკე ზემოთ. საბედნიეროდ, მისი მეცნიერული შეფასების მდიდარი შინაარსიც არსებობს — ტენდენციურ სულისკვეთებაზე მაღლა მდგომი ობიექტური შეფასება, რომელსაც კრიტიკის ფუნქციის მეცნიერული წვდომა და განცდა ასულდგმულებს. ურყევ კანონად არც ერთი შეფასება არ არის მიჩნეული. მაგრამ უმთავრესი მაინც გარკვეულია ჩვენთვის, როდესაც მშვიდი და სერიოზული საუბარი ხდება შესაძლებელი. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ უშუალოდ მწერალთა მხრივ ჩვენს საუკუნეში მრავალი მოსაზრება გამოითქვა კრიტიკის დანიშნულებაზე. ამ შესედულებების სიმადლეს, ჩემი აზრით, მაინც დიდი ამერიკელი პოეტის თომას ელიოტის წერილი „კრიტიკის დანიშნულება“ წარმოადგენს.

ლიტერატურული ცსოვრების უმწვავესი საკითხები, თუ მასზე ფიქრს სული სთხოვს კრიტიკოსს, მოწოდების არსში მეტი სიცხადით გარკვევას ავალებს და ყველა ის შესედულება, რაც კი დღემდე კრიტიკაზე გამოთქმულა, მას მხოლოდ ცოდნას აძლევს. დამოკიდებულება კი თავისი მოწოდებისადმი მან თვითვე უნდა გამოიმუშაოს; ლიტერატურისაგან დაგროვილი ცოდნა მას დაუფასებელ დასმარებას მხოლოდ მაშინ გაუწევს, თუ შინაგანად თვითვე არის მიმართული იქითკენ, თავისი დამოკიდებულება და მრწამსი მთელი სიცხადით დაადგინოს. სხვა შემთხვევაში თვით გენიალური კანონები ლიტერატურისა ცალკე დევს, რომლის არსებობის შესახებ მშვენიერად იციან, მაგრამ წყურვილი ერთხელაც არ უბიძგებთ მდიდარი არსენალიდან სიმართლის იარაღი აიღონ.

ვიტყვოდი, რომ ჩემთვის პირადად ამ დამოკიდებულებაში სიცხადის შეტანის გარეშე არავითარი აზრი არა აქვს კრიტიკული წერილის დასაწერად კალმის სელში აღებას. მაგრამ ამის თქმა თავისთავად ნიშნავს გუნდრუკის კმევას საკუთარი თავისათვის. იგი კი კრიტიკის მოწოდებაზე პრეტენზიის გასაცხადებლად არავითარ უფლებას არ გვიტოვებს, იმდენად ამაზრზენია თავისი შინაარსით.

მაინც მგონია, წყურვილის სინაღდე, მისი გულწრფელი ნერვი უკეთ იტყვის, კრიტიკოსისაგან თავისი პოზიციის გამჟღავნება ნიღაბია თუ ლიტერატურაში არსებობის ერთადერთი გარანტია. ამიტომ შიში იმისადმი, თუ როგორ ახსნიან შენს დამოკიდებულებას, მხოლოდღა ინერციის ნაყოფია. კრიტიკოსის მრწამსი იმდენად ნათელი, ხოლო სწრაფვა იმდენად გულწრფელი უნდა იყოს, რომ ლიტერატურულ ფაქტს თვითვე მოუნახოს ფორმა, ის ფორმა, ბოროტი ენების შსამიან ეკლებს რომ დაადნობს.

არ ვიცი, რამდენად საინტერესო იქნება მკითხველისათვის, მაგრამ თუ რა არის კრიტიკა ჩემთვის, როგორ მესმის კრიტიკის არსი და რა განსაზღვრავს ჩემს დამოკიდებულებას ლიტერატურული ცსოვრებისადმი. ამის გაცხადების მოთხოვნილება აღემატება სიჩუმის ფასს. იქნებ ეს გაცხადება შინაგანი სისუსტის გამოსატყულებაა, რამდენადაც საქმემ უნდა უპასუხოს კითხვას და არა ზოგადმა საუბარმა. მაგრამ, რა გაეწყობა, ლი-

ტერატურის ისტორიისათვის არც ეს ხილია უცხო. ამ გაცხადებას ამართლებს უფრო დიდი მიზანი — გარკვევა იმისა, თუ საით ვისწრაფეთ, რისი გაკეთების საშუალებას გვაძლევს სინამდვილეში ლიტერატურული ატმოსფეროს შესაძლებლობები. რამდენად ვართ დაშორებულნი ჭეშმარიტ ლიტერატურულ კრიტიკას და კიდევ გარკვევა იმისა, რას შეგვმატებს სიცხადის შეტანა ამ მანძილის დადგენისას.

ქართულ კრიტიკულ აზროვნებას ლიტერატურული ბრძოლის წყურვილი ასრჩობს — წმინდა ლიტერატურული ბრძოლის წყურვილი. მას უჭირს მოძრაობა ამ ბრძოლის გარეშე. ასეთი ბრძოლის შესაძლებლობა კი გამორიცხა ანგარიშსწორების ვნებათაღელვამ, რომლის მეტასტაზები გაბრუნნილია ყოველი პაექრობის ქსოვილში. ტალანტის სასწაული ბევრს ქმნის მწერლობაში, მაგრამ არა ყველაფერს. და რასაც იგი ქმნის, მასვე თან დაჰყვება ტენდენციათა, მოსასრებათა, შესედულებათა სხვადასხვაობა. იგი შობს პოზიციებს, დამოკიდებულებების მოდუსს. ვთქვათ, ლირიკული პოემა გახდა მსჯელობის საგანი — ლიტერატურული ბრძოლის წყურვილი გვავალებს ეპიკური კონსტრუქციების წიაღიდან გამოსვლის საიდუმლოებაში გარკვევას, ლირიკული პოემის კონსტრუქციათა საფუძვლის მოიხსნეკვას. ლიტერატურული კამათის ვნებათაღელვა ისწრაფვის სრულფასოვანი არგუმენტების მისაკვლევად, რათა ღრმად გაცნობიერებული თავისი მრწამსი დაასაბუთოს. ლიტერატურული ცხოვრების ატმოსფერო ამ არგუმენტების მისაკვლევად საჭირო ენერჯიასა და ძალას მოკამათის მწერლური რეპუტაციის შესალახავად საჭირო ცრუ საბუთების ძებნაში აბანდებს. ჩვენი ლიტერატურული ვნებები ნამდვილ არენამდე ვერ აღწევს, იქამდე, სადაც მოპაექრის განადგურების უინი კი არა, ჭეშმარიტების დადგენის ვნებიანი აზროვნება დუღს, სადაც დღესასწაულია უკეთესი არგუმენტის მოპოვებისა, სადაც რაინდული უკანდასევაც სჩვევიათ მოპაექრის უმჯობესი მტკიცების მოსმენისას. მეშინია კრიტიკის მოუთმენლობის ფსიქოზმა, როგორც თემამ, აქ არ გამიტაცოს. სულ სხვაგვარად თავსამტკრევი საკითხია იგი, თუმცა მჭიდროდ უკავშირდება ლიტერატურული ბრძოლის წყურვილს.

ლიტერატურული ბრძოლის წყურვილი მაინც ცალკე სა-
განია. ყამირ ნიადაგად რჩება უამრავი პრობლემა, რომელთა
დამუშავების გარეშე წინ წასვლა ძნელდება. ასეთ ბრძოლას
კი ჭეშმარიტი კრიტიკოსის ჩვევების აღზრდა უნდა. ჩვენ-
თვის შეუვალა უკვე ის აზრი, რომ ყოველი ჩვენთაგანი უნ-
და განიტვირთოს ავადმყოფობისაგან, რასაც კრიტიკოსის
სასიათში ან მისივე ბუნება აჩენს ან ლიტერატურული ატ-
მოსფერო.

ნიჭი მეტ-ნაკლებად ნაკლულანია, მაგრამ სრულფა-
სოვნების მისაღწევად რაღაცის გაწირვის ძალა უნდა შეგ-
ეწევდეს. ერთეული ფენომენების მაგალითი ნიჭის მრავალ-
მხრივობას რომ გვიდასტურებენ, საერთო მოვლენას შინა-
არსს ვერ უცვლიან. მე მეჩვენება და სულ უფრო მიძლიერ-
დება რწმენა, რომ კრიტიკოსის სასიათი დიდი დათმობის
წილ ყალიბდება. თითქმის აუცილებელიც კია, რომ კრიტიკ-
ოსმა ლიტერატურის რაც შეიძლება მეტ უანრში სცადოს
კალამი, შექმნის პროცესის ყველა საიდუმლო გაიცნობიერ-
როს. „ხელმოცარულობის“ განცდა, თუ იგი ბუნებით კე-
თილშობილია, შურად და ღვარძლად კი არა, უკმარობის
გრძნობად გარდისახება მასში. მწერლობაზე უარის თქმა, —
იგივე დათმობის ძალა, — კრიტიკის ენერჯიად იქცევა. შექმნის
პროცესის ლაბორატორიაში გავლილი მისი ნიჭი, თუ კრი-
ტიკისათვის არის მოწოდებული, უკვე თავისთავად ფლობს
უშუალო განცდებით აღზრდილ „უტყუარ“ გემოვნებას. ასე-
თი გემოვნება სელმოცარულობის კვალს და ნიშანს თავისი
დიდი პრაქტიკის წყალობით უმაღ გრძნობს და ხელიდან
იშვიათად თუ უსხლტება ჭეშმარიტი მწერლობის მადლი.
იგი თავისი გზის (კრიტიკოსის გზის!) არჩევის შემდეგაც
შეიძლება წერდეს ლექსსა ან პოემას, მოთხრობასა თუ ნო-
ველას... თუ ამას სული სთხოვს, რა თქმა უნდა, გზა კი კრი-
ტიკასთან მისასვლელი, ცდის, ძიების მწარე ეკლებზე უნდა
გადიოდეს, რათა კრიტიკოსის ნიჭი იშვას, როგორც თავის-
თავადი ფენომენი.

აქ „უნებურად“ მაგონდება პოპულარული აზრი — კრი-
ტიკოსები უმეტესწილად ხელმოცარული მწერლები არიანო.
ნაწილობრივ ესეც სწორია, მაგრამ სელმოცარულობის გან-

ცდა უნდა აისხნას სსვაგვარად. იგი ნაკლი არ არის — აუცილებელი საზრდოა კრიტიკოსის სულია. განმეორებას ამ შემთხვევაში ნუ მოვერიდებით: კრიტიკოსის სულმა, ჩემი აზრით, უმჯობესია, თუ ამის უნარი შესწევს, მწერლობის ყველა უანრში „სელმოცარულობის“ მწარე გზა გაიაროს და დათმობის ძალა უკმარობის ენერგიად აქციოს. ოღონდ უთუოდ კეთილშობილური ბუნება უნდა იქმნდეს ამას. წინააღმდეგ შემთხვევაში „სელმოცარულობის“ განცდა შურად, გესლად, ღვარძლად იკირება კრიტიკოსის სასიათში და რა შესამსაც აფრქვევენ ამ რიგის ადამიანები ირგვლივ, ამის მოწმენი ყველანი ვართ. „სელმოცარულობის“ განცდა ასეთი ტიპის „კრიტიკოსში“ ენერგიად კი არ კრისტალდება, არამედ ლიტერატურაში არსებობის ნიღბად იბერწება და ჩვენ ხშირად ამ ნიღბების ჩამოსხნას უფრო მეტ დროს ვანდომებთ, ვიდრე იმ ნანატრ ლიტერატურულ ბრძოლას.

მაგრამ არიან კრიტიკოსები, რომელთაც არახოდეს დაუწყრიათ არც ერთი მსატერული ნაწარმოები. ისეთი კრიტიკოსებიც არიან, რომლებიც კრიტიკული წერილების კვალდაკვალ მსატერულ ნაწარმოებებს ქმნიან და არცთუ ცუდს. დიდი მწერლებიც ვიცით, რომლებიც შესანიშნავი წერილების ავტორები არიან. ზემოთ ელიოტი ვახსენეთ.

მაგრამ ამ შემთხვევაში ლაპარაკია ჭეშმარიტ კრიტიკოსზე. სანამ უფრო სრულად ვიტყოდეთ, როგორ გვეხმის ჩვენ მისი დანიშნულება, მანამ აუცილებელია, რამდენიმე საკითხში გავერკვეთ. „სელმოცარულობის“ განცდა, რაც მსატერული ნაწარმოების შექმნის ცდას მოსდევს და რომლის ძირმწარე გზის გავლითაც კრიტიკოსის ფსიქოლოგია უნდა ჩამოყალიბდეს, აუცილებელია იმისთვისაც, რომ კრიტიკოსი ყოველი ნერვით იწვოდეს, მთელი არსებით თავის დიდ დანიშნულებას ემსახურებოდეს და ენერგიის მთელ მარაგს ხარჯავდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩნდება „ნასწავლი ლიტერატურული აზროვნების“ სფერო, სადაც მშვენიერი ცოდნით შეიარაღებულ ლიტერატორთა კასტა იბადება. ამ ტიპის კრიტიკოსებს თავისი ადგილი აქვთ მწერლობაში. ლიტერატურაში მათგან საკეთებელი საქმე თავისი მნიშვნელობით საყურადღებოა. შეუძლიათ მშვენიერი ენით წერა, ლი-

ტერატურის ისტორიის გამოცდილებით თანამედროვე ლიტერატურის შესწავლა, ასალი ნაწარმოების უანრის განსაზღვრა, ტიპოლოგიურ დაჯგუფებათა მოხდენა, მაგრამ ყოველთვის მოკლებულნი არიან ლიტერატურის შემოქმედებითი წედომის ნიჭს, რადგან ის ნიჭი საკუთარი შემოქმედებითი ლაბორატორიის წიაღში იბადება.

რაც შეესება დიდი მწერლების ფასდაუდებელ ლიტერატურულ წერილებს, ისინი სწორედ ლიტერატურული წერილებია უპირატესად და არა კრიტიკა თავისი სრულყოფილი შინაარსით. ლიტერატურულ წერილებსა დ კრიტიკას შორის კი არცთუ ისე პატარა განსხვავებაა. ამის თქმა სრულებითაც არ გამორიცხავს დიდი მწერლების მხრივ ჭეშმარიტად კრიტიკული წერილების დაწერას ზოგჯერ, მაგრამ აქ გამოწაკლისებზე არ მიდის მსჯელობა.

როდესაც ბრანდესის, სენტ-ბევის, იპოლიტ ტენის, ბელინსკის, ვანვინ ბრუკსის კრიტიკას აკვირდები, არ შეიძლება არ შევიპყროთ ერთმა აზრმა— ვერც ერთი დიდი მწერალი მსგავს კრიტიკას ვერ შექმნიდა და არც შეუქმნია. ალბათ, ამისათვის საკუთარი მწერლობის დათმობა იქნებოდა საჭირო. რადგან ის საქმე — კრიტიკოსის საქმე — აღამიანის სულიერი ენერგიის მთლიანად ერთკალაპოტში მოქცევას მოითხოვს. ამ დროს იძენს იგი ჭეშმარიტი კრიტიკის თვისებებს. სხვა შემთხვევაში ნაწილადები ენერგია მხოლოდ მშვენიერი ესეების ფორმით კმაყოფილდება. ჭეშმარიტი კრიტიკის თვისებები კი თავისი ხირთულითა და მრავალპლანიანობით, თავისი კრიტიკული სრულფასოვნებით თავისთავად დგას მაღლა დიდი მწერლებისაგან „დონ-კისოტის“ „შაგრენის ტყავის“, „ანა კარენინას“, „იდიოტის“... გვერდით გზადაგზა დაწერილი ესეების თუ სტატიების შინაარსზე. და არა იმიტომ, რომ ამ გენიალური ნაწარმოებების ავტორებს დიდ კრიტიკოსებზე ნაკლები ნიჭი ჰქონდათ, არამედ სწორედ იმიტომ, რომ მათ მხატვრული ნაწარმოების შექმნის ნიჭი ჰქონდათ უპირველეს ყოვლისა და მათი ნიჭის მიმართულება წერილებს იმ განსაკუთრებული ნიშნებს გადასცემდა, რაც შემოქმედის ბუნებისათვის არის დამახასიათებელი. კრიტი-

კის დანიშნულება და არსი მსატერულ ნაწარმოების შექმნაში უძღურებას მოითხოვს, რომ კრიტიკის მკაცრ სფეროში ძლიერებად გაცხადდეს. ეს არის საიღუმლოება კრიტიკის ბუნებისა, მაგრამ რამდენადაც იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული შემოქმედებასთან, იმდენად მოსალოდნელია ნაჩქარევი დასკვნა, თითქოს კრიტიკა ხელმოცარული მწერლების თავშესაფარი იყოს.

კრიტიკა ხელმოცარულთა თავშესაფარი არ არის. „სელმოცარულობის“ განცდა მისთვის გზაა მსოლოდ კრიტიკოსის ნიჭის აღმოსაჩენად და ჩამოსაყალიბებლად. ამ გზის გავლა კი თითქმის აუცილებელია შემოქმედებითი კრიტიკის არსებობისათვის, რადგან კრიტიკის არსი და დანიშნულება შემოქმედებით პროცესში მონაწილეობით არის განსაზღვრული. დიდი და მცირე ტალანტი შექმნის პროცესში დამოუკიდებლად განიცდის თავის სრულფასოვნებას. თითქოს აუსსნელიც კია, რა წილი უნდა ედოს კრიტიკულ აზროვნებას ნაწარმოების შექმნაში. ისევ სტიინბეკს ვუბრუნდები, რომელიც უარყოფდა კრიტიკოსის ჩარევის ღირებულებას, რადგან კრიტიკოსის რჩევა და შემოწმება მისი აზრით არის აქტი მას შემდეგ, როცა მწერალმა უკვე დაწერა, რაც სურდა და როგორც შეეძლო.

კრიტიკა კი სწორედ შექმნის პროცესში მონაწილეობს. ამის გაცხადება მეცნიერულ მონაცემებს რომ არ ეყრდნობოდე, მეტად სარისკო იქნებოდა იგი ამ სიტყვების ავტორისათვის. მაგრამ ჯერ სიტყვა შეფასება მოვიგიანოთ. კრიტიკის დანიშნულება მართლაც ისე მარტივი რომ იყოს, როგორც ბევრს წარმოუდგენია დღეს, და რის შესასებაც ბევრი დიდი მწერლისაგანაც კი მოგვისმენია, მაშინ მართლაც არ ღირდა კალმის სელში აღება, არათუ საყოველთაოდ აღიარებული კრიტიკოსებისაგან, არამედ თვით ჩვენისთანა მონაცემე ავტორებისაგან.

ჩვენში უყვართ ილია ჭავჭავაძის ცნობილი ფრაზის შესენება, როდესაც სურთ კრიტიკას თავისი მაღალი დანიშნულება მოაგონონ. კრიტიკა ეს არის შეფასებაც, განჩსრეკაც და დაფასებაც — სამივე ერთდროულად. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მეცნიერული კრიტიკის რაობა ლიტერატურას

გარკვეული არ ჰქონდა, ილია თავისი გენიალური გუმანით გრძნობდა კრიტიკის არეალის სიფართოვეს. დიდი მწერალი და მოაზროვნე თვითვე სწერდა შესანიშნავ კრიტიკულ წერილებს და თვითვე გრძნობდა, კრიტიკის ბუნება ერთილა ნაწარმოების შეფასება რომ არ იყო მსოლოდ. თვითვე გრძნობდა, რომ ლიტერატურული პროცესისა და ცალკეული ნაწარმოების ანალიზისას, სახელის დარქმევისა და თავისი ადგილის მიჩნევის კეთილშობილური მისიის იქით კრიტიკის არსში მოულოდნელი სიღრმეებიდან იბადებოდა უკმა-რობის ღვთაებრივი გრძნობა, რომელიც ასლის, უკეთესის შექმნისაკენ მიმართავდა არა მარტო ავტორის სულს, არამედ თვით კრიტიკოსის ოცნებებს, და ბოლოს ლიტერატურული საზოგადოებრიობის შინაგან მისწრაფებებს.

თავისთავად თვითონ შეფასების მნიშვნელობაც ერთობ დამცირებული ჩანს ბევრის თვალში. სოლო შეფასება, როგორც კრიტიკის უპირველესი საფეხურთავანი, საიდანაც იგი თავისი მაორგანიზებული სისტემის სიმადლეებისაკენ მიდის, უადრესად ბევრის განმსაზღვრელია. ზუსტი შეფასება ლიტერატურულ პროცესში გამორიცხავს ანარქიას და მიუსედავად ტალანტის განუსაზღვრელი სასწაულისა, მას ჰაერივით ჭირდება მოწესრიგებული ლიტერატურული პროცესი, სადაც ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია.

ლიტერატურული პროცესიდან ანარქიის გამორიცხვის უკეთილშობილესი მისია მეტად რთულია და საზომების აღრევას აქ უდევს ფუძე, კრიტერიუმების შელახვის მიზეზიც ის არის. შეიძლება ანკარა, გამჭვირვალე მდინარემ იაროს ზღვამდე, თუ არ სათავესთან მიქუჩიებული ქანები, რომლის გავლითაც კრიტიკული აზროვნება კალაპოტს იფართოებს.

შეფასება ჩემთვის პირადად უთუოდ გულისხმობს ყველაზე დიდ სიფრთსილეს. როგორ გაზვიადებულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს შედარება, მაინც ასეა. ასალი ნაწარმოების შექმნით ბუნებაში ასალი სახეობა ჩნდება. როგორი სუსტიც არ უნდა იყოს ნაწარმოები, არ შეიძლება იგი სხვათაგან არ განსხვავდებოდეს. ჩნდება და ადგილს, სივრცეს ესწრაფვის, თავისი უნდა მიუზლო და შესაფერისი სიტყვა უთსრა. ნაწარმოების სიძლიერისდა მიხედვით ლიტერატურის დიდ

რუქაზე მაშინვე სდება ცვლილება — საგნები ინაცვლებენ ადგილს, განლაგება სხვა იერს იღებს. ასაღმა ნაწარმოებში ასალი დისტანცია შექმნა. ამ ასაღმა დისტანციამ მიმდინარე პროცესის ყოველი შემადგენელი ნაწილისადმი ჩვენს დისტანციაშიც შეამოკლა ან გაადიდა მანძილი. მის შუქზე ან გაიზარდა სხვათა მნიშვნელობა ან შემცირდა ან უფრო დადასტურდა. თვით რიგითი ლექსიც კი იწვევს ასეთ ცვლილებებს. შეიძლება ცვლილება მიკროსკოპული სიმცირისა იყოს, მაგრამ იგი მაინც ცვლილებაა და სურათს ასხეფერებს. მთავარია, რას ამჩნევს კრიტიკოსის თვალი, კერძოდ. როგორ ხედავს ამ ცვლილებას, თუ ვერ ვამჩნევთ, მით უარესი ჩვენთვის, — ჩვენგან დამოუკიდებელივ რუქა იცვლება და ჩვენი სიბრმავე გადასხვაფერებას ვერ შეაკავებს.

ამიტომ სიზუსტე შეფასებისთვის უანგბადაა.

სიზუსტეს მოკლებული შეფასება ერთი მხრივ ფუჭ გასროლად აღიქმება. ლიტერატურული ნაწარმოები მანამ ელის შემფასებელს, სანამ ზუსტი არ იქნება იგი. მსოლოდლა თავის მოტყუებაა, თუნდაც ათობით წერილის გამოქვეყნება ნაწარმოებზე ნაწარმოების შეფასებად ჩაითვალოს. ეს თვით-მოტყუება დღემოკლეა და ამოდ გვეგონია თითქოს ნაწარმოების შეფასების საქმე მომთაყერებულია. ლიტერატურასა და მკითხველ საზოგადოებას შორის წვება უნდობლობის ატმოსფერო, რადგან მიუსედავად იმისა, რომ მკითხველი შეფასების პროფესიონალიზმს არის მოკლებული, იგი კრიტიკას მაინც არ მოუთმენს თავის მხრივ და არც აპატაებს არაპროფესიონალიზმს შეფასებაში. იგი, როგორც იტყვიან, „ტანით გრძნობს“ სიმართლეს და შეფასებაში შემჩნეულ სიმართლისაგან დაცილებას უკმაყოფილოდ განიცდის. მანამ განიცდის, სანამ სიზუსტე კუთვნილ ადგილს არ დაიჭერს.

სიზუსტეს მოკლებული შეფასება მთელი მწერლობას უარყოფით რეაქციას იწვევს მეორეს მხრივ. და ეს უფრო საშიშ ფაქტორად მეჩვენება. ლიტერატურული ცხოვრების პროცესში ასეთი შეფასება მეტად უხეშად ერევა, იგი თავხედურად ცდილობს თავისი სურვილის კარნახით შეამციროს მანძილი საგნებს შორის ან გაადიდოს ეს მანძილი. ლიტერატურული პროცესი კი თავისით ვერ მოვა წესრიგში — ის,

რაც დროს მიეწერება გაკეთებულად, შემდგომ, მარტო დროის მონაწილეობით არ ხდება და გარდა ამისა, ეს დრო რამდენამე საუკუნეს გულისხმობს. რამდენიმე საუკუნის მერე თავისთავად განათებული სურათი კი ვეღარაფერს შეეღის იმ პოტენციურ შესაძლებლობებს, რომელიც თავის დროსე შეიძლებოდა სულ სხვაგვარად გამოვლენილიყო თუ მათგანაზებელი ძალა ლიტერატურულ პროცესს კანონზომიერებას ვზით წარმართავდა. მეცნიერულ სიზუსტეს დაფუძნებული შეფასება ქმნის უტყუარ სურათს, ლიტერატურის ვებერთელა სივრცეს ნისლი ეცლება თითქოს და გაკაშკაშებული მთა-გორებისა და ველ-მინდვრების ფონზე ახალი ნაწარმოები დიდ სივრცეს უერთდება.

მეცნიერული შეფასების სიზუსტე, ბუნებრივია, შეფასების ერთადერთობას არ ნიშნავს. იგი, და სწორედ იგი აჩენს ვრცელ არენას სხვადასხვა გემოვნების კრიტიკოსთათვის, რათა ლიტერატურული პაექრობა აწარმოონ თითოეული ფაქტისა და მთლიანი პროცესის გარშემო და ლიტერატურულმა კრიტიკამ საბოლოოდ აუცილებელ სიზუსტეს მიადწიოს შეფასებაში. მეცნიერული სიზუსტის მიღწევის გზა არის შეფასების შინაგანი სიმდიდრის მაუწყებელიც და განმსაზღვრელიც, რადგან ამ გზაზე შეხედულებათა, მრწამსთა დემონსტრირება ხდება და კრიტიკული აზროვნების საღარო ბუნებრივი გზით მდიდრდება. საბოლოო მიზანი მაინც სიზუსტეა, შეფასების სიზუსტე.

და აი, რასაც ჩვენ შეფასებულად ვთვლით, უმეტესწილად სწორედ რომ არ არის შეფასებული. საგნები კი უხეშად არის გადაადგილებული, ხელოვნური მზეები არის ლიტერატურის ცაზე ამოყვანილი და ხელოვნური მზის საცოდავი ციალისაგან სიკაშკაშის ილუზია გვინდა შევიქმნათ.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ თავისთავად ჩნდება ჩვენი დამოკიდებულების დამახინჯებული შინაარსი შეფასებისადმი. ჭეშმარიტ მწერალთათვის ეს დამოკიდებულება განიცდება როგორც ლიტერატურული ცხოვრების ანარქიისაგან თავის შემოზღუდვის აუცილებლობა და ისინი მთელი ცხოვრების მანძილზე დაუფასებელ ენერგიას სარჯავენ სამუშაო კლიმატის შესაქმნელად, რომლის საზღვრებს იქითაც

მუდამ ელოდებათ დარღვეული კრიტერიუმების სივრცე, სა-
იდანაც შემოქმედებითი აღმაფრენის მაცოცხლებელი სიო არ
იძვრის. ხელმოცარულ მწერალს ასეთი კრიტერიუმები ხელს
აძლევს, რადგან შესაძლებლობა დიდი ლიტერატურის შუა-
გულში შეჭრისა თითქოს ჩნდება მათ წარმოდგენაში და ისი-
ნიც თავსედურად ესწრაფვიან მის სფეროებს. ამიტომ დამო-
კიდებულება შეფასებისადმი დიამეტრულად არის შეცვლი-
ლი. მისი შინაარსი სიმახინჯისაკენ არის მიდრეკილი.
სიზუსტის დაცვა რიგ შემთხვევებში, ცხადია, სერხდება, მაგრამ
ეს რიგი შემთხვევებისა მაინც საზომების აღრევას ემსახუ-
რება, რადგან მეორე მხარეს კრიტერიუმები განუკითხავად
არის დარღვეული და შეფარდება ამ ორ შეფასებას შორის
ერთმანეთს არის გათანაბრებული. ერთ შემთხვევაში მტკი-
ცედ დაცული სიზუსტით ნაწარმოები კუთენილ სიმაღლეზე
რჩება. მეორე შემთხვევაში სიზუსტეს მოკლებული შეფასების
წყალობით საეჭვო ღირსების ნაწარმოები ღირსეულის დო-
ნეზე ამოგვეყავს.

შეფასება ამიტომ უდიდეს სიფრთხილესთან არის დაკავ-
შირებული. სიფრთხილე ბევრისათვის შიშის წყაროდ იქცევა
და კიდევ გაურბის პირველშემფასებლის როლს. ამ როლზე
უარის თქმა კრიტიკოსის სხვა ფუნქციებზეც უარის თქმას
ნიშნავს, რადგან კრიტიკოსის მოწოდებათა კომპლექსის პირ-
ველშეფასების ქვაკუთხედს არის დაშენებული. ის, ვინც
პირველი საფეხურისთვის არ არის მზად, უფლებას ართმევს
თავის თავს ზედა საფეხურზე ფეხის შედგმისას. შეუფასებე-
ლი წიგნებისა და ცალკეულ ნაწარმოებთა რიცხვი უსასრუ-
ლოდ იზრდება. წარმოიშვება ე. წ. ლიტერატურული ყამირი,
რომლის სარგებლიანობა ლიტერატურული პროცესისათვის
ნულს არის გათანაბრებული. ისინი ძალზე პასიურად მიანაწი-
ლეობენ პროცესში მაშინ, როდესაც მათ წიაღში მდებარე მსა-
ტერულ კონცეფციათა და ღირებულებათა გათავისებით
შეიძლებოდა მწერლობის შემოქმედებით გზას ენერგია მიმა-
ტებოდა. მსატერულ კონცეფციებს კი კრიტიკამ უნდა მისცეს
ასპარეზი, აქციოს იგი ჩვენი სულიერი ცხოვრების მოძრავ
მდინარეებად.

გამომდინარე ამ საერთო ჭეშმარიტებიდან (რომელიც
უმეტეს წილად მივიწყებულია ხოლმე) შეფასება არამართო

აუცილებელი ფუნქციაა ლიტერატურისა, არამედ თავისთავად უმნიშვნელოვანესი ფენომენია, ლიტერატურული ცხოვრების დამოუკიდებელი ღირებულებაა. შეფასება კი კრიტიკის საქმეა.

ჩემთვის წარმოუდგენელია, კრიტიკოსს შეფასება სისარულს არ გერიდეს, წარმოუდგენელია შეცდომის საფრთხეს არ ელტვოდე (კრიტიკოსისათვის სხვა რა არის ფათერაკი?), მსოლოდ ესაა, შეუცდომლად განსჯის სურვილი უნდა გვასედებდეს ირგვლივ და უზუსტესად შეფასება იყოს ერთადერთი მიზანი. შეცდომა სწორედ ამ მიზნისაკენ დაუინებულ ლტოლვას ახლავს ხოლმე.

შეფასებას, კრიტიკის ამ პირველ ფასას (პირველ ფასას!) ურთულესი და სარისკო გზით მავალს, ორგანულად უკავშირდება ბევრი სხვა თვისებაც კრიტიკისა, რომელთა უკლებლივ მოკრება იქნებ შეუძლებელიც იყოს, მაგრამ უმთავრესი მათ შორის, არ შეიძლება ჩვენს ფიქრს მოშორდეს, როგორც საგანი.

ვისთვის რა, მაგრამ კრიტიკა ჩემთვის ნიშნავს შექმნას. არა ვგულისხმობ საკუთრივ კრიტიკული ნაწარმოების შექმნას, მხედველობაში მაქვს კრიტიკის მონაწილეობა შემოქმედების მთლიან პროცესში, მისი წილი ლიტერატურის შექმნაში.

კრიტიკოსი მწერლებთან ერთად ლიტერატურულ პროცესს ქმნის და ისევ განმარტების სახით — ქმნის იგი ლიტერატურას არა იმ თვალსაზრისით, რომ კრიტიკული წერილები ლიტერატურული პროცესის შემადგენელ ნაწილად იქცევა, არამედ უფრო ღრმა გაგებით — ქმნის, როგორც უშუალო მონაწილე პოეტის, პროზაიკოსის თუ დრამატურგის სულიერი წვისა. ხვედრითი წონა მსატვრული ნაწარმოების შექმნის მომენტში იმდენად დიდია და ბევრის მომცველი, რამდენადაც გარეგნულად ფარულია და უჩინარი. იმედია, კეთილსინდისიერი მკითხველი თვითმარტვიობას არ დასწამებს ამ სიტყვების ავტორს. კრიტიკის პრესტიჟისათვის ესოდენ სასურველი მოსაზრება ჩვენამდე შექმნილ დიდ ლიტერატურაზე დაკვირვების შედეგად ჩნდება. ჟამი-ჟამ მისი შესენება და საკუთარი ნერვებით განცდა გვმართებს ხოლ-

მე: ამასთან უნდა გვეყოს სიმართლის გრძნობა და აღიარების ძალა. რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, კრიტიკა და მწერლობა (თუკი მათ დროებით ერთმანეთისაგან გავმიჯნავთ) მხოლოდ უკან ეზიდებიან ერთმანეთს.

ვფიქრობ, უდავოა შესედულება, რომ კრიტიკულ აზროვნებაზეა დამოკიდებული ლიტერატურული ატმოსფეროს სიწმინდე. სწორედ შეფასებათა კრიტერიუმების კეთილსინდისიერი მოხმობით მიიღწევა ჯანსაღი დამოკიდებულება ახალ ნაწარმოებთან, მწერალთან, დამოკიდებულება ამა თუ იმ მწერლისა მთელს ლიტერატურულ ცხოვრებასთან და თავის კუთვნილ ადგილთან. სამართლიანობის განცდა, როგორც არ უნდა აფორიაქებდეს იგი მწერალს, მაინც უპირველეს ყოვლისა, არალიტერატურული ვნებებისაგან განტვირთავს მას და საერთო ატმოსფეროს მსასურად აქცევს. და იქ, სადაც ჭეშმარიტება თუნდაც დაძაბული, მაგრამ გულწრფელი ლიტერატურული ბრძოლის გზით დგინდება, სუნთქვა ადვილია, ცხოვრება საინტერესო და შექმნა სახალისო. ამ შემთხვევაში მწერლური შრომის იდეალური მდგომარეობა მაქვს მსედველობაში. თუმცა იდეალურად ჩვენ მას მივიჩნევთ იმ დაცილების გამო, რომელიც ასე ცხადად იგრძნობა. თუკი წესია, ასეთ მდგომარეობას მხოლოდ ნორმალური უნდა ჰქეოდეს და ჩვეულებრივ პირობად განიცდებოდეს.

დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს ამ წერილის ავტორს სხვა ნაკლთა შორის ერთ გამოკვეთილ ნაკლსაც. სტრიქონებს შორის ძალიან ბევრს მოძრაობს სიტყვა „უნდა“, რომელიც პირველი შთაბეჭდილებისათვის მენტორულ ტონსაც კი გამოსცემს. მაგრამ თუ ჩვენთვის ლიტერატურული კრიტიკის სატიკივარი ყოველდღიური საფიქრალია, ისიც გვეცოდინება, რომ აუცილებლად გასაკეთებელსა და ფაქტიურად გაკეთებულს შორის დიდი, საგრძნობი დაცილებაა. და აი, ის აუცილებელი მოითხოვს სშირად კატეგორიულ განცხადებებს: უნდა სდებოდეს, უნდა განიცდებოდეს, უნდა ფასდებოდეს! რამდენიც არ უნდა ვეცადოთ, ამ კონსტრუქ-

ციაში კატეგორიულის კვალი ადვილკათ, საკამათო საგნის შინაარსი მაინც მოითხოვს ჩვენგან, კვლავ და კვლავ მიეუბრუნდეთ იმ ფორმას, აუცილებლობის კარნახს რომ გამოსატაეს ყველაზე სრულად.

ლიტერატურული ატმოსფეროს სიწმინდე, ანდამატივიი ისიდავს საწერი მაგიდისაკენ მწერალთა ყველა თაობას, დნება მწერლური იზოლაციის, მარტოობის გრძნობა და გზა ეძლევა საკუთარი პიროვნების შემოქმედებითი პროცესის მოლიანობაში განცდას, საერთო ლიტერატურული ინტერესებით ცსოვრებას, რაც თავისთავად ნიშნავს საერთო ეროვნული ინტერესებით ცსოვრებასაც. ამ შემთხვევაში ორკესტრის განცდა არ შეიძლება არ აორმაგებდეს სულიერ ენერჯიას, არ ქმნიდეს ენერჯიის ასალ ერთეულს, რომელსაც მარტოობის ციე წრეში დაბადება არ უწერია.

აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის თაობის ცსოვრებასა და შემოქმედებას ვინც დაკვირვებია, მისთვის უდავო იქნება ენერჯიის ამ ასალი ერთეულის არსებობა. იგი თითქმას ყოველი ნაწარმოებიდან ილანდება. მართალია, საკუთრავ კრიტიკულ აზროვნებას არ შეუქმნია მათ დროს ლიტერატურული ატმოსფეროს მიზანმიმართული სიწმინდე, მაგრამ არც ის უნდა იყოს საკამათო, რომ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თაობამ სწორედ კრიტიკული პათოსით აღსავსე ნაწარმოებებით შექმნა ეს ატმოსფერო. ასეთი ნაწარმოებების (როგორც კრიტიკულ წერილებისა, ასევე მხატვრული ნაწარმოებებისა) რიცხვი იმდენად დიდია, რომ ჩამოთვლას უბრალოდ აზრი არა აქვს. კრიტიკული აზროვნება ილიასა და აკაკის თაობაში მხატვრული ნაწარმოებისაგან გათიშული არ ყოფილა და ეს ფაქტიც მოწმობს, რომ შექმნის პროცესში კრიტიკული აზროვნების ხვედრითი წონა ძალიან დიდია.

ლიტერატურული ატმოსფეროს სიწმინდისათვის ბრძოლა კრიტიკულ აზროვნებას მიზნად იმიტომაც აქვს დასახული, რომ საშუალება მისცეს მწერლობას ეროვნული ენერჯია მაქსიმალური სისავსით გამოავლინოს. ამ ატმოსფეროს ათა-

სი ნერვით კრიტიკული აზროვნება ან ავად ან ცხოველმყოფელად მონაწილეობს შექმნის პროცესში. ასეთი მონაწილეობას განცდა თუ არ აცოცხლებს კრიტიკოსს, მაშინ იგი მოკლებულია დანიშნულების შეგრძნებით მოგერილ ნეტარებას.

მაგრამ ის „ათასი ნერვი“ მაინც საერთოა და ზოგადი, უჩინარი და გამოუკვეთელი. ჩნდება იმის აუცილებლობაც, რომ უჩინარი როლის დაუფასებლობას ეგუებოდე და ერთი-და ამ დანიშნულების შეგნებით მოგერილ ნეტარებას დასჯერდე. ამის შემდეგ იწყება ის, რასაც უფრო ცხადლივი მონაწილეობა კქვია და რისიმტიციებაც კი შეიძლება, თუ დაწერილმანებული ვნებები აქ გამოთქმული მოსაზრებების დამტკიცებას მოითხოვენ.

კრიტიკული აზროვნებისთვის შეფასება შორეული ნაოსნობის წინამდევი ვარჯიშია თითქოს, რომლის შემდეგაც დიდი სიღრმეების დალაშქვრას ესწრაფვის. და ეს ხდება მსატვრულ შემოქმედებით პროცესთან უშუალო კონტაქტით, ტიპოლოგიურ დაჯგუფებათა, შეფასებათა, განსაზღვრარაკალს იქით აუცილებელი ხდება მწერლობის ნაყოფიერი, მდიდარი წიაღიდან კრიტიკული აზროვნების ახალი მცენარეები აღმოცენდეს. კრიტიკული აზროვნება თავისი მეცნიერული აპარატურით უკვე აღარ უვლის გარს ცალკეულ ნაწარმოებს თუ ლიტერატურულ პროცესს, იგი მსატვრული კონცეფციების სიღრმეში იჭრება და შესწავლისას თავის კონცეფციებს ავითარებს. მსატვრული ნაწარმოები ხსნის კრიტიკული აზროვნების ახალ შრეებს და შემოქმედებითი წედომის ახალი სფეროებისაკენ იღებს მიმართულებას. მსატვრული ნაწარმოების არსთან შეხვედრისას დაძრული „აღმოჩენები“ გადიან კონკრეტული ნაწარმოების ანალიზის წრიდან და ახალ ლიტერატურულ ღირებულებად გვევლინებიან. მართალია, ეს ხდება კრიტიკული აზროვნების სფეროში, მაგრამ ლიტერატურა მთლიანი პროცესია, სოლო კრიტიკა არა მარტოდენ შემფასებელი, არამედ შემქმნელი. ეს შემოქმედებითი კრიტიკის სფეროა — იგი მეცნიერული კრიტიკის მოელ შინაარსს მოიცავს თავის თავში.

კრიტიკის, როგორც შემოქმედის ფუნქცია, ამ სფეროებს

გარეშეც არის გარანტირებული სწორედ იმ „ათასი ნერვის“ წყალობით, რომელთა შესასებაც შემოთ ვილაპარაკე.

კრიტიკის დანიშნულება ამ დაფარული წელილის გამო იმდენად რთულია, რომ იგი უაღრესად მარტივი ეჩვენებათ. ჩვენ შრეების გამოდევნება იმიტომაც არ გვსურს, რომ საკუთარი საფიქრალი თუ საზრუნავი გვდღის და მოსაზღვრე სფეროები იმდენად შეგვიცენია, რამდენადაც ამის საშუალებას ზედაპირზე მოქცეული ნიშნები იძლევიან. მაგრამ, რაც შეეხება კრიტიკასთან დამოკიდებულებას, ამ შემთხვევაში უთუოდ მოქმედებს „ოპოზიცია მწერალ-კრიტიკოსის“ განწყობილება და ზედაპირულობის მორჩილნი სდებიან ისეთი მწერლებიც კი, რომელთა ავტორიტეტში ეჭვის შეტანა აზრადც კი არავის მოუვა.

კრიტიკულ აზროვნებას კი უშუალო მხატვრული ნაწარმოების შეცნობის გარდა აკისრია უფრო მაღალი და საპატიო მისია. ლიტერატურის მთელი გამოცდილება, რაც დღემდე დაგროვილა და მიმდინარე ლიტერატურული პროცესის ძირეული ტენდენციები მან ეროვნული მწერლობის, იგივე ეროვნული გონის, ორიენტირად უნდა ჩამოაყალიბოს და მომავლის მასშტაბები და სიერცეები გადაშალოს. ასე რომ, ცხადლივი და ფარული მონაწილეობა შექმნის ღვთაებრივ პროცესში იმდენად დიდია, რომ კრიტიკოსის მოწოდება დაუფარავი სიამაყის წყაროდაც გვევლინება.

კრიტიკამ არაერთხელ დაამტკიცა ეს დიდი მოწოდება. იგი, როგორც მხატვრული ლიტერატურის უნივერსალური, სრულყოფილი წიაღიდან შობილი ახალი ფენომენი საუკუნეების მანძილზე ადასტურებდა დიდი დანიშნულების რეალურობას.

ქართული კრიტიკული აზროვნების ნაკლზე საუბარმა ჩკენ დაგვალა. მაგრამ მას ჰქონია და ახლაც აქვს ღირსება, რომლის წვლილი იმაზე მეტია, ვიდრე წარმოგვიდგენია. საამისოდ სხვა დროს კიდევ მოგვიხდება ისტორიისაკენ მიბრუნება. აქ კი ერთი ფაქტი აუცილებლად უნდა გავიხსენოთ მეცხრამეტე საუკუნის რუსული ლიტერატურული ცხოვრებიდან.

მეცხრამეტე საუკუნის დიდი რუსული ლიტერატურის და-

ბადებას სხვა უამრავ — სოციალურ-პოლიტიკურ პირობათა გვერდით ერთი დიდი პირობაც უძღოდა. ეს დიდი პირობა გასლდათ რუსული კრიტიკული აზროვნების სიმაღლე. იგულისხმება, პირველ ყოვლისა, ბელინსკის სწორუპოვარი ტალანტი და ამასთან მთელი იმ ლიტერატურული ბრძოლის (ჭეშმარიტი ლიტერატურული ბრძოლის) ატმოსფერო, გასული საუკუნის პირველ ნახევარში რომ დაინთო რუსეთში. ეს იყო ცეცხლის ენერგიით აელვარებული ატმოსფერო, სადაც შეღავათისა და თვითკმაყოფილებებისათვის ადგილი არ რჩებოდა. რუსი სალსის სული მოითხოვდა გაცილებით დიდს, ვიდრე სასეზე იყო და კრიტიკული აზროვნების დიდმა წარმომადგენელმა ეს უკმარობის გრძნობა მაქსიმალური სიზუსტით და საჭირო სიმწვავეთ გამოხატა. მოზრდილი ციტატის მოტანა აქ აუცილებელი ხდება, რათა აღვიდგინოთ იმ გავარელებული ნერვის ფეთქვა, რაც ბელინსკის წერილის შესავალში ასე საგრძნობია და უფრო ადვილად ვირწმუნოთ ის დიდი წვლილი შექმნის საუკუნოვან პროცესში, რაც გაიღო კრიტიკულმა აზროვნებამ.

„დიახ, ჩვენ არა გვაქვს ლიტერატურა!

„აი, ეს დიდებულია! აი, ახალი ამბავი!“ — მესმის ათასობით ხმა ჩემი კადნიერი საქციელის საპასუსოდ. „კი, მაგრამ ჩვენი უურნალები, რომლებიც გულმოდგინედ მოღვაწეობენ ჩვენთვის ევროპული განათლების ასპარეზზე: კი, მაგრამ ჩვენი ალმანახები, რომლებიც სავსეა დაუმთავრებელი პოემების, დრამების, ფანტაზიების გენიალური ნაწყვეტებით: კი, მაგრამ ჩვენი ბიბლიოთეკები, რომლებიც გაჭედვლია რუსულად შეთხზული მრავალი ათასი წიგნით, კი, მაგრამ ჩვენი ჰომეროები, შექსპირები, გოეთენი, ვალტერ-სკოტები, ბაირონები, შილერები, ბალზაკები, კორნელები, მოლიერები, არისტოფანები! განა ჩვენ არა გვყავს ლომონოსოვი, ხერასკოვი, დერჟავინი, ბოგდანოვიჩი, პეტროვი, დმიტრიევი, კარამზინი, კრილოვი, ბატიუშკოვი, შუკოვსკი, პუშკინი, ბარატინსკი და სხვანი და სხვანი? ა, რას იტყვით ამაზე?“

აი რას, მოწყალენო ხელმწიფენო! თუმცა მე არა მაქვს პატივი ბარონი ვიყო, მაგრამ მე მაქვს ჩემი ფანტაზია, რომლის გამოც მტკიცედ ვადგვიარ შემდეგ საბედისწერო აზრს:

მიუსედავად იმისა, რომ ჩვენმა სუმაროკოვმა შიორს მოიტოვა უკან ტრაგედიებში ბატონი კორნელი და ბატონი რასინი, ხოლო იგავ-არაკებში ბატონი ლაფონტენი, რომ ჩვენი სერასკოვი რუსთა დიდი სახელის ჩანგზე განთქმაში გაუტოლდა პომეროსსა და ვირგილიუსს და ვლადიმირისა და ივანეს კურთხევით თავი შეაფარა უკვდავების ტაძარს, რომ ჩვენმა პუშკინმა მეტად მოკლე დროში მოასწრო ბაირონის გვერდით დამდგარიყო და კაცობრიობის წარმომადგენელი გამხდარიყო; მიუსედავად იმისა, რომ ჩვენი დაუშრეტელი ფადეი ბენედიქტის ძე ბულგარინი ჭეშმარიტი გამშოლტავი და მდევნელი ბოროტი მანკიერებისა, უკვე ათი წელიწადია თავის თხსულეებში ამტკიცებს, რომ სრდილობიანი ადამიანის გაიძვერობა და თაღლითობა არ ვარგა, რომ ლოთობა და ქურდობა მიუტევებელი შეცოდებაა და რომელმაც თავის ზნეობრივი აღწერითი და ზნეობრივ-სატირული (განა უფრო მართებული არ იქნება ვთქვათ: პოლიტიკური რომანებით) და ხალხურ-იუმორისტული უბადრუკი სტატიებით მთელი საუკუნეებით წასწია წინ ჩვენი სტუმართმოყვარე სამშობლო ზნეობრივი განწმენდის საქმეში; მიუსედავად იმისა, რომ ჩვენი პოეზიის ახალგაზრდა ლომი, ჩვენი მძლეთა-მძლე, კუკოლნიკი, პირველი ნახტომითვე დაეწია ყოვლისმომცველ ბუმბერაზს გოეთეს, მიუსედავად იმისა, რომ ჩვენმა დიდად პატივცემულმა ნიკოლოზ ივანეს ძე გრეჩმა (ფადეი ბენედიქტეს ძესთან ერთად და შესხმატკბილებით) ანატომიურად დაშალა, სახსრებად დაანაწილა ჩვენი ენა და მისი კანონები წარმოადგინა თავის გრამატიკაში — ამ ჭეშმარიტი აღთქმის საჩრდილობელში, სადაც მის, ნიკოლოზ ივანეს ძე გრეჩის, და მისი მეგობრის, ფადეი ბენედიქტის ძის გარდა, იქამდე ჯერ კიდევ არც ერთ უვიცს ფეხი არ შეუდგამს; ამ ნიკოლოზ ივანეს ძემ გრეჩმა, რომელსაც მთელ თავის სიცოცხლეში გრამატიკული შეცდომა არ ჩაუდენია და რომელიც მხოლოდ თავის მომხიბვლელ პოეტურ ქმნილებაში — „შავი ქალი“, თუ მგრძნობიარე თავადის შალიკოვის სამხილს დავუჯერებთ, მხოლოდ პირველად წაეჩხუბა გრამატიკას; როგორც ჩანს, იმიტომ, რომ მეტისმეტად გაერთო ფანტაზიით; მიუსედავად იმისა, რომ ჩვენმა ბ-ნმა კალაშნიკოვმა რუსეთის, ამერიკის —

ციმბირის თვალუწედენელი ადგილების საუცხოო აღწერაში და მისი ველური სილამაზის გამოხატვაში ბევრად აჯობა კუპერს; მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა გენიალურმა ბარონმა ბრამბეურმა თავისი სქელტანიანი ფანტასტიკური წიგნით გაანადგურა შამპოლიონი და კიუვიე, ორი უდიდესი თვალთმაქცი და მატყუარა, რომლებსაც უვიცი ევროპა თავისი სისულელის გამო დღემდე უდიდეს სწავლულებად აღიარებდა, სოლო გესლიან მახვილგონიერებაში ფეხქვეშ გათელა ვოლტერი, მსოფლიოში პირველი გონებამახვილი და ოსუნჯი ადამიანი; მიუხედავად, ვამბობ მე, იმ სულელური აზრის დამაჯერებელი და მჭევრმეტყველური უარყოფისა, თითქოს ჩვენ არა გვქონდეს ლიტერატურა, უარყოფისა, რაც ესოდენ გონიერულად და მაგრად გამოაცხადა „ბიბლიოთეკა დღია ჩტენიაში“ ღრმააზროვანმა აზიელმა კრიტიკოსმა თიუთინ ჯიოდლიმ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ვიმეორებ: ჩვენ არა გვაქვს ლიტერატურა!“

დიახ, ჩვენ არა გვაქვს ლიტერატურა! — ეს სიტყვები ბელინსკიმ ასეთი დაუინებით წარმოთქვა მაშინ, როდესაც სხვა მნიშვნელოვან მწერალთა გვერდით რუსეთში უკვე ქუსდნენ გენიალური მწერლები — პუშკინი და გოგოლი. თითქოს უცნაურობას ჰგავს პუშკინისა და გოგოლის პატრონ ხალხს ამგვარი სიტყვები გააგონო. პუშკინი და გოგოლი მართლაც უდრის ეპოქას ლიტერატურაში. და ეს სხვებზე უკეთ იცოდა თავად ბელინსკიმ. მაგრამ ისიც შესანიშნავად უწყოდა, ლიტერატურას ერთი და ორი კაცი რომ ვერ ქმნის. ლიტერატურული ცხოვრების კანონზომიერებისათვის სხვა რამ არის საჭირო: „შეხედეთ უცხოეთის ლიტერატურათა ისტორიას, — წერს ბელინსკი. — საფრანგეთში კორნელის შემდეგ მალე გამოჩნდნენ რასინი, მოლიერი, ლაფონტენი და მრავალი სხვა; შემდეგ ვოლტერის ეპოქაში რამდენი იყო სახელგანთქმული ლიტერატორი! ახლა პიუგო, ლამარტინი, დელვინი, ბარბიე, ბალსაკი, დიუმა, ჟანენი, ეგენი სიუ, იაკობ ბიბლიოვილი და რამდენიმე სხვა. გერმანიაში: ლესინგი, კლოპშტოკი, ჰერდერი, შილერი, გოეთე თანამედროვენი იყვნენ. ინგლისში, უკანასკნელ სანებში ბაირონი, ვალტერ სკოტი, ტომას მორი, კოლრიჯი, სუტიე, ეორდსტვოსტი და რამდენი სხვა თითქმის

ერთდროულად გამოჩნდნენ. ასეა თუ არა ჩვენში? ვავლას“.

ბელინსკის სწამდა თავისი ხალხის წარსულიც, აწმყოც, მაგრამ უფრო მეტად სწამდა მომავლისა და იმასაც გრძნობდა მთელი არსებით, რომ რუსი ერის პოტენცია მომავალში გამუღავნდებოდა მთელი სისრულით. და ის მკაცრი განაჩენი, რომელიც თავისი დროის რუსული ლიტერატურის მისამართით გამოიტანა, სრულებითაც არ გულისხმობს ნეგატიურ დამოკიდებულებას თანამედროვეთა შესაძლებლობების მიმართ. ამ სიტყვებში, უპირველეს ყოვლისა, ცხადდებოდა რუსი ხალხი დიდი უკმარობის გრძნობა და დაუოკებელი სწრაფება კანონზომიერი ლიტერატურული პროცესის გასაჩაღებლად. ამ სიტყვებმა, დიდი კრიტიკოსის სიტყვებმა, რომელშიც მთელი ერის უკმარობის გრძნობაა დამუხტული, პირი გაუხსნა სიღრმეში მფეთქავ ეროვნულ ენერჯიას და შემდეგ მთელმა მსოფლიომ დაინახა თუ რა კანონზომიერ მოვლენად იქცა რუსეთში დიდი ტალანტების ერთად მოსვლა და იმ ნამდვილი ლიტერატურული ცხოვრების გაჩაღება, რომელზეც ასე ოცნებობდა ბელინსკი. ტურგენევი, ტოლსტოი, დოსტოევსკი, ნეკრასოვი, გონჩაროვი, სალტიკოვ-შჩედრინი, ჩეხოვი, ტიუტჩევი, ფეტი... ყველა ისინი თანამედროვენი იყვნენ. ანალოგიურ სურათს გვიხატავდა გერმანიის, ინგლისის თუ საფრანგეთის მაგალითზე ბელინსკი. ასეთი ვარსკვლავების მთელი პლეადა და მათგან გამართულ ლიტერატურულ ცხოვრებას ჰქვიაოდა მისთვის ნამდვილი ლიტერატურა. ბუნებრივია, ასეთი დიდი მოთხოვნების კულტურა იმ შინაგან ძალასაც გულისხმობს, რამაც უნდა შვას იგი.

ჰქონდა თუ არა მეცხრამეტე საუკუნის რუსული ლიტერატურის ამ უზარმაზარი პროცესის გაჩაღებისათვის ბელინსკის მდუღარე უკმარობის გრძნობას მნიშვნელობა? უკმარობის იმ გრძნობით, რომელიც გამოხატა ბელინსკის სიტყვებმა — დიას, ჩვენ არა გვაქვს ლიტერატურა! — დამუხტული იყო რუსული მწერლობის უკლებლივ ყველა წარმომადგენელი გასულ საუკუნეში და მათი ბუნებრივი, დიდი ტალანტი ამ შეგნებით მომართული შრომობდა მთელი სიცოცხლის მანძილზე. ამ პათოსს ქვეშეცნეულად ისინიც კი ემორჩილებოდნენ, ვისაც თავისი ხასიათიდან მომდინარე არც კრიტიკის

სწამდა და არც პირადად ბელინსკისა. ამაში არაფერი არ უნდა იყოს მოულოდნელი. რა თქმა უნდა, გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი, თითქოს ტოლსტოისა და დოსტოევსკის გამოჩენა რუსულ ლიტერატურაში ბელინსკის დამსასურება იყოს, მაგრამ ლიტერატურულ ატმოსფეროს ნაყოფიერების განსაზღვრა კი ნამდვილად იყო დიდი კრიტიკოსის მიერ გაღვივებული უკმარობის გრძნობის დამსასურება. რუსეთის ლიტერატურა და იქნებ არა მარტო ლიტერატურა, მეცსრამეტე საუკუნეში იმის შეგნებით იყო მომართული, რომ დიდი ევროპული ერების ბადალი სელოვნება შეექმნა. ეს შეგნება კი რაოდენ მოქმედი იყო, ამის დასტურია ბელინსკის მთელი შემოქმედება. მისი მოცახცახე ნერვი გამუდმებით რეკდა უკმარობის ზარებს. ყოველ შემთხვევაში ზემოთ მოტანილი ვრცელი ნაწყევტის შეგნება, პათოსი, მომთსოვნელობა რომ მართავდა დიდი რუსი მწერლების შთაგონებასა და ნებისყოფას, ამაში ვერავინ ვერ გადამარწმუნებს.

შექმნის პროცესში მონაწილეობის ფორმამ და შინაარსმა კრიტიკული აზროვნების მრავალ მდინარებას და სკოლას ჩაუყარა საფუძველი. კრიტიკის ზოგად, გვერდაუვლელ კანონებს რომ ემორჩილები, უნებურად იღვიძებს სურვილი, საკუთარი დამოკიდებულება გვეკონდეს ყველაფერ იმისადმი, რაც შენ წინ ლიტერატურულ ოკეანედ გადაჭიმულა. არჩევანის დროს კრიტიკის შემოქმედებითი თავისუფლებისათვის ყველაზე ხელსაყრელი მაინც ოსკარ უალდის ფორმულირება შეჩვენება: „სელოვნების ყოველ ჭეშმარიტ ნაწარმოებზე მსჯელობა გამართლებულია მხოლოდ იმ კანონებზე დაყრდნობით, რომლებიც თვით ამ ნაწარმოებიდან მომდინარეობენ“.

ცხადია, კრიტიკული აზროვნების უწმინდესი კანონები კვლევის მეთოდები და ხერხები თავისთავად იგულისხმება, მაგრამ რამდენადაც ცალკეული ნაწარმოები (თუკი ჭეშმარიტი სელოვნების ნიმუშია!) რაღაც ახალი „ელემენტის“ შემადგენლობის წყალობით სდება საყურადღებო, აუცილებელია მისივე არსიდან ამოვიდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჭეშმარიტი ნაწარმოები არ დაემორჩილება ლიტერატურის-მცოდნეობის არც ერთ მოდელს, მით უმეტეს ითქმის ეს

ასალი შემოქმედებითი სამყაროს მწერლებზე, ვთქვათ, დოს-ტოევსკისა და ვაჟა-ფშაველასზე.

მაგრამ მე მეჩვენება, რომ ასეთ მიდგომას ითხოვს ერაიი შესევით რიგითი, საშუალო დონის ნაწარმოებიც, რადგან სელონების ამოსავალი მაინც ასლის შექმნაა და არა შექმნილის მიგნება. თუმცა, სტერეოტიპის სივრცე საკმაოდ ვრცელია და უძველესი დაკვირვებების შინაარსს ისინი ფაქტურად ვერ არღვევენ.

მთავარ ფაქტორად მაინც შემოქმედებითი მიდგომის პრინციპი რჩება, რადგან ლიტერატურის უზოგადესი კანონების, მეთოდებისა და სერხების ცოდნა, რაც ასე აუცილებელია, სშირად იქცევა მოჩვენებითი პროფესიონალიზმის წყაროდ. ასეთი პროფესიონალიზმი და კვალიფიციურობა გვერდს უვლის ნაწარმოების არსს, მის უღრმეს წიაღს, რომელთანაც შესვლის გარეშე კრიტიკულ აზროვნებაში სიასლის აფეთქება გამოიციხულია. ამდენად მსგავსი კრიტიკა სწორედ არაპროფესიონალური და არაკვალიფიციურია. არსთან შესვედრის ლტოლვა მაშინაც უნდა მართავდეს ჩვენს დანიშნულებას, როდესაც მარცხი მარცხზეა მოსალოდნელი. მხატვრული ნაწარმოების შექმნის საიდუმლოების ზღურბლთან მიღწევა კრიტიკული აზროვნების საიდუმლოებათა თვითგაცხადებას უწყობს ხელს. გარდა იმისა, რომ ლიტერატურული პროცესისა და ამა თუ იმ ნაწარმოების სრულფასოვანი ანალიზი მხოლოდ ამ გზით სერხდება. სხვისათვის, შეიძლება, სხვაგვარი ახსნა არსებობდეს. ჩემთვის პირადად, ეს გზაა უმთავრესი. შექმნის საიდუმლოებაში შეჭრის ცდაა თავხედობა, შექმნის არსის წვდომა კი უმაღლესი მიზანია კრიტიკული აზროვნებისა. ამ წვდომის წყალობით ახერხებს იგი თავისი მისიის შესრულებას — შემოქმედებით პროცესში ნათელისა და ბნელის ერთმანეთისაგან გათიშვას. შემდეგ ეს შინაარსი ნაწილდება — ცალკეული მწერლის შემოქმედებითი გზის არსებითი ნიშნის გამორჩევა ადვილდება ამ გზით, იმ ნიშნის დანახვა, რომლითაც განსხვავებულ ფენომენად უნდა დამკვიდრდეს მწერლობაში ესა თუ ის სახელი.

ამდენად ცხოვრების მიზნად დამოუკიდებელი აზროვნებისაკენ სწრაფვა იქცევა. მხოლოდ უძლურებად ან არასწორ

არჩევანად შეიძლება იქნას გაგებული ის ფაქტი, რომ კრიტიკოსი უცხოური სიტყვებით ან ჭარბი რაოდენობის ტერმინებით ტვირთავს თავის ნაშრომს. ამ მიმართულებით ზომიერების ნიმუშად სხვა არაფერ არ შეიძლება იყოს ჩვენთვის გარდა სენტ-ბეისა, ბრანდესისა, ბელინსკისა, იპოლიტ ტენისა... საქართველოში ილია ჭავჭავაძე და კიტა აბაშიძე. ვფიქრობ, დამოუკიდებელი კრიტიკული აზროვნება გამორიცხავს თავის თავში უცხო სიტყვებითა და ტერმინებით ნაშრომის გადატვირთვას. იშვიათად, მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში მიმართავენ ჭეშმარიტი ლიტერატორები უცხო სიტყვას ან ტერმინს.

ჩემთვის პირადად ისინი არიან სულიერი მოძღვრები.

უცხო სიტყვათა და ტერმინთა თვითმიზნური სმარება განიცდება როგორც მცდარი წარმოდგენა მკითხველ საზოგადოებაზე. უბირად უნდა ვთვლიდეთ მკითხველს, განათლებულობისა და ინტელექტუალობის ილუზიით რომ ვცადოთ ფონს გასვლა. ნამდვილი მკითხველი კი ამ ტენდენციას ხსნის, როგორც აზროვნების უსუსურობის დაფარვის საშუალებას. სოლო თუ ტერმინებისა და უცხო სიტყვების ჭარბად ხმარების ტენდენცია კარგ ტონად ითვლება, იმ ლიტერატურას ძალიან უჭირს. იგი პროვინციალობისაკენ არის მიდრეკილი.

სხვათა შორის, მეტად საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ლიტერატურული ტერმინების შესახებ პავლე ანტოკოლსკიმ „ვოპროსი ლიტერატურის“ ფურცლებზე (1978 წ. მეორე ნომერი): მიმდინარე ლიტერატურული პროცესის წიაღიდან შობილ ახალ ლიტერატურულ ტერმინებს უნდა ამკვიდრებდეს კრიტიკა ძველის გვერდით! ლიტერატურული პროცესის კარნახით ახალი ტერმინების შემუშავების უნარია მხოლოდ შემოქმედებითი დამოკიდებულების გამომხატველი. ამგვარი მაძიებელი დამოკიდებულება ტერმინებთან ზოგმა შესაძლოა, შენივე არაკვალიფიციურობის გამამუდავებელ ფაქტად მიიჩნიოს, მაგრამ ეს გაუგებრობა მხოლოდ მაშინ არის საგანგაშო, თუ ლიტერატურა მართლაც პროვინციალიზმისაკენაა მიდრეკილი. საბედნიეროდ, ქართული ლიტერატურის ისტორია სხვა ზინამდვილეს გვიდასტურებს, რა ვუყოთ, თუ იგი

ბოლომდე არ არის დაწმენდილი. კურორტებიც აქედან იღებს დასაბამს.

მე ისევე კრიტიკოსის მოწოდების განცდაზე თქმულს ვუბრუნდები. ამ დიდი მოწოდების შესხენება არ არის შემოსევითი, რადგან შემოსევითი არ არის თვითონ ოპოზიცია „მწერალ-კრიტიკოსის“ არსებობა. არც რიგი მწერლების („სოცკურ მეტად ავტორიტეტული მწერლების“) ნეგატიურა დამოკიდებულება შემოსევითი. განუკითხავ წამოძახილებს, ინტერვიუებსა და ანკეტებში სომ დასასრული არ უჩანს. მიუსხედავად ამისა, მაინც წარმოუდგენელია ფესი მოიკიდოს ეჭვმა, თითქოს კრიტიკოსის უკეთილშობილესი ფუნქცია და ადგილი დაიბინდა ლიტერატურის ახპარეზზე. მაგრამ კრიტიკული აზროვნების წყლილიხა და ადგილის განცდა უამი-უამ თუ არ დაეუფლა ჩვენს განწყობილებას, ჩვენ, ყველანი, უნებურად შეიძლება აღმოვჩნდეთ დამაკინებელი წნევის ქვეშ.

კრიტიკული აზროვნებისადმი რწმენა კი მსოლოდ ისეთი უნდა იყოს, როგორც შემოთ არასრულყოფილად დაეხასია-ათი.

და მთავარი მაინც არის არა ის, თუ რა შესძელი, არამედ ის, თუ როგორი კრიტიკისაკენ მიიხწრაფი შენ. მით უმეტეს, რომ კრიტიკის ღირსეული სიმაღლისგან დაპორებას ასე მტკიუნეულად განვიცდით ყველანი.

ამ გზაზე უამრავი ბარიერი გადასალახავი და კრიტიკოსის დიდი ენერჯის დასარჯვა უსდება, რათა კრიტიკის ჭეშმარიტ მსასურად ჩამოაყალბოს თავისი თავი.

კრიტიკოსი შეიძლება დაიდუპოს პარველი ნაბიჯის გადადგმისთანავე, თუკი მისი ხასიათი ამის შესაძლებლობას უშვეს. ამ შემოსევებაში განუსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება ლიტერატურულ ატმოსფეროს, რისი წყალობითაც ერთი და იგივე პიროვნება შეიძლება პრინციპულ კრიტიკოსად ჩამოყალიბდეს ან პანეგირიკების შემოსვლად იქცეს. კრიტიკოსმა თავისი თავი უნდა მიჩვიოს ძნელი გზით სიარულს. მოჩვენებითი პრინციპულობისათვის მრავალი მისატყუარი არსებობს. „დაბალ ღობედ“ მიჩნეული ავტორების თამაში გაკრიტიკება ჩვენს სინამდვილეში საქმედ ითვლება — პრინ-

ციხული კრიტიკოსის სახელი ახალგაზრდას შეუძლია ამ გზით დაიგდოს, მაგრამ მაშინვე ირღვევა საჩართლიანობა. კრიტიკოსი ირყენება. იგი სასოტბო წერილებს წერს ავტორიტეტულ მწერლებზე და მწვავე კრიტიკას ხელმოცარულ ავტორებზე. მიზანი მსოლოდ ასპარეზზე გამოსვლა რომ იყოს, შედარებით მოსათმენი იქნებოდა კრიტიკოსის მანევრი, მაგრამ პარალელურად სხვა სავალალო შედეგს ვღებულობთ: ახალგაზრდა კრიტიკოსი წლების მანძილზე ეჩვევა იოლი გზით სიარულს. წერს აღიარებულ მწერლებზე — ისტამბება შეუფერსებლივ — მისი სული კი სიიოლის გზით ყალიბდება — სიიოლე ცხოვრების წესად იქცევა — კრიტიკას კი, ნურას უკაცრავად, — მკაცრი და შიძმე საქმეები აქვს საკეთიბელი. სიიოლის გზით მოსიარულე კრიტიკოსი ვერც დაბალ ღობეზე ვერ ასერსებს შემდგომ გადახტომას. ლიტერატურის სასიცოცხლო, მტკივნეულ პრობლემაზე თავის საქტერეკად ხომ სულ არ მიუწევს გული. ფსიქოლოგია იცვლება. ფსიქოლოგიის შეცვლა კრიტიკოსის დანიშნულებიდან მთელი არსებით მოწყვეტას იწვევს. თუმცა კრიტიკული აზროვნებას შელანძღული წესები ზინდისის ქენჯნას არ ავალებს ამის გამო, თითქოს ლიტერატურული კრიტიკა ამ გზით უნდა მიდოდეხ.

ერთი შეხედვით ცუდი შინაარსი არ უნდა იდოს აღიარებულ მწერლებზე დაწერილი ნაშრომებით ახალგაზრდა კრიტიკოსის მოხვლაში. ვისზე, თუ არ ცნობილ მწერლებზე, უნდა იწერებოდეს. მაგრამ კრიტიკოსის ნიჭის ჩამოყალიბება მოითხოვს შინაგან შემზადებას მძიმე და მკაცრი ბრძოლებას გადასახდელად. ავტორიტეტულ მწერლებზე საქებარი წერილებით ასპარეზზე გამოსვლა კი იოლი გზასკენ მიდრეკილებას გულისხმობს და ვისაც მწერლობის ჭეშმარიტი სამსახური აქვს მიზნად, თავისი გზის დასაწყისში ამ იოლ გზას თავი უნდა მოარიდოს. შემდეგ კი, როდესაც ძნელი გზით გამოძერწილი კრიტიკოსის სული ყველაფრისათვის მზად იქნება, ევალება კიდევ აღიარებული მწერლების შემოქმედების ანალიზი — ლიტერატურული პროცესი მათ გარეშე სიმ წარმოუდგენელია.

კრიტიკოსის გზა უარყოფითი ემოციების დაძლევის გზაც

არის. ამ გზის დაძლევას იგი ხასიათის კრისტალური სიწმინდით თუ მიაღწევს. შეცდომები, რომლებიც ჩვენ მოგვდის, ბუნებრივი მოვლენაა, რეაგირება მწერალთა მხრივ შეცდომებზე ასევე ბუნებრივია და უსიამოვნებათა ტალღები ტალღებზე აწყდება სულს. თვით აქსიომატურ ჭეშმარიტებებს ასლავს სშირად უსიამოვნო რეაგირება. ეს კრიტიკოსის მოწოდების თანამდევია, მაგრამ იგი კვლავ და კვლავ მზად უნდა იყოს ამისათვის.

ლიტერატურული სინამდვილე სსეაგანაც და ჩვენთანაც გვიდასტურებს ფაქტებს, რომ კრიტიკოსი არც აშკარა მტრობისაგან ყოფილა დაზღვეული. და რამდენიც არ უნდა ვებრძოლოთ ანგარიშსწორების ვნებათაღელვას, სამწუხაროდ, ისტორია მეორდება და კვლავაც განმეორდება.

მთავარი მაინც მზადყოფნაა.

კრიტიკოსს აქვს თავისი დიდი ესთეტიკური სიამოვნების წყარო, რომელიც უსიამოვნებათა მიუღწევს აბათილებს. იმ დიდი მოწოდების განცდა, რაზეც ზემოთ ვილაპარაკე, კურნავს ყველა ჭრილობას — დაუმსასურებლად თუ დამსახურებულად მიყენებულს. კრიტიკოსმა იცის ნეტარება — შემოქმედებით წვას რომ ასლავს, ის ნეტარება. ზოგჯერ მეჩვენება, კრიტიკოსის მოწოდებაზე უფრო საინტერესო და კეთილშობილური პროფესია არ არსებობს თითქოს დედამიწის ზურგზე, კი არ მეჩვენება, ღრმადა მწამს, რომ ეს მართლაც ასეა.

ეს ღრმა რწმენა ფანატიზმის საშიშროებას არ გულისხმობს, კრიტიკა იმ სფეროთა რიგს განეკუთვნება, სადაც ფანატიზმს უჭირს შეღწევა.

ლიტერატურული ვნებათაღელვა კი მოგიწოდებს დაიხარჯო მთლიანად და თანაც გრძნობ, რომ ეს დახარჯვა სიძულვილის გზით კი არა, სიყვარულის გზით მიდის, მიუხედავად ოპოზიციასე გაუთავებელი მითქმა-მოთქმისა, მიუხედავად ინციდენტების მწკრივისა და უსიამოვნებათა ჯაჭვისა...

და ამას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ამ სიტყვების მითქმელი წონასწორობიდან არაერთხელ გამოუყვანიათ, გაცხარება გამოუმჟღავნებია კიდევ, მაგრამ მაშინაც მწამდა და ასლაც მწამს, რომ კრიტიკოსი ვამუდმებით უნდა ზრუნავდეს წონასწორობის შენარჩუნებაზე. გა-

მუღებით ესწრაფვოდეს ტაქტს, როგორც კრიტიკული აზროვნების ერთ-ერთ ფორმას. ნიჭიერი მწერლისათვის ატმოსფეროს უჩვეულოდ დიდი მნიშვნელობა აქვს და მიუხედავად ხელოვნურად გამოძერწილი გულგრილობის შრეებისა, რომლითაც იგი შემოქმედებითი წვისათვის მიკროკლიმატის შექმნას ცდილობს, ატმოსფერო შთაგონებაზე მაინც ან მომაკვდინებლად ან ცხოველმყოფელად მოქმედებს. „ქვეშეცნეული ბორკილები“, რომელთაც ჩვენი ლიტერატურული ატმოსფერო არცთუ ცოტას ჭედს, ცხადია, უქმად არ აწყვია. მწერლის საოცარი ხულიერი სამყარო კი თავისუფლების მინდვრის ყვაეილებით არის შემოსაზღვრული. „ქვეშეცნეული ბორკილების“ დამსხვრევა კრიტიკას აწევს ვალად. მათი მსხვრევისა და არა ახლის გამოჭედვის გზით უნდა მიდიოდეს კრიტიკული აზროვნება. ტაქტმა, კრიტიკოსის ხელოვნებამ — მწერალს ხულის სიმხნევე უნდა გაუორკეცოს და სიყვარულის ნათლით მოსილ წრეში ამყოფოს. ტაქტის ხელოვნება სრულებითაც არ გულისხმობს კომპრომისს — დითირამბებით გულის გათბობას, პანეგირიკების ნიაღვარს, იგი გულისხმობს შეუვალ პრინციპს, მკაცრ სიძარტლეს, საზუსტეს, რომელთა ზურგს უკან სიყვარულით საეხე გული ფეთქს.

ელემენტარული პირობაა მე მგონი. სინამდვილეს თუ გაეხსენებთ, დაშორებამ სინამდვილესა და პირობას შორის იქნებ შეგვაძრწუნოს კიდევ.

გონიერი მკითხველი, იმეღია, სწორად გამიგებს. არ მინდა, ეს მსჯელობა კრიტიკის დანიშნულებაზე თქმულ სიტყვად მოინათლოს. ეს კარგა ხნის წინათ გაკეთებული საქმეა. მართალია, შეხედულებები კრიტიკის დანიშნულებაზე ფრაგმენტების სახით აქაც შემოიჭრა, მაგრამ მხოლოდ იმ მიზნით, რომ მეტი სიციხადე შემეტანა ჩემს დამოკიდებულებაში იმ საქმისადმი, რომლის მსახურადაც მინდა ვითვლებოდე. ამ დამოკიდებულების გამუდავნება მკითხველისათვის კი კრიტიკოსს ევალება კიდევ.

...რადგან არჩეულ გზაზე თანა გედევს ყველას საკუთარი „დაწყველილი“ კითხვა და მისგან ნაკარნახევი განწყობილება.

ასეა ამ შემოსევებიც — მოავარი ის კი არ არის, თუ რა შესძელი, არამედ ის, როგორი კრიტიკისაკენ მიიხწრაფვი მენ.

რატომ ტოვებენ კრიტიკოსები ასპარეზს?

ქართული კრიტიკის გზა არის ასპარეზიდან კრიტიკოსთა წასვლის გზა. თუ რამ იქმნება რივიანი; იქმნება დროის იმ მოკლე შუალედში, რომელიც რჩება კრიტიკოსის ასპარეზზე მოხვალასა და ასპარეზიდან მის ნაუცბათევე წასვლას შორის. ასეა! შემოვისედავით კრიტიკის ასპარეზზე, დაერწმუნდებით, ძნელია სუნთქვა, ავიკრებთ გუდა-ნაბადს და მივაშურებთ სხვა სფეროებს. ამიტომ არა გვაქვს ფუნდამენტური ნაშრომები, რომლებიც მწერლობის მიმდინარე პროცესს მოიცავდა და კლასიკურ ლიტერატურასთან მის ორგანულ კავშირსაც წარმოაჩენდა. აგულისხმება დიდი ლიტერატურის საკადრისი, მოწესრიგებული კრიტიკული აზროვნება. რაც შეეხება ეფემერულ გამოხატებებს — ცალკეულ წერილებს, ასეთები აქამდეც შექმნილა და კანტიკუნტად მომავალშიც შეიქმნება ალბათ. მაგრამ ლიტერატურული პროცესის წარმმართველი შეულასავი კრიტერიუმებით ორგანიზებული კრიტიკული აზროვნება და დღევანდელი მწერლობის მასულდგმულელებელი ტენდენციების მომცველი ნაშრომები კვლავ ოცნებად რჩება. ჩვენ ვესწრაფვით ასეთ დონეს, რადგან ქართულ მწერლობას ჰაერივით სჭირდება ძლიერი კრიტიკა. ის კაცი კი, ვისაც იმთავითვე ასპარეზიდან წასვლაზე უჭირავს თვალი, მსგავს ნაშრომს ვერ შექმნის. ვერც კრიტიკოსთა ერთი შეხედვით სოლიდური რაოდენობა დაამკვიდრებს სასურველ კრიტიკულ ატმოსფეროს და აზროვნების სისტემას, რის უკმარისობასაც მწვავედ განვიცდით. კრიტიკოსთა ეს სოლიდური რიცხვი ფაქტიურად ილუზიაა. სინამდვილეში ყოველი ჩვენგანი განზე დგას იმ საქმისაგან, რასაც ჭეშმარიტი კრიტიკა უნდა აკეთებდეს. ნურავის შეაშფოთებს ეს ფრაზა. ბოლოს და

ბოლოს, ჩვენ უნდა გავერკვეთ და შევთანხმდეთ ერთ რაიქში: დავინახოთ ის, რაც მართლა გაუკეთებია დღევანდელ კრიტიკას, და დავინახოთ ისიც, რასაც უნდა აკეთებდეს კრიტიკა საერთოდ და თითოეული ჩვენგანი (კალ-კალკე). სათანადოდ არ შეგვიფასებია ის საუკეთესო წერილები, რომლებიც დღემდე შეიქმნა — შეიქმნეს სულ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებმა. არ შეგვიფასებია; და ამიტომაც არაერთსკელ ატიკინეს გული კრიტიკოსებს თავშეუკავებელი, წმინდა სუბიექტური მოსაზრებებით ნაკარნახევმა ფრაზებმა, რაც ასე გასძირდა მწერალთა გამოსვლებში.

დიასაც, არსებობს წერილები, რომლებშიც მძლავრად იჩინეს თავი კრიტიკის საუკეთესო ტენდენციებმა და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ქართველ კრიტიკოსებს შეუძლიათ დიდი ტვირთის აწევა, თუ არ...

თუ არ მიზეზთა მოელი წყება, რაც აიძულებს თითოეულ მათგანს, განზე გადგეს მდულარე პროცესისაგან და ლიტერატურის პერიფერიებში რამდენიმე სიტყვის დასარჯვით დაკმაყოფილდეს.

ჩვენ განზე ვდგავართ და ჩვენ უნდა ვადიაროთ, რომ განზე ვდგავართ ჩვენი მთავარი საქმისაგან. ეს თვითადიარება გულს მტკენს ამ წიგნის ავტორსაც, რადგან ჩემი თაობის კრიტიკოსებთან ერთად მეც მაქვს სურვილი იმას ვაკეთებდე, რასაც ლიტერატურის ინტერესები მოითხოვს. ჩვენ კი ამის კეთების საშუალება არა გვაქვს. არც მეტი და არც ნაკლები!

კრიტიკოსს შეიძლება წელიწადში ათიოდე წერილიც კი დაუგროვდეს (რაც საგანგაშოდ ბევრის წერას ნიშნავს ჩვენს თვალში!), მაგრამ ეს წერილები ან უკვე მოყირჭებულ ზოგად მსჯელობას ეწირება, ან უდავო ღირსების ნაწარმოებთა გამოწველილვით ანალიზს. ეს კი კრიტიკისთვის ძალიან ცოტას ნიშნავს და ამიტომაც უნდა ჩაყოფალოთ, რომ განზე ვდგავართ.

ზოგიერთმა ჩვენგანმა მთელი წლის მანძილზე შეიძლება ერთი ან ორი მშვენიერი წერილი გამოაქვეყნოს, მაგრამ ლიტერატურული კრიტიკის ამინდს ის წერილები ოდნავადაც ვერ შეცვლის და კრიტიკოსი ამ შემთხვევაშიც განზე დგას.

კრიტიკოსთა ერთი ნაწილი რამდენიმე საუკეთესო მწერლის შემოქმედებაზე ლაპარაკში ითქვამს ხულს და მიაჩნია, რომ ეს არის მისი პასუსი და პოზიციაც დანარჩენი მწერლობის მიმართ. ესეც მიუტევებელი განზე დგომაა.

„მწვავე“ კრიტიკული წერილები არცთუ იშვიათად გაივლევებენ ლიტერატურული პრესის ფურცლებზე. თითო-ორთა გამონაკლისის გარდა, მათში არ იგრძნობა მწერლობის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე კრიტიკა: ან დაბალ ღობედ მიჩნეული ავტორებია მიწასთან გასწორებული, ან ერთმანეთზე განაწყენებული მწერლებისა და კრიტიკოსების „პაექრობის“ მოწმენი ვსდებით. და ეს უკვე არ გახლავთ უწყინარი განზე დგომა. ეს ანტილიტერატურული მოვლენაა! და აუსხნელია, რატომ მკაცრად არ მოეთხოვებათ ხოლმე პასუსი რედაქციებს, რომლებიც კრიტიკის რუბრიკის ქვეშ ანგარიშსწორების ვნებათაღელვით დამუხტულ სტატიებს ათავსებენ: ან გამომცემლობებს, რომლებიც შემდგომ წიგნის სასითაც სთავაზობენ მკითხველს ყველაფერ ამას.

ამა თუ იმ ჟანრზე ათასში ერთხელ დისკუსიას წამოვიწყებთ და, ნაცვლად იმისა, რომ გავაღრმავოთ იგი, უმაღლესად გაგულისებით გადავუღობავთ გზას კამათს და ვაიძულებთ რედაქციებს, შეწყვიტონ პაექრობა. აი, ეს არის კიდევ კრიტიკისაგან განზე დგომა.

განზე დგომაა დითირამების წერა, ზღუდემორღვეული საქებარი წერილების ნიაღვარი, რომელთაც ათასგვარი სახის ანგარება აწოვებს ბუძუს. ზღუდემორღვეული ეპითეტებისა და ანალიზის უცნაური ფორმები, რასაც მოვუსმობთ ისეთი დასკვნის გამოსატანად, რაც თვითვე არა გეწამს, — აი, რა არის კრიტიკისაგან განზე დგომა.

კრიტიკოსთა უდიდესმა ნაწილმა (უმეტესწილად მათ, ვისაც სელეწიფება ნამდვილი კრიტიკა) სხვა საქმეს მოჰკიდა სელი პარალელურად: დაიწყო ლექსების, ნოველების, რომანების წერა, თარგმნის ბევრს, იცავს ხარისხს, ამუშავებს მონოგრაფიებს, იკვლევს კლასიკურ ლიტერატურას, და ამაში მოულოდნელი ან ცუდი არაფერია, — იქნებ მართლაც გვაქვს მრავალმხრივი ნიჭი; მაგრამ ჩანს, არც ისე შრომისმოყვარენი ვართ, რომ ყველაფერს გაეწვდეთ და ამასთან თანამედ-

როვე კრიტიკის შუაგულში ვიტრიალოთ. ვიტრიალოთ ლიტერატურულ პროცესში ისე, როგორც მოეთხოვება კრიტიკოსს. ირკვევა, რომ ვერ გავწვდით ამდენ საქმეს, თორემ რატომ უნდა რჩებოდეს ასობით ასალი წიგნი შეუფასებელი? რატომ უნდა „გამოგვეპაროს“ ლიტერატურული წუნი — რატომ უნდა გვრჩებოდეს დაუმუშავებელი უმთავრესი პრობლემები დღევანდელი ქართული მწერლობისა, რატომ უნდა ვითმენდეთ ყბადაღებულ ქებას, კრიტიკერიუმების შელახვას, რატომ უნდა გვრჩებოდეს შეუსწავლელი მსოფლიო ლიტერატურასთან ქართული მწერლობის მიმართების საკითხი? რატომ უნდა რჩებოდეს ყურმოკრულ ამბად თანამედროვე კრიტიკული აზროვნების ტენდენციები და მიმართულებანი, უდიდესი გზა, რაც კრიტიკულმა აზროვნებამ დღემდე გამოიარა?..

თანამედროვე კრიტიკა შემოქმედებით ანტრაქტებში ვერ შეიქმნება. ლიტერატურული პროცესი უზარმაზარი დინებაა და კრიტიკოსი ყელამდე უნდა იდგეს ამ მდინარებაში, თუ ყოველი ტალღა ვერ გაივლის მისი ფიქრის თაღქვეშ, თვალი მაინც უნდა ჰკიდოს ყოველ მათგანს, რათა სრულად გრძნობდეს მდინარების რიტმს და პოტენციას. მაგრამ დღეს მინდა ვილაპარაკო არა იმაზე, თუ რა გაგვიკეთებია, არა იმაზე, თუ რა შეგვეძლო გაგვეკეთებინა, არამედ იმ მიზეზებზე, რაც აიძულებს მოწოდებით კრიტიკოსებს სიბრძნედ მიიჩნიონ კრიტიკის ასპარეზიდან წასვლა, თან რაც შეიძლება დროზე წასვლა. ერთი წუთითაც ნურაეინ წარმოიდგენს, თითქოს კრიტიკოსთა ცოდვების ხვედრითი წონა უმნიშვნელო იყოს, თითქოს ჩვენ ხელს არ ვუწყობდეთ იმ მიზეზთა შედუღებას, რაც ჩვენვე გვაიძულებს ასპარეზს გავეცალოთ. მაგრამ კრიტიკოსთა ცოდვებზე ათასგზის ითქვა. დიდი ხანია კრიტიკას დავყიჟინებთ, არ არსებობ, არ არსებობო. დადგა დრო ეკითხოთ: მართლაც, რა უშლის ხელს კრიტიკოსთა შესაძლებლობების გამყდარებას, რა აღგვაქმევიანებს უაზრობად კრიტიკის სფეროში გულით მუშაობას? (მე იმედი მაქვს მკითხველის სამართლიანობისა, რაიმე ამბიციას არ მიაწერს ჩემს გამოსვლას. ჩვენს თაობას ყველაზე ნაკლები პრეტენზია აქვს, რადგან ჯერჯერობით ძალზე ცოტა აქვს გაკეთებული).

მიხეხებიდან პირველ რიგში კრიტიკისადმი არაჯანსაღ დამოკიდებულებას დავასახელებდი. არა ცალკეული, განაწყნებული მწერლის დამოკიდებულებას; არამედ საერთოდ მწერლობის არაჯანსაღ დამოკიდებულებას კრიტიკისადმი; თუმიცა ცალკეული მწერლების დამოკიდებულებაც ბევრს განსაზღვრავს.

ერთი შესედეით, პირობები კრიტიკის განვითარებისათვის მშვენიერია: რედაქციები სანთლით ეძებენ თანამედროვე მწერლობაზე წერილებს; სპეციალური აღმანახიც დაარსდა; წიგნების გამოცემაც გაიოლდა; მწერალთა კავშირი არც ერთ ოსოვნას უყურადღებოდ არ ტოვებს, ხელს გვიწყობს. სხვა კიდევ რაღა უნდა იყოს საჭირო!

მაშ რა ღმერთი გვიწყრება?

არსებითი მიზეზი ხულ სხვაა.

ჩვენში ვერ დამკვიდრდა ობიექტური კრიტიკის დასტამბვის ატმოსფერო. არ არსებობს რედაქცია, რომელიც შებორკილი არ იყოს მწერლებისადმი აუსხნელი რიდიით და, თუ გნებავთ, შიშითაც! არა ერთსეულ მოგვისმენია უურნალ-გაზეთების რედაქტორთა განცხადება — მზად ვართ ობიექტური კრიტიკა დაეხუჭდით ყველა მწერალზე და ლიტერატურის ყველა მტკივნეულ მოვლენაზეო. ეს იყო მათი მხრივ ან ნიადაგის მოსინჯვა, ან კეთილშობილური სურვილი, გაერღვიათ მაგიური წრე. მაგრამ ფაქტიურად ჭეშმარიტი კრიტიკის დასტამბვა მათთვის შეუძლებელი გამსდარა სოლმე. ასეთი წერილის შემდეგ რედაქტორებს ელით ჩსუბი და ლანძღვა, ანონიმური წერილების სუსხი, უურნალ-გაზეთებში გაპარული უმნიშვნელო ლაფსუსის გამო განგაშის ატესვა, ასალი ლიტერატურული ხერხებით ანგარიშსწორება. და, აი, ასე იჯაჭვება სია, ასე უჩინრად მბრძანებლობს რედაქციებს შიში, რომლის გამოც ყველა გაურბის, ყველა თავს არიდებს ობიექტური კრიტიკის დასტამბვას. „თავს არიდებს“ ერთობ რბილი გამოთქმაა, ფაქტიურად ასეთი არიდებით ჭეშმარიტი კრიტიკაა ლიტერატურისაგან გარიდებული.

იქნებ ჩვენ კიდევ არ ვიცით კარგად, რამდენად დიდია წინააღმდეგობა, რაც რედაქციებს კრიტიკის გამო სვდებათ. იქნებ არ ვიცით! ნურც იმას დავუკარგავთ ჩვენს რედაქციებს,

რომ კანტიკუნტად მაინც ბეჭდავენ ობიექტურ კრიტიკას, მაღალი დონის წერილებს, მაგრამ მოგესხენებათ, გამონაკლისები კანონზომიერებას ვერ ქმნიან.

გაჩნდა თამამი და პირდაპირი კრიტიკის ორი ფორმა (სინამდვილეში კი ეს პირდაპირობა და სითამამე ილუსიაა): როგორც ითქვა, კრიტიკული წერილი სძირად ისტამბება ე. წ. დაბალ დონედ მიჩნეულ ხელმოკარულ მწერლებზე, ან მაგიური წრის გარღვევის სურვილით სოფჯერ რედაქცია რისკზე მიდის და ცნობილი მწერლის გაკრიტიკებას ბედავს. დავაკვირდეთ ერთ რამეს — ასეთ წერილებში კრიტიკოსები ბოლმას ვერ მაღავენ. მულავნდება ფსიქოლოგია სელებშეკრული კაცისა, რომელიც, საშუალება მიეცემა თუ არა, მიიღწერას ვადმოაფრქვევს, თავის საერთო გაბრაზებას ერთ მწერალზე გააშუღაენებს და ამიტომაც სოლიდური მსჯელობის ნასახიც აღარ ეტყობა საკამათო საკითხს.

რედაქციები, უნდათ თუ არ უნდათ, მაინც უთმობენ ადგილს ერთმანეთზე განაწყენებულ ავტორებს, ობიექტურ კრიტიკას კი გაურბიან.

ერთი შესედეით თითქოს უცნაურობაა: თუ განაწყენებული ავტორის წერილი ისტამბება, ობიექტურ წერილს რაღა უნდა დაუდგეს წინ. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენ დაწვრილმანებული ანგარიშსწორების პათოსისა უფრო არ გვეშინია (მკითხველი განაწყენებულ ავტორს ნაკლებ ენდობა და კრიტიკაც მსუბუქი გვეჩვენება). ობიექტური კრიტიკა შეუვალდი სიმართლეა, და ეს კი ბევრს სელს არ აძლეებს. და რა რჩება საასპარეზოდ სინამდვილეში კრიტიკას? სიმართლე, რასოვისაც ის არსებობს, არასოდეს არ უნდა ითქვას, ან თქვას მსოლოდ ნახევარი იმ სიმართლისა ე. ი. აქოს კარგი ნაწარმოები — ესლაა მისი ბედნიერება, მსოლოდ ამ წერტილში ჩანს გაუყალბებელი. მაგრამ უნდა გაჩუმდეს ლიტერატურის პროცესის მტკიენეულ მსარეებსა და პრობლემებსე. მით უმეტეს, თუ ის პრობლემება კონკრეტულად ვინმეს ესება! პრობლემები კი იმდენად მნიშვნელოვანია, სამართლე იმდენად დამახინჯებული, იმდენი ცუდი წიგნია გასაკრიტიკებელი, სასოამები ისეა აღრეული, რომ მათზე გაჩუმება კრიტიკის მხრივ არსებობაზე უარის თქმას უდრის. როდესაც კრიტიკოსი შე-

იგნებს, რომ მას არ ეძლევა საშუალება იმის კეთებისა, რისთვისაც მოწოდებულია, იგი უაზრობად თვლის თავის საქმეს და სხვა ასპარეზს ეძებს. შეიძლებოდა წერტილი აქ დაგვესვა, ძირითადი მიზეზი იმდენად შეუვალა, მაგრამ ზოგიერთი სხვა მიზეზიც გავიხსენოთ.

გავიხსენოთ მეორე მიზეზი — უმადურება. ჩვენ უაღრესად მადლიერნი უნდა ვიყოთ ჟურნალ „ცისკრისა“. მან საშუალება მისცა მწერალთა დიდ ნაწილს 1968 და 1976 წლებში გაემუდღავენებინათ კრიტიკისადმი თავიანთი დამოკიდებულება. ანკეტაში მონაწილე ცნობილი მწერლების უმრავლესობას დაავიწყდა ანბანური ჭეშმარიტება: რა დონეზეც არის მწერლობა, იმავე დონეზეა კრიტიკაც ჩვენს დროში, რადგან ისინი დღეს ერთმანეთისაგან გაუთიშველი ფენომენებია. ზოგმა ფსიზელი თვალთ შეხედა ანკეტის კითხვებს, გონივრული, დაკვირვებული პასუხი გასცა, ბევრმა კი გამოამუღაენა საკუთარ თავზე უსაშველოდ დიდი წარმოდგენა და უკმაყოფილებაც იმის გამო, რომ კრიტიკა გუნდრუკს არ უკმევს. ამასთან, როგორც ჩანს, ბევრს სრულებითაც არ წაუკითხავს უფროსი და საშუალო თაობის კრიტიკოსთა ბრწყინვალე წერილები. ეს გახლდათ უმადურების გრძნობის აშკარა გამოხატულება.

უფროსი კოლეგების — ხანდაზმული და საშუალო თაობის წარმომადგენელთა მწვავე, ძალზე ვაუკაცური წერილებიც წაგვიკითხავს, საბედნიეროდ. ჩვენ დიდი მასშტაბებისა და კანონზომიერი კრიტიკული აზროვნების დონისაკენ მივისწრაფით, თორემ ქართული კრიტიკოსები მთლად ცარიელი ხელების ამარა არ არიან. შექმნილია გარკვეული რაოდენობა წერილებისა, რომელთაც არც სიღრმე აკლიათ, არც დონე და არც სიმწვავე. იქნებ ადვილი გვგონია ასეთი წერილების შექმნა, იქნებ გვგონია, კრიტიკოსის ნერვები და სულიერი ენერგია დაუზოგავად არ იხარჯებოდეს, იქნებ იმასაც ვფიქრობთ, რომ უმტივენეულეს საკითხებზე ხმის ამოდება საჭირო არ არის. და, როცა ხმის ამომღები ისევე ფასდება, როგორც ერთი-ორი მწერლის აბოლოგეტი კრიტიკოსი, მაშინ ბატონდება განუკითხაობის განცდა. როდესაც ჩვენთან დაახლოებულ პანეგირიკოს კრიტიკოსებს წინ წამოვწევთ და მოქმედს მივჩქმალავთ, ამ დროს ბატონდება განუკითხაობის

განცდა. თუ გვინდა ნამდვილი კრიტიკა, კრიტიკოსებთან დამოკიდებულების კრიტერიუმიც უნდა გავარკვიოთ.

ახლა კიდევ რამდენიმე მიზეზზე, რომლებსაც არც ისე წერილმან მიზეზად ვთვლი:

კრიტიკოსს კრიტიკოსის ფსიქოლოგია უნდა აქონდეს! ის ბევრი რამისათვის უნდა იყოს მზად: ვერ გაუგებენ, თვითონაც შეცდება. ის შეცდომა უსიამოვნებას მოუტანს. იქნებ არ ცდებია, მაგრამ ბევრს ეჩვენება, ცდებაო — თავისი ინტერესებიდან ზომავს კრიტიკოსის შეხედულებებს და ამიტომ ეჩვენება, ცდებაო. ეს სულ ერთია, უსიამოვნება მაინც გარდუვალია და კრიტიკოსი თავისი სულიერი წყობით მზად უნდა იყოს ამისათვის.

მაგრამ კრიტიკოსს ისევე სათუთი ნერვები აქვს, როგორც მსახიობს, პოეტს, პროზაიკოსს და ა. შ. კრიტიკოსის შრომაც უნდა დაფასდეს ისე, როგორც, კრიტიკოსის შრომა. რას იმკის კრიტიკოსთა უფროსი თაობა თავისი შრომის წილ, რა შესვლა ცხოვრების გზაზე, გარდა უკმაყოფილებისა? ისინი დიტირამების ავტორად შერაცსეს მათივე თანატოლმა მწერლებმა. ეს მათ ნაღვანზე ითქვა სმამაღლა, ქართული კრიტიკა არ არსებობსო. იგივე უთხრეს საშუალო თაობის კრიტიკოსებს. ჩვენზე, ე. წ. ახალგაზრდებზე ლაპარაკი ხომ, მით უმეტეს, არ ღირს.

რამდენიმე სახის ლიტერატურული პრემია დაარსდა საქართველოში. არც ერთი იმ პრემიათაგანი კრიტიკოსისათვის არ გამოვიმეტეთ. არც უფროსი თაობის წარმომადგენლებს, რომლებმაც ამოღენა გზა გაიარეს მწერლობაში, არც საშუალო თაობის უნიჭიერეს კრიტიკოსებს არ რგებიანთ იგი. საქართველოში დღეს არ იწერება არც პოეზია, არც პროზა, რომლის დონეზე კრიტიკა არ იდგეს! რატომ გვეჩვენება შეუძლებელი, რომ კრიტიკოსთა ნაშრომებიც წარვადგინოთ პრემიაზე, — თუ პრემიას საერთოდ აქვს მნიშვნელობა, კრიტიკისათვისაც აქვს მნიშვნელობა.

რატომღაც დამკვიდრდა ისეთი აზრი, თითქოს კრიტიკოსებს სანგრძლივი შემოქმედებითი მივლინებები არ ესაჭიროებოდეთ. ვის უფრო სჭირდება ლიტერატურისა და ცხოვრების ცოდნა, თუ არა პროფესიონალ კრიტიკოსს, რომელმაც

ზღვა ლიტერატურა უნდა წააკითხოს, რათა რომელიმე საყურადღებო პრობლემა გააშუქოს თანამედროვე მწერლობისა.

თითქოს წერაღმანა, მეორესხარისხოვანი მიზეზებია, მაგრამ ისინი სომ ლიტერატურული ცხოვრების ჯამს შეადგენენ.

კრიტიკას უმაღურ საქმეს უწოდებენ, თუმცა ყველამ შესანიშნავად უწყის, ეს უმაღური საქმე რას ნიშნავს ლიტერატურისათვის. ვაცით, მაგრამ ზოგადი განცხადებებით ვკმაყოფილდებით.

თუ კრიტიკოსი თავის მოწოდებას ვერ ემსახურება, თუ უმაღურობით უპასუხებენ, თუ განუკითხავად წყალში ჩაუყრიან წლების ნაღვაწს და პანეგირიკის ავტორებთან გაათანაბრებენ, თუ ნამდვილი კამათის ნაცვლად პრესაში ლანძღვაგინებას შეაგებებენ, თუ ცხოვრების მიწურვილს ცხვირ-პირში მიასლიან: კრიტიკა არ არსებობს, ე. ი. შენ არ არსებობდიო, რა ვახაკვირია, რომ კრიტიკოსთა თაობები განზე გადგნენ და აკეთონ ლიტერატურის სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმე. მაგრამ ბნელისა და ნათელის ერთმანეთისაგან გამყოფი, მათრგანისებელი ძალაც სომ სჭირდება ლიტერატურას? მგაყსი კრიტიკა სომ წუთიერი გასეირნებებით არ იქმნება? სულსა და გულს, მთელ ენერგიას სომ მოითხოვს ნიჭთან ერთად? კრიტიკოსისათვის აწრი უნდა ჰქონდეს ამ ენერგიის ვადებას. სხვაგვარად მუდამ იმას იფიქრებს, ასპარეზს გაეცალოს დაუყოვნებლივ.

კრიტიკოსის კრიტიკოსის ფსიქოლოგია უნდა ჰქონდეს. ის მზად უნდა იყოს ყველა იმ უსიამოვნების შესასვედრად, რასეც შემოთ ითქვა, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როდესაც სედავს, თავისი პროფესიის უმთავრესი მიზნის აღსრულებისას სედება უსიამოვნება. ხოლო თუ თავის საგანს მოსწყყიტეს და უსიამოვნება კი უსიამოვნებად დარჩა, მაშინ წვრილმან საქმეებში ენერგიის სარჯვა, რა თქმა უნდა, უაწრობად აღიქმება.

დიდა დაკვირვება იქნებ არც იყოს საჭირო იმის დასახაზად, თუ როგორი მასხანჯა სახე მიიღო კამათმა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში. მოკამათენა უკვე ან ვერ უწყევნ ანგარიშს ან არ სურთ ანგარიში ვაუწიონ ლიტერატურის წმიდათა წმიდა კანონებს. ერისმანეთთან ანგარიშსწორების მასხანთ წარმართული თაოქმის ყველა დასკუსია ანაკეარებს ლიტერატურულ ატიმოსფეროს. აუერხებს მის განკითარებას. ამ შეუერხებაში იგულისხმება საკუთრივ კრიტიკული აზროვნების განკითარების შეუერხებაც. კამათის სტრუქტურაში დაარღვა ყველა კომპონენტი. ამ შემთხვევაში ზერათოდ იქნა უკუღებულყოფილა ზომიერების ვრძნობა და ეს მაშინ, როდესაც იგი ყველაზე მეტად ხწორედ დასკუსაშია საჭირო და აუცაღებელი.

კრიტიკის მოუთმენლოგის უსიძოზი და ლიტერატურული ბრძოლის წყურვილი

მოკამათეთა ბრძოლა დღევანდელ სალიტერატურო კრიტიკაში არაფრით არ განსხვავდება იმ შინაფეოდალური ბრძოლების შინაარსისაგან, საუკუნეების მანძილზე რომ უდრდნიდა სულსა და სსეულს ჩვენს ქვეყანას. დღეს ამ ბრძოლის შინაარსი ქართული კულტურის სსეულს დრდნის. მსედველობაში მაქვს უპირველეს ყოვლისა სწორედ ანგარიშგასაწევი მწერლებისა და მეცნიერების კამათის ხარისხი და არა სელმოცარულ მწერალთა კამათის კულტურა. საქმე რომ სელმოცარულებს ესებოდეს, მართლაც ბევრი არაფერი იქნებოდა საგანგაშო, რადგან მათი ცოდვის სიმძიმეს ადვილად შიდაყდა ეროვნული კულტურის მძლავრი მსრები. ეს იქნებოდა მსოლოდლა ქაფი ზღვისა, ნაპირის დაბალ წყალს მოდებული, რომელსაც სიღრმისეული ტალღები ერთ წამში გადარეცხავს. მაგრამ საქმე, სამწუსაროდ, კრიტიკული აზროვნების პროცესს, მის გულისგულს ესება. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ თუ რა უნდა სდებოდეს კრიტიკული აზროვნების პროცესში და შემდეგ დავაკვირდეთ მის თანაფარდობას იმ სინამდვილესთან, რაც ხდება ამავე პროცესში.

ჩვენი ფიქრების მოძრაობას უნდა წარმართავდეს სურ-

ვილი იმ კარდინალური საკითხების გარკვევისა, რაც ქართული კულტურის, კერძოდ, ლიტერატურის ორგანიზმს უკავშირდება. კონკრეტულად ეს გახლავთ ქართული პოეზიის გზა და მისი განვითარების ტენდენციები, მიმართება ტრადიციასთან, პოეზიის შინაგანი განახლების მაგისტრალური გზები, თავისთავადობის არსი და მისი შენარჩუნების პრობლემა, ქართული პროზის საერთო ხასიათისა და მომავალი გზის განსაზღვრა, ქართული რომანის შინაგანი განახლების აუცილებლობა, მისი ადგილის დადგენა მსოფლიო ლიტერატურის რუქაზე, ქართული დრამატურგიის პოტენციური საიდუმლოებანი, მისი გავლენების შესაძლებელი ფორმებისა და საშუალებების გამოკვეთა, მეცნიერული კონცეფციების ანალიზი, მათი დადგინებისათვის ბრძოლა. მსოფლიო კულტურის პროცესთან ეროვნული კულტურის ურთიერთობის ფორმებზე მსჯელობა, ქართული კულტურის ადგილის მიკვლევა მსოფლიო კულტურის გარემოცვაში, საამისოდ საჭირო მოსაზრებათა გონიერული გამოტანა დღის სინათლეზე და მათი შეჯერება...

გასარკვევია ეთქვათ, პოეზიის სვედრითი წონის საკითხი ქართულ პროზაში, თუნდაც ამ ბოლო საკითხს შეუძლია რამდენიმე წლის მანძილზე დააბანდოს მოკამათეთა სოლიდური რიცხვი და მკითხველთა დიდი ყურადღება, რადგან ეს ეროვნულ ხასიათზე ლაპარაკსაც ნიშნავს.

სინამდვილეში კი რა ხდება! პოტენციური მოკამათე მე ალბათ ვერ დამისახელებს ამ კარდინალურ საკითხთაგან ვერც ერთს, რომელიც არათუ გადაჭრილი იყოს დაუნჯებულნი, ხანგრძლივი კამათის წყალობით, არამედ თუნდაც წამოეჭრას ვინმეს, უბრალოდ დაწყებული რომ იყოს სერიოზული კამათი მათ გარშემო. მხოლოდ რამდენიმე საკითხია შუქმოფენილი ლიტერატურათმცოდნეობაში. ეთქვათ, „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალურობის საკითხი, ან იქნებ განსაზღვრული იყოს კლასიკოსების ადგილი ქართული მწერლობის რუქაზე. თუმცა ყველამ კარგად იცის, რამდენი სასაცილო და პრიმიტიული მოსაზრება ხდევდა თან ამ საკითხების გარკვევას და რამდენად არაეთიკური იყო ხშირად დავა. მაინც ჩაეთვალათ, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ამ მხრივ

გაკეთებულია. მაგრამ წარსულის დალაგება, მოვლა, თუკი ის მოვლილად მივიჩნიეთ, მაინც არ არის ყველაფერი. ზემოთ ჩამოთვლილი კარდინალური საკითხები ჩვენი სულიერი კულტურის სასიცოცხლო პრობლემებია თანამედროვე ეპოქაში. და ნაცვლად იმისა, რომ ჩვენი ენერგია აქ იხარჯებოდეს, ის დაუზოგველად იფლანგება არალიტერატურულსა და არამეცნიერულ კინკლაობაში. დავაკვირდეთ, რისთვის იწერება მწვავე კრიტიკული წერილი და რისთვის იწერება საპასუსო წერილიც. წერილები ემსახურებიან სრულიად არამეცნიერულსა და არალიტერატურულ მიზანს — მიწასთან გაასწოროს მოპაექრე. ეს ხდება თითქმის ყოველი კამათის დროს, როდესაც კონკრეტული მაგალითების ანალიზზე გადავალთ, ეს აზრი უფრო ნათლად გამოიკვეთება, უფრო ცხადი გახდება. ის რამდენიმე მაგალითი ჩვენს მესხიერებაში აღადგენს ყველა კამათის გრძელ მწკრივს და იმ კამათიდან დარჩენილ დასკვნებსა და უსიამოვნო განწყობილებებსაც, რომელიც კამათის ჩამთავრების შემდეგ გამოგვეყვანა თავის დროზე.

პოტენციური მოკამათენი მოვალენი იქნებიან დაუსახელონ მკითხველს ასეთი კამათით გარკვეული საკითხის ვერ დაასახელებენ ისინი ასეთს, ვერ დაგვიმტკიცებენ სამწუხაროდ, რომ ესა თუ ის საკითხი გაირკვა იმ კამათში, რომელიც არამეცნიერულ კამათად მივიჩნიეთ. ზემოთ ჩვენ რამდენიმე კარდინალური პრობლემა ჩამოვთვალეთ, რომელთა გარკვევას ჩვენი კულტურული ცხოვრების პროცესში ერთი და ორი წერილი ვერ გასწვდება! ტომები უნდა, შრომების სერია უნდა. თანამედროვე ქართულ კრიტიკას სალაროში ასეთი განძი არ უდევს. იმ კამათის წყალობით კი, რაც სინამდვილეში მიმდინარეობს ხოლმე, დაფლეთილი ძარღვებით, შებღალული პატივმოყვარეობის გვაგებით, განაწყენებული ნიღბებით მოფენილი ლიტერატურული ბრძოლის ველი გვრჩება. კარგად გადავხედოთ ამ ბრძოლის ველს. უნდა შევთანხმდეთ, რომ დიდი მეცნიერული საკითხი არ გარკვეულა, დიდი პრობლემა არ შესწავლილა! რა გაკეთდა — გაილანძლა ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე, მეთათე... ბრძოლაში თავგამეტებით. თავგანწირვით ჩაბმული მეტოქენი ბრძოლის დასრულების შემდეგ აქეთ-იქით გადგე-

ბიან და თურმე რისთვის იყო ბრძოლა: მეტოქის სახელის გასატეხად, ლაფში ამოსასერელად, საქვეყნოდ გამოხატვებლად და სოცრება ის არის, რაც ამასთან ერთად იგულისხმება — რისი სახელით იყო ეს ბრძოლა! — ლიტერატურის სახელით, მეცნიერების სახელით, პაექრობის სიმპატიური ფორმით: საერთოდ დაეიწყებულა კამათის ტექნოლოგია და ყველაფერი ეს ისეთ ჩვეულებრივ მოვლენად განიცდებდა, რომ საგანგაშოს, ბუნებრივია, ვერაფერს ვსედაყო. ამიტომაც ვითმენტ, ვითმენტ ლიტერატურისა და ქვეყნისათვის აუტანელ სურათს — უფრო ნიაღვარს, რომლის ბინძური ტალღები ყველაფერს წმინდასა და ამაღლებულს წალეკვით ემუქრება. ეს მდგომარეობა უკვე ლიტერატურული კრიტიკის ატმოსფეროა, და როდესაც დაგვიანტერესებს, თუ რა იწვევს ამ ავადმყოფურ მოვლენებს, პირველ რიგში უსათუოდ ის ატმოსფერო უნდა დაყვასახელოთ. ასლა უკვე ჩვენგანვე დამკვიდრებული ატმოსფეროდან ამოიზრდება ყოველი კონკრეტული ფაქტის ფესვი: შივეჩყიეთ შელანძლული შაერთი სუნთქვას, დამპალი შაერთი აგვევსო ფილტვები და შსად ვართ ყოველ მოპაექრეს აკრძალული ილეთებითვე შევებათ. ლიტერატურული კრიტიკის ცაზე მსხვილი ასობით წერია: „ეს საერთოდ ასეა, ამაში გასაკვირი არაფერია“ და აი, შიგადაშიგ გამოფხისხლდებით, ვიგრძნობთ, რომ კრიტიკას გული გადავარებია, ყივრძნობთ, რომ ასე არ შეიძლება, რაღაც უნდა შეიცვალოს.

რაღაც უნდა შეიცვალოს, რაღაც უნდა მოსდეს. ქართული ლიტერატურის დაუსრულებელ გზას საკადრისი კრიტიკული აზროვნება სჭირდება და ამიტომ უნდა შეიცვალოს რაღაც. ნაცვლად გზის გაწალდვისა, ნაცვლად შორეული შორისონტების გადახსნისა, ტალახში ამოთხერილი მახვილები ქართული კულტურის გზაზე სივრცეს სერგავენ, უსასოდ, უსიმეტრიოდ გადაჯყარედიანებული მახვილების ბადეს ქსოვენ და ამ ყრუ ბადეს აწყდება მკერდით ქართული კულტურა. ნაცვლად იმისა, რომ კრიტიკისაგან გაკაფული სივრცე ეგებებოდეს, ამ ჯებირების განგრევას ეწირება მისი შინაგანი პოტენციის უდიდესი ნაწილი. ერთმანეთისათვის ხელისშეშლის,

ერთმანეთის შემოქმედებითი გზის დამუხრუჭების მეტი არა მოსდევს რა მოპაექრეთა კამათს.

ქართული კრიტიკა ან თავის თავში უნდა ამოღდეს ან დიამეტრულად შეცვალოს თავისი ცხოვრების წესი, ეს კი, უპირველეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, ძირფესვიანად შეიცვალოს სწორედ ატმოსფერო, რომელიც დღეს გაუმართლებელ ფაქტს ამართლებს, მოუთმენელ მოვლენას ითმენს. ქართული კრიტიკის ატმოსფეროს წყალობით დღეს დამკვიდრებულია კრიტიკის მოუთმენლობის ფსიქოზი. იგი შედეგად მოჰყვა კრიტიკის უნივერსალური კანონების დევალვაციას. უპირველეს ყოვლისა, ისმის კითხვა, თუ საიდან იწყება კამათი — განიდა რაიმე სადაო საკითხი, რომლის გაურკვეველადც ლიტერატურა თავისუფლად ვერ ისუნთქავს? თქვენც არ მომიკვდეთ — კამათი უმრავლეს შემთხვევაში იწყება იქიდან, რომ ვიღაც ვიღაცაზე გაბრაზდა და აი, გაბრაზებული, „მოწინააღმდეგის“ შემოქმედებაში ან საერთოდ ლიტერატურული ცხოვრების ფონზე ეძიებს საკითხს, რომელსაც, მისი აზრით ორგანულად დაუკავშირებს თავისი მტრის განქიქებას, საკითხს, რომელსაც ამოფარებული დაგორგლილ ტალახს ესერის. მისთვის საქულველ მწერალს. აი, აქედან იწყება „კამათი“ და რაკი კამათი აქედან იწყება, ბუნებრივია, ზედმეტია მოლოდინი იმისა, რომ კამათში რაიმე სერიოზული საკითხი გაირკვეს. საცოდავი საკითხი! საცოდავი ლიტერატურული პრობლემა! იგი ნათლის სვეტივით დგას ლიტერატურის სამსხერპლოზე. მოქიშპენი ირგვლივ დარბიან და ტალახით თითხნიან ერთმანეთს მანამ, სანამ ის ნათლის სვეტი იმ ტალახით არ დაიფარება და არ ჩაინთქმება მასშივე. გულამორეცხილი მოქიშპენი კი სულს ძლივს ითქვამენ შორიასლო.

როდესაც დოსტოევსკი მის მიერ უტილიტარისტად მონათლულ ბ-ნ ბოვს ეკამათებოდა, დიამეტრულად განსხვავებულ პოზიციაზე იდგა და მისთვის ყოვლად მიუღებელ პრინციპებს ებრძოდა, მაგრამ კამათის ვერც ერთ ქვეტიქსტში თქვენ ვერ იპოვით უპატივცემულობის რაიმე ნიშანს, პირიქით, ყველგან სწორედ ღირსეული მოპაექრის შეგრძნება გიპყრობთ, ყველგან ჩანს, რომ დოსტოევსკი ბატონი ბოვის დიდ ნიჭს აღიარებდა და მის თვალში საკამათო საგანს

იმიტომაც აქვს უფრო დიდი წონა, რომ იგი ნიჭიერ პუბლიცისტთან პაექრობაში ირკვევა. ეს გასლავთ ქვეყნისა და ლიტერატურის ინტერესებიდან გამომდინარე სასიცოცხლო კამათი, რომლის გარეშეც, ალბათ, არც ერთ მხარეს მოსვენება არ ექნებოდა. ეს საკითხი უნდა გარკვეულიყო, რადგან ვინც ცხოვრობს ლიტერატურისა და ქვეყნის ცხოვრებით, მას სხვაგვარად არ შეუძლია.

როდესაც მოკამათის გაბიაბრუებაა მიზნად დასასული, ბუნებრივია, კამათის მეთოდებიც იცვლება, უფრო სწორად, მასინჯდება. კამათის სტრუქტურა ისეა მომართული, როგორმე მოწინააღმდეგე გაილანძლოს.

ნამდვილი ლიტერატურული საკითხები და პრობლემები მწკრივდებიან, არც თავი უჩანთ და არც ბოლო. გარკვევას შიოთსოვენ ისინი, შეფასებასა და შეჯერებას საჭიროებენ.

ასიათასჯერ უნდა გავიმეოროთ — ქართულ ლიტერატურას ლიტერატურული ბრძოლის წყურვილი ასრჩობს. გავიმეოროთ მანამ, სანამ ასეთი ბრძოლისთვის აუცილებელ ამინდს არ შევქმნით. ასიათასჯერ უნდა ითქვას იმაზეც, თუ რა ამბაფრებს ამ წყურვილს. ასიათასჯერ უნდა ვთქვათ, რომ ძნელია მწერლობის არსებობა ასეთი ბრძოლის გარეშე. დონდლოვდება მისი სსეული, დაბლა ეშვება მაცოცხლებელი გაცოცხლების ფრთები, კლებულობს ლიტერატურის არტირაციის გამტარუნარიანობა.

ლიტერატურა არ შეიძლება იყოს ერთფეროვანი, ერთსახლოვანი. ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედის განსხვავებული სამყაროები საბოლოოდ მსატვრული არსენალის, მეთოდების, სერხების, პრინციპების, პოზიციების ვეებერთელა ჯამს შეაღგენენ. და ამ ჯამში, თავისთავად ცსადია, ეს განსხვავებული ნიშნები ერთმანეთს უპირისპირდებიან, ცალკეულის თვალსაზრისით ერთმანეთს გამორიცხავენ კიდევ, ან სინთეზის რთული და სანგრძლივი პროცესი მიმდინარეობს. განსხვავებულ შესედულებათა, პოზიციათა, პრინციპების გარკვევისა თუ დადგინების გზაზე ჩნდება ლიტერატურული ბრძოლის წყურვილი. ასეთი ბრძოლა, მხოლოდღა კარგ შინაარსს გულისხმობს, იგი მეცნიერული კამათის შინაარსს გულისხმობს. ლიტერატურული ბრძოლის გარეშე წარმოუდ-

გენელია მწერლობისა თუ მეცნიერების ნამდვილ განვითარებაზე ლაპარაკი. ქართული ლიტერატურის საუკუნოვანი თვისებები არსებობის სტიქიურ ღინებას ვერ შეეგუება. ბუნებრივი, დიდი ნიჭით დაჯილდოებული მწერლების იმედზე პროცესი ვერ იქნება. ყველაზე მეტად სწორედ ბუნებით დაჯილდოებულ მწერლებს ესაჭიროებათ ლიტერატურის კანონზომიერი ხასიათი. რადგანაც კანონზომიერება გულისხმობს შემოქმედებითი ატმოსფეროს მაქსიმალურ მოწესრიგებას. მას ენერჯიის უდიდეს მარაგს ართმევს სტიქიურობას დაქვემდებარებული ლიტერატურული პროცესის უარყოფითი მხარეები, ამ სტიქიურობის მიერ დაწული წერილმანების ბაღე. ნიჭიერ მწერალს ისეთ წერილმანებზე უხდება დროის ფლანგვა, რომ მომავალმა შეიძლება არც დაიჯეროს ამ წერილმანების არსებობის შესაძლებლობა. ისინი კი არსებობენ და მერე როგორ არსებობენ!

მწერალს, ისევე როგორც ყოველ რიგით ადამიანს, არ შეუძლია საზოგადოებისაგან იზოლირებულად ცხოვრება. საზოგადოება მისთვის ფესვების მასაზრდოებელი ნიადაგია, რომელსაც მწერალი თავის მხრივ უკანვე უბრუნებს მაცოცხლებელ წვენს. ამიტომ მწერლის ფიქრი გამუდმებით ტრიალებს იმ ლიტერატურული ატმოსფეროს წრეში, რომელსაც ეკუთვნის იგი თავისი შემოქმედებით. მას კი, ბუნებრივია, ხასიციოცხლო მოთხოვნილებად აქვს ქცეული საკუთარი შემოქმედებითი გზის, პოზიციის, პრინციპის, მსატვრული არსენალის განსაზღვრის, დადგინების სურვილი. ასეთი დადგინება მეცნიერული კამათის, პაექრობის — ლიტერატურული ბრძოლის გარეშე წარმოუდგენელია. თავისთავად ვერაფერი ვერ მიაღწევს თვითგამოხატვასა და დადგინებას. მწერალი „საკუთარი მეს“ დადგინების გზაზე, ცხადია, ლიტერატურული ატმოსფეროს კანონებს აწყდება. პირველ ყოვლისა, ამ ლიტერატურული ატმოსფეროს მთავარი ტენდენციები, მიმართულება, ხასიათი უნდა იყოს გარკვეული და ეს ურთულესი ამოცანაა! ტრადიციიდან მომავალი ლიტერატურის ყოველი ასეთი ეტაპი სრულფასოვან შესწავლასა და დასუსტებას მოითხოვს; დასუსტებას და შეფასებას საჭიროებს ცალკეული მწერლის ინდივიდუალური თავისებურებანი, მათი ადგილი

მწერლობაში, მათი მომავალი გზის მიასლოებიტი განსაზღ-
ვრა პოტენციის სწორად შეცნობის წყალობით. თითოეული
მწერალი კი ცალკე პოზიციას, განსხვავებული პრინციპია,
განსხვავებული მეთოდი. შემდეგ ამ განსხვავებულობის დად-
გენამ საერთოდ მთელი ლიტერატურის ორიენტირის გან-
საზღვრაში უნდა გვიშეელოს. მაგრამ სანამ საერთო პროცე-
სის გამთლიანებულ სხეულს მივუბრუნდებოდეთ, იმ ცალკე-
ულ ტენდენციათა დაპირისპირებისა და ბრძოლის, ურთიერ-
თისაგან გამოყოფისა თუ სინთეზის ყველა ეტაპი უნდა იქნას
შეცნობილი ლიტერატურული პაექრობის წყალობით. ასეთი
პაექრობა ავალებს მოკამათებს ჭეშმარიტების დადგენის
უკეთილშობილესი და მაცოცხლებელი მიზნით იყვნენ და-
მუსტული. და ყველა არსებით, მნიშვნელოვან ფაქტს, ყველა
არსებით ნიშანს არა მარტო შინაარსი და ადგილი განუ-
საზღვრონ, არამედ თავი მოუყარონ და ლიტერატურის გან-
ვითარების გზაზე დააყენონ. ამ უმნიშვნელოვანესი მიზნი-
სათვის გამართულ მცირე და დიდი მასშტაბის პაექრობას,
პაექრობათა მთელ ჯაჭვს ჰქვია ლიტერატურული ბრძოლა.
ლიტერატურული ბრძოლა ერთი წამითაც არ გულისხმობს
მტრობას თავის შინაარსში. იგი უბრალოდ დიდი მწერლობის
არსებობის ერთი უმთავრესი კანონთაგანია, მისი შინაგანი
მოთხოვნები.

ქართული მწერლობის უღრმესი წიაღიდან არ შეიძლება
მოულოდნელ თუ მოსალოდნელ ტენდენციათა ნაკადები არ
იძვროდეს. მრავალფეროვანი არსისაგან მოწედილი ლიტე-
რატურული პრინციპები არ იბადებოდნენ. ქართული მწერ-
ლობის მაგისტრალურ გზაზე მათი არსის შეცნობისა და და-
ზუსტების მიზანი გულისხმობს უკომპრომისო, მაგრამ კულ-
ტურულ ლიტერატურულ ბრძოლას, რათა ის ბრძოლა ახალი
და ახალი სიმაღლეების დაპყრობის სურვილს აღვიძებდეს.
როდესაც ასეთი სიცხადე არ არის მიღწეული ლიტერატუ-
რულ პროცესში, მწერალს უამრავი დროის დაკარგვა უსდება
საკუთარი მისიის განსაზღვრაში, საკუთარი შემოქმედებით.
ბუნების არსებითი და არაარსებითი ნიშნების გამორჩევაში.
რადგან: გაურკვეველია ეროვნული მწერლობის მაგისტრა-
ლურ გზაზე რას მიეცემა ლიტერატურული ღირებულება და

წონა მისი კალმის ნაყოფთაგან, რა სჭირდება ეროვნულ მწერლობას, რა არის ახალი მწერლობისათვის მისი შემოქმედებიდან. მწერალი კი დაუინებით ფიქრობს, იქნებ თავისთავის არ უტყდება, მაგრამ მაინც ფიქრობს, თუ რას აკეთებს იგი ახალს ქართული მწერლობისათვის. ფიქრობს, რა ნიშანი დათმოს თავისი შემოქმედებითი ბუნებისა და რომელი განავითაროს, ეს ქვეშეცნეული, თანამდევითი ფიქრი აუცილებელი ფენომენია და იგი თავისთავად კიდევ რომ არ იყოს მოცემული მწერლის ბუნებაში, მაშინ ლიტერატურული პროცესი უნდა აღვივებდეს. ჩვენს სინამდვილეში ყოველ მწერალს უზომოდ აქვს გაზრდილი სურვილი, კრიტიკამ გარკვევით უთხრას, სად არის მისი ადგილი, დაანახოს მისი არსებითი ნიშან-თვისებანი. ოღონდ აქვე პყვავის მეორე სურვილიც — ბუნებრივი და გარდუვალი. კრიტიკას გარკვეული უნდა აქონდეს სხვათა ადგილიც, სხვათა ნიშან-თვისებანი, რომ პროცესის მოძრავ რუკასე გარკვევით ჩანდეს დიდი და მცირე ლიტერატურული ფიგურები, ჩანდნენ თავიანთი კონტურებით. გარკვევით ჩანდეს მათი მზერის მიმართულება და საბოლოოდ გარკვევით ჩანდეს ლიტერატურის მთლიანი პროცესის მიმართულება.

ყოველივე აქ თქმული ანბანურ ჭეშმარიტებათა რიგს განეკუთვნება. ლიტერატურული ავტორიტეტების ციტატების მოხმობას აზრი არა აქვს. ასეთი ანბანური ჭეშმარიტებანი ყოველ მწერალში ცოცხლობს, ოღონდ სოგჯერ მაინც გვიხდება მათი მთელი სიმძაფრით შესხენება.

ლიტერატურულ ბრძოლას თავისთავად არ სჭირდება და არც უნდა ეაკადროთ დასუსტებისათვის რაიმე ეპითეტის მიმატება. ვთქვათ, „ჭეშმარიტი“, „ნამდვილი“, „ჯანსაღი“. ლიტერატურული ბრძოლა ლიტერატურული ბრძოლაა. ის თავისთავად გულისხმობს ჭეშმარიტს, ჯანსაღს, ნამდვილს. ამას სწორედ სიტყვა „ლიტერატურა“ გულისხმობს, რადგან სხვაგვარი ბრძოლა მსოლოდ ანტილიტერატურული ბრძოლაა.

ლიტერატურულ ბრძოლას მრავალი ფორმა დაუგროვდა: დისკუსია, პაექრობა, დიალოგი, მონოლოგი, მრგვალი მაგიდა, ცალკეულ ავტორთა წერილები. ეს ფორმები მწერლობის აღმავლობას ემსახურებიან თავიანთი დანიშნულებით. მაგრამ,

სამწუსაროდ, ყველა ეს ფორმა ჩვენთან უმეტესწილად მწერლობის შეფერხებას ემსახურება. ისინი ჩამდგარან პირადი ინტერესებისა და ანგარიშსწორების ვნებათაღელვის სამსახურში.

აღიარებულია, რომ დღევანდელ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში მეფობს კრიტიკის მოუთმენლობის ფსიქოზი.

კრიტიკის მოუთმენლობის ფსიქოზის დამკვიდრებას მიზეზთა მთელი კომპლექსი უძღვის წინ. თითოეული მათგანის გაუთვალისწინებლობა ცალმხრივი შემფასებლის როლში ჩაგვაყენებს. გარდა ამისა, რომელიმე მათგანის შეგნებული გამოტოვება ჩაშლის კრიტიკული ატმოსფეროს გაჯანსაღების საქმეს და წყლის ნაყვად აქცევს თავგამოდებულ მტკიცებას.

იქნებ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდეს იმას, თუ საიდან დავიწყებთ, იქნებ მსოლოდ ის იყოს აუცილებელი, რომ მიზეზთა კომპლექსს არაფერი დააკლდეს, მაგრამ მაინც სასურველია, უმთავრესი მიზეზით დავიწყოთ.

კრიტიკის მოუთმენლობის ფსიქოზის დამკვიდრებას, ჩემი აზრით, სათავე მაინც საზომების აღრევამ დაუდო. ზომიერების გრძნობის დარღვევა, პირველ ყოვლისა, სწორედ აქ გამოიხატა. ეს გაზვიადების ვნებათაღელვის ცნობილი სენია. კრიტიკის დაკარგულ კრიტერიუმს, კარგა ხანია, მივტირით. ის კი, რასაც კონკრეტული საქმით არ ვუპასუხებდით, და რაზეც მსოლოდ ზოგადი მსჯელობით ვკმაყოფილდებით, სწორედ თავისი კონკრეტული მასალით ვრცელდება, ედება ცასა და მიწას, მკვიდრდება ყველაფერში. და ალბათ ყველა ვცოდავთ. აღრეულ საზომებს არავეითარი კონტროლი არ გავუწიეთ და წარმოიშვა მრავალწახანაგიანი უხერხულობა: ერთნაირად შექებული აღმოჩნდა ნიჭიერი და უნიჭო. თავი რომ დავანებოთ ნიჭიერი მწერლის განსხვავებულ დამსახურებას, რომელსაც გამორჩევა ესაჭიროება, ნიჭიერ მწერალს ეუფლება განურჩევლობის განცდა. ეს განცდა — განუკითხაობის განცდა — მომაკვდინებელია. ეს მსოლოდ სელმოცარულ მწერლებს აწყობთ. ნამდვილი მწერლისაგან კი საზომების ასეთი აღრევა ლიტერატურულ უსამართლობად აღიქმება. ლიტერატურულ უსამართლობად აღიქმება აგრეთვე თვით

ნიჭიერი მწერლების დამსახურებათა გათანაბრება ჩვენი და-
უსუსტებელი სასომების წყალობით. ორ ნიჭიერ მწერალს
შეიძლება განსხვავებული დამსახურებანი ქქონდეთ ლიტერა-
ტურის წინაშე! ეს მათ სასიათსე და შრომისმოყვარეობაზეა
დამოკიდებული. როდესაც საჭირო სიზუსტე არ არის დაცუ-
ლი, მწერალი უკანონობასა და უსამართლობას ხედავს და
შინაგანად უპირისპირდება კრიტიკულ აზროვნებას. არ ენ-
დობა და ამიტომაც უპირისპირდება.

ლიტერატურული პროცესი კი გარკვეულობას მოითხოვს.
რევაზ ინანიშვილის შრომის სტილით შექმნილი სიმდიდრე
დიდად აჭარბებს ბადალი ნიჭის მწერლისაგან უკვე არასა-
სურველი სტილის მიხედვით დაგროვილ პროდუქციას.

ნიჭიერ მწერალთა შეფასებაში დაშვებულ უსუსტობას
ვიდა დაეძებს. განა ერთი და ორი მაგალითი ვიცით იმისა,
რომ უნიჭოს იმავე ეპითეტებით ამკობენ, რითაც ნიჭიერს.
განა ერთსა და იმავე სიბრტყეზე არ არის ხშირად განსილუ-
ლი ჭეშმარიტი ნაწარმოები და ფსევდოლიტერატურა. განა
რიგი რომანებისა, რომელთაც არავითარი ლიტერატურული
ღირებულება არა აქვთ, უკეთ არ არიან შემკობილნი, ვიდრე
რესო ჭეიშვილის მოთხრობები, რევაზ ინანიშვილის პროზა,
ოთარ ჭილაძის რომანები?..

და, აი, ამ დროს ლიტერატურის კანონებისა და სამარ-
თლიანობის მოთხოვნით კრიტიკოსი, მართალი და წმინდა
თავისი სინდისის წინაშე, გამოწველილვით გააანალიზებს,
ვთქვათ, ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშსიას“ და ამ რომა-
ნის საყოველთაოდ აღიარებული ღირსებების გვერდით სერი-
ოზულ ნაკლსეც მიუთითებს. მოითმენს რომანის ავტორი
ნაკლზე სერიოზულ მითითებას? ვერ დაავალდებულებთ, რომ
მოითმინოს, რადგან არეული საზომებისა და განუკითხავი
ქება-დიდების ფონზე, მაშინ, როდესაც საეჭვო ნაწარმოებე-
ბის მისამართით ერთი კრიტიკული შენიშვნაც არ გამოუთ-
ქვამთ, ეს ობიექტური, გულისტკივილით ნათქვამი შენიშვნა
მტრულ გამოსდომად აღიქმება, ჩასაფრებული მავანის, შუ-
რისძიებად იკითხება. ქება, რომელიც ამ რომანს მიაგო კრი-
ტიკოსმა, სანამ პრინციპულ შენიშვნას იტყოდა, აღიქმება,
როგორც რევერანსი, რათა მერე მწვავე შენიშვნა ითქვას,

მწერალს ტკივილი მიაყენოს. წერილში შეიძლება ამ შენიშვნას უმნიშვნელო ადგილი ეჭიროს, მაგრამ აუცილებელი კი იყოს. კრიტიკის მოუთმენლობის ფსიქოზი შენიშვნას ადიდებს ჩვენს თვალში, გვეჩვენება, თითქოს ნაკლის სათქმელად შეგვაშადა კრიტიკოსმა, მისი გამოტანა იყო მიზანი, ხოლო მთელი აქამომდელი ანალიზი, შემოკლებული გზაა, მსოფლოდ-ლა მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკია. ან არადა კრიტიკული აზროვნების კანონი მოითხოვს ანალიზის ამდაგვარ სტრუქტურას, ნათელისაგან პნელის გამოყოფას, ნაწარმოე²ს შინაგანი მთლიანობის განმსასღერეკლი ლოგიკის შეცნობას. და მათზე დაყრდნობით მაგისტრალური საზის დამფარავი წერილ-წერილი ტოტების ჩამოშორებას.

და მწერალს ვერაგინ გაამტყუნებს! აღრეული საზომების ფონზე მას მხოლოდ გაუთავებელი ხოტბა-დიდება ეკუთვნის.

მეორე მიზეზი ლიტერატურის მთავარი კრიტერიუმის დაკარგვაა. ჩვენში ძალზე ფესმოკიდებულია „ადგილობრივი მნიშვნელობის“ საზომების მოშველიება. ახალი ნაწარმოების შეფასებისას უმეტესწილად დაფიწყებულია ქართული ლიტერატურის მიერ გამოვლილი გზა, მის მიერ აღმართული სიმადლეები, რომელთა რიგში ჩამდგარ ახალ სიმადლეს მოკრძალებული შეფასება ეკუთვნის. ლიტერატურის შეფასების ის საერთო კრიტერიუმები კრიტიკული აზროვნების ცაზე მარადიულ ნიშნად უნდა ეკიდოს. ჩვენი საზომები დაუდევრად არის მოხმობილი, თითქოს ლიტერატურა აგერ, ასლა, ჩვენს თვალწინ იქმნებოდეს. პოეზიაში რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, ხოლო პროზაში გიორგი მერჩულეს, სულხან-საბას, ილიას, დავით კლდიაშვილის, მისეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ნიკო ლორთქიფანიძის სიმადლეები არ იყოს აღმართული. როდესაც მათი გაუთვალისწინებლობით ფსევდოლიტერატურის ქება განუკითხაობის სენს ამკვიდრებს, კრიტიკის მოუთმენლობის ფსიქოზის გაფანტვა შეუძლებელი ჩანს.

კრიტიკული აზროვნების ავტორიტეტი ის ფენომენია, რომლის არსებობა ან არარსებობა უამრავ რამეს განსა-

ზღვრავს. კრიტიკული აზროვნება, სწორი საზომებით და კრიტიკერიუმებით შეიარაღებული, სიტყვა-მუნწი და ზუსტი, მკაცრი და სამართლიანი, მოყვრული პოზიციითა და პრინციპებით, კამათის კულტურის მაღალი დონით, ლიტერატურის სასიცოცხლო მოთხოვნილებაა. პირველი ორი მიზეზი, რაზეც აქ ითქვა, ცხადაა, კრიტიკულ აზროვნებას გულს აცლის და მასვე ემატება მესამე ნიშანიც: კრიტიკული აზროვნებისათვის არ უნდა არსებობდეს გაუკრიტიკებელი მწერლები (ე. წ. ავტორიტეტული მწერლები). ჯერ ერთი, კრიტიკა აუცილებელია თვით ამ მწერლებისათვის, რადგან განუკითხავი ქება (კარგისა და ცუდისა), ადუნებს მათი ავტორის შემოქმედებით ძალებს და საბოლოოდ უკმარისობის გრძნობისაგან განმუსტული, იგი სუსტ მწერლად ყალიბდება. ამასთან, კრიტიკა, რომელსაც არ ძალუძს ავტორიტეტული მწერლებისათვის სერიოზული შენიშვნების მიცემა, სწორედ ავტორიტეტს კარგავს სხვა მწერალთა თვალში და დაბალ დონეზე მსტომარე კაცს ემსგავსება. საამისოდ მოწოდების განსაზღვრა კი სულიერი სიკვდილის მომასწავებელია.

ავტორიტეტული მწერლების ბარიერი ერთ-ერთი დიდი დაბრკოლებაა ქართული კრიტიკული აზროვნების გზაზე. ამ ბარიერის გადალახვისათუ მოშლის საქმე სერიოზული რიგის ამოცანაა. თანაც გადაუდებელი და საშური საქმეა. ამ ბარიერის გადასალახად საჭირო სდება კრიტიკის ტექნოლოგიის მაქსიმალური მოწესრიგება განწმენდისა და სწორი ორიენტაციის დაბრუნების გზით. საამისოდ იმ დარღვეული კრიტიკერიუმებისა და საზომების სერიოზული მხილებაა აუცილებელი. მით უმეტეს, რომ ასე უანგარიშოდ გაფლანგულმა ქება-დიდების სიტყვებმა ნაწარმოების მეცნიერული შეფასება ვერ იტვირთეს. ის ნაწარმოებები თავიდან არის შესაფასებელი. ავტორიტეტული მწერლების ბარიერი, მხოლოდ ერთ იარაღს თუ იგუებს — მოყვრული პოზიციებიდან წარმართულ ზუსტ კრიტიკას. ავტორიტეტული მწერლების კრიტიკა ჩვენში სწორედ ამ მოყვრულ პოზიციას არის მოკლებული. ეს ერთი მხრივ ჩვენი ლიტერატურული პრესის პოზიციამაც განაპირობა. რაკი მოყვრული პოზიციებიდან გაწეული კრიტიკა არ იბეჭდება, ავტორიტეტულ მწერლებზე კრი-

ტიკას ამის შემდგომ მსოლოდ რაღაცის გამო განაწყენებული ავტორები წერენ.

კრიტიკის მოუთმენლობის ფსიქოზს კიდევ ერთი მიზეზი ამკვიდრებს: როდის და ვის მიერ, რის გამო და ვის მიერ იწერება არა კრიტიკული, არამედ განმაქიქებელი წერილი. ეს უკვე ავტორიტეტულ თუ ნაკლებ ავტორიტეტულ მწერლებს ერთდროულად ესება. სამწუსაროდ, იშვიათი გამონაკლისის გარდა განმაქიქებელი წერილი განაწყენებული კაცის მიერ იწერება (განმაქიქებელი! რადგან ამ სასიათის წერილებს მე ვერ დავარქმევდი კრიტიკას. კრიტიკა სხვა რამ არის, ამაღლებული ლიტერატურული ვნებებით დამუხტული ბრძოლაა კრიტიკა! რა საერთო აქვს მასთან ამ განმაქიქებელი წერილების ზღვას!). რამდენიც არ უნდა ვმალოთ ფარდის უკან ურთიერთობა, რამაც განმაქიქებელი წერილი შთაგვაგონა, წერილის ქსოვილი მაინც ჯიუტად გვამხელს, რადგან ლიტერატურული ვნებათაღელვის კარნახით გაწეულ კრიტიკას თავისი ფორმები აქვს, ხოლო ანგარიშსწორების ვნებათაღელვით დამუხტულ შენიშვნებს—თავისი. წერილის ქსოვილი სიყვარულსა თუ სიძულვილს ერთნაირად ამხელს. ეს სიყვარული და სიძულვილი ზოგჯერ სიღრმეშია ჩატანილი, ზოგჯერაც ზედაპირზე ტიეტევენს, მაგრამ მკითხველის თვალსა და გულს, მით უმეტეს, გამოცდილ ლიტერატურულ ცხოვრებას არაფერი გამოეპარება.

ანგარიშსწორების ვნებათაღელვით დამუხტულ არც ერთ შენიშვნას ადრესატი არ მიიღებს, როგორი ზუსტიც არ უნდა იყოს. ეს შენიშვნა და როგორი სასარგებლოც არ უნდა იყოს მისთვის ამ შენიშვნის არსი. იგი შინაგანად უპირისპირდება მოპაექრის სულისკვეთებას, განწყობილებას, დამოკიდებულებას, და რაკი. უპირისპირდება, მიუღებელი სდება ყოველი ნიუანსი, ყურადღებით არ ეკიდება არც ერთ დებულებას, ანგარიშს არ უწევს არც ერთ არკუმენტს. სამაგიეროს მიზღვის სურვილი ბატონდება სულში და მისი რეალიზაციისათვის იძაბება.

მოპაექრის ღირსებათა მიჩქმალვისა და ნაკლის გაზვიადების ტენდენცია ლიტერატურული ბრძოლის კანონი არ არის. ეს ანგარიშსწორების კანონია. ლიტერატურული ბრძო-

ლა — პირიქით, მოპაექრის ღირსებების წარმოჩენას გვაჭა-
ლებს, რომ გასარკვევ მეცნიერულ საკითხს მეტი ღირებუ-
ლება ჰქონდეს და ამ მეცნიერული საკითხის გარკვევისათვის
ბრძოლას საერთო საქმედ განგვაცდევინებდეს, საერთო ინ-
ტერესებით გვეკებადეს. საწინააღმდეგო მოსაზრებების გამო
გამწევეებული საუბარი ნამდვილ ლიტერატურულ სიმძაფ-
რეს აწოვებს ძუძუს და ინტერესი კამათისადმი ამ ბუნებრივი
არხით მიემართება. ანგარიშსწორების ვნებათაღელვა კი სწო-
რედ მოპაექრის ღირსებებს ჩქმალავს, ისე გულმოდგინედ
ჩქმალავს, თითქოს იგი არ არსებულა საერთოდ. თითქოს ეს
ნაკლია ყველაფერი, ამ ნაკლშია თითქოს მთელი არსი მოპა-
ექრისა. თვალეზაბრძავეებული ვინი განქიქებისა არაფრის
დანახვის საშუალებას არ იძლევა, დანახვის სურვილს სპობს.
მკითხველის, საზოგადოების თვალში მოპაექრის დამცირე-
ბის, აბუჩად ავდების ქუჩური სურვილიდა ზეიმობს. ვნებით
აცხრება იგი ყოველ არგუმენტს, რაც კი ამ მიზნისათვის
გამოადგება. შესძულებია მეცნიერული პრობლემა საერთოდ,
პრობლემა, რის გამოც თითქოს წამოიწყო პაექრობა. შესძუ-
ლებია ის არგუმენტებიც, რომელიც ამ პრობლემის გარკვე-
ვას სჭირდება. თავდავიწყებით არის შეყვარებული იმ არგუ-
მენტებზე, რაც მოწინააღმდეგის განსაქიქებლად გამოადგება,
სხვა არაფერი არ არსებობს. თავს დასტრიალებს საჭირო
არგუმენტებს, ენაწყლიანად ზრდის მის მნიშვნელობას და
დანიშნულებას. ამგვარი დამოკიდებულების შემდგომ სწელია
კრიტიკის მოთმენა მოვითხოვოთ ვისმესაგან.

კრიტიკის მოუთმენლობის ფსიქოზი ლიტერატურული
ატმოსფეროს ყოველი გოჯი მიწის დაუფლებას ესწრაფვის.
დიდსა თუ მცირეს — ყველას გაუჩნდა მორალური უფლება,
არ მიიღოს კრიტიკა, არ მიიღოს ავტორიტეტულ მწერლებზე
გაჩუმებული კრიტიკის შენიშვნები და არც ავტორიტეტულ
მწერლებს სწამთ „დაბალ ღობეებს“ დაჩვეული კრიტიკისა
რამე.

ერთი შეხედვით შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება იქმნე-
ბოდეს, რომ ყველაფერი კრიტიკოსებს, ე. ი. კრიტიკას ბრალ-
დებოდეს. ნურას უკაცრავად, კრიტიკოსთა დანაშაულის
ხვედრითი წონა ერთობ მცირეა. დიდი წილი ცოდვისა კრი-

ტიკისადმი — ესოდენ აუცილებელი ფენომენისადმი — ჩვენს დამოკიდებულებას ედება. ამ დამოკიდებულებამ გაამრუდა ვსა, არია სასომეხი, ასპარეზადან გააქცია კრიტიკოსები, ფა-სი დაუკარგა სიმართლეს და ასლა ისევ ვცდილობთ ამ გა-ნუყრელი ფენომენის ჩყენთან დაბრუნებას, რადგან მის გა-რეშე ლიტერატურულ ატმოსფეროს უანგბადი აკლია. კრი-ტიკული ასროყნება ლიტერატურული ატმოსფეროს უანგბა-დია, თუ იგი შეიბღალა, მაშინ მწერლობის ჯანსაღ ფუნქცი-ებზე ლაპარაკი ილუზიაა.

კრიტიკის მოუთმენლობის ფსიქოსს. კეებავს ლიტერატუ-რული სასოგადოებრიობის გულგრილობა პაექრობისადმი. ჯანსაღი ლიტერატურული ატმოსფერო თავისთავად გევა-ლებს, რომ უსამართლოდ გაკრიტიკებული ნაწარმოები და მისი ავტორი დავიცვათ. სასოგადოება, რომელიც ხეირის მაყურებლის როლში დგება, მოკლებულია ყოველგვარ ღირ-სებას და, პირველ ყოვლისა, დაკარგული აქვს უფლება სასოგადოებად იწოდებოდეს. არც ჯგუფური, კასტური გულ-შემატიყრობაა ჯანსაღი ლიტერატურული სასოგადოებრიო-ბის ცსოვრების წესი. ესეც თეთრი ძაფით ნაკერსა ჰგავს. გაყიდული, გაშიფრული ურთიყრობის კვალი ჩანს ყველგან. ლიტერატურული სასოგადოებრიობის ცსოვრების წესი ვერ უნდა ითმენდეს თუნდ ერთი პრეცედენტის დაშვებას, ვერ უნდა ითმენდეს კამათის დაცემულ კულტურას და პირველ ყოვლისა ამ კულტურის დასაცავად იღყწოდეს და არა გამორ-ჩევით თითო-ოროლას დასაფარავად. როდესაც ეს ასე არ სდება, როდესაც სელყოფისაგან ვიცავთ ერთს და მეორის პრესტიჟს კი გულგრილად ვეპყრობით, ჩვენდა უნებურად იმ ცილისმწამებლის დონესე ვეშვებით, კულტურით მასვე ეუ-თანაბრდებით.

ღიას, ასეთი კამათშია ჩათრეული თითქმის ყველა დისკუ-სია, დიალოგი, მონოლოგი... ყველა ის ფორმა, რაც ლიტე-რატურის სანგრძლივემა ისტორიამ დაავროვა თავის გსაზე. და ჩვენ ყველანი მეტ-ნაკლებად ვცოდავთ, ყველა რაღაც ფორმით ვუსდით ხარკს ან ერთი სიმასინჯეს ან მეორეს ან ყველას ერთად. ჩათრეულია ყველა ფორმა ამ უგვანო კამათში და ჩათრეულია ყველა მოპაექრე. ჩასაფრებული ცილისმწა-

მებლების განწყობილებით გაქვნილი წერილებს წონასწორობიდან გამოყავს ცნობილი მწერლები, მოღვაწენი, მეცნიერები, ვინც ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეს აკეთებენ. მავანი და მავანი ავტორები, რომელთაც არაერთი უფლება არა აქვთ, სხვას გადააბრალონ თავიანთი შესაძლებლობების სიპატარავე, მიზეზს მწერლობაში წარუმატებლობისა თავის თავში კი არა სსეებში ეძებენ, გაბრაუნების უფლებას ამიტომაც იტოვებენ და არ აცლიან ნამდვილ მწერლებს და ნამდვილ მოღვაწეებს სერიოზული საქმის კეთებას. შეურაცხყოფა პრესის ფურცლებზე, ცხადია, არც ისე ადვილი ასატანია და ნამდვილი მწერლები იძულებულნი სდებიან საქმე გვერდსე გადადონ და უსიამოვნო კამათში ჩაებან.

კრიტიკის მოუთმენლობის ფსიქოსს თვალსაჩინო მოღვაწეთა დამსახურებისადმი უგულისყურო დამოკიდებულებაც წარმოშობს. დაუნასაობის გულგრილი სენი მეცნიერული პრობლემის გარკვევისაკენ მიმართულ ავტორიტეტებს თანდათან შემოაბრუნებს სანგრძლივი, უმიზნო კინკლაობისაკენ. უყურადღებობით მიყენებული ტკივილები იკუმშება, მკერიუდება, ბოლმად ჩამოყალიბდება და სამართლიანობის აღსადგენად იმავე სერსს მიმართავს, რასაც ანგარიშსწორებელითა კომორტა იყენებს.

მაგრამ ქართული. ლიტერატურის ესა გამოფხისსლებას გვავალებს, გვავალებს კრიტიკის მოუთმენლობის ფსიქოსის კომპლექსის დაშლას. გვავალებს სანგრძლივი და თანამიმდევრულ ბრძოლას. გვავალებს ლიტერატურული პაექრობისათუ ბრძოლის მეცნიერულ საწყისებთან დაბრუნებას, რადგან შემოთ ჩამოთვლილი პრობლემები — კრიტიკული ანროვნებისაგან გადასატრელი პრობლემები, მეტს ვერ მოითმენენ. პაექრობის დღევანდელი კანონებითა და წესით კი ესის გაწალღვაზე ოცნება შედმეტია.

კამათის კულტურის დაბალ, მოუთმენელ დონესე ეს სოგადი საუბარი გახვიადებულად რომ არ მოგვეჩვენოს, კონკრეტულად მოვიგონოთ ყველა ის „მნიშვნელოვანი“ დისკუსია თუ კამათი, რომლებიც უახლოეს წლებში მიმდინარეობდა.

აკაკი გაწერელია ეკუთვნის მცირერიცხოვან მოღვაწეთა

რიგს, რომელთა კვალი ეროვნული კულტურის გზას ღრმად აჩნდება. ამ რანგის ლიტერატორები ყოველი ფესვის ნაბიჯზე არ გვხვდება. მისი რუდუნებით გაწეული შრომა და ბუნებრივი ნიჭიერება ბევრ საგულისხმო მეცნიერულ ნაშრომში აისახა და ის ნაშრომები ჩვენ ასლა ხელთა გვაქვს, როგორც ქართული კრიტიკული და ფილოლოგიური აზროვნების მონაპოვარი. ამ მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორი სათანადოდ არ არის დაფასებული, მას ამკარად მეტი სიყვარული, პატივისცემა ეკუთვნის ჩვენი მსრივ და სწორედ ამ კუთხიდან მინდა დავინახო აკაკი გაწერელიას ბოლოდროინდელი პოლემიკის უარყოფითი მხარეები. კერძოდ, მინდა ვივარაუდო ის მიზეზი, რამაც აკაკი გაწერელია მისთვის, მისი აზროვნების კულტურისათვის შეუფერებელი ანგარიშსწორების ვნებათაღელვამდე მიიყვანა. უთუოდ სადღაც გაიბზარა ჩვენი ყურადღების კედელი, რაღაც გამოუსწორებელი შეცდომა ჩავიდინეთ ნიჭიერი მკვლევარის მიმართ, რომ ტკივილი ტკივილს დაემატა და დაგროვილმა ტკივილმა შეუფერებელ ფორმებში გამოჟონა. თუ რა დაარღვია ამ ფორმებმა, მეცნიერული კამათის ადგილზე რა ფორმა გააბატონა, ამის გაანალიზება მე აუცილებლობად მეჩვენება, რადგან სწორედ თვალსაჩინო ავტორიტეტების ფიქრის მოძრაობა რომ არის გამრუდებული კრიტიკის მოუთმენლობის ფსიქოზით, ეს ფაქტია საგანგაშო, თორემ წვრილმანთა დახურდავებულ გრძნობებს რა ზიანის მოტანა შეუძლიათ. ორი გამოჩენილი მეცნიერის აკაკი გაწერელიასა და გიორგი წერეთლის კამათი ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების საგნად იქცა. ამ ავტორიტეტების წინაშე ამთავითვე დასარჯული ეპითეტები რევერანსად არ უნდა აიხსნას. მე მაინტერესებს მკითხველის ყურადღება ერთ რამეზე გავამასვილო: კრიტიკის მოუთმენლობის ფსიქოზი ლიტერატურის, მეცნიერების განვითარების შემაფერსებელი სწორედ იმიტომ არის, რომ ასეთი სიმაღლეები აქვს მოქცეული თავისი გავლენის ქვეშ.

მეცნიერული საკითხის, ლიტერატურული პრობლემის გარკვევისათვის საჭიროა კამათის მეცნიერული სტრუქტურა, თითოეული მოპაექრე, მიუსხედავად ინდივიდუალური სელწერისა, კამათის ამ მეცნიერულ სტრუქტურას ექვემდებარე-

ბა. ამ სტრუქტურის დარღვევა უკვე გამოირიცხავს ჭეშმარიტების დადგენის საშუალებას. მეცნიერული საკითხი ჭეშმარიტების დადგენის გზაზე გვავალებს საკუთარ მოსაზრებათა გამოკვეთას, ყველაზე მეტად დაძაჯერებელი არგუმენტების მოსმობას. ფაქტებიდან მომდინარე შესედულება საკუთარ ლოგიკას, მეთოდებს, სერსებს, მსოფლმხედველობრივ პოზიციას და მრწამსს მოითხოვს მაშინვე, როგორც კი პოტენციური მოპაექრე გამოჩნდება ასალი არგუმენტებით, ასალი მოსაზრებებით, თავისი ლოგიკით, მსოფლმხედველობრივი პოზიციით; ჩნდება აუცილებლობა მეცნიერული საკითხის ბოლომდე გარკვევისა. საჭირო სდება მოსაზრებათა შეჯერება, აზრთა გაცვლა მანამ, სანამ პრობლემა არ გადაწყდება. კამათის მეცნიერული სტრუქტურა გვავალებს, ყური ვუგდოთ პოტენციური მოკამათის მოსაზრებას, ანგარიში გავუწიოთ მის არგუმენტებს, დავპლიოთ საკუთარი შესედულების ურყეობის ილუზია და ვექვემდებარებოდეთ ჭეშმარიტებას: „იქნებ მე ვცდები“! გვავალებს გადავაფასოთ ჩვენი შესედულება, შევამოწმოთ არგუმენტები, მეთოდები და სერსები და თუ საკუთარი მოსაზრება ძირეულად მცდარია, გვეყოს ვაჟკაცობა (და სწორედ ამას ჰქვია კამათში ვაჟკაცობა!) უარყოთ ჩვენი მოსაზრება. თუ მსოლოდ ნაწილობრივ აღმოვჩნდებით მცდარნი, მაშინ მსოლოდ ის არგუმენტი დავთმოთ, რომელმაც სწორედ ნაწილობრივი მცდარობა განაპირობა; თუ მოპაექრის მოსაზრებათა სიმცდარეში ვართ დარწმუნებული, მაშინ აუჩქარებელი კამათი გემართებს, არგუმენტების გამდიდრება-გაძლიერება, რათა მოპაექრე დავარწმუნოთ მისი მოსაზრების სიმცდარეში. და ეს უნდა კეთდებოდეს დიდი ტაქტით, მოპაექრის პატივისცემას და სიყვარულს რომ გულისხმობს თავის თავში. მეცნიერული კამათის ეს ელემენტარული კანონები, მისი ერთი შესედვით მარტივი სტრუქტურა საოცრად ფაქიზია. საკმარისია დაარღვიო ეს სტრუქტურა, მეცნიერული კამათი სელიდან გაგისხლტება და ხელთ ის სინამდვილე შეგვრჩება, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ.

მეცნიერულ კამათში ყოველივე აქ თქმული მეცნიერული საკითხის გარკვევას უნდა ემსახურებოდეს, მის სამსხვერ-

პლოზე უნდა იქნას მიტანილი ჩვენი პირადი განწყობილებაც, დამოკიდებულებაც.

ქართულ კრიტიკულ აზროვნებაში დღესდღეობით ყველა მეცნიერული საკითხი გვერდზე რჩება. მოკამათენი ექვემდებარებიან არა მეცნიერული საკითხის ინტერესებს და არა მეცნიერული კამათის სტრუქტურას, არამედ ანგარიშსწორების ვნებათაღელვის კარნახს და მისთვის ნიშანდობლივი განმაქიქებელი პათოსის სტრუქტურას. ასეთ დროს, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერული საკითხი რჩება მოუვლელი! გადაუწყვეტელი! მისი სასულით სწორდება ანგარიში, შეიძობს ამბიციაც, პირადული ინტერესები.

ცხადია, ყველა დიდი ინტერესით უნდა მოელოდეს მეცნიერული საკითხის გარკვევას, როდესაც აკადემიკოს გიორგი წერეთელსა და პროფ. აკაკი გაწერელიას შორის პაექრობა იმართება. „მეტრი და რიტმი ვეფხისტყაოსანში“, რუსთაფელის პოემისა და საერთოდ ქართული პოეტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხთა გარკვევის მიზანი, რაც თითქოს ამ პაექრობის შინაარსში იგულისხმებოდა, ბუნებრივია, ძაბავდა ჩვენს ყურადღებას. მაგრამ სამწუსაროდ, ეს საკითხი, ყველა შენაკადი საკითხითურთ, დარჩა გადაუჭრელი. დაიხარჯა დიდძალი ქალაღი, ენერგია, მკითხველის ყურადღება... და რისთვის! მსოლოდ და მსოლოდ იმ დასკვნის გამოსატანად, რომ გიორგი წერეთელი და აკაკი გაწერელია თურმე კეთილგანწყობაში არ ყოფილან. ეს კამათი წამოუწყიათ სულ ტყუილ-უბრალოდ, ერთმანეთის განსაქიქებლად. ძნელია, ძირები დაუძებნო ამგვარ ურთიერთობას: საიდან დაიწყო ყველაფერი, რას მოყვა განაწყენება, ვინ იყო დამნაშავე, ვინ მეტი შესცოდა. ძნელია ცნობილ მეცნიერებს (ერთს აწ განსვენებულს) მნიშვნელოვანი დამსახურებისა და ქართულ ლიტერატურასა და მეცნიერებაში საკუთარი ადგილის მქონე პიროვნებებს, მოწინების გარდა რაიმე შეჰბედო, მაგრამ თვალის დახუჭვა მომსდარ ფაქტზე უკვე ქართული მწერლობის, მეცნიერების მტრობაა. რადგან, თუ დასაშვებად მივიჩნევთ გამოჩენილ მეცნიერთა ამგვარ კამათს, მაშინ იმ აზრსაც შევგუებით, რომ მეცნიერული კამათი სწორედ ასეთ პაექრობას ჰქვია, ე. ი. სტილს შევეგუებით, ე. ი. ფაქტიურად მახინჯ

ფორმებს ჯანსაღ ფორმებად ვაღიარებთ და მეცნიერული კამათის მომავალსაც დაველუპავთ. და დღეს საქართველოში მე არ მეგულება კაცი, რომელიც საკითხს, რაზეც გიორგი წერეთელი და აკაკი გაწერელია კამათობდნენ, გადაწყვეტილად თვლიდეს. შეიძლება მოკამათე მხარეებმა გვითხრან, ჩვენთვის ეს საკითხი გარკვეულიაო. მაგრამ სინამდვილეში მათთვის გარკვეულია იმგვარად, როგორადაც თავიდანვე სწამდათ თავად, ხანამ მოპირდაპირე მხარესთან კამათში ჩაებმებოდნენ. ლიტერატურული სასოგადოებრიობისათვის კი საკითხი, რაზეც გიორგი წერეთელი და აკაკი გაწერელია კამათობდნენ, გარკვეული არ არის! მოკამათეებმა საკითხი, რაზეც პაექრობა გაჩაღდა, თვითონვე დაიფიწყეს. საკითხად პოტენციური მოპაექრის განქიქება იქცა. ეს მიზანი მოგვევლინა პაექრობის თემად. ამ პაექრობასთან დაკავშირებით „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა წერილი „მეცნიერული კამათი თუ ცილისწამება“? ამ წერილის მთავარი ადრესატი პროფ. აკაკი გაწერელია გასლდათ, მაგრამ სამწუსაროდ მართო აკაკი გაწერელიასთვის მთელი ცოდვების გადაბრალება არ იყო სწორი. ტყუილ-უბრალოდ როდი სწერდა შემდგომ აკაკი გაწერელია, ტონი აქეთ შემომთავაზესო. სიმართლე ის არის, რომ არც ერთი მხარე ტოლს არ უდებდა ერთმანეთს კამათის მეცნიერული სტრუქტურის დარღვევაში. განსაკუთრებით ითქმის ეს კამათის შემდგომ ეტაპზე, როდესაც გიორგი წერეთლის მოწაფეებიც ჩაებნენ აკაკი გაწერელიასთან კამათში. ის საკითხი, რომელიც გიორგი წერეთლისა და აკაკი გაწერელიას კამათში გაურკვეველი დარჩა, სადღაც ბნელში რომ ჩაიძირა, ასევე გაურკვეველი დარჩა გიორგი წერეთლის მოწაფეებსა და აკაკი გაწერელიას შორის გამართულ კამათშიც. შემდეგ საკითხიც შეიცვალა (მოკამათეების განწყობილება და ანგარიშსწორების ვნებათაღელვა დარჩა მხოლოდ იგივე. და ესეც ამტკიცებს, რომ ერთი რომელიმე საკითხის გარკვევა კი არა, სხვა რამ მიზანი ამოძრავებს ჩვენს ფიქრებს), არ შეცვლილა განქიქება როგორც მიზანი. არ შეცვლილა განწყობილება და დამოკიდებულება, არ შეცვლილა განქიქების მიზნით არგუმენტების მოსმოების სტრუქტურაც. მეცნიერული საკითხის გაწირვის შემდგომ, ანგარიშ-

სწორების ენებათაღელვის სრული ზეიმის პირობებში შესატყვისი განწყობილება და დამოკიდებულება ჩაუდგა სათავეში კამათის ტონს. მან წარმართა მისი აფრები.

კონსტანტინე წერეთელი აკაკი გაწერელიას მისამართით:

1. „ეს არ შეიძლება არ ესმოდეს ჩვენს რეცენზენტს, თუმცა ამ ენებში ვარკვევა და სათანადო სპეციალური ლიტერატურის ცოდნა მის კომპეტენციას სცილდება. მაგრამ ამ შემთხვევაში ა. გაწერელიას მიერ წარმოდგენილი ბრალდება შეიძლება აიხსნას როგორც დემაგოგიური განცხადება“.

2. „რაც შეეხება რეცენზენტის თქმას, რომ საბუთები ამ წარწერთა ენის არამეულობის შესახებ არაღის წამოუყენებიაო (იქვე), ესეც უცოდინარობის ბრალია და არა მარტო უცოდინარობის, რადგან ჩვენ ჩვენს სტატიაში დავასახელებთ მეცნიერები, რომლებიც წარწერთა არამეულობასუ მიუთითებენ და, ვფიქრობთ, ადასტურებენ კიდევ (ჩვენ ასე მიგვაჩინია, საწინააღმდეგოდ რეცენზენტისა, არასპეციალისტისა)“.

3. „და ეს აღაშფოთებს მეცნიერს, რომელსაც, სხვათა შორის, არც მასწავლებელი ჟეავეს და არც მოწაფე (ცხადია, მეცნიერული სკოლის თეალსაზრისით).“

4. „რაც შეეხება „პეტრეს ცსოვრების“ სირიული და ქართული ტექსტების ურთიერთობას, ვშიშობთ, რომ მასზე მსჯელობა, რეცენზენტს, როგორც არასპეციალისტს, გაუჭირდება. ამისათვის, ალბათ, საჭიროა სირიული ენის ცოდნა, რადგანაც რააბეს მიერ გამოცემული სირიული ტექსტის გერმანული თარგმანი, როგორც ეს სშირად აღუნიშნაყთ. შეცდომებს შეიცავს. ჩვენ ჯერ კიდევ 1964 წელს ადგილზე გავეცანიით აღნიშნული თარგმანის სირიულ დედანს, რომელიც ბრიტანეთის მუსეუმშია დაცული. ამუამად ჩვენ ვსწაყლობთ სხვა სელსაწერებს, რომლებიც პეტრეს ცსოვრების აღწერას შეიცავს და ვფიქრობთ მათ შეჯერებას ქართულ ტექსტთან. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მათი ურთიერთობის შესახებ სერიოზული საუბარი. ვისაც ეს არ გაუკითებია და ამის შესაძლებლობა არა აქვს, არც უფლება აქვს ამ საკითხზე მსჯელობისა, და თანაც ასეთი კომპეტენტური და დიდაქტიკური ტონით“.

5. „გაოცება გამოიწვია ჩვენი რეცენზენტის მიერ ტერმინ „სირიოლოგის“ უადგილო სმარებამ. როგორც ჩანს, იგი ვერ ერკვევა ამ ტერმინის (და მაშასადამე, ასევე „ასირიოლოგის“) შინაარსში, როდესაც გვისაყვედურებს როგორც ასირიოლოგს, სირიული ძეგლის „ირგვლივ“ (ესეც რეცენზენტის ქართულია) „ასეთი რამ არ უნდა შემთხვეოდა“ (თუ რა „შეგვემთხვა“ ამაზე ზემოთ იყო საუბარი). ეს კი ყველა მეტ-ნაკლებ განათლებულმა მეცნიერმა (ისიც კუმანიტარული მეცნიერების წარმომადგენელმა) უნდა იცოდეს“.

აკაკი ვაწერელია კონსტანტინე წერეთლის მისამართით:

1. „ქართულ მეცნიერებაში ჩვენ არ ვიციტ მეორე მაგალითი საკუთარი დაწერილისა და დაბეჭდილის ასეთი უტიფარი უარყოფისა“.

2. „გაუპართლებელ ვარაუდს, რომელიც აღმოცენდა 1896 წელს, კ. წერეთელი თავისებურად იმეორებს ოთხმოცდაერთი წლის შემდეგ (გაუცნობიერებლად?) და ესაა საკითხების „ღრმა ცოდნა“ და კვლევის „თანამედროვე დონე“? სწორედ ედ. შვარტცის ნაშრომის ნამდვილად წამკითხველს ასეთი რამ არავითარ შემთხვევაში არ მოუვიდოდა“.

3. საერთოდ კ. წერეთლის მთელი მსჯელობა და „ვარაუდები“ — პეტრეს „ცხოვრებათა“ ვარიანტებზე „მეცნიერული თვალსაზრისით აგრეთვე სრული გაუგებრობა“.

4. კ. წერეთელს კი სელთ კქონია „პეტრეს ცხოვრების“ სირიული სელნაწერების ასლები, მაგრამ მსოლოდ დღეს ალაპარაკდა პრესაში პეტრე იბერიელის წყაროების საკითხებზე და სმის პირველი ამოდებისთანავე უმძიმესი შეცდომები დაუშვა, თანაც უდიერად მიმართა ადამიანს, რომელიც მრავალი წელია ემსახურება ქართულ მწერლობას და ფილოლოგიას, წერეთელს კი ამ დარგში მგონი არაფერი გაუკეთებია, მან მსოლოდ შეცდომები და საკუთარი სიტყვების უარყოფის უნარი გამოამჟღავნა. ჩვენ ვურჩევთ ავტორს: ჯენტლმენური რჩევა-დარიგებანი უდრტვინველად მიიღოს და ქართული კულტურის უფროსი თაობის მოღვაწეებს თავაზიანად მიმართოს ხოლმე. „ასურული მე ვიცი — შენ არ იცი“-ს თეორია მას წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ იხსნის“.

5. „თვით ჩვენი ავტორის ენა კი საერთოდ არც კარგია და

არც ცუდი. იგი წყალ-წყალა და ანემიური მსჯელობის გამოვლენაა მხოლოდ (სტილის არტისტიზმი სომ ასეთი ხალხისათვის სრულიად უცხო სილია!).

6. „როგორი ამბიციანა!!! მოვასხენებთ ჩვენს ავტორს: მე არ გამივლია ასპირანტურა მასწავლებელ-დირექტორის სექციებით და არც ვისმესთვის მიღალატნია სიცოცხლეში ან სიკვდილის შემდეგ. და არც ერთ ჩემს მასწავლებელს არ მიუგზავნია ვინმე თხოვნით — გვარი გამოიცვალო. თანაც უშუალო მასწავლებლების გარდა მე გაზრდილი ვარ ქართული და მსოფლიო ლიტერატურის მიერ“.

ამგვარი განწყობილებისა და ამგვარი დამოკიდებულების მოპაექრენი რომ მეცნიერულ საკითხს ვერ გაარკვევენ, ეს ყოველგვარი კომენტარის გარეშე ნათელი უნდა იყოს მკითხველისათვის. მაგრამ კომენტარი მაინც აუცილებელია — დაუჩინებელი და დაუცსრომელი კომენტარი: ამგვარი განწყობილება, პირველ ყოვლისა, კლავს სურვილს რაიმე საკითხის გარკვევისა, საერთოდ საკითხსზე ფიქრის სურვილს კლავს. საკითხი ჰერმეტიკულად ისურება. მოკამათეთა ინტერესები გვერდს უვლიან მას, როგორც მარადიულობაში გარინდულ კლდეს. და რაკი მეცნიერული საკითხის გარკვევის სურვილი შეცვალა საკუთარი პრესტიჟის აღდგენისა და მოწინააღმდეგის განქიქების სურვილმა, ყველა არგუმენტი გადაფასდა, მეცნიერული ღირებულების არგუმენტები ხელუხლებელი დარჩა ცოდნის ფსკერზე და მალლა ამოიზიდა გამოგონილი თუ არსებული, ოღონდ უკვე მტრობის სამსახურში ჩამდგარი არგუმენტები. არგუმენტების ფუნქცია შეიცვალა. კამათის ლოგიკას მხარი ექცა და შედეგმაც არ დააყოვნა. შეურაცსყოფილი დარჩნენ თავისთავად საპატიო მეცნიერები. შეურაცსყოფილი და იმედგაცრუებული დარჩა მკითხველი საზოგადოება, არამეცნიერული, არალიტერატურული კამათისაგან დაზარალდა მეცნიერება, კულტურა. საკითხის გაურკვეველობის გამო კი არა მარტოდენ, შესედულებათა კიდევ უფრო მეტად აბურდვის გამო. თანაც შეიბღალა ლიტერატურული ურთიერთობის ატმოსფერო.

სამწუსაროდ, შებღალული ატმოსფეროს განწყობილებით

დამუსტული ამგვარი მოსაზრება გაბატონდა (და მას საზოგადოებრიობის უძრაველესობა იზიარებს: „უშეცართა და უნიჭოთა მსილებაჲ მეცნიერულ საქმიანობაში შედის და ასეთი რასქეს ჩვენ ვერაინ დაგვიშლის“ (აკაკი გაწერელია). საესეპით სწორია, „უშეცართა და უნიჭოთა მსილება“, რა თქმაუნდა, მეცნიერული საქმიანობაში შედის, მაგრამ მსილების ფორმა და შინაარსი მეცნიერული კამათის კულტურის სფეროში შედის და ამ ფორმების დარღვევას ეროვნული კულტურა არ დაგვანებებს.

ამავე მიზეზის წყალობით გაუთავებელ დავად იქცა ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის თავისთავად საოცრად ნათელი და ღრმა საკითხები. მეცნიერთა მხრივ არამოყვრულმა კამათმა სელოვნურად გააბუნდოვანა დიდი მწერლის პროგრამასავით ცხადზე ცხადი მსოფლმხედველობა. მე ძალიან მეეჭვება მისეილ კვესელავას და პროკოფი რატიანის კამათის მიმართულებამ რაიმე ასალი სსივი შეიტანოს ამ საკითხების გარკვევაში. პროკოფი რატიანის წერილს თავიდან ბოლომდე მსჭვალავს მსოლოდ ერთი სურვილი, არაფერი არ გაიზიაროს მისეილ კვესელავას მოსაზრებებიდან. იქნებ მართლაც დაშორებულია მისეილ კვესელავას მოსაზრებები ჭეშმარიტებას ასი მილით? თუ ასეა, მაშინ სასარგებლო უნდა იყოს პროკოფი რატიანის ცდა, გარჯა. მაგრამ წერილის ქსოვილი ამუღავენებს, რომ პროკოფი რატიანი მოკამათესთან ერთად საკითხის გარკვევის მეცნიერული ინტერესით კი არ არის დამუსტული, არამედ მისეილ კვესელავას ყველა არსებითი შესედულების თავდაყირა დაყენების სურვილით. საიდან მოდის ამგვარი განწყობილება, ამგვარი დამოკიდებულება? ყველაფრიდან ჩანს, რომ მისეილ კვესელავას „ფაუსტური პარადიგმების“ იმ ნაწილს, რომელიც ილიას ესება, მსოლოდ საბაბის როლი უკისრია. დიდხანს არ დამცხრალა განქიქების ენება. თავისთავად უკვე ეს ფაქტია დამაფიქრებელი. პროკოფი რატიანი, ილია ჭავჭავაძის ცნობილი მკვლევარი, ვეჭვობ, მსოლოდ თავის კომპეტენციად თვლიდეს დიდი ილიას შემოქმედებას და ამიტომ განეწყობოდეს აგრესიულად ილიას სსვა მკვლევართა მიმართ. ამგვარი ვარაუდის დაშვებაც კი წარმოუდგენელია. თანაც თუ მეცნიერული ჭეშმარი-

ტება დამახინჯდა მიხეილ კვესელავას მიერ, ათ წელს ილიას შკვლევარი გაჩუმებული ვერ იქნებოდა, თუ ათი წელი გაჩუმდებოდა, ათი წლის შემდეგ ასე ცხარედ ვერ აღაპარაკდებოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ რაღაც გაიზარა მოკაპათეთა ურთიერთობაში. როდის, ამას მნიშვნელობა არა აქვს. და აი, ილია ჭავჭავაძის შემოქმედება შესანიშნავი საგანი აღმოჩნდა მოკაპათეთა გასამუდავებლად და ისევ მეცნიერული კამათის სტრუქტურის რღვევა, საკუთარი შესედულების გასატანად ყველა არგუმენტის მოსპობა, მოწინააღმდეგის განსაქიქებლად ყველა სერსის მოშველიება, მეცნიერული საკითხის გარკვევის, რიგორც მიზნის დაღწევა.

გურამ ასათიანის წერილი „დიდი მოლოდინი“ იყო სერიოზული ცდა 60–70-იანი წლების ქართული პოეზიის ვრცელი პანორამის დასახასიათებლად. იგი გვესახებოდა დასაწყისად იმ ლიტერატურული დისკუსიისა, რაც ასე ენატრება მწერლობას. ამ დისკუსიით უნდა გარკვეულიყო დღევანდელი ქართული პოეზიის უმთავრესი ტენდენციები, გამოვლენილიყო ჩვენი მწერლური პოზიცია და დამოკიდებულება ამ ტენდენციებთან. გურამ ასათიანის წერილი კარგ ლიტერატურულ საბაბს წარმოადგენდა ასეთი დისკუსიისათვის. მაგრამ დაიბეჭდა გივი ვარდოსანიძის გამოსმაურება და ლიტერატურული ბრძოლის პრინციპები თავდაყირა დადგა. გამოსმაურება ფაქტიურად იყო მონდომებული ცდა როგორმე გამოეჩხრიკა მიუღებელი, პარადოქსული შესედულებები გურამ ასათიანის წერილში და მზის სინათლეზე გამოეტანა ისინი. ეროვნული და ზოგადადამიანური პრობლემები, რომელთა გარშემო გვესაუბრებოდა გურამ ასათიანი, ხელოვნურად იქნა მიჩქმალული. ქართული პოეზიის ტენდენციების გარკვევისა და დადგინების ნაცვლად გურამ ასათიანის შესედულებათა ზოგიერთი ნაკლის უსაზღვროდ გაზვიადებისა და შემდგომ უკუგდების პრინციპს მოემსახურა გივი ვარდოსანიძის პასუხი. მიზანი — დღევანდელი ქართული პოეზიის რაობის, მიმართულების გარკვევა, — ეს უზარმაზარი მიზანი გაიწირა და არამოყვრული დამოკიდებულების კარნახით დაჯგუფდა არგუმენტები. და იქ, სადაც სერიოზული, კეთილშობილური ლიტერატურული ბრძოლა უნდა დაწყებულიყო,

ამოტივტივდა ქვეტიქსტებს თავშეფარებული არაჯანსაღი ურთიერთობის კვალი და კამათი დასაწყისშივე გაქეპდა. გურამ ასათიანისათვის, ბუნებრივია, მეუქნეველი არ დარჩენილა, რომ ბრძოლამ არალიტერატურულ არენაზე გადაინაცვლა და დისკუსიის გავრძელება უაზრობად ჩათვალა, მან არ უპასუხა ოპონენტს. მაგრამ ის მაინც — თანამედროვე ქართული პოეზიის რაობის გარკვევა — სომ დარჩა აუსხნელი, შეუცნობელი. შეცნობის გარეშე კი, ბუნდოვანი წარმოდგენების წრეში, არც კრიტიკული აზროვნება ვითარდება და არც შემოქმედებითი პროცესი ხაერთოდ.

პოეტური კონსტრუქციების სიასლის აუცილებლობაზე ზრუნვა შეგვასხენა გურამ პეტრიაშვილმა აღმანას „კრიტიკაში“ გამოქვეყნებულ თავის წერილში, რომელსაც პოეტმა ტარიელ ჭანტურიამ უპასუხა.

ჩვენი ლიტერატურული ატმოსფერო ისეა გაუდენთილი ანგარიშსწორების ენებათაღელვით, რომ უკვე აღარავის უკვირს ირონიით (არალიტერატურული ირონიით!) აბუჩად აგდების აქცენტებით დატვირთული წერილები. პირიქით, სწორედ ის გვიკვირს, როცა მოპაექრეს დაციენით არ უპასუხებ. როგორც ჩანს, სისხლში და სორცში გავვიჯდა კამათის არალიტერატურული ეთიკა. ამ პაერით ვსუნთქავთ და სრულიად ჩვეულებრივ აშბად გვეჩვენება.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სიტყვების ავტორი შინაგანად მუდამ დაპირისპირებული იყო კამათის უხემ ტონთან, ზოგიერთ მის სტატიაში მაინც მოხვდა უხეში ფრაზები.

დღეს არ შეიძლება ცუდ გუნებაზე არ დამაყენოს საკუთარმა სიტყვებმა, უხემ ტონს რომ გამოსცემენ, რადგან შეგუება კამათის ამგვარ სტილთან კრიტიკული აზროვნების მოკვდინებას წარმოადგენს.

ტარიელ ჭანტურიას და გურამ პეტრიაშვილის მწერლურ კულტურაზე, ისევე როგორც რამდენიმე მოპაექრის კულტურაზე ეჭვის მიტანა აზრად არავის მოუვა, მაგრამ, როდესაც კამათის მახინჯი ფორმები კრიტიკული აზროვნების კანონიერ ფორმებად მიიჩნევა, ყველანი და მათ შორის ტარიელ ჭანტურია და გურამ პეტრიაშვილი, ცხადია, ამ ფორმებს

თავს ვერ დააღწევენ. გურამ პეტრიაშვილის წერილი თითქოს უწყინარი პოზიციებიდან იყო დაწერილი! მაგრამ მსოლოდ ერთი შესედევით ჩანს ასე. გურამ პეტრიაშვილის მსრივ მიუღებელი კონსტრუქციების უარყოფაში ზოგჯერ ლიტერატურული პოზიცია კი არა, სუბიექტური უპატიეცემულობის კვალიც დაინახა და ამ კვალმა ტარიელ ჭანტურიას მძლავრად უბიძგა კამათისაკენ და საბოლოოდ, მიუსედავად მათ კამათში წამოჭრილი ბევრი საინტერესო დებულებისა, ვერც თავიანთი პოზიცია წარმოადგინეს, და, ცხადია, ვერც საკითხი გაირკვა ბოლომდე. კვლავ გამრუდდა ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზა და საკითხი საკითხად დარჩა, მოპაექრებები და მკითხველები კი შეურაცხყოფილნი.

ტარიელ ჭანტურიასა და გურამ პეტრიაშვილს — განათლებულ ნიჭიერ პოეტებს — მართლაც ძალუძდათ ბევრი საინტერესო მოხაზრების დამკვიდრება და სადავო საკითხის გარკვევა, მაგრამ იმ დამოკიდებულებით, რა დამოკიდებულებაც მათ პაექრობაში შეიგრძნობოდა, წარმოუდგენელია რაიმეს დამკვიდრება.

ჩემი პათოსის მოგერიება ერთი შესედევით ძალიან ადვილია. დასწამებ დამრიგებლურ პოზას ამ სიტყვების ავტორს და მთელ საუბარს სწორედ უტაქტობად, სწორედ ტონის დარღვევად ჩაუთვლი. მაგრამ ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი იაფფასიანი სვლებისა და დასკვნებისაგან. ღმერთმა დაგვიფაროს, ვინმეს ჭკუას ვარიგებდეთ! უბრალოდ, დადგა დრო, რეკდეს ვანგაშის ზარი, გვაიძულებდეს გამოფსიზლებას ყველას უკლებლივ. არ შეიძლება შევეგუოთ კრიტიკული აზროვნების ამგვარ სტილს, არ შეიძლება შევეგუოთ იმ ფაქტს, რომ მეცნიერული და ლიტერატურული პრობლემის გადაჭრის ნაცვლად ჩვენს დისკუსიებს მიზნად ანგარიშსწორება დაეუგდოთ.

ჩასაფრებული კაცის ფსიქოლოგია დღეს ქართული კრიტიკული აზროვნებისათვის ნაცნობი ფენომენია. სიტყვიერი ქსოვილი ყოველ ფესის ნაბიჯზე ამსელს ავტორს. განაწყენებული კაცისათვის კრიტიკული აზროვნების დღევანდელი სტილი უზარმაზარ ასპარეზს იძლევა. სწორედ განაწყენებული ავტორები წერენ კრიტიკულ წერილებს ავტორიტეტულ მწერლებზე. არავენ ფიქრობს იმაზე, რა ზიანი მოაქვს ლი-

ტერატურისათვის ამგვარ წერილს, როგორ ანაგვიანებს იგი ურთიერთობის სათუთ ბილიკებს, როგორ სერგავს ჭეშმარიტებასთან მისასვლელ გზებს. განაწყენებული კაცის მიერ ნათქვამი სიმართლეს რომ ანტისიმართლეთა, არც ამაზე ვფიქრობთ ბევრს. იგი უკურეაქციის საშინელ ტალღას უბრუნებს სიმართლეს. ჩასაფრებული კაცის განწყობილება მსჭვალავდა მთლიანად ნოდარ ნათაძის, შალვა ჩიჩუას, სოლომონ დემურსანაშვილის, იოსებ მეგრელიძის წერილებს. მათი მოპაექრებები: გურამ გვერდწითელი, სოსო სიგუა, თამაზ ბიბილური, გურამ შარაძე იძულებულნი შეიქნენ პასუსი გაეცათ და ძნელი აღმოჩნდა დღევანდელი კამათის ფორმებისაგან თავის დაღწევა.

გამრუდდა წარმოდგენები ლიტერატურულ ბრძოლასა და ლიტერატურული ბრძოლის სიმძაფრეზე. უხემ კამათს მწვავე კამათი ვუწოდეთ, ლანძღვა-გინებას—მძაფრი დისკუსია! დღეს ჭეშმარიტი მწერლებისგანაც გაიგონებთ ასეთ რამეს: კრიტიკის დასაჭურისება უნდათ, მწვავე წერილებს გაურბიანო.

კრიტიკა სწორედ კამათის შეურაცხყოფელი ფორმების ტყვეობაში საჭურისდება! როდესაც ჩასაფრებული კაცის ფსიქოლოგიას ექვემდებარება კამათის ტონი, მის მიზანს კი — პაექრობის მიზანი, როდესაც ანგარიშსწორების ვნებათაღელვას ეწირება მეცნიერული საკითხი, როდესაც განქიქების სამსასურში დგანან არგუმენტები, ამ დროს საჭურისდება კრიტიკა! რადგან მას ნაგავით აქვს ჩასერგილი არტერიები, ასეთი არტერიები კი ჭეშმარიტების წმინდა სისხლს ვერ გაატარებენ. ეროვნული კულტურის მთლიანობა კი იწეწება პირადული ინტერესების ხანჯლისებურ წვერებსზე, რადგან ჩვენი მიზანი, სულისკვეთება არ ერთიანდება ამ კულტურის ინტერესებით; მისი მთლიანობისათვის როდი ვსარჯავთ ენერგიას! ასეთი მთლიანობისაკენ მსოლოდ ლიტერატურული ბრძოლა შეიძლება იყოს მიმართული. ჩვენი ანგარიშსწორების ვნებათაღელვა კი გამორიცხავს ლიტერატურულ ბრძოლას.

ჩვენი ცნობისმოყვარეობა, ინტერესი დისკუსიისადმი დღეს აბუჩად აგდების, მოწინააღმდეგის მოთხრის, არალიტერატურული ირონიის წვენით იკვებება, ბანალური სერსე-

ბით ერთობა. მოთხრისა და აბუჩად აგდების ათასგვარი სერსი კამათის სიმძაფრედ გვეჩვენება. გვეჩვენება, თითქოს პაექრობას სიმძაფრე მოაკლდება, თუ ამ სერსებზე ვიტყვით უარს. მაგრამ ის, რასაც დღეს ჩვენ სიმძაფრეს ან სიმწვავეს ვეძახით; არც სიმძაფრეა და არც სიმწვავე. მისი სახელი ლანძღვა-გინებაა.

რაც შეეხება სიმძაფრეს, რომლის გარეშე მართლაც წარმოუდგენელია დისკუსია, კამათი, მიოდით თავისი სახელი დავარქვათ ყველაფერს. ჩვენ სომ ყველამ მშვენიერად ვიცით, რომ ლიტერატურული სიმძაფრე არ შეიძლება იკვებებოდეს ანგარიშსწორების ვნებათაღელვით. მსოფლიო ლიტერატურული პოზიციებისა და პრინციპების განსხვავებული ლოგიკის შესლა ბაღებს ამადლებულ სიმძაფრეს. მძაფრია ილია ჭავჭავაძის მსჯელობა, სადაც ის არაფერს არ უსწორებს ანგარიშს, მაგრამ სიტყვა სიტყვას აბედივით აკვებებს:

„რაკი ამ დიდებული ქართველობის აზრი, ის საყოველთაო სახელი გონებიდან გამოგვეცალა, ჩვენი გონება დაიფუყა, სულით და სორცით დავკუწმაწდით. გონება ჩვენი, როგორც ყოველივე საგანი, რომელიც დაიკუწება, შეგვივიწროვდა, დაპატარავდა და რასაკვირველია, ვერაფერ კარგსა და დიდ აზრს ვერ დაიტევდა და ვერ ზიდავდა. ამ მიზეზით ყოველივე აზრი, ფიქრი, სურვილი, გრძნობა დაგვინამცეცდა, გონებითაც, ზნეობითაც დავპატარავდით, მას აქეთ, რასაც კი ხელი მოვკიდეთ, ვეღარ მოვერივენით, რასაც კი გონების თვალთი დავაკვირდით, გონებაში ვერ დავიტიეთ; ავიღეთ ყოველი იგი და დავანაკუწეთ, იმოდენა ნამცეცებად ვაქციეთ, რამოდენის ზიდვასაც თვითეული ჩვენგანის ღონე შესძლებდა, რადგანაც მთელის ზიდვისათვის საერთო მსარი აღარა გვექონდა.“

მძაფრია ილია ჭავჭავაძის „ქეათა ღაღადი“, სადაც ის ისტორიის გამყალბებლებს ეკამათება. ილია დაუნდობელია და მკაცრიც არის ზოგჯერ, მაგრამ მსოფლიო მაშინ, როდესაც საქვეყნო ინტერესებისათვის კამათობს. ამ დროს იგი ვადის ლიტერატურული ბრძოლისა თუ პაექრობის საზღვრებიდან, მაგრამ საღსისა და ქვეყნის მტერს არათუ მწარე სიტყვა, შეიძლება თოფიც ესროლო.

დღეს კი, როდესაც ლიტერატურულ ბრძოლებს კი არა

პირადი ანგარიშსწორებისათვის ვასურდევებთ დისკუსიას, უსკუ ტონს არავითარი გამართლება არა აქვს.

მწვავეა დიმიტრი ყიფიანის ცნობილი სიტყვა, ყოველი ნერვით სართის და გვაჯადოებს საოცარი ექსპრესიით.

არ შეიძლება ამ სიმძაფრის განმსაზღვრელი შინაარსი დავივიწყოთ ან ლიტერატურულ სიმძაფრედ კინკლაობა გამოიყაცხადოთ.

ჭეშმარიტი მეცნიერული კამათის, ლიტერატურული ბრძოლის სურვილი ეროვნული მწერლობის შინაგანი მოთხოვნილებაა და იგი გვავალებს ჩვენს თავს აუუკრძალოთ ლიტერატურის დამაკინებელი, დამანაწევრებელი, გამომფიტველი ფორმები, პირადი ანგარიშსწორების განწყობილებით რომ არის დამუსტული. ქართული სალიტერატურო და მეცნიერული პრესა ასეთი განწყობილების დამასინჯებულ წერილებს, უბრალოდ, გზას არ უნდა აძლევდეს, რადგან თუ პირადი ანგარიშსწორების მიერ მეცნიერებისა და მწერლებისათვის მიყენებულ ზიანს გავსომავეთ მთელი სიგრძე-სიგანით, თუ ავწონ-დავწონით აუნაზღაურებულ ზარალს, რაც ასეთ სტილს მოაქვს, მაშინ ნათელი იქნება, რამოდენა დანაშაულია კამათის ნაგულისხმევი ფორმების პარპაში.

ჩვენში ძალაან ჩამორჩენილია სარეკლამო კრიტიკა. იგი ფაქტიურად არ არსებობს, მაგრამ სურვილი ამა თუ იმ წიგნის რეკლამირებისა სმარად მეცნიერული კრიტიკის ფორმებში ამოუყოფს თავს და შლის ზღვარს ამ ორ სხვადასხვა ხუეროს შორის. ხარკლამო კრიტიკასაც თავისი მეცნიერული საფუძვლება აქვს და მკითხველთა მისაზიდად უნდა იქნას გამორჩეული ისეთი წიგნები, რომლებიც ნამდვილად არიან უურადლებას ღირსნი. სისუსტე რეკლამირებასაც სჭირდება, მაგრამ რეკლამირებისათვის ორგანული „გაშვიადება“ არ შეიძლება აარიოს მეცნიერული კრიტიკის სისუსტეში. ლიტერატურულ კრიტიკას მოეთხოვება მეცნიერული სისუსტე და თავდაჭერილობა, საგნის გადაუჭარბებელი შეუახება. ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის ღრმად გაცნობასა გრძნობთ, რომ უდადესა ნაწილი ასეიადებს საგანთა მნიშვნელობას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თი-

თქოს მთელი კრიტიკა რეკლამირებაზე იყოს გადასული, მაგრამ როდესაც გაიხსენებთ, რომ ქება-დიდება არა რეკლამირების მოკრძალებული ფუნქციით, არამედ მეცნიერული კრიტიკის სახელით გამოდის არენაზე, ამ დროს დამაფიქრებელი და საწუსარი მრავლად ჩნდება. ჩვენ ვიცით დღეს, როგორი ცხოველყოფილი სისწრაფით ვითარდებიან ქვეყნები, რა მოულოდნელ გადასხვაფერებას გვიმზადებს მსოფლიოს განვითარების რუკა, რამდენად კრიტიკული გასლა ჩვენი პლანეტა წარსულისა და აწმყოსადმი, ვიცით, რა თაკლუსოვავ შრომას მოიასხოეს ტრადიციების შენარჩუნება, შექმნილას მოკლა და ახლის შექმნაც. ვიცით, პრომისმოყვარეობის გასაოცარი მაგალითები, რომელსაც ამა თუ იმ ქვეყნის შემოქმედები ავლენდნენ და ავლენენ. დნება იფაღწინ მითი, თითქოს მსოლოდ საქართველო იყოს უღამაზესი ქვეყანა. ქართული ლიტერატურა უუმდიდრესი, ქართული კულტურა — უმაღლესი დონისა... ერწმუნდებით, რომ საქართველოს ბუნება მსოლოდ ერთ-ერთია სხვა უამრავ ლამაზ ქვეყანას შორის. მაგრამ კაცის ხელი, მოვლა და პატრონობა ჯერ კიდევ აკლია და სჭირდება. ერწმუნდებით, რომ ქართული ლიტერატურა მდიდარია, მაგრამ უკეთესა მოვლა და პატრონობა სჭირდება, რათა სხვა ქვეყნების უზარმაზარ ლიტერატურათა გვერდით სუნთქვა არ შეეკრას. ერწმუნდებით, რომ ქართული კულტურა უძველესია, მაგრამ კაცის ხელი, მოვლა და პატრონობა სჭირდება, რათა მსოფლიო კულტურის გარემოცვაში უმისამართოდ არ დაიკარკოს. საკუთარი თვალით ეუცქერით, გოცებულნი ვდგავართ სხვა ქვეყნების კულტურის თაღსქვეშ, გვაოგნებს მათი მასშტაბურობა, გრანდიოზულობა, უნივერსალობა, ერწმუნდებით, რომ ნახული, წაკითხული და განცდილი თეითკმაყოფალებისათვის არავითარ საფუძველს არ გვიტოვებს და მაინც:

როგორც ეს ქართული კულტურის ძეგლთა მწკრივს თვალს გადაუკლებთ, როდესაც მწერლობის უღელტეხილს მოკისალავთ, ერწმუნდებით, რომ წინაპართა ცხოვრების წესა შრომისმოყვარეობა იყო. ვაზის მოვლის ტექნოლოგიიდან მოყოლებული კულტურის უდიდესი ძეგლის ჩათვლით კულტურა თავაულებელი შრომის წესზე მიაჩნებებს. იყო დაღა პერიოდები ძალთა ასეთი მობილიზებისა. ისეე და ისეე ვაზუიადება იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენი წარსული მსოლოდ გაბმული ფუტკრის ზუზუნი იყო და დაუსრულებელი შემოქმედებისა წეის პროცესი. ქვეყანას, ხალხს დროდადრო გადაუვლიდა სოლმე უმოქმედობის, უნაყოფო თელემის ტაღდა, ერწმუნდებით, რომ უნიჭიერეს მწერალ-

თა დიდ ნაწილს შრომისმოყვარეობა აკლდა, რანგით ეერო-
პელი ბუმბერაზების თანაბარი ნიჭი მესუთელსდა იუ ტო-
ვებლა იმ მემკვიდრეობისას, რასაც უსათუოდ შეაკმენეინებ-
და ეეროპული შემოქმედებითი ცხოვრების წესი. ჩვენ ყვე-
ლამ ეიცით დღეს იმ წესას ცხოველყოფელობა გამოსა-
ტული ბალსაკის სიტყვებით — გინა ეს არის შრომა.
ფრანგმა მწერალმა შესანიშნავად უწყოლა, გინა — ეს არის
ღვითიშობადღებული ნიჭი, მაგრამ დიდი შრომის გარეშე
იგი რომ ეერ ვაცსადღება, ესეც მშენიერად იცოდა. შრომა
გენიის გამოვლენის ერთადერთი ფორმაა. ამიტომ შოით-
სოეს იგი შრომისმოყვარეობას ატმოსფეროს. დიდი ქართ-
ველი მწერლება მსოლოდ ნაწილობრივ თუ გამჟღავნდენ
ჩვენს წინაშე. მათი შესაძლებლობის საგრძნობი ნაწილი
გაუსადღებელი დარსა.

ჩვენ გვიყვარს ვაზვიადება, უნდა ვაღიაროთ ეს და ვა-
ბედულად მოვუბრუნდეთ ყოველ ფაქტს, რაც კი გვეაშკაფბა.
არ მოაკლდება მას ბრწყინვალეობა, არც ღირსება. პირიქით,
ძალას შეკემატებს განცდა აზრისა, რომ ვაცილებით მეტის
შექმნა შეგვიძლო. ამ აზრის განცდა შრომისმოყვარეობის
სურვილსაც ვააღვიკებს, მომავალში კი ქართველ ხალხს
უფრო დაძაბული შრომა მოუწევს.

ვაზვიადებამ, ბუნებრივია, თავისი ელვარება ეერ წაართ-
ვა ქართული კულტურის ჭეშმარიტ ღირებულებას, მაგრამ
მე შეჩვენება, რომ ამ კულტურისადმი დიდი რწმენის ქვეშ
შეტისმეტად დამშვიდებულნი დავაბიჯებთ და გვაიწყვდება
იმავე კულტურის მიმართ ჩვენი პასუხისმგებლობა და მო-
ვალეობა. თავისთავად ღირსეული სამყარო ასევე თავისთა-
ვად როდი ვაიკლევს გზას მსოფლიო არენისაკენ. ჩვენ კი
მისი შეცნობასა და გამოჩენის უპრიმიტიულეს ფორმებს
მიემართავთ დღესაც, შუა საუკუნეების ტემპით ვამოპრა-
ვებთ საქმეს. ამ კულტურის მსოფლიოსათვის გაცნობა კი
თავის გაცნობას ნიშნავს თავდაპირველად.

ჩვენ დიდი სნით გვამშვიდებს სოლმე უცხოელი სპეცია-
ლისტების ორიოდე გამოსმაურება, ქართული კულტურის
ქებას რომ გულსსმობენ. მოყიშველიებთ ამ გამოსმაურე-
ბას, ლაშაზი სიტყვების კომპილიციას და ჩვენს წარმოდგე-
ნაში შეეკმნით ქართული კულტურის ტრიუმფის სრულ
სურათის. და როდის! მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებ-
ში, როდესაც ერებას კულტურათა არენასე გამოსვლას
მპლავრი და ვანუწყვეტელი მდინარების ხახე აქვს, როდე-
საც ინფორმაციებისა და მეცნიერული შეფასებების ნია-
ღვარიც მლივსდა ასერხებს ღირსეული არსებობა დაუშკვი-
დროს ამ თუ იმ ქვეყნის კულტურას.

გასვლიალება ყველაზე უფრო საშ.ში მიმდინარე პროცეს-
ისათვის არის სოლმე. ჩვენს მოწყობულ ფანტაზიას და უშ-
რომლობას კიდევ რაღა წასაღისება ესაჭიროება. ამ დროს
კრიტიკა ერთს ახად ასაღებს, კოლოს აქლემად აცხადებს,
ჩაფლულ ურემს შინ მიტანილად, ერთ საშუალო ღირსე-
ბის რომანს შედეგად, ამ დროს გაზვიადების ფსიქოზი თა-
ვისი თავის ქველად მოარულ მწერლებს ამრავლებს, შემოქ-
მელების მწვერვალზე ასელის ილუზიას აბატონებს ბევრი
მათგანის სასესე და ღარჩენილი სიცოცხლის გრძელ გსა-
ზე ერთი ნაწარმოებით გადადგმული ნაბიჯის ტკიბილი ხმა
ჩაესმის ყურში. იმ ხმით არის გაუღენთილი უმიზნოდ და
უსაქმიოდ გადადგმული ყველა ნაბიჯი შემდგომ. ასე ღუპავს
კრიტიკა ნიჭიერ მწერალთა სოლიდურ რაოდენობას. ჩვენ
ერთი წამითაც არ გვინდა დაუშვათ ფიქრში იმ შრომის-
მოყვარეობის შინაარსი, რამაც ჩვენგან კერპებად გამოცხა-
დებული უცხოელი მწერლები აქცია დიდ მწერლებად.
ქართული ლიტერატურის ცხოვრების შინაარსთან არა და
არ გვინდა ღრმად დაეფიქრდეთ იმაზე, რომ სრულებითაც
არ ვართ ბუნებისაგან გამორჩეული ხალხი — მომადლებუ-
ლი, გაუგონარი უნარით — ცოტა შრომით შექმნას იმდენი-
ვე, რასაც ხხვა ხალხები კოლოსალური ძალისხმევით ქმნი-
ან. აი, აქამდე ვუვლით გვერდს ჩვენთვის არასასიამოვნო
საგანზე საუბარს, თითქოს არ არსებობდეს ჩვეულებრივი,
გვერდაუკლებელი ხინამდვილე, რომელიც გვამცნობს, რომ
დიდი მწერლები ორმოცდაათი, ახი, ასოცდაათი, თვით ას-
ორმოცდაათი ტომის ავტორები არიან.

ჩვენ ადვილად მოვიგერიეთ შრომისმოყვარეობის აუცი-
ლებლობა იმით, რომ ბევრის შექმნა გრაფომანობად მოვ-
ნათლეთ. თითქოს არც გვინდა გავისხენოთ, რომ გრაფომა-
ნობა უნიჭო მწერალთა შრომისმოყვარეობას პქვია, და, ბუ-
ნებრივია, ვერც შევკადრებთ და, არც გვახსენდება იგი არა-
სოდეს ტოლსტოისა და ბალზაკის ტომეულებზე დაფიქრე-
ბისას. არ გვახსენდება, მაგრამ იქვე მათი დიდი შრომის-
მოყვარეობის უნარსაც წაუყურებთ ხოლმე.

ყველაზე შრომისმოყვარე ქართველი პროზაიკოსის
შემკვიდრეობა ოც ხაშუალო ზომის ტომს არ გადააბი-
ჯებს და აქ ქართველი კაცის ხასიათი არაფერ შუაშია. იმა-
ვე ქართველი კაცის ძალისხმევა იცის მე-7-12 საუკუნეე-
ბას საქართველოს ისტორიამ. ჩვენ ისტორიის გარკვეულ
მონაკვეთზე ეს თეისება თანდათანობით დაეკარგეთ და მე-
ცსრამეტე საუკუნემდე მხოლოდ ერთხელ — სულხან-საბას
პაროყენბაშა გააღვიპა მან. შემდეგ ამ თვისების გაღვივება
შეძლო ილია ჭავჭავაძის თაობამ. ამ თაობის წარმომადგენ-

ლექსმა სცაჯეს ეეროპული პრომისმოყვარეობის წესი დაემკვიდრებინათ საქართველოში და, ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ შემოქმედებით ცხოვრებაში. საქართველოში არ არსებობდა ატმოსფერო მათ მოსელამდე მსგავსა პრომისმოყვარეობასათვის. ილია ჭავჭავაძეს და მის დარსებულ თანაგარსკვლავედს ატმოსფეროც უნდა შეექმნა და საკუთარ შემოქმედების ლაბორატორიაც გაეძლიერებინა. ეს კი კოლოსალურ ენერჯიას მოითხოვდა. მათ გაიღეს ასეთი ენერჯია და მათვანეე მოძინარეობს ქართველი ხალხის პრომისმოყვარეობაზე დაფუძნებას დადი წყურვილი, უურო ხწორად, წყურველი ჩვეული პრომისმოყვარეობას აღგენსა, მოფლიო სტანდარტებთან მასი გათანაბრებისა. მაგრამ თავს ნუ მოკიტყუებთ, ნუ დავარწმუნებთ ფაქრს, თათქას ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილას, ეკვა-ფშაველას და სხვათა პრომის მოთხოვა არ გვაეციწყებოდეს ღღეს და მცირედა შექმნილით ოღამპოსე ყოფნის ილუზია არ გვეუფლებოდეს.

ჩვენში მსოფლიდ უნაყოფო გაოცებას იწვევს კერპად აღიარებული უცხაელი პროზაიკოსის კოლოსალური მოცულობის შემკვიდრეობა. უნაყოფო გაოცებას, რადგან ამ პრომითი ნაყოფაერების არსზე სიტყვის ჩამოგდებაც არ გვიანდა სოღმე. პრომისმოყვარეობა კი იმ დიდი მწერლობის სიერცვზე ქმნიდა ყველაფერს, იგი აჯგუფებდა ერთი და იმავე მწერლას სულში ნაცად ფორმებს, წარმოშობდა ასაღს — იმეტებდა რა ძველსა და უსარგებლოს წასაშლელად. ფორმათა ოკეანეში ნიჭის გამოვლენის ურიცხვი ცდა იძლეოდა და იძლევა საშუალებას ასალი სიმაღლეებისათვის მოკნო მწერალს. ასე მკვიდრდებოდა მსოფლიო ლიტერატურის სიმაღლეებად იმ ასტომეულებიდან ორი თუ სამი რომანი, ამღენიეე პოემა, ლექსების მომცრო კრებული... მაგრამ იმ ორიოდეს შესაქმნელად იყო და არის აუცილებელი ვანუწყებტელი ძიება და სიტყვასთან ბრძოლა, ის პრომისმოყვარეობა, რომელიც აგროვებდა, საბოლოოდ ესოდენ დადი მოცულობის შემკვიდრეობას.

ჩვენ კა, არაერთხელ რომ აღფერთოვანებულვართ ჩენნი დიდებული მწერლებას ქმნალებებით, თავისმტერეეა სომ არ დავგჳარდება დღეს იმას გასარკვეად, რომელი ან რამდენა რომანის ამოყენება შეგვიძლია მსოფლიო ლიტერატურის სიმაღლეებასათვის (მე ვგულისხმობ „შაგრენის ტყაიის“, „იმება კარამაზოვების“, „დოქტორ ფაუსტუსის“, „ულისეს“... სიმაღლეს). ეფიქრობ, ჩვენთვის ერთ-ერთი საჭარბოროტო საკითხია იმის ვარკვევა, ჩენნი პროზის რო-

მელი ნამუში ვაუღლებს ამ მაღალი წნევის გამოცდას, ყო-
ნელ ჩვენს დიდ მწერალს აღმოაჩნდება ასეთი ნაწარმოები,
თუ საერთოდ ქართული პროზას საგანსურში მოგვიხდება
დასებნა ორიოდ რიგისა, რომლებაც საგულასხმეე სა-
მაღლებს არ შეუძინოება? სიმ არ იმსჯელება მათი მა-
რადიულობის სეკრძნება ლოკალური საზღვრებთ, კერძოდ
ქართული ლატერატურის ისტორიის საზღვრებთ? ლაპარა-
კია ქართულ პროზასე, რადგან პრომისმოყვარეობას არსი
ამ ხეეროსთან მიმართებაშია უფრო ცხადი. ვის მოუვა
ასრად, დიდა ქარაველი პროზაიკოსების ნიჭი ეჭვის ქვეშ
დაიყენოს რამდენამე მათვანის რანვი მწერლობის უმაღ-
ლეს რანგს განსეკუთვნება, მაგრამ სულიერი წვის პრო-
ცესი ლანდიდა იმ ინტენსიურობისა, რაც მათ კოლეგებს
ახსიათებთ. მკეხი ლატერატურის მოსეებული რიტმის
წყალობით ქართულმა პროზაიკოსებმა მსოლოდ მცირე ნა-
წილია თუ გამაჟღინეს საკუთარი სულიერი სამყაროსი.
ასეთია ჯაუტა ფაქტი.

ამიტომ ატარებს ბალზაკის სიტყვები უნივერსალურ ში-
ნარსს — ვენას ქმნის შრომა, ბალზაკისეული შრომა! ამ
კური შრომა აკლია ქართულ ლატერატურას. ამ შრომის
არსი ენერჯიის მაქსიმალური გამოყენებაა. მან მსოფლიო-
ში ვრაფოშანთა მთელა დასი წარმოევა. მაგრამ უხარგებ-
ლოდ დახარჯულია ქაღალდებს გამო თვით იმ შრომასე
ური არც ერთი ქვეყანის არ უთქვამს, რადგან იმაეე შრო-
მის წყალობით იღამართა ნაჭყერა მწერლების სიმაღლეე-
ბა.

სვენ ცაე წყალს გადაეხსამთ ხოლმე დიდი მწერლების
მოაგონებას. კრიტიკის არაკონიერულად შეეაგებებთ და
კულს ვუცრუებთ თაყაულებელ შრომასე. კარგი დებიუტა-
ხაღვის ცაში აგვეყავს და მის ღანიშნულებას ამ ქვეყანასე
უკვე გამოედენილად ვთვლით. შემდეგ ნება-ნება იწერება
ახალი ნაწარმოებება, პარედლსე ან ცოტა უკვივისი ან ცო-
ტა უარესი. შემოქმედებას პულსის გასამლაერებლად ლი-
ტერატურული ცხოერების ატმოსფერო არაფერს არ იძლე-
ვა, კრიტიკაც კერავისთარ ფორმას ვერ შეაშეელებს. საამი-
ხოდ კრიტიკის ტექნოლოგია ვერ აღემაებს უკმარობის
გრანსობას. მსოლოდ შინაგანს წყურვილას ამარა, ან უცსოე-
თის მწერალთა შრომისმოყვარეობას გავედენით ებრძოდ-
ნენ და ებრძვიან სიტყვას ქართიელი მწერლები. ერთიდა
ტიტანთა მაგალითის სხენება თუ მომართავს მათ სულიერ
წყობას მეტისა და მეტის შესაქმნელად. მაგრამ, როგორც
ჩანს, არ კმარა ეს სტიმულატორი. საკუთარი ერაუნული
მწერლობის ატმოსფერო, მისი შემოქმედებითი ცხოვრების

ანტენსიური ხასიათი უნდა იწვევდეს ყოველი მწერლის ქალას დღის სინათლეზე. მხოლოდ ეროვნული მწერლობა განიცდობს პირად სულიერ ცხოვრებად. უცხოელთა ცხოვრებას წესა მანც მორეული მაგალითია, იგი ვერ მომართავს შენს ფანტაზიას, საკუთარი ცხოვრება კა — ეროვნული მწერლობის პულსა იმ ტიტანთა ცხოვრებასთან შედარებით, ერთობ ღუნე იყო ჩვენში და ღუნეა ახლაც. უნდა გამოვიტყველოთ თავს ამაში. არ არგებს ქართულ ლიტერატურას ე. წ. მცირერიცხოვანი ერების ლატერატურასთან უპარატყობით თავის დამშეადება.

მრამოსიყოყარეობის დადა პათოსი, რომელაც წინაპრებმა გასულ საუკუნეში ააღიარებინეს, ამიტომაც ვერ მოითქმენს ერთ ადგილზე ტენენას და შით უმეტეს ჩაქრობას. დღევანდელ დღეს იგი არნახულ მასშტაბებს უნდა ესწრაფოდეს.

ქართულ კრიტიკას არ აქვს ბოლომდე გააზრებული თავისი მოვალეობა. მან გააზრებია იდეალური კრიტიკის კრედიო და ხან კონდენსირებულად, ხანაც დაქუცმაცებულად გაიშვირებს სოლმე. მაგრამ დრომაც დაწერილი სიტყვების უკან დგახს კრიტიკული აზროვნების მოშლილი ხასტიკა. დღეს მომეტებულად ეაგრესიით ეს სინამდვილე და ესეც ნუგეშია.

გაზიადებას აქვს მეორე მხარე — უფრო სწორად მეორე უკიდურესობა. ნაცულად იმისა, რომ ზერელედ ამადლებული ტალღება პერიოდულად უბრუნდებოდეს ზომიერების კალაპოტს, იგი უკიდურესობაში გადაეარღება სოლმე — გამოსატრება ეროვნული კულტურის არად მიჩნევასა და უცხოურისადმი ქედის მოხრაში. ერთი შესედეით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ამ მოყლენას ხარჩულად უდევს დიდი ნახუსასტკებლობა, მომთსოვნელობა და მაღალი დონე. მაგრამ დაკვირვების შემდეგ რწმუნდებით, რომ საქმე სხვაგვარადაა! გაზიადებას არსა ამ შემთხვევაში შინაგან უსუსურობას გამოსატრავს, თავის დასაფარავად მაღალი გემოვნების პოსას ეფარება. შექმნის წადილსა და ნიჭს მოკლებული ბუნება უაზრობად აცსადებს საკუთარი ქვეყნის მნიშვნელოვან საგანსურს და უმოქმედობას გასამართლებლად მსოფლიო კულტურას მიუწევლამელ მწვერვალებს იმვე დღეებს — თითქოს არ ღირდეს იმ მწვერვალებთან გამოჯიბრება. აი, გაზიადებას მეორე უკიდურესობა. იგი, როგორც ანტიბოდა უსაფუძვლო ქება-დადებისა, თვითონაც უსაფუძვლოა. მაგრამ ამ სულისკვეთებით გამსჭვალული კრიტიკა უფრო იშუაათად გაშილას არენაზე, მან აშკარად დაუთმო ახპარეხი მესტბეთა კოპორტას. იგი უმეტესწილად გულგრილი

დემალთ გამოახატება ამ ტენდენციის მსახურთა შეგნებაში ყოველა თანამედროვე მწერალი უმაღლესი მსოფლიო მწერლობის მეტრით უსდა შეფასდეს, დაუმატეო უცხოურისადაჲ ქელას მოსრის მოტაიცი და ნათელი იქნება, თუ რაოდენ არახსარბელა მოვითარებობაში აღმოჩნდება ეროვნულა მწერლობის ყოველი წარმომადგენელი. ასეთივე მიდგომით ფხდება მათ თვალში მთელი ლიტერატურული პროცესა და მომსახურებლობის კეთილმოხილური არსი იცვლება არაღნიგდების სექტიკური არსით. ზიანის მომტანი ფსიქოლოგურა ზემოქმედება არ ჩერდება ამ ფაზაზე. იგი აგრძელებს გზას და სარგუნავს ეროვნულა ღარსების გრძობას. ეროვნულა ღარსების გრძობას მოკლებულა მწერლობა კა გაბედულად ვერ უსწარებს თვალს ასალ სიმძლევებს, რომლის გადაღასვა მის შინაგან ბუნებას სწყურია და ევალება კადეც ამ ტენდენციამ რომ იმძლავროს, ეროვნულა კულტურას მახისცემა შეწყდება ერთ მშვენიერ დღეს მასთან შედარებით ვაზვიადებული პირველი მხარე უფრო სიკეთის წყაროდ გვევლინება.

ბახშიაღების მნებათაღელვა

ქართული ლიტერატურული კრიტიკის უფროსი თაობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ურნალ „ცისკრის“ 1965 წლის მკათოე ნომერში საქვეყნოდ განაცხადა, შეფასების კრიტიკრისუმი დავკარგეთო. ეს განცხადება არ მიიჩნევა ერთი ადამიანის სუბიექტურ აზრად. მანამდეც და მას შემდეგაც სხვადასხვა ფორმით გამოუსატაყთ წუსილი კრიტიკრისუმი დაკარგვისა და ლიტერატურული პრინციპების დეეღვირების გამო, ოღონდ გიორგი ნატროშვილის განცხადებაში სმამაღლა იყო იგი თქმული — წლების განმავლობაში ნაფიქრს, შეჯერებულ დასკვნებს მკვეთრი ფორმულირება ჭირდებოდა თითქოს და ამ აუცილებლობას ვერ გაექცა ცნობილი კრიტიკოსი. მაგრამ ყურადღება მიკაქციოთ ერთ გარემოებას; კრიტიკრისუმის დაკარგვის გამო წუსილი მოსდევს ქართულ ლიტერატურას, აგერ, რამდენი ათეული წელიწადია. თავის დროზე ამის გამო სწუსდნენ დიდი ილია, კიტა აბაშიძე. დროდადრო

გამყინავი სმაც გაისმოდა— ქართული კრიტიკა არ არსებობსო. ამ სმამ ბოლო წლებშიც შეგვახსენა თავისი თავი. ამდენად ჩნდება ერთგვარი უწყვეტკელობის განცდა — ასე იყო და ასე იქნება! როდესაც მსგავსი განცდა ბატონდება, შეგუების გრძნობაც იკიდებს ფეხს. შეგუება კი შეიძლება უდრიდეს უბედურებას. შეგუება გულისხმობს, რომ ქართული კრიტიკა კვლავ და კვლავ ძველებური გზით ივლის, მოშლილი კრიტიკურიუმების, ამოვარდნილი საზომების მორყეული სხეულით. გამკითხავი არავინ იქნება, არაფერი არ გამოსწორდება. მაგრამ საკმარისია სერიოზული დაფიქრება იმაზე, თუ რას ვეგუებით, რომ ცხადი გახდეს მდგომარეობის მთელი საშინაულება. თუ იღია ჭავჭავაძიდან მოყოლებული დღემდე კრიტიკის მოშლილი საზომებით მოედევართ, ჩანს, რომ ეს სურათი ჩვენი ეროვნული სასიათის გამოსატულებაა და საგანგაშო საგანი მარტოოდენ ლიტერატურის ლოკალურ საზღვრებში ვერ ჩაეტევა. ეროვნული სასიათის დეკლარაცია კი, არა მგონია, მარტოოდენ კრიტიკის საზომების მოშლაში გამოიხატუბოდეს და თავის სენს მარტოოდენ კრიტიკის საწაღზე იხდიდეს.

შეგუების ფსიქოლოგია იმდენად განუბივრდა, რომ სიტყვის პირველხარისხოვანი ოსტატებიც კი აღმოჩნდნენ მისი ტყვეობის ქვეშ. ყველახთვის ცნობილია კონსტანტინე გამსახურდიას შესუდულება, როგორ შეიძლება კრიტიკის არსებობა საქართველოში, სადაც ყველა ერთმანეთის ან ნაცნობია, ან მეგობარი ან ნათესავით. გამოჩენილი მწერლის აზრი საგანგებოდ არ მომაქვს სიტყვახიტყვით. პერიფრაზა თითქოს არბილებს მასში ჩატეული აზრის საშინელებას, სერიოზულ განაცხადად მისი აღქმა ერთობ უსერსულ დღეში ჩააყენებდა ქართული ლიტერატურის პრესტიჟს. როგორი მყარი საფუძველიც არ უნდა ჰქონდეს მსგავს განცხადებას, ეროვნულ მწერლობას მაინც შეელახებოდა პრესტიჟი. ამ სიტყვების შინაარსში ნაგულისხმევ სინამდვილეს ფარზე ვერ ასწევ. ეროვნული მწერლობა მოწოდებულებიც არის და მოვალეც თავისი ღრმა იუმორის გრძნობით ნამსხვრევებად აქციოს არა მარტო ამგვარ ჭეშმარიტებათა სერსემალი, არამედ საყრდენიც, რაზეც ამ ჭეშმარიტებას უდგას ფეხი. მას ზოგჯერ

მწერლური ატმოსფეროს ელემენტარულ წესებსე უხდება მსჯელობა და ზრუნვა. დამატებით ასეთი წონასწორობის დამრღვევი ჭეშმარიტების მიღება და მასთან შერიგება მო- მაკედინებელი იქნებოდა, ალბათ. მაგრამ მოსაზრებები, რომ- ლებიც ერთიანდება საბოლოოდ მკაცრ ფრაზაში, — საქარ- თველოში კრიტიკა არ არსებობს, კრიტიკის კრიტერიუმი დაეკარგეთო, ქართულმა ლიტერატურამ მიიღო, როგორც საფუძვლიანი, მაგრამ მაინც სუბიექტური მოსაზრებები და ახლა განუწყვეტელი შინაგანი ბრძოლა მიმდინარეობს, რომ ამ მოსაზრებათა ობიექტურობა იქნას არიდებული, სენს გან- ზოგადების საშუალება არ მიეცეს. შექმნის წყარო გამუდმე- ბული ბრძოლაა მსოლოდ და იმედის სხივებიც. მისგან იძ- ვრის.

როდესაც ჩენი ეროვნული მწერლობის ამ სერიოზულ სატიკივარზე სიტყვა ჩამოვარდება, მესსიერება დასამშვიდებ- ლად უმაღლ შემოვავაგებებს იმ ფაქტს, რომ კრიტიკის მოდუ- ნება მარტოდენ ქართული ლიტერატურის მოვლენა არ ყო- ფილა, რომ ამ საწუსარს მრავალი ქვეყანა უჩივის. მაგრამ, როგორი დადგენილებაც არ უნდა მოითხოვოს დრომ კრიტიკის ასალორძინებლად, ჩენ მაინც მოვალენი ვართ ქართული სალიტერატურო კრიტიკის ნაკლსა და საჭიროებას თვით ქართული მწერლობის თვისებათა გაანალიზებისა და გან- ცდის გზით შევხედოთ. დავინახოთ იგი ეროვნული მწერლო- ბის ისტორიული პროცესის ჭრილში და არ მივიჩნიოთ მარ- ტოდენ დროის გლობალური მიზეზით მოტანილ ნაკლად, ვიგრძნოთ ქართული მწერლობის საჭიროება ქართული ხალსის აწმყოსა და მომავლის საჭიროებად და მისი თვით- მყოფადი სასიათის თვისებებს დაეუკავშიროთ კრიტიკის მო- ვალეობა. დღეს ფარზე აზიდვას ითხოვს აზრი, რომ ხალსისა და ეროვნული მწერლობის გზა ფსიზელი კრიტიკული აზ- როვნების დონესთან არის გადაწული და რომ კრიტიკული აზროვნების ფუნქცია ამ თვალსაზრისით უსაზღვროდ არის გაზრდილი. ეს არ გულისხმობს კრიტიკის არც წინამძლო- ლობას, არც სხვა სფეროებზე დამეტებას, მაგრამ შექმნის პროცესში კრიტიკის ცხოველმყოფელი შემოქმედებითი მო- ნაწილეობის ხვედრითი წონა უსაზღვროდ უნდა გაიზარდოს.

რეალური კვალი კრიტიკის მონაწილეობისა (მისი სისუსტით აღბეჭდილი კვალი) თანდათან გამოიხსნება სხვადასხვა კონკრეტულ საკითხზე მსჯელობისას, იქვე გახდება ცხადი მისი მომავალი მასშტაბების სიდიადეც.

კრიტიკერიუმის დაკარგვა, რომელიც ვაზვიადების ენებათაღელვით გამოიხატება ზოგჯერ, საგრძნობია, როგორც უპარტიოეს ლიტერატურულ დეტალებში, ასევე მწერლობის, ეროვნული კულტურის კარდინალურ პრობლემებში.

ვაზვიადების ენებათაღელვამ ფართოდ მოიკალათა ჩვენს სასიათში. სრული დევალვაცია განიცადა კრიტიკის ეპითეტიკმა. ეპითეტები: დიდებული, მშვენიერი, საუცხოო, საოცარია, საშური, თვით შედარება „გენიალური“ ფიგურირებს ისეთი ავტორებისა და ისეთი ნაწარმოებების მიმართ, რომელთა გამოც იკმარებდა ტყეადი და ზუსტი სიტყვა „კარგი“. და აი, დღეს „კარგი“ თითქოს არაფერს გვეუბნება, აღარ გვაკმაყოფილებს, თითქოს ეს ეპითეტი თავისთავად არც იყოს ეპითეტი, მისი წამძღვარებით მიწერაღს ან ნაწარმოებს თითქოს ვერც ვაძლევეთ შეფასებას. რაღაც უნდა დაემატოს უთუად, უნდა ვთქვათ — ძალიან კარგი, ან ეს „კარგი“ საერთოდ უნდა მოეშალოს და ზემოთ ჩამოთვლილი ეპითეტები დავაფაცუროთ, ერთი ერთ წინადადებაში, მეორე — სხვა კონტექსტში ან რამდენიმე ერთად — მიჯრიოთ. იქნებ ჩვენი გული აიფხოს აღუვსებელი საწყაულივით, ეპითეტებზე ესოდენ დასარბებული: იქნებ ავტორის გულიც აიფხოს, ვის მიმართაც ამ ეპითეტებს მიემართავთ სოღმე.

იღია ჭავჭავაძის ანალიტიკური შინაარსის წერილებიდან იღებს დასაბამს ეს საკითხი. ყველაათვის ცნობიღია იღია-სეული ანალიზი „კაცური კაცის“ არსისა. ეროვნული სასიათის პზარი დაინასა მასში „კაცია-ადამიანის“ ავტორმა. მისმა გამჭოღაღმა მზერამ შეამჩნია საგანგაშო პროცესის დასაწყისი. სიტყვა — „კაცს“ რაღა ეპითეტი უნდა დაჭირვებოღა. „კაცი“ სომ ყვეღაფერს ამბობს. მაგრამ გადაგვარებული ადამიანების სასეღად შემორჩენიღმა ამ სიტყვამ წონა დაკარგა, კაცი უკვე აღარ ნიშნავღა კაცს. კაცი მარტოოდენ ადამიანის ზოგად სასეღად აღიქმებოღა. თუ კაცური არ დაემატებოღა, ისე ვერ გარკვევღი, ვინ იყო ნამდვიღი ადამიანი, ვინ კიღვე

ორ ფეხზე მოარული ცხოველი. ვინ იყო ღირსეული და ვინ კიდევ უღირსი. ასე გაჩნდა ჩვენში წყარო მოთხოვნილები — ეპითეტზე ეპითეტი დაგვემატებინა, რათა აე-კარგის ერთმანეთისაგან განსხვავებულობის მკაფიო შეგრძნება შეგვენარჩუნებინა. აი, ამ მოთხოვნილების წყაროა დაფიქრების საგანი. საიდან აღმოცენდა იგი, ქართული კაცის ბუნებაა მისი წიაღი დასაბამიდან, თუ დრომ მოიტანა აღმოცენების საჭიროება. ქვემოთ აუცილებელი იქნება ქართველი კაცის ნამდვილი ბუნების გასხნა ისტორიული და ლიტერატურული წყაროების თვისებათა ანალიზით, მანამ კი, დღეისათვის საყოველთაოდ მოდებული ხენის განფენილობაზე და შინაარსზე მოგვიწვევს საუბარი.

კრიტიკიუმის მოშლაში ჩვენ ყველას მიგვიძღვის ბრალი შეტნაკლებად.

გაზვიადების ენებათაღელვა, მარტოოდენ ერთი ან ორი კრიტიკოსის ცოდვა არ არის. როდესაც მსგავსი შეცოდება ლიტერატურული ცხოვრების წესად იქცევა, მაშინ მთელი ეს წესი ბუნებრივად აღიქმება, მას ჩვეულებრივი, ყოველდღიური არსებობის კანონად მივიჩნევთ, სიღრმეში კი შეუწყვეტილვ მიმდინარეობს კრიტიკის ფარული გადაგვარების პროცესი.

დღეს ამ პროცესის საპირისპირო პროცესს უნდა დაედოს სათავე. ამის აუცილებლობა გვიკარნახავს დრომ და სადავე-! მიშვებული პროცესის შეცნობამ ყველას.

ნაკლულოვანი კრიტიკის ატმოსფერო ჩვენ მთელი ჩვენი არსებით გვაქვს შეწოვილი. იგი ჩვენში მკვიდრობს და როგორი პასუსისმგებლობითა და სიფსისზლითაც არ უნდა ვეკიდებოდეთ საკუთარ მოწოდებას, მაინც ვაპყვება საერთო ხენის ნიშნები ფურცლებზე კალმით გავლებულ სტრიქონებს. კრიტიკიუმის დაკარგვის მაუწყებელი კონკრეტული მაგალითები მინდა საკუთარი წერილებიდან მოვიტანო თავდაპირველად.

ვიცი, იაფფასიან ხერხს დაარქმევს ამ გადაწყვეტილებას პოტენციური მოკამათე, მით უმეტეს, თუ ის ტენდენციურად ეკიდება შენს მოსაზრებებს. მაგრამ მოვალე ხდები შეეგუო ამგვარ ცილისწამებასაც და დარწმუნებულმა, რომ ცუდად

ასსნიან, მაინც მისდით თვითმხილებას, მისდით, რადგან მართალი არ იქნები — სხვათა ნაკლის აღნიშნვის უფლება გვერთმევა წინააღმდეგ შემთხვევაში. ქართული კრიტიკის ატმოსფეროში გაბრჯნილი სენი არ შეიძლება შენც არ გადმოგედოს, შეუძლებელია ამ ატმოსფეროს გავლენის ქვეშ არ მოექცე. ამ ატმოსფეროსაგან გაქცევა იმ მიზნით, გავლენას ქვეშ არ მოექცე, ლიტერატურისაგან გაქცევას ნიშნავს, რადგან ქართული მწერლობის მდინარეების ნაპირიდან მოთვალთვალე, უცხოელის როლში აღმოჩნდებიდი. საკუთარი ლიტერატურული ატმოსფეროს განცდა, მის შუაგულში ყოფნა, უბრალოდ, აუცილებელია, ოღონდ, ჩვენს სურვილებს უნდა წარმართავედეს არა შეგუებისა და მორჩილების გრძნობა, არამედ, რაკი ესოდენ საჭიროა, უნდა მართავედეს წინააღმდეგობისა და უკუშემოქმედების გრძნობა. კრიტიკული ატმოსფეროს შეცვლის უნარი მსოლოდ მას ეძლევა, ვისაც მისი სუგაგლენის შეცნობის უნარი აქვს და უთუოდ ბევრის მეტყველია ის ფაქტი, რომ შეცვლის აუცილებლობა ქარიულმა კრიტიკამ ასე ღრმად შეივრძნო.

ამიტომ იაფფასიან უესტად ან რევერანსად ჩაგითვლიან თუ არა, სულ ერთია, დაკარგული კრიტერიუმის აღდგენას ჯერ საკუთარ წერილებში უნდა ეცადოს ყველა, იქ შენთვის მისაწვდომ სიერცეუსე უნდა წაიშალოს თავდაპირველად მისი კვალი.

სულ უფრო მძლავრობს სურვილი, რაც შეიძლება სრულყოფილად ეუთსრათ კარგ მწერალს ქება, მოვიშველით შედარებით ტევადი ეპითეტი. გაზვიადების ენებათადელვა ჩემთვის ერთ-ერთ ასეთ ნაკლში გამოისატება. ქების სურვილი ენაწყლიანობაში გადაიზრდება შეუმჩნეველად. როდესაც ყურადღებას ვამასვილებთ უმთავრეს ლიტერატურულ პრინციპზე — კარგზე კარგი თქვა, ცუდზე — ცუდი, აუცილებელი სდება იმის გათვალისწინებაც, რომ კარგზე თქმულიც არ გააზვიადო, რადგან კარგი ფართო ცნებაა, მისი საზღვრებიდან შეიძლება გენიალობის კარიბჭემდე გატყორცნო ეპითეტების მწკრივი. ახლა, როდესაც ამ მიმართულებით მიბრუნდა ჩვენი მხერა, არ შეიძლება უნებურად არ გაედიმოს თავის ხელგაშლილობაზე ამ სიტყვების ავტორს:

„რევანზ ინანიშვილის ნაწარმოებებზე დაკვირვებისას უნდა აღინიშნოს მწერლის ნიჭის ერთი განმსაზღვრელი პირობის შესახებ, — ეს არის საოცარი შესაბამისობა თსრობის სტილსა და ამბავს შორის“.

„რაც შეეხება ოთარ ჭილაძის შემოქმედების არსს, მასში თავს იყრის ყველა ის ძირითადი პასუსი, რომელსაც გაიღებს ჩვენი ქვეყანა დღეს პოეტურ ენაზე“.

„მათი დიალოგი თანამედროვე ქართული ლიტერატურის ბრწყინვალე ფურცლებად შეიძლება იქნას მიჩნეული. ამ დიალოგში დაქუცმაცებული საქართველოს ფსიქოლოგია შეიკუმშა“. (წერილი ესება გივი მალულარიას ისტორიულ მოთხრობას „მეამბოხენი“).

ამავე მწერლის მისამართით არის თქმული:

„მაგრამ ამავე დროს თვით ისტორიის წაკითხვაა დიდებული. მწერლის „მსჯელობის“ ლოგიკა ისტორიული მოვლენების კანონზომიერ სასიათს ისე თანმიმდევრულად გადმოგვიშლის, რომ ჩნდება ილუზია ისტორიის სიღრმის მთლიანი ამოწურვისა“.

არ მინდა ვინმეს შეექმნას შთაბეჭდილება, თითქოს რევანზ ინანიშვილის, ოთარ ჭილაძის, ან გივი მალულარიას შემოქმედებით შესაძლებლობებზე შესედულება შემცველოდეს, თითქოს დღეს შეცდომად ვსახავდე ამ მწერლების მოწონებას. რევანზ ინანიშვილის პროზის მაღალი დონე უკვე აღიარებულია ყველას მიერ. მისი შემოქმედება თანამედროვე ქართული ლიტერატურის საინტერესო ფაქტია. მაგრამ სიტყვა „საოცარი“, რომელიც მისი მოთხრობების მისამართით ვისმარე, გადაჭარბებულია. რევანზ ინანიშვილის შემოქმედების დასასიათებისას ეს სიტყვა არაფერს ამბობს, განყენებული და ცარიელი ჩანს. ეს ის სიტყვაა, რუსთაველის ან ბარათაშვილის, ვაჟას ან გალაკტიონის კითხვისას რომ წამოგვიცდება სოლმე, თუმცა არც ისინი მოგვიწონებდნენ მათი მისამართით წარამარა ამ ეპითეტის გამოყენებას.

ოთარ ჭილაძის მდიდარ შემოქმედებაზე ჩვენ ყველას ჩვენი აზრი გვაქვს. მაგრამ აშკარად გაზვიადებულად თუ ჩაითვლება ჩემი მხრივ თქმა იმისა, რომ ოთარ ჭილაძის შემოქმედებაში „თავს იყრის ყველა ის ძირითადი პასუსი, რომელ-

საც ვაილებს ჩვენი ქვეყანა დღეს პოეტურ ენაზე“. ამ სიტყვებით ოთარ ჭილაძის დამსახურება უპირალოდ ვერ კონკრეტდება, რაღაც გაურკვეველის, უსახოს მნიშვნელობას იძენს იგი. ამდენად მწერლის სიყვარულით გამოხმობილმა ეპითეტებმა ვერაფერი საგულისხმო ვერ გვითხრა, მათ გააზვიადეს მწერლის დამსახურება, უსაგნო გაზვიადების ნიმუშად აქციეს იგი. წარმოუდგენელია ერთი პოეტის შემოქმედებაში იყრიდეს თავს მთელი ქვეყნის პასუხი დროისმიერ კითხვებზე.

კერძო, სუბიექტური მოსაზრება არ გასლავთ და ვერც ვერაფერს შეიტანს ეჭვს გვიღ მაღულარიას ნიჭიერებაში. მისი მოთხრობების მსუყე, მდიდრული სტილი, ტევადი შინაარსი აშკარაა, მაგრამ მაინც გაზვიადებად მიმაჩნია დღეს ქართული ლიტერატურის ბრწყინვალე ფურცლებად მისი ზოგიერთი დიალოგის გამოცხადება. ნაჩქარევი, შთაბეჭდილებისმიერი დასკვნაა. მეორე მაგალითში თითქოს აბათილებს სიტყვა „ილუსია“ შეფასების გადაჭარბების ცდას, მაგრამ „ისტორიის სიღრმის მთლიანი ამოწურვის ილუსიაც“ არ უნდა თქმულიყო. უსაგნო გაზვიადებისა და ქების ნიმუშია ასეთი შეფასება. მწერალს აქვს სწორი ორიენტაცია, ისტორიული მოვლენების გააზრების უნარი, ამის იქით წასვლა არ იყო საჭირო, მით უმეტეს საჭირო არ იყო რაღაც ამოწურვაზე საუბარი.

უსაგნო გაზვიადების შეგრძნება ვამიჩინა სხვა ჩემმა წერილებმაც. შეიძლება არ იყენებდე ბრტყელ-ბრტყელ ეპითეტებს — საოცარს, დიდებულს, ბრწყინვალეს, უშესანიშნავეს, გენიალურს, მაგრამ ამა თუ იმ მწერლის თვალსაჩინო ნაწარმოების ანალიზისას ვრცლად და ექსკურსებით საუბარი იქნება აღიქმებოდე გაზვიადების ერთ-ერთ ფორმად. ასეთი ანალიზით ნაწარმოებს მიეწერება ის, რაც კონკრეტულად არ იგულისხმება მასში. როდესაც ეს შეგნებულად კეთდება, რაიმე პრობლემების დამუშავების მიზნით, რაიმე საკითხის გაშუქების საბაბით, მაშინ, ცხადია, სერხი გამართლებულია. მაგრამ როდესაც მწერლის ნიჭზე ჩვენი წარმოდგენების გაზვიადებას ემსახურება, უკვე უსაგნო ქებაა და სხვა არაფერი. კრიტიკრიუმისადმი ამგვარი ფორმით დალატიც მიგრძენია ზოგიერთი ჩემი მტკიცების სელახლა წაკითხვისას.

ამ სიტყვების ავტორს არა ერთხელ დაუმსასურებია სიტყვაძუნწი კრიტიკოსის ეპითეტი. ეს შეფასება რომ ლიტერატურული კრიტიკის კრიტერიუმების მოთხოვნილებებს შეესატყვისებოდეს, ჩემზე უბედნიერესი კაცი ქვეყანაზე არ იქნებოდა, მაგრამ სომ უნათლესია იმის განცდა, რომ სადავემოშეებული კრიტიკის ატმოსფეროში ჩანსარ სიტყვაძუნწი ზოგიერთის თვალში, თორემ არც იხე იშვიათად გამსსლტო-მია სელიდან ჭრელა-ჭრულა ეპითეტები. მე მსედველობაში მაქვს გაზვიდების არამართო ის მაგალითები, რომელიც ლიტერატურულმა სასოგადოებრიობამ მიინნია საზომის დარღვევად, არამედ ისიც, რომელსაც თვითვე ვთელი გადაჭარბებად. ამის გაცხადებით არ ვაპირებ საზი გადავუსვა ჩემი დაკვირვებისა და ანალიზის უმთავრეს ნაწილს და მკითხველის თვალში ჩემი მერყევი პოზიცია გულახდილად ვადიარო. არა, აქ ლაპარაკი არ არის მერყევი პოზიციასა და პრინციპების დალატზე, ან ვემოვნების ცვალებალობაზე, აქ ლაპარაკია ტენდენციებზე, რომელიც ჩემში, როგორც ქართველ კაცსა და ქართველ კრიტიკოსში იჩენს თავს საერთო ატმოსფეროს დაწოლით. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ შესედულებების გადაფასება გარკვეული დოზით მეცნიერული კრიტიკისათვის ბუნებრივი მოთხოვნილება უნდა იყოს და არ უნდა მოვერიდოთ მას. სიჯიუტე, გონებრივი შეზღუდულობის გამოსატულება და არა პრინციპულობისა. პრინციპულობა გაცნობიერებული შესედულებების წიაღში იზრდება, გაცნობიერების პროცესი კი დროდადრო შესედულებათა გადაფასებასაც მოითხოვს. დროდადროს პრინციპულობა ასეთი გადაფასებისას ადრე გამოთქმული მცდარი შესედულებების თამამად უკუგდებაში გამოისატება. სიჯიუტით გამოკვეტილ ნიადაგზე პრინციპულობა საერთოდ ვერ იკიდებს ფეხს. იქ მსოლოდ ბრმა სიჯიუტე ბატონობს, სსვა არაფერი.

უსაგნო ქებისა და გაზვიადების სანგრძლივი, გაჭიანურებული პროცესი კრიტერიუმის დაკარგვაში გამოისატა. კრიტერიუმის დაკარგვა, ცსადია, რაღაც იდუმალებით მოხილ ფენომენად არ უნდა იქნას აღქმული. მისი შინაარსი, მართალია, რთულია, მაგრამ სავსებით გარკვეული. ლიტერატურული ნაწარმოები მოითხოვს სისუსტეს შეფასებისას და

ღირსების სწორად განსაზღვრას. როდესაც სიზუსტის, გულწრფელობის, და სიმართლის მოთხოვნილებას ვკარგავთ, კრიტიკიუმიც გვეკარგება. ვკარგავთ პასუხისმგებლობის გრძნობას ლიტერატურული კრიტიკიუმიც წინაშე, უბირველეს ყოვლისა, გვაეციწყლება, რომ არ შეიძლება ლიტერატურული წუნის წინაშე დუმილი და მოთმენა. მაგრამ არათუ ელუმვართ, ვაქებთ კიდეც. საშუალო დონის ნაწარმოებს შედეგრად ვაცსადებთ. ეპითეტს ეპითეტზე მიეუზღავთ, სუსტ, საშუალო და ძლიერ ნაწარმოებს ერთი და იგივე საზომებით ვასახიათებთ, სდებთ კარგისა და ცუდის ნიეელირიება. მამახა-დამე, კრიტიკიუმი ვაქრა ჩეენი ლიტერატურის ახპარეზი-დან, ეერ ვგრძნობთ მის შაკატრ მშერას, არც ვუწეეთ არაეი-თარ ანგარიშს.

ამას წინათ ცნობილმა მწერლებმა სერგო კლდიაშვილმა, დემნა შენგელაიამ და სხვებმა საქეეენოდ განაცხადეს, რომ ქართული კრიტიკა არ არსებობს, პანეგირიკი კრიტიკა არ არისო.

ამ პასუხებში ერთი არსებითი ხაკითხი იღებს სათავეს და ამიტომ დამჭირდა სერგო კლდიაშვილისა და დემნა შენგელაიას დამოკიდებულების მოგონება. ცნობილმა მწერლებმა, თაეისი სიცოცხლის მეოთხმოცე წელს მიღწეულებმა, ფაქტაურად საში ვადაუსკეეს ათეულობით წერილს, რომლებიც კერძოდ მათ შემოქმედებასა და მათი თაობის მწერალთა ნაწარმოებებს ესებოდა. ეს წერილები ათეული წლების განმავლობაში იწერებოდა, გროვდებოდა, როგორც კრიტიკული ნაწარმეის ნიშუები. თითქოს კეთდებოდა ხაქმე, რისი კეთე-ბაც კრიტიკას ევალებოდა. მსცოვანმა მწერლებმა ვამოყლილ გზას ვადასეადეს და თანამდევი კრიტიკული პროცესი წყლის ნაყეად ჩათეალეს. თითქოს უდაბნოში ჩაიწრიტა წერილებას მდინარე. ამ წერილებით მათ აქებდნენ, გზას ულოცავდნენ, გულს უთბობდნენ. ერთსა და იმავე კრიტიკოსს თითოეულ მათგანზე რამდენიმე წერილი გამოუქეეენებია სხეადასხეეადროს. აღმოჩნდა, რომ ღირებული ამდენ ქებაში უმნიშვნელოდ ცოტა ყოფილა. დღეს ვავიმსჭვალეთ იმის შეგნებით, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს. გზის ასე ვავრძელება არ შეიძლება. არა იმიტომ, რომ ცსოვრების მიწურულში თანამდევი

მწერლებისაგან ანალოგიურ შეფასებას უნდა ელოდო, არამედ იმიტომ, რომ ქართული ლიტერატურა ვერ შეურიგდება ამ შინაარსის კრიტიკის არსებობას. კრიტიკის გადაგვარების ფარული პროცესი ლიტერატურის საერთო გადაგვარების პროცესს აადვილებს, უკვალოდ, უშედეგოდ არ მიმდინარეობს იგი. ლიტერატურის სრულ უცოდინარობას ამჟღავნებს ის. ვინც ფიქრობს, რომ კრიტიკული აზროვნების სისუსტე-სიძლიერე თავად მსატერული ლიტერატურის შინაარსსა და სახესე არ მოქმედებსო. სრულ უცოდინარობას, ან დაუკვირ-ეებელი, შერეულ განცხადების მოყვარულია. ს ტ ი ქ ი უ რ ი, თ ვ ი თ დ ი ნ ე ბ ა ს მ ი ნ დ ო ბ ი ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი პ რ ო ც ე ს ი მ ე ა თ ე დ ს ა ც ვ ე რ შ ე ქ მ ნ ი ს ი მ ი ს ა ს, რ ა ც კ რ ი ტ ი კ უ ლ ი ა ზ რ ო ე ნ ე ბ ი თ მ ო წ ე ს რ ი გ ე ბ უ ლ ი და გ ა დ ვ ი ე ვ ე ბ უ ლ ი მ წ ე რ ლ უ რ ი ა ტ მ ო ს - ფ ე რ ო ს კ ა ნ ო ნ ე ბ ი თ შ ე ი ძ ლ ე ბ ა შ ე ი ქ მ ნ ა ს. დღეს საჩხუბით გასაგებაა, რომ თვით ქართული მწერლობის დიდი სამყარო მოითხოვს შესაფერისი კრიტიკული აზროვნების გადვიფებას, მაგრამ ეს მოითხოვნა შინაგანი აუცილებლობის გამოსატრულებაა — ლიტერატურულ პროცესს კრიტიკული აზროვნების მალრგანიშებელი ძალა ჭირდება სრული გამოვლენისათვის.

სალიტერატურო კრიტიკის ყოფნა-არყოფნის საკითხი თავისთავად გვაუალებს უკომპრომიზობის გრძნობას, სრულ უშედაუაითობას. ცილისწამების შიში კარგა ხანია, წყლით გვიყვებს პირს ყველას. ლიტერატურის ყოველ კუთხეში ჩასაფრებულია ეპითეტები: თაყსედი, უზრდელი, პრეტენსიული, თვითმარქვია, კატეგორიული, ყოყონა, უტაქტო „დიდაქტიკოსი“, რეცეპტიორი და მისთანანი. ყოველ წამს მზად არიან ისინი სიბნელიდან გამოცვივდნენ და დასაგლეჯად მასცივიდნენ კაცს, ვინც უნდა იყოს იგი. რაკი ღუმილს დაარღვევს და ჩვენს საერთო ავადმყოფობაზე მსჯელობას დააპირებს კონკრეტული მაგალითების მოტანით. კონკრეტულს რაც შეეხება, უნდა ითქვას, რომ ის საერთო ავადმყოფობა ყველაზე ნაწილდება მეტნაკლებად. ჩვენ იმ ავადმყოფობაში თავის ბუდედ გვაქცია და იგი მოკალათებულია ასაღბედასა თუ უკვე საკმაოდ ცნობილ კრიტიკოსში, დვაწლმო-

სილ ავტორიტეტთა ნაშრომებში. მოკალათებულია ყველგან და ავადმყოფობის ფესვების მოსაკვეთად გამიზნული ანალიზისას გვერდს ვერ აუვლი ავტორიტეტებს. ვერ აუვლი, რადგან, მაშინ ავადმყოფობის კერასა და ბუღეს ტოვებ სქელშეუსებულს. ე. ი. მსოლოდ აქა-იქ ებრძვი მას, გამოჩნევით, შიძით, ლაჩრული ბუნების კარნახით. ეოქვათ, აქა-იქ გავაშიშვლეთ ის ფესვები, მაგრამ არ შევსხეთ ავტორიტეტებს რიღისა და მოწიწების გაპო. იმ ავადმყოფურ ტენდენციას რას ვუშევებით, ის სომ ბუღობს მათში — სურთ თუ არა, მაინც ბუღობს და თუ ღვაწლმოსილ კრიტიკოსთა წიაღში არ ამოგვეყოთ ფესვები, კვლავაც იფოფინებს, კვლავაც მოიპოვებს სიერცეს. კრიტიკული აზროვნების წესი სომ იმ ავტორიტეტულ პიროვნებათა შემოქმედებიდან გაღმოდის და მკვიდრდება მწერლობაში. ამიტომ ყოვლად წარმოუდგენელია კომპრომისი კრიტიკული აზროვნების იმ თვითგანწმენდის პროცესისათვის, რომელსაც ემსახურება ღღეს კრიტიკოსთა ყველა თაობას წარმომადგენელი. რაკი კომპრომისი დაუშვებელია, შინდა, მკითხველსა და ლიტერატურულ საზოგადოებრიობას წინასწარ განუცხადო, რომ ყველა მოსაკვეთი ტენდენციის ანალიზისას იძულებული ვსლდები შევესო ცნობილი, აღიარებული მწერლების, პროფესიონალი კრიტიკოსების სასელებს, შივესო არა მარტო ღღეს ჩვენს გვერდით მოღვაწეთ, არამედ გარდაცვლილთა შემკვიდრეობასაც. მაგრამ შანამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ჩანაფიქრის შისანი მსოლოდ ერთია: ქართული კრიტიკული აზროვნების ზოგაერთი ავადმყოფურა ტენდენციის გაშიშვლება და არა ამა თუ იმ კრიტიკოსის დამსახურებათა ეჭვის ქვეშ დაყენება. ავტორიტეტი ავტორიტეტად დარჩება ჩვენთვის, ღვაწლი — ღვაწლად, ღირსებანი -- ღირსებებად, მაგრამ იმავე ავტორიტეტთა; ბესარიონ უღენტას, გიორგი ჯიბლაძის, გიორგი ნატროშვილის აღიარება — კრიტიკის კრიტერიუმი დავკარგეთო არც კეკლუცობაა, არც თაქმდაბლობა. ეს გასლავთ რეალური მდგომარეობის აღიარება. ამ რეალურ შინამდვილეს, კარვა შანია, ყველამ თვალებში შევესედეთ და ვირწმუნეთ, რომ შირეული გარდატეხაა აუცილებელი. ამის მკაცრმა შეგნებამ სასიკეთო პროცესს დაუღო სათავე — კრიტიკული აზროვნების თვითგანწმენდას. ოღონდ

ერთობ „დინჯად“ მიმდინარეობს ეს პროცესი. მართალია, იმედი ერთობ მკრთალია, მაგრამ დასაწყისად შეიძლება ნათვალთ. ქართული კრიტიკული აზროვნების ღირსეული არსებობა ქართული მწერლობის ღირსეულ არსებობას ნიშნავს, სოლო ეს უკანასკნელი ეროვნული კულტურის ღირსეული არსებობის გარანტიაა. და, კარგა ხანია, მივალწიეთ მიჯნას, რომლის იქითაც მეცნიერული კანონებით ორგანიზებული კრიტიკული აზროვნების გარეშე ლიტერატურული პროცესის გაგრძელებას თითქოს აზრიც არ აქვს. ამის შეგნებაში, ლიტერატურის ბედზე წუსილმა ათქმევეინა მწერალ გიორგი ნატროშვილს ჭეშმარიტების გამომსატველი ის მკაცრი სიტყვები — კრიტიკის კრიტერიუმი დავკარგეთო.

ასეა!

და სავსებით ადამიანურია ამ ნაკლის შეგრძნება, ამ აღიარებაში ძვეს გამოხავლის პრენის შესაძლებლობაც, იმედიც. ამიტომ სავსებით ლოგიკური შეჩვენება თვით გიორგი ნატროშვილის კრიტიკული ნარკვევებიდან საერთო ხენზე ლაპარაკის დაწყება. განსაკუთრებული თაევამოდება არ დაჭირდება იმის მტკიცებას, რომ გიორგი ნატროშვილი ერთ-ერთი თვალსაჩინო, დამსასურებული, მაღალი ლიტერატურული გემოვნებით დაჯილდოებული კრიტიკოსია. ღრმა ცოდნა და სედვის უნარი მან იმთავითვე დაუდასტურა მკითხველსა და ლიტერატურულ საზოგადოებრიობას, მაგრამ ლიტერატურული ატმოსფეროს წნევა ჩყენი სასიამოისდა შესაბამისად მეტნაკლებად ღუნავს სოლმე პრინციპების სერსემალს. და შემიდეგ გვაგრძნობინებს თუ როგორ დაგვიკარგავს კრიტერიუმი, სელიდან გაგვსხლტომია იგი. ლიტერატურის ატმოსფერო კი აღვივებს სურვილს ვიყოთ ენაწყელიანი მწერლის შეფასებასას, თავი არ დაიზოგო მისი ღირსებების მსუყედ წარმოჩენისათვის. და რაოდენობრივი სიუსვე სასოტბო სიტყვებისა, მაქსიმალური მობილიზება მწერლის შესამკობად — თვისობრივ უსუსტობაში გადაიზრდება სოლმე. მეტისმეტ ქებაში ამოტყსს ზღუდემორღვეული ზომიერების გრძნობა.

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში შექებულია ისეთი ნაწარმოებები, რომელთა მსატკრული ღირებულება საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა იდგეს. საკითხავია, საერთოდ

განეკუთვნებიან თუ არა ისინი ლიტერატურას. ამიტომ უჩნდება კრიტიკოსს მოთხოვნები ნამდვილი მწერლის, ამ შემთხვევაში ირაკლი აბაშიძის პოეზიაზე საუბრისას გაცილებით მეტი თქვას და გაცილებით კარგად. და ეს სურვილი იმდენად ბუნებრივია, შინაგან წყურვილად ექცევა კრიტიკოსს. იგი შეუმჩნევლად გადის ირაკლი აბაშიძის პოეტური მეს ნამდვილი არსის საზღვრებს გარეთ და ისეთ რამეს მიაწერს მას, რაც ნაკლებ შეესაბამება ამ პოეზიის ბუნებასა და სასიათს.

გიორგი ნატროშვილმა, რა თქმა უნდა, შესანიშნავად იცის, რომ „პოეტური ნაწარმოები მეცნიერული ტრაქტატი არ არის და არც პოეტი აპირებს რაღაც ასალი ჰიპოთეზის წამოყენებას“. კრიტიკოსი გრძნობს, რომ „ირაკლი აბაშიძის „პალესტინა, პალესტინა“ ისტორიული გამოკვლევა არ არის, ეს პოეზიაა, ოცნებაა, იდუმალი ღელვაა გულისა, მარტო პოეტისა კი არა, მთელი სალხის ლოცვაა რუსთაველის სატის წინაშე“, მაგრამ წერილის ამ ორ ციტატას შორის მოქცეულ მსჯელობას მისდაუნებურად წარმართავს გადაჭარბებული ქების, ასოციაციების გულუსვად მოსმობის, ენაწყლიანობის გაღვივებული სურვილი. გულუსვობის გაუცნობიერებელი სურვილი უადვილებს კრიტიკოსს შორეული, უადგილო პარალელები გაავლოს ირაკლი აბაშიძის „პალესტინასა“ და სხვადასხვა ფილოსოფიურ მოძღვრებებს შორის. თქორიულად თითქოს ყველაფერი დასაშუებია. პირველსარისსოვანი პოეტური სიტყვის ოსტატის ირაკლი აბაშიძის ლექსების ციკლი „პალესტინა, პალესტინა“ გულისხმობს ყველა ამ მოძღვრების ცოდნას, მაგრამ იგივე ციკლი, როგორც ლიტერატურულ ფაქტი, უკვე მსატერული ნაწარმოებია და არა „ფილოსოფიური ტრაქტატი“. ფილოსოფიური შესედულებების უსვად მოტანით გიორგი ნატროშვილი სინამდვილეში მას წარმოგვიდგენს, როგორც წმინდა ფილოსოფიურ ნაწარმოებს. ირაკლი აბაშიძის აღნიშნულ ციკლში ნამდვილად დომინირებს განსჯა. მაგრამ იგი წმინდა პოეტური განსჯაა და არავითარ პრეტენზიას არ აცხადებს ფილოსოფიაზე. ასე იკარგება კრიტერიუმი, შეუმჩნევლად იმლება ზღვარა და მსატერულ ნაწარმოებს მიეწერება ისეთი რამ, რაც მას არ

აქვს და რაც არ ჭირდება ირაკლი აბაშიძის „პალესტინა, პალესტინას.“

რამდენიმე ამონაწერი:

„მაგრამ კონფლიქტი მაინც არის, ვინაიდან ჯვარცმული, რომელსაც რუსთაველი მიმართავს, არის არა შუა საუკუნეების ოფიციალური ეკლესიის ქრისტე, ამა ქვეყნის მძლავრობა და მდიდართა მუარყელი, არამედ „დავრდომილთა“ და „ძლეულთა“ ღმერთი, პირუანდელ ქრისტიანთა ღმერთი. ქრისტეს ამ ორ გავებას შორის რომ დიდი უფსკრული ძევს, ეს ნათელყოფრ. ენგელსმა თავის წერილებში „ბრუნს ბაუერი და პირუანდელი ქრისტიანობა“, „წიგნი გამოსცხადების“ და „პირუანდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის“. ენგელსმა განსაზღვრა პირუანდელი ქრისტიანობის და თანამედროვე სოციალიზმის შესყედრის წერტილები: ქრისტიანობა წარმოიშვა, როგორც „დაჩაგრულია მოძრაობა, დასაწყისში ის გამოდიოდა, როგორც რელიგია მონობისა და მონობისაგან თავდახსნილი ადამიანებისა, დატაკებისა და უფულებობებისა, რომის მიერ დამორჩილებული და დარბეული ხალხებისა“. რაღა შორს წაყიდეთ, აგერ ჩვენს დროში, მაკარტის კომისიამ უნივერსიტეტიდან გააძევა გამოჩენილი ამერიკელი ფილოსოფოსი ბეროუს დანემი, ავტორი წიგნისა „გმირები და ერეტიკოსები“, გააძევა და ანათემას მისცა იმიტომ, რომ მან ქრისტე მიიჩნია პირველი საუკუნეების დაჩაგრულ ხალხთა ეროყნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადად, ხოლო საიდუმლო სერობა წარმოგვიდგინა, როგორც შეიქმნულია შტაბის არალეგალური ხსდომა.

ფრიდრის ენგელსს მოკყავდა ერნესტ რენანის სიტყყყები:

„თუ ვნებავთ ნათლად წარმოიდგინოთ რა იყო პირუანდელი ქრისტიანული თემები, ნუ შეადარებთ მათ თანამედროვე საეკლესიო მრეელს. ისინი უფრო მოგვაგონებენ მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის ადგილობრივ ხეყციებს“ (ლაპარაკია პირველ ინტერნაციონალზე).

„ეს ხწორია“ — დაასკვნიადა ენგელსი. შემდეგ იმოწმებდა იმ ადგილს აპოკალიპსიდან, სადაც ნათქვამია, რომ ქრისტე ეწამა, რათა თავისი ხისხლით გამოესყიდა ცოდყები ყველა „ერთა, ტომთა და ენათა“ (გამოცხ. იოანესი, XI. 9.).

ასე იქცა ქრისტიანობა მსოფლიო რელიგიად“.

უფრო ქვემოთ:

„განსჯა, ცნობის თავისუფლება, განსპული გონება... მაგრამ აი რა პასუსს იძლევიან ქრისტიანული თეოლოგიის ადრეობული ავტორიტეტები.

ლაქტანციუსი (III საუკუნე):

„რა ნეტარებას მოგანიჭებს იმის ცოდნა, თუ ხად არის ნილოსის სათავე და რას ბოდავენ ფიზიკოსები ცის შესახებ“.

არნობიუსი (IV საუკუნე):

„მზე უფრო დიდია თუ დედამიწა, მთვარე საკუთარი შუქით ანათებს თუ სხეისი შუქით, ამის ცოდნა არაკითარ შეღავათს არ მოგცემთ, ხოლო არცოდნა არაკითარ ზიანს არ მოგიტანს. შენ მარტო სულის სხნაზე იფიქრე“.

ნეტარი ავგუსტინე (მე-5 საუკუნე):

„არ უნდა იყო ცოდნისა და ცნობისმოყვარე... სულმა უნდა დათრგუნოს ეს ამაო ცოდნის წყურვილი, რომელსაც იმ რწმენამდე მიჰყავს ადამიანი, რომ მსოლოდ სხეული არსებობს“.

როგორც ხედავთ, ერთხმად კრძალავენ და ცოდვად აცხადებენ, ერესად აცხადებენ იმას, საითაც რუსთაველი მიისწრაფვის.

მაშასადამე, ერთ სასატეზე ორი სატი ეერ მოთაფსდება.

გერმანულ ენაში არსებობს ცნება Dichternärrtum, რაც ქართულად პოეტ-მარტვილს, პოეტ-წამებულსა ნიშნავს. ასეთია რუსთაველი, დახატული ირაკლი აბაშიძის ლექსებში. მაგრამ იმავე დროს, ღაღადი, რომელსაც რუსთაველი აღაგლენს ამ ლექსებში, არის ფილოსოფია რენესანსისა. უნდადათ თუ არ უნდადათ, რუსთაველს, დანტეს, რაფაელს და მიქელანჯელოს, ეს იყო უარყოფა ქრისტესი, ეს იყო დასაწყისი ასალი ვარიჟრაჟისა.

როცა პლუტარქემ თავის „მორალურ ტრაქტატებში“ პანის სიკვდილი აღწერა — ეს სიმბოლოურად გამოსატავდა ქრისტიანობის გამარჯვებას წარმართობაზე. თანახმად მითოსა, პანი მოკვდა მაშინ, როცა დაიბადა იესო. სოლო დაღტა დრო, როცა იესო ვისმეს ასაღს უნდა შეეცვალა და ვის ოუ არა პოეტ-მარტვილს? როგორც ძველმა ბერძნებმა თავიანთი

ღმერთები გაიცნეს კომეროსის პიემებიდან, საქართველომაც ახე იწამა „ვეფსისტეაოსანი“ და რუსთაველმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თუ შეიძლება რაიმემ შეცვალოს სარწმუნოება, შუა საუკუნეებში ეს მხოლოდ პოეზია შეიძლება იყოს“.

თაყისთავად მთელი ეს საინტერესო მსჯელობა არ არის შემოსვრებითი ექსკურსი, ჩვეულებრივი „ლირიკული წიაღსვლა“, რომელსაც ნაკლებ მოეთხოვება წერილის სტრუქტურაში ლოგიკურად გამიხსნული ადგილი. არა, გიორგი ნატროშვილი საგულდაგულოდ უკავშირებს ამ მსჯელობას, ფილოსოფიურ შესედულებას არაკლი აბაშიძის ლექსებს. ერთი შესედებით, თითქოს მართლაც არის რაღაც ორგანული კავშირი, სიტყვის ჩამოვდების საბაბს თითქოს მართლაც იძლევა კრიტიკოსის მიერ შერჩეული ლექსის ფრაგმენტი:

მე ჩემს ვონებას,
ცნობას ვთქვიდი
ჩემ დიდ საუნჯედ,
რადგან არსთაგანს
მე შებოძა
ეს საბოძეელი, —
შენ მოსოვდი თაყვანს,
მხოლოდ თაყვანს,
თაყვანს განუსჯელს,
მე მხოლოდ განსჯის,
მხოლოდ განსჯის
ყაყაე მლოცველა.
თუ განმაკაცე,
თუ ღამადგი
თვალა სრულქმნელას,
თუ მომეც ძალი
სან ფრთაშესხმის,
სან დაღონების,
მე მსურდა შენგან
სიტკობც
ცნობის თავისუფლების,
მე მწადდა შენგან
სისარულიც
განსმულ ვონების.

ლექსში აშკარად დომინირებს პოეტური განსჯა. ეს თვით ლექსის თემით არის ნაკარნახევი. ლექსის თემა კი არის ტკი-

ვილი, რომელიც მიაყენა შოთა რუსთაველს ცილისწამებამ — ღმერთის განუდგაო. გადმოცემა, რომლის თანახმადაც რუსთაველი თითქოს ეკლესიამ შერისხა, იქცა ირაკლი აბაშიძის აღნიშნული ლექსის საგნად. „შენგან განდგომა ო, ჯვარცმულო, შე რად დაძვრალდა“ — ამ სიტყვებით იწყება ლექსი. და მთელ ლექსში ამ ცილისწამებით მიყენებული ტკივილის განცდაა გამოსატული. ასეთი ტკივილის გამოსატვას სწორედ პოეტური განსჯის ფორმა ჭირდებოდა. შემოთ მოტანილი შესედულეებები კი საეკლესიო მოძღვრების შესედულეებათა მეცნიერულ ანალიზს უფრო მიესადაგება, ვიდრე პოეტური ნაწარმოების სტრუქტურას. ამ მსჯელობამ, ბუნებრივია, ვერ გააფართოვა ირაკლი აბაშიძის ლექსის საზღვრები, რადგან არ ესება მას, არც ეკუთვნის! საზღვრების ასეთი გაფართოება არც ჭირდება პოეტურ ნაწარმოებს, მისი მაღლი სხვა ღირსებაში ივარაუდება.

მაგრამ კრიტიკერიუმის უსუსტო სმარებას უკვალოდ არ ჩაუელია. ამგვარი ანალიზი გსას უსსნის პოეტისა და პოეტური ნაწარმოებისათვის ისეთი თვისებების მიწერას, რაც ფაქტიურად არ გააჩნია მას. იგი ამკვიდრებს ლიტერატურულ კრიტიკაში გაზვიადების პრაქტიკას, ასეთი მიწერა ჩვეულებრივ მოვლენად იქცევა. იგი, ცხადია, გიორგი ნატროშვილის სტილი არ არის. გიორგი ნატროშვილის კრიტიკულ ნაშრომებში გამოვლენილი საერთო ტენდენციის ერთ-ერთი მაგალითია. შემოთ მოტანილ მსჯელობაში საფუძვლიანი ცოდნაც ჩანს, დაკვირვებული ნაასრევის კვალიც აშკარაა, მაგრამ ყველაფერი ეს კრიტიკერიუმის დაკარგვის სარჯსე ხდება.

თემიდან გადასვევის უფლებას კრიტიკოსს ვერავენ ვერ წაართმევს. მას შეუძლია ლექსის ანალიზს მსგავსი ექსკურსი მოაყოლოს, მაგრამ ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: ექსკურსს აქვს დამოუკიდებლად არსებობის უფლება, სოლო თუ იგი ხელოვნურად უკავშირდება ლექსის ანალიზს, ისეთ რამეს მიაწერს, რასაც ამ ლექსის არსი არა და არ გულისხმობს, მაშინ იგი უკვე უარყოფით ფუნქციას იძენს.

გიორგი ნატროშვილი ამავე წერილში საგანგებოდ ჩერდება ირაკლი აბაშიძის მეორე ლექსზე „ფანტომი“. ისევ აკე-

თებზე ექსკურსს, მაგრამ ეს ექსკურსი ბუნებრივია და ორგანიზებული ლექსისათვის. დაფიქრება პლანეტის ბედზე, რომელიც ამ ლექსის თემად არის აღებული, მართლაც გულისხმობს იმ წუხილს, რასაც მეცნიერები და მწერლები, ყველა კონტინენტის ადამიანები დაატარებენ გულით ატომზე ფიქრისას. სომ უადგილო იქნებოდა, წერილის ავტორს ფილოსოფოსების, მეცნიერების, საზოგადო მოღვაწეების შესედულებები რომ მოეგონებინა ატომის მნიშვნელობაზე, მის დანიშნულებაზე. ლექსის თემაა შემოფოთება პლანეტის ბედით და მოწოდება სიმშვიდისაკენ, რათა ადამიანი თავისი ცხოვრების ბატონ-პატრონი იყოს. ატომური ბომბის არსის ასსნა და გაშიფვრა ლექსის თემა არ არის, ყოველ შემთხვევაში, ირაკლი აბაშიძის ამ ლექსის თემა არ არის.

გაზვიადების კიდევ ერთ ნიმუშს მოვიტან გიორგი ნატროშვილის მითითებული წერილიდან. კრიტიკოსი ავითარებს ასალი საქართველოს აღმავლობაზე თავის მოსაზრებებს, იგონებს წარსულს, როგორც საიმედო ფუძეს ასალი საქართველოს შენებისათვის და ასკვნის: „მისი (ირაკლი აბაშიძის) ლექსებში მუდამ იგრძნობოდა ფესვები ძველის, იმისა, რაც უკვდავი და ძლიერი იყო ძველ ქართულ კულტურაში. ძველ ქართულ მიწაზე ეპოქათა ამ მემკვიდრეობითობას ვერ გამოხატავ უკეთესად, ვერ მოუძებნი უკეთეს სიმბოლოს, ვიდრე ეს მოცემულია ლექსში „კომბაინი ბასტრიონთან“.

ეფიქრობ, აშკარად გაზვიადებულია თქმა: „ეპოქათა ამ მემკვიდრეობითობას ვერ გამოხატავ უკეთესად...“ ეს ფრაზა მე მეჩვენება ქართული კრიტიკისათვის ჩვეული ხელგამლილობის მაგალითად. იგი გარკვევით და ხმამაღლა არის თქმული. „ეპოქათა მემკვიდრეობითობის“ ყველაზე უკეთ გამოხატვას ამ თემაზე შექმნილი შედეგრი თუ იტივრთებს. არის ასეთი ძალის ლექსი „კომბაინი ბასტრიონთან?“ ირაკლი აბაშიძის პოეზია იმდენად მდიდარია, რომ ზედმეტის, არაკუთვნილის წყალობა არ სჭირდება, სოლო თუ მდიდარი პოეზიის პატრონი არ იქნებოდა, მით უმეტეს არ შეიძლება ერთი რიგითი, საშუალო დონის ლექსი „ეპოქათა მემკვიდრეობითობის საუკეთესო გამოხატველად“ გამოვაცხადოთ. კონკრეტულად

„კომბაინი ბასტრიონთან“ ამ სიმძიმის მტვირთველი რომ არ არის, ამაში თვითონ ლექსი გვარწმუნებს:

თვალს უფრო ხიბლავს მკა აქაური,
თავთაეას რხევა ზღაპრულ ქედებთან,
გულს უფრო ატკბობს შენი სმაური
აქ, ვოლიათას პირქუშ კედლებთან.
აქ, სადაც კქუსდა დღე აედრიანი
და გპირთან გმირი წევს სუდარაში;
აქ, სადაც კუშტად დგას ბასტრიონი,
მტკიცე მშვიდობას ძველი ღარაჯი;
ორი სიმაგრე ედგა მშვიდობას
(არა ხატი და არა ცუდანი);
ორი ბჭე პქონდა ჩვენს გუშინდლობას,
ბასრი სმალი და მჭრელი გუთანი.
იყენენ მამულის კარიან დამდგარნი
სან პაედლიანნი, სან ბედნიერნი,
და არვინ იცის, რომელ მასვანის
იყო ფოლადი უფრო ძლიერი.
მშვედი გუთანიც, მშვიდი სახსისიც
მამულს უწევდა სმლობას, მშვიდლობას,
და წლიდან წლამდე მშობელ საღსისოეის
იყო სენაცა და იყო მშვიდობაც...

ლექსის ბოლომდე მოტანას არავეითარი აზრი არა აქვს, ბოლო სტროფებით იგი არ ძლიერდება; ვფიქრობ, არ უნდა იყოს სადღვო, რომ „კომბაინი ბასტრიონთან“ ოდნავაც ვერ პასუსობს კრიტიკოსის მაღალ შეფასებას. ლექსში ერთგვარად მსრალი მსჯელობაც კი იგრძნობა და მარტოოდენ წარსულსა და აწმყოს შორის გაეღებული პარალელები არ გეაძლევს უფლებას „კომბაინი ბასტრიონთან“ „ეპოქათა მეკვიდრეობითობის საუკეთესო სიმბოლოდ ვცნოთ“. აღნიშნულ ლექსს აქვს სხვა დამსასურება, თავისი მოკრძალებული წვლილი. გიორგი ნატროშვილის სიტყვები კი შედეგრების ეპითეტად თუ გამოდგება. ირაკლი აბაშიძეს, მადლობა ღმერთს, აქვს კარგი ლექსები და გიორგი ნატროშვილმაც მშვენიერად იცის, სინამდვილეში რომელია კარგი ლექსი.

მოშლილი საზომების კვალდაკვალ მიმავალი ლიტერატურული ცხოვრება ეჩვევა მეცნიერულ სიზუსტეს მოკლებული შეფასების ყოველგვარ ფორმას. მას ყურს არ ჭრის გაყალბე-

ბული საზომების არც ერთი ფაქტი. ფალსიფიცირებული საზომებით მომართული კრიტიკული აზროვნება სიყალბეს ნორმალურ, ჩვეულებრივ ამბად განიცდის და შესაძლოა სწორედ ჭეშმარიტი პრინციპებით ნაკარნასევი შეფასება იუცხოვოს. გაყალბებული კრიტიკული სული ამიტომაც, შესაძლოა; ისეთი კრიტიკოსის ბაგითაც მეტყველებდეს, რომელსაც ღრმად დააკისრა ტრიბუნის, მეტრის როლი. მიუხედავად საკუთარ ბუნებაში ღრმად დამარხული დიაპირულად საწინააღმდეგო შესედულებებისა, ასეთი ტრიბუნი ანგარიშმიუცემლად ემორჩილება ყალბი პათოსის სტილს. ამ მოვლენის არსი მეტისმეტად ნათელია, იგი ხელისგულზე დევს თითქოს. ეს ის მოვლენაა, როდესაც ცხადლივ გრძნობ, კრიტიკოსი შესანიშნავად რომ არჩევს კარგსა და ცუდს ერთმანეთისაგან და სხვადასხვა გარემოებათა გამო სიმართლეს რომ არ ამბობს.

ბესარიონ ჟღენტს თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობით იმდენი აქვს გაკეთებული, მან ისე ღრმად დააჩნია კვალი ლიტერატურის მთელ ეპოქას, და ამიტომაც იმოდენა ავტორიტეტიც აქვს მოპოვებული, რომ მოშლილი კრიტიკერიუმის მიერ დამკვიდრებულ მანე ტენდენციასზე საუბარი, რასაც ის თვითონ არ გაურბოდა, რის გამოც ის თავის თავსაც ამხელდა და სხვებსაც, არ დააკნინებს მის სახელს. დღეს კი საერთო ხენის დაძლევის მიზნით ჩამოგდებულმა სიტყვამ არ შეიძლება გვერდი აუაროს მას, რადგან იგი თავისი შემკვიდრეობით ჩვენს გვერდით დგას, ცოცხლობს, იღვწის და დასათმობი ჩვენი საერთო სტილიდან მისმა შემკვიდრეობამაც უნდა დათმოს.

დანამდვილებით ვერ ვიტყვით, იქნებ, ჯობდეს კიდევ ბესარიონ ჟღენტის სასეულთან დაკავშირებული ერთი შემთხვევა ლეგენდად დარჩეს. ამ „ლეგენდის“ ბოლო სიტყვები ძალიან გავრცელებულია ფართო ლიტერატურულ საზოგადოებრიობაში: „ჩემს სახლში მაინც მათქმევინეთ, კაცო, სიმართლე, ჩემს სახლში.“. ეს სიტყვები ლოგიკური შედეგი გასლდათ. ჩვენი ლიტერატურული ატმოსფერო კრიტიკის მოუთმენლობის ფსიქოზით იმდენად იყო და არის დამუხტული, რომ თვით ბესარიონ ჟღენტსაც უჭირდა სშირად ავტორისათვის დასაწუნი დაეწუნებინა.

ლიტერატურული ცსოვრების ასეთი წესის მორჩილება

და თავის მხრივ დამკვიდრებაც მოუსდა ბესარიონ ჟღენტს. მის კოლორიტულ მწერლურ ფიგურას, მის ადგილსა და როლს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში რაიმე სიტყვის დამატება არ სჭირდება. როდესაც კრიტიკის მეტრად აღიარებული პიროვნებაც გადაგვარებული საზოგადოებით გამართული კრიტიკული აზროვნების წესს ემორჩილება, მდგომარეობის სერიოზულობა უფრო ცხადი ხდება. ამ მიხედვით უნდა მივმართოთ ბესარიონ ჟღენტის შემკვიდრებებს, მაგრამ ერთი წამითაც არ უნდა დაგვავიწყოს აქ გამოთქმულმა პრინციპულმა შენიშვნებმა ამ მწერლის საერთო დამსახურება და საერთო ღვაწლი. ამ შემთხვევაში მსოფლიო არაჯანსაღი ტენდენციების გაშიშვლების სურვილი უნდა კპოვოს გამოსატყულება, რადგან იმ არაჯანსაღი ტენდენციების ხენი მწერლობის ყოველი მსახურის შემოქმედებაში გაითქვიფა და მათ შორის ბესარიონ ჟღენტის წერილებშიც. ეს ხენი იმდენად მომძლავრდა, რომ საჭირო შეიქნა მთელი კავშირის მასშტაბით საგანგებო დადგენილების მიღება „ლიტერატურულ-მსატერული კრიტიკის შესახებ“. ამდენად კრიტიკის არაჯანსაღი ტენდენციების კვალის ძებნა მეორე და მესამესარისსოვან ლიტერატორთა ნააზრევში და გვერდის ავლა ბესარიონ ჟღენტის ბადალი კრიტიკოსებისათვის იქნებოდა იმ არაჯანსაღი ტენდენციების კიდევ ერთი გამოვლენა, სიყალბის კიდევ ერთი ფორმა. მით უმეტეს, რომ ბესარიონ ჟღენტის შემოქმედებაში, ისევე, როგორც ყველასთან, კრიტიკის შელასული კრიტერიუმების კვალი ასე ცხადლივია, მით უმეტეს, რომ თვითონ ცნობილი ტრიბუნიც წუსდა და მიუთითებდა როგორც საკუთარ, ასევე კოლეგების საერთო ნაკლზე.

ლიტერატურული ცხოვრება გარკვეულ პერიოდში დაეჩვივა უსაგნო ქებას. ეს ისეთი მდგომარეობაა, როდესაც სიტყვებსა (ნაწარმოებებზე რომ ითქვა) და ნაწარმოებს (რომლის გარშემო კრიტიკოსმა ილაპარაკა) შორის ვერაფრითარ საერთოს ვერ პოულობ.

„სამოქალაქო ლირიკის პირველსარისსოვანი ოსტატთაგანი ილო მოსაშვილი ფლობდა უაღრესად ინტიმურ ადამიანურ გრძნობათა და განცდათა შთამბეჭდავად გამოსატვის სელოვნებასაც, სანიმუშოდ საკმარისია გავისხენოთ მისი

შესანიშნავი ლექსი „სიყვარული უცებ“, რომელიც პირველ წაკითხვისთანავე წარუშლელად აღიბეჭდება მკითხველის სულიერ სამყაროში“.

საერთოდ ცნობილი პოეტი ილო მოსაშვილი უდაოდ ფლობდა და ამჟღავნებდა ნაწარმოებში „ადამიანურ გრძნობათა და განცდათა შთამბეჭდავად გამოხატვის სელოვნებასაც“. მაგრამ ეს სელოვნება სრულებითაც არ გამოვლენილა კრიტიკოსის მიერ დასასელებულ ლექსში „სიყვარული უცებ“, რომელსაც შესანიშნავს უწოდებს ბესარიონ უდენტი, კრიტიკოსს ზემოთ ციტირებული სიტყვების შემდეგ იქვე მოაქვს ლექსის ორი სტროფი საილუსტრაციოდ. ჩვენც ეს ორი სტროფი დავიმოწმოთ

მემოვიკროლებს, შევაყრიალებს,
ჭვლებით ავივსებს გვერდსა და ნეკნებს,
მერე მოშუშავს ყველა იარებს —
და სახსრებიდან ამოყრის ეკლებს.
შემოვა გულში, ააფრენს იმედს,
ჩაჯდება შივ და აღარ ამოვა,
და აწკარუნებს უჩინარ სიმებს,
თეთრი დილაა თუ საღამოა.

ლექსი, სადაც ვსვდებით სტრიქონს, — „ჭვლებით ავივსებს გვერდსა და ნეკნებს“, არ შეიძლება იყოს შესანიშნავი ლექსი. არაპოეტურია უბრალოდ ასეთი ფრაზა. არაპოეტურია სხვა ფრაზაც — „მერე მოშუშავს ყველა იარებს“. ძალიან ცუდად არის გამოხატული — იარებს მოშუშავს. იგი გრამატიკულადაც არ არის სწორი. არც „ყველა იარებს“ უდერს ფრთიანად. ძალზე ცუდად, არაპოეტურად არის თქმული — „ჩაჯდება შივ და აღარ ამოვა“. ერთი სიტყვით ლექსი, რომელშიც ამდენი გაუმართავი, მძიმე, უსეში სტრიქონი გვსვდება, არათუ შესანიშნავი, უბრალოდ სუსტი ლექსია. იქნებ ვინმემ არ მოიწონოს სტრიქონების ცალ-ცალკე ამოგლეჯა. მაშინ მთლიანობაში კიდევ ერთხელ წავიკითხოთ მოტანილი სტროფები. დარწმუნდებით, რომ ლექსის საერთო ქსოვილი ამ სტრიქონების სისუსტეს არათუ აქარწყლებს, კიდევ უფრო საგრძნობს სდის. რას გვეუბნება ეს ფაქტი? იქნებ ერთი გამონაკლისია, რისი განზოგადების უფლებაც არა გვაქვს. სამწუხაროდ, არა,

ეს ფაქტი ერთი შემთხვევის საზღვრებში არ იკეტება. ერთი შეცდომის თუ ყურადღების მოდუნების მაგალითად არ რჩება. კრიტიკიკრიტიკის ანგარიშის გაუწევლობის წესი უსასრულოდ ამრავლებს მსგავს მაგალითებს. ასეთი ლექსისათვის ეპითეტად „შესანიშნავის“ გამომეტების შემდგომ ადვილდება განუკითხავად ყველაფრის ქება. შემდეგ იოლზე იოლია წარამარა ვთქვათ — საუკეთესო ლექსი, საუკეთესო მონაპოვართაგანი, ბრწყინვალე მაგალითი...

მაგრამ ისეთი ფსიხელი გონებისა და გემოვნების მწერალს, როგორც ვასლდათ ბესარიონ უდენტი, რა თქმა უნდა, საკუთარი ბუნება მოსვენებას არ აძლევდა, ზოგჯერ მაინც არ ეთქვა სიმართლე და ასეთ დროს იგი მოშვენიერად არაკეცვლა, ვისზე რა უნდა თქმულიყო.

„ლიტერატურული კრიტიკისა და სამწერლო საზოგადოებრიობის წაყრუებით ზოგიერთი ნაცადი პოეტი ივიწყებს პოეტური ოსტატობის სარისხისათვის პასუხისმგებლობას. აი, მაგალითად, როგორ „გაშიშვლებულად“, ყოველგვარი პოეტური სორცქესსმულობის გარეშე ვეთაყვანობს თავის აზრებს საქარია შერაისადიშვილი ლექსში „მიეც ნამი“.

სისხლამსხელი მე, ვინ არი,
ლე რისხაედეს ცა, ბუნება,
აჲირანელს — თეირანი,
ფერეიდნელს — დაბრუნებას
ჩვენ ჩვენ ხალხთან ვავითენოო,
ცაო, შეგთხოვო ხასოებით,
ქარაიელს უსმობს საქართველო,
სომეხს უსმობს სასომხეთი!

ვგონებ, არ დაგეჭირდება იმის მტკიცება, რომ ამ სტრიქონებში არაერთი პოეზია არ არის, რომ ასეთი მარტივი და პრიმიტიული ლექსი არ შეეფერება ჩვენი მსატერული კულტურის დღევანდელ დონეს. ან რა პოეზიაა, მაგალითად, აკაკი გელოვანის ასეთ სტრიქონებში:

მე თანამგზავრი მჭირდება
მზის და სიცოცხლის მხარეში,
ერთი დღეც ვეღარ ვიცოცხლებ
მე სიყვარულის გარეშე.

ეგ არის ჩემი სისუსტე
და ჩემი ძალაც ეგ არის,
უსიყვარულოდ კერ ვაქვდება
ლაღა და დაუღევარი.“

მართლაც არ ჭირდება მტკიცება იმას, „რომ ამ სტრიქონებში არაერთი პოეზია არ არის, რომ ასეთი მარტივი და პრიმიტიული ლექსი არ შეეფერება ჩვენი მსატვრული კულტურის დღევანდელ დონეს“, მაგრამ ბესარიონ ულენტისაისის, რომლის სიფხისზე აქ თავის სიმაღლეზეა, ასევე არ იყო ძნელი გასარკვევი, რომ ზემოთ მოტანილი იყო მოხაშვილის სტრიქონებშიც „არაერთი პოეზია არ არის“. მაგრამ კრიტიკოსმა პირველ შემთხვევაში უღალატა თავის პროფესიას, ლიტერატურულ პრინციპებს. მეორე შემთხვევაში კი დაიცვა იგი. არც ეს დაპირისპირებაა გამონაკლისი ფაქტი. როდესაც დაასლოებით ერთი და იმავედონის ნაწარმოებთაგან ერთს პრიმიტიულს უწოდებ, სოლო მეორეს შესანიშნავს, ჯერ სამართლიანობის გრძნობა ირღვევა, სოლო შემდეგ იბადება ლიტერატურული ცხოვრების წესრიგის დამარღვეველი უნდობლობის გრძნობა — კრიტიკული აზროვნებისადმი უნდობლობის გრძნობა. უნდობლობის გრძნობა, დაბადებული კრიტიკიუმის ღალატით, პირველ ყოვლისა, სობს ჯანსაღ შემოქმედებით განწყობილებას, რასაც განუსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება მწერლობის აღმავლობის გზაზე. შემოქმედებითი განწყობილების ცხოველმყოფელი ძალა მაღლა სწევს ლიტერატურული ცხოვრების იდეალებისა და ინტერესთა დონეს. ერთი და ორი განაწყენებული ავტორის სულის მდგომარეობა არა მაქვს, ბუნებრივია, მსედველობაში, ნიველირების საერთო განცდაა მნიშვნელოვანი და ყურადსადები. საგულისხმოა, რომ თავის ზოგად მსჯელობებში ბესარიონ ულენტი, ისევე, როგორც ყველა, ამ დარღვეული წონასწორობის აღდგენისაკენ გვისმობს, კონკრეტულ ფაქტებზე საუბრისას კი იგი პუნქტობრივად ემორჩილება დეველვირებულ წესებს და სერსებს.

კრიტიკოსის სიტყვას, ქებას. იგულისხმებს თუ ძაგებას, თავისი სუსტი შინაარსი, წონა და ადგილი უნდა ჰქონდეს. თუ ქება ზღუდემორღვეული ეპითეტების კალაპოტით მიე-

დინება, თვით ქების ფუნქცია კარგავს მომხიბლავ იერს, მისი არსი უფასურდება ჩვენს თვალში. ცნობილი პოეტის კარლო კალაპის ორტომეულთან დაკავშირებით ბესარიონ ჟღენტაი წერს:

„რა ვრცელი და ყოვლისმომცველია ამ ორტომეულში წარმოდგენილი პოეტური სამყარო, რა თვალუწყდენია პოეტის შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი ინტერესების პორიზონტი. მკითხველის თვალწინ გადაშლილა მეტყველი პანორამა ასალი საქართველოსი, მისი მარად უბერებელი, მრავალ ნგრევასა და გაპარტასებას გადარჩენილი და დღეს ასალი სამყაროს მშენებლობის ნათელით გაბრწყინებული დედაქალაქით. მისი ცამდე ატყორცნილი მოუბითა და მართლაც ზურმუხტოვნად მოღვვარე მინდორ-ყელგებით, ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციებით, ზვრებითა და სილნარეზებით, ქარსნებითა და ელექტროსადგურებით, — მთელი იმ მრავალმსრივობითა და მრავალფეროვნებით, რასაც შეიცავს საქართველოს სამოთხისებური ბუნება, ქართველი ხალხის აღორძინებული თანამედროვე ცხოვრების მატერიალური საფუძველი და გარემოცვა. და იშვიათი ფერადოვნებით, სიტყვიერი ფერწერის საუცხოო ოსტატობით დასატულ ასეთ ფონზე ცხოვრობენ, მოქმედებენ, აზროვნებენ, იღვწიან, აშენებენ, ხარობენ და ფიქრობენ ადამიანები — პოეტები და მსატერები, ინჟინრები და მასწავლებლები, გუდამაყრელი მწყემსები, კოსმიურ სივრცეებში გაჭრილი მფრინავები, მსვენელ-მთესველები, ბერიკაცები, მედოქეები და მიჭურჭლეები, შოფრები და მაღაროელები — რა რანვის, რა ასაკისა და პროფესიის, რა მდგომარეობისა და გარეგნობის ადამიანებს არ შესვდებით, გაეცნობით კარლო კალაპის პოეტურ სამყაროში და ყოველი მათგანი წარუშლელად აღიბეჭდება ჩვენს მესსიერებაში იმიტომ, რომ ისინი დასატული არიან კოლორიტულად. შიგნიდან განათებულნი თავიანთი სულიერი ცხოვრებისა და გამომეტყველების განუმეორებელი თავისებურებით“.

„ყოვლისმომცველი პოეტური სამყარო“ — ამ ეპითეტს ძალზე იშვიათად, საგანგებო კონტექსტში თუ ვიტყვით ისეთ პოეტებზე, როგორიცაა: ჰომეროსი, დანტე, გოეთე, შექსპი-

რი... ჩვენი რუსთაველი, და კიდევ რამდენიმე... რადგან „ყოვლისმომცველობა“ კოლოსალური მასშტაბის ეპითეტია და უდავო დამსახურების პოეტს კარლო კალაძეს იგი მსოფლოდ უსურსულ დღეში თუ ჩააგდებს. ეპითეტი ამ შემთხვევაში მოკლებულია არა მარტო სიზუსტეს, არამედ მნიშვნელობასაც, რადგან უადგილო სმარებისგან იგი შინაარსისაგან იცლება და ფუყე სიტყვად იქცევა. მთელი ის ლაპარაკი, რაც ამ სიტყვას მოსდევს შემდეგ, ზეაწეული, პათეტიკური ტონის წყალობით, მიუსედავად იმისა, რომ ის გარკვეულად უკავშირდება კარლო კალაძის შემოქმედების თავისებურებებს, მაინც წარმოშობს ჩვენში ზერელობის, ზედაპირულობის განცდას. სოლო დასასრულ თქმული „განუმეორებელი თავისებურება“ ისევ კარგავს სიზუსტეს, რადგან განუმეორებელი თავისებურება მართლაც განუმეორებელი ნიჭის შემოქმედთათვის (ვთქვათ, ბარათაშვილი, ვაჟა!) არის დამასასიათებელი. „განუმეორებელმა თავისებურებამ“ ჩვენს თვალში დაქარვა ფასი. რადგან იგი თავის ადგილზე არ ითქვა. სიყვარული და პატივისცემა მწერლისადმი, რითაც ამ შემთხვევაში გამსჭვალულია ბესარიონ უდენტი კარლო კალაძის მიმართ, არ საჭიროებს ლიტერატურული პრინციპების სასიანოდ ყოყლეგვარ სომას გადასულ სოტბა-დიდებას. ნამდვილი პატივისცემა სიზუსტის შრეებში სუნთქავს ყოველთვის.

ფრთაგაშლილი პანეგირიკის შინაარსი საპირისპირო რეაქციას იწვევს — სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა ფერმკრთალდება. მაგრამ ეპითეტების — საუცხოვო, შესანაშნავი, ბრწყინვალე და მისთანანის გაკრიალებული ბილიკებით მიმავალი ქება ამკვიდრებს გაყალბებულ ტონს. აძლიერებს სურვილს უფრო მეტი და მეტი სასოტბო ეპითეტების დაძებნისა, რადგან გათაფებული ეპითეტები უკვე ვეღარ აკმაყოფილებენ მწერლის მოლოდინს. ეს მოთხოვნილება ავალებს კრიტიკოსს, ფანტაზიის მთელი დაძაბვით რაიმე განსაკუთრებული უთსრას მწერალს და ცდილობს კიდევ: „და აი, კარლო კალაძის ხედვით განათებული, მისი მეტყველი კალმით წარმოსახული იგივე სამყარო უკვე სრულიად ასლებურ, თითქოს პირველად სილულის და პირველად განცდილის შთაბეჭდილებას წარმოშობს“.

ამ „შინაგანმა“ მოთხოვნილებამ მეტი და მეტი სასოტბო სიტყვების დაძებნისა, კრიტიკული აზროვნება ჩვენში დაან-
ვია ენაწყლიანობას. ანალიზის მკვირვია სხულის ნაცვლად
სელთ გერჩება სასოტბო ფრაზების სტერეოტიპება. ისინი
ერთმანეთის გვერდით ლაგდებიან ძალადუტანებლად. ენა-
წყლიანობა გამორიცხავს ნაწარმოების მსატვრული კონცეფ-
ციების ღირებულებაში ვარკვევის სურვილს. ვარკ-ვარკ უკ-
ლის სწორედ სიტყვის როგორც ესთეტიკური ფენომენის
სამღიერე-სისუსტეს, ნაწარმოების შინაგანი სრულყოფის
ვარკვევის აუცილებლობას და სოგადი მსჯელობის ამარა
გვტოვებს. ენაწყლიანობა ერთგვარად აბრუებს მკითხველს და
გემოვნების გაფაქისების გზაზე პირველი სელისშემსლელი
ფაქტორია.

„მოცე საუკუნის ქართულ ღიტერატურაში მოიან საქარ-
თველოს — ჩვენს სევს და მთიულეთს, ფშავსა და სეკსურეთს
არ ჰყოლია ისეთი თავდავიწყებამდე შეყვარებული მსატვარი
და აღტაცებული მესოტბე, როგორიც აღექსანდრე გომიაშვი-
ლია. მშობლიური ღიტერატურის სარბიელზე ფესის შემოდ-
გმისთანავე მან თან მოიტანა საკუთარი პოეტური სამყარო,
რომელსაც თავს დაჰქათქათებს მარად უდნობი ყინულის
ბროლით მოელვარე „ბერი მყინვარი“, სადაც ურყევად დგა-
ნან ცამდე აწვდილი ზვიადი კავკასიონის მთები თავისი ქე-
დებით, მწვერვლებითა და თსეებით, ზეაეებითა და ნაბრა-
ლებით, გრიგალებითა და ქარიშსლებით, სადაც გაზაფსულის
მზიან დღეებში მთის უნაზესი ყვაილები ყვაიან, სადაც
ლომები და ვეფსეები, ჯისეები და ირმები შინადრობენ.
ფრთამედგარი არწივები, ძლიერებისა და ქედუსრელობის,
თავისუფლების ამაყი სულის დიდებულ სიმბოლოებად ქვეუ-
ლი არწივები დაქრიან, სადაც ცსოგრობენ სწორუპოვრად
რანდული სულისკვეთების ადამიანები, რომლებიც გმირო-
ბისა და ვაუკაცობის, ამალღებული სიყვარულისა და თავგან-
წირული მეგობრობის, სპეტაკი მორალური იდეალების
სორცშესსმულ განსახიერებას წარმოადგენენ.“

ასეთი ენაწყლიანობის ენებათადღევა ყველა იმ ნაკლთან
ერთად, რაზეც ვილაპარაკე. თან დაატარებს კურიოზული
შეცდომების დაშვების შესაძლებლობასაც. ენაწყლიანობა მო-

ბოშებული სადავეების წყალობით კონტროლს არ უწევს თქმულს და სწორედ ამან გამოიწვია — კავკასიონზე ლომების დაბინადრება (ჩემი აზრით არც ვეფხვების დასასლებაა მთლად ბუნებრივი, მიუსედავად არსებული ჰიპოთეზისა და რამდენიმე შემთხვევისა!). ვის შეეპარება ეჭვი ბესარიონ ულენტის განააღებაში, ვის მოუვა თავში აზრად, თითქოს ბესარიონ ულენტმა არ იცოდა, კავკასიონის მთებში ლომები რომ არ ბინადრობენ, თუ არ ენაწყლიანობის უკონტროლოდ მიშვებული სადავე.

როდესაც კრიტიკიუმები მოიშლება, მსგავსი კრიტიკული აზროვნება იმდენად ჩვეულებრივი ხდება, რომ იგი ყურს არ გეჭრის, ჩვენ ვეჩვევით და ბოლოს მოთხოვნილებადაც კი გვიჩნდება ასე პათეტიკურად ვილაპარაკოთ ლიტერატურაზე.

ენაწყლიანობა თავისთავად გულისხმობს მაღალფარდოვნებას. როდესაც კონკრეტულ საგანს ვწყდებით, როდესაც კრიტიკიუმის კონტროლს არ ვემორჩილებით, მაღალფარდოვნება კრიტიკული აზროვნების ბინადარი ხდება. იგი ზრდის სურვილს ყველაფერზე ასე ვილაპარაკოთ და ამ სურვილს კი სშირად მივყავართ ლიტერატურული ტყუილის თქმამდე. თუ აქამდე სიზუსტეს მოკლებული, უადგილოდ სმარებული ეპითეტების წრეში ვტრიალებდით, ასლა ლიტერატურულ ტყუილსაც მივმართავთ. აქამდე კი კრიტიკიუმისადმი წაყრუებამ მიგვიყვანა, თუ ადვილად ვიტყვიტ სუსტი ლექსების მისამართით — შესანიშნავი, ბრწყინვალე, საუცხოო და სსვა. რა არის გასაკვირი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ქართული დრამატურგიის მისამართით ეს სიტყვები ითქმება:

„დრამატული მწერლობის ამ ნახევარსაუკუნოვანი განვითარების უპირველესი შედეგი ის არის, რომ ამჟამად ქართული დრამატურგია ჩვენი ეროვნული მწერლობის განუყოფელ, ღირსეულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და თავისი იდეურ-თემატიკური დიაპაზონით და ესთეტიკური ღირებულებით ღირსეულად გვერდით უდგას ისეთი დიდი და მდიდარი ტრადიციების ლიტერატურულ ჟანრებს, როგორცაა ქართული პოეზია და მსატერული პროზა“.

უნებურად ითქვა ლიტერატურული ტყუილი. ქართული დრამატურგია არათუ ღირსეულად უდგას გვერდით პოეზიას

და პროსას, უბრალოდ, ძალზე ჩამორჩება მათ, საერთოდ სუსტია და ამდენად ჩვენი წუსილის საგანიც გასლავთ. და ეს შესანიშნავად უწყობდა ისეთი გემოვნებისა და განათლების კრიტიკოსმა, როგორაც ყველა ცნობდა ბესარიონ ულენტს. ქართული დრამატურგიის ჩამორჩენილობაზე არაერთსეულ თქმულა და თქმულის კიდევ გამეორება შედმეტად მეჩვენება. სხვა დროს ამ ჩამორჩენაზე თვით ბესარიონ ულენტს შეუნიშნავს მწარედ. მაგრამ იარა დრომ, გაიაფებულმა ქების სიტყვებმა და არეულმა საზომებმა შეამსადეს ნიადაგი ლიტერატურული ტყუილისათვის, შესაძლებელი გასადეს მისი სმამაღლა თქმა. პატივისცემა დამაჯერებლობის გრძნობისადმი დიდხანს იყო მოსხნილი დღის წესრიგიდან და შემოთქმული არავის გაკვირვებია. არც ბესარიონ ულენტს უთქვამს ეს სიტყვები ალბათ დიდი ძალდატანების შემდეგ. თუმცა, ძალდატანება მაინც იყო, ძალდატანება კრიტიკული აზროვნების არეული საზომების, ლიტერატურული ცხოვრების შელახული წესისა, ძალდატანება კრიტიკოსზე, რომელიც შიგადაშიგ ალესილი ხმალივით იდგა ეროვნული ქართული მწერლობის სადარაჯოზე, სმას იმადლებდა ლიტერატურული ფაქტების შემბლაღველთა წინააღმდეგ, მიეღი არსებით გრძნობდა და განიცდიდა ქართული და მსოფლიო ლიტერატურის საერთო იდეალების სწორ თუ მისთვის მიუღებელ ორიენტაციას. მით უფრო საგულისხმოა ლიტერატურულ პროცესში უშუალო მონაწილეობისას დარღვეული საზომების სამსახურში დგომა. მით უფრო საყოველთაო ჩანს ავადმყოფობა და მით უფრო აუცილებელი ხდება მისგან თავის დაღწევა.

ამას წინათ ვასუშტი კოტეტიშვილის ერთ წერილში ასეთი რამ ამოვიკითხეთ. ნიკო ფიროსმანაშვილმა ფუნჯას ერთი მოსმით შეძლო ის, რისი გაკეთებაც ევროპას ფერწერას ოსტატებმა დიდი ხნის მანძილზე ვერ შეძლესო. ამ სიტყვების ავტორი ცნობილი მეცნიერია. კარგი განათლებასა და სასურველი გემოვნების ლიტერატორია და ასეთი კაცა წერს სიტყვებს, რომლის შინაარსიც გვაძლავნებს ჩვენს სისხლსა და სორცში გამჟღარი თვისების საძამ ბუნებას. დიას, ეს თვისება საშიში ბუნებისაა. ვასუშტი კოტეტიშვილი სრულიად კეთილსინდისიერად, დაუცქცებლად წერს ასეთ რა-

მეს. საქმარისი იქნებოდა მას გაეცნობიერებინა თავისი შესე-
დულება, რომ უმაღლ დაესია უკან, უმაღლ წაეშალა ეს სიტყვე-
ბი. მაგრამ უცნაური თვითდაჯერებულობისაკენ მიდრეკილი
ჩვენი ბუნება და ქართულის, როგორც უკეთესთა შორის უკე-
თესის განცდა ჩვენს ფიქრებს სშირად უღობავს გზას გაცნო-
ბიერებისაკენ, არ გვანებებს ეჭვის თვალით შევსედოთ წარ-
მოდგენებს ჩვენი კულტურის მონაპოვარზე. გაზვიადებულ
წარმოდგენებს და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ყბად-
აღებული ქება მსამზარეული მოდელის სასით გამოდის
ფიქრიდან. ნიკო ფიროსმანაშვილის დიდებული ტალანტი
უსერსულ დღეში ჩაეაყენეთ! მის გენიალურ ფერწერას არა-
ფრის მიმატება არ ჭირდება. ევროპის დიდებულ ფერმწერებს
რაც საუკუნეთა განმავლობაში ვერ გაუკეთებია, ტყუილია,
მას ფიროსმანიშვილი ვერც ერთი და ვერც ათი ათასი ფუნ-
ჯის მოსმით ვერ შექმნიდა. ფიროსმანიშვილს თავისი სამყა-
რო აქვს, განსხვავებული სელწერა, მაგრამ მსოფლიო ფერ-
წერამ იცის ფიროსმანიშვილის ტიპის მხატვრები, რომელ-
თაც ასევე თავისი განსხვავებული სამყარო და განსხვავებუ-
ლი სელწერა აქვთ, ასევე გენიალურნი არიან და ასეთივე
ძალით სიბლაყენ კაცობრიობას. არ ყოფილა მხატვრობაში
რაიმე ისეთი მიზანი, რასაც საუკუნეები შეაღიეს ევროპის
ფერმწერებმა და ვერ მიაღწიეს, და რომელსაც ფუნჯის
ერთი მოსმით მიაღწია ფიროსმანიშვილმა. აქ სსვა რამ არის
საინტერესო. გაზვიადების ამდაგვარი ტენდენცია მარტოოდენ
ვასუშტი კოტეტიშვილისათვის რომ იყოს დამახასიათებელი,
დამაფიქრებელი ცოტა იქნებოდა, მაგრამ არა! მაღალფარდოვ-
ნებისაკენ, სოტბისაკენ მიდრეკილება ჯერ კიდევ ღონიერ
ფესზე დგას ჩვენს სასიათში და ის წარმოშობს ამგვარ სტე-
რეოტიპებს და ინერცია ამგვარი სიამაყისა ზოგჯერ თვით
ისეთი ფხიშელი გემოვნების ლიტერატორსაც კი წამოაცდენ-
ნინებს უცნაურ ფრაზას, როგორიც გასლავთ ვასუშტი კოტე-
ტიშვილი. ჩვენში სომ დღესაც ბუდობს განწყობილება, რომ
„ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიოში ყველაზე დიდი პოემაა, სო-
ლო რუსთაველი ყველაზე დიდი პოეტი. თითქოს რაიმე და-
აკლდება რუსთაველს იმით, თუ მას ყველაზე დიდ პოეტად კი
არა, მსოფლიოს უდიდესი პოეტების ბადალად თუ შევიც-

ნობთ. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ გადავყჩვით მოვლენებისთვის ფსიხელი თვალთ ყურებას, ამის გარეშე კი წინ წახვლა აღარ სერსდება. ასეთი ტენდენცია აღვივებს აკადემიური მოლოდინის გრძნობას და საკმარისია თუნდაც საშუალო დონის ასალი ნაწარმოები გამოჩნდეს, რომ მაშინვე აყვავდება სურვილი მსოფლიო ლიტერატურის მწვერვალებთან მისი გატოლებისა. ან ყოველ შემთხვევაში გვეძლევა სურვილი მივაწეროთ ნაწარმოებს ისეთი რამ, რაც დიდი მწერლობის ნიმუშებს დაანათესავებს. ვიწყებთ პარალელების ძიებას და „აღმოვაჩინო“ ისეთ სიღრმეებს, რომელთა წყალობით კვლავ და კვლავ იკვებება ჩვენი ეროვნული სიამაყის სარბი გენები.

აღმანახმა „კრიტიკამ“ ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ გარშემო მრგვალი მაგიდის მასალები გამოაქვეყნა, დისკუსიაზე ასეთი მოსაზრებები გამოითქვა:

რომანის ავანტიურისტული სიუჟეტი, რომელიც მისი ფილოსოფიური პლანის გარეგნულ გამოსატულებას წარმოადგენს, აქ ორგანულადაა შერწყმული მითოსურ და, კერძოდ, მისტერიალურ პლანებთან.

აქ გ. მერკვილაძემ გაკერით ახსენა ქრისტე-იუდას ურთიერთობის თემა, როგორც დათასა და მუშნის ურთიერთობის მოტივი და ამასთან დაკავშირებით გაიხსენა როჯე კაიუას რომანი.

ორიოდე სიტყვა ამ მოტივის შესახებ.

„დათა თუთაშხიას“ მაგისტრალური სიუჟეტი მაცხოვრის მისტერიის თავისებურად გადააზრებულ მოდელს ეყრდნობა. თანამედროვე ნაწარმოებში მისტერიული პლანის დანიშნულება უნდა გვესმოდეს, როგორც კონკრეტული მოვლენების, ისტორიის, პერსონაჟების და მათი ურთიერთობის გატანის ფორმა ზედროულ მისტერიულ სიბრტყეში. ამიტომაც, რომ ყოველთვის მომგებიანი არაა ჭ. ამირეჯიბის რომანის გმირების ბუნება, დროისა და სივრცის ლოკალი და სიტუაციები განვიხილოთ მხოლოდ კონკრეტული ეპოქის, ქვეყნისა და დროის კონტექსტში. ის, რაც ამ რომანში ხდება არა მხოლოდ კონკრეტულ ეპოქაში და ქვეყანაში, კერძოდ საქართველოს მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე, არამედ დაუს-

რულებლად მიმდინარეობს კაცობრიობის განვითარების მთელ მანძილზე. საქართველო ამ შემთხვევაში ამ ზედროული მისტიერიის კონკრეტული ფონია.

ამ თვისებით, ჭ. ამირეჯიბის რომანში ლაპარაკია ზოგადად ადამიანის შესახებ, კერძოდ, იმ „კომო საპიენსის“ შესახებ, რომელიც თავისი ქვეყნის ფონზე მონაწილეობს თავისებურ დრამაში, დრამაში, რომლის არქეტიპსაც მაცხოვრის მისტერია შეიცავს.

მაცხოვრის მისტიერიის კანონიკური ინტერპრეტაციის გარდა, არსებობს მისი განსხვავებული ინტერპრეტაციაც.

კანონიკური თვალსაზრისით, ჩვენ ვიცით, რომ იუდამ 30 ვერცხლად გასცა ქრისტე, იქცა ღალატისა და გამცემის სიმბოლოდ. ამით მან თავისი სასელი საწყევლად და საგინებლად დაუტოვა კაცობრიობას.

მაგრამ არსებობს მაცხოვრის თავგადასავლის ამ ეპიზოდის განსხვავებული შეფასებაც, რომლის მიხედვითაც ქრისტე, როგორც ეთიკური სათნოების სიმბოლო და იდეალი, არის იუდას შეგნებული მსხვერპლის ნაყოფი. ამ თვალსაზრისით, საქმე ესება დასრულებული სახის მონიჭების ამოცანას. იმ მოძღვრებისათვის, იდეისა და იდეალისათვის, რომელსაც ქრისტე ატარებდა და რომლის ამალღებული ფორმისთვისაც საჭირო იყო მსხვერპლის გაღების რიტუალური ქმედება. სხვანაირად, საჭირო იყო ქრისტეს ცხოვრების დრამისათვის სწორედ ისეთი დრამატურგიული კულმინაციის მოძებნა, რომელიც მსხვერპლის გზით კაცობრიობის თვალში თავისებურ კვარცხლბეკზე დააყენებდა მაცხოვრის სახეს. ამ თვალსაზრისის მატარებელთა თვალში იუდა იყო ქრისტეს მოწაფეთაგან ერთადერთი კაცი, რომელიც ქრისტეს ცხოვრების გარკვეულ, შემაჯამებელ პერიოდში მოვიდა, საკუთარი თავის მსხვერპლად გაღების მეოხებით, მაცხოვრის ამალღებული სახის დამკვიდრებით დასკვნამდე. საქმე ისაა, რომ იუდას მხრივ ეს მისხვედრა, ეს დასკვნა თვით ქრისტეს მიერაა ინსპირირებული, შთაგონებული და მიღებული, როგორც თავისებური დავალება, ასე რომ, როდესაც საიდუმლო სერობის დროს მაცხოვარი აცხადებს ერთი მათგანისაგან მისი გაცემის შესაძლებლობას, ეს სიტყვები გაგე-

ბულია არა როგორც ღალატი, არამედ მთელი მათი საქმიანობისა და იდეისათვის აუცილებელი და დაშავებულნი და დაშავებული აქტი. ეს მომენტი საგანგებოდაა აქცენტირებული ბაღის მისტერიაში.

სხვათა შორის, ქრისტეს მისტერიის ამ კუთხიდან ინტერპრეტაციის საგულისხმო ნიმუშს წარმოადგენდა პაჭოლინის ცნობილი ფილმიც „მათეს სახარება“.

უფრო ქვემოთ ვკითხულობთ:

„არსებობს ორგვარი შიში: ყოფითი და ონტოლოგიური, შიში, გამოწვეული ცხოვრების მოვლენებისაგან, რომელიც სიცოცხლეს საფრთხით, ან სხვა უბედურებით ემუქრება — ყოფითი შიშია. სხვაა ონტოლოგიური შიში. მასში იგულისხმება იმ დანიშნულების მიუგნებლობის განცდა, რომლისთვის ადამიანი მზადაა მსხვერპლად გაიღოს სიცოცხლეც და ცხოვრების ყველა მონაპოვარი, ესაა ადამიანის საზრისის ძიებაში გამოვლენილი შიში.“

„დათა თუთაშხია“ ამ საზრისის, ანუ ონტოლოგიური შიშის დაძლევის ოდისეადაა. დათა თუთაშხია იცვლის პოზიციებს, ძიების მეთოდებს და გზებს ონტოლოგიური ჭეშმარიტების მიგნების მიზნით. ამიტომ მე ვერ გავიზიარებ აქ გ. სუხაშვილის მიერ გამოთქმულ უარყოფით თვალსაზრისს დათას „გამუსკიების“ პლანის შესახებ.

მე მიმაჩნია, რომ „დათა თუთაშხიას“ სიუჟეტში არის ერთი პატარა ფაუსტისებური მოდელი. დათა აქ დგება თავისებურ ფაუსტურ გზაზე. და ერთ-ერთი საზი, რომელსაც ეს ფაუსტი გადის, რომ მიაგნოს მშვენიერ წამს, არის დონჟუანური პლანი, ამ პლანს რომანში ისევე ფილოსოფიური საზრისის ძიების ქვეტექსტი ახლავს. დათას მიერ მასში ჰედონიკა-ეპიკურეიზმის, როგორც ცხოვრებასთან დამოკიდებულების პრინციპია შემოწმებული. აქ შეიძლება გვითხრან, დონჟუანურ პლანს მარტო ნანო და ბეჩუნი არ აკმაყოფილებსო, მაგრამ „ფაუსტშიც“ ხომ მარტო გრეთხენი და ელენეა“.

კიდევ ერთი ციტატა:

„მე მიმაჩნია, რომ რომანის მიხედვით დათა თუთაშხია არის საქართველოს ისეთივე სიმბოლო, როგორც თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსში“ ლივერკიუნი არის გერმანიის

სიმბოლო. დათა თუთაშსია — საქართველო — სომ ისევეა სა-
კუთარი დემონებისაგან შეიქმნოებული, რიგორც ლივერკი-
უნი — გერმანია“.

ასეთ მოსაზრებებს ავითარებს ცნობილი კრიტიკოსი გი-
ორგი გაჩეჩილაძე. გიორგი გაჩეჩილაძის მოსაზრებებში ად-
ვილად შესამჩნევი გაზვიადებულობის ტენდენციის შინაარსი
განსხვავებულია. მის წერილებში მუდამ იგრძნობა ინტელი-
გენტი, რომელიც ბევრს, ძალიან ბევრს მოითხოვს თავისი
თავისგანაც და ბევრს ელოდება მშობლიური ქართული მწერ-
ლობისგანაც. მისი წერილები დასტურია ამ დიდი შინაგანი
მომთხოვნელობის. მსოფლიო ლიტერატურის პროცესზე
დაკვირვებამ ქართული კრიტიკა საერთოდ და მისი ერთი
წარმომადგენელი გიორგი გაჩეჩილაძე მიიყვანა იმის შეგნე-
ბამდე, რომ ეროვნულმა გონმა თვალი უნდა გაუსწოროს დი-
დი მასშტაბის ლიტერატურულ პრობლემებს. ჩვენ ეს წყურ-
ვილი, კარგა ხანია, შინაგან ცხოვრებად გვექცა და ეს სასია-
მოვნო მოვლენაა, მაგრამ ჩვენ, დანატრულნი დიდი ლიტერა-
ტურული ვნებათაღელვით სავსე ნაწარმოებებს, ზოგჯერ
ეჩქარობთ და გვინდა იქ დავინახოთ ჩვენი ოცნების საგანი,
სადაც იგი ნაკლები დოზითაა. ამ სურვილის გამოხატულებაა
ყველა იმ პარალელის გაჩენა გიორგი გაჩეჩილაძის მსჯელო-
ბებში, რომელიც არ შეიძლება არ გადაფასდეს.

„დათა თუთაშსია“ უადრესად საინტერესო რომანია, მაგ-
რამ იმ შრეების დანახვა მასში, რაზეც გიორგი გაჩეჩილაძე
ესოდენ სერიოზულად მსჯელობს, რეალურ საფუძველს არის
მოკლებული, თუ არა ისევე და ისევე ჩვენი გამძაფრებული
წყურვილი სხვა სიდრმეების დანახვისა. კრიტიკოსის მომ-
თხოვნელობა ამ შემთხვევაში ილუზიის გამოძკვებავე წყაროდ
იქცა, რამდენადაც მისთვის ძნელი არ არის პარალელების
გაგება. შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს „დათა თუთაშსია“
მართლაც მოიცავს იმ რანგის მხატვრულ პრობლემებს, რა-
ზეც გიორგი გაჩეჩილაძემ ასეთი დაბეჯითებით ილაპარაკა.
პარალელების მოხმობას კი, ეს გიორგი გაჩეჩილაძემ მშვე-
ნივრად იცის, თავისი ლოგიკა აქვს და ზომიერების დაცვა
აქაც გემართებს. ნაწარმოებთან თვით შორეული საკითხების
დაკავშირებაც შეიძლება ექსკურსის სახით, მაგრამ ამ შემ-

თხვევაში უნდა იგრძნობოდეს, რომ ეს კრიტიკოსის საგანგებო „ლირიკული წიაღსვლაა“. ის შორეული საკითხები ნაწარმოების ორგანულ ნაწილად, ან მასთან ორგანულად დაკავშირებულ პარალელებად თუ წარმოვიდგინეთ, პარალელის ფუნქცია გაყალბდება უმაღლეს. პარალელი ზუსტ დაკავშირებას მოითხოვს.

„მითოსური და მისტერიალური პლანები“ „დათა თუთაშხიას“ არა აქვს. სწორედ პლანები! მწერალს ზოგჯერ შემოაქვს მითოსური და მისტერიალური ნიშნები — მაგრამ ნიშნები არ უდრის პლანს. მათ შორის დიდი სხვაობაა. პლანი გულისხმობს ამ „მითოსურისა და მისტერიალურის“ მიეღწეულ წყობას, რომ მასში გარკვეული მხატვრული კონცეფცია გაიჟღერებს. რამდენიმე დეტალის გამოჩენა რომანში პლანს ვერ წარმოქმნის. სოლო ეპიგრაფში გატანილი მითის კონცეფცია უფრო ნაწარმოების იდეას გულისხმობს, ვიდრე მის „პლანს.“ მითიურ პლანზე საუბარი შეიძლება, ჩემი აზრით, ისეთ ნაწარმოებთან დაკავშირებით, როგორცაა ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“.

„დათა თუთაშხიას“ მთავარი მხატვრული კონცეფცია არის ჩაურევლობის პრინციპი. სხვა შინაარსის ჩადება მის სახიათში ნიშნავს შედგენის მიწერას. თვალი გავაყოლოთ რომანის მთელ განვითარებას. დათამ თავისი გზის დასაწყისში რამდენჯერმე სცადა ცსოვრებისა და ადამიანების გარდაქმნის მიზნით ჩარევა და ჩაერია კიდეც. თავისი ზნეობრივი სრულყოფილების გამოსატვის გზას იგი ამ ჩარევაში ხედავდა. დრომ და ცსოვრებამ დაუმტკიცა დათა თუთაშხიას, რომ ამ ჩარევას ის შედეგი არ მოსდევდა, რაზეც ოცნებობდა, ამის შემდეგ იწყო მასში დაკრისტალება ჩაურევლობის პრინციპმა და ამ მხატვრული კონცეფციის გზა ნაწარმოებში ისეა გაკაშკაშებული, რომ ყოვლად შეუძლებელია იგი შეუმჩნეველი დარჩეს. ბუდარა და ბუდარისხასთან, სეთურთან, დურუს დუქანში თუ სხვა კონკრეტულ შემთხვევებში დათა თუთაშხიას ჩაურევლობა ნათელი დადასტურებაა ამ პიროვნების სახიათისა. შემდეგ პატიმრების აჯანყება ციხეში — მის თვალწინ; დათა თუთაშხია ძალზე მძიმედ ებმება მასში. ებმება მსოლოდ იმიტომ, რომ კონკრეტულ სიტუაციაში საშუალება არ აქვს

გარდებისა. მაგრამ ჩაიარა აჯანყების ვნებათაღელვამ და იგი წამსვე განერიდა მას. კიდევ ერთსეულ ირწმუნა თავისი პოზიციის იძულებითი სისწორე, კვლავ აღსდგა მასში უაზრობის შეგრძნება და დაუბრუნდა პრინციპს, რომელიც მართავს მის სასიათს, განწყობილებას და საერთოდ ვნებებს.

დათა თუთაშხიას პასიურობა არ არის ფორმა, რისი წყალობითაც იგი, ვთქვათ, საზოგადოების ზნეობრივ გარდაქმნაზე ოცნებობდეს. პასიურობა მისი სულიერი მდგომარეობაა. მე-19, მე-20 საუკუნეების მიჯნაზე დაძრული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების შუქზე ასეთი დიდბუნებოვანი ადამიანის ნაგულისხმევი სულიერი მდგომარეობა, მისი გამოვლენის ფორმა, ჩაურევლობის პრინციპი, აღიქმება არა ამ პიროვნების, არამედ საზოგადოების ტრაგედიად. თუმცა, ბუნებრივია, ამ ტრაგედიაში დათა თუთაშხიას პირადი ტრაგედიის წვლილიც იგულისხმება. საზოგადოება, რომელსაც არ შეუძლია დათა თუთაშხიას ნათელი პიროვნების ზნეობრივი კრიტერიუმების შემწეობით თვითგანწყმენდა, სერიოზულად არის დაავადებული და სრული განასლება ესაჭიროება.

„არაა ჩემი საქმე, არაფერი არაა ჩემი საქმე, თუ მე არ მესება, მე! ეგენი არც ერთი არაა ჩემი ჩარევის ღირსი!“

კატეგორიულია დათა თუთაშხიას პოზიცია, საბოლოოდ გარკვეულია და ცხადი. რომანის რეალისტური სიტუაციების წიაღში ეს პრინციპი არსებითად არასდროს არ ირღვევა. თუ გმირში ზოგჯერ იღვიძებს რაინდული ჩარევის სურვილი, მხოლოდ იმიტომ, რომ კიდევ ერთსეულ იგრძნოს ამ სურვილის ზედმეტობა. მე-19, მე-20 საუკუნეების მიჯნაზე დატრიალებული მოვლენები, მათში ნაგულისხმევი სოციალური და პოლიტიკური ვნებებით სრულიადაც არ საჭიროებენ (და კონკრეტულ შემთხვევაში არც შეიცავენ) მითოსურ და მისტერიალურ პლანს. კეთილისა და ბოროტის მარადიული ბრძოლის პრობლემა აქ კონკრეტულ დროში, კონკრეტულ სიტუაციაში არის ნაჩვენები და ზნეობრივი კატეგორიების არეალი არ ცილდება იმ რეალისტურ ფონს, რასაც „დათა თუთაშხია“ შეიცავს. ავტორი რომანისა თვითვე ამბობს გარკვევით ამის შესახებ:

„ზოგჯერ ადამიანი იქნება ყველაფრით, ათასი საუკეთესო

ღირსებით იყოს შემკული და მათი სწორად გამოყენების უნარი კი არ გააჩნდეს. ღირსებები ერთი მონაცემებია, მათი სწორად გამოყენების უნარი — მეორე. ორ ადამიანს იქნებ თანაბარი შესაძლებლობები, მაგრამ სხვადასხვაგვარი ზნეობა ჰქონდეს. მაშინ ყოველი მათგანი თავის შესაძლებლობებს საკუთარი ზნეობის თანახმად გამოიყენებს. ადამიანის ნამოქმედარის ღირებულება მისი ზნეობის ღირებულებით განისაზღვრება. დარწმუნებული ვარ, ყველა დროის საზოგადოებაში იყო არწივის, სვავის თუ ჩიორას მეტ-ნაკლები ასპარეზი და ადამიანი ერთს, მეორეს თუ მესამეს ზნეობრივი მიდრეკილების თანახმად ირჩევდა.

უანდარმთა შეფის თანამდებობაზე ხანგრძლივმა სამსახურმა ხოლო გადადგომის შემდგომ ამ წრეებთან სიასლოვემ შესაძლებლობა მომცა თავიდან ბოლომდე გამედევნებინა თვალყური ზემოთქმულის დამამტკიცებელი მკაფიო მაგალითისათვის. ეს არის ორი ძლიერი პიროვნების — აბრაგ დათა თუთაშხიას და მისი მამიდაშვილის მუშნი ზარანდიას ცხოვრება და ურთიერთობა. განგებამ ისინი თანაბრად მდიდარი შესაძლებლობებით მოუვლინა ქვეყანას, მაგრამ ზნეობამ სხვადასხვა ასპარეზზე გაიყვანა“.

ამდენად „დათა თუთაშხიას“ მაგისტრალური სიუჟეტი არავითარ შემთხვევაში არ ეყრდნობა „მაცხოვრის მისტერიის თავისებურად გადააზრებულ მოდელს“. არ ეყრდნობა იმიტომ, რომ მწერალს არ ჰქონია ასეთი რამ მიზნად. ბოროტი-სა და კეთილის გამოვლენას ამა თუ იმ დროის კონკრეტულ სიტუაციაში ჩვენ მრავალი ნაწარმოების ქსოვილში ვკითხულობთ, მაგრამ მათი დაყვანა „მაცხოვრის მისტერიის თავისებურად გადააზრებულ მოდელამდე“ არ იქნებოდა სწორი. თუ მწერალს ასეთი რამ აქვს მიზნად დასახული, იგი ნაწარმოების არქიტექტონიკას შესატყვისად ააგებს. შორეული ასოციაციების ბაზაზე ნაწარმოებისათვის სულ სხვა სტრუქტურის მიწერა საკუთარ ღირსებასაც უკარგავს ან ჩქმალავს. „დათა თუთაშხიას“ მოქმედება ხდება სწორედ მე-19, მე-20 საუკუნეების მიჯნაზე და რამდენიც არ უნდა ვეცადოთ, „ზედროული მისტერიის კონკრეტულ ფონს“ მასში ვერ დავინახავთ.

სურვილი კი მსგავსი პლანების „დათა თუთაშხიას“ ქსოვილში დანახვისა იკვებება კრიტიკოსის მომთხონელობით — ქართულ მწერლობაშიც იქმნებოდეს ნაწარმოები, რომელიც ასეთ რთულ შრეებს შეიცავს. ამიტომაც მსჯელობის შინაარსი საგნის შინაარსსაა დაცილებული. გიორგი გაჩეჩილაძის მსჯელობა „პომო საპიენსის“ შესახებ, მაცხოვრის მისტერიაზე, უფრო თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსის“ ტიპისა და რანგის ნაწარმოებებს შეენის. „დათა თუთაშხიას“ თავისი ღირსებები აქვს და შესაფერ ენაზე უნდა განსილვა. რაკი მსჯელობა შორეულ სივრცეებზე გადაიტანა, გიორგი გაჩეჩილაძისათვის ბუნებრივ მოთხოვნილებად იქცა, რგოლი რგოლისათვის დაეკავშირებინა და მაცხოვრის მისტერიაზე საუბარს თავისთავად მოყვა მაცხოვრის თავგადასავლის ერთი ეპიზოდის თავისებური გაგების განმარტება. სწორ კურსს გადაცდენილი ანალიზი შემდეგ უნებურად, დამოუკიდებლად მიდის სულ სხვა სფეროებისაკენ. იქ, სადაც გიორგი გაჩეჩილაძე ყოფით და ონტოლოგიურ შიშს ახასიათებს, თიფქოს არაფერია მოულოდნელი და ზედმეტი, მაგრამ ეს დახასიათება შემდეგ ქვესაფეხურად გვევლინება სხვა მსჯელობისათვის. გიორგი გაჩეჩილაძეს მიაჩნია, რომ „დათა თუთაშხიას“ სიუჟეტი არის „ერთი პატარა ფაუსტური მოდელი“!.. აქაც შორეული ასოციაციის ზეგავლენასთან გვაქვს საქმე. ფაუსტური იდეების შინაარსი და მისი გამოვლენის ფორმები, გიორგი გაჩეჩილაძეს ეს არ ესწავლება, სულ სხვა რიგის პრობლემებს განეკუთვნება. არ შეიძლება მიახლოებითი იდეების დაკავშირება მასთან. ფაუსტურის ნამცვეციები ყოველი ადამიანის სულში ბრწყინავს, მაგრამ ამ საბაბით „პატარა ფაუსტური მოდელის“ მორგება არაფრით არ იქნება გამართლებული. დიდ ლიტერატურულ მოვლენებთან პარალელის გავლება არ შეიძლება სურვილს ეყრდნობოდეს. იგი ფაქტიური მასალის კარნახს უნდა ემორჩილებოდეს. ჩვენდა უნებურად პარადოქსალური დასკვნის ავტორად ვიქცევით — დათა თუთაშხიას ფაუსტურ თვისებათა გზაზე ვაყენებთ. უცსოა ეს მგზავრი ფაუსტურის გზისათვის. ამიტომ დაჭირდა გიორგი გაჩეჩილაძეს პირველ შემთხვევაში დაერთო სიტყვა პატარა („პატარა ფაუსტური“), ხოლო მეორე შემთხვევაში სიტყვა

„თავესებური“ („თავესებური ფაუსტური გზა“), ჭირდება, რათა დაუზუსტებლობის შინაგან გრძნობას უპასუხოს, იმ საექვრო განცდას გაუღოს ხარკი, რომელსაც მისი ინტუიციით აღძრავს დასკვნა. იგი თავად გრძნობს დასკვნის საექვრობას! ფაუსტურის გზაზე დაყენებულ დათა თუთაშსიას მიზანიც შესაფერი უნდა აქონდეს, როგორი პატარაც არ უნდა იყოს მასში ფაუსტურის წილი. ერთ-ერთ საზად დონუანურ პლანს სედაყს კრიტიკოსი ამ ფაუსტურის გზიდან. ასე მძლავრობს რომანში ფილოსოფიური შრეების დანასვის სურვილი და გიორგი ვაჩეჩილაძის მსჯელობაში ჩნდება „ფილოსოფიური საზომი“ „ქედონიკა-ეპიკურეიზმი“, როგორც ცხოვრებასთან დამოკიდებულების პრინციპის მძიპე, ღრმა კატეგორიები.

ვფიქრობ, ძალით გართულდა და დამძიმდა „დათა თუთაშსიას“ შინაარსი. მას კი მომხიბვლელი შინაარსი აქვს, თავისი დროის შვილია, ფაუსტურისაკენ არა აქვს კურსი აღებული. მასთან შედარებით ძალიან მარტივი პიროვნებაა.

რაკი დათა თუთაშსიას არსი გაზვიადდა, რაკი მასში ფაუსტურის, მაცხოვრის მისტერიის და ფილოსოფიური შრეების რიგი დაეინახეთ, ადვილი შეიქნა უფრო საჩოთირო დასკვნების გაკეთება. დათა თუთაშსია, გიორგი ვაჩეჩილაძის აზრით, საქართველოს ისეთივე სიმბოლოა, როგორც „დოქტორ ფაუსტუსია“ ლივერკიუნი გერმანიის სიმბოლო. დათა თუთაშსიას შევიწროება თავისივე დემონებისაგან არ გვაძლევს უფლებას, მისი შინაარსი ასე უსასრულოდ გავაფართოვოთ და დათასა და საქართველოს შორის იგივეობის ნიშანი ვიგულისხმოთ, როგორც იგულისხმება ლივერკიუნსა და გერმანიას შორის. საქართველოს იგივეობის შინაარსს თვით რუსთაველის ავთანდილიც ვერ იტევს. მას შეგნებულად უკავშირებენ ტარიელის პიროვნებას, ან პირიქით, რომელთა ბუნება და ცხოვრების გზა — ერთმანეთში გადამდნარი — გვაგონებს საქართველოს ცხოვრების არსს. მათ დიდი გონით, დიდი გრძნობით და საწუთროს უსასრულო წინააღმდეგობათა რკალით ნაწილობრივ გადმოსცეს საქართველოს არსი.

დათა თუთაშსია მართალია რთული, ტრაგიკული პიროვნებაა, მაგრამ ქვეყნის არსის მომცველი სახე-სიმბოლო არ

არის. იგი პირობითად იწოდება აბრაგად. აბრაგობა, როგორც სწორად აღინიშნა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, საზოგადოებისაგან მისი განდგომის ფორმაა, მაგრამ ამ პიროვნების სირთულე მაინც არ სცილდება ერთ საზს, ერთ მაგისტრალს. ასეთს კი ქვეყნის ბუნება მრავლად აერთიანებს თავის თავში. ფილოსოფიური სიღრმე დათას ხასიათისა ერთობლოკალური მნიშვნელობისაა. იქ, სადაც ავთანდილისა და ტარიელის ურთულესი ხასიათები და დიდი ვნებები ტრიალებენ, ძნელი უნდა იყოს საქართველოს სახე-სიმბოლოდ დათათუთაშსიას წარმოდგენა.

ტარიელი და ავთანდილი ყველაზე მეტად შეიძლება იქნას მიჩნეული საქართველოს სიმბოლო-პიროვნებებად. მაგრამ არა სრულყოფილ სიმბოლოებად. შოთა რუსთაველს სიმბოლოს შექმნის მიზნით არ დაუწერია პოემა. უბრალოდ მისი ტალანტის სიღრმემ ბევრი რამ ჩადო საქართველოს არსიდან გმირთა ხასიათში. მით უმეტეს ვერ მოემსახურება ამ ამოცანას დათათუთაშსია და მისგან ასეთი სამსახური არც უნდა მოვითხოვოთ. მას თავისი ფუნქცია აკისრია და მშვენივრად პასუხობს ამ ფუნქციას.

გიორგი გაჩეჩილაძის დასკვნებს უკან მდგარი სურვილი მაინც უნდა დაფასდეს. კრიტიკოსს სურს დიდი ლიტერატურული ვნებების ჭრილში იხილოს ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები. როდესაც მიხეილ კვესელავა „ფაუსტური პარადიგმების“ ჭრილში განიხილავს ბარათაშვილის, ილიას, ვაჟას, გალაკტიონის შემოქმედებას, მიუხედავად რიგი უზუსტობებისა, არჩევანი მაინც სწორია და ბუნებრივი. მაგრამ ის, რაც ამ რიგს არ განეკუთვნება, ხელოვნური ბიძგით ორბიტაზე არ გავა და არც უნდა ვეცადოთ მის გაყვანას. რეალური მასალა თავად გვეკარნახობს თავის შინაარსს და იგი ფსიხელ შეფასებას საჭიროებს. მომთხოვნელობა უკმარობის გრძნობას ჭირდება გასაღრმავებლად, ორიენტაციის მომართვას უფრო არგებს, ვიდრე შექმნილის შეფასებას.

ჩვენში ხშირად კრიტიკის მოთხოვნებს, პოზიციას და პრინციპებს სუბიექტური განწყობილება მართავს. განსაკუთრებული სიყვარული ამა თუ იმ მწერლისა ზოგჯერ ყოველნაირად გაუმართლებელი გაზვიადების საფუძვლად იქცევა. სა-

ყოველთაოდ ცნობილია, რომ აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე საოცარი სიყვარულითა და მოწინააღმდეგეობით არის გამსჭვალული ლაღო ასათიანის პიროვნებისა და პოეზიისადმი. ასეთი სიყვარული ასულდგმულებს მის წერილს „ლაღო ასათიანის დღეები და ლექსები“.

გადაჭარბებულ ქებას — საზომების აღრევას ვერც მიმდინარე პროცესი ითმენს და ვერც კლასიკური ლიტერატურა. კლასიკური ლიტერატურის შეფასებისას უფრო მეტი სიზუსტე მოგვეთხოვება, მით უმეტეს, როდესაც ჩვენი თანამედროვე პოეტის შემოქმედებას ვადარებთ რომელიმე კლასიკოსის შემოქმედებას.

რამდენიმე ვრცელი ამონაწერი მინდა მოვიტანო გიორგი ჯიბლაძის წერილიდან:

„ლაღო ასათიანი ბარათაშვილის ასაკამდეც არ იყო მიღწეული, როცა ლერმონტოვის წლოვანებაში გარდაიცვალა. თითქოს ამითაც სურდა დიდი ადამიანების ბედს ზიარებოდა ან პრაქტიკულად დაემტკიცებინა მენანდრეს დეფინიცია, რომ ღმერთებს ვინც უყვართ, ადრე მიჰყავთ თავის სამფლობელოში“.

„მისი ყოველი ასალი ნაბიჯი პოეზიაში რომელიმე ასალი ფარდის აწევას ჰგავდა თეატრში, სადაც ერთ მოქმედ პირს მოულოდნელად რამდენიმე ამოუდგება ხოლმე გვერდით და მთელი ცსოვრება წარმოისახება თავისი სისარულით, ტკივილებით, განცდათა ოკეანით“.

„და მთელი ლექსი დინამიური რიტმით ამგვარად მიედინება ბოლომდე, როგორც გაზაფხულზე მთიდან მომსკდარი ნიაღვრები გრგვინვა-გრიალით აზანზარებენ ხალი კლდეების ხეობებს და გარე-მიდამოს. ვის შეუძლია ეჭვი დაებადოს, რომ ორივე ლექსი სრულიად ჭაბუკი, ოცი წლის ახალგაზრდა კაცის მართლაც დიდი პოეტური სუნთქვაა, დაწერილი პარცელაციის პოეტიკური ხერხის გამოყენებით. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ორივე ლექსი ასინდეტონის პოეტიკური ხერხის ოსტატური ხმარების ნიმუშია: ამიტომ არის, რომ კავშირები, მაგალითად, „და“ პირველ ლექსში მსოლოდ რვაჯერ გვხვდება, მეორეგან კი ათჯერ, რითაც პარცელაცია

სრულ გაშლას პოულობს, ლექსები სულმოუთქმელად იკითხება, თითქოს გაბმულ სიმღერებს ვისმენდეთ. შეადარეთ ეს ლექსები პარცელაციისა და ასინდეტონის სერსებით გალაკტიონის ზოგიერთ ნაწარმოებს და თქვენ დაინახავთ, თუ რამდენად დავალებული იყო ლადო ასათიანი „ლურჯა (კსენების“, „მთაწმინდის მთვარის“, „ქარი ქრის“, „მე და ღამის“ ავტორისაგან. ისევე, როგორც „მერი“, ეს ლექსები სულმოუთქმელად იკითხება, პარცელაციისა და ასინდეტონის კლასიკური ნიმუშებია. პირველ ლექსში მსოლოდ ოთხჯერ არის ნახმარი „და,“ მეორეში — რვაჯერ, მესამეში სულ არა, სოლო მეოთხეში — ექვსჯერ“.

„კითხულობთ ამ ლექსებს და გრძნობთ, რომ პოეტი ერთნაირად ძლიერია გრძელსა და მინიატურულ ლექსებში. სინამდვილის მსატერული აღქმა მისთვის ნიშნავდა რეალურის შემოქმედებითად გასაგნებას ფერწერული სურათოვნებით. ყოველ სტრიქონში იმდენ ვერბალურ ენერჯიას ათავსებდა, რომ ცოტას თუ გადაამეტებდა, მსატერული სასე შეიძლებოდა იმანენტურად აფეთქებულყო და მას საკუთარი უარყოფისათვის მიეღწია. დაძაბულობის უკიდურეს საზღვართან ეს პირდაპირ კატასტროფული დგომა ლადო ასათიანის ლექსებს აძლევდა დიდ შინაგან ძალას და მკითხველს სიბლავდა შემოქმედებითი გაქანების მაღალი კოორდინატებით“.

დავიწყოთ ბოლო ციტატით (უკვე ვიცით, რომ იგი ლადო ასათიანის მისამართით არის თქმული). მაგრამ მანამ ვახტანგ კოტეტიშვილის სიტყვები მოვიტანოთ ბარათაშვილის მისამართით თქმული.

„ეს ლექსი (იგულისხმება „მერანი“) აღმოჩენაა არა მართო ქართულ, არამედ მსოფლიო პოეზიაშიც. იგი აღმართულია, როგორც მუდამ მღელვარე სულის უძლიერესი მონუმენტი. ამ ლექსში ყველაფერი გამძაფრებულია, დინამიკა პირდაპირ გეოლოგიური ძალისაა, საზღვართა გადალახვის უდიდესი მაგალითია. ლექსის გრძელ სტრიქონებში იდეები ერთმანეთს ენაცვლებიან და ისეთი გაჩქარებით ცვლიან ურთიერთს, გგონია, თითქოს ქვეყანა იღვწებოდეს რაღაც საშინელი კატასტროფით. ტაეპი ტაეპს მისდევს არაგვისპირულის მსგავსად. ყოველი მუხლის სმა მაღლა იწევს, რომ შემდეგ

ზარიანი გრიალით გათავდეს, ეს რაღაც პრომეთესებური ლოცვა თუ ანათემა“.

როგორც ვხედავთ, პათეტიკურია ვასტანგ კოტეტიშვილის სიტყვები, მაგრამ ამ პათეტიკას აქვს საფუძველი. პათეტიკურია გიორგი ჯიბლაძის სიტყვები, მაგრამ ამ პათეტიკას არ აქვს საფუძველი. ლაღო ასათიანი ბარათაშვილის ბადალი პოეტი არ არის! ლაღო ასათიანის მშვენიერი, ლაღი სუნთქვით აღბეჭდილ ლექსებში არაფერია ისეთი, რომელიც გვაძლევს ასეთი შეფასების საფუძველს: „მსატერული სახე იმანენტურად აფეთქებულიყო“ და „მას საკუთარი უარყოფისათვის მიეღწია“. ეს ბარათაშვილის, გალაკტიონის, ლერმონტოვის, პუშკინის ლექსებშია მოხალოდნელი, რომ „მსატერული სახე იმანენტურად აფეთქდეს“ და „საკუთარ უარყოფას მიაღწიოს“, ეს ბაირონთან, ვერლენთან, ბოდლერთან შეიგრძნობა „დაძაბულობის უკიდურეს საზღვართან პირდაპირ კატასტროფული დგომა“. ეს პუშკინთან, ვაჟასთან, ბლოკთან ვიხიბლებით „შემოქმედებითი გაქანების მაღალი კოორდინატებით“.

მოვიდა ლაღო ასათიანი, გულწრფელი სათქმელით, საკუთარი ინტონაციით, ფრთიანი ფრაზით, სილაღით, ოპტიმიზმით, დაწერა კარგი ლექსები, მაგრამ სატი, რჯული, არ ჭირდება ლერმონტოვთან და ბარათაშვილთან „გათანაბრება“. მათ შორის მხოლოდ ის არის საერთო, რომ სამივენი დაასლოებით ერთი ასაკისანი გარდაიცვალნენ. რაც შეეხება ნიჭს, უნდა ითქვას, რომ ბარათაშვილი და ლერმონტოვი გენიოსების რანგია, სხვა სიღრმეა, სხვა სივრცეები შემოგვანათებენ მათი პოეზიიდან. დიდი ვნებები, დიდი სათქმელი ბრუნავს მათ ნაწარმოებებში. არ ჰქონია ასეთი მასშტაბები ლაღო ასათიანს. ის ექსპრესია არ ჰქონია, რომ გამართლებული იყოს საუბარი რაღაც „დაძაბულობის ზღვართან კატასტროფულ დგომაზე“ და მისთანანი. ნუ ჩავაყენებთ საყვარელ პოეტს უხერხულ მდგომარეობაში ჩვენი სიახლოვისა და განსაკუთრებული სიყვარულის მოტივით. ჩემთვის გასაგებია, რომ აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე ცდილობს უდროოდ დაღუპულ პოეტს ძალების დაუზოგავად მიაგოს ქება, მაგრამ სდება ლიტერატურული საზომების აღრევა და უნებურად ბურუსში

ეხვევთ ლადო ასათიანის ადგილსა და დამსასურებს დაუჯერებელი ეპითეტების დასევაებით.

„ჩემო ქვეყნის ოქროვანავ, დიდი გარჯით მოწეულო, სინათლისგან დაბრაწულო, კანდამსკდარო ბროწეულო, ნაცრისფერო ღრუბლის ძნებო, ფიქვის ტევრში გარეულო, მეგობრებო, მეზობლებო, შინაურო, გარეულო...“

ეს ყველა ჩვენგანისათვის საყვარელი ლექსი ისევე, როგორც სხვა ლექსები ლადო ასათიანისა, სულ სხვა ღირსებისაა, ვიდრე მას აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე მიაწერს. არავითარი „გრგვინვა-გრიალი“, არავითარი სალი კლდეების შესანზარება. ასეთი მეტაფორები შოთას, გურამიშვილის, ვაჟას, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, გალაკტიონის პოეზიაზე საუბარს შეენის. ლადო ასათიანის ლექსებს ასასიათებს ფრანზის სიმსუბუქე, სინათლე, გამჭვირვალეობა. ამდენად „პარცელაციის და ასინდეტონის“ პოეტიკური სერსის გამოყენებაზე სერიოზული მსჯელობა ცნობილი მკვლევარის მსრივ ზედმეტი მეჩვენება. რა თქმა უნდა, ლადო ასათიანის ლექსები სრულ საფუძველს იძლევიან პოეტიკური სერსების კვლევისათვის, მაგრამ როდესაც ეს კეთდება რაღაც განსაკუთრებულობის დასამტკიცებლად, უკვე სხვა პრეტენზიები გვიჩნდება!

უსაზღვრო მეგობრობისა და სიყვარულის ვნება თავს არ იზოგავს სხვა შემთხვევაშიც. გიორგი ჯიბლაძისათვის ლადო ასათიანის ყოველი ახალი ნაბიჯი „ახალი ფარდის აწევას გავს თეატრში“. ეს ხომ სასწაულზე მინიშნებაა. ეს ხომ ისევ და ისევ ბარათაშვილის რანგის ნაბიჯებია. „განცდათა ოკიანე“ ხომ შექსპირის ბადალი შემოქმედებისათვის არის დამახასიათებელი. უნებურად მშვენიერ ბაზილიკას სვეტიცხოვლის გვერდით ხომ არ ვაყენებთ და შემდეგ ხომ არ ვცდილობთ მსილველი დავარწმუნოთ ეს ბაზილიკა სვეტიცხოვლის სიმაღლისა არისო. მერე რა რომ ბაზილიკა მშვენიერია, სივრცე, მასშტაბები?

აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე დაუინებით ცდილობს ლადო ასათიანის პოეტური მასშტაბები უსაზღვროდ გაფართოებულად წარმოგვიდგინოს: თავდაუზოგავი ანალიზი, ეპითეტების სიუხვე იქით არის მიმართული, რომ ლადო ასათიანში

დიდი შემოქმედი დაეინახოთ. ლერმონტოვისა და ბარათაშვილის ასაკიც არ არის შემთხვევით ნასხენები, ადრეულ ასაკში გარდაცვალებასე ჩამოგდებული სიტყვაც სრულ გაგრძელებას პოულობს შინაარსში.

ლადო ასათიანს კი თავისი სიმაღლე აქვს, თაყისი ადგილი აქვს, რომელსაც ვერ წაართმევს ვერც ილუზიები, ვერც სკეპტიციზმი. მაგრამ თუ მისი დამსახურების სელონურ გაზრდას შევეცდებით, მაშინ მკითხველს, რომელიც ჩვენს წიგნებს ეტანება, ყალბ წარმოდგენას შეუუქმნით პოეტსე და უთუოდ დაეაჭვებთ, დაეუარგავთ კრიტიკისადმი ნდობას, რადგან ჩვენი მკითხველი არ შეიძლება არ გრძნობდეს, რომ ლადო ასათიანსა და ბარათაშვილს შორის დიდი განსხვავებაა.

ქვეყნობის ინტელექტის შორება და შინაარსი

ეროვნული კულტურისა და, კერძოდ, კრიტიკის მეორე, ყველაზე მეტად საშიში ტენდენცია ინტელექტის არსში აფარებს თავს. ინფორმაციების სიმჭიდროვემ დღემდე არნახული სიმკვრივე შეიძინა. იგი იცვლის შინაარსსაც. მოკრძალებული ბუნების ფენომენი უფრო პრეტენზიული სდება. იჭერს მეტ სიერცესა და დროს, ესწრაფვის სხვათა ფუნქციების მითვისებას. სხვის ადგილზეც არ იტყვის უარს სვალ თუ ზეგ. იგი უსაზღვროდ საჭირო გახდა. წვრილმანების მახვილი წვერით დღევანდელი ფლეთს პროფესიონალთა საყვარელ დროს და შინაგან მთლიანობასაც. ინფორმაციას ამიტომაც ედება დიდი ფასი, მოღლილი ენერგია ემორჩილება ილუზიას, რომლის ძალითაც მარტივი ინფორმაციების არსი ნაკითხობად და თვით განათლებულობადაც კი აღიქმება. ინფორმაციების უნივერსალურ ფორმაში, როდესაც და სადაც კი მოწესრიგებულია იგი, მართლაც არის შეტანილი ნაკითხობის ელემენტი — იგი კონდენსირებულად გვაწვდის წასაკითხი წიგნის მთავარ კრედოს და ათავისუფლებს დროის მნიშვნელოვან ნაწილს შემოქმედებითი წვისათვის. ინფორმაციების

ასეთი უნივერსალური ფორმა პროგრესული ფაქტია. იგი დაჭირდა ინტელექტუალურ სამყაროს ლიტერატურული ფაქტების შეუმცდარად ათვისების მიზნით. იგი გვესმარება არსებითის შეცნობისათვის საჭირო დროის დანარჩუნებაში. არსებითისა და არაარსებითის პრობლემა კი ინტელექტისათვის ნომერი პირველი პრობლემაა და თუ ის მაქსიმალურად მაღალ დონეზე არ გადაიჭრა, მაშინ ინტელექტის სიმწირეც ვარანტირებულია. სხვა გზა, გარდა ინფორმაციის უნივერსალური ფორმისა, არსებითის გასათავისებლად ინტელექტს არ აქვს და ამდენად მისი გაფრთხილება გვემართებს. ინფორმაციამ, კარგა ხანია, თავისი თავდაპირველი უმარტივესი მდგომარეობა შეიცვალა და სწორედ ასეთ მაღალ შინაარსს დაეუფლა. თავისი ახალი შინაარსით იგი ნაკითხობას არ დამუქრებია (მე აუცილებლად მიმანია წიგნის თემასთან დაკავშირებით ამ პირობითი დაყოფის მოშველიება. მიუხედავად იმისა, რომ ეს აზრი ჯერ კიდევ არ სარგებლობს პოპულარობით, ნაკითხობას, განათლებას და ინტელექტს აქვს დამიოუკიდებელი ფორმა და შინაარსი; მათი ერთმანეთში არევა მსოლოდ დილეთანტობას აძლევს სელს, რადგან დილეთანტობა სწორედ ამ სამი სფეროს ნანგრევებით არის შეკოწიწებული!) ნაკითხობა გონების სავარჯიშოდ გასავლელი ფაზაა. მსოლოდ მისი მეშვეობით შეიმუშავენს ორიენტაციის უნარს გონება. იმ შემთხვევაში თუ მკითხველთა გარკვეული ნაწილი ვერ დაადგენს ორიენტაციას, ნაკითხობას მაინც რჩება დამსასურება — თავისსავე შესაძლებლობის ფარგლებში ავითარებს იგი ყოველ ადამიანს, ასეთი მკითხველი მაინც ნასაზრდოებია სულიერად. რაც მთავარია, ნაკითხობა მუდამ რჩება ნოყიერ ნიადაგად, — ღირსეულ დგომას გონება მასზე სწავლობს. ამიტომაც ვერ ცვლის ინფორმაციების შინაარსი სისტემური კითხვის როლს. მათ შორის იგივეობა მოჩვენებითია და ადვილად იფანტება. არც ის არის შემთხვევითი, რომ ამ სფეროთა სასდერები მოჩვენებითად იხლართება ერთმანეთში და მასზე საუბრის აუცილებლობა ვერ იცილებს ელემენტარული ჭეშმარიტების იერს. ინფორმაციების ბუნება მით უმეტეს ვერ ემუქრება განათლებას, როგორც მოწესრიგებულ ნაკითხობას, სისტემაში მოყვანილ ცოდნას. იგი ისრუტავს ინ-

ფორმაციებს. ასაკდასაც და წაკითხული ლიტერატურის მასას, აზგუფებს და საკუთარი — უკვე გამომუშავებული პრინციპებისა და პოსტაციების სამსახურში აყენებს მას. ამასთან დღ. თიხდღე იფართოებს თვალთახედვას.

და ყველაფერს მაინც თავის თავში იკრებს ინტელექტა. ინტელექტი დუთაებრივი ინტუიციის წყალობით უმოკლეს გზებს პოულობს ცოდნის მასაშიც, განათლების სისტემურ ქსოვილშიც და ინფორმაციების მწკრივშიც. ინტელექტი მე მაგონებს თვით პაპანაქება სიცხეში ნორჩი სიმწვანით გამოირჩეულ სეს, იგი მწვანობს მაშინაც, როდესაც დიდი და ხანგრძლივი გეალების შედეგად სხეები ყვითლდებიან და ჭკნებიან მის ირგვლივ. მას თავისი დიდი სუნთქვა სინედლედ ამოაქვს ტოტებში და ფოთლებიც ლაღად შრიალებენ. ეს სინედლე არ არის ნაყოფი მოულოდნელად მოსული იქეში წვიმიხა, ფოთლებს რომ გააკრიალებს უეცრად და დიდ ბურთებად ასდება იმავე ფოთლებს ალაგ-ალაგ. თვეებისა და წლების განმავლობაში მოსული წვიმის შესრუტვის განსაკუთრებული უნარი აქვს ასეთ მცენარეს. ფოთლებით, წერილ-წერილი ტოტებით, მთავარი ტანით და ქვესკნელამდე ჩაწვდილი ფესვებით ისრუტავს იგი მაცოცხლებელ წვიმს. და ეს ფესვებია უმთავრესი. იგი მაშინაც რჩება სინედლის წყაროდ, როდესაც ბუნება უდაბნოს სიმშრალეს და სიყვითლეს აბატონებს ირგვლივ. ასეთ ფესვებს თანდაყოლილი სინედლის მარაგიც აქვს.

ვიცი, ამ სფეროთა არსის ასხნა არ ჭირდება ვინმეს, მე იგი უბრალოდ მოვაგონე მკითხველს შემდეგის სათქმელად: ჩვენ ინფორმაციის, ნაკითხობის, განათლებისა და ინტელექტის ერთმანეთში აღრევა ბევრ საქმეს გვიფუჭებს. ამ აღრევას კრიტიკაც მძაფრად განიცდის.

დღევანდელი დაძაბული ცხოვრებისაგან მოღლილ ადამიანს უჩნდება სურვილი ინფორმაციის უნიკერსალური ფორმით შექმნას განათლებულობის და თვით ინტელექტუალობის განცდა, დაარწმუნოს სხვაც და დაირწმუნოს თავიც, რომ უაღრესად განათლებული და ინტელექტუალური პიროვნებაა. ეს სურვილი თავდაპირველად კეთილშობილური ბუნებისა ჩანს, მაგრამ თანდათანობით იქცევა გონების გამოშ-

ფიტეულ ტენდენციად, რადგან მწყობრი ლოგიკური აზროვნების ნაცვლად ყველაფერში შთაბეჭდილებათა ნაკუწების გამეფებას ცდილობს.

მკითხველს იქნებ არც ავიწყდებოდეს, მაგრამ ჩნდება ილუზია იმისა, თითქოს ჩვენ დავიფიწყეთ ჭეშმარიტი ინტელექტის ფორმა და შინაარსი და სახელდასელოდ დიდი ოსტატობით მოხმობილი ინფორმაციით „ვექმნით“ ღრმა ერუდიციის განცდას, შეუმცდარი გემოვნების კულტს. ამ შემთხვევაში ორი რამ გვევლინება ლიტერატურის მტრად. ჯერ ერთი — თვით კრიტიკოსის ბუნებაში ჩლუნგდება ჭეშმარიტი ინტელექტი, რომელიც ერთეულებს დააყვებათ დაბადებითვე და რასაც მოვლა-პატრონობა უნდა. მეორე, ლიტერატურაში ნამდვილ ინტელექტს ინტელექტის ილუზია ცვლის. ამ ილუზიას გრძნობს მკითხველი, მაგრამ ბოლომდე ვერ ერკვევა მის არსში და სამაგიეროდ უნდობლად ეკიდება ლიტერატურას. კარგ ტონად გამოცხადებული ტერმინების სიუსხვე და ნედლი ინფორმაციების სილამაზე ფაქტიურად პროვინციული ინტელექტუალიზმია. მას არაფერი აქვს საერთო ინტელექტთან, რადგან ინტელექტი ასე შიშველად არასდროს არ ამოდის ზედაპირზე. მოწმენდილი ცის სიღრმე და სისადაყუამისი ბუნება. ინტელექტის ილუზია კი მსხვილ-მსხვილ წვეთებად რჩება ფოთლებზე ერთხანს, ბრჭყვიალებს, ციმციმებს და მზერას ირეკლავს. და ისე შრება, არათუ ფესვებამდე, უწვრილეს ტოტებამდეც ვერ აღწევს.

ინტელექტის არსი კულტურაში და მის ერთ-ერთ სფეროში — კრიტიკაში ეროვნულ შემოქმედებით გენს უკავშირდება და მასზე სიტყვა საგანგებოდ ამიტომ ჩამოვაგდე.

ჩვენ ვცანით ყოველი განვითარებული ერის ინტელექტი, რომელიც ამა თუ იმ ხალხის ბუნებაში ძევს და იქიდანვე ამოიზრდება. მისი უნარი, გაითავისოს გარემომცველი მსოფლიოს სულიერი კულტურის მონაპოვარი, დამოკიდებულია იმ ტოტების სიჯანსაღეზე, რომლებშიც თავის წვენს ანაწილებს ქვეყნის კულტურა. კრიტიკა უნდა უფროსილდებოდეს იმ ტოტებს. დღეს, სწორედ ინფორმაციებისა და კულტურათა მოვარდნილი ტალღების პირისპირ მდგომ ქართულ კრიტიკას სჭირდება შეუცდომელი განცდა ეროვნული ინტელექ-

ტისა, განცდა საკუთარი პოზიციისა, რათა ჯებირებს გადმოყლებული ძლიერი ტალღების ქვეშ არ მოჰყვეს ჩვენი საკუთარი. კულტურათა მძლავრ მიმოქცევას შეუძლია საერთოდ მოსხნას ერის სულიერი ენერჯის მთელი სალარო. ეს საშიშროება ასლავს ინტელექტის ე. წ. ამადლების პრობლემას. ამადლება კი ჰაერივით აუცილებელია. ურთიერთობა უფრო დიდი ინტენსივობით უნდა გაიმსჭვალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში აქამდე მოზიდული ძვირფასი ქვები პატრიარქალურ ელფერს გადაიკრავს.

საბედნიეროდ, ქართველი ხალხის გენიას გარემომცველ მსოფლიოსთან ურთიერთობის წყურვილი მუდამ ჰქონდა. ეს წყურვილი იყო მძაფრი და მუსლჩაუსრელი. მაგრამ ჩვენი დრო დაემუქრა სიმშვიდეს. მსოფლიო კულტურის აქამდე არნახული ინტენსივობით გაცნობამ წარმოშვა გარკვეული საფრთხე. აბა, დააკვირდით ნანახითა და წაკითხულით აღძრული შთაბეჭდილების გადასახარშავად სულიერი ენერჯის რა ძალისხმევაა საჭირო. ასლა შეცნობისათვის საჭირო ენერჯიის მარაგი განსახდვრეთ. არ არის შემთხვევითი, რომ სულ უფრო ძლიერდება ჩვენს ლიტერატურაში ნახსენისარი განწყობილება, მოარული თემები, იდეები, გაქვავებული მოდელები. მკვიდრდება და ფესვებს იდგამს ინტელექტის მიღების არაჯანსაღი ფორმები. მოჩვენებითი ინტელექტუალობა, ალოგიკური ცნობების სიჭრელე ეკერის გარს ქართული კრიტიკის სტილს, მის ქსოვილს, იკალათებს მის ბუნებაში. ეს გახლავთ ვერმორევის გამოსატულება. მას ჯერ არ მიუღია გლობალური მასშტაბი, ტენდენციის სახით არსებობს. გლობალური მასშტაბის დ უფლების შემდეგ დაგვიანებული და ამდენად უაზრობაც იქნებოდა მასზე საუბარი. მსოფლიო სტანდარტებთან გათანაბრების მძაფრი სურვილი დაუფიქრებლად გამოიხმობს ხოლმე ასეთ ფორმებს. მაგრამ არცთუ ძნელად გასაშიფრი ილუზიების მწკრივი წარმოშობს პროვინციული ინტელექტუალიზმის შინაარსს, რომელიც ადიდებული ნაკადულივით იჭრება ეროვნული ლიტერატურის გულში და მღვრიე ზოლს ავლებს.

პროვინციული ინტელექტუალიზმის სენი არასდროს არ შეეყრებათ კონსერვატორებს, სხვაა მათი უბედურება. ეს სენი

კი ურთიერთობის მძაფრ წყურვილებთან არის წილნაყარი და ამიტომაც თვით უფრთხილესი მწერლების შემოქმედებაშიც შეიჭრება. ზოგჯერ დაეუფლება დიდი მწერლების შემოქმედებასაც, ანგარიშგასაწევ კრიტიკულ წერილებსაც გამსჭვალავს. ამიტომ არის იგი საშიში. პროგრესული, უსილავ სიღრმეებს დასარბებული დიდი გულის შემოქმედები ბედავენ ცოდნის ოკეანესთან შებმას. ამ დროს ირღევეა ზომიერების გრძნობა — ხან ეჩქარობთ, ხანაც ბოლომდე ვერ ვითვალისწინებთ ეროვნულ ინტელექტთან მსოფლიო კულტურის შერწყმის ფორმებს და სასელოვანი მწერლების უნებური სელქეწყობითვე იჭრება არასასურველი არსი. შემდეგ დიდი მწერლების თაყვანისმცემლები ჩნდებიან, ადვილად რომ ენდობიან წინაპართა ყოველ ნაბიჯს და ამრავლებენ ინტელექტის ამადლებს არასასურველ ფორმებს.

ეროვნული ინტელექტის გზა კი მარტო ერთეულებს არ ექრდება. იგი, მით უმეტეს დღეს, საჭიროებს გავითვალისწინოთ მსოფლიო კულტურასთან ურთიერთობის გონივრული ფორმების ლოგიკა. თავისთავადობის დასანარჩუნებლად სხვა გზა არ არსებობს.

ამ გზის განათება რომ ურთულესი პრობლემაა, ეს არ ამართლებს თვითდინებაზე საქმის მიგდებას, ლოდინის ფილოსოფიას, გულზე სელის დაკრეფას, ურთულესი პრობლემაა თვით ეროვნული ინტელექტის თავისთავადობაში გარკვევა, რამდენადაც მასში ჩვენი და ზოგადკაცობრიული, საბედნიეროდ, ისე არიან გადაწული, რომ ზღვარის შემჩნევა თითქოს შეუძლებელიც ხდება. თავისთავადობა კი დასადგენია, მაგრამ მკაცრი და უკომპრომისო თვალთ. ეროვნულობის ზედაპირული ნიშნები, რაც ინტელექტის ზედაპირული ნიშნების პარალელად გვევლინება, მოსაკვეთია. კიდევ უფრო ძნელი დასადგენი ის არის, რა ახალი ფორმით უნდა გამჟღავნდეს ეროვნული კულტურა დღეს და რამდენადაც რთულად არ უნდა გვეჩვენებოდეს ქართული კრიტიკის მისია, მან უნდა შეასრულოს იგი. საამისოდ ენერგიის მაქსიმალურად დამაბეა, ძალთა მობილიზება და ერთი კაცის კისერზე უღლის შეგდების ტრადიციის მოშლაა საჭირო. რჩება შესაძლებლობა გამუდმებული ფიქრისა, ძიებისა და აზრთა გაზიარების, რის

შედეგადაც ეროვნულ გონს ძალუძს სრულყოფილი ფორმების დაქობნა.

ლიტერატურული ცხოვრება

ლიტერატურული ცხოვრება უამრავი დიდი და მცირე მოვლენების ჯაჭვია. ერთის ძლიერება მეორის ძლიერებასისუსტეზე მოქმედებს. მას აქვს თავისი დაუწერელი თუ დაწერილი კანონები, რომელთა დაცვა-მოწესრიგება ჩვენი წმიდათა წმიდა ეალაია, ყოველი მწერლის ფიქრის საგანია. ზრუნვა ესაჭიროება მწერლის სამუშაო პირობებს, მის შემოქმედებით წვას, მისი განწყობილებისა და ფანტაზიის მომართვას, ზრუნვას ითხოვს კარს მომდგარი ასალი თაობა, გონიერულ მიდგომას და დახმარებას, სათუთია მისი ნერვები. მისი ოცნებები გაგებას და თანადგომას გვაძლავს ბულებენ. მოვლას საჭიროებს წინაპართა შემკვიდრება, გემოვნებით შერჩევასა და ღირსეულ წარდგომას შთამომავალთა წინაშე; კლასიკოსები მხოლოდ იუბილეებზე აღორძინებულ სიცოცხლეს ვერ დასჯერდებიან, ისინი ყოველღლიურ ფიქრში ჩარევისათვის გაჩნდნენ ამ ქვეყნად, ქვეყნისა და საღხის ფიქრის წინამძღოლებად გაჩნდნენ... ქართული კრიტიკული აზროვნება მარტოოდენ საკუთარ წვენში ხარშვით შორს ვერ წავა, თვალსაწიერს ვერ გაიფართოებს, საკუთარ ორღობეში გამოკეტილი, იგი, ეროვნულ მწერლობას ვერას არგებს. საზღვარგარეთის კრიტიკული აზროვნების სიმძლავრითა გადახარშვა ევალება მას, ამისათვის კი აღიარებული კრიტიკოსების წიგნებია გადმოსათარგმნი... ეროვნული პოეზია, ესოდენ მდიდარი და მასშტაბური, საკადრისად გამოცემას გვაეალებს, ანთოლოგიების სიმრავლეს მოითხოვს; პოეზიის საღამოები ორგანიზებულიობასა და შესაფერ დონეს არიან დანატრული... ქართული მწერლობის ყველაზე უფერული სფერო—დრამატურგია ჩამორჩენის მიზეზებზე ფიქრსა და ზრუნვას შეგვახსენებს... მწერლის ღვაწლი მეტ მასშტაბებს ესწრაფვის...

ყველაფერი ეს ლიტერატურული ცხოვრების შემადგენელი რგოლებია და მათ მოვლა და პატრონობა ესაჭიროება. ყოველი რგოლი გვიმხელს დარღვეული ზომიერების გრძობის დამაფიქრებელ შედეგს... გაკეთებული საქმეების ჯამი უმნიშვნელო როდია, მაგრამ იმდენია გასაკეთებელი, რომ გაკეთებულით ტკბობის უფლება არა გვაქვს.

ქართულ მწერლობას უზარმაზარი საქმე აქვს საკეთებელი. რა მასშტაბისა, ეს ცალკე საუბრის თემაა. აქ მხოლოდ მოკლედ თუ შეიძლება მასზე ლაპარაკი ერთ საკითხთან დაკავშირებით. ქართველი ერის ცხოვრებაში დროის შესაბამისად მწიფდება უნივერსალური შინაარსის სათქმელი, დაგროვდა დიდ სიტყვაში გასამუდამებელი ენერგია. მისი მეობის გამომხატველი ნიშანსვეტები, საუკუნეებს რომ იჯაჭვავენ ძლიერ სსეულზე, დრო და დრო მიაბრუნებენ მომლოდინე სასიყვარულებს ერის მკერდში მოთიმთიმე ცხელი მასისაკენ. ეს მასა დასაბამიდან ბრუნავს, ხან დაიწრიტება, ხან სივრცეში გაიშლება, ხანაც გაუმუდამებლად ჩაიკირება, ხანაც ძალას მოიკრებს და ამოსაფრქვევად ემზადება. ერს, რომელიც რუსთაველისა და ვაჟა-ფშაველას ენით ელაპარაკა ქვეყანას, არ შეიძლება ახალი დიდი სიტყვის წყურვილი არ კლავდეს. დაეიტვირთათ თუ არა მესსიერებას ლიტერატურული ძეგლებით, უძველესი ხალხური პოეზიის ნიმუშებიდან მოყოლებული მარგალიტებით, კლასიკური „მუშანიკის წამებიდან“ ამაღლებული ნაწარმოებებით, ერთბაშად იგრძნობთ, რა ავალია თანამედროვე ქართულ მწერლობას ტრადიციისაგან. რაოდენ ღრმა და ტევადი უნდა იყოს შესატყვისის სიტყვა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში.

ქართულ მწერლობას უზარმაზარი საქმე აქვს საკეთებელი! მან ტრადიციის შესაფერისად უნდა გამოხატოს თავისი დრო. ეს კი ნიშნავს არნახული მასშტაბების და დღემდე გაუგონარი სიახლეების გაჩენას ფორმის თვალსაზრისით, რასაც ჭირდება ჯერ ცალკეული მწერლის ენერგიის დაუკარგავად გახარჯვა და მეორე მხრივ მთელი ქართული მწერლობის შინაგანი მობილიზება, მათი ერთ არსებად განცდა.

ნიჭიერი მწერალი ბევრი არ იბადება, მაგრამ არც ისე ცოტაა, გონების თვალს რომ შეკრებს სოლმე ხანდასან. ბოლოს მართლაც ცოტა შეგვრჩება სოლმე ნიჭიერი მწერალი ხელთ. დასაწყისში კი საგრძნობლად ბევრი იძლევა იმედს. ამ შემთხვევაში მარტოოდენ ერთი მიზეზი არ მოქმედებს.

თითქოს ნიჭი კარგად რომ ვერ შევიცანით, ის მიზეზი არა! ნიჭიერი მწერლის აღიარებისა და ცნობის ფორმებია დამახინჯებული და უმთავრესი მიზეზიც ეს გახლავთ ტალანტების ჩაქრობისა.

მოვიდა ნიჭიერი მწერალი, რასაც ყველანი დანატრულნი ვართ. რამდენი დიდი მწერალიც არ უნდა გეყავდეს, ნიჭიერი მწერლის მოსვლა მაინც ლიტერატურული მოვლენაა. ასალი სუნთქვა, სტილი, ახალი ქვეყანა მოაქვს და ამიტომ არის მოვლენა. არავის არ მოწყენია ახალი ნიჭის მოსვლა მეცხრამეტე საუკუნის რუსულ ლიტერატურაში. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ელაედა პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, ტოლსტოის, დოსტოევის, ნეკრასოვის სახელები. მოვიდა ჩესოვი და გაისარა ქვეყანამ. იგრძნო, რამდენი რამ დააკლდებოდა, ამ ბუნების მწერალი რომ არ ჰყოლოდა...

და აი, მოვიდა ნიჭიერი მწერალი, მნიშვნელობა არა აქვს, რა რანგისაა ეს ნიჭი, რამდენად ყოვლისმომცველია იგი ან რამდენად ცალმხრივია. მთავარია, რომ ნიჭიერია. ახალი სუნთქვა შემოაქვს! ჩვენ ხშირად ნიჭიერი მწერლის აღიარება მისი ნიჭის დასაჭურისებად გამოგვდის. აღიარება დიდი ლიტერატურული პროცესის მოთხოვნილებას უნდა გულისხმობდეს. ყოველ სტრიქონში, თბილი სიტყვების შრეებში უკმარობის გრძნობა უნდა ფეთქდეს შექმნილის მიმართ. მწერალს იგი ამ უკმარობის გრძნობით უნდა მუხტავდეს. ასალი სახელისათვის გულის გათბობა კრიტიკული აზროვნებისაგან მაღალ ხელოვნებას მოითხოვს. ამ ხელოვნებას კი ფლობა უნდა. გულისგათბობა უბრალო წახალისებას არ უნდა ნიშნავდეს. ქებაზე დასარბებული ადამიანისათვისაც კი იგი მეორე დღესვე მუსრუჭად გადაიქცევა. ადამიანი ნებისყოფაა, ქება ნებისყოფას ადუნებს, რადგან ნებისყოფა სიამოვნების გზით არ დაიარება, მაშინ როდესაც ყოველი ჩვენთაგანი მთელი არსებით ელტვის სიამოვნებას. ზედაპირზე მუდამ ქებისაგან მოგვრილი სიამოვნება იგულისხმება და გრძნობა მას ეტანება. ასალგაზრდა მწერალმა იმ ფაზას რომ მიაღწიოს, სადაც ნებისყოფა უდიდეს სიამოვნებად და თავისუფლებად განიცდება, ამისათვის ენერჯის უდიდესი დაძაბვა და საწყისი გზით წარმართვია საჭირო. მრავლობს ჩვენში ჩამქრალი ტა-

ლანტები, — ერთი-ორი ნაწარმოებით რომ ვაღიარეთ უნიჭი-
ერეს მწერლებად და შემდეგ ათეული წლების მანძილზე იმ
აღიარების ბაიარლს არიან ამოფარებულნი. რა მოხდა,
შემთხვევითი იყო მათი კარგი დებიუტი? კარგი ნაწარმოები
შემთხვევით არ იწერება, მას ნიჭი ქმნის. თუნდაც ერთი
ბრწყინვალე ნაწარმოების შემქმნელი ნიჭიერი მწერალია.
უნიჭო ვერასოდეს ვერ დაწერს თუნდაც ერთ შესანიშნავ ნა-
წარმოებს. მაშ რა სდება? „სუნთქვა“ არ ეყო თუ ენერჯიამ არ
იკმარა? წარმოუდგენელია. სხვა რამ მოხდა:

ნიჭი ყოველთვის მადლმოსილებაა. მაგრამ იგი ყოველ-
თვის მტკიცე ხასიათის და ნებისყოფის ადამიანებს როდი
ემძლეათ. აღიარება ზოგისათვის კმაყოფილების გამაღვივე-
ბელ ბიძგად იქცევა. კმაყოფილებისაგან თავის დაღწევა კი
არც ისე ადვილია. მწერალი კმაყოფილია თავისი შენაძენით,
სახელით, დიდებით. პატივის გრძნობა მანიად ექცევა და ფიქ-
რის უდიდესი მარაგი ასლის შესაქმნელად კი არ ისარჯება,
არამედ მიღწეულით დამბანგველ ტკობაში. შემდეგ ერთი-
ორჯერ კიდევ გამოანათებს მისი ნიჭი, ლიტერატურული სა-
ზოგადოებრიობა კიდევ ერთხელ ირწმუნებს თავის აზრს,
თითქოს მისი პირვანდელი ვარაუდი მწერლის ნიჭიერებისა
განგებამ ბეჭდით დაუდასტურა და მთლად თავისთავის ძეგ-
ლად იქცევა მწერალი. არც მარცხნივ იყურება და არც მარ-
ჯვნივ, არც წინ, არც უკან. კმაყოფილება მაგიური წრეა,
მსოლოდ შიგნით შეიძლება ტრიალი, შიგნითვე გულის
ამოლპობა. მწერალს კი ათგზის უკეთესის და ათგზის მეტის
გაკეთება შეეძლო, ვიდრე ის პირველი მოთხრობაა, ის პირ-
ველი ლექსი, ის პირველი რომანი, ის პირველი პიესა...
შეეძლო. მსოლოდ კრიტიკული აზროვნების მკაცრი თვალი
უნდა დაბჯენოდა მის ზურგს და უნდა ცოდნოდა, რომ ეს
აღიარება ძალიან ცოტას ნიშნავს, რომ იგი მსოლოდ დასა-
წყისისათვის არის კარგი. იმ მკაცრ თვალს უკმარობის
გრძნობა უნდა აემზევებინა, ამოსუნთქვის საშუალება არ უნ-
და მიეცა მისთვის. ნიჭი მდინარესავით არის. თუ არ ბრუნავს,
ტალღების დრეკადი სხეულით არ იკრებს ახალ ნაკადს და
კალაპოტს არ იფართოვებს, ზღვამდე ვერ მიაღწევს, სი-
ლაში ჩაიწრიტება.

ქართულ მწერლობაში ათობით სახელი იქნება გაქვავებული, უმოქმედო. სახელები, რომელთაც დიდ იმედებს ვუკავშირებდით. მაგრამ ჩვენმა დამოკიდებულებამ, ჩვენმა ცნობამ არაფერი არ მოსთხოვა მათ შემდგომ. დაწერეს თითო-ოროლა კარგი ლექსი, კარგი მოთხრობა, კარგი რომანი და გადაიმდერეს მერე თავიანთი თავი. ეს თითო-ოროლა ნაწარმოები დაპყრობილ მწვერვალად ჩავუთვალეთ; თვითონაც ასე მიიჩნიეს და აღმოჩნდა, რომ არა მწვერვალი, პატარა გორაკი ყოფილა, საიდანაც მაღლა და მაღლა როდი მიიწევდა მწერლის სული, დაბლა მოგორავდა დამძიმებული სხეული. ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდა, რომ ჭაობში მუსლებამდე ეღვა ფესები.

შემოქმედებითი წვდომის ხარისხი ქართულ კრიტიკაში ნულსაა გათანაბრებული. მთავარია, ლიტერატურისმცოდნეობის ენით სახელი მოეუძებნოთ ამა თუ იმ ნაწარმოებს, ადგილი მიუჩინოთ ამა თუ იმ მწერალს, რომ მოვალეობამოსდილად ჩავთვალთ თავი. კრიტიკა წვდომის გზით შემოქმედებით პროცესში მონაწილეობს ყოველი მწერლისა და საერთოდ ლიტერატურის შემოქმედებით პროცესში. მაშინაც კი, როდესაც მწერალს ჰგონია, რომ კრიტიკულ აზროვნებას მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვსო, თავს იტყუებს ან გულწრფელად არ ლაპარაკობს. ქვეცნობიერად იგი კრიტიკული აზროვნების მაჩვენებლებზე ამოწმებს თავისი ფანტაზიის მიმართულებას და სწორი ორიენტაციის არჩევას ცდილობს. ჩვენ სწორედ შემოქმედებითი წვდომის ფუნქცია დაგვარგეთ. იგი კი კრიტიკის იარაღია. არასოდეს არ წარმოიქმნება ასეთი იარაღი მწერლის სელში. მწერალს თავისი საზრუნავი აქვს, თავისი სერსები, მაგრამ სინათლისაგან სიბნელის გამყოფ ძალას კი მუდამ საჭიროებს. ეს ძალა შინაგანი სიფრთხილის ნიჭია და მხოლოდ მოწოდებით კრიტიკოსს შეიძლება გააჩნდეს.

შემოქმედებითი წვდომის პრინციპით მწერლის სულიერ ლაბორატორიაში მონაწილეობა ლიტერატურის სწორი გეზის საპოვნელი უმთავრესი პირობაა. ამ წვდომით კრიტიკული თვალის გაცილებით ცსადად გრძნობს, რა არის არსებითი ამა თუ იმ მწერლის ნიჭში, რა გზით უნდა ევლინებოდეს იგი,

რა გვეჩვენება ზედმეტ ტოტებად, რა უშლის ხელს ნიჭს სრულად ამობრწყინდეს.

რამდენი ნიჭიერი მწერალი გაისლართა იმ ზედმეტ ტოტებში, თავისი ნიჭის მიმართულება რომ ვერ იგრძნო, ვერც კრიტიკამ დაანახა იგი.

ნიჭის მოვლა სხვა რამესაც გულისხმობს. კრიტიკამ რამდენიმე სასელის ამოჩენება იცის. ამოჩენებით თვით ამოჩენებულს ბორკავს, გამუდმებით კმაყოფილების მორევში აცურავენ და მიტომ. მაგრამ მეორეს მხრივ სხვა ნიჭიერი მწერლის ფანტაზიას თრგუნავს. ლიტერატურის ატმოსფერო უმადურობის გრძნობით იმუსტება და ამ გზით. თრგუნავს ნიჭიერ მწერალს. კრიტიკას ამიტომაც მართებს თავდაჭერილობა. მისი კუთვნილი ქვეყნის წიაღიდან უკმარობის გრძნობის აღმძვრელი ქარები უნდა ქროდნენ და არა ლოყაზე მოლამუნე თბილი სიო, ზოგს ნებიერად რომ აძინებს და ზოგსაც გულს ურევს ბრიყვული უწყინარობით.

ლიტერატურა მართონია — კრიტიკაში ამ გაფრთხილებას უნდა კითხულობდეს მწერალი და ნაწარმოების დამთავრებისთანავე იწყებდეს ასალს, რომელიც მისი შინაგანი წყურვილის კარნახით რამდენადმე უკუაგდებს კიდეც ძველს.

ქართულ მწერლობას დიდი საქმე აქვს გასაკეთებელი და ნიჭიერ მწერალს ლიტერატურულმა ატმოსფერომ იმდენი რამ უნდა გააკეთებინოს, რამდენიც ძალუძს სრული მობილიზების შემთხვევაში მის სულიერ ენერჯიას.

მწერლის სამუშაო დრო

დროის ნაკლებობას სულ უფრო და უფრო ხშირად ეუჩივით. ხშირად ისმის ჩვენს საუბარში, დრო არ მყოფნის, სულ არა მაქვს დრო... რომელი პროფესიის ადამიანს დაასახელებთ, დრო რომ საკმარისი ჰქონდეს. არაფერი გაგიკვირდეთ, პენსიაში გასულმა ადამიანებმაც თუ იგივე შემოგრივლონ: სამსახურის საქმეებს გარდა ადამიანს უამრავი საზრუნავი

ვი აქვს და იგი პენსიაზე გასვლის შემდეგაც საზრუნავად რჩება. სოციოლოგიურ გამოკვლევებში უამრავი მიზეზია დასახელებული, რომელთა წყალობით ჩვენი დრო უმოწყალოდ ქუცმაცდება, თვალსა და სელს შუა ისე გვიქრება, რომ ჩანაფიქრის ნახევრის აღსრულებასაც ძლივს ვახერხებთ. თანამედროვე ცხოვრების რიტმი და შინაარსი თავის თავში იერთიანებს ყველა კონკრეტულ მიზეზს. მაგრამ სწორედ კონკრეტულად ჩვენი ცხოვრების მიზნისათვის ვერაფერი ნუგეშია ამ ზოგადი განმარტების არსებობა. ვერაფერი ნუგეშია მიზეზთა კომპლექსის გაცნობიერება და თავის ნაწილობრივ დამშეიდება იმით, რომ სხვა, ჩვენს გარეთ მდგომი პირობა გვიშლის ხელს კეთილშობილური ჩანაფიქრის განხორციელებაში.

დროის ნაკლებობის გლობალურ საკითხს ერთი კუთხიდან უნდა შევხედოთ დღეს, მით უფრო, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტა ცალ-ცალკე ყოველი ჩვენთაგანის ძალ-ღონეს აღემატება. მიზეზების ჩამოთვლით თითქოს თავისუფლად დაიშაგენენ უცვლელი შემადგენლობის კომპლექსს. იგი მოდელივით არის ჩამოყალიბებული და მტკიცედაა შეკრული, მაგრამ მიზეზთა მთელი წყების დაშლისა და მოვლის საქმეა გადაულასავი ზღუდე, რომელიც ფარ-ხმალს დაგვაყრევინებს და ჩვენც უკან ვიხევთ.

„ლიტერატურულ საქართველოში“ ამას წინათ მეთაური წერილი გამოქვეყნდა — „როდის წაიკითხოს ადამიანმა „ომი და მშვიდობა“. წერილი სწორედ ზოგად პლანში მიმოიხილა და დროის ნაკლებობის პრობლემას. მისი გადაჭრის პრეტენზია, ბუნებრივია, არც იმ მეთაურ წერილს ჰქონია, საერთო საწუხარზე ითქვა უტყუარი მაგალითებით. რამდენიც არ უნდა ვეცადოთ, ცხოვრებისა და დროის უზოგადეს კანონებს მაინც ვერსად ვერ გავექცევით. მაგრამ ჩვენს კონკრეტულ დროში ისეთი ხელისშემშლელი მიზეზების უკუგდება მაინც უნდა მოვასერხოთ, რომელთა უკუგდება პრაქტიკულად შესაძლებელია. ის, რაც საყოველთაოა, ის, რის წინაშეც კონკრეტული პიროვნებანი უძლურნი არიან დედამიწის ყოველ კუთხეში, ერთი მხარეა, ერთი მიზეზი. მაგრამ ხომ არსებობს სხვა, უფრო კონკრეტული მიზეზები, რომელთა მოგვარებაც

ჩვენს სელთ არის, და რომელითა მოგვარების შემდეგ ჩვენს სამუშაო დროს დროის დიდი მასა დაემატება.

უშუალოდ მწერლის სამუშაო დროზე მინდა ვისაუბრო. ვფიქრობ, საერთო ტკივილს გამოიხსატავ, თითოეული ჩვენთაგანის ფიქრში დიდი სწილთ ნაწვალეპ კითხეებს ვუტრიალებ და ისიც მწამს, ღირს ამ თემაზე დაფიქრებაცა და საუბარიც.

ერთ ნიჭიერ ქართველ მწერალს დროის ნაკლებობაზე ყოველი მსრიდან მოძალეებულმა საყვედურმა თუ დაჩივლებამ, როგორც ჩანს, უკურეაქციის გრძნობა გაუღვივა და პირდაპირ გაგვიცხადა: დროის რომელ ნაკლებობაზეა საუბარი, დრო თავსაყრელად არის, მიდისარ — ფიქრობ, ავტობუსში — ფიქრობ, ტროლეიბუსში — ფიქრობ, მსუბუქ მანქანაში — ფიქრობ, სტადიონზე — ფიქრობ, მაგიდასთან ზისარ, ფიქრობ... დრო არასდროს არ იკარგებაო. ასეთია მისი შესედულება. ერთი შესედვით თითქოს მართალიცაა. ცხოვრების რიტმი შედაპირზე დილეტანტიზმის ქაფს იკიდებს, ამიტომაც მომრავლდა ერთი შესედვით უტყუარი სიმართლეები. სიღრმეში? სიღრმეში კი ამ შედაპირულ სიმართლეს ფერიც ეცვლება და შინაარსიც და ბოლოს შიშველ სიმცდარედ მოგვევლინება. იმ სიტყვების ავტორიც გაწამებულია დროის ნაკლებობით. მის უკურეაქციასაც აშკარად ეტყობა ეს გაწამებული კაცის განწყობილება, თითქოს უსიამოვნო ჭეშმარიტებას იგერიებსო, კრიჭაში ჩამდგარი საპირისპირო მოსაზრებით, რომელსაც გაცილებით ნაკლებ მყარი საფუძველი აქვს.

მწერლის ფიქრი სეირნობისას, ტრანსპორტში, სტადიონებსა თუ რესტორნებში, მაღაზიებსა და დაწესებულებებში — გონებრივი მუშაობის მსოლოდ ერთი მსარეა. პროფესიონალი მწერლის მუშაობის რთულ ბუნებაში გადამწყვეტი მაინც უშუალოდ წიგნების სამყაროში, საწერ მაგიდასთან მობილიზებული ფიქრი და შრომაა. ის ფიქრი, რომელიც ზემოთ ვასსენეთ, მსოლოდ ერთი შენაკადია, მაგრამ ძალზე მცირე სკედრითი წონისა. მწერალს, ეს ყველას კარგად მოესსენება, დაუნაწევრებელი ფიქრი და განწყობილება თუ გამოადგება შთაგონების წყაროდ და შესაქმნელ მასალად. დაუნაწევრებული ფიქრი, განწყობილება და განცდა! საწერ მაგიდასთან

მწერლის შრომა მართო ქაღალდზე ნაფიქრის გადატანას რომ არ ნიშნავს, ესეც ყველასთვის ცნობილია. მთავარი სწორედ იმ მიკროკლიმატის და მიკროსამყაროს შექმნაა, რომელიც მწერლის შრომის სრულფასოვნებას განსაზღვრავს. შემოქმედებისათვის საჭირო მიკროკლიმატი და მიკროსამყარო მსოფლიოდ საწერ მაგიდასთან შეიძლება შეიქმნას და არაერთარ შემთხვევაში სეირნობისას, ტრანსპორტში, სტადიონებსა და რესტორნებში ყოფნისას... ეს დრო კი, საწერ მაგიდასთან გატარებული დრო, ამ მიკროკლიმატის და მიკროსამყაროს შემადგენელ ნაწილად გულისხმობს ზღვა ლიტერატურის წაკითხვასაც და გათავისებვასაც, რაც არასგზით არ მოთავესდება გარეგარე გაწილაკებული დროის უბეში. „ომი და მშვიდობა“ მთელი არსებით გარინდებასა და უღრმესი გულისყურით წაკითხვას მოითხოვს. მწერლის სამუშაო დრო ყველაფერ ამას აერთიანებს და სწორედ ეს დრო, რომელსაც ოცდაოთხი საათიდან აბსოლუტური უმრავლესობა უნდა ეთმობოდეს, უმწყალოდ არის დაქუცმაცებული. კუთვნილი დროის იმპერიისაგან რაღაც ნაფლეთები და პატარ-პატარა კუნძულები მოდის მის წილად.

სანამ უფრო კონკრეტულ სატკივარზე გადავიდოდეთ, იმ მაღლზეც ვთქვათ, რაც ჩვენმა დრომ მოიტანა მწერლის სამუშაო პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით. ეს გასლაგთ, უპირველეს ყოვლისა, გრძელვადიანი შემოქმედებითი მივლინებები (სამთვიანი, ექვსთვიანი, ზოგჯერ წლიანიც). შემოქმედებითი მივლინებები ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში და რესპუბლიკის გარეთაც — მოკავშირე რესპუბლიკებში და საზღვარგარეთის ქვეყნებშიც, ეს ფორმა სულ უფრო შლის ფრთებს, ერთგვარი ამოსუნთქვის საშუალებას იძლევა. ზოგიერთ შემოქმედებით ორგანიზაციაში დასვენების დღეებს კვირაში ერთი შემოქმედებითი დღეც ემატება. ეს ფორმაც შეღავათის მაღლს დაატარებს თავის თავში.

ქართული მწერლობის სინამდვილეში (ვფიქრობ, ქართული მწერლობის პრაქტიკით ამ თემის შემოსაზღვრა საკითხს არ დააწერილმანებს) ჩვენ გვხვდება ბევრი ისეთი ხელისშემშლელი მიზეზი, რომელთა აღმოფხვრა ჩვენვე შეგვიძლია, რომელთა წინააღმდეგ მწერლობის საერთო აზრის დაპირის-

პირება უთუოდ გამოიღებდა სასურველ შედეგს, და რაკი გლობალურ მიზეზებზე საუბარი ფაქტიურად უნაყოფო ბრძოლად გვესახება, ჩვენი შესაძლებლობების სფეროში მოქცეული ფაქტორების გამო მაინც ვთქვათ რაიმე.

მაგრამ მანამ:

ქართული მწერლობის უზარმაზარი მისია აქ ერთსეულ კიდევ უნდა შეეახსენოთ ჩვენს თავს, რადგან ამ მისიის გააზრების შემდეგ დროს მეტი ფასი ედება. ქართულმა მწერლობამ, ეს არაერთსეულ გვითქვამს, უნდა უპასუხოს თავისი დიდი ტრადიციის მოთხოვნებს. მას ევალება წინაპართა ფილოსოფიური სამყაროს შესატყვისი ლიტერატურის შექმნა ჩვენს დროში, რაც ამავე დროს გულისხმობს თანამედროვეობის საკადრისი ლიტერატურის შექმნას ყველა უანრში. ამავე დროს გულისხმობს დიდი ლიტერატურული მომავლის გარანტიასაც. ქართული მწერლობის ღირსეული არსებობა ქართველი ერის ღირსეულ არსებობასაც გულისხმობს და ჩვენ, ბუნებრივია, ერთი წამითაც არა გვაქვს უფლება ლიტერატურულ პროვინციად წარმოვიდგინოთ და ვიწამოთ ჩვენი თავი, თანაც შევეგუოთ ამ პროვინციულ მდგომარეობას! იმ სულიერ ენერგიას, რომელიც ქართულ მწერლობას დღემდე გამოუკლებია და რომელსაც დღეს ავლენს, საამისო ანაფერი სჭირს, მაგრამ იქნებ გაუჭირდეს თუ მისი სამუშაო პირობები ისე არ იქნება მოწესრიგებული, როგორსაც მოითხოვს ნამდვილი ლიტერატურული ცხოვრების წესი დღევანდელობისაგან.

ქართველ მწერალს უამრავი დრო ეფლანგება. ჩვენ დროს უსასტიკესად ვექცევით. უყაირათოდ ვფლანგავთ იმას, რაც ყველაზე ძვირფასია დღეს ყოველ პროფესიის ადამიანისათვის და, პირველ რიგში, მწერლისათვის. ქართველი მწერლების აბსოლუტურ უმრავლესობას რომ სამსახურში ყოფნა უწევს და პროფესიონალი მწერლის ცხოვრებით ვერ ცხოვრობს, ეს ცნობილი ამბავია და ისეთი პრობლემაა, რასეც შედმეტად ენის დასველება ჯერჯერობით არ ღირს. მაგრამ იმ დროს, რაც გვრჩება ფაქტიურ სამუშაო დროდ, კიდევ იმდენი მხრიდან ჩამოეთლება ფართო ნაფოტები, რომ სშირად გაკოტრებულნი აღმოვჩნდებით სოლმე. ჩვენ არაერთსეულ გაგვიგონია ცნობილი, სახელმოსვეჭილი მწერლების წუსი-

ლი — ზოგჯერ სუთი წუთიც არ მრჩება თავისუფალი დრო, საწერ მაგიდას რომ მივუჯდე და რაიმე დაეწერო.

უფრო ზოგადი მიზეზიდან დავიწყით: ჩვენს მწერლურ შთაგონებას ქაერივით აკლია ვნებიანი ლიტერატურული ცხოვრების ატმოსფერო. თანდათან მოიშალა ასალი წიგნების შექმნის პროცესში მბრუნავი მდულარე აზრი, ლიტერატურული და ცხოვრებისეული ვნებათაღელვის შესლა და ურთიერთგაზიარება, რაც ფანტაზიას ალაგსნებს სამუშაოდ და შემოქმედებით განწყობილებას უქმნის მწერალს. საქუშაო განწყობილების დაუფლებამდე ჩვენ უამრავ დროს კარავავთ და დროის ფლანგვაც აქედან იწყება. შრომის ხალისი, განწყობილება, მისწრაფება, — როდესაც მწერლის არსება დაპყრობილია მოჯარული საფიქრალით, იმ შემოქმედებით ატმოსფეროზეც არის დამოკიდებული და არა მარტოდენ ნიჭზე. ჩვენ კი ამ ატმოსფეროს გაჯანსაღებაზე ნაკლებ ვფიქრობთ. ისე წარმოვიდგინეთ, თითქოს იგი ზოგადი ფენომენია და თავისთავად უნდა არსებობდეს. რატომღაც დაგვაიწყდა რომ ჩვენივე მონაწილეობით უნდა დამკვიდრდეს იგი ჩვენს ირგვლივ. ჩვენ კი მის დამკვიდრებას სელს ვუშლით, როდესაც ინდიფერენტულად განწყობილნი ცხოველ მონაწილეობას არ ვღებულობთ მაღალი დონის დისკუსიების მომზადებაში. არ ვღებულობთ მონაწილეობას და წმინდა ლიტერატურული ვნებებით დამუსტულ დისკუსიას ცვლის ქვენა გრძობებით ამღვრეული შესლა-შემოსლა. ჩვენ ვითმენთ, ვითმენთ და აგერ აქამდის მომთმენის პოზიციაზე ყოფნამ ცნობისმოყვარეთა დონემდე დაგვიყვანა. მერე შაგადაშიგ ვაგვასხენდება ჯანსაღი ლიტერატურული ატმოსფეროს აუცილებლობა და გაურკვეველია, ვის ვაბრალებთ, რომ იგი ჩვენს ირგვლივ არ არსებობს, არც ზეპირ და არც პრესის ფურცლებზე გადატანილი დისკუსიების წიაღში. გარს გვარტყია შელანძღული კრიტიკერიუმებით კამათი ტრიბუნებიდან და ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან, წიგნებიდან. ყველაფერი ეს უსიამოვნო განცდის მარწუსებში გვამყოფებს. სასიათწამსდარნი დიდხანს და ამაოდ დავეძებთ ჩვენს თავში ხალისს, ველოდებით კარგ ვუნება-განწყობილებას, რომ კალამს მოვკიდოთ სელი და მწერლის სათქმელი ვუთსრათ ხალხს. აი, დროის ამ თითქოს

შეუმჩნეველ ფლანგვაზე მინდა, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გავიმასვილო.

ჩვენს სინამდვილეში ერთობ დანაწევრებულია ჩატარებული ღონისძიებები, რომლებშიც მწერალს უსდება მონაწილეობის მიღება. ვგულისხმობ ისეთ ღონისძიებებს, რომლებშიც მონაწილეობა მწერლის შინაგანი მოთხოვნისგან და ისეთ-სადაც, რომელსაც მწერალი მიწვეულია სიღმე. დანაწევრებული ღონისძიებები მწერლის სამუშაო დროს აქუცმაცებს, ცხადია, და რომელიმე ცნობილმა მწერალმა ცნობების ერთგვარი ცხრილი რომ მოგვაწოდოს, ჩვენს გაცეცხას სასიყვარლო არ ექნება. უბრალოდ ვიკითხავთ: როდის წერს იგი საერთოდ? რჩება კი ამ ცხრილის ნიშანსვეტებს შორის დროის გარკვეული მონაკვეთი, რომლის სივრცეზე რაიმეს შექმნა მოესწრება? ამას წინათ ერთმა ცნობილმა რუსმა მწერალმა ინტერვიუში კანაცხადა, როდესაც მინდა თავი დაეაღწიო წერილმანების ურიცხვ ჯარს, ქალაქკარეთ გაერბივარ ორისამი თვით, საჭმელ-სასმელს ვიმარაგებ, ტელეფონს გამოერთავ და გარე სამყაროსთან ყოველგვარ კავშირს კწყვეტ, ხანამ ჩანაფიქრს სორცს არ შევასხამო. შერე და განა ყველას აქვს ასეთი „გაქცევის“ საშუალება? არა აქვს ყველას, ყველას კი ჭირდება. თუმცა ერთი რამეც ღირს დაფიქრების საგნად. მწერლის ასეთ შრომას ქვეია თავისუფალი შრომა? ფაქტიურად სომ არანორმალური დამაბვის სარჯზე სდება ყველაფერი. შემოქმედება რომ რაიმეს გაწირვის სარჯზე იქმნება — ეს ფილოსოფია აქ არაფერს არგია, ის სხვა თავგანწირვა, სულიერი ენერჯის სხვაგვარი მობილიზებაა. ცნობილი მწერლის ასეთი „გაქცევა“ კი უბრალოდ ნორმალური ყოველდღიური ცხოვრების დათმობას ნიშნავს. ასეთ დათმობას კი სწორედ სულიერი ენერჯის მნიშვნელოვანი ნაწილი მიაქვს თან, იმ სულიერი ენერჯისა, რაც ასე სჭირდება თვით შემოქმედებით პროცესს.

მწერლის შემოქმედებასა და ცხოვრებას პრაქტიკული საკითხების ჯარი აკრავს ირგვლივ. მწერლის შრომის კულტურა და საერთოდ მწერალთა ურთიერთობის კულტურა სპირად ფალსიფიცირებულია. წიგნის გამოცემას მწერლის მხრივ იმაზე მეტი ენერჯია ეწირება, რამდენიც დაჭირდა

თვით ამ წიგნის შექმნას. ეინმემ რომ თავი გამოიღოს და რამდენიმე მწერლის მონაცემები მოგვიგროვოს, საოცარი სურათის მოწმენი გავხდებით. თითო-ორიოლა მწერლის მოგვარებული მდგომარეობა ამ მსრივ, ეფიქრობ, სათვალავში ჩახაგდები არაა. საერთო სურათის კონტურები კი შესაძლებელია ყველამ ნათლად წარმოიდგინოს. სულ ხსენა საკითხია, რატომ უჭირთ გამომცემლობებსა და გამსასკომს, მწერალს ნორმალური სამუშაო პირობები შეუქმნან, რა უშლით მათ ამაში ხელს, რა შეიძლება გაკეთდეს ან რა უნდა გაკეთებულიყო აქამდე. ამ შემთხვევაში გვინტერესებს, რა ბარიერები ეღობება მწერალს და მიახლოებით მაინც დავადგინოთ, რამდენი დრო დაიკარგებოდა ამ ბარიერების გადალასვაში. ავტორი განცხადებას სტოვებს გამომცემლობაში, რომ მისი წიგნი გაითვალისწინონ ორი ან სამი წლის შემდგომ (ახალი წიგნის დაუყოვნებლივ გამოცემა ფაქტიურად გამორიცხულია თაბახთა არნახული სიმცირის გამო). ძნელია დაითვალოს, რამდენჯერ დასჭირდება გამომცემლობაში მისვლა, სანამ წიგნი გეგმის პროექტში მოხედებოდეს, რამდენჯერ გაუწყდება ფიქრის ჯაჭვი ტელეფონზე დარეკვით, რომ ზოგჯერ ბინიდანაც იკითხოს წიგნის ამბავი. შემდეგ სამსატერო საბჭოს გადაწყვეტილების ვახაგებად უწევს მისვლა, შემდეგ მწერალთა კავშირის გეგმის განხილვის შედეგები უნდა შეიტყოს, შემდეგ გამსასკომისაგან გეგმების დამტკიცებას დაელოდება, შემდეგ მოსკოვის საბოლოო პასუსს (ნდობაა გამქრალი და ამიტომ. ცალ-ცალკე არც ერთი ინსტანციის პასუსი არ არის საბოლოო და შეუვალი და ამიტომ საერთოდ აქვს ნდობა დაკარგული, არც ერთი ინსტანციის წარმომადგენელს არ შეუძლია გადაწყვეტილი პასუსის გაცემა, რადგან უჩვეულო სიეწროვის გამო, არავინ იცის, ვისი წიგნი ამოკარდება და ვისი დარჩება. სპირად დაბეჭდილ გეგმებსაც კი ანგრევენ „გადმოსული“ წიგნები) და განა დრო მსოლოდ გამომცემლობასა და ბინას შორის სიარულში იკარგება? დრო იკარგება უნდობლობაში, გამუღმებულ ფიქრში — რამე სომ არ მოხდება? ასეთ ფიქრში დაკარგული დრო კი მწერლის სამუშაო დროს აკლდება, ასალი ნაწარმოებებისათვის საჭირო დროს აკლდება (მე არ ვგულისხმობ სელმოცარული მწერლების

სიარბილესა და ჯიუტ მიწედომას გამომცემლობის კარსე-
ღირსეული მწერლების სიმწელებზეა საუბარი). ნურაყის
გაუკვირდება და სოგჯერ მწერლის მიერ კუთვნილი კონო-
რარის აღებას უფრო მეტი დრო სჭირდება, ვიდრე წიგნის
დაწერას და გამოცემას ერთად. დაუმატეთ ერთი თითქოს
ჩვეულებრივი, მაგრამ ნამდვილი ლიტერატურული ცხოვრე-
ბისათვის გაუგონარი ამბაყი. მწერალი თუ ნაბიჯ-ნაბიჯ არ
მიჰყვა წიგნს სტამბაში, თუ არ მისდია მის აწყობას, დაკაბა-
ღონებას, შეკვრას, პირველი და მეორე კორექტურის კითხვის
და დაბეჭდვის პროცესს, არაფერი არ გამოყვა (სტამბის მუ-
შაკოა სიმწელები ასევე ცალკე საკითხია, მაგრამ მათი მო-
უგეარებლობის შემოქმედება მწერლის სამუშაო პირობებზე
ამ საუბრისათვის ორგანული საკითხია). აი, რამდენი რამის
კეთება უწევს მწერალს. მისი საქმე კი, ესოდენ საპატიო და
საჭირო, მსოლოდ ერთ შინაარსს უნდა გულისხმობდეს —
ცხოვრებას აკვირდებოდეს და წარმოსახავდეს, ქმნიდეს და
გვთავაზობდეს. შემდეგ მისი სურვილის თანახმად ყველა
პრაქტიკული მსარე მისკან დამოუკიდებლად მოგვარდეს,
მწერალი კი ახლის შექმნას განაგრძობდეს.

გადარბენით მსოლოდ უურნალისტური სასიათის მწერ-
ლობა შეგვრჩება სელთ. ასეთი რამ არც გვინდა და არც უნდა
გვინდოდეს. მწერლობას ნამდვილი ლიტერატურის შექმნა
ევალება. ნამდვილი ლიტერატურა გულისხმობს სიღრმეს და
მსოლოდ სიღრმეს. ამიტომ პირველ რიგში მწერლის დრო
დაქუცმაცებისაგან უნდა დაყუცავთ. მოვლილ-მოწესრიგებული
შემოქმედებითი პროცესი შედაპირულ ნიშნებს გამოორიცხავს
და უღრმესი შრეები ამოაქვს მაღლა, ჩყენს ეპოქას და ჩყენს
დიდ მწერლობას რომ ეკადრება, იმგვარი შრეები. ამ პრაქტი-
კულ წერილ-წერილ საკითხებს, თუ არ ვაჭარბებ, განუსაზღ-
ვრელი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ჭეშმარიტი ლიტერა-
ტურის უპირველესი მოთხოვნილება პროფესიული შრომაა.
იგი წერილმან საქმეზე მოფუსფუსე დროის ნაკუწებისაგან
ვერასდროს ვერ გაჩაღდება.

ტომეულეპი ლიტერატურის სიმდიდრეა.

სედმეტი იქნება აქ მკითხველს შეეახსენო თვით ტომეულეპის ფუნქცია და შინაარსი. ტომეულეპის გამოცემის ფორმები და სტრუქტურა. დღეს საყოველთაოდ აღიარებულ ფორმებზე საუბარი ნაკლებ გვაინტერესებს. საჭიროა ითქვას იმაზე, თუ როგორი არ უნდა იყოს ტომეული.

ტომეულეპის გამოცემის მოთხოვნილება და საშუალება განვითარებული ლიტერატურული ცხოვრების პირობებში ჩნდება. მათში თავს იყრის საუკეთესო ლიტერატურული მონაპოვარი, ორგანიზებულ სახეს იღებს მემკვიდრეობა, მკითხველთან სიასლოვის სრულყოფილ ფორმადაც გვევლინება ტომეული. ყველაფერი ის, რაც დანაწევრებულად მიდიოდა აქამდე მკითხველთან ამა თუ იმ მწერლის ცალკეული წიგნის სახით, ასლა ერთ არქიტექტურულ ანსამბლად აღიქმება მის მიერ, საშუალება ეძლევა მოელი სიგრძე-სიგანით, სიღრმითა და სიმაღლით აღიქვას ეს ანსამბლი, გაიაზროს, შეიტანოს და გაითავისოს მისი სიდიადე. ტომეულთა მწკრივი კი მოელი ლიტერატურული მემკვიდრეობის ჯამს იძლევა. თავმოყრილი, ხელმისაწვდომი ჯამია უკვე იგი, უპირველესი პირობაა მწერლური სამყაროს მთლიანობაში განსაცდელად. მკითხველს ჭირდება ასეთი უნივერსალური განცდა. ლიტერატურის კეთილშობილური შემოქმედების ფუნქცია ერთობ დანაწევრებული აღმოჩნდებოდა ამ პირობის გარეშე. უმისოდ ლიტერატურული პროცესი ერთგვარ ქაოსს გვაგონებს, რომელშიც, ბუნებრივია, ძნელად თუ მოხერხდება ბილიკებისაგან მაგისტრალური საზის გამორჩევა. აღარაფერს ვამბობ ლიტერატურულ კრიტიკაზე, განსაკუთრებით ლიტერატურისმცოდნეობაზე, რომელსაც მემკვიდრეობის შესწავლის ურთულესი წისია აკისრია. ასე რომ, ტომეულეპი დიდი ლიტერატურული ცხოვრების არსებითი ნიშანია. და ჩვენ დიასაც უნდა ჩავთვალოთ ჩვენი თავი ბედნიერ სალსად, რამეთუ ტომეულეპი ქართული სინამდვილისათვის ძალზე ჩვეულებრივი მოვლენაა. საკმაოდ მდიდარი ტრადიცია გვაქვს ტომე-

უღებინ გამოცემისა. ტრადიცია კულტურას თავისთავად გულისხმობს და უნდა მივიჩნიოთ, რომ ჩვენ ტომეულების გამოცემის გარკვეული კულტურაც გვაქვს, მაგრამ სურათი, რაც ამ სფეროში გადაგვეშლება სოლმე თვალწინ, იქნებ არცთუ იშვიათად გვაეჭვებდეს ტრადიციის სიმდიდრეში. ასე შორს ჯერჯერობით ნუ წავაღოთ, მაგრამ ის კი შეიძლება ითქვას გარკვევით, რომ ტომეულების უმრავლესობა ლიტერატურის სამართლიან მოთხოვნას ვერ პასუხობს.

ჩვენში ერთი ავადმყოფობაა მოდებული. იმდენი ჩასაფრებული კაცის წერილი იბეჭდება, რომ თითქმის აღარავის აღარ სჯერა საერთო საწუსარსე გულწრფელი სიტყვის თქმა. ვეძებთ კვალს, თუ კონკრეტულად ვისზეა გაბრაზებული და ვისა ხდებს ბრალს კრიტიკული წერილის ავტორი. შემდეგ ის, ვინც თავის თავზე მიიღებს შენიშვნებს, დაუნდობელ კამათს იწყებს კრიტიკული წერილის ავტორთან... ასე ხდება.

ძნელია იმის თქვა, რომ ამ საგანზე საუბარს კონკრეტული მისამართი არ ექნება. აქ არც არაფერია დასამალი და საქმისათვის არც უნდა დავფართო რაიმე. მაგრამ, სამწუსაროდ თუ საბედნიეროდ, ტომეულების გამოცემის საქმეს ჩვენში იმდენი და იმგვარი სასიათის ნაკლი ახლავს, რომ არ შეიძლება იგი ერთ ადამიანს ან ერთ ორგანიზაციას დაბრალდეს. საქმეს იქნებ სწორედ ეს აფუჭებს. მაგრამ, მოდიოთ, ჯერ იმაზე ვილაპარაკოთ, რა არ მოგვწონს ამ საქმისა, შემდეგ კი ცოდვის სიმძიმე ყველამ თანაბრად გავინაწილოთ, ისე, როგორც გვეკუთვნის და ამ დიდი საწუსარის საშველ გზებზეც ერთად ვიფიქროთ.

ჩვენში გამოცემულ ტომეულებს სიცოცხლისუნარიანობა აკლიათ, მიუსედავად ავტორთა დიდი სასელისა და პრესტიჟისა. სიცოცხლისუნარიანობას რამდენიმე ნიშნის გაუთვალისწინებლობა აკლებს: რატომღაც ტომეულები მწერლის საარქივო მასალების მქიანნიკურ თავმოყრად და დალაგებად გვესახება (შედგვი გვაფიქრებინებს ამას, თორემ თეორიულად მშვენვირად რომ ვიცით, ამაში, ეჭვის შეტანა არც მიფიქრია). თავმოყრისა და დალაგების სარისხზე ამჯერად არაფერს ვიტყვი. ცალკე საკითხია. თავმოყრისა და დალაგების უპირველეს ფაზაზე რომ ვჩერდებით, ამითღა რომ ვკმაყოფილდე-

ბით, ეს პრინციპია საეჭვო და მთავარი მიზეზიც ისაა თარო-
ებსზე მკედრად შობილი ტომეულების ჩამწკრივებისა. იქნებ
დაგვაიწყდა ამ სიცოცხლისუნარიანობის ძირითადი შინაარ-
სი: ვიცოდეთ ფასი და ღირებულება ამა თუ იმ მწერლის მემ-
კვიდრეობისა და პოპულარულნი მათ შორის გამოეცეთ ისე,
როგორც დიდსა და პოპულარულ მწერალს ეკადრება, რო-
ვორც ჭირდება ეს დიდი და პოპულარული მწერალი ჩვენს
ლიტერატურასა და ჩვენს საღსს. საოლო არაპოპულარულნი
(ასეთებიც არიან ნამდვილ მწერალთა შორის) გამოეცეთ იმ
ფორმით, რა ფორმაც გააადვილებს მკითხველთან მათ მიყვა-
ნას. არაერთხელ ითქვა: საღსს აკლია, ენატრება იღია ჭავჭა-
ვიძის, აკაკი წერეთლის ტომეულები (ის ძვირფასი სასაჩუქ-
რო გამოცემა, რასაც „საბჭოთა საქართველო“ სთაგაზობს
მკითხველს, მსოლოდ ნაწილობრივ თუ დააკმაყოფილებს
მითსოენილებას), აკლია ამ კლასიკოსთა მთელი მემკვიდრე-
ობა. ისინი თაჱიანთი ცსოველმყოფელი ნაწარმოებებით უნდა
ბრუნაფდნენ თანამედროვე ქართული ლიტერატურული
ცსოვრების პროცესში, სან რჩეული ოსსულებების, სანაც
აკადემიური გამოცემების ფორმით. ვანა მოსათომენია, რამდე-
ნიმე თაობის ასაღგაზრღობამ ისე ჩაიაროს, უსაყვარლესი
კლასიკოსების მემკვიდრეობა ერთსელაც არ გამოიცეს და
სულიერ საგსლად არ გაყვეს მათ ცსოვრებას?

ქართული ლიტერატურა ამ მსრივაც არის მოკლებული
ტომეულთა სიცოცხლისუნარიანობას. არც სულსან-საბას.
არც ნიკოლოზ ბარათაშვილის, არც გრიგოლ ორბელიანის
ტომეულებითა თუ სრული კრებულებით ვართ განებივრებუ-
ლი. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ დავით კლდიაშვილის
დიდებული მემკვიდრეობა არ იცემა ავერ, რამდენი სანია. ამ
მწერლებს მაინც არ ჭირდებათ შუამაჱალი მკითხველთან.
საკმარისია მაღალმსატერულ და პოლიგრაფიულ დონეზე
მათი დასტამბეა პერიოდულად და ყველაფერი რიგზე იქნება.

სიცოცხლისუნარიანობას სოგჯერ უხეირო გამოცემით
ოფითვე ფუკარგავთ ამა თუ იმ კლასიკოსს. მკითხველისათვის
მეტისმეტად ძნელი აღსაქმელია ვასილ ბარნოვის ათტომეუ-
ლი. ყოველი ტომის ნასეჱარი, თუ მეტი არა, ვარიანტებს
დაეუთმეთ და როგორც სამართლიანად აღინიშნა, მკითხველს

გარკვეული დოზით ისედაც დაშორებული მწერალი კიდევ უფრო მეტად დავაშორეთ. მწერლის შემოქმედების ხასიათი ტომეულების შედგენის შინაარსაც უნდა სახლდერავდეს. ფაქტიურად ვასილ ბარნოვი სპეციალისტებისათვის გაპიზნულ ლიტერატურას დაემსგავსა თავისი სამეცნიერო აპარატურით. ტირაჟი კი (25000!) ფართო მკითხველისაკენ მიანიშნებს. ფართო მკითხველი კი ასე გამოცემულ ვასილ ბარნოვს ძნელად აიღებს სელში. შეიძლება იყიდოს, მაგრამ ძნელად თუ წაიკითხავს. მაშასადამე, უზღვავე ქაღალდი დაიხარჯა, საინტერესო მწერლის რთული სამყარო კი (გართულებული ხელწერის ორიგინალური ნიშნით!) უცხო და შორეული გასდა ფართო მკითხველისათვის. სახარგებლო საქმეს წამოვიწყებთ და არახწორი ფორმით თვითვე ვაქცევთ უსარგებლო საქმედ. დასარჯულ შრომასა და ენერგიას ვიღა დაეძებს, შედეგია დამაფიქრებელი, უპირველეს ყოვლისა.

თვით გალაკტიონის უსარმაზარმა სახელმა და არაჩვეულებრივმა პოპულარობამაც ვერ უშველა საქმეს. მეცნიერული აპარატურით გადატვირთული გალაკტიონის თორმეტტომეული ძალიან არის მოკლებული სიცოცხლისუნარიანობას. დიდი პოეტის წარუშლელი სულიერი სამყარო, მისივე სარქივო მასალების აპარატურისაგან არის წალეკილი. ამ მასალის სიჭრელის ილუზია სწორედ ვარიანტების მოცულობამ შექმნა: თორმეტი ტომიც ასე ხელოვნურად გაჩნდა, მკითხველიც „მეშინდა“ და უსახრულო მასალას შორის მოქცეული გაღიზიანდა კიდევ. გალაკტიონი იმ სიმაღლეებთან გათანაბრებული პოეტია, რომ თვით უბრალო ქაღალდის ნაგლეჯიც კი, რასაც შემოქმედის კალამი უბრალოდ შესებია, საინტერესო და მიმზიდველი სდება. მაგრამ ეს გაუთავებელი ვარიანტები, სამეცნიერო აპარატურის ფართო მკითხველისათვის მოსაწყენი სტრუქტურა... გალაკტიონის ტომეულები რომ გაიყიდებოდა, ამაში ეჭვი არავის არ უნდა შეპარვოდა. არც არავის შეპარვია, არც დარჩენილა გაუყიდავი, მაგრამ მკითხველი რომ გაღიზიანდა ტომეულების ამგვარი შინაარსით, ესეც ფაქტია. გალაკტიონთან შეხვედრა კი სულის დღესასწაული უნდა იყოს. მკითხველს მისი რჩეულის იქით, ბუნებრივია, პოეტის ყოველი მეორესხარისსოვანი ნაწარმოებიც

ბინტერესებს და ამდენად ტომეულებიც აუცილებელია, მაგრამ არა აპგარი. თუ სიცოცხლისუნარიანობას ხელკონურად არ დაუკარგავთ, ვალაკტიონის ტომეულების გამოცემა, შეიძლება, რამდენჯერმე შედისედ განმეორდეს. იაპონიაში ცნობილი მწერლის კენდსაბურთი ოქს ექვსტომეული სამ წელიწადში შეიდეჯერ გამოიცა (ორმოცდაორი წიგნი!).

ლიტერატურულ შემკვიდრეობას ერთი ბინტერესო სფეროება ახასიათებს. მწერლის გარდაცვალების შემდეგ სოფჯერ ისეთ რამეს ედება ფასი, რაც სიცოცხლეში ხამართლიანად იყო ათვალწუნებული თვით ავტორის მიერ. ეს ჩვეულებრივი ამბავია. მაგრამ უკლებლივ ყველაფერს როდი ედება ფასი! და არც ყველა მწერლისას ედება ფასი! ვალაკტიონას ცხოვრებისა და შემოქმედების ყოველი ნიუანსი რომ უცნაურ მიმზიდველობას იძენს, ეს ფაქტია. ბუნებრივი მოსახყენილების გამოსატულება იხიც, რომ ამ შემოქმედის სახელთან დაკავშირებული წერილმანებიც კი ჩვენ დღის ხნათლეზე ამოგვაქვს. ლეგენდის მიმზიდველობას იძენენ ისინი. ვალაკტიონი ხსვა სიმადლეა, ხსვა რანგია, და უნდა შეეოანსმდეით, რომ, რასაც მისი ლეგენდარული სახელი მიგნიდან გაანათებს, იგივე დეტალი მეორე, ხსვა ნიჭის კლასიკოსს უფრო სახელს გაუტეხს.

რუსეთში განზრახულია ლევ ტოლსტოის შემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა ასოცდაათ ტომად. ვათეალისწინებუ-ლია, რომ დიდი მწერლის შემოქმედებიდან, მისი არქივიდან არაფერი დარჩეს გამოუქვეყნებელი. ეს, ტოლსტოი აღვივებს თავისი სიდიადით ჩვენში სურვილს, გამსმარი ფოთლის ნაკუწიც კი, რომელიც მის ხამყაროში მოხვდა, ნაცნობი და მახლობელი იყოს ჩვენთვის. მაგრამ ყველა კლასიკოსის მსგავს გამოცემას სრულებითაც არ ფიქრობენ, რადგან ყველა კლასიკოსი როდია ერთნაირი სიდიადის, ერთნაირი რანგის: არსებობს პირობითი დაყოფა ლიტერატურაში. და ამაში მოულოდნელი არაფერია. ჩვენში კი უუსტად ისევე გვინდა გამოვეცეთ ხსვა კლასიკოსებიც, როგორც ვალაკტიონი გამოვეცით, თუმც ეს გამოცემა არც ისე მომსახებლელი აღმოჩნდა ხერიოზული ნაკლის გამო. დაეუშვათ, რომ არ ასლავს თორმეტტომეულს ის ნაკლი, დაეუშვათ, რომ ვალაკტიონის

ხრულყოფილი აკადემიური გამოცემა გვიქვს ხელთ, გამარ-
თლებული იქნება სხვა მწერლების ასევე წარმოჩენა, ყველა
და ყველაფრის განუკითხავად შეტანა და ტომეულების რიცხ-
ვის ხელოვნური გაზრდა.' რას ემსახურება მსგავსი მიზანი,
ლიტერატურის ინტერესს?

ძნელი სათქმელია.

იოსებ გრიშაშვილის ტომეულებში მოხვდა ისეთი ნაწარ-
მაკებები, რომელთაც პოეტი სიცოცხლეში კალპის წაგარჯა-
შეპად თვლიდა და არც ბეჭდავდა. დღეს ეს ნაწარმოები ცნო-
ბილი პოეტის, პოპულარული პოეტის იოსებ გრიშაშვილის
სახელს ბევრს აკლებს. ტომეულებს სახეს უმახინჯებს და,
რაც მთავარია მკითხველს უკარგავს. არც ალიო მირცხულა-
ეას სუოტომეულის შინაარსია სწორად შედგენილი. შესანიშ-
ნაეი პოეტის ლექსებსა და პოემებს აშკარად ვერ უსწორებს
მსარს მისი პიესები, რომელსაც რატომღაც ორი ტომი დაეთ-
მო მთლიანად. იმ პიესების დიდი ნაწილი ნაძღეილად არ შე-
ეუერება ალიო მირცხულაეას სახელს.

და მაშინ, როდესაც უნდა გამოხულიყო ვიქეათ ამა თუ
იმ მწერლის სამტომეული, ვცემთ ხელოვნურად გაბერილ
ექესტომეულს. ვეძალებით მწერალთა კავშირს, ვცვიოთ
შემდგომი ორგანოების კიბეებს. დარდიმანდულად ვმლით ხე-
ლებს, ვეჯიბრებით გოლიათებს... ვფლანგავთ ქადალდს და
ვაზარალებთ ირგვლივ ყველაფერს: გამომცემლობასაც,
მკითხველსაც, ლიტერატურასაც. ლიტერატურას არ ჭირდე-
ბა ასეთი ტომეულები. მას სიცოცხლისუნარიანი ტომეულები
ჭირდება, რომელიც ღირებულ მექეიდრეობას მოიცავს და
არა ყველაფერს. მკითხველს არ სჭირდება ასეთი ტომეულები,
მას მოწესრიგებული მექეიდრეობა სჭირდება. თვით კლასი-
კოსს არ სჭირდება ასეთი ტომეულები. მას მკითხველთან
ცოცხალი კონტაქტის განმაპირობებელი ნაწარმოებების მო-
წესრიგება და ტომეულებად გაერთიანება აინტერესებს, რათა
მკითხველს გზა არ დაესმოს მისი მშვენიერი ხალაროსაკენ.

დემნა შენგელაიას თხზულებათა ოთსტომეული გამოვე-
ციოთ ამას წინათ. ბუნებრივია, თვით მწერლის უშუალო მო-
ნაწილეობით შედგა ეს ტომეულები. ყველაფერი ცხოველყო-
ფელია ამ წიგნებში, ყველაფერი მეტნაკლებად ცოცხლობს,

იღვწის, ქმნის თავის გარშემო. ახლა წარმოვიდგინოთ, შორეულ მოძაჯალში ამავე მწერლის თსზულებათა რეაგომეული უკვე ჩვენს მიერ შედგენილი, რომელშიც შევიტანდით ყველაფერს მწერლის არქივიდან, რასაც მწერალმა არა და არ აჩვენა თვითონ სინათლე. რა იქნება ეს, თუ არა სწორედ მწერლის პრინციპებას წინააღმდეგ წახელა, თუარ დარღვევა ლიტერატურის სასიცოცხლო ინტერესებისა?

პოპულარობა ჩვენ ძალზე მცდარად გვესმის ხშირად, ან მშენებრადაც გვესმის, მაგრამ ჩვენდა სასარგებლოდ ვიყენებთ პოპულარობის იარაღს. იკითხება იაკინთე ლისაშვილი? მაშასადამე რა უდგას წინ მისი ნაწარმოებებს ოთხ ტომად გამოცემას დიდი ტირაჟით? იმას კი არ ვკითხულობთ, რა პოპულარობაა ეს პოპულარობა. ვითომ საკმარისი არ იქნებოდა მწერლის ყველაზე მეტად სრულყოფილი რომანის გამოცემა? ერთბაშად ოთხტომეული! არ არის იაკინთე ლისაშვილის პროზა იმ დონის ლიტერატურა, რომ იგი ოთხტომეულის გამოცემას გვაგალებდეს. ვნებს მკითხველის გემოვნებას ამგვარი პოპულარიზაციის გრძნობის გადვილება. მით უმეტეს, რომ ადრე გამომცემული იყო ამ მწერლის ტომეულები.

დავით სულიაშვილის თსზულებათა სამიტომეული გადაშალეთ (დავით სულიაშვილის ტომეულების სსვა გამოცემაც არსებობს). განა აქაც არ ვეუფლებათ გადაჭარბების უსიამოვნო განცდა? ვისი სურვილით სდება ყოველივე ეს? ლიტერატურის? კომპეტენტური კოლეგიის? თვით გამომცემლობის? ძნელი სათქმელია. სად, და ვის მიერ მასინჯდება კრიტიკრიუმები ასე მოუთმენლად, სად ირღვევა ზომა?

სომ არ ბადებს თაროებზე ჩამწკრივებული ტომეულები საარქივო მასალების განცდას, რომელიც დალაგებას, შერჩევას და მოწესრიგებას მოითხოვს ჭკმმართად ღირებული გამოცემისათვის? სომ არ დაემსგავსა ტომეულთა სოლიდური ნაწილი ცივ აკლამას?

ამ დროს დანატრული ვართ ტიცციან ტაბიძის, ნიკო ლორთქიფანიძის და სსვა საყვარელი მწერლების ტომეულებს, რჩეულებს. დანატრული ვართ ანთოლოგიებს: იცდის ასალი ნაწარმოებები — და გვაკლია ქაღალდი. მუდამ გვაკლია! --

მარტოდენ საერთო ნაკლებობის გამო კი არა, უყარათოდ სარჯვის გამოც! იქ, სადაც საკმარისია სამტომეული, იცემა ექვსტომეული; სადაც სუთია საკმარისი, იცემა ათტომეული, სადაც ერთტომეული კმარა, იცემა ოთხტომეული და ა. შ. ასე განუკითხავად.

არანაკლებ დამაფიქრებელია ტომეულების გამოცემის ოპერატიულობა. ტომეულებს მადლი მაშინ აქვს, თუ იგი ზედმეტად მოსდევს ერთმანეთს და მოკლე დროში მოუყრის თავს მწერლის მემკვიდრეობას. თორემ თუ ერთი კაცის სიცოცხლის მანძილზე მოვუნდით ამ საქმეს, რაში არგია იგი ან ლიტერატურას ან მკითხველს? ვერც გარდასული ლიტერატურული პროცესის აღსადგენად გამოდგება და ვერც მიმდინარე პროცესზე ვერ მოასდენს სასარგებლო გავლენას.

ყველას კარგად გვახსოვს რა სისარული განგვაცდევინა ვაჟა-ფშაველას სუტტომეულის მოკლე დროში გამოცემამ. აი, მაშინ ვიგრძენით დიდი პოეტის მემკვიდრეობის მთელი მადლი. ისეთი შთაბეჭდილება მოასდინა, თითქოს განცდილი ელვარებით კი არა, ასლად გაბრწყინებული ტალანტით გაიარა ჩვენს წინაშე ვაჟა-ფშაველას პიროვნებამ. და ეს განცდა ასლდა არა საიუბილეო თარიღს, არამედ უპირველეს ყოვლისა, სუტტომეულის ერთად გამოჩენას.

ის, რაც ავტორის ან შემდგენლების მიხედვით ხდება, ასევე მოუთმენელია და საეალალო: სოგჯერ ტომეულების დასტამბვა ჩქარდება, მაგრამ ვაი ამ დაჩქარებას. მასალას უბრალოდ ჩაეყრით და სარისხსა და დონეზე არც ვფიქრობთ. ამისთანა ოპერატიულობას რა ფასი აქვს.

კლასიკოსთა და გარდაცვლილ მწერალთა მემკვიდრეობის განუკითხავმა მოვლა-პატრონობამ უკვე დაამკვიდრა ერთი არასასიამოვნო ტენდენცია:

ტომეულებში ყველაფრის შეტანის სურვილი ღვივდება დღეს მოღვაწე მწერალთა შორის. თავიანთ მწერლურ ლაბორატორიაში აღარაფრის დატოვება რომ არ სურთ, ის ავადმყოფური ტენდენცია მკვიდრდება! დაბადების 50, 60, 70, 75, 80 წლისთავთან დაკავშირებით განცხადება განცხადებას მოსდევს, ავტორთა გაზრდილ მდას უფრო რომ გულისხმობს, ვიდრე სამართლიან თხოვნას. ტომეულების პრაქტიკა კი ისეთ

სახეს ღებულობს, ლიტერატურულ პროცესს არაფრით არ შეესაბამება. მაგრამ ეს სულ სხვა, კონკრეტული საკითხია და მასზე ცალკე საუბარი იქნება საჭირო.

| ცარიელი თაროები

ქართულ ენაზე არ გვაქვს საზღვარგარეთის კრიტიკული ლიტერატურა.

კრიტიკული აზროვნება მსატკრული ლიტერატურის განუყრელი ნაწილი რომ არის, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ჩვენთვის ზოგადად ისიც უდავო ჭეშმარიტებაა, რომ კრიტიკულ აზროვნებას ზრუნვა, მოყლა, ხელისშეწყობა სჭირდება, თუკი გვინდა საკუთარ ფეხზე იდგეს და დონე აუმაღლდეს. ე. ი. ხელსაყრელი პირობების შექმნაა აუცილებელი. ამ პირობათაგან ბევრი რამ აკლია ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებას და ერთ-ერთი მათგანი გახლავთ ისიც, რომ კრიტიკულ აზროვნებას ჩვენში არ აძლიერებს მსოფლიო ლიტერატურის ღირსებად აღიარებული საყოველთაოდ ცნობილი კრიტიკული ნაშრომები.

ჩვენ არა ვართ დიდად განებიერებული პოეზიის, პროზის და დრამატურგიის თარგმანებითაც, ვაღიარებთ, რომ მთავარი სამუშაო წინ არის. მაგრამ სულ ადვილი შესამჩნევია, რომ პოეზიასა და პროზასთან შედარებით კრიტიკული ლიტერატურის თარგმნის საქმე ერთ წერტილზეა გაყინული.

ჩვენთვის უდავო ჭეშმარიტებაა ისიც, რომ თარგმნილ ლიტერატურულ ძეგლს მშობლიური ლიტერატურის აღმაფლობისათვისაც განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ისე გამოდის, თითქოს ეს უდავო ჭეშმარიტება არაფერს გვაუაღებდეს, ამიტომ აუცილებლად მიმართა ერთსეულ კიდეც მოვიგონოთ იგი.

კრიტიკულმა აზროვნებამ გაიარა დიდი და სახელოვანი გზა. ეს გზა გულისხმობს მსატკრული აზროვნებისაგან განუყრელ სუნთქვას, მის არსთან გადაწნულ სიცოცხლეს. შეც-

ნობისა და შეფასების ფუნქცია, რაც იმთავითვე ითვლებოდა კრიტიკის მოვალეობად, იტოტებოდა ურიცხვ ნიუანსად, ემატებოდა ახალი ფუნქციები, დრმაედებოდა და რთულდებოდა მისი შინაარსი. რაც მთავარია, ჭკუშმარიტი კრიტიკა მსახურული ნაწარმოების დელაზნის ახალ სიფრცვეებს გადაუშლავდა ხოლმე, თავის მსრივაც მატებდა განუზომლად ბევრს.

კრიტიკული აზროვნების გავლილი გზა დატვირთულია საკუთრივ კრიტიკული სკოლების მწკრივით, უნიკალური ნაშრომებისა და წერილების უმდიდრესი ფონდით.

ამ გზაზე იგულისხმება კრიტიკის დიდი კლასიკოსების შემოქმედება, მათი განუმეორებელი სამყარო და სედვა, მათი თავისთავადი, ღონიერი აზროვნება.

ჩვენ საფუძვლიანად გვეამაყება ჩვენი მწერლობა. და თუ გვეამაყება, უნდა გვახსოვდეს, რომ მის სიდიადეზე მარტო იანდაყალილი დირსებები კი არ მეტყველებს, არამედ ისიც, როგორ ეწაფება იგი მსათელიო ლიტერატურას, რამდენი და რა ღონესე თარგმნილი წიგნები სუნთქავს მის გვერდით. ეროვნული ლიტერატურის სასეს ეს ფაქტორი ცხადლივ წარმოაჩენს ხოლმე.

და ამ დროს ჩვენ არ გადმოგვიქარსულეზია კრიტიკული აზროვნების თვით ფუნდამენტური ნაშრომებიც კი. ახეთი თარგმანები თითებსე შეიძლება ჩამოითვალოს. სერგი დანელაას მიერ თარგმნილ არისტოტელეს „პოეტიკის“ გვერდით კიდევ რამდენიმე წიგნის დასახელება შეიძლება — ეს არის და ეს. აქვე უნდა აღინიშნოს ის სერიოზული შრომა, რომელსაც ამჟამად ბაჩანა ბრეგვაძე ეწევა. მაგრამ თითო-ოროლა აღამიანი რას გასწვდება ამოდენა ოკეანეს.

ქართულად არა გვაქვს კრიტიკის კლასიკოსთა არათუ ტომეულეები, თვით რჩეულეებიც კი. ვგულისხმობ მონტენის, ბრანდესის, იპოლიტ ტენის, სენტ-ბევის სახელებს პირველ რიგში... შეიძლება ამის მოთმენა?

ვთქვათ, კლასიკაზე სელი ჩავიქნიეთ, დრო და ენერგია არა გვეოფნის მის გადმოსაქართულეზლად: სამუშაო სომ აქეოაც ბევრია. მკოცე საუკუნას კრიტიკულმა აზროვნებამ სკოლეების არნასული სიმრავლე იცის. სოგიერთ ქვეყანაში კრიტიკული ლიტერატურა პირველობას ეცილება პროზასაც კი.

ამ პროცესს ქართული კრიტიკული აზროვნება ან უყურადღებოდ ტოვებს, ან ბუნდოვანი წარმოდგენებით კმაყოფილდება. ამდენად, პრაქტიკულად, ჩვენ უარს ვამბობთ კრიტიკული ლიტერატურის მდულარე პროცესში მონაწილეობასზე.

თავი რომ დაეანებოთ მსოფლიოს კრიტიკული ლიტერატურის ვათავისების სარისხს, ის მაინც უნდა გევახსოვდეს, რომ უნიკალური ნაწარმოებების ქართულ ენაზე უქანლობა თავისთავად სიღუფსჭირია.

ქართული კრიტიკული აზროვნება მოკლებულია საზღვარგარეთის კრიტიკული ლიტერატურის მსრიე ყოველგვარ ინტენსიურ შემოქმედებას. და ჩემი აზრით, მთავარი ეს არის. არ ვსარჯავთ რა დიდ შრომას კრიტიკული ნაშრომების თარგმნაზე, ჩვენ ნებსით თუ უნებლიეთ ვივიწყებთ კრიტიკული აზროვნების ცოცხალ პროცესთან ურთიერთობის აუცილებლობას... იგი ვერ იქცევა ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ორგანულ ნაკადად, მასთან უშუალო დაშოკიდებულება არ დაგვიმყარებია, რათა ამით ვამოწმებდეთ ქართული კრიტიკული აზროვნების ცხოველყოფილობასა და თავისთავადობას. რუსულად ან უცხო ენებზე კრიტიკული ლიტერატურის კითხვა სპეციალისტთა ვაწრო წრის, პროფესიონალ კრიტიკოსთა ინფორმაციის წყაროდ ტოვებს იმავე კრიტიკულ ლიტერატურას. თითქოს უბრალოდ ვაცნობის შინაარსი ენიჭება თვით სპეციალისტთა დაშოკიდებულებასაც ამ წყაროებზეა დამოკიდებული. ეროვნულ კულტურას კი არ შეუძლია საკუთარი თავის დადგინება მსოფლიო ლიტერატურისა და კულტურის ვათავისების ვარეშე. ასევე კრიტიკის სფეროშიც.

ამ სიცხადით ამაღლდა ქართული პოეზია და პროზა. ამ სიცხადეს ვერჯერობით მოკლებულია ქართული კრიტიკული აზროვნება. ვანზე გვრჩება მეცნიერული შესწავლის მაღალი სარისხი, ვანზე გვრჩება საზღვარგარეთის კრიტიკული აზროვნების პროცესთან მეცნიერული ურთიერთობის შინაარსი. ჩვენ ფაქტიურად არ ვაკეთებთ იმას, რასაც ყოველი ჭეშმარიტად განვითარებული ქვეყანა აკეთებს. არ ვოარგმნით ქართულად არსებითი ტენდენციების გამომსატყველ კრიტიკულ ნაშრომებს.

ე. ი. გაწვეტილია პროცესთან უშუალო კონტაქტი, და

რაკი უშუალო კონტაქტი არა გვაქვს, მისი ვათავისებაც გამოვიცნობ. ქართული კრიტიკა რჩება თითო-ორილა გამონათების ამარა, რაც მიიღწევა ინდივიდუალური შრომის ხარჯზე. გვაკლია მთავარი — კრიტიკული აზროვნების პროცესთან დამოკიდებულებისა და ურთიერთობის ატმოსფერო, რომელიც რუსულ ენაზე, ან ორიგინალში სასდვარგარეთის კრიტიკული ლიტერატურის კითხვით არ შეიქმნება, იგი მიიქმნება ჩვენს გვერდით მაშინ, როდესაც ეროვნული მწერლობა ყურადღების მოუღწეობლად, განუწყვეტლივ თარგმნის მნიშვნელოვან ნაშრომებს, იტრიალებს საკუთარი შრომითვე მოპოვებული განძის წიაღში და განიცდის იმ ნაშრომების ქართულად სუნთქვას.

სასდვარგარეთის კრიტიკული ლიტერატურა მათ უფრო მიუწვდომელია ჩვენი მკითხველისათვის. მკითხველის გემოვნების დასახვეწად, მისი სულის აღსაზრდელად კი მას განუხასდვრელი მნიშვნელობა ენიჭება. მკითხველი მოკლებულია მსოფლიოს ჯანსაღი კრიტიკული აზროვნების დიდ შუქს, უმოკლესი გზებით რომ ანათებს მსატერული ნაწარმოებების თვალჩაუწვდენ სიღრმეს, ლიტერატურას, რომელიც თავისთავად არის მსატერული აზროვნების შესანიშნავი გამოხატულება.

ამ აუცილებლობის კარნახით ითარგმნება კლასიკური კრიტიკული ლიტერატურა ყველგან და მათ შორის რუსულ ენაზეც. დაუუკვირდეთ იმ ფაქტს, რომ არა თუ პროფესიონალი კრიტიკოსების შემკვიდრებით, არამედ თვით ხელოვანთა ლიტერატურული წერილებით როგორ არის დაინტერესებული რუსული მწერლობა. რა მარაგია დავროვილი! კარგა სნის წინათ გამოვიდა რამდენიმე უსარმაზარ ტომად სერია „Мастера искусства об искусстве“ (განმეორებით გამოიცა ასლასან შეიდ ტომად). სასდვარგარეთის მწერალთა ტომეულებში უსათუოდ შედის წერილები და მიმოწერა. შეიძლება ითქვას, უკლებლივ ყველა კლასიკოსის ტომეულებში. წერილები და მიმოწერა ცალკე წიგნებადაც იცემა. და რუსული ლიტერატურა ამით კმაყოფილი სრულებითაც არ ჩანს, მასშტაბებისა და ინტენსივობის გაფართოება-გამდიერების დიდი წყურვილი არაერთსეღ გამოუხატავს ცნობილ რუს მწერ-

ლებს, ფართოვდება და ძლიერდება კიდევ კრიტიკული ლიტერატურის მთელი ბიბლიოთეკა შეიქმნა უკვე.

საზღვარგარეთის კრიტიკის კლასიკოსები, ზოგი გამონაკლისის გარდა, რუსულად ფაქტიურად თარგმნილია. უმნიშვნელოვანეს ამოცანად არის გამოცხადებული თანამედროვე კრიტიკის თარგმნაც. ჩვენ ყველანი ვგრძნობთ, რა დიდია ცდა, ორგანიზებული ხასიათი მიეცეს თანამედროვე ესთეტიკისა და კრიტიკის ნაშრომთა თარგმნის საქმეს. აგერ უმოკლეს დროში შედიხედ გამოვიდა ფრენსის მატისენის, ანდრე მორუას, ჟან ვიკ ბრუკსის, მალკოლმ კაულის, ვეიმანის, ანდრე ვიურმსერის, ერის აუერბახის და სხვათა წიგნები. მათი ჩამოთვლა შეუძლებელიც არის, უბრალოდ, ჩამოთვლაც კი! გამოვიდა ძვირფასი კრებული წერილებისა: „Писатели США о литературе,“ „Писатели Франции о литературе“... სშირად იცემა საზღვარგარეთის ავტორთა წერილების კრებულები, მათ შორის აღსანიშნავია სტრუქტურალიზმისადმი მიძღვნილი სპეციალური კრებული. სისტემატური შესწავლის საგანია საზღვარგარეთის კრიტიკის ტენდენციები და მიმართულებანი. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ყველაფერი ეს ჰაერივით აუცილებელია ეროვნული ლიტერატურისათვის.

ამიტომაც კეთდება ასეთი გულმოდგინებით.

ვგრძნობ, კრიტიკული ლიტერატურის თარგმნის მნიშვნელობაზე დაჟინებული საუბარი გამომდის. ეს მნიშვნელობა ქართული ლიტერატურისათვის თითქმის ყოველთვის ცხადი იყო. მაგრამ ერთხელ კიდევ სიტყვა ამ საგანზე იმიტომ ჩამოვაგდე, ცნობილი ანბანური ჭეშმარიტება ერთხელ კიდევ იმიტომ გავიმეორე, რომ გამოისატოს ბუნებრივი ვაკეირვება, ყოველ ჩვენთაგანში რომ შლის ფრთებს: სად არის იმ ანბანური ჭეშმარიტების შესატყვისი მოქმედება, რას ვაკეთებთ ამ შეგნების პრაქტიკულად დასაბუთების მიზნით, შეიძლება თუ არა უსასრულოდ ვითმენდეთ თაროების სიცარიელეს? ეს საუბარი, რომლის დიდი ნაწილი თარგმნილი კრიტიკული ლიტერატურის მნიშვნელობაზე საუბარმა დაიჭირა, ფაქტიურად ესება ამ სფეროში ჩვენს სრულ უმოქმედობას. ვფიქრობ, საინტერესოა გაირკვეს, შეიძლება თუ არა ასეთ მდგო-

მარეობასთან შეგუება, რას წარმოადგენს ჯამი დღემდე თარგმნილი კრიტიკული ლიტერატურისა და რას ვაპირებთ მომავალში. ისეთი შთაბეჭდილება სომ არ იქმნება, თითქოს მსატერული ნაწარმოებების თარგმნა აუცილებლობად მიგვაჩინდეს, კრიტიკისა კი — არა. რა მოტივით, რა საბუთით ვირწმუნეთ ასე? და თუ არ მიგვაჩნია (სხვანაირად არც შეიძლება წარმოვიდგინოთ), მაშინ რას ველოდებოდით და რისი იმედით ვიყავით?

ჩვენ ზოგჯერ ისეთ მდგომარეობასაც ვეგუებით, რომლის მოთმენა და ამ მოთმენის გამართლება არც ერთი თვალსაზრისით არ შეიძლება.

არაფერს ვამბობ ამჯერად საზღვარგარეთის კრიტიკული აზროვნების როგორც სისტემის მეცნიერულ შესწავლაზე, რომელიც ასევე გადაუდებელი საქმეა, რადგან მასზე მსოფლოდ ბუნდოვანი წარმოდგენები დადის ჩვენს ლიტერატურაში. ჟურნალ-გაზეთებში „ათასში ერთხელ“ თუ გამოჩნდება წერილი, რომელშიც ფრაგმენტულად იქნება თქმული ამა თუ იმ საკითხზე.

რამდენს მისცემდა ჯანსაღი, ღრმა კრიტიკული ლიტერატურის თარგმნა მკითხველის სულსა და გულს, როგორ გაზრდიდა იგი კრიტიკული ლიტერატურისადმი მკითხველის ინტერესს, გამოიყვანდა ნაწარმოების აღქმის პასიური მდგომარეობიდან, აუშოძრავებდა აზრს, სერიოზულად დააფიქრებდა და გაუნათებდა კიდევ ფიქრს. ვერ აკეთებს ამას ქართული ლიტერატურული კრიტიკა დღესდღეობით თავისი ძალების ამარა. მისი ძალების მოღუნების ერთ-ერთი მიზეზი კი იმ ცოცხალი ურთიერთობის უქონლობაცაა, რაც გამოიწვია კრიტიკული ლიტერატურის თარგმნის საქმისადმი ინერტულმა დამოკიდებულებამ. ჩვენ ფაქტიურად თარგმნილი არ გვაქვს თვით თანამედროვე რუსული კრიტიკაც, მისი საუკეთესო წარმომადგენელთა ნაშრომები. აი, სად, რა დაბლა ვდგავართ სინამდვილეში. ესოდენ ხელმისაწვდომი ლიტერატურის თარგმნაც ვერ მოგვიხერხებია.

ასეთია სურათი დღემდე. ვფიქრობ, ახლა ყველა პირობა არსებობს მდგომარეობის შესაცვლელად. საზღვარგარეთის და რუსული კრიტიკული ლიტერატურის თარგმნის საქმე

საჭიროებს მთარგმნელთა ყოველმხრივ დაინტერესებას, ჟურნალ-გაზეთებისა და გამომცემლობათა მსარდაჭერას, რათა სასურველი სისწრაფით განაღდეს მუშაობა.

იუბილუან იუბილუმო

იუბილუ მოასლოვდება თუ არა, ერთბაშად დავფაცურდებით, სასელდასელო ღონისძიებებს მოვაშუადებთ. ავტესავთ სმაურს. შევუკვეთავთ წერილებს ცნობილ მწერლებს. ისინიც საჩქაროდ, უმოკლეს დროში დაწერენ თავიანთ აზრს. გამოქვეყნდება იუბილეს შესაფერისი პათეტიკით გამსჭვალული წერილები... გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე გამოჩნდება რუბრიკა — ვაჟა-ფშაველა — 100, ილია ჭავჭავაძე — 125, აკაკი წერეთელი — 125, ნიკოლოზ ბარათაშვილი — 150, შოთა რუსთაველი — 800, სულხან-საბა ორბელიანი — 300 და შ. განა მანამდე კი არ გეასსოვს ამ მწერლების არსებობა? ვიცით მათი დიდი შემოქმედება, ვკითხულობთ, ვტკბებით, გვეამაყება მათი სახელები... მაშ რა მოკლავს გენიოსების სულს, მათ უზარმაზარ სინათლეს რა ჩააქრობს.

მაგრამ ისიც სომ მშვენნიერად ვიცით, ლიტერატურის ამგვარი სიყვარული და ცოდნა ბევრს რომ არაფერს ნიშნავს. ლიტერატურის ცსოველმყოფელი შემოქმედება საღსის სულზე ამ პირველადი, უმარტივესი ფორმებით არ ამოიწურება... მისი შეცნობისა და გათავისების ხარისხი ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობის მიზანია. იგივე გვევლინება ქართული მწერლობის და საერთოდ ქართული კულტურის ზეადმავლობის აუცილებელ პირობად. ღრმად თუ არ ჩაწვდით, ყოველმხრივ თუ არ შევიმეცნეთ, ყოველი კარდინალური პრობლემა და საკითხი თუ არ დავამუშავეთ, როგორც ცალკეული მწერლის შემოქმედებაში, ასევე მთლიანად ქართული ლიტერატურის წიაღში, ისე მომავალში სასიარულო ენერგიით ვერ აღვიჭურვებით.

ასირებული მოპაექრე ამ წერილს ალბათ დასწამებს ტენ-

დენციას, თითქოს ქართული მეცნიერების, კერძოდ, ლიტერატურისმცოდნეობის მიერ გავლილ გზას ან გაწეულ შრომას ვივიწყებდეთ. აქ ლაპარაკია არა იმაზე, რა გაკეთდა, არამედ იმაზე, რამდენი რამის გაკეთება მოეთხოვება ლიტერატურისმცოდნეობას, რამდენი რამ არის გასაკეთებელი. და როდესაც უამრავი პრობლემა ელის დამუშავებას, რა ზოხინ-ზოხინით, როგორ კუს ნაბიჯებით მივდივართ წინ. აქ უფრო იმაზე გვექნება საუბარი, თუ როგორ იცდიან ეს დიდი საკითხები და ამ დროს რა წვრილ-წვრილ საქმეებს ეწირება ჩვენი დრო და ენერგია.

განა ის წვრილ-წვრილი საქმეები, ის წვრილ-წვრილი საკითხები თუ თემები არ მოითხოვენ შესწავლას, გამოსმაურებას, დამუშავებას? როგორ არა, მაგრამ იმ წვრილ-წვრილი საქმეების ამარა რომ ვრჩებით, საიუბილეო მისალმებისა და სადღეგრძელოების ამარა რომ რჩება დიდი სელოვანი, ეს არის საეალალო. დგანან ეს უზარმაზარი ბერძნულები (თუ იმ ჩვენი პათეტიკური, საიუბილეო მისალმებების სტილს დავესესხებით) დამრგვალებული თარიღის დაძახილზე ავსებულ სადღესასწაულო აუდიტორიაში და ისმენენ გულიდან წამოსული თუ შედაპირული ქება-დიდების სიტყვებს. შემდეგ ერთი მრგვალი თარიღიდან მეორე მრგვალ თარიღამდე ისე გაივლიან 50—100 წელიწადს, გულის სიდრმემდე ჩამწვდომი ჭირისუფლის ყურადღებას ვერ იგრძნობენ. წლები წლებს მისდევენ, მიდიან ისინი, უზარმაზარი გრძნობების და განცდების სამყაროთი, იშვიათად თუ ვინმე იტყვის მათზე მათსავე საკადრის სიტყვას. სხვათა იუბილეს ველოდებით, სხვათა იუბილესათვის ვემზადებით, თითქოსდა კმარა, საშუალო სკოლაში რამდენიმე ნაწარმოებს რომ ასწავლიან კლასიკოსებისას, ზოგჯერ ტომეულებიც რომ იცემა, ზოგჯერ უწყინარ საკითხს რომ აირჩევს ვინმე და ხარისხს დაიცავს... თითქოს კმარა. რაკილა ბარათაშვილზე, ვაჟაზე, ილიაზე, აკაკიზე, გალაკტიონზე მონოგრაფიები დაიწერა, შესწავლა თითქოს დამთავრებულია. ვიცით, რომ არ დამთავრებულა, მაგრამ ამინდის შესაცვლელად არაფერს არ ვაკეთებთ.

ჩვენში ერთი ცუდი ტრადიცია მძლავრობს, — კვლავ მოძრაობს ინერციის წყალობით. თუ ერთმა ადამიანმა რომელიმე

კლასიკოსის შესწავლას მოკიდა ხელი, მორჩა, ის სფერო უკვე მოვლილი, ან ყოველ შემთხვევაში, პატრონიანი გეგონია, თითქოს ერთი კაცი მართლაც გაწედა და გაჰყვება ბოლომდე ყველა იმ მერიდიანს, რომელიც გადის ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის პოეტურ სამყაროზე მსოფლიოს ლიტერატურული პროცესისაკენ. და რჩება გენიოსი ერთი ან ორი მონოგრაფიის აპარა, მონოგრაფიის ავტორებს შორის კი (რომელთაც ჩვენ სპეციალისტებს უწოდებთ, თითქოს იგივე მწერლის შემოქმედების „სპეციალისტობა“ სხვა ფილოლოგს ან მწერალს არ შეეძლოს) სშირად გულისგამაწვრილებელი კინკლაობა იმართება კლასიკოსის რომელიმე შეხედულების ან სულაც რომელიმე ნაწარმოების დაწერის თარიღის დასაზუსტებლად.

ამ ბოლო წლებში რამდენიმე ნაშრომი გამოქვეყნდა. ესენი გახლავთ თამაზ ჩხენკელის „ტრაგიკული ნიღბები“ (ვაჟა-ფშაველა), მისეილ კვესელავას „პოეტური ინტეგრალები“ (გალაკტიონი), გურამ ასათიანის „მერანი“ და მისი ავტორი“, რეეაზ თვარაძის „გალაკტიონი“ და სხვა.

სასიამოვნოა ამ ნაშრომების გამოჩენა უფრო იმის გამო, რომ ნებისმიერ დროს გამოქვეყნდა ისინი, ისე, რომ იუბილეს არ დალოდებიან მათი ავტორები. აწუხებდათ ეს თემა და დაამუშავეს. აქ ამ შრომების შეფასებას ნუ გამოვუდგებით. ბევრი საინტერესო მოსაზრება გამოითქვა, ბევრი საკითხი გაშუქდა, ბევრი რამ სადავოა; მთავარია, რომ ანგარიშგასაწევი ნაშრომებია ისინი. და უფრო მთავარი ის არის, რომ საიუბილეოდ, ე. ი. სახელდახელოდ არ შექმნილა ეს ნაშრომები. ამ თვალსაზრისით ისინი ნათელი წერტილებივით ჩანან ფილოლოგიური მეცნიერების გზაზე, იმედებად ბუჟტავენ, იმის იმედად, რომ მთლად ფორმალობაში არ გადაეცევილივართ. ბუჟტავენ მეთქი, იმიტომ აღვნიშნე, რომ მაინც გამონაკლისია ისინი და არა კანონზომიერი, მიზანმიმართული შრომის გამოხატულება.

ახლა ნებისყოფა მოვიკრიბოთ და სინამდვილის ფაქტებს მივყვეთ. დავაკვირდეთ სურათს, რომელიც გვიმხელს, როგორი ზერელება ჩვენი დამოკიდებულება კლასიკოსთა დიდი მემკვიდრეობის შესწავლის საპატიო საქმისადმი.

დაეკვირდეთ, რამდენი წერილი ან ნაშრომი გამოქვეყნდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე არასაიუბილეო წლებში და რამდენი საიუბილეო წლებში.

არასაიუბილეო წლებში:

1937 წ. — 2

1939 წ. — 10

(1938 წელს არც ერთი)

1940 წ. (გარდაცვალებიდან 25 წლისთავე) — 111

1941 წ. (25 წლისთავი ასალი ჩაელილია!) — 8

1942 წ. — 2

1943 წ. — 3

1944 წ. — 2

1945 წ. (გარდაცვალებიდან 30 წლისთავი) — 95

1946 წ. (30 წლისთავი ასალი გადახდილია!) — 19

1947 წ. — 9

1948 წ. — 4

1949 წ. — 5

1950 წ. — 12 (35 წლისთავის გაელენა ჩანს!)

1951 წ. — 3

1952 წ. — 3

1953 წ. — 3

1954 წ. — 4

1955 წ. (გარდაცვალებიდან 40 წელი) — 50

1956 წ. (40 წლისთავი ასალი გადახდილია!) — 25

1957 წ. — 12

1958 წ. — 30

1959 წ. — 17

ახლოვდება დაბადებიდან ასი წლისთავი

1960 წ. — 29

და

1961 წ. — (ასი წლისთავი, აღინიშნა მშეიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით!) — 1129 წერილი.

ათას ას ოცდაცხრა წერილი და ლექსი.

ამაში რა არის მოულოდნელი და გასაკვირიო, იფიქრებს მკითხველი, ასეც უნდა იყოსო. მაგრამ ჯერ ციფრებს მოე-

ყვეთ. 1962 წ. (ჩაველილი იუბილეს ინერცია დიდია!) — 53 წე-
რილი

1963 წ. — 47

1964 წ. — 22

ჩემს ხელთ არსებული ვაჟა-ფშაველას ბიბლიოგრაფია აქ წყდება. მაგრამ სურათის დასახატავად და დასკვნების გამო-სატანად ეს ხავესებით საკმარისია. ზუსტად ასეთივე სურათის იძლევა ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის ბიბლიოგრაფიების შესწავლა.

საიუბილეო დღესასწაულს თავისი მადლი აქვს. ქვეყნის ყველა კუნჭულში ისმის მწერლის სახელი, ყველა ზეიმობს, ყველა რაღაცით გამოსატავს თავის დიდ სიყვარულს. ამიტომ ის ათას ას ოცდაცხრა წერილი, ლექსი თუ სხვა სახის მასა-ლა, რაც 1961 წელს გამოქვეყნდა ვაჟა-ფშაველას ასი წლის-თავთან დაკავშირებით, სიყვარულზე, პატივისცემასა და ში-ნაგან სიამაყესე მეტყველებს. ასეთი მასალებიც საჭიროა — ისეთი შეგრძნება გვიჩნდება, თითქოს ერის სიყვარული ერთ-ბაშად იფოთლებოდეს...

მაგრამ ჩვენ დიდი მწერლები ხომ მარტოოდენ იმისათვის არ გვინდა, დღესასწაულის საბაბი იყოს! საიმისოდ ხომ არ გვემეტება, მხოლოდ მრგვალი თარიღების მოასლოებისას გვახსენდებოდეს. იუბილედან იუბილემდე კი ოდნავლა გან-ეიცდიდეთ მათ არსებობას! ეს უზარმაზარი სანთლები 25, 50, 75, 100 წლის მანძილზე მღვიმეებში ხომ არ უნდა გვექონდეს გადანახული და როცა მესხიერების ტაბლოზე მრგვალი ციფ-რი აენტება, მაშინ მივაშურებდეთ ერთ-ერთი მათგანის გარეთ გამოსატანად. ტომეულებსაც თარიღს ვუძღვნით, ხსოვნასაც და შესწავლასაც იმ თარიღის მოასლოებისას განვაახლებთ ხოლმე. ერთი-ორი მონოგრაფიაც მაშინ თუ გამოჩნდება. მა-ნამ? — ორი ან სამი წერილი, სამი ან ოთხი საგაზეთო კორეს-პონდენცია.

ნურავინ იფიქრებს, უყურადღებობა არასაიუბილეო წლი-ბისა ჩემთვის წერილების რაოდენობით გამოიხატებოდეს. პირიქით, სწორედ ათას ას ოცდაცხრა მასალა რომ გამოქვეყ-ნდა ერთ წელს, ის მიმაჩნია მე ნამდვილი უყურადღებობის გამოსატულებად. თუ არა დიდი მასშტაბის იუბილეს ხმაური

და სტრუქტურა!!! რა გვექნებოდა სათქმელი, ის თითო-ორთ-
ლა ნაშრომი, არასაიუბილეო წლებში დაწერილი, კარდინა-
ლური საკითხების გაშუქებას რომ ეძღვნებოდა. მაშინ საი-
უბილეო მასალების საკითხიც მეტი სიხარულის წყაროდ
მოგვევლინებოდა. მაგრამ კარდინალური საკითხები არასაი-
უბილეო წლებშიც და საიუბილეო წლებშიც დაუშუშავებელი
რომ გერჩება, ეს ფაქტი გვიდასტურებს ზერელობას, ზედაპი-
რულობას, პომპეზურობას. სადღესასწაულო განწყობილებით
გაბრუებულებს გვეჩვენება კიდევ — ჩვენმა კლასიკოსებმა
პლანეტა შესძრეს, ვინ იცის, იქნებ ასლაც ასე გვეგონია. სი-
ნამდვილეში კი მშვიდობის მსოფლიო საბჭომ უბრალოდ
აღნიშნა ჩვენი ამა თუ იმ დიდი მწერლის ასი წლისთავი —
ჩაიარა იუბილემ და მნიშვნელოვანი კვალი არაფერს დატყო-
ბია.

აბა რა კვალი უნდა გაავლოს ამგვარი სასიათის წერი-
ლებმა (მარტოოდენ სათაურებს დავაკვირდეთ): „ასე ფიქრობ-
და მგოსანი“, „დიდ მგოსანს“, „მთის არწივის სამეფოში“,
„მთის არწივი“, „მისი ჩონგურის ლარები“, „ქართული პოე-
ზიის მშენება“, „მოვიდა, ამოანათა“, „შენ ამდღერე ბუნება“,
„მოასა მყვირალო ვაჟა“, „ზვიადი კლდეების სიყვარული“,
„მისი მაღლით“, „უკვდავი ჭეშმარიტება“, „სამარადისო მშვე-
ნება“, „პოეზიის არწივი“, „ხალხის სიამაყე“, „მთა-კაცი ცამ-
დე ამალღებული“... ასე დაუსრულებლივ — სადღესასწაულო
განწყობილებით გამართლებული პათეტიკა, წერილის თუ
ლექსის სათაურში გამოუონილი რიტორიკა. იუბილესათვის
ამაში საჩოთირო ან ულამაზო არაფერია. ყველაფერი თითქოს
ბუნებრივია. გამოწვლილვითი სასიათის წერილები შეიძლება
არც დაშვენდეს დღესასწაულს, მაგრამ ეს მაშინ, როდესაც
მანამ ან მას შემდეგ კეთდება საქმე, რომელსაც დიდი მწერ-
ლის ყოველმხრივი შესწავლა ჰქვია. ჩაიარა იუბილემ, რომ-
ლის დროსაც 1129 მასალა გამოქვეყნდა. შემდეგ? აღარ ჭირ-
დება ვაჟა ჩვენს სულიერ ცხოვრებას ასალ იუბილემდე? თუ
ჭირდება, საიდან ჩანს ეს? ერთბაშად შევწყვიტეთ ფიქრი
მასზე. ასე ჩანს ყველაფრიდან. აღარ ვფიქრობთ იმ იდეებზე,
რის გამოც მსოფლიოს წარვუდგინეთ დიდი მწერლები. თუკი
ეს იდეები ჩვენთვისაც არ არის საინტერესო და ცხოველმყო-

ფელი, მაშინ სხვისთვის საიდან იქნება იგი პაერივით აუცილებელი? ცხადია, საზეიმო განწყობილების გაგრძელებას არ ვგულისხმობ, დიდი მწერლების იდეები და მათთან დაკავშირებული კარდინალურ საკითხებზე გამუდმებული ფიქრი მაქვს მსედველობაში. რას ვაკეთებთ ვაჟა-ფშაველას დაბადების ორასი წლის მოხვლამდე? იქნებ შესწავლილად მივიჩნიეთ ვაჟა-ფშაველა, როგორც ლიტერატურის თვისობრივად ახალი გზა, ვაჟა და ქართული მითოლოგია, მინდიას სახის არსი, მისი ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში, ბუნების განცდის დამოუკიდებელი ფილოსოფია, მსოფლიო კულტურის პროცესი და ვაჟა-ფშაველა... ქართულ ფილოლოგიაში ვაჟა-ფშაველას შესწავლა მსოლოდ დასაწყის ფაზაშია.

საკითხები კი, მეტნაკლები სიზუსტით დასახიათებული, ჩვენს ფიქრში ტრიალებს და ჩვენ ვიცით, რომ ისინი საფუძვლიან დამუშავებას მოიხსოვენ. და პრობლემების დამუშავება, ყველას კარგად მოგვესხენება, მარტოოდენ ფილოლოგიის წმინდათაწმინდა მოვალეობის აღსრულება კი არ არის, არამედ ფორმა, რომლითაც დასტურდება, რომ ერი თავისი დიდი კლასიკოსის „უკვდავი იდეებით“ იკეებება და ცოცხლობს კიდევ. ამით დასტურდება ისიც, რომ გრძელდება ცხოველმყოფელი ზემოქმედება ჩვენს შემოქმედებით მიზნებსა და მისწრაფებებზე, ზემოქმედება გრძელდება კულტურის სფეროში თვითგამოხატვაზეც, ეროვნული მასშტაბი გვექნება მსედველობაში თუ ცალკეული შემოქმედი. და საიდან მივადწევთ ამას, თუ სიდრმისეული ფიქრით გამსჭვალული ნაშრომები იუბილედან იუბილემდე არ შეიქმნება, ხოლო იუბილესზე ზემოთ მოტანილი წერილებისა და ლექსების პათოსი იტრიალებს?! სწორედ იუბილევებს შორის უნდა ვცოცხლობდეთ დიდი მწერლების ცხოველმყოფელი იდეებით. ეს სიცოცხლე შრომატევად საქმეს თუ დაეყრდნობა, რომელიც მწერლის დიადი სამყაროს არსს განაცდევინებს საღსის ყველა ფენას, ქართული ფილოლოგიური და ფილოსოფიური აზროვნების განვითარებას...

იუბილედან იუბილემდე ჩამოწოლილ ვაკუუმს გამართლება არ მოეძებნება.

ქართულ პოეზიაზე ნაფიქრსა და განსჯილს რომ აღადგენ მესხიერებაში, გონების თვალთ რომ გაზომავ ამ ნაფიქრის მთელ სერიოზულობას და საჭიროებას, უნებურად დაგეუფლება სიამაყის გრძნობა. უიმისოდაც ყოველ ჩვენთაგანს რამდენ ფიქრს არ აუშლის, რა უფსკრულებში ან რა სივრცეებში არ ახეტიანებს. ქართული ლექსის ღირსების ნდობამ და ამ ღირსების შეგრძნებამ ჩვენში რწმენის სარისხი შეიძინა. საქართველო პოეზიის ქვეყნად დაკრისტალდა ჩვენს წარმოდგენაში და ზოგჯერ არც ვუფროსით საშიშროებას, რაც მსგავსი რწმენის სმამაღლა გაცსადებას ასლავს სოლმე სხეების თვალში. არ ვუფროსით, რადგან ჭეშმარიტების ერთი ნაწილი ჩვენს წარმოდგენაშიც ძევს და არაქართველი კაცისაგან ამ ღირსების დანახვასა და აღიარებაშიც ივარაუდება.

ვერ ვიტყვი, რამდენად იქნება გამართლებული იმ მოსაზრების შესხენება, რომლის თანახმადაც ქართველი ხალხის სულიერი ენერჯია ყველაზე სრულად პოეზიაში გამოვლინდა. ეს კია, ამ მოსაზრებას აქვს მტკიცე საფუძველი და ამდენად არსებობის უფლებაც. მაგრამ გამოითქმოდა თუ არა ეს მოსაზრება, ქართული პოეზიის უნივერსალური შინაარსი და ფორმა, მისი სიმაღლე და სივრცე მაინც მიიქცევადა ყურადღებას და ჩვენგან სათანადო ზრუნვას მოითხოვდა. დღეს, რაკი ასეთი მოსაზრება უკვე არსებობს, რაკი არაქართველი მწერლები და მოაზროვნეებიც ამ აზრს განამტკიცებენ, კადეც გემართებს ამ მოსაზრების კვალში ჩადგომა და ფიქრი ქართული პოეზიის ბედსა და მომავალზე. ოღონდ სანამ ერთ პრაქტიკულ საკითხს მივადგებოდეთ, საჭიროა ქართულ პოეზიაზე ყოველი ჩვენთაგანის ნაფიქრალისაგან ლოგიკური დასკვნა გამოვიტანოთ.

საქართველო ანგარიშგასაწევი ქვეყანაა თავისი ეკონომიკით, ინდუსტრიით, მსუბუქი მრეწველობითა თუ სოფლის მეურნეობით. საქართველოში ჭეშმარიტად დიდი ერის საკადრისი ხალხური სიმღერებია შექმნილი. მსოფლიოს ცნობილი სპეციალისტების გაოცებას იწვევს ამ სიმღერების

დონე და მშვენიერება. საქართველოში ორიგინალური, ეროვნული არქიტექტურა ჰყვოდა მუდამ და მის ნიმუშებს დაპყრობილი აქვთ ჩვენი ქვეყნის ბუნების სედი. საქართველოში უნიჭიერესი მსატერების მთელი პლეადა მოღვაწეობდა უძველესი დროიდან. აქ იქმნებოდა მშვენიერი მუსიკა... საქართველო მრავალრიცხოვანი ვაზის ჯიშის ქვეყანაა. და ყველაფერ ამას ჭირდებოდა და ჭირდება კაცის ყურადღება, კაცის სელი, გული, გონება, სინდისი.

მაგრამ მე შეჩვენება, რომ ჩვენ ნაკლებ გვაქვს გაცნობიერებული, რა არის ჩვენი ნიჭის, შესაძლებლობის უმთავრესი ნიშანი. თითქოს შეთანხმებული ვართ, რომ პოეზიაა ეს ნიშანი. მაგრამ ბოლომდე არ გაგვიზრებია, რას ნიშნავს ამის აღიარება, და რა არის საჭირო იმისათვის, ცხოვრებისა და სელოვნების სხვა სფეროების გვერდით ქართული პოეზია შესაფერისად რომ იყოს მოვლილი. დგას მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლები, კაცობრიობის სხვადასხვა ხალხის განვითარების დონე განუწყვეტლივ მიიწევს მაღლა, ჩვენც ცვდილობთ, არ ჩამოვრჩეთ საერთო რიტმს.

საკუთარი ბუნების უმთავრეს ნიშანზე ზრუნვა სხვა ნიშნებზე ზრუნვის მეტ საშუალებას იძლევა. ასე რომ, ქართული პოეზიის უპირატესობის აღიარება არ ნიშნავს სხვა სფეროების თუნდაც ოდნავ დამცირებას ჩვენს თვალში.

ჩვენ კონკრეტული ფაქტებით ვერ ვამტკიცებთ, რომ მთელი სიგრძე-სიგანით გვაქვს გააზრებული ჩვენი ბუნების უმთავრესი ნიშანი, ის, თუ რა განძის პატრონი ვართ. ვერ ვუმტკიცებთ ვერც ჩვენს თავს და ვერც სხვას.

კარგა ხანია, დადგა დრო, შევწყვიტოთ ერთმანეთისათვის თვალის ახვევა, შევხედოთ სინამდვილეს თვალეებში და ვთქვათ ხმამაღლა, რომ ქართული პოეზია არ არის მოვლილი. ვთქვათ ეს ისე, რომ მაშინვე არ ავაყვავოთ სურვილი ამ აზრის გაბიბრუებისა და ჩაქოლებისა. ესე იგი მოვლილი არ არის ქართველი ხალხის ენერგიის გამოვლინების უმთავრესი ფორმა, ის სფერო, სადაც სამზეოზე გამოდის ქართველი კაცის ყველაზე საუკეთესო თვისება და უნარი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ შემოქმედთა დიდ ნიჭზეა დამოკიდებული მთლიანად ქართული პოეზიის ბედი და იღბალი. იგი, საბედ-

ნიეროდ, იქმნება თავისთავადი, უნივერსალური შინაარსითა და ფორმით, დაუფარავი ღირსებებით დგას ჩვენ წინაშე, ხოლო შემდეგ ნაკლებ კეთდება ის, რაც ერთი შესედედით, გაცილებით მარტივი და იოლი საქმე უნდა იყოს. პოეზიის ყოველმხრივი შესწავლა, მისი საუკეთესო ნიმუშების გამოცემა, მისი მაგისტრალური გზის წარმოჩენა, თავისთავადობის და სიცოცხლისუნარიანობის ნიშნების დადგენა, მისი ადგილის მონიშვნა ქართული და მსოფლიო კულტურის სივრცეზე, რათა ყოველი მხრიდან ჩანდეს ნათელი სვეტი. ყველასთვის ჩანდეს, მარტო ქართველი კაცისთვის კი არა. ყველაფერი ეს სტიქიურად სდება, სასელდასელოდ, მასშტაბური განზოგადებისა და განლაგების გარეშე.

ამ სტიქიურობის კვალი ატყვია პოეზიის სასალსო დღესასწაულებს, ლიტერატურულ საღამოებს და ქართული პოეზიის ნიმუშების გამოცემებსაც ქართულ და სხვა ენებზე.

ჩვენ დღემდე არ გვაქვს ქართული პოეზიის შესაფერისი, მისი საკადრისი ანთოლოგია. მაგრამ სანამ ამ თემაზე ვისაუბრებდეთ, მანამ სიტყვამ მოიტანა და რაკი საკითხს ორგანულად უკავშირდება, ერთი რამეც ითქვას.

საქართველოში ფორმალურ ხასიათს ატარებს უდიდესი პოეტების დღესასწაული-საღამოები, რომლებიც ყველა კუთხეში და, ბუნებრივია, თბილისშიც იმართება. თუნდაც ვაჟა-ობა კმარა მაგალითად. ვინც რამდენჯერმე დასწრებია ამ დღესასწაულს, დამემოწმება, რაოდენი დაშორებაა ვაჟას უნივერსალური პოეტური სამყაროს დონესა და იმ დღესასწაულს შორის, რომელსაც ასე გულით მიველტვით „ყველანი“ აგვისტოს თვეში. ორიოდე გამონაკლისის გარდა, სიტყვით ან საკუთარი ლექსების კითხვით გამოდის სრულიად შემთსვევითი ხალხი. კითხულობს საცოდავ ლექსებს, ამბობს უსუსურ სიტყვას. მხოლოდ ერთიდა, ხალხური შემოქმედებითი სანახაობები ანიჭებს გარკვეულ სიღამაზეს ვაჟას დღესასწაულს. ნუთუ საქართველოს ქებულ მრავალრიცხოვან ინტელიგენციაში არ მოიძებნება ათიოდე კაცი, მაღალი ინტელექტისა და გემოვნების მწერალი, მეცნიერი, ვინც გამონახავდა დროს და თავისი შინაარსიანი გამოსვლით ვაჟა-ფშაველას საკადრის ელფერს მიანიჭებდა დღესასწაულს.

სად, თუ არა ასეთ დღესასწაულზე, უნდა ვხედავდეთ ჩვენს საქვეყნოდ ცნობილ მომღერლებს.

ამ დონის პოეზიის საღამოები უმჯობესია არ ტარდებოდეს.

ყოველ წელს მოდის ხალხი, გაფაციცებული გულისყურით შეეფინება ფერდობებს და სულმოუთქმელად მოელის დიდი მეცნიერების, დიდი მწერლების სიტყვას (დიახაც, დიდი მეცნიერების და დიდი მწერლების!). მოელის „ალუდა ქეთელაურისა“ და „სტუმარ-მასპინძლის“ აკადემიზმის შესატყვის მსჯელობას, რომ გაიზარდოს სულით და გულით. ამას მოითხოვს ხალხი. ეს ერთის მხრივ. მეორეს მხრივ, ამას მოითხოვს ვაჟა-ფშაველას უნივერსალური პოეზია. სხვაგვარად მასზე საუბრის უფლება ჩვენ არა გვაქვს. ვაჟა-ფშაველა პურის მჭამელ და ღვინის მსმელ ხალხს არ უხმობს არაგვისაკენ. ქართული პოეზია მისი პირით მინდიას სიმაღლის განსაცდელად უხმობს ხალხს და ეს წამითაც არ უნდა დაგვაკიწყდეს. ზედაპირული, მოჩვენებითი, ყალბი, ვაჟა-ფშაველას პოეზიაში მისსალიც არ ურევია. მამ რატომ შეგკადრებთ ზედაპირულ, მოჩვენებით, ყალბ დონისძიებას, სადაც ყალბი პათეტიკური შეძასილების მეტი არაფერი არ გაისმის, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა.

გვეჩვენება, თითქოს გადარიბებული უბრუნდება არაგვის სეობას სამყაროს ჭვრეტად დაგზავნილი ვაჟას ფიქრები.

ანალოგიური სურათია რუსთაველის დღეებშიც.

ამგვარი სტიქიურობის ნერვი ირხევა პოეზიასთან ჩვენი დამოკიდებულების უმთავრეს ფორმებში და სრულებითაც არ გვესამუშება ამიტომაც, რომ დღემდე ქართული ლექსის საკადრისი ანთოლოგია არა გვაქვს.

ანთოლოგიები კი ფიზიკურად არსებობს. მართალია, ბევრი არა, მაგრამ მაინც.

უკანასკნელად 1971 წელს „მერანში“ გამოიცა ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია, უზარმაზარი წიგნი, რომელშიც შევიდა საბჭოთა უბოქაში მოღვაწე ყველა ქართველი პოეტის „რჩეული“ ლექსები. „რჩეული“ არ შეიძლება წინწყლების გარეშე დაიწერიოს.

ანთოლოგიის არსსა და დანიშნულებაზე სიტყვას არ ჩამო-

ვაგდებ, ეს უბრალოდ წიგნიერი მკითხველის შეურაცხყოფა იქნებოდა.

საკვირველია, უპირველეს ყოვლისა, ის ამბავი, რომ შეუდარებელი სალსური და კლასიკური პოეზიის პატრონთ სელთ არა გვაქვს რამდენადმე მაინც სრულყოფილი ანთოლოგია. პირველი წონასწორობა ქართული პოეზიის უნივერსალურ შინაარსსა და მის მოვლას შორის ამით არის დარღვეული. წიგნების თაროებზე, კარგა ხანია, სამარადისო ძილს მიეცნენ წარსულში გამოცემული კრებულები, რომელთაც პრიმიტიულობისა და არასრულფასოვნების იერი დაჰკრავდათ.

საკვირველია! ოღონდ იმ პირობით, თუ ეს გაკვირვება არ დარჩება პასიურ რეაგირებად. ბოლოს და ბოლოს ჩვენ უნდა გამოგვაფხიზლოს იმ აზრმა, რომ ეს ვითარება მოუთმენელია. მოუთმენელია, „ვეფხისა და მოყმის“, „საბრალო დედაბრისასა“, „ვეფხისტყაოსნისა“ და „მერანის“ თავფურცლების პატრონ პოეზიას არ ამშვენებდეს ერთმანეთის მჯობნი, სხვადასხვა სტრუქტურის ანთოლოგიები.

და მაშინ, როდესაც თითქმის არავითარი ანთოლოგია არ გვექონდა სელთ, გამომცემლობა „მერანის“ თაოსნობით დაისტამბა „ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია“. ეს, ბუნებრივია, დიდი მოვლენა გასლდათ. ანთოლოგიამ თავი მოუყარა ყველა ქართველი პოეტის „რჩეულს“, მაგრამ თუმცა ბევრს ეცადა სარედაქციო კოლეგია, ანთოლოგიაშიც კი ვერ დაეცავით ქართული პოეზიის საკადრისი მკაცრი შერჩევის პრინციპი. ძნელია აიხსნას რატომ: ავტორთა ჩვეულებრივი მოძალების გამო თუ უჩვეულო გულუხვობით ანთოლოგიაში უამრავი სუსტი ლექსი მოსედა. თითქოს დაგვაეწყდა კიდევც, რომ ეს ანთოლოგიაა და მხოლოდ საუკეთესოთა შორის საუკეთესონი უნდა შევიტანოთ მასში. და აი, მკითხველი სასოებით იღებს ხელში ქართული პოეზიის ანთოლოგიას და ანთოლოგიაში კარგი ლექსის ძებნა უსდება. ანთოლოგიაში კარგი ლექსის ძებნა უსდება! თითქოს თვით ავტორებს მიყნდო მათივე ლექსის შერჩევა, მათ კი, როგორც იტყვიან, ჩაყარეს რამდენიც და როგორც გაუსარდებოდათ, დარწმუნებულებმა თავიანთი ლექსების სიკარგეში. და რა მივიღეთ საბოლოოდ! მე არ მეგულება, რამდენიმე პოეტის გარდა, ან-

თსლოლოგიაში მოხვედრილი ავტორი, რომელსაც სხვების ლექსებში კარგი ლექსის ძებნა არ დასჭირდეს და პირიქით. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ანთოლოგიას ამკარად ეტყობა ავტორთა ინტერესებისა და კასრიზების გათვალისწინება. სხვაგვარად როგორ უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ანთოლოგიაში ლექსების ერთი და იმავე რაოდენობით არიან მოხვედრილი გალაკტიონ ტაბიძის და გიორგი ლეონიძის, ტიცციან ტაბიძისა და ალექსანდრე აბაშელის გვერდით პოეტები, რომელთაც ერთი კარგი ლექსი არ აქვთ საერთოდ.

„ქართულმა საბჭოთა ანთოლოგიამ“ დიდი საქმე გააკეთა. მან თავი მოუყარა ავტორთა სოლიდურ რაოდენობას, შეძლებისდაგვარად დაალაგა ისინი და მოგვცა საშუალება დაგვენასა მათი სიძლიერე-სისუსტე. თანაც მან მთელი საბჭოთა ქართული პოეზიის მიერ განვლილი გზა გადაგვიშალა. ეს გამომცემლობა „მერანის“ შესანიშნავი თაოსნობა იყო თავის დროზე და თუ რამ ნაკლი ჰქონდა ამ ანთოლოგიას, ჰქონდა მსგავსი გამომცემებისათვის ჩვენი მოუშაადებლობის გამო. ჩვენ ამ ანთოლოგიის არსებობამ დაგვარწმუნა, რომ ერთობ სათავისოდ ვუცქერით ლიტერატურის წმიდათაწმიდა მოვლენებს და ცოტას ვფიქრობთ იმაზე, რამდენად დაამახინჯებს ჩვენი სურვილების ასრულებისათვის ბრძოლა ლიტერატურის კანონებს.

ქართულმა პოეზიამ უსარმაზარი გზა განვლო უძველესი დროიდან დღემდე და მოვლის აუცილებლობა, რაზეც ზემოთ ვილაპარაკე, დღეს გვავალებს, მაქსიმალურად ყველა ფორმა იქნას გამოყენებული ამ პოეზიის უმდიდრესი ბუნების წარმოსაჩენად, როგორც ქართველი მკითხველისათვის, ასევე უცხოელთათვის.

პირველ რიგში უძველეს დროში შექმნილი ნაწარმოებების შეტანამ უნდა განსაზღვროს ანთოლოგიაში მოქცეული ქართული პოეზიის ასაკი, რათა ასე სტიქიურად არ ეწერებოდეს უცხოეთში გამოსულ ანთოლოგიებს მე-12—20 საუკუნეები, რათა, ერთი შესუდვით, უბრალო უყურადღებობის გამო რამდენიმე საუკუნე არ დაეკარგოს ქართული პოეზიის ასაკს. სომ გვაძლევს თუნდაც „ამირანის“ ეპოსი ამაზე დაფიქრების საფუძველს?

ქართველ კაცს სელთ უნდა პქონდეს ანთოლოგია, რომელიც წარმოგვიდგენს თემების მრავალფეროვნების მასშტაბებს, მსოფლმსედველობის სიღრმეს, ქართველი კაცის სულის ევოლუციას, პოეტური სერსების არსენალის ამოუწურავ მარაგს, თავისთავად სასიათს და შესრულების საშურ დონეს.

ჩვენ ზოგჯერ არ გვეთმობა დიდი პოეტის ნაკლებ ღირებული ლექსები და პოემები. შედეგების გვერდით ჩვეულებრივ, რიგით, ლექსებს ვათავსებთ. სრულებითაც არ ვფიქრობ, ანთოლოგიის შესადგენად რეცეპტი შევთავაზო ვინმეს, მაგრამ ქართული პოეზიისათვის შეუფერებელი სურათი რომ ისატება, ამაზე მინდა ყურადღება გავამასვილო.

მკითხველი კარგა ხანია მოელის, რომ ცალკეული პოეტური კრებულებისაგან და ტომებისაგან გამოირჩეს ქართული პოეზიის მაგისტრალური საზის წარმომჩენი ნაწარმოებები და ერთ წიგნად აკინძული ამშვენებდეს მის მაგიდას. ეს, ერთი მხრივ, პატივისცემაა თვით საღისსა, ვის წიადშიაც იშვა ეს პოეზია, და მეორე მხრივ, იგი დადასტურება იქნება იმისა, თუ რამდენად კარგად ვიცით ჩვენი სულიერი ისტორიის ასაველ-დასაველი. ასეც არ იყოს, ანთოლოგია გაგვიფანტავს ბუნდოვან წარმოდგენებს საკუთარი სიმდიდრის შესახებ. გარკვევით გვეცოდინება, რას ვფლობთ. ანთოლოგიის დანიშნულება ესეც არის. იგი მარტოოდენ იმისთვის არ იცემა, რომ ქართველი კაცის გული და სული გაასაროს, როგორც საჩუქარმა. იცემა, უპირველეს ყოვლისა, იმისათვის, რომ უნიკალური ნიმუშების გონივრულად შერჩეულმა მწკრივმა ქართველი კაცის გონის მიერ გავლილი გზის შეცნობის საშუალება მისცეს, გადასარშოს ეს სიმაღლეები და ასალი სიმაღლეებისაკენ მიმართოს მისი ფიქრი. ასე რომ, ანთოლოგია მარტოოდენ თაიგული არ არის, თუმცა მას ეს ფუნქციაც აკისრია, კაცის გულიც და სულიც უნდა გაასაროს, ოღონდ მას შემდეგ, როცა არსებით დანიშნულებას შეასრულებს.

ახლოვდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავი. 50 წლისთავზე ჩვენ ზემოთ დასასიათებული ანთოლოგია შევთავაზეთ მკითხველს. დღეს თუ შენიშვნებს გამოვთქვამთ, ეს არ აქარწყლებს მის დამსახუ-

რებას. მაგრამ ასლა სრული შესაძლებლობა გვაქვს მომზადდეს ნამდვილი ანთოლოგია და მომზადდეს იგი ისე, რომ ზურგს უკან პუდამ ვერძნობდეთ წინაპარი პოეტების გამჭოლავ მუერას, რაც გვაევალებს ფოლადის სიმტკიცით აღვიჭურვოთ და ქართული ლექსის უკადრისი არაფერი შევიტანოთ მასში.

მოქლის ნიჭი

ზოგჯერ რამდენიმე საკითხზე ერთდროულად ფიქრი აუცილებელი ხდება სოლმე. ის საკითხები თავისი შინაარსით განსხვავდებიან, მაგრამ ჯაჭვის რგოლებივით უკავშირდებიან ერთმანეთს. ჩნდება მოთხოვნილება, ერთ ფოკუსში მოვეყაროთ მათ თავი და ისე გამოვსატოთ საერთო აზრი, რისი გამოსატვაც ცალკეულზე მსჯელობით გაჭირდებოდა.

ამ საგანზე ფიქრი უფრო გაამძაფრა ერთმა მოვლენამ. ქართველ მწერალთა მერვე ყრილობაზე მაღალი ტრიბუნიდან გამოისატა გაკვირება იმის გამო, რომ მწერალთა ფორუმზე სიტყვით არ გამოსულა ორმოც წელს ქვემოთ არც ერთი ახალგაზრდა მწერალი. ითქვა აგრეთვე, რომ ახალგაზრდა შემოქმედები საერთოდ ნაკლებად ჩანან. ამ ფაქტმა კიდევ უფრო ნათლად გვაგრძნობინა, თუ რამდენად რეალური, საფუძვლიანი იყო ახალგაზრდობის წუსილიც თავის მხრივ. ამ საწუსარზე მათ თავიანთი აზრი გამოთქვეს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ სადისკუსიო დარბაზში სწორედ ყრილობის წინა დღეებში. დისკუსიაზე, რა თქმა უნდა, ყველაფერი არ თქმულა, მაგრამ მაინც გამოჩნდა, რამდენი რამ უშლის ხელს ახალგაზრდა მწერალს დაოსტატებისა და ასპარეზზე გამოსვლაში. ეს შესეედრა არ ყოფილა ფორმალური, არც მასში გამოთქმული საწუსარი ყოფილა ღონისძიებებისათვის გამიზნული სიტყვის მასალა. საწუსარი, საფიქრალი, ეტყობა, მართლაც არ არის სუბიექტური, მხოლოდ საკუთარი სამრეკლოს ნოტი; საყოველთაოდ შესამჩნევი მოვლენაა იგი და ამიტომაც აუცილებელი მეჩვენება დისკუსიის საკითხები-

საკენ გულისყურის მიბრუნება, მათი კიდევ უფრო გაღრმავება, გაფართოება და შესაფერისი სიმწყაით დღის სინათლეზე გამოტანა.

რა თქმა უნდა, ვერავინ იტყვის, არც იტყვის და არც თქმულა, თითქოს ქართულ მწერლობას ანგარიშგასაწევო, ძლიერი ახალგაზრდობა არ ჰყავდეს. ისინი ჩანან კიდევ, არაერთხელ აღგვინიშნაყს მათი ღირსებები, მაგრამ, როგორც ვხედავთ, უკმარობის გრძნობა არ ისვენებს, რადგან „გამონიშნის“ თაღი მაინც დაბალია, მაინც ვერ წედება მათი სმა ფართო აუდიტორიას, მაინც ვერ დგანან დიდ ასპარეზზე. არადა, უადრესად ნიჭიერი, შრომისმოყვარე და განათლებული ახალგაზრდების სოლიდური რიცხვი იღვწის ყველა სფეროში... და უკმარობის გრძნობა მაინც ვერ ისვენებს.

ყველაფერი, ჩემი აზრით, ერთდროულად რამდენიმე მიზეზს უკავშირდება, ხოლო ის მიზეზებია და მათზე ფიქრიც თავის მსრივ უკავშირდება ერთ საყურადღებო თვისებას, რომელსაც მოვლის ნიჭი ჰქვია. მოვლის ნიჭი მათორგანიზებული ძალაა, მაგრამ მხოლოდ მას შემდგომ, როდესაც მისი ყველა რგოლი შესატყვისად მტკიცე გახდება. ამ რგოლების განპტკიცება ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენში კი ეს ნიჭი ნებასაა მიშვებული, მოდუნებულია, „არ ღვივის იგი“, როგორც იაკობ გოგებაშვილი იტყოდა ხოლმე. დღენიდაგ კი უნდა ენთოს!

მოვლის ნიჭზე ჩამოგდებული სიტყვა უთუოდ გულისხმობს ბოლომდე გულახდილ საუბარს, პირველ რიგში საკუთარი პასუხისმგებლობის გრძნობის შემოწმებას, საკუთარი უნებური „ცოდვის“ აწონვას და მხოლოდ ამის შემდგომ მიზეზთა იმ კომპლექსის გაანალიზებას, რაც საქმეს ეღობება წინ.

თაობას, რომელსაც ორმოცი წლის ასაკს ქვემოთ ვგულისხმობთ, და რომელთაც ჩვენ გავრცელებული ტენდენციის კარნახით კვლავ ახალგაზრდებს ვუწოდებთ, თავისი სახე აქვს ქართულ მწერლობაში. იგულისხმება 30—35—40 წლის შემოქმედები, მათ უკან კი დგას კიდევ უფრო ახალგაზრდა, უადრესად ნიჭიერი თაობა. ისინი მიმართავენ პირადად ჭეშმარიტ ახალგაზრდა მწერლებად. და ყველა ერთადა, ერთი თაობის შინაარსში გაერთიანებულნი, წარმოად-

გენენ ლიტერატურის მზარდ ძალას, ხანდო და საიმედო ცვლას, სვალინდელ დღეს, თუკი ჩაეთვლით, რომ დღეიან-დელ დღეს ნაკლებ ჩანან. მე ვეჭვობ, რომ ეგზომ მოკრძალებული იყოს მათი წვლილი დღევანდელი ლიტერატურული ამინდის შექმნაში, მაგრამ დაეუშვათ, რომ ასეა.

სულ რამდენიმე გასაფხული და იმ ასალგაზრდობის ნაწილი ორმოც წელს გადააბიჯებს... ამიტომ ჩვენ უფლება არა გვაქვს, ერთი დღითაც კი გადავდოთ პასუსი კითხვაზე: ყაკეთებთ თუ არა იმას, რისთვისაც ვართ მოწოდებულნი, რაც მწერალს ევალება და ეძლევა თუ არა საშუალება ასალგაზრდა მწერალს გააკეთოს ის, რისთვისაც არის მოწოდებული.

სსვის შემოქმედებით ლაბორატორიაში ჩახედვა უტაქტობაა... იქ, დიასაც, უაღრესად ფართო შემოქმედებითი გეგმები ფეთქავენ. დღემდე დასტამბული წიგნების ჯანსაღი და ღონიერი ნაკადი მიგვანიშნებს, რომ ასალგაზრდების გარკვეული ნაწილი დიდ სიმაღლეებთან აბირებს შებმას. მათმა შემოქმედებამ გამოსცა ამ ჩანაფიქრის პირველი სიგნალები, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი ნიშანი, რომლის მოწყვეტა საკუთარი შემოქმედებითი ლაბორატორიიდან ერთი წამითაც კი შეუწყნარებელია... ეს გახლავთ მწერლის დვაწლი, რომელიც ლიტერატურულ პროცესთან უამრავ საქმეს აკავშირებს. მწერლის დვაწლი და არა წერილმანი ვნებებით დამუსტული ფუსფუსი!

ასაკი, რომელშიც ჩვენ ვდგავართ, გულისსმობს საუკეთესო წლებს. ამ წლებში უნდა კეთდებოდეს ყველაფერი ის, რაც ჩვენი ცხოვრების მიზნად დაგვისახავს. ჩვენი მოწოდების საგნად გვიცვნია. როდის თუ არა ახლა, უნდა იხარჯებოდეს ასალგაზრდობის ენერგია სერიოზული საქმეების საკეთებლად. ეს საქმეები კი იმდენია, ვერც აქამდე მოუსწრიათ მათი გასრულება და ჩვენს შემდეგაც არა ერთ თაობას გამოსთსოვს ენერგიას. თანაც ეს საქმეები ისეთ თავჩარგულ შრომას მოითხოვს, სმაურსა და რეკლამას რომ ვერ ითმენს. ჩვენ ამ საქმეების კეთების აუცილებლობა და ამასთან მათი მასშტაბურობა აგერ აქამდე არ გაგვიჩარებია თითქოს და ნათლად არ გაგვითვალისწინებია ის წვლილი, რომელიც უნდა შევიტანოთ მასში.

და, აი, ამ დროს ჩნდება სურვილი, რომ რაღაც ძალა წარმართავდეს ახალგაზრდობის ენერგიას, გამოისმოზღდეს მის კოლოსალურ ძალას მთვლემარე, ინდიფერენტული მდგომარეობიდან და ახარჯვინებდეს კეთილშობილური მიზნის აღსრულებაში, ქვეყანასა და ხალხს რაც არგებს, იმ მიზნების აღსრულებაში.

ეს პრობლემა მე მეჩვენება უმნიშვნელოვანესად, ჩვენი თაობის სასიცოცხლო ინტერესად. გავიღის გარკვეული დრო და ჩვენ ყველას შეგვაწუსებს მკაცრი კითხვა: რა გავაკეთეთ ამ დროში, რამ შეიწირა ჩვენი ფიქრები, სულიერი და ფიზიკური ენერგია. გასაკეთებელი კი, როგორც ვთქვი, უამრავია. საკუთარი შემოქმედებითი ლაბორატორიის იქით იცდის ათასი საქმე, რომელიც თავდადებულ, პატიოსან შრომას ითხოვს. მეორე მხარეს კი იცდის ახალგაზრდობის დიდი ძალა, რომელიც ოცნებობს აკეთოს ეს საქმეები — დიდი და სერიოზული საქმეები. და ახალგაზრდებს არავინ უსმობს ამ საქმეების საკეთებლად, არავინ წარმართავს მათ ენერგიას. თითქოს ის საქმეები არ შეიძლება „გამოუცდელმა“ ახალგაზრდებმა აკეთონ. ისინი კი, ის „გამოუცდელი“ ახალგაზრდები, ორმოცი წლისანი გახდებიან მალე. არავის მიჰყავს გაბედულად ეს ორი მხარე ერთმანეთთან.

მაგრამ უმჯობესია საყვედურს მიმართულება შევუცვალოთ. მას გეზი ჩვენსკენ, თვით ახალგაზრდობისაკენ მივცეთ, რადგან სშირად ჩვენ იმასაც კი ვერ ვაკეთებთ, რაც ჩვენს სელთ არის. და აი ასლა, როდესაც შექმნისა და მოღვაწეობის საუკეთესო წლები გვიდგას, ალბათ გარდუვალაია, ვიკითხოთ: ვის გვინდა გადავულოცოთ, ვთქვათ, საქართველოს უნათლესი კულტურის ძეგლების მოვლა?

უმალ ძეგლთა დაცვის საზოგადოება გაგვასხენდება, მისი სასელმწიფოებრივი ფუნქციები!

კეთილი და პატიოსანი. იმ საზოგადოებას არ სჭირდება მხარში ამოდგომა? გასწვდება იგი ამდენ სამუშაოს? უშეგლის დღემდე ჩატარებული თეორიული სჯა-ბაასი დანესტიანებულ კედლებს, ჩამოცვივნილ ბათქაშს, გადაღებილ ფრესკებს, ჩალეწილ სასურავს, ჩამოხსნილ კარებს და მორყეულ ბურჯებს? მრგვალი მაგიდებისა და დისკუსიების შინაარსი მხო-

ლოდ პირველი ნაბიჯია. შემდეგ? ასლოს დავდექით? ვათიყა დამკები იმ ბებერი კედლების ძირში, ვსდიეთ საქმეს მწერ-
ლური მოვალეობის გრძნობით და ინიციატივით? ნურავის
ვაუკვირდება ქვემოთ თქმული: მოვიპოვეთ საშენი მასალა
დროზე და მივაწოდეთ რესტავრაციაზე მომუშავეთ? ვეპიეთ
და გამოვნახეთ საჭირო თანხა ძეგლთა დაცვის სასოგადოები-
სათვის მისაშველებლად? მე პრაქტიკულ ნაბიჯებად მესასება
ყველაფერი ეს. დისკუსიაზე ითქვა ამის შესახებ. დღეს ასალ-
გაზრდების წრეში უკვე მომპლავრებულია სურვილი—მოეკი-
დოთ ამ საქმეს ხელი სერიოზულად. მივმართოთ ყველა
ინსტანციას. მაინც ვაყოყნებთ, თითქოს ნება-ნება ვაგროვებთ
სურვილს ჩვენს არსებაში. ძეგლებისათვის მიშველება მე
პრაქტიკულ ამოცანად მიმაჩნია და არა ლამაზ იდეალად. ამ
იდეალზე ლაპარაკი, ალბათ უნდა შეწყდეს, ძალიან ბევრი
ვილაპარაკეთ და იმიტომ! ნაბიჯი უნდა გადაიდგას. კერძოდ,
როდის და რომელი ძეგლის მოვლით დავიწყებთ და როდის
დავამთავრებთ, რამდენ დროს და ენერჯიას გავიღებთ ამი-
სათვის. საქართველოს ცისე-კოშკებს, ტაძრებს, მონასტრებს
და ეკლესიებს მარტო მტერი არ ანგრევდა, დროც შლიდა მის
ფუძეს, ბზარაულა კედელს, ამტვრიანებდა ფრესკებს, ამ-
სსერევდა სასურავს. ხალსი, როცა კი შეეძლო, იმ დროისაგან
დაშლილსაც ადადგენდა. ასე მოიტანა დღემდე. დღეს კი ჩვენს
თვალწინ ქვა ქვას აკლდება... შევეყურებთ ძეგლთა დაცვის
სასოგადოებას და გვაევიწყდება, რომ საქართველოს კულტუ-
რის ძეგლთა რუკა საბედნიეროდ გაჭედილია უძვირფასესი
ნათელსვეტებით. გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე ამას წი-
ნათ გამოქვეყნებულ წერილში საგანგებოდ არის აღნიშნული,
რომ ხუთი ათასი ძეგლიდან მსოფლოდ სამასია რესტავრირე-
ბულ-შეკეთებული. დანარჩენი?

შესანიშნავი ღონისძიებანი გატარდა ჩუენი კულტურის
ძეგლების დასაცავად. დიდი, ძალზე დიდი პრაქტიკული ნაბი-
ჯები გადაიდგა. რამდენად კარგად წავა საქმე, თუ ჩვენც,
ქართველი მწერლებიც, მარტო სიტყვით კი არა, საქმით ვიქ-
ნებით მათ გვერდით.

არც ის იქნება გაუგონარი ამბავი, თუ ათასში ერთსელ
კალამს გვერდზე გადავღებთ და ბარსა და ნიჩაბს მოვიკიდებთ

სკლს, რათა თვითვე ვიგრძნოთ იმ შრომის სიმძიმეც და უკლამაზესი შინაარსიც.

ასეთი უშუალო ჩარევით შეუკეთებია და გადაურჩენია კულტურის ძეგლი ჩვენს არაერთ სასიქადულო მწერალს. მაგალითები შორს წაგვიყვანს.

ჩვენ გვეჩვენება, თითქოს მოქალაქეობრივ ვალს პირნათლად ვისდით, რაკი თანამედროვეობის თემებს დროულად ვუპასუხებთ, მივდივართ და ვეცნობით სუთწლედის მშენებლობებს. ლექსების ციკლს, ნარკვევებს, მოთხრობებსა და რომანებს ვუძღვნით ამ მშენებლობებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდების შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამ თემებს. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ახალგაზრდა მწერალი, ვისაც არ აესასოს ჩვენი თანამედროვეობა. სპეციალურ წიგნებსაც უძღვნიან ბაჩისა და ენგურქესის თემებს. ძალიან კარგი, მაგრამ მწერლის ღვაწლი ამით არ ამოიწურება. ეს მსოლოდ ერთი სფეროა, მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც ერთი სფერო. ხოლო მწკრივი საქმეებისა, რომელიც ჩვენი სისხლისა და ფიქრის მოძრაობას უნდა წარმართაედეს, ვრცელია და შრომატევადი.

მწერლის ღვაწლი ყოველ საქმეს აკეთილშობილებს, ამრავალფეროვნებს. ჩვენ გავურბივართ მშრომელებთან შესვედრას. გვგონია, მსოლოდ ლიტერატურული სადამოებია შესვედრის ერთადერთი ფორმა. ბევრსაც არ გვეხერსება ასეთი გამოსვლები და უარს ვამბობთ. მაგრამ მშრომელებთან ასლოს ყოფნა არ ნიშნავს მსოლოდ ტრიბუნაზე ასვლას და მათთვის ლექსის წაკითხვას, მათი ცხოვრებით ცხოვრება გვავიწყდება! გვავიწყდება ხალხთან ისე ორგანულად დაასლოება, რომ ის მწერლის დაკვირვებულ თვალს ვერ გრძნობდეს. სოფლად ბევრი ძვირფასი ტრადიცია ილახება. აქაა საჭირო მწერლის თვალი. განმაზოგადებელი, ნიუანსების შემამჩნეველი, აქაა საჭირო მაძიებელი ფიქრი მწერლისა, რომელიც ხალხს თუნდაც იქვე, რაიონული გასეთის ფურცლებზე, დაანახვებს ტრადიციის შელახვას, ახსნის საფუძვლიანად, რა უნდა დავთმოთ და რა უნდა შევინარჩუნოთ ტრადიციისაგან. რა შეეთვისება მეოცე საუკუნის ცხოვრების ფორმებს, რა შეინარჩუნებს ძვირფას შინაარსს. დაანახვებს ახლასან

დამკვიდრებული ბევრი ცუდი ტრადიციის მახინჯ ბუნებას. შეკრებს და დაადგენს ამა თუ იმ კუთხის, სოფლის ეთნოგრაფიულ თავისებურებებს, რასაც ვერ გასწვდება მხოლოდ ეთნოგრაფთა ძალა და დრო, რასაც მწერლის თვალით დანახვა უნდა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ.

აი, სად უნდა იხარჯებოდეს კიდევ ჩვენი ენერჯია.

საქართველოს კულტურული ცხოვრების ატმოსფერო! — რამდენი რამ ითქვა ამაზე. ვინ არ სედავს იმ საშიშ ტენდენციას, პერიფერიების გაპროვინციალება რომ მოსდევს, ინტელიგენციისაგან ჩვენი მშვენიერი ქალაქებისა და რაიონული ცენტრების დაცარიელება რომ მოჰყვა. რას ვაკეთებთ ჩვენ, ასალგაზრდა მწერლები იმისათვის, რომ პერიფერიებში მცხოვრებმა გარიყულად არ იგრძნოს თავი, რომ მასაც მსჭვალავდეს განცდა სერიოზული საქმის კეთებისა, რომ თავის მიზანს მაღალი პოზიციებიდან უყურებდეს? მივდივართ ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, გორში, თელავში, ისში, ზუგდიდში, სამტრედიისში? სადაც გნებავთ, როგორც სტუმრები კი არა! როგორც მასპინძლები, შინაურები. ვაწყობთ მაღალი დონის საღამოებს, ვამყარებთ მეგობრულ ურთიერთობას? რაც მთავარია, ვებრძვით იმ განწყობილებას, რაც უნებურად დამკვიდრდა დედაქალაქისა და პერიფერიების დამოკიდებულებაში? არ კმარა ნაცადი ფორმები: გამსვლელი სსდომები და გამოჩენილ მწერალთა კანტიკუნტი გასეირნება, რომელიც თავის მხრივ ასე ამახსოვრდება პერიფერიების სათუთ სულს. აქ მაინც რა გველობება წინ, მარტო სურვილიდაა საჭირო, თითქმის მარტო სურვილი, ის სურვილი თუ იქნა, თავად გამონასავს დროსა და საშუალებას წასასვლელად, რამდენჯერაც არ უნდა მოგვისდეს განმეორება, უნდა გავიმეოროთ, რომ საჭიროა კულტურული ცხოვრების ატმოსფეროს დამკვიდრება ყველა ქალაქში, ყოველ კუთხეში. ასეთ ატმოსფეროს ინტენსიური ურთიერთობის მწკრივი თუ შექმნის.

რამდენი რამ შეიძლება გაკეთდეს კიდევ. რამდენი კლასიკოსის გამოცემაა დაგვიანებული! რამდენი მასხალაა თავმოხაყრელი! ყველა ისინი დროს, ენერჯიას მოითხოვს. აი, მათ კეთებასაც ჰქვია მწერლის დეაწლი. ამ დიდი საქმეებმა ახპარეზიდან წამოიძარტება სახე და ხასია-

ათი ყოველი თაობისა, ყოველი ცალკეული შემოქმედისა, მით უმეტეს ასალგაზრდისა. ასეთი შრომა გვაკლია ჩვენ. ჩვენ მსოლოდ ჩვენს ლაბორატორიაში ჩავიკეტეთ და სანამ იმ ლაბორატორიიდან მოკრძალებით გამოტანილი ნაწარმოებების ღირსებას გაიაზრებდეს მკითხველი, მანამ, ბუნებრივია, არ ვჩანვართ. კიდევ რომ სრულად გაიაზროს და დასაფასებელიც ბევრი კპოვოს, ჩვენი პიროვნება მთლიანი მაინც ვერ იქნება, სოლო ასალგაზრდა მწერალთა დიდი რაზში დიდ ძალად ვერ განიცდება. ეს მესახება მე ჩვენი მოწოდების მოუფლელობად. ან არ გეაქვს შეცნობილი ამ მოწოდების სერიოზულობა ან გასანტების მძიმე სენმა დაგვრია სელი.

ამ საყვედურს არ შეიძლება ცალმსრივი მიმართულება კქონდეს. ასალგაზრდობის ენერგიის დახარჯვის კულტურაც უნდა არსებობდეს და ვისაც როგორც ევალება, დღენიდაგ ფიქრობდეს, მიმართოს ასალგაზრდობის ენერგია ზემოთ მითითებული და უამრავი სხვა საქმის საკეთებლად. მართლაც, მიდიან წლები, საუკეთესო წლები და რჩება უამრავი რამ გასაკეთებელი. ის არც კარიერას გულისხმობს, არც ხელის მოთბობას, სუფთა სინდისით და წმინდა სელებით შრომას გეკარნახობს. მაგრამ ასეთ შრომას სული გთხოვს, არსებობის მიზანზე დაფიქრება გთხოვს.

უნდა პირდაპირ ითქვას, რომ იმ ავადსენებული ორმოცი წლის ქვემოთ გულისყურით იშვიათად ვისელებით. ასალგაზრდა შემოქმედების მდიდარი ფანტაზიისა და დიდი პოტენციის გასარჯვის აუცილებლობაზე ცოტას ვფიქრობთ.

ყველაფერი მოვლის ნიჭსა და კულტურას უკავშირდება ათასი ფესვითა და ბილიკით.

მწერალთა კავშირში პირველ სართულზე, ბადში გამსვლელ კედელზე ამოკვეთილია იმ მწერალთა სახელი და გვარი, რომლებიც სამამულო ომში დაიდუმნენ: მირზა გელოვანი, შალვა იოსელიანი, სევერიან ისიანი, გიორგი ნაფეტვარიძე, დავით პატატიშვილი, სანდრო უდენტი, შალვა სოსლანი, ალექსანდრე სულავა, ვლადიმერ უბილავა, ვაჟიკა ფსოველი, იაკობ ჩხაიძე.

ჩვენ ხშირად ვიგონებთ მათ, ვაწყობთ საღამოებს, ვცემთ

მათ წიგნებს. მეტიც ვაკეთებას ვაპირებთ მომავალში. ჩვენს გულს მოურჩენელ იარაღ ატყვია სიტყვის კაცების დაღუპვა. ჩვენ ვუპირისპირდებით, ვებრძვით ომის ბუნებას, ეფროთხილობით დღენიადაგ და ეპოულობთ ძალას, რომ ვამსილოთ ომის გამჩაღებლები. დიდი ძალისა და ნუგეშის მომნიჭებელია ეს სიფსიზლე. იგი ჩვენშია, ჩვენ მის გვერდით ვდგავართ, რათა არ დავუშვათ ომის გაჩაღების შესაძლებლობა — ესეც ძვირფასი თვისებაა.

მაგრამ ჩვენს პირად ცხოვრებაში, ყოველდღიურ ყოფაში გველატობს სიფსიზლის გრძნობა, იგი ვერ ვლინდება იმ პოტენციით, თითქოს მიძინებულია. მე სამამულო ომში დაღუპული ქართველი მწერლების სია მოვიტანე, მწერალთა კავშირის კედლებზე რომ არის ამოტვიფრული. მოდით, ახლა ის მწერლები მოვიგონოთ, აგერ 15 — 20 წლის განმავლობაში გვერდიდან რომ გამოგვეცალნენ: გურამ რჩეულიშვილი, ნოდარ ჩხეიძე, შოთა ჩანტლაძე, კარლო ქილარჯიანი, გელა გაბუნია, ვიორჯი შატბერაშვილი, ედიშერ ყიფიანი, ფილიპე ბერიძე, არლი თაყაიშვილი, გაბრიელ ჯაბუშანიური, ყარამან კიკვიძე, ოთარ კუპრავა, მურმან ქოიაევა... პირველხარისსოფანი მწერლები, პოეტები, პროზაიკოსები, კრიტიკოსები, მთარგმნელები. ამდენ კაცს და ასეთ მწერლებს 15—20 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი ლიტერატურის შექმნა შეუძლია.

იქნებ კიდევ იკითხოს ვინმემ: სიკვდილს წინ ვინ აღუდგებაო. ვერაფერს! გარდუეალს წინ ვერაფერი ვერ აღუდგება! ეს მწერლები დაიდუპნენ 26, 30, 40 წლის ასაკისანი. ხავსებით ახალგაზრდები, ორიოდე მათგანი თუ იყო ამორებული ორმოცდაათს. მაინც უდროო იყო მათი სიკვდილი, თავის დროით სიკვდილი ვერ დაერქმევა მათ მიცვალებას.

ზოგიერთი მათგანის სიკვდილს მართლაც ვერაფერი აღუდგებოდა წინ (მაგალითად ნოდარ ჩხეიძე). რა უნდა გვექნა, შემთხვევის ბრალი იყო. იმ შემთხვევის თავიდან არიდების შესაძლებლობაზე სიტყვას არ ჩამოვაგდებ. ვარაუდები უნდა დაუშვა უამრავი, რაც ნაკლებ სარწმუნოა. ვთქვათ, მძლოლი რომ ყურადღებით ყოფილიყო, ტრანსპორტის მოძრაობა მოწესრიგებული, დისციპლინა თავის დონეზე... თით-

ქოს შეიძლებაოდა კიდევ ამ უბედურების არიდება. მაგრამ მოვეშვათ. არსებობს შემთხვევები და ჩავთვალოთ, რომ ასეთი აბსურდული სიკვდილის მსხვერპლია ნოდარ ჩხეიძე. ასევე გარდუვალი იყო იქნებ კიდევ ორი კაცის დაღუპვა. გაძონაკლისები მუდამ ყოფილა, მაგრამ როდესაც უმოკლეს დროში ერთბაშად ამდენი იღუპება, ეს უკვე არ არის შემთხვევითი, უნდა ვიფიქროთ, რომ მიზეზთა მთელი წყება ღუპავს მათ, უდროოდ გვაცლის სელიდან ძვირფას ადამიანებს.

ძნელი სათქმელია, რა ხდება იქ, ადამიანის სულიერ სამყაროში, კაცისა, რომელიც დღეს მძვენიერ გუნებაზეც კი გეჩვენება, ვერ სვდები, „რა უღრღნის ნერვიულ სისტემას,“ რა უპლის უჯრედებს, რა უტრიალებს უკუღმა ფიქრის საჭვს. მაგრამ მიზეზთა კომპლექსიდან შეიძლება რამდენიმე გამოვყოთ და მათი არსებობა ჩვენ თავს დაეაბრალოთ, ყველაფერი განუკურნებელი სენის, ან აბსურდული სიკვდილის ბრალი როდია!

ამ ქვეყნიდან მათი წასვლის კონკრეტული მიზეზები სუფთაა და არაფითარ განსჯას არ საჭიროებენ, მაგრამ მაინც უნდა ვუთხრათ ჩვენს თავს ერთი რამ: ჩვენ ვერ ვიდექით იმ ჩვენი მეგობრების სულიერი სამყაროს გზაჯვარედინზე იმედის შუქად, რომ იმ იმედის შუქს ჩაექრო აღზევებული სიბნელის ნაკადი.

შეუძლებელია ადამიანთა ურთიერთობაში რეცეპტების დადგენა; რა უნდა გვექნა!

მეგობრობის შინაარსი მეგობრის ფიქრთა მიმართულების შედმიწეენით ცოდნას ერქვა მუდამ. შეიძლება დაღუპულის სასიათი იყოს დამნაშავე იმაში, რომ თანამდგომად ვერ აღიქვამს ვინმეს და დაღუპვისაკენ მიექანება, მაგრამ ჩვენ ეს არ გვათავისუფლებს პასუხისმგებლობის გრძნობისაგან. საუკეთესო მეგობრები ჰყავდათ უდროოდ დაღუპულ მწერლებს. განა მათ არ ჰქონდათ სურვილი ნამდვილი მეგობრობა გაეწიათ, მაგრამ როგორც ჩანს, მეგობრობის შინაარსიც შეიცვალა და სიფსიზლის გრძნობამაც მის კვალზე მიიძინა ჩვენში.

ზოგიერთს იქნებ დიდი საიდუმლო უხრავდა სულს, ზეზეულად აღნობდა. ეს ჩვენ მათი სიკვდილისთანავე გავიგეთ. ვერ გაუძლო კაცის გულმა და სულმა მძიმე დარდს. არ გაამსილა,

გამხელის უაზრობა იგრძნო და იქნებ ამიტომაც. ბრალში არაფერ არ არის. მაგრამ სუსტი რგოლი სწორედ იქ წყდება, როდესაც ვამბობთ, გამხელის უაზრობა იგრძნო. რატომ იკვლიდა ასე, მართლა საიმისოდ იყო განწირული, რომ თავის ფარულ დარდს შესწირვოდა, თუ შესაძლებელი და აუცილებელიც იყო გამხელა — ერთმანეთის ბოლომდე გაგების ბარიერი რომ არა!

იქნებ ჩვენ ვერ ვიდექით იმ ჩვენი მეგობრების სულიერი სამყაროს გზაჯვარედინზე იმედის შუქად, რომ იმ შუქს ჩაექროს აღსევებული სიბნელის ნაკადი! და აი, ყველას მოგვყავნა შურადაცყოფა. არ გვენდო, ვერ დაგვიგულა საყრდენად. არ არის აქ აუცილებელი იმის მტკიცება, რამდენად დაემსახურეთ უნდობლობა. ფაქტია, რომ ჩვენს სისუსტედ აღიქმება იგი.

გარდაცვლილზე საყვედურის თქმა აუგია. ამიტომ სჯობს საერთო საყვედურად ვაქციოთ სათქმელი: ხშირად ჩვენ საკუთარი მოწოდების მოვლა არ ვიცით. არც ერთმანეთს ვუვლით და არც საკუთარ თავს. ზემოთ ჩამოთვლილი მწერლების ლიტერატურული მემკვიდრეობა მაღალი დონით არის საყურადღებო. სვედრით წონას ხარისხი განსაზღვრავს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მათ მაინც ვერ დატოვეს ის, რისი გაკეთებაც შეეძლოთ.

ამის თქმით არ მცირდება მათი ლიტერატურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა. მინდა, საერთო სინანული გამოვხატო ნიჭიერ მწერალთა უდროოდ გადაგების გამო.

მწერლური შრომის პათოსში მუდამ იგულისხმებოდა სანთელივით წვა პიროვნებისა, ვისაც სერიოზული მიზანი აქვს და დღედაღამ მასზე ფიქრობს. აი, ეს პათოსია დამცხრალი, ჩვენ ასეთი სულიერი წვით ვერ ვდგავართ ერთმანეთის გვერდით, სუსტი აღმოჩნდა ჩვენი სარკმლებიდან გამონადენი შუქი, ოდნავადაც ვერ ანათებდა ჩაფიქრებულ სახეებს და სულში ჩაწოლილ მრუმე ღრუბლებს.

ამ ტკივილიან მოგონებაზე სიტყვა საგანგებოდ არ ჩამომიგდია. იგი ჩვენში ცოცხლობს, ანუ „ის ძმავა ჩემი“ — როგორც ერთი ნიჭიერი პოეტი ამბობს. და როდესაც ჩვენში განებივრებულ ამ დიდი ტკივილის შინაარსს გაიაზრებ, უწყ-

ბურად გიპლიერდება წყურვილი — იფიქრო მოყლის ნიჭსე.
მოყლის ნიჭი გულისხმობს თითოეული მწერლის შეცნობას და კუთვნილ გზაზე დაყენებას, საერთო შემოქმედებითი შრომის ცხოველყოფილებას, ერთმანეთზე ფიქრსა და დროულ თანადგომას. რაც მთავარია, მოყლის ნიჭი გულისხმობს შექმნას, რადგან მხოლოდ შექმნის თანამდევ ჯანსაღ ატმოსფეროს ძალუძს მეგობრობაც და თანადგომაც. მას ძალუძს ყოველი ადამიანის სულიერი ენერჯიის გამოსმობა სერიოზული მიზნის სამსახურში, ცხოვრებისათვის ფასის დადება და შინაარსის მინიჭება.

თ ა ო ბ ა

მიმდინარე ლიტერატურულ პროცესში თაობათა გამოყოფა პირობითია. პირობითია „სადემარკაციო საზის“ გაფლაც. „ლიტერატურული მდინარების“ შემადგენელ ტოტებში გზის გასაკვლევად აუცილებელი სდება ამ პირობითობის მოშველიება. აქედან მომდინარეობს ე. წ. ათწლეულების პრაქტიკაც კრიტიკულ აზროვნებაში. ჩნდება ტერმინები — ათიანელი, ოციაანელი... სამოციაანელი, სამოცდაათიანელი... ათწლეულების მოშველიებას რაციონალური საფუძველიც აქვს; იგი არც თუ მთლად პირობითია. ათწლეული მართლაც საკმაო და ამასთან საჭირო დროც არის საიმისოდ, რომ მოხდეს ამა თუ იმ თაობის ლიტერატურული პროფილის ფორმირება. საკმაო დროა იმიტომ, რომ ერთი თაობა თავისი ახალგაზრდობის ათი წლის მანძილზე ასწრებს საკუთარი სტილის შემუშავება-მიგნებას, საკუთარი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას და საკუთარი პოზიციის დადგენას, მათი ინდივიდუალური შესაძლებლობებისაგან დამოუკიდებელიყალიბდება და კრისტალდება საერთო ნიშნებიც (თაობის ლიტერატურული თავისებურებების დამადასტურებელი საერთო ნიშნები მაქვს მხედველობაში!) ახალგაზრდების ფსიქიკა (სწორედ ახალგაზრდების ფსიქიკა!) ჩამოყალიბების პროცესში უშუალოდ განცდილი თავისი დროის (თავისი ათწლეულის) ტენ-

დენციების წყალობით და მასთან მიმართებაში ყალიბდება. წინა თაობებს, რომელნიც უკვე ჩამოყალიბებული პრინციპებითა და პოზიციებით არსებობენ ლიტერატურაში, არ შეუძლიათ ამავე ათწლეულისაგან ხასიათის განმსაზღვრელი შემოქმედება იგრძნონ. მათ ჰქონდათ თავიანთი ფორმირების ათწლეული. ასლა კი აღრმავებენ, აფართოებენ ან ავიწროებენ თავიანთი შემოქმედებითი თვისებების კომპლექსს. ამდენად არსებითი ცვლილება მათ ხასიათში არ შეიმჩნევა.

მათი დრო, წინა ათწლეულთაგან ერთ-ერთი ათწლეული, უკვე ჩავლილია, მასთან შესებით ჩამოყალიბებული თაობის ლიტერატურული ფსიქიკა მყარია და განსაზღვრული. და რამდენადაც ის ათწლეული თავისი მოვლენებითა და განწყობილებებით ამ ათწლეულისაგან განსხვავდება, ბუნებრივია, ასალი თაობაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ძველი ან წინამავალი თაობებისაგან.

ათწლეულში, ცხადია, მარტოოდენ დრო არ იგულისხმება. დროში მთელი ცსოვრება ივარაუდება თავისი შინაარსით, და თაობაც მასთან შესებით იძენს თავის ნიშანდობლივ თვისებებს. უფრო სწორად, იგი მუდავნდება და ყალიბდება მასთან შედუღაბებით. ამიტომ საერთო ნიშნებზე საუბრისას, რომელთა წყალობითაც თაობა თაობად ყალიბდება, არ უნდა გვავიწყდებოდეს თაობის მოხელის კონკრეტული ისტორია, თორემ საუბარი ერთობ ზოგადი და უზუსტო გამოგვივა.

აქ თქმული მიმდინარე ლიტერატურული პროცესის პირობითად დაყოფას ესება, შემდეგ კი როდესაც დიდი დრო გაივლის, როდესაც აწმყო მთელ ნასევარ საუკუნეს ერთბაშად მოავლებს თვალს, იქნებ, ეს ათწლეულები მზერამ ვერც შეამჩნიოს, მათ შორის პირობითად გავლებული ზღვარიც გაფერმკრთალდეს, ან „გადასწორდეს“ სხული, რომელიც კრიტიკულმა აზროვნებამ უშუალო პროცესში დროებით გაავლო. შეიძლება რამდენიმე ლიტერატურული თაობა, რომელთა პროფილი ათწლეულების შიგნით ყალიბდებოდა, დრომ ერთ თაობად აღგვაქმევინოს. ლიტერატურის ისტორია უხვად გვაწვდის ამის მაგალითებს. ჩვენ ყველამ კარვად ვიცით, როგორ გაერთიანდა ერთ თაობად ილია ჭავჭავაძისა და სერგეი მესხის, აკაკი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის თუ

ივანე მანაბლის თაობა, თუმცა ერთნი სამოციან წლებში მოვიდნენ, მეორენი — სამოცდაათიან წლებში. შემდგომ — ოთხმოციან წლებში — ყასბეგი და ვაჟა-ფშაველა გამოჩნდნენ. ისინიც მეცსრამეტე საუკუნის დიდი ლიტერატურული თაობის არმიას შეუერთდნენ.

დღესაც ამგვარი სურათის მოწმენი ვართ. ლიტერატურულმა კრიტიკამ ბევრი იმსჯელა. ე. წ. სამოციანელების თაობაზე. ამ თაობის მოსვლა არსებითად „ცისკრის“ დაარსებას დაემთხვა და რამდენადაც თაობის თითქმის ყველა წარმომადგენელი მის ფურცლებზე დაეაყუაცდა, ამიტომ ზოგჯერ „ცისკრელებსაც“ უწოდებენ მათ. ჩვენ ასლა ყველამ ზეპირად ვიცით ამ თაობის საუკეთესო წარმომადგენელთა სახელები; ვიცით, თითოეული მათგანის ინდივიდუალური თვისებები და დამსახურებანი. მათ შემდგომ ახალი თაობა მოვიდა, რომლის ლიტერატურული პროფილი შეუსწავლელია, შესწავლა ერთობ გვიან დავიწყეთ და ისიც კი მოგვეჩვენა, თითქოს წინა თაობის ღირსეული მემკვიდრე არ ჩანდა ლიტერატურის კორიზონტზე. თანდათან ვრწმუნდებით, რომ ეს ასე არ არის, თანდათან იძულებული ვსდებით ჩვენს სისუსტეს დავაბრალოთ ახალი თაობის დაუნახაობა და მდგომარეობის გამოსწორება ვცადოთ. ეს სასიამოვნო ფაქტია. მომავალმა, შესაძლოა, ორივე თაობა—სამოციანელიცა და სამოცდაათიანელიც ერთ თაობად აღიქვას. ადვილი შესაძლებელია, მათ შორის განსხვავებულობის ყოველგვარი კვალი გაქრეს და ორი არსებითი ნიშანი, თავისთავადობას რომ გვიდასტურებს დღეს, ერთ თავისთავად ნიშნად იქნას აღქმული.

ლიტერატურის ისტორია უღმობელია. მისი დიდი სივრცე ათწლეულებად დაქუცმაცებას ვერ ითმენს. იგი ესწრაფვის საუკეთესო ტენდენციები გააერთიანოს და ერთ მძლავრ მდინარებად აქციოს ყველაფერი ის, რაც ჩვენს თვალწინ ცალკეულ ტოტებად არის დანაწილებული. მაგრამ დღეს მიმდინარე პროცესში გვევალება ყველა იმ ნიშნის გამორჩევა, რომლითაც ერთი თაობა მეორისაგან განსხვავდება და რომლითაც ბეჭედდასმული ახალი თაობა ლიტერატურაში მოდის.

ლიტერატურული ცხოვრება ახალ თაობასთან შეხვედრის კულტურას მოითხოვს. ამ კულტურის შინაარსი მეტიხმეტად

ფაქიზია. იგი ვერ ითმენს ზერელე განცხადებებს: „ასალი ძალები გამოჩნდნენ“, „კარგი ასალგაზრდები მოვიდნენ“, „იმედით შევეყურებთ მათ მოსვლას“ „ბევრს მოველით...“ ასეთი განცხადებები ზერელობის ნიშნით ხასიათდებიან, მაგრამ მათი შინაარსი უფრო ღრმაა და არასასურველ ტენდენციას ატარებს. ზერელობის ზედაპირს ქვეშ ილანდება თაობის შეცნობის დაბალი კულტურა. თაობის შეცნობა კი სერიოზულ დამოკიდებულებას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში კურიოზების გარემოცვაში აღმოჩნდებით — თუ სერიოზულად არ ვსწავლობთ, არასწორ ინფორმაციებს ვეყრდნობით და უსაფუძვლო შესედულებების მწკრივს ვაძლევთ ასპარეზს.

ამას წინათ, ორიოდე საქმოსანი, აბეზარი „ასალგაზრდის“ სტურში მთელი თაობის პრაგმატიზმად იქნა აღიარებული. როდესაც თაობას მეტისმეტ პრაქტიციზმს, პრაგმატიზმს და მსგაეს სინონიმებს უწყვილებენ, ბუნებრივია, თაობას მართებს დაფიქრება. მან თავისი რაობა უნდა შეიცნოს და თუ „ბრალდება“ დადასტურდა, ცუდად უნდა იგრძნოს მწერლობაში თავი. საბედნიეროდ, მიზეზი ამ ბრალდებისა გახლდათ თაობასთან შესვედრის დაბალი კულტურა, რაც ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების არსებითი ნაკლთაგანია. ინფორმაციის სინაკლულემ, რომ არაფერი ვთქვათ უფრო დიდ მიზეზზე — თაობის ლიტერატურული პროფილის უცოდინარობაზე — ჩვენს თვალში გაასვიადა ორიოდე კაცის პრაქტიციზმი და იმდენად, რომ იგი თაობის საერთო ნიშნად იქნა აღქმული. და ეს ნაკლი ძალზე სერიოზულად იყო გამოთქმული. ასეთ სერიოზულ შენიშვნას, ვიმეორებ, არ შეიძლება განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონდეს ასალგაზრდობისათვის. ლიტერატურულმა კრიტიკამ, საერთოდ მწერლობამ, ამ შემთხვევაში თავი ვერ დააღწია ე. წ. კონსერვატიზმს, აგრეთვე დოგმატიზმს, გაქვავებული შესედულებების მწკრივს და ამიტომ შეუძლებელი შეიქნა ასალ თაობაზე, როგორც დამოუკიდებელ ფენომენზე, დიდი საუბარი. მარად მოძრავი და მარად განახლებადი ლიტერატურული პროცესის მოთხოვნები დავიწყებულ იქნა და მშვიდმა სიზანტემ დაიჭირა გაფაციცებული მოლოდინისა თუ სურვილების ადგილი. ჩვენ დავკმაყო-

ფილდით უმთავრესად სამოციანელთა თაობის, როგორც სერიოზული ახალი ძალის მწერლობაში მოსვლაზე საუბრით. აღარ დავიტივრთეთ თავი კიდევ ახალი თაობის მოსვლაზე ფიქრით, ამდენად არც შევისწავლეთ იგი და ჩავთვალეთ, რომ ახალი სასელები, რომლებიც ლიტერატურულ რუკაზე გამოჩნდნენ, ფერმკრთალად გამოიყურებიან. იმდენად გაფერმკრთალეულნი ჩანან, რომ ლიტერატურულ პროცესში მათი ადგილის განსაზღვრა და თაობის ნიშნების დაძებნა არც მივიჩნიეთ საჭიროდ.

ცნობილმა კრიტიკოსმა, ჭეშმარიტმა ლიტერატორმა გურამ ასათიანმა იგრძნო, რომ ახალი თაობის „სიფერმკრთალის“ მიზეზი თვით ამ თაობაში კი არა, არამედ ჩვენს დამოკიდებულებაში იდო. და პირველი შთაბეჭდილების წიაღიდან მისთვის ახალი თაობის ძირითად ნიშნად არა კეთილმოწყობილი ცხოვრებისათვის საქმოსნობა და თავის გამოჩენის სურვილი, არამედ თავმდაბლობა და სიჩუმე წამოიძარტა:

„იყო დრო (სულ ასლახან), როდესაც ჩვენს ლიტერატურულ წრეებში სინანულით ამბობდნენ: სად არიან ახალი პოეტები? სად არის ის ცვლა, რომელიც ჩვენს ადგილს დაიკავენ? და ა. შ.

და, აი უცებ აშკარა გასდა, რომ დღეს არსებობს „ახალწვეულთა“ მთელი კოჰორტა, რომელმაც როგორღაც შეუმჩნევლად შეძლო ქართული პოეზიის მთავარ კარიბჭეთა შეღება. ეს გარემოება მე ერთხელ უკვე აღვნიშნე და ასლა მინდა განემარტო, რომ უპასუხისმგებლო განცხადებად არ ჩამეთვალოს.

ამ ახალი პოეტების შეუმჩნეველი მოსვლა გამოწვეული იყო იმით, რომ მათმა წინამორბედებმა (პირველ რიგში კრიტიკოსებმა) საკმაოდ დიდხანს ვერ შენიშნეს ისინი, ღირსეულად ვერ შეაფასეს მათი მოსვლის ფაქტი.

იყო სხვა, უფრო არსებითი მიზეზიც: ეს პოეტები უხმაუროდ მოვიდნენ. მათ მოსვლას თან არ ახლდა სენსაციური დეკლამაციები, მანიფესტები (თუ მსედველობაში არ მივიღებთ გ. პეტრიაშვილის წერილს), „ზავთი და ყიჟინა“. ზოგიერთი სხვა თაობის პოეტებისაგან განსხვავებით ამ ახალგაზრდებს არ გამოუჩენიათ მიდრეკილება მაღალი ტრიბუნისაკენ,

ფართო აუდიტორიებისაკენ, საერთოდ, თვითდამკვიდრების რაიმე გარეგნულად ეფექტური საშუალებებისაკენ.“

„ლიტერატურულ წრეებში“ სინანულით საუბარს სასურველია წინ უსწრებდეს მეცნიერული კამათი ასალი თაობის დამსახურებასა და წვლილზე. თუ მეცნიერული კამათი არ უძღვის წინ, მაშინ „ლიტერატურულ წრეებში“ საუბარს შეუძლებელია სწორი ინფორმაცია კვებადეს. იგი აღმოჩნდება ზერელე შთაბეჭდილებების ფუყე ნიადაგზე დაყრდნობილი. ზერელე დაკვირვებისას კი ასაკობრივი კონსერვატივში მართავს ჩვენს განწყობილებასა და მოსაზრებებსაც. ასალი თაობის ღირსებებთან დამოკიდებულება კი უფროსი თაობის წარმომადგენლებში სერიოზული პაექრობის გზით თუ ჩამოყალიბდება, რის დროსაც ლიტერატურული მტკიცების ფორმები კონკრეტული მასალის შემწეობით დამაჯერებლობას შეიძენენ საზოგადოების თვალში. წინააღმდეგ შემთხვევაში რა სიზუსტე უნდა ასლდეს „ლიტერატურულ წრეებში“ გამართულ საუბარს.

თაობის შეცნობის სერიოზულობა (ან არასერიოზულობა) ლიტერატურული ცხოვრების დონეს ამჟღავნებს. თუ ჩვენ საფუძვლიანი შესწავლის გზას არ ვადგავართ, შედმეტია ლაპარაკი ასალ თაობასთან შესვედრის კულტურაზე. ასალ თაობასთან დამოკიდებულების კულტურა ჩვენს სინამდვილეში ცალკეული პიროვნების ინდივიდუალურ თვისებებზეა დამოკიდებული. ერთი რომელიმე პიროვნების მეცენატობა თუ ქომაგობა ლიტერატურული ცხოვრების უმშვენიერეს ფურცლებად გვესახება. მაგრამ ცალკეულ პიროვნებათა ღიაწლი ლიტერატურული ცხოვრების წარმმართველ წესად ძნელად იქცევა. ამ სასურველი წესის შინაარსი კი ბუნებით ქომაგსაც და არაქომაგსაც უნდა ავალებდეს, გამძაფრებული ყურადღებით ადევნებდეს თვალს ყოველი ასალი სახელის ნაბიჯს ლიტერატურაში, უნდა ავალებდეს — ცხოვრების წესი სასიცოცხლო მოთხოვნილებად განიცდებოდეს.

ჩემთვის არც ის მაღლია მოულოდნელი, რაც გურამ ასათიანის წერილს („პოეზია და სხვა“; „ცისკარი“ 2, 3 1978 წ.) ასლავს — ასალი თაობის საუკეთესო თვისებათა დანახვა; და არც ის შეცდომები, რომლებიც ასე სშირად გვესვდება მასში.

წინა თაობის კრიტიკოსთაგან მთელი თაობის ლიტერატურული პანორამის წარმოჩენა გურამ ასათიანმა სცადა პირველად. პროფესიონალ კრიტიკოსებს, როგორც იქნა, გაუღვივდათ სურვილი გადმოესხათ თავისი თაობის აქეთ და მოვლენებში გარკვევას ცდილიყვნენ. მაგრამ როდის? რა ინტერვალის შემდეგ?

გურამ ასათიანის წერილის მაღლი და შეცდომები არც მოულოდნელია და არც მოუთმენელი. მოუთმენელი უნდა იყოს ჩვენი საერთო დამოკიდებულების შინაარსი, რაც ასე დამშვიდებულებს გვაყოფებს ლიტერატურული პროცესის ყურადსაღები მოვლენების მიმართ. ვფიქრობ, მაშინაც არ უნდა ვიყოთ მოსვენებული, როდესაც მართლაც არაფერი ხდება სერიოზული ჩვენს ზურგს უკან, და გაფართოებული სედვით ვესწრაფოდეთ რაიმეს აღმოჩენას... და მაშინ ვართ უმოქმედოდ, როდესაც, საბედნიეროდ, ასალი თაობის მკერდში ლიტერატურული ვნებების დიდი ტალღები ბრუნავს. იქნებ ეს ჩვენივე ბრალია, ბრალია იმ კრიტიკოსებისა, რომელთაც ამ თაობასთან ერთად მოგვიხდა ლიტერატურაში მოსვლა და დამკვიდრებისათვის ზრუნვა. ერთხელ კრიტიკოსმა გურამ გვერდწითელმა გვისაყვიედურა კიდეც, თქვენი თაობის პოეტებსა და პროზაიკოსებზე არაფერს არ წერთ და თაობის დაუნასაობის ერთ-ერთი მიზეზი ესეც არისო. ამ შენიშვნაში თუ საყვედურში სიმართლეს უდევს წილი. მაგრამ ამ საგანზე სხვა აზრიც შეიძლება არსებობდეს. ჯერ ერთი, თაობათა მისედვით კრიტიკოსთა ფუნქციის დანაწილება ანტილიტერატურული მოვლენაა, თუმცა, რა თქმა უნდა კრიტიკოსი ძირითადად თავისი თაობის წარმომადგენლებზე უნდა წერდეს. ზედმეტი გატაცება კი საკუთარი თაობით — ჯგუფობრივი, ძმაბიჭური სულისკვეთებით გამსჭვალულ წერილებს აგროვებს ლიტერატურის გზაზე. მეორეც, „ლიტერატურული წრეების“ ინტერესმა ჩვენ იმდენად შეგვზღუდა, რომ ყური არც კი ვუგდეთ სუთი წლის წინათ სმამალა გაკეთებულ განცხადებას — „ასალი თაობა მოვიდა!“ ამ განცხადების გაკეთება მოგვიხდა იმ ინდიფერენტული დამოკიდებულების საპასუხოდ, რასაც ასე მწვავედ განიცდიდა ასალი თაობა, „სამოცდაათიანელთა“ ყოველი წევრი. ჩვენ არ ვენდეთ

ერთმანეთს. საკუთარი თაობის სიძლიერეში დარწმუნებულებმა არ მოეისედეთ უკან თუნდაც იმ ვარაუდით, იქნებ ეინძე მოხდეს ჩვენს კვალსო. სოლო შემდეგ, ე. ი. ასლა, როდესაც ზურგს უკან ასალი სიერცის შრიალი მოისმა, ჩვენ იძულებულნი გავსდით სერიოზულად მოგვექელო თვალი ასალი თაობისათვის.

ასალგაზრდებზე ცალკეული წერილები ადრეც გამოქყეყნებულა, მაგრამ მთელი თაობის ლიტერატურული პროფილის სრული გაანალიზება, თუნდაც შთაბეჭდილების პრეტენზიით, გურამ ასათიანმა სცადა.

„ყველაფერი, რასაც ქვემოთ მოგასხენებთ, პირველი შთაბეჭდილების შედეგია და მეტის პრეტენზია არც აქვს“, — წერს გურამ ასათიანი.

გურამ ასათიანს მაღალი ლიტერატურული გემოვნება აქვს. სერიოზული შესწავლისა და დაკვირვების შემდეგ იგი თითქმის შეუმცდარ დასკვნებს აკეთებს სოლმე. ყოველ შემთხვევაში მასთან საკამათო მსოლოდ მოსაზრებათა და პოზიციების განსხვავებულობის გამო თუ გაუჩნდება ვინმეს. მაგრამ გურამ ასათიანი არცთუ იშვიათად მიმართავს შთაბეჭდილებების ხერხს. აქ მინდა შევნიშნო, რომ შთაბეჭდილებას თავისი სიზუსტე ასლავს. იგი, ბუნებრივია, არ გამოორიცხავს მეცნიერულ საწყისს. ამ შემთხვევაში წმინდა შთაბეჭდილება მაქვს მსედველობაში, შთაბეჭდილება, რომელიც ავტორს დაუსაბუთებელი მოსაზრებების გამოთქმის უფლებას უტოვებს. გურამ ასათიანმა სსვაზე ნაკლებ არ იცის, სად და როდის უნდა მიემართავდეთ შთაბეჭდილებას, როგორც სათქმელის გამოსატვის თავისებურ ფორმას. ამდენად გაკვირვებას იწვევს მისი ზემოთ მოტანილი განცხადება. თაობის შეცნობა სერიოზულ დამოკიდებულებას მოითხოვს. გურამ ასათიანს არასერიოზულობას ვერავენ დასწამებს, მაგრამ შთაბეჭდილების გზა, რომელიც მან აირჩია კონკრეტულ შემთხვევაში და ის საგანი — ასალი თაობის შეცნობა — ერთმანეთს ვერ გუობენ. თაობის შეცნობის და წარმოჩენის ძნელი ამოცანა ვერ ითმენს ერთი თვალის გადავლებით შეფასებას, რადგან ერთი თვალის გადავლებით სიზუსტის დაცვა წარმოუდგენელია. შთაბეჭდილებების გსამ შეიძლება უსემ შეცდომებამდე მიგ-

ვიყვანოს, ასალ თაობაზე საუბრისას კი ყველაზე მეტად არის აუცილებელი ზომიერების დაცვა. ასალი თაობის ყოველი ნიჭიერი წარმომადგენელი არამარტო სიასლის პრეტენზიით მოდის, დანასვის მოთხოვნითაც მოისწრაფვის. თაობის მიახლოებითი სურათის (მიასლოუპითისა მაინც) დადგენა მთელი ლიტერატურული პროცესის მომავალზე შემოქმედებს და საზომების უსეში აღრეკა ჯანსაღი ლიტერატურული ურთიერთობის საზიანოდ მოქმედებს.

გურამ ასათიანის განცხადება „პირველი შთაბეჭდილების“ გამო მის გულწრფელობაზე მეტყველებს. მაგრამ გულწრფელობა მკურნალა ვერ იქნება ყოველთვის, იგი ვერც მეცნიერული სიზუსტის მაგიერობას გასწევს. სიზუსტის დაცვა კი აუცილებელია, რაოდენ ძნელიც არ უნდა იყოს ის. ეს სიზუსტე არსებითად დარღვეულია და გულწრფელობამ როგორი ლამაზი ფორმაც არ უნდა მოგვაძებნინოს მოსაბოდიშებლად, საქმეს მაინც არა ეშველება რა. „ვინაიდან ზუსტად არ ვიცი, რით დავიწყო, თავაზიანობის კარნახს მივეყვები და ქალებს დავეთმობ რიგს“. ვფიქრობ, დასაწყისშივე თვით ავტორის მიერ გაკეთებული ამ ორი განცხადების წყალობით გამჟღავნებულია ასალი თაობის შეფასების ზერელობა. მე სწორედ ეს ნიშანი არ შემიძლია მივუტევეო პროფესიონალ კრიტიკოსს. გურამ ასათიანის წერილით ერთი რამ მტკიცდება და იგი თვითონაც არ მაღავს: მან ასალი თაობის ლიტერატურული პროფილი არ იცის. მის მიერ წარმოდგენილი სურათი გვეუბნება, რომ კრიტიკოსს კარგად არ შეუსწავლია ასალი თაობის შემოქმედება, მოკლე დროში გადაუჭითსავს სახელდასელოდ შეკრებილი წიგნები რამდენიმე ასალგაზრდა პოეტისა და უცდია შთაბეჭდილებისათვის წერილის ფორმა მიეცა. მან, როგორც ეს მოსალოდნელი იყო ფაქიზი გემოვნების ლიტერატორისაგან, შეძლო რამდენიმე საინტერესო ნიშანი მიეკვლია თაობისა და საინტერესო ზოგადი დასკვნები მოგვაწოდა. იქ, სადაც ყოველმხრივი შესწავლა, ცალკეული პოეტების კონკრეტული შემოქმედებითი გზის მუშტრის თვალთ გაზომვა არ დასჭირვებია, კრიტიკოსი თავისუფლად და ზუსტად მსჯელობს ზოგად ნიშნებზე, საერთო თვისებებზე, ღირსებებსა და ნაკლზე, რაც ასალ თაობას — „სამოცდაათიანელთა“

თაობას ახასიათებს. ამ საყურადღებო მოსაზრებათა მწკრივი მისი ნიჭის დამსასურებაა და იგი უნდა მოვაგონო მკითხველს, როგორც ახალი თაობის არსებით ნიშან-თვისებათა ზოგადი დახასიათება:

1. „დღეს ქართულ პოეზიაში სულ უფრო ხშირად გაისმის ღრმა ცვლილებათა მაუწყებელი ხმები.

განსაკუთრებით ახალგაზრდობის მხრიდან.

ზოგჯერ ეს ის ბგერებია, რომლებიც ორკესტრიდან კონცერტის დაწყებამდე მოისმის, ინსტრუმენტების მომართვისა და მოსინჯვისას. ყოველ შემთხვევაში, მკითხველთა დიდი ნაწილი ამ ხმებს სწორედ ასე აღიქვამს. სიმბოლურია ამ მხრივ ერთი პოეტური კრებულის სასელწოდება: „აუწყობელი გიტარები“ (თუმცა ამ წიგნის ავტორი უკვე ახალგაზრდა პოეტი აღარ არის).

ყოველივე ეს, ჩემი ფიქრით, სწორედ საკრავთა გადაწყობის მანიშნებელია.

რაღაც დიდი პრინციპული ცვლილებები მომდგარა კართან. შესაძლოა, მათი ერთი რიგი უკვე განხორციელდა, ჩვენ კი რატომღაც არ გვინდა დავიჯეროთ“.

2. „ეპიგონობა ზოგჯერ ცრუ-ნოვატორობის ნიღბითაც გვევლინება. ზოგიერთი დამწყები პოეტი, რომელსაც ჯერ თავისი სელობის ანა-ბანა არ შეუთვისებია ხეირიანად, იმთავითვე ტრადიციათა გადამსინჯველის როლს კისრულობს.

„ახალი ფორმა“ მაშინ არის გამართლებული, როცა ის ლექსის შინაარსითაა ნაკარნახევი, როცა ახალი შინაარსი ძველ გარსში ვედარ ეტევა. აქ კი ხშირად სულ სხვა სურათია: ფორმის მოჩვენებითი სიასლე ძველ, ათასჯერ გადამღერებულ შინაარსის საფარველად წარმოგვიდგება.

კითხულობ ამ ლექსს და ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს მტკნარ ზღვაში იხრჩობოდე. თითქოს ესეც წყალია — იგივე მოლექსულები. იგივე ფერი... მაგრამ არც გემო აქვს, არც სურნელი და, რაც მთავარია, ადგილიდან არ იძვრის. გარშემო რომ ქვეყანა ინგრეოდეს, მის ზედაპირზე ერთი ტალღაც არ შექანდება“.

3. „ბ. ხარანაულისა და მისი თანატოლების მოხელთ ქართულ პოეზიას უკვე არა ნაწილობრივ, არამედ მთლიანად

და ხოთქოს სამუდამოდ ტოვებენ ჩვენთვის მეტად ძვირფასი თვისებები, უწინარეს ყოვლისა, მკაფიო რიტმი და მდიდარი ევფონიური სტრუქტურა.

სიმართლისათვის უნდა ითქვას ისიც, რომ ქართულ ვერსიფიკაციაში ამჟამად გამძვინვარებული რღვევის პროცესი არსებითად მომზადებული იყო ამ თაობის უშუალო წინამორბედთა მიერ.

ეს „მოულოდნელი“ ცვლილებები ქართულ ლექსთწყობაში უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე მზადდებოდა. მართალია, რიტმი და რითმა ასე გადაჭრით არავის უარუყვია, მაგრამ თანდათანობით იცვლებოდა მათი იერი, დანიშნულება, გააზრება...

და აი, მოვიდა თაობა, რომელმაც პატივასდილი ქართული რითმა თავისი ეზო-გარემოდან დაითხოვა. რითმას თან წაყვა „წყობილი სიტყვა“, „მოვალ, მოვდივარ და მოვიმღერი“, „სიტკბო“ და „წკრიალი“.

პოეზიამ საბოლოოდ დაკარგა ამღერების („გალობის“) მნიშვნელობა, პოეტს კი ახლა მსოლოდ საქილიკოდ უწოდებენ „მგოსანს“.

ყოველივე ეს, მართლაც, სევდის მომგვრელია.

შესაძლოა, ის ნაჩვევი სმები ერთხანს კიდევ შერჩნენ ქართულ ლექსს, ან ოდესმე ისევ დაგვიბრუნდნენ, მაგრამ დღეს ჩვენი პოეზიის ყველა ცოცხალი სიმპტომი სწორედ მათი მზის გარდუვალ ჩასვენებას მოასწავებს. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ასეთი „კრახი“ ქართულ ვერსიფიკაციას მთელი მისი არსებობის მანძილზე არ განუცდია. ჩვენი საუკუნის ათიანი და ოციანი წლების ეპიზოდური შეტევები ამ მიმართულებით აშკარად ბაცდება ამ ძირეულ ცვლილებათა ფონზე.

მართალია, ცისფერყანწელებსაც ჰქონდათ ტრადიციული ლექსთწყობის დარღვევის სერიოზული განზრახვა. მათ პირველ მანიფესტებში გარკვევით ეწერა, რომ ისინი ქართულ ლექსს „ხერხემლის გადამსხვრევას“ უპირებდნენ. მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს პოეტები ბოლოს და ბოლოს იმიო ამაყობდნენ რომ ჩვენი პოეზიის ისტორიაში პირველად დაწერეს სწორი სონეტი და სწორი ტრიოლეტი“.

4. „რაც შეეხება ქართულ ლექსს, აქ მისი მოქმედება უთუოდ სენიტშია. ალბათ, როგორც ჩვეულებრივ ხდება, ამ შემთხვევაშიც მეცხრე ტალღა ბეერ ლამსა და ქეიშას დატოვებს, მაგრამ მისი აბობოქრებული სიღრმიდან ნამდვილ მარგალიტებსაც უნდა მოველიოდეტ.

როდესაც ბესიკ სარანაულის თაობის პოეტები „ხერხე-მალს უმსხვრევენ“ ქართულ ლექსს, მათ, ალბათ, სჯერათ, რომ გადატეხილი ძვალი უფრო მაგრად შეკორძდება.

გარდა ამისა, ვერლიბრი (როგორც ტრადიციონალიზმის ყველაზე მძაფრი ანტითეზა თანამედროვე ვერსიფიკაციაში), ჩემი აზრით, ერთ ფსიქოლოგიურ თავისებურებასაც გამოხატავს. ის თითქოს საერთოდ ყოველივე დაკანონებულის, მდგრადის, აუცილებლის ანტითეზია და მასთან ერთად ჩვენი დროისათვის დამახასიათებელ ანალიტიკურ მიდრეკილებათა ყველაზე მკაფიო ფორმალური გამოვლინებაც.

ყოველი ასალი თაობა განსაკუთრებული სიცხადით გამოხატავს თავისი დროის სულისკვეთებას. ეს უპირატესობა ექვემოტანელია და ჩვენს სუბიექტურ დამოკიდებულებას ამ გარემოების მიმართ ისტორიისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

თავისუფალი ლექსი დღეს უფორმობის, ამორფულობის ადექტად გამოიყურება ტრადიციულად მოწესრიგებულ (ეგრეთწოდებულ „კონვენციურ“ ანუ „შეთანსმებულ“) ლექსთან შედარებით. მაგრამ ეს კონტაქტი მსოლოდ შეფარდებითია. პოეზია ვერ ძლებს უფორმოდ და ჩვენ დღითიდღე ვრწმუნდებით, თუ როგორ იბადება ძველი ფორმების ნამსხვრევებიდან არა ქაოსი, არამედ ასალი ფორმა, ასალი თანსმობა, ასალი კავშირები იმ დროს, როცა პოეზია ამა თუ იმ ნამდვილი პოეტის ხელში არ წყვეტს თავის ჭეშმარიტ არსებობას“.

5. „70-იანი წლების ასალგაზრდული პოეზიის უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ნაწილი (ჯერჯერობით) ძიების გზით მიდის. ეს არის ძირითადად ანალიტიკური პოეზია, არა თავდავიწყებული მონოლოგების, არამედ მძაფრი, დაუმთავრებელი შინაგანი დიალოგის პოეზია.

ამ თაობის პოეტებს აქვთ თავიანთი საერთო იერი, საერთო სულისკვეთება, ეს ბუნებრივია. სასიხარულოა ის, რომ

მიუხედავად ამ გასაგები მსგავსებისა, მათ შორისაც არსებობს საკმაოდ მკვეთრი კონტრასტები და შინაგანი უთანხმოების ნიშნებიც. ზოგი ამ უკანასკნელთაგანი იმდენად აშკარაა, რომ გარეშე თვალითაც შეიმჩნევა“.

კეთილსინდისიერება მოითხოვს, ჩვენმა თაობამ ღრმად გაიაზროს, გაიცნობიეროს და საკადრისად დააფასოს გურამ ასათიანის მხრივ მის ზოგად თვისებათა ესოდენ კარგად დანახვის ფაქტი. თაობის არსებითი ღირსებანი აქ ფესვებამდეა ნაგრძნობი და მინიშნებული. თითქოს შეუსაბამოც კია — ერთი თვალის გადავლებით მიღებული შთაბეჭდილებების კვალად ფესვებამდე შეგრძნებას არც უნდა მოველოდეთ და არც უნდა მოვიტოვოდე. ან პირიქით, თუ ზოგადი თვისებების ესოდენ ზუსტ დანახვას ვაღიარებთ, მაშინ ზერელობასა და შედაპირულობაზე სიტყვა არ უნდა ჩამოვაგდოთ. მაგრამ ქვემოთ დავინახავთ, რომ გურამ ასათიანის წერილში ზოგადი მსჯელობის სიღრმე და სიზუსტე უთავსდება თაობის კონკრეტული სახის დადგენაში შემჩნეულ ზერელობასა და უზუსტობას. გურამ ასათიანი კარგად იცნობს თაობის რამდენიმე წარმომადგენლის შემოქმედებას. მათი სია საგანგებოდ ცალკე მოგვაწოდა კიდევ: ბესიკ სარანაული, გურამ პეტრიაშვილი, იზა ორჯონიკიძე, ლია სტურუა, დავით წერედიანი. პლუს თედო ბექიშვილი, რომელიც მან რატომღაც ამ ხუთეულს არ ამოუყენა გვერდით. სხვათა შემოქმედება კი გურამ ასათიანმა ცუდად იცის. ეს აშკარად ჩანს. არ იცის, მაგრამ მათი წიგნების სახელდასელო გაცნობისას დაადგინა, რომ ის დანარჩენი სალხი მის მიერ კარგად შესწავლილი პოეტების კვალში დგანან და იმ ცვლილებათა გაღრმავებას ემსახურებიან, რამაც ბესიკ სარანაულის, გურამ პეტრიაშვილის, იზა ორჯონიკიძის, ლია სტურუას და დავით წერედიანის შემოქმედებაში იჩინა თავი.

გურამ ასათიანს, როგორც ჩანს, უბრალო გაცნობითაც დაუდასტურდა თავისი ვარაუდი, განუმტკიცდა თავისი მოსაზრებები და მანაც თამამად გამოთქვა ის ზოგადი შეხედულებები, რომლებიც ზემოთ ვრცელი ციტატების სახით მოვიტანე. არსებითად ეს დაკვირვებები ზუსტია, დიდმნიშვნელოვანიც! მომხიბვლელიც! ამდენად ჩვენი თაობისათვის

სასიხარულოა ფაქტი, რომ წინა თაობის ცნობილმა კრიტიკოსმა ამდენი და ასე კარგად დაინახა. ეს კია, გურამ ასათიანის მიერ მიკვლეულ სიმდიდრეებს ბევრი რამ დააკლდა იმის გამო, რომ დანარჩენი სახელები სუსტად იცის და მათ მიერ მოტანილი სიმდიდრეც შეუსწავლელი აქვს. ამიტომ თაობის ღირსებების მისეული განსაზღვრა უმეტეს წილად ბესიკ სარანაულის პოეზიის თვისებებს ემთხვევა და არც მაღავს, რომ თაობის არსებით ნიშანთა გამოსატულებად ამ პოეტის შემოქმედება ესახება. ეს არჩევანი ზოგად დაკვირვებებს ცალმხრივობის იერს სძენს, მრავალფეროვნებას აკლებს. ბესიკ სარანაულის პოეზიის უდაო ღირსებები, რა თქმა უნდა, თაობის შემოქმედებით თვისებათა დასახასიათებლად გამოდგება. სხვაგვარად წარმოუდგენელი უნდა იყოს, მაგრამ იგი მსოფლოდ ერთი მძლავრი ტოტია თაობის თვისებებისა, მძლავრი ტოტი და ეს, მისეილ სვეტლოვის თქმისა არ იყოს, ცოტას არ უნდა ნიშნავდეს. ფაქტიურად იგი ყველაფერს ამბობს ბესიკ სარანაულის დამსახურებაზე. ის თვისებები კი, რომლებიც სხვა პოეტებმა გაგვიცხადეს ძალზე თვალსაჩინოდ, არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ ან ერთი პოეტის კვალში ჩამდგარ მწკრივად წარმოვიდგინოთ, მწკრივად, რომლის რგოლებსაც წინ მიმავალის ფართო ბეჭების „წყალობით“ ვერავისთვის დაუნახებია თავი. აქ ისევ „ტომთა ბელადების“ ნაკლმა წამოყო თავი — მდუღარე ლიტერატურულ პროცესში თაობის ყოველი წარმომადგენელი საკუთარი ბეჭედის დასმას ესწრაფვის და ძალზე სახიფათოა ამ ინდივიდუალობის წყურვილის ჩაკვლა. ასე რომ, როდესაც ერთმანეთის გვერდით მოღვაწიობენ გურამ ასათიანის სუთეული და სხვები: მამუკა წიკლაური, თედო ბექიშვილი, გიორგი კაპანაძე, გივი ალსაზიშვილი... ძალზე ძნელია უპირატესობის განსაზღვრა. ისინი საკუთარი სამყაროს აგებას ესწრაფვიან და პირველობაზე ჩამოგდებული სიტყვა აღიზიანებთ. ვფიქრობ, სერიოზული დაფიქრება და ზრუნვა გემართებს იმაზე, რომ ნიველირების წინააღმდეგ მიმართული სამართლიანი ბრძოლა ლიტერატურული ურთიერთობის შემბლავ უტაქტობაში არ გადაიზარდოს. ამისი საფრთხე კი დგას. შექმნილს მომავალში შეაფასებენ და ადგილს მიუჩენენ. ახლავე, გაცხა-

რებული შემოქმედებითი პროცესის შუაგულში „ტასტსე“ ნურავის დაესვამთ; იქნებ იმ ტასტის სელში ჩაგდება საერთოდ არ არის ლიტერატურის მიზანი (თუნდაც პირობითობის საზღვრებში). ლიტერატურის მიზანი, კარგად მოგვესენება, ენებათაღელვის გამოსატყაა, სულიერი წვის მარადიული ფენომენის მოშინაურება და ასალი სიდრმეებისაკენ ლტოლვა. და თუკი ადგილსა და ტასტსე მიდგება საქმე, იქნებ სულ სხვას ეკუთვნის იგი, რადგან არავინ იცის რა ღირსებები წამოიწევენ სვალ წინა პლანზე, ან იქნებ ბესიკ სარანაულსაც ეეიწროება ის ტასტი, უფრო ფართო მასშტაბისაკენ უჭირავს მსურა. მით უმეტეს, თვით გურამ ასათიანი გრძნობს, რომ ბესიკ სარანაული „გამუდმებულად დუღს და იწვის შიგნით“.

გარდა ამისა, ის, რაც ვერლიბრის სიასლეებად ბესიკ სარანაულის სახელს უკავშირდება გურამ ასათიანის თვალში, არ შეიძლება არ გვავალებდეს, მეტი სისავსით დავინასოთ ღია სტურუას დამსახურება, თუკი, სერიოზულად ვიმსჯელებთ პირველმტვირთველის როლსა და ადგილზე თაობის შიგნით. ასეთი დანახვა სრულებითაც ვერ ანაწევრებს მთლიანობის განცდას და სრულებითაც არ საჭიროებს ერთის დაწინაურებას მკითხველის თვალში.

კონკრეტული ცოდნის სიზუსტე ზოგად დაკვირვებაში ამ სახით იჩენს თავს. სხვა მხრივ ისინი ჩვენი თაობის მთელი სიდრმით და ღირსეულად დანახვის ფაქტად უნდა ჩაითვალოს. ამ თაობას გურამ ასათიანის თვალში იმდენი მაღლი უკავშირდება, რომ არ შეიძლება კანონიერი სიამაყის გრძნობა არ გვეუფლებოდეს. ღირსებები დაინახა და აღიარა კაცმა, ვის სიტყვასაც აქვს ფასი და წონა ლიტერატურული საზოგადოებრიობის თვალში. მიუხედავად ყველა იმ შეუსაბამოებისა და ნაკლისა, რაც სხენებულ წერილს ახასიათებს, გურამ ასათიანის შეფასება ერთგვარად საკუთარი თავის შეცნობას გაუადვილებს თაობას და რაკი თაობის საუკეთესო წარმომადგენლებს გაცნობიერებული აქვთ საკუთარი მოწოდება და დანიშნულება, ამ მოწოდებისა და დანიშნულების აღიარება საზოგადოებრიობის მხრივ უფრო მიზანმიმართულ მოღვაწეობად აქცევს შემოქმედებით პროცესს. ეს მათ გამო ითქვა სმამაღლა: „ქართულ პოეზიაში სულ უფრო სშირად გაისმის ღრმა

ცვლილებათა მაუწყებელი სმები“. „რადაც დიდი, პრინციპული ცვლილებებია მომდგარი კართან. შესაძლოა, მათი ერთი რიგი უკვე განსორციელდა, ჩვენ კი რატომღაც არ გვინდა დავიჯეროთ“.

გურამ ახათიანის საყვედური საფუძვლიანიც არის და სმაძალდა გაცხადებულიც. რუდუნებით გაწეულ თაობის შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია. ეჭვსა და უნდობლობას სელი კერეს ბოლოს და ბოლოს, საზოგადოების სულსა და გულს „დაავალეს“ მათი დანახვა. „ღრმა ცვლილებათა მაუწყებელი სმები“ თვითდადგინებისაკენ მიიქცნენ. ექსპერიმენტის ფაზა ჩამთავრდა. თაობის მხრივ კარგა სანია ის უკვე აღარც განიცდებოდა ექსპერიმენტად. ამ სმებში იღო გული, სული, ფიქრის მოძრაობა. ამდაგვარად არსებობდა იგი, მაგრამ ექსპერიმენტად ინათლებოდა უკვე ლიტერატურულ ფაქტად მოვლენილი. თაობა თავის თავში იდგა. მკითხველის თანადგომაცა და თანაზრახვაც სხვა მკითხველის, უფრო მრავალრიცხოვანი მკითხველის უნდობლობას ჯიუტად ებრძოდა, მაგრამ მარცხდებოდა — სიმარტოვისა და სიმცირის გამო. კრიტიკოსმა შეგნებული აუცილებლობით მოსთხოვა საზოგადოებრიობას, ეცნო ლიტერატურული ფაქტი, დაენახა მასში ჩადებული ღრმა ცვლილებათა კვალი; წინააღმდეგ შემთხვევაში ფაქტი ფაქტად დარჩებოდა. თაობის განსხვავებული სახე შეუერთდა უკვე აღიარებულ მწერალთა რიგებს, როგორც სტილითა და შინაარსით რამდენადმე განსხვავებული, თავისთავადი და ახალი ერთეული.

ეს მათ გამო ითქვა: „შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ასეთი „კრახი“ ქართულ ვერსიფიკაციას მთელი განვითარების მანძილზე არ განუცდია. ჩვენი საუკუნის ათიანი და ოციანი წლების ეპიზოდური შეტევები ამ მიმართულებით, ამკარად ბაცდება ამ ცვლილებათა ფონზე“.

ჩვენ არ შეიძლება არ ვიცოდეთ ამ დანახვის ფასი. მისი უმთავრესი დებულებები შეიძლება ჩვენსავ თვალში იყოს საკამათო; ვთქვათ, რამდენად სწორია ათიანი და ოციანი წლების შედარება 70-იანი წლების ვერსიფიკაციულ ცვლილებებთან. მაგრამ თავისთავად ის არის საგულისხმო, რომ თაობის მიერ მოტანილმა სიახლემ ესოდენ მასშტაბური დას-

კენა გამოატანინა კრიტიკოსს. ასეთი დასკვნისათვის საფუძველისა და თუნდაც საბაზის მიცემა შეიძლება მთელი თაობის ლიტერატურაში არსებობის გამართლებად ჩაითვალოს. ასეთი სიხსლის მოტანას საერთოდ მისიის ამოწურვაც შეიძლება დაერქვას.

ეს მათ გამო ითქვა: „და ჩვენ დღითი დღე ვრწმუნდებით, თუ როგორ იბადება ძველი ფორმების ნამსხვრევებიდან არა ქაოსი, არამედ ახალი ფორმა“.

ქართული პოეზიის თვალჩაუწვდენელ ზღვაში ასეთი მდინარების წარმოქმნა თავისთავად მეტყველებს თაობის ძლიერებაზე, მის განსხვავებულ სიმაღლეზე.

ეს მათ გამო ითქვა: „ეს არის ძირითადი ანალიტიკური პოეზია, არა მონოლოგების, არამედ შინაგანი დიალოგების პოეზია“.

ესეც განსხვავებულობის კიდევ ერთი არსებითი ნიშანი, კიდევ ერთი ღირსება.

მაგრამ აქვე, ამ ღირსებათა გვერდით არც იმ სერიოზული ნაკლის დავიწყება შეიძლება, რაზეც გურამ ასათიანი მიუთითებს: „კითხულობ ამ ლექსს და ისეთი გრძნობა გებადება, თითქოს ზღვაში იძირებოდე. თითქოს ესეც წყალია — იგივე მოლეკულები, იგივე ფერი... აღარც გემო აქვს, არც სურნელი და რაც მთავარია, ადგილიდან არ იძვრის, გარშემო რომ ქვეყანა ინგრეოდეს, მის ზედაპირზე ერთი ტალღაც არ შეტოკდება“.

ეს ცრუნოვატორობის ნიღაბმორგებულ პოეტებზეა თქმული. როგორც წესი, სიხსლეს ლიტერატურაში სიხსლის ილუზიაც სდევს და მას თავისი „კავალერია“ სჭირდება. ამ ცრუნოვატორობის გამომხსატველი ცოდვებიც საკმაოდ თავჩენილია თაობის შიგნით და სიფრთხილე მართებს ყველას, რათა ცრუნოვატორობის პლასტმა არ დაფაროს იმ ძლიერი ნერვის ფეთქვა, რისი წყალობითაც ამდენი მშვენიერი სიტყვა ითქვა ღირსებებზე.

გურამ ასათიანის წერილის საყურადღებო მოსაზრებები, რომლის გარკვეული ნაწილი ზემოთ ვრცელი ციტატის სახით მოვიტანე, არის დიდმნიშვნელოვანი ფაქტი ერთი მხრივ — თაობისათვის, ვისაც იგი ესებოდა და მეორე მხრივ,

ლიტერატურისათვის, რომლის ორგანულ ნაწილსაც თვით ეს დაკვირვებანიც წარმოადგენს. საკამათო წერილიდან ჩვენ ყველაფრის უკვალოდ წარეცხვას დავეჩვიეთ. რაკი იგი სერიოზული კამათის საბაზს იძლევა, ცხადია, განგვაწყობს კიდევ საპირისპირო მოსაზრებების გამოსათქმელად და განწყობილება ჩვენში ხშირად შთანთქავს თვით დიდებული საგანძურის დანახვის უნარსაც.

მინდა მკითხველმა სწორედ გაიგოს ამ წერილის მიზანი და მინდა სწორად გაიგოს იგი თვით გურამ ასათიანმა. ზუსტად განსაზღვრასა და ღრმა ანალიზს, თაობის ზოგადი ნიშნების დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს და კარგს სახელად კარგი უნდა დაერქვას. დამოკიდებულებაც იმ კარგისადმი შეუვალი სიმპათიით თუ ისულდგმულეზს. მაგრამ ყოველგვარი რევერანსის გარეშე ცუდს ცუდი უნდა ეწოდოს, დამოკიდებულებაც მისდამი ასევე შეუვალი თუ იქნება.

საქმე თაობის ლიტერატურულ რუქას ეხება.

ზემოთ ლიტერატურული თაობის ჩამოყალიბების პირობის ნიშნებზე ვისაუბრე. გურამ ასათიანი შინაგანად ასეთი პირობითობის მომხრეა. მან რამდენჯერმე გამოიყენა ეს სერსი ლიტერატურულ პროცესზე საუბრისას. ამ პრინციპიდან გამომდინარე არ შეიძლება ერთმანეთის გვერდით დააყენოს და ერთი თაობის წარმომადგენლებად ცნოს კრიტიკოსმა მამუკა წიკლაური და დალილა ბედიანიძე, თედო ბექიშვილი და დავით მჭედლური, ჯარჯი ფხოველი და ნომადი ბართაია. დალილა ბედიანიძე, დავით მჭედლური და ნომადი ბართაია ახლა გამოდინან ასპარეზზე, ახლა იკვრება მათი თაობის ბირთვი, ახლა ყალიბდება მათი დამოკიდებულება დროსთან, ლიტერატურასთან, ახლა გამოიკვეთება მათი შემოქმედებითი თავისებურებანი, ახლა იღებს დასაბამს მათი თაობის შინაარსი, მათი „ათწლეული“ ახლა დაიწყო, პირველი ნაბიჯების სმა ნელ-ნელა ასლოვდება. ვახტანგ ხარჩილავა, გურამ ოდიშარია, მანანა ჩიტიშვილი, ენვერ ნიჟარაძე, მზია სეთაგური, პაატა ნაცვლიშვილი, ტარიელ სერსელაური, ნინო ქუთათელიაძე, მიხეილ ქურდიანი და სხვები. აი, ვინ მოდის ერთად და ვინ ესწრაფვის დროსთან შესებას თვითდადგინების გზით სვალ-ზეგ.

თავისთავად რა დიდი ცოდება, თუ კრიტიკოსი სადემოკრატიო საზღვარს დაარღვევს და დალილა ბედიანძის ლექსების გარშემო იმსჯელებს ისა ორჯონიკიძის თაობის გვერდით. ერთი შესედეით თითქოს არაფერი შავდება, მაგრამ თუ ჩვენ პატივს ვცემთ ლიტერატურულ ტერმინს — თაობას, თუ ანგარიშს ვუწევთ პირობითობას, რომლის ძალითაც გარკვეულ ათწლეულში ერთ საერთო სტილსა და სულისკვეთებას დამორჩილებული თაობა ყალიბდება, მაშინ დალილა ბედიანძისა, ნომადი ბართაიასა და დავით მჭედლურის პოეზიასე საუბარი გურამ პეტრიაშვილის, ბესიკ სარანაულის, მამუკა წიკლაურის და სხვათა გვერდით, მსუბუქად რომ ვთქვათ, შეცდომაა. თუ ჩვენს თვალში დალილა ბედიანძე იმ ღირსებების მატარებელი პოეტია, რომ ამ პირობითობისათვის ანგარიშს არ გაგვაწევენებს, ეს უნდა აშკარად და პირდაპირ ვთქვათ, ან ცალკე წერილი მივუძღვნათ მას, რაც მიაწინებდა მის ტალანტზე. მაგრამ თუ ეს არ არის მიზეზი? თუ სამივე მათგანი მხოლოდ იმიტომ მოსედა წინა თაობის რიგებში, რომ არასწორი ინფორმაცია გვაქვს?

ასალი თაობის ლიტერატურულ პროფილზე შთაბეჭდილებებით საუბარი რომ სრულფასოვანი ვერ იქნება, ამაზე იმთავითვე შეთანხმებულნი უნდა ვიყოთ. მაშასადამე, რჩება აუცილებლობა იმისა, რომ ლიტერატურული თაობის ბიოგრაფია ზედმიწევნით კარგად ვიცოდეთ. ვიცოდეთ, როდის, საიდან აიღვა ფეხი მამუკა წიკლაურმა, მურმან ჯგუბურიამ, გრიგოლ ჯულუსიძემ, ვანო ჩხიკვაძემ და თვალყურს ვადევნებდეთ მათ ყოველ მოძრაობას წლების მანძილზე; თუნდაც არ შევაფასოთ, თვალყურს მაინც ვადევნებდეთ, რომ ვიცოდეთ. იმ სუთი ავტორისა და თედო ბექიშვილის გარდა გურამ ასათიანმა (ეს მისი წერილიდან ირკვევა) არ იცის, რა გზა გამოიარა თამარ ჯავახიშვილმა, მამუკა წიკლაურმა, მურმან ჯგუბურიამ, შოთა ქავთარაძემ... ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ „და სხვაში“ მოხვდნენ გივი ალსაზიშვილი, გიორგი კაპანაძე, ნოდარ ადგიშვილი, თემურ აბულაძე, დილარ ივარდავა, ტაგუ მებურიშვილი. წერილის ექსპოზიციური ნაწილის შინაგანი თავისებურება კონკრეტულ სახელებზე მსჯელობისას დაიბორკა, საზომები აირია, წონასწორობა დაირღვა.

ერთი თაობის ხალხი მეორე თაობის რიგებში აღმოჩნდა. ამ თაობაში შეტანილ უწესრიგობაზე ისედაც მოგვიწიეს კამათი. მაგრამ უკანაც მოვიხედოთ. თუ დალილა ბედიანიძის, დავით მჭედლურისა და ნომადი ბართაიას უდავოდ საინტერესო პოეტურ სმასე ილაპარაკა გურამ ასათიანმა, მათი ნამდვილი თანატოლების ვახტანგ ხარჩილავას, მანანა ჩიტიშვილის, ლალი ჯაფარაშვილის... პოეზიას სომ მოაკლდა ყურადღება, მათ გულში სომ გაჩნდა სამართლიანი საყვედურის გრძნობა, მათ ფიქრში სომ ლიტერატურულ უსამართლობად აღიქმება თანატოლებისაგან ხელოვნური მოწყვეტა!

ასლა მეორე რიგის უსამართლობა. არც დალილა ბედიანიძეს, დავით მჭედლურსა და ნომადი ბართაიას ჭირდებოდათ წინამავალ თაობასთან ხელოვნური მიტმასნება. არც ამ გზით მოგერილი სიამაყის გრძნობა აძლევთ მათ სელს. ერთგვარი უხერსულობის განცდაც შენიშნეს ალბათ თავიანთ თავს. სსვა რიგის უსამართლობაა ერთ სიბრტყეზე მურმან ჯგუბურიას, მამუკა წიკლაურის, ჯარჯი ფხოველის, თედო ბექიშვილის, გრიგოლ ჯულუხიძის, შოთა ქავთარაძის და მომდევნო თაობის ამ სამი ნიჭიერი წარმომადგენლის ლექსების განსიღვა. მამუკა წიკლაური, მურმან ჯგუბურია, თედო ბექიშვილი, ჯარჯი ფხოველი, გრიგოლ ჯულუხიძე, შოთა ქავთარაძე თავიანთი საერთო ინტერესებით, ლიტერატურული პროფილით იქ დგანან, სადაც გურამ ასათიანმა მისგან დაწინაურებული სუთეული იგულისხმა. ყველა ესენი ერთ თაობას შეადგენენ. განსსვაგებული ინდივიდუალური შესაძლებლობებისას, მაგრამ მაინც ერთ თაობას. გურამ ასათიანმა, როგორც ეს აშკარად ჩანს, თავიდანვე ვერ მიაღვენა თვალი თაობის მოსვლას. არ იცის თითოეული მათგანის ლიტერატურული ბიოგრაფია პრესის ფურცლებზე — როდის გამოვიდა ასპარეზზე მამუკა წიკლაური, როგორ ვითარდებოდა ამ პოეტის გზა, ამიტომ აღნიშნავს ასე გულდაჯერებით ორჯერ, თითქოს დავით მჭედლური მისი თანატოლი პოეტი იყოს: „თანატოლები რომ მასზე განსაკუთრებულ იმედს ამყარებენ, ეს მე დავინასე დავით მჭედლურის წერილში მისი უკანასკნელი კრებულის გამოსვლის გამო“. დავით მჭედლურის და მამუკა წიკლაურის თაობას შორის კი ზუსტად იგივე მანძილია, რა მანძილიცაა

მამუკა წიკლაურის და ოთარ ჭილაძის თაობას შორის. და როგორც არ იქნებოდა სწორი ოთარ ჭილაძის თაობაზე საუბრისას თედო ბექიშვილზე, ბესიკ სარანაულზე და მამუკა წიკლაურზე გვესაუბრა, ასევე არ არის სწორი იზა ორჯონიკიძის, დავით წერეთლისა თუ ლია სტურუას თაობაზე საუბრისას დალილა ბედიანიძის, ნომადი ბართაიასა და დავით მჭედლურის პოეზიაზე მსჯელობა. ეს არასწორი მიმართულება იმას ამჟღავნებს, რომ გურამ ასათიანი მით უმეტეს არ იცნობს დავით მჭედლურის თაობის სხვა წარმომადგენელთა ლიტერატურულ ბიოგრაფიას. დალილა ბედიანიძესთან ერთად კი მოდის ახალგაზრდა პოეტების ანგარიშგასაწევი თაობა, სვალ და ზეგ ლიტერატურულ ფაქტად ქცევას რომ ესწრაფვის დაჟინებით.

გურამ ასათიანი თავის შეფასებებში, რა თქმა უნდა, დამოუკიდებელი და თავისუფალია, მაგრამ არავინ არ არის თავისუფალი ლიტერატურული ცსოვრების მიერ დადგენილი სურათის შეცვლაში. ამ სურათს ჩვენ ვერ შევქმნით, ის თავისთავად იქმნება და ანგარიშის გაწევას გვავალებს. ერთი თაობის ხალხი (როდესაც თაობაზეა ლაპარაკი), მეორისაში არ უნდა აირიოს, და ერთი თაობის ხალხი მექანიკურად არ უნდა დაშორდეს ერთმანეთს. მაგალითად გიორგი კაპანაძე და გივი ალხაზიშვილი იმ დონის პოეტები არიან, რომ მათი სელოენური მოწყვეტა თაობის ორგანიზმიდან ან სუბიექტური ფაქტორით არის განპირობებული ან ზერელე ცოდნით.

არა და არ გაფართოვდა ჩვენი ლიტერატურის გეოგრაფიული არეალი. ჩვენი ლიტერატურული საგნების სივიწროვე ჩვენივე თვალის მხერას ეყრდნობა — ვინც ჩვენს თვალწინ, დედაქალაქში, ტრიალებს — ქართული მწერლობის ნამდვილ წევრებად ისინი გვეგულება. ახალ თაობაზე საუბრისას გვაეციფედება საინტერესო პოეტები: ქუთაისიდან — ზაალ ებანოიძე, დოდო ჭუმბურიძე, ავთანდილ ყურაშვილი, ბათუმიდან — შოთა ზოიძე, ემენ დავითაძე... სოსუმუმიდან — რენე კალანდია... გურამ ასათიანის მიერ და საერთოდ ლიტერატურულ კრიტიკაში გამოთქმულ შენიშვნებს მათი შემოქმედებისათვის განუსაზღვრელი მნიშვნელობა ექნებოდა. სათითაოდ ყოველ ავტორზე დაწვრილებითი მსჯელობა შეუძლებელია — არსებითის დანახვის გზაა ლიტერატურული კრიტიკის გზა, მაგრამ არშეს-

წაელის, არადჩაგდების ტენდენციაა მცდარი. თუ შევისწავ-
ლით და საყურადღებოს ვერაფერს აღმოვაჩინებთ, ამის შემდეგ
ცხადია, უფლება გვაქვს არ ვცნოთ — არც თბილისელი და
არც პერიფერიაში მცხოვრები პოეტი მსჯელობის ღირსად,
მაგრამ შესწავლა აუცილებელია.

დათმობილი პოზიციების გამო კამათი არასაკადრისია.
გურამ ასათიანმა გულახდილად თქვა, რომ მისი მსჯელობა
შთაბეჭდილების პრეტენზიასღა შეიცავს, და, მართლაც, რა
უნდა გვექონდეს სადავო შთაბეჭდილებებთან. მაგრამ, ჯერ
ერთი, გურამ ასათიანს დაავიწყდა, რომ არა გვაქვს უფლება
შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით ვცადოთ მთელი თაობის სუ-
რათის შექმნა. მის წერილში კი სწორედ სურათის შექმნის
სერიოზული სურვილი გამოხატავს. შთაბეჭდილებებს თაყი-
სი კონსტრუქცია აქვს — თავისუფალ არჩევანს დამყარებული
კონსტრუქცია, მაგრამ სისტემატურობაზე პრეტენზიის გა-
ცხადების უფლება კი არა აქვს. კრიტიკოსს სრული უფლება
ქქონდა რამდენიმე შთაბეჭდილება-დაკვირვება ჩვენთვის გაე-
ზიარებინა, მაგრამ ეს სურვილი შეუმჩნეველად გადაიზარდა
საერთო სურათის შექმნის ცდაში. მეორეც, გურამ ასათიანი
ივიწყებს შესავალში გაკეთებულ განცხადებას შთაბეჭდილე-
ბის შესახებ და დაუინებით ესწრაფვის ზუსტი განსაზღვრა
მოუძებნოს როგორც ცალკეული პოეტის ღირსებასა და ნაკ-
ლოვანებას, ასევე მთელი თაობის სურათსაც. ეს მისი პრო-
ფესიული კეთილსინდისიერების შინაგანი კარნახითა და
მოთხოვნით სდება. მაგრამ „შთაბეჭდილებების“ საზღ-
ვრების გაფართოებამ უკვე მთელი თაობის ლიტერატურული
ბიოგრაფიის ამომწურავი ცოდნა მოითხოვა და ამომწურავი
ცოდნა კი, ამას თვითვე აღიარებს გურამ ასათიანი, კრიტი-
კოსს არ აღმოაჩნდა.

ეს მით უფრო დასანანია, რომ გურამ ასათიანის შესაძ-
ლებლობის კრიტიკოსს მოეთხოვება და უნარიც შესწევს
ეპიზოდური დაკვირვების დროს ბევრი საგულისხმო მოსაზ-
რება მოგვაწოდოს, ნათელს რომ მოჰყენს ლიტერატურის
კონკრეტულ თუ ზოგად საკითხებს. ასეთი დაკვირვებები მას
ამა თუ იმ პოეტზე საუბრისას საკამათო წერილშიც ბლომად
მოუპოვება და ქვემოთ, ალბათ, საჭირო იქნება მათი შესხე-

ნება, რადგან ისინი არა მარტო მათი ავტორის, არამედ კვლავ და კვლავ თაობის მონაპოვარიცაა. თაობის ლიტერატურულმა პროფილმა დაავალდებულა კრიტიკოსი დაენახა ეს თვისებები. ჩემი ასრით საგულისხმო დაკვირვებად უნდა მივიჩნიოთ ცალკეულ პოეტებზე გამოთქმული შემდეგი მოსაზრებები (მიუსხედავად იმისა, აღუძრავენ თუ არა ისინი ვინმეს კამათის სურვილს):

„ბესიკ სარანაულმა ყველაზე უბრალოდ, ყველაზე ბუნებრივად და ყველაზე რადიკალურად განახორციელა ის, რასაც გურამ პეტრიაშვილი მოითხოვდა თავის გასმაურებულ წერილში (მსედველობაში მაქვს „კრიტიკაში“ 1973 წელს დაბეჭდილი წერილი „პოეზია და პოეტურობა“). მან მთლიანად (რამდენადაც ეს საერთოდ შესაძლებელი და დასაშვებია პოეზიაში) უარყო ძველი „პოეტურობის“ გარეგანი ნიშნები, ხელაღებით გაემიჯნა ყველაფერს, რაც ამ ცნების დაკანონებულ შინარსში იგულისხმება“.

„იზა ორჯონიკიძე განსაკუთრებული გულისხმიერებით ეპყრობა უსახელო, დავიწყებულ სიტყვებს (მოთმინებით რომ ელიან თავიანთ დღეს), სათუთად აცლის მტვერს, ეფერება, ჩუმი ცრემლებით ნამაცს და ეს უსახელო, უჩინო სიტყვები, როგორც წვიმის შემდეგ აკაშკაშებული ფერადი კენჭები, მოულოდნელი სხივით ავსებენ მის სტრიქონს.“

ყოველივე ამას ის აკეთებს ზომიერად. სოგჯერ მთელ ლექსში მხოლოდ ერთი ასეთი სიტყვა გვხვდება, მაგრამ სწორედ ის განსაზღვრავს მთელი ლექსის ფერწერულ ტონალობას“.

„ალი გუგუციძის პოეზიაში განსაკუთრებით მისასაღმებელია აშკარა მიდრეკილება სიმძაფრისაკენ... ის ცოტა „აწვალებს“ ლექსს, თვითონაც წვალობს, არ ერიდება წახნაგებს, სიტყვას არ არბილებს. ერთი სიტყვით ის წვალბაა, რომელიც პოეზიაში ხშირად ნამდვილი შვების საწინდარია; რაღაც მზადდება, ილანდება ამ დარღვეულ ფორმაში, ამ დისპროპორციებში — ასალ ფორმათა, ასალ სიმეტრიათა კონტურები“.

(აქვე მინდა შევნიშნო, რომ ალი გუგუციძე არ არის ასალი სახელი ქართულ ლიტერატურაში. ის ფაქტი, რომ მისი ლექსები ხშირად არ იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში, არ ნიშნავს

ალი გუგუციძის ასაღბედობას. კარგა ხანია ამ პოეტის საინტერესო ლექსები ქვეყნდება და მის ნაბიჯებზე თვალის მიდევნების საშუალება გვაქვს).

„ჩემი აზრით სწორად იქცევა მურმან ჯგუბურია, როცა ლექსში უხვად შემოაქვს კოლორიტი — შეგრული სოფლის კოლორიტი. ლექსი იცხება ასალი საგნებით და ასალი სიტყვებით... ადგილობრივი კოლორიტით გატაცება სელს არ უშლის მ. ჯგუბურიას ცხადად და შეულამაზებლად დაინასოს ზოგიერთი მოვლენა...“

„მ. წიკლაურში მე მომწონს ერთი არსებითი თვისება: ის მწარე პოეტია, დაუშოშინებელი, სიყალბესთან და ასევე ნასევარსიმართლესთან შეურიგებელი.“

ის არ დაეძებს გარეგნულ სილამაზეს. „კომილფო“ პოეზიაში მისთვის მიუღებელია.

ის ზნეობრივადაც უკომპრომისო პოეტია: „ყალბი ხარ... სტუეი, გეშინია... არა გრცხვენია, სელეპსეკრული მონა ხარ და თავს არ უტყდები“.

ასეთი სიტყვები გაონებას აფსიზლებენ, სამარცხვინიანი რივანაში ჩაფლობის ნებას არ იძლევიან“.

„უწინარეს ყოვლისა, ის (თედო ბექიშვილი) დრმად და თითქმის შეუცდომლად განიცდის ლექსის მთავარ საშენ მასალას — ქართულ სიტყვას, მის შინაგან მოთსოვნილებას და ორგანულ ტენდენციებს. ამის გამოა, რომ ის არსად არ ასდენს ძალდატანებას ამ მასალაზე. პირიქით, ცდილობს, სწორედ იმგვარად დაამუშაოს იგი, როგორც ამ მასალის ბუნება მოითსოვს.“

თ. ბექიშვილის ლექსი მ. წიკლაურისა და ჯ. ფსოველის ლექსთან შედარებით გარეგნულად მშვიდია, მოწესრიგებული, მწყობრია, მაგრამ, ჩემი აზრით, ის მაინც დრამატული სულიერი წყობის პოეტია“.

ბევრი საინტერესო მინიშნებაა გაბნეული სხვა პოეტებზე მსჯელობისას და ისინი, ბუნებრივია, არა მარტო თაობისათვის, საერთოდ ყველასთვის თან დაატარებენ ჭეშმარიტ ლატერატურულ ღირებულებას.

მაგრამ ეს ჭეშმარიტებანი გემოვნებიანი კრიტიკოსის ეფემერული გარჯით მოპოვებული სიკეთეა. მთავარი „ცოდ-

ვა“ კი — თაობის ლიტერატურული პროფილის საფუძვლიანი ცოდნის უქონლობა, არასუსტი ინფორმაციები ჯერ თაობის საერთო სურათის დარღვევის, სოლო შემდეგ ცალკეული პოეტის არასწორად შეფასების მიზეზად იქცა.

„მამუკა წიკლაურის წიგნს „დიდი ფოთოლცვენა“ კქვია. მე არ მეგონა, თუ ასლა საქართველოში იყო ასეთი დარდიანი პოეტი, უსაშველოდ დარდიანი“.

„მამუკა წიკლაურის დარდი, სოგჯერ ნამდვილ, ღრმა თანაგრძნობას არ იწვევს“, — წერს გურამ ასათიანი. იმ ხუთი პოეტის გარდა, ვისზეც ადრე ცალკე ისაუბრა გურამ ასათიანმა, სხვათა შემოქმედება რომ ძალზე მკრთალად იცის, ეს, უპირველეს ყოვლისა, მამუკა წიკლაურის პოეზიაზე მსჯელობისას მულავნდება. მამუკა წიკლაურის პოეზია სწორედ ერთი შესხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს იმ ნაკლის მატარებლად, რაზეც გურამ ასათიანი მიუთითებს. საფუძვლიანი ცოდნა მისი ლექსების, მისი ლიტერატურული ბიოგრაფიისა, სულ სხვას გვეუბნება. გვეუბნება სწორედ იმას, რაც სხვა ადგილას მშვენივრად გამოხატა გურამ ასათიანმა: „ის მწარე პოეტი, დაუშოშმინებელი, სიყალბესთან და ასევე ნასეგარსი-მართლესთან შეურიგებელი“.

კრიტიკოსის შთაბეჭდილებები ერთმანეთს უპირისპირდებიან, ერთმანეთს გამორიცხავენ.

მამუკა წიკლაურის პოეზიაში დარდი სიმართლისათვის თვალეში ცქერის თანამდევი ბუნებრივი ფერია. ეს დარდი შინაგანი სიმკაცრის ერთი ნიშანია, ვაჟკაცური სტოიციზმის სიმკვრივესა და სიმტკიცეზე მიუთითებს.

ამ კედლებს უნდა ვედეგ ბეჭებით.
სერხემლის ძვლების დამსხვრევამდე.
ნერვების ბანას დაქცევამდე.

ეს არის მისი პოეტური პოზიცია, მისი ბუნების გაცხადება. მისი ბუნების არსებითი ნიშნების გამოხატულებაა კიდევ ასეთი სტრიქონები:

მოგეხედე დიდო მოგზაურო, —
დღისით და ღამით
დაუფახარო,
ვარსკვლავებზე ნამყოფო სულთ,

და დიდ ხუთშაბათს უროებით ნაუეეო რკინაე!
 შენ უდრეკი ხარ,
 შენ გაიელი ხანჯლის პირებზე
 შენ უტეხი ხარ,
 ხელში არვის შეეტირები.
 ვერა ვერ შეძლებ,
 შენ ვინმეს ჩრდილში
 ვერ დაიძინებ ძაბუნის ძილით.

პოეტი, რომელიც მართლაც ვერ ეგუება ნახევარსიმართლეს, სიყალბეს, არ შეიძლება დარდის მორჩილი იყოს. შეურიგებლობა შეუვალი ბუნებისა და სასიათის სრულ სიმტკიცეს გულისხმობს. ეს თვისებები მამუკა წიკლაურის ყოველი ლექსიდან შემოგვანათებს და თავის არსებობას გვიდასტურებს. დარდი გრძნობისა და განცდის სრული სიმართლით გამჟღავნებისას რიგით ნიშნად გვევლინება და იგი არც არასდროს არ დევს მამუკა წიკლაურის ლექსის ზედაპირზე. დრამატიზმი, რომლითაც ესოდენ არის დამუხტული მამუკა წიკლაურის ლექსები, აზრის ემოციას განსაკუთრებულ ექსპრესიას ანიჭებენ და ვერლიბრიც მის ხელში აშკარად განსხვავებულ იერს და შინაარსს დაატარებს. მისი ოთხივე წიგნი (გ. ასათიანი, ეგონებ, მხოლოდ ერთი წიგნით იცნობს) საგანგებო დაკვირვების საგანი უნდა გახდეს, რათა სრულად წარმოჩნდეს მამუკა წიკლაურის პოეტური თვისებების სიახლე და თავისთავადობა. ასეთ დროს აღარ დაგვჭირდება ლაპარაკი გაუმჟღავნებელ პოტენციაზე. მამუკა წიკლაურის პოეტური პოტენცია საკმაოდ არის გამჟღავნებული, მისი თავისთავადობა სახეზეა, მხოლოდ ჩვენგან მეტ დაკვირვებასა და სერიოზულ მოცლას მოითხოვს.

გურამ ასათიანი, როგორც ჩანს, შეცდომაში შეიყვანა ჯარჯი ფხოველის ერთმა ლექსმა, კერძოდ, სტრიქონებმა — „ო უფრო მძლავრად, მედაფდაფეე! ქვეყნიურ მწუხრში ესმოდეს ჩვენი დაფდაფების ხმა ყველა მოგზაურს... დღე თენდება! თენ-დე-ბა!“ — და არაზუსტი, შეიძლება ითქვას, შეუსაბამო დასკვნა გამოატანინა: „მამუკა წიკლაურისაგან განსხვავებით, ის მხრებგამლილი დადის თბილისის ქუჩებში; ზოგჯერ თავმომწონდაც, მისი ყველაზე საყვარელი საკრავი დაფდაფე-ბია“.

ჯარჯი ფსოველის ოთხივე წიგნი, ყოველი მისი ლექსი საპირისპიროს გვეუბნება, ხოლო ერთ ლექსში პოეტს საგანგებოდ გაშიშვლებული აქვს საკუთარი პოეზიის არსებითი თვისება.

და ეს არსებითი თვისება ჯარჯი ფსოველის ლექსების საერთო განწყობილებას მართავს. ჯარჯი ფსოველის ლექსების ერთი უმთავრესი ნიშანთაგანია ის გარეგნული სიმშვიდე, რომელიც თითქოს გამორიცხავს ექსპრესიულობას, ემოციურობას, დრამატიზმს, ღელვას. მაგრამ ამ გარეგნული სიმშვიდის იქით როგორც მის სუსტ, ასევე საუკეთესო ლექსებში ღრმა მიწისქვეშა მდინარეებით დანაღბული სულიერი ცხოვრება ილანდება. ამიტომ ამთავითვე უნდა მოვაშოროთ მის სასელს ეპითეტები „მხრებგაშლილი“, „თაკომწონე“, რადგან მათ არაფერი აქვთ საერთო ჯარჯი ფსოველთან.

გურამ ასათიანს რომ თავიდანვე ედევნებინა თვალი ლიტერატურაში მურმან ჯგუბურიას მიერ გავლილ გზისათვის და მისი ყველა წიგნი საფუძვლიანად „გაესინჯა“, არ დაყრდნობოდა მხოლოდ 1972 წელს გამოცემულ კრებულს, მაშინ მისთვის ნათელი იქნებოდა, რომ მეგრული სოფლის კოლორიტი არ არის მურმან ჯგუბურიასთვის უბრალო გატაცება, ეს მისი შეგნებული არჩევანია და მის მიერ დამკვიდრებული პოეტური ქვეყანა მთელი თავისი სიმდიდრითა და ნაკლით ცალკე დგას... ეს ერთი, თავისებური პოეტური ქვეყანაა, რომლის თვისებებზე სერიოზული მსჯელობა შეიძლება. იგი არ დაგვანებებს ერთი თვალის გადავლებით შემჩნეულ კოლორიტზე ყურადღების გამასვილებას. კოლორიტი პოეტისათვის საშუალებაა სულიერი განწყობილების განსატვირთავად. თვით დეტალიზაციაც კი ფუნქციას იძენს, მაგრამ „მიკროსკოპული“ სედვის თავისებურება სულიერი განწყობილების იარაღად არის გამოყენებული და ის ასხალი, რაც მურმან ჯგუბურიას ლექსებში უკვე დადასტურებული სინამდვილეა, ამდიდრებს თაობის მონაპოვართა რიგს. ჩვენ სშირად თავისთავადობას სიმკვეთრესთან ვაიგივებთ; თუ სიახლე მკვეთრი არ არის გარეგნულად, მნელად ვირწმუნებთ ხოლმე მის თავისთავადობას. ის კი სულის ფარულ სიღრმეში ჩატანილი ნიშანია და სიღრმის საზომებითვე უნდა მიეუდგეთ.

ის რაც ვანო ჩხიკვაძის ლექსებზე თქვა გურამ ასათიანმა, ზუსტია ამ პოეტის მხოლოდ ერთი წიგნის მისამართით, მაგრამ ვანო ჩხიკვაძე არ არის მარტოოდენ ერთი წიგნის ავტორი და მისი შემოქმედებითი გზა არ დარჩენილა იმ ნიშნების ტყვეობაში, რომელზეც კრიტიკოსი მიუთითებს. მისი შემდგომი ლექსების თემატური და შინაარსობრივი მხარე „პოეტური პეისაჟებით და იმპრესიონისტული ჩანასატებით“ არ შემოსაზღვრულა. ანალიტიკური პოეზიის ფართო ნაკადმა დაიჭირა პოეტის ლექსებში დიდი ადგილი. მართალია, სრული ტრანსფორმაცია არ განუცდია პოეტის ზუნებას, მაგრამ აშკარად სხვა ძალით და სხვა სახით წარმოსდგა.

გურამ ასათიანის რამდენიმე დაკვირვება გასვიადებულია. იგი განწყობილებას ხშირად უხდის სარკს. იგი ერთობ გულუხვია ვთქვათ ბესიკ ხარანაულის მიმართ და ერთობ მკაცრია ლია სტურუას მისამართით. ეს ადვილი შესამჩნევია. ლია სტურუას პოეზიის თავისთავადობაზე სერიოზული დაკვირვებისას იგი ძალზე თანმიმდევრულად მისდევს ნაკლის წარმოშობის მიზეზებს. ვრცლად ახასიათებს ამ ნაკლს. მაგრამ ლია სტურუას პოეზიის უდავო ღირსებებზე, მისი ლექსების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე სწორედ კერლიბრის დამკვიდრების საქმეში კრიტიკოსის დაკვირვებები არაიანმიმდევრული და არასრულია.

განწყობილებას ესაჭიროება მაგარი ლაგამი; კრიტიკოსათვის მისი თავისუფალი დინება სახიფათოა. ამ განწყობილებამ, ვფიქრობ, საგრძნობლად დააზარალა სულ სხვა თაობის წარმომადგენლის ტარიელ ჭანტურიას პოეზია გურამ ასათიანის თვალში. ბოლომდე თანმიმდევრულმა მსჯელობამ ტარიელ ჭანტურიას პოეზიის ნაკლზე მთლიანად გადაწონა უყურადღებოდ მიტოვებული ღირსებები — ამავე პოეტის შემოქმედებისა. ნაკლი კი ღირსებებთან შედარებით მცირე სვედრითი წონისაა. და ის „ყველაზე გაბედულად და ყველაზე დიდი რისკით მოღვაწეობა“ რაც გურამ ასათიანის თვალში ტარიელ ჭანტურიას სახელს უკავშირდება, იმდენად მნიშვნელოვანია თავისი არსით, რომ განწყობილება პირველ რიგში ამ გადახალისებისათვის ნიშანდობლივი დადებითი თვისებების ანალიზისაკენ უნდა მიიმართოს.

გურამ ასათიანი რჩევასა და მითითებას არ საჭიროებს, მაგრამ პრინციპული მნიშვნელობის საკითხებზე განსხვავებული აზრის გამოუსატყავად ლიტერატურაში სიცხადე ვერ მიიღწევა.

ბევრი ზოგადი მოსაზრებისა და კონკრეტული დაკვირვებების გარშემო შეიძლება გურამ ასათიანის წერილთან დაკავშირებით მსჯელობა. იგი დიდ საზრდოს აწვდის ცინცხალ კამათს, ლიტერატურული ინტერესებით გამოკვებილ ვნებათაღელვას, მაგრამ ჩემი წერილის მიზანი უფრო დაკონკრეტებულია. იგი ასალი თაობის ლიტერატურული პროფილის დაზუსტებას ემსახურება. ეს კი ერთმანეთის შემწეობით უნდა გაკეთდეს. გამოსმაურებაც სურათის დაზუსტების მიზნით დაიწერა.

მიზნამდე შორი და ძნელი გზაა

სიტყვა ქართული დრამატურგიის ჩამორჩენილობაზე მრავალჯერ თქმულა. ეს სიტყვა ხშირად მეტისმეტად ზოგადად ახასიათებდა სურათს, ზოგჯერ კონკრეტული მასალის ანალიზით იყო არგუმენტირებული და გვევლინებოდა იმ ფიქრის გამოსატყულებად, რომელიც ქართული ლიტერატურის ბედით დაინტერესებულ ინტელიგენციას მუდამ აწუსებდა. დღემდე თან სდევს ქართულ ლიტერატურას ეს გულისგამაწვრილებელი ფიქრი, თან სდევს, რადგან პოეზიისა და პროზის შესატყვისი დიდი ქართული დრამატურგია ჯერ კიდევ შორეული მიზანია. სხვა სიტყვა, ალბათ, ვერც გამოხატავს საწუსარის არსს. დიდი ქართული დრამატურგია სწორედ რომ მიზანია ჩვენი მწერლობისა.

უთვალავჯერ თქმულმა სიტყვამ თითქოს ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო. თითქოს, რადგან საპირისპიროც შეიძლება ვამტკიცოთ: რაღაცას მაინც შეუწყო ხელი გამუდმებულმა „ჩაგონებამ“, ერთი და იმავეს შესსენებამ.

მაგრამ ღირს განა დრამატურგიის ჩამორჩენილობაზე ამდენი ლაპარაკი, თუკი მას არ მოსდევს სერიოზული შედეგი?

ეს კითხვაც შეიძლება ბუნებრივი იყოს დღეს. იქნებ უცხო არაა მობეზრების განცდაც, წყლის ნაყვად მიჩნეულ საქმეს რომ ასლავს სოლმე. ამგვარი მობეზრების განცდა გვეცნაურება მაშინაც კი, როდესაც ბოლომდე შეგნებული გვაქვს თავისმტკრევის აუცილებლობა. თვით გონივრულმა, ზუსტმა დასკვნებმაც დაკარგეს დამაჯერებლობის ძალა და მიმზიდველობის უნარი, შინაგანად დაცარიელდნენ და გაქვეყებულ მოდელებს დაემსგავსნენ. ჩვენს თვალში უფერულდება ზოგადი მსჯელობების ღირსება, მას მოყირჭებულ ცოდნად და უნაყოფო ლაპარაკად აღვიქვამთ.

როდესაც ასეთი განცდა ბატონდება, თავისთავად აიძარბება ფსიქოლოგიური ბარიერი, გამოკეცილი ერთი საშინელი აზრისაგან — ამ საქმეს მაინც არაფერი ეშველება! იგი კლავს ენთუზიაზმს და დიადზე დაფიქრების წყურვილს, ზედმეტ გრძნობად მიგვაჩნევენებს უკმარობას, რის გამოც ადვილად ვურიგდებით ე. წ. გარანტირებული საშუალოს პრინციპს. კრიტიკოსისათვის, რომელმაც ეს განსაზღვრა მიუსადაგა ქართული დრამატურგიის ძირითად მასალას, ნათელი იყო დრამატურგიასთან, — ლიტერატურის ურთულეს ჟანრთან, ქართველი მწერლების მიდგომის პრინციპი. ეს პრინციპი კონკრეტული ნაწარმოებების გაანალიზების შემდეგ ხელისგულზე დევს. მისი შელამაზება არც შესაძლებელია და არც არის საჭირო. შელამაზების გზით ჩვენ ისედაც ბევრი რამ მივაფუჩჩეთ და სულიერი ენერგიაც გვარიანად მოვადუნეთ.

ამდენად, საუბარი ქართული დრამატურგიის ჩამორჩენილობაზე, ჩემი აზრით, მიზნად უნდა ისასავედეს ზემოთ მითითებული ფსიქოლოგიური ბარიერის მოშლას, პირველ რიგში, სოლო ჩამორჩენილობის მიზეზის კვლევა იმავე მიზეზების უკუგდებისაკენ უნდა იღებდეს მიმართულებას. დისკუსიამ უნდა გააკეთოს ეს დიდი საქმე. მან უნდა მოშალოს ფსიქოლოგიური ბარიერი, დრამატურგიის ჩამორჩენილობას კანონზომიერ, გარდუვალ მოვლენად რომ აცხადებს. მას შეუძლია მოშალოს ეს ბარიერი, რადგან კანონზომიერებად აღქმული მოვლენა სინამდვილეში სტიქიურობის შინაარსს გამოხატავს, მისი შედეგია, იკვებება ისეთი კონკრეტული მიზეზებით, რო-

მელთა დაძლევა ქართული მსატერული აზროვნების პროცესს ადვილად შეუძლია. ამ მიზეზების დაძლევის შემდეგ შესაძლებელი იქნება დრამატურგიის აღორძინების:თვის ნიადაგის შექმნა. ნიადაგისა! დანარჩენს კი ბუნება და მისკან მოსაძლებული ნიჭი იტყვის.

დანარჩენი ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში არ შემოდის!

მაგრამ ნიადაგი, რომელიც გასაღვივებლად უნდა დასედეს ნიჭს, უპატრონოდ მიტოვებული და მოუვლელია.

ამიტომ ღირს ლაპარაკი ქართული დრამატურგიის ჩამორჩენილობაზე, ღირს ახრთა გაცვლა-გამოცვლა. უბრალოდ, საჭიროა! მაგრამ ასლა მაინც უნდა დავიცვათ ერთი მთავარი პირობა: დისკუსიამ უნდა განაპირობოს, რომ ასალი პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგას ყველა სფეროში, რომელთაც უკავშირდება დრამატურგიის ბედი უშუალოდ. სხვაგვარად დისკუსიის ყოველი სიტყვა საკუთარი სიფსიზლის კედლებშია ტრიალებს.

მცირე ექსკურსის სახით: ქართულ დრამატურგიაში მიიპოვება რამდენიმე თავისმოსაწონებელი პიესა, ჩვენ ამ პიესებზე უმეტესწილად ზედაპირულად ვმსჯელობთ. იმითღა ვკმაყოფილდებით, რომ მათ ნიმუშად ვასახელებთ. ამით ერთგვარ ვალსაც ვიხდით, მაღლიერების გრძნობასაც გამოვხატავთ. მაგრამ იქნებ სპეციალური ანალიზი სჭირდებოდეს იმ ჭეშმარიტი პიესების ქსოვილში გამოვლენილ დრამატურგიულ ტენდენციებს, იქნებ, ეს ტენდენციები ქართული დრამატურგიის განვითარების გეზსაც მიგვანიშნებდნენ, თავისებურ წყაროდაც გვევლინებოდნენ. სხვაგვარად კონკრეტული დასახელებები დისკუსიისათვის ნაკლები სარგებლობის მომტანია. ლიტერატურის ისტორიკოსების საქმეს სშირად პრობლემურ საკითხებში ურევენ და დისკუსიას ტენდენციების დრეკადი ნერვები ხელიდან უსხლტება. ამ გზით ინტერესი წვრილმანდება და ფართო მსჯელობის საგანი კნინდება.

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ დრამატურგია ლიტერატურის ურთულეს ჟანრად არის მიჩნეული. ძნელი სათქმელია, რომ ლირიკა და ეპოსი ნაკლებად რთული ჟანრი იყოს, მაგრამ ერთ რამეში ადვილია შეთანხმება: თითოეული ამ ჟანრთაგანი

სულიერი ენერჯის მაქსიმალურ ღაძაბვას მოითხოვს, თუ გვინდა სერიოზული ნაწარმოები შეიქმნას. ზოგადად ეს ასეა. ზოგადად ჩვენ იმაშიც ვთანხმდებით, რომ ყოველი ქართველი მწერალი ცდილობს, რაც შეიძლება კარგი პიესა დაწეროს. სინამდვილეში კი, ფაქტიურად, ქართული დრამატურგია მწერალთა შემოქმედებითი ანტრაქტების პირმშოა. სინამდვილეში ჩვენ დავიწყებული გვაქვს, რომ დრამატურგია ლიტერატურის ურთულესი ჟანრია და მას ჭირდება მოწოდებით დრამატურგი, რომელიც სულიერი ენერჯის მაქსიმუმს გაიღებს. დღიდან ქართული თეატრის აღორძინებისა, საქართველოში პიესები იწერებოდა თეატრისათვის, მაგრამ მსოფლოდ და მხილოდ თეატრისათვის, მისი რეპერტუარის შევსების მიზნით, თეატრის სპეციფიკის ბოლომდე გათვალისწინებით. მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ არ იწერებოდა დრამატურგია, როგორც ლიტერატურა, რომელიც, ბუნებრივია, თავისთავად იგულისხმებდა თეატრის სპეციფიკას. ისევ და ისევ ორიოდე გამონაკლისის გარდა, ვერ მოვიძევთ პიესას, რომლის ლიტერატურული ღირებულება თეატრისაგან დამოუკიდებლად ანგარიშგასაწევი იყოს. აქ თითქოს წინააღმდეგობაა: თუ პიესა დამოუკიდებლად არ შეიცავს ლიტერატურულ ღირებულებას, თეატრს რაში არგია იგი. პასუსობდა რა აქტუალურ თემებს, კონკრეტულ სიტუაციას, ესა თუ ის პიესა რეჟისორებისა და მსახიობების წყალობით იძენდა გარკვეული შემოქმედების უნარს და თავის დროზე ანშლაგითაც მიდიოდა. მაგრამ გაივლიდა აქტუალური თემებისა და კონკრეტული სიტუაციის მაცოცხლებელი სუნთქვა და იმ პიესებიდან რჩებოდა გამომშრალი ფიტული, რომლის შიგნითაც სიცარიელის ქარი უბერავს.

ჩვენ კონკრეტულ მიზნად ვისახავდით პიესის დაწერას და პიესა ამიტომაც გვევლინება ჩვენში არა როგორც შთაგონების ერთ-ერთი ფორმა, არამედ როგორც მიზნის უბრალო ხორცშესხმა. საერთო სურათს კი მშვენიერი ასსნა მოვუძებნეთ — ქართველი კაცის ხასიათი დრამატურგის შინაგან კანონებს ვერ ეგუება, მისი საქმე არ არისო. „დარისპანის გასაჭირმა“, „მოკვეთილმა“, და „ყვარყვარე თუთაბერმა“... დაამტკიცა, რომ ხასიათი არაფერ შუაში არ ყოფილა, რომ

უბრალოდ „ურთულეს ჟანრს“ ჩვენი სულიერი ენერგია არ ეუწილადეთ, არ გავუხსენით მას გზა, როგორც დიდი უფლებების ლიტერატურას, დიდი სუნთქვისა და დიდი მოთხოვნილებების ჟანრს და, როგორც იტყვიან, ჟანრმაც შური იძია ჩვენზე.

არსებობს საკითხები, რომელთა გამო კამათი ვარაუდების ლოგიკას ეყრდნობა. ქართული დრამატურგიის არსზე საუბარი, ნებისთ თუ უნებლიეთ, ამ ლოგიკით გვაიარაღებს. ამიტომაც ვარაუდები ზოგჯერ ემსგავსებიან პარადოქსებს. მაგრამ არ უნდა შეგვაშინოს პარადოქსულობის ილუზიამ.

მთავარი სულ სხვა არის: ქართული ლიტერატურის შინაგანი შექმნადების შემდეგ ბოლოს და ბოლოს დგება დრო, გზა გაეხსნას დრამატურგიის ჟანრში ჩვენი სულიერი ენერგიის გამოსატყვის წყურვილს. პროფესიული თეატრის უქონლობა ავბედითი ცსოვრების საუკუნეებში ამუხრუჭებდა ამ სურვილს. ძირითადად ამ მიზეზით უნდა აიხსნას ლიტერატურის ესოდენ გვიანი შექმნადება დრამატურგიისათვის. სხვა მსრივ, პროზა და პოეზია ათეული საუკუნის მიღმაც გვევლინებოდა უნივერსალური ხასიათით და იგი ყოველმხრივ „იგუებდა“ და ისისლსორცებდა დრამატურგიას. პროფესიული თეატრი კი ძალიან გვიან შეიქმნა ჩვენში. მიზეზების რთული და გრძელი მწკრივი დგას ამ მოვლენის მიღმა. ფაქტია, რომ თეატრის უქონლობამ დრამატურგიის უქონლობაც განაპირობა. პროფესიული თეატრის შექმნის შემდეგ კი ქართული დრამატურგია ერთობ ვიწრო კალაპოტში მოექცა და დღეს ჩვენი საუბრის მიზანიც სწორედ ამ კალაპოტის გაგანიერება და გაღრმავებაა. იქნებ უცნაურად ჟღერს, მაგრამ აუცილებელია ითქვას: დრამატურგია ქართულმა მწერლობამ უნდა ცნოს დიდ ლიტერატურად, კერძოდ მისგან, ქართული მწერლობისგან შესაქმნელ დიდ ლიტერატურად (სხვა მსრივ, ჩვენ სკოლის ასაკიდანაც კარგად ვიცით, რომ დრამატურგია უმაღლესი ლიტერატურაა).

დღეს, როდესაც გვაქვს პროფესიული თეატრები, სასელლოვანი რეჟისორებითა და მსახიობებით დამშვენებული, საამაყო წარსულითა და პერსპექტიული მომავლით, იღვიძებს დიდი ძალის სურვილი ჩვენი ეროვნული დრამატურგიის

ასალი თვისებრიობის წარმოჩენისა. იაკობ ცურტაველიდან მოყოლებული, ჩვენი პროზისა და პოეზიის შედევრების კოლოსალური სამყარო მოითხოვს დრამატურგიის შესატყვის დონეს, იგი სულიერ ენერგიას ავალებს, ამ ჟანრიშიც გაშალოს ფრთები ბოლომდე. სიტყვებში — მოითხოვს, ავალებს — არ შეიძლება ძალდატანება ვიგულისხმეთ. აქ მსოლოდ სურვილების კატეგორიული ბუნება ივარაუდება. მომწიფებული სურვილი გამეღვენების კატეგორიულობით არის დამუსტული!

ვფიქრობ, დადგა დრო, ქართული დრამატურგიის აღორძინების საქმე ამ მომწიფებული სურვილის გამოსატულებად ვალიართ. სხვაგვარად, მიმდინარე დისკუსიაც მოვალეობის მოსახდელ დონისძიებად წარმოგვიდგება. დღეს არც გვაქვს უფლება დონისძიებათა ფაქტებს ამოვეფართო.

უთუოდ აქვს საფუძველი წუხილს იმის გამო, რომ დრამატურგია ჩვენში ლიტერატურის გერად წარმოგვიდგება. ეს წუხილი დაუფარავად ამბობს, რომ დრამატურგიას არ აქვს განვითარებისათვის საჭირო სულიერი ატმოსფერო: ეს მაშინ, როდესაც თითქოს შეექმენით დიდებული პირობები დრამატურგიის გასაღვივებლად.

საშუალო დონის პიესაში, რომლის მოცულობა (საგანგებოდ აღვნიშნავ) 70—100 გვერდია, ავტორს უხდინან სოლიდურ თანხას, გარდა ამისა, სცენაზე განსორციელების შემდეგ მას ერიცხება გარკვეული პროცენტი ყოველი თეატრიდან. ასე რომ, საშუალო სიძლიერის პიესა მატერიალური პირობების გაუმჯობესების საშუალებადაც კი მიიჩნევა. ამ პირობებს დაემატა ისიც, რომ, ბოლოსდაბოლოს, დავიწყეთ პიესების სისტემატური გამოქვეყნება წიგნებად. პერიოდულად ვაჯილდობთ პრემიებით კონკურსში მონაწილე დრამატურგებს... მაგრამ საკმარისია დაეაკვირდეთ ამ პირობების არსს, რომ უმაღლესადი გახდეს: ყველაფერი ეს მექანიკური პირობებია, თითოეული მათგანი აუცილებლად საჭიროა (უფრო გასაუმჯობესებელიც!), მაგრამ ამ პირობებს არსებითად არ ძალუძს დრამატურგიის შექმნას სელი შეუწყოს. არსებითის ფესვები დრამატურგიისათვის საჭირო იმპულსში ძევს, დრამატურგიის შექმნის აუცილებლობის შეგნებაში ძევს. როგორც ქარ-

თულ პოეზიასა და პროზას არ სჭირდება იმ მექანიკური პირობების წამოშველება, ასევე არ უნდა სჭირდებოდეს დრამატურგიას მექანიკური პირობებით კვება.

ჭეშმარიტი დრამატურგიის შექმნის წყურვილი უნდა გაძლიერდეს იქამდე, რომ იგი აცდეს თეატრის რეპერტუარის შევსების მიზანს, გარანტირებული საშუალოს პრინციპის მოქმედების არსს, ამადლდეს დიდ ლიტერატურამდე. ამისათვის აუცილებელია შეიცვალოს (ჯერ ეალიაროთ და შემდეგ შეიცვალოს) ჩვენი დამოკიდებულება დრამატურგიისადმი. გამოვტყდეთ, უმეტესწილად ჩვენ მსოლოდ მაშინ ესსდებით მაგიდასთან პიესის დასაწერად, როდესაც თეატრს სჭირდება პიესა, ან ჩვენ გვესაჭიროება მატერიალური პირობების გაუმჯობესება ამ გზითაც. ამ დროს ჩვენ გვსურს; ძალიანაც გვსურს კარგი პიესის დაწერა, ძალიანაც ვინდომებთ, ვერავინ ვერ დაგვაყუედრის სერელობას, მაგრამ გვაეიწყდება, რომ შთაგონების კვალად კი არ ვქმნით დრამატურგიას (როგორც იქმნება შთაგონების კვალად პოეზია და პროზა), არამედ მსოლოდლა სურვილით — გვექონდეს პიესა! ამიტომაც, დამოკიდებულება დრამატურგიისადმი დიამეტრალურად განსხვავებულია პოეზიისა და პროზისადმი ჩვენი დამოკიდებულებისაგან. თუ იქ შედეგების გვერდით გესვდება სუროგატი, ეს შემოქმედებითი პროცესის თანმსლები მასალაა, წარმმართველი მაინც შთაგონებაა. დრამატურგიაში კი წარმმართველი უბრალო სურვილიდაა — პიესაც დაწეროთ, ესეც ვცადოთ. შთაგონების სულიერი ატმოსფერო თითქმის გამორიცხულია. ამიტომ გაბატონდა გარანტირებული საშუალოს პრინციპი თავისი საშიში შინაარსით.

ფიქრობ, „დარისპანის გასაჭირი“ საინტერესო მაგალითია: ამ პიესის კითხვა შეიძლება ისევე, როგორც „სოლომონ მორბელაპისა“ და „სამანიშვილის დედინაცვლისა“... ყოველგვარი სცენის გარეშე, ყოველგვარი თეატრის გარეშე ის არის ლიტერატურული ნაწარმოები. უბრალოდ, ვრძნობთ, რომ შთაგონებით შექმნილი ნაწარმოებია. ავტორი ფიქრობდა არა იმაზე, რომ თეატრისათვის დაეწერა პიესა, არამედ იმაზე, რომ უფსკრულის პირზე მისული კლასის ტრაგედია და თავისი თანაგრძნობა ამ კლასისადმი კიდევ ერთი ასალი ფორ-

მით გამოესატა (თეატრი მთელი თავისი პრეტენზიებით და სპეციფიკით მხოლოდ ივარაუდება „დარისპანის გასაჭირის“ ქსოვილში), მაგრამ უთეატროდაც დიდებულია, ერთი ნიშნითაც კი არ ჩამორჩება დავით კლდიაშვილის შეუღარებელ პროზაულ ქმნილებებს, ერთი ნიშნითაც! ესოდენ მაღალია დრამატურგისადმი დავით კლდიაშვილის პრაქტიკული დამოკიდებულების ხარისხი. პოტენციური მოპაექრე ავტორის ნიჭს მიაწერს ამ გარემოებას. ჩემი აზრით, არ იქნება სწორი. პიესა დავით კლდიაშვილის შემდეგ ბევრ ნიჭიერ პოეტსა და პროზაიკოსს დაუწერია. არ გამოუვიდათ. მათი პიესები მათსავე ლექსებსა და პოემებს ოდნავადაც ვერ შეედრება. რაშია საქმე? საქმე უმთავრესად დრამატურგისადმი საკუთარ შემოქმედებით პროცესში პრაქტიკული დამოკიდებულების ხარისხშია. დავით კლდიაშვილმა მოწოდებით პროზაიკოსს გვერდით მოწოდებით დრამატურგი აღმოაჩინა თავის თავში. ასევე ითქმის „მოკვეთილის“ ავტორზეც, თუმცა ეს პიესა, მე პირადად მგონია, მაინც ვერ დგას „აღუდა ქეთელაურისა“ და „შელის ნუკრის ნაამბობის“ დონეზე. მაგრამ მაინც ლიტერატურაა, მაინც ნამდვილი დრამატურგიაა. ილია ჭავჭავაძის „ქართელის დედა“ სცენისათვის ნაკლებ საინტერესოა, მაგრამ ძლიერია როგორც დამოუკიდებელი დრამატურგიული პოემა. ასეთ გამონაკლის ნიმუშებში თეატრისა და დრამატურგის (როგორც დამოუკიდებელი ჟანრის) ინტერესები ერთმანეთს გადაეწვნება სოლმე. დამოკიდებულების ხარისხი ყოველთვის მაღალია.

მკითხველს შეუძლია მოიგონოს ჩვენი დიდებული პოეტებისა და პროზაიკოსების დრამატურგიული ნაწარმოებები და მხოლოდ ამის შემდეგ მერწმუნოს, რომ ის დრამატურგიული ნაწარმოებები მოწოდებით დრამატურგის ნახელავი არ არის. და რომ მათი ავტორები თავიანთ ნამდვილ მოწოდებას ემსახურნენ პირნათლად. ეს იყო საკუთარი ნიჭისადმი სინდისიერი დამოკიდებულების გამოხატულება. მაგრამ ფაქტია, რომ ასსნა „არ გამოუვიდათ“, შედავითით ითქმის სოლმე ჩვენში. აშკარად საგრძნობია, რომ ამ ცდაში დაბალი იყო დრამატურგისადმი პრაქტიკული დამოკიდებულების ხარისხი. გამორიცხული იყო შთაგონების წარმმართველი პირობა და ჩვენ

ნაჩქარევად მათსად ერთად ვიწამეთ, თითქოს არც ერთი მათგანი მოწოდებით დრამატურგი არ იყო... შემდეგ აღმოჩნდა, რომ დრამატურგიის ურთულეს უანრს შედარებით დაბალი რანგის მწერლები შემორჩნენ (თქმულა და ითქმის თითოეული ჩვენი დრამატურგის მისამართით მაღლობის სიტყვა, საერთო პროცესის წინაშე მათ თავიანთი კონკრეტული დამსახურება აქვთ. ვინმეს ამაგის გაქარწყლება ისევე ლიტერატურის მტრობა იქნება!), მაგრამ სინამდვილე სინამდვილეა, არავის არგებს სინამდვილისათვის თვალის გაუსწორებლობა, შესაძლებელიც რომ იყოს ეს. „დარისპანის გასაჭირის“ ავტორმა კონკრეტულად თავისი დამოკიდებულების სარისხი გვიჩვენა. ეს დამოკიდებულება ვერ განზოგადდა საერთო მოვლენად. დრამატურგიისადმი ჩვენი დამოკიდებულება გაუყვა ვიწრო საჭიროების კალაპოტს და ასე მოდის დღემდე. „ყვარყვარე თუთაბერის“ გამოკლებით, იწერებოდა მეტნაკლებად საშუალო დონის საჭირო პიესები, ასრულებდა თავის კონკრეტულ ამოცანას და ბარდებოდა დროს. შემოქმედებით შთაგონებას ცვლიდა საჭიროების შთაგონება. ამ სენს დრამატურგიის სფეროში სრული თავისუფლება მიეცა.

დრამატურგიისათვის საჭირო სულიერი ატმოსფერო დავით კლდიაშვილის მაგალითს უყურებს არა როგორც მსოლოდ მიბაძვის საგანს, არამედ როგორც ამოსავალ წყაროს, როგორც თავის შინაარსს. ამიტომ საკითხი მოწოდებით დრამატურგის გამჟღავნებისა იმაზე მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. „ლიტერატურულ საქართველოში“ ამ საკითხზე ჩემი აზრი გამოვთქვი, რასაც მოჰყვა ლადო ავალიანის გულწრფელი გამოხმაურება „საბჭოთა ხელოვნებაში“. ორივე წერილი ტრადიციულ საწუსხარს უტრიალებს გარშემო, მაგრამ მეტი სიზუსტისათვის, სინათლისათვის კიდევ ხდება საჭირო მცირედი განმარტება. მოწოდებით დრამატურგის საჭიროებაზე ჩამოგდებული სიტყვა დრამატურგიისადმი დამოკიდებულების შეცვლას გულისხმობს. წერილში გარკვევით არის თქმული და აქაც გავიმეორებ, რომ კალამს დრამატურგიაში უნდა ცდიდეს ყველა, მაგრამ არა მხოლოდ შემოქმედებით ანტრაქტებში და არა

მსოლიოდ იმისათვის, რომ თეატრს წაეშეველას. ამიტომ გადავიტანე აქცენტი იმ წერილში გონებრივი შრომის კულტურაზე. გონებრივი შრომის კულტურაში თავისთავად იგულისხმება საკუთარი მოწოდების პოვნა. ევროპა გვაწვდის ადრეულ ასაკში გონებრივი შრომის კულტურის ნიმუშს. იქ არ უცდიან გამოცდილების დაგროვებას, თეატრის მთელი სპექციფიკის შესწავლას. ადრეულ ასაკში ძნელია ეს. მაგრამ შთაგონების კარნახით ნამდვილი დრამატურგიის შექმნას ცდილობენ. შემდეგ თავისთავად ირკვევა, ვინ რომელ უანრშია ძლიერი: იქნებ სამივეში ერთდროულად, იქნებ მსოლიოდ ერთში. ჩვენ არ შეიძლება არ ვიყოთ კატეგორიულად წინააღმდეგნი ანტრაქტებში შექმნილი დრამატურგიისა. როგორც ინსცენარებით მსოლიოდლა იესება რეპერტუარი, ასევე ანტრაქტებში შექმნილი პიესებით თეატრი გამოგვყავს მსოლიოდლა დროებითი კრიზისიდან. მეორე მსრივ, გროვდება გარანტირებულ საშუალოს პრინციპით შექმნილი პიესების ზღვა, რომელიც არ არის ნამდვილი ლიტერატურა და გარკვეული დროის შემდეგ არც თეატრს არგია და არც მწერლობას. ერთი შესევეთ თითქოს კარგის მეტი რა უნდა დაეინახოთ იმ ფაქტში, რომ კარგი პოეტი ან პროზაიკოსი ზოგჯერ პიესას მიუბრუნდება, მაგრამ ეს მსოლიოდ ერთი შესევეთ გვეჩვენება ასე. ამ მიბრუნებით ჩვენ ფაქტიურად ხმამაღლა ვამბობთ, რომ დრამატურგია პირადად ჩვენთვის მეორესარისსოვანი საქმეა და შეიძლება მოცლილობის უამს ენერგიის ნაწილი მისთვისაც გავიღოთ.

უანრი კიდევ ერთხელ იძიებს შურს ჩვენზე. იგი თავის მოწამეებს მოითსოვს, კატეგორიულად მოითსოვს. ამიტომ ვერ მოითმენს კალმის ცდას ანტრაქტებში. ეს წყალობა, ანტრაქტების წყალობა, ანტიდრამატურგიული მოველენაა. ერთბაშად შეიძლება მოგვეჩვენოს, თითქოს „დარისპანის გასაჭირიც“ ანტრაქტში დაიწერა, მაგრამ ეს ნაჩარევი დასკვნა იქნება. დავით კლდიაშვილმა თავის პიესებს სულიერი ენერგის მაქსიმუმი მოასმარა, მას მწერლური ნიჭის არც ერთი თვისება არ დაუზოგავს, ყველა შესწირა დრამატურგიის ღონიერ სუნთქვას და ამიტომაც იზეიმა გამარჯვება. წინააღმდეგ

შემოსვენებაში იგი ვერ შექმნიდა საკუთარი დიდებული მოთხოვნების დონეზე მდგარ პიესებს.

ჩემთვის მოწოდებით დრამატურგზე აქცენტის გადატანა ნიშნავს დრამატურგიის სასურველ აღორძინებას, მის გამოყვანას სასხვათაშორისო, თავშესაქცევი მდგომარეობიდან და ლიტერატურის მაგისტრალურ გზაზე დაყენებას.

„ყვარყვარე თუთაბერის“ გამოკლებით. თანამოდროვე ქართულ დრამატურგიაში ვერც ერთი კეთილისმსურველი ვერ დასახელებს პიესას, რომელშიც მიტ-ნაკლები დოზით არ ბატონობდეს თემატურობა. სქემატიზმი, კონფლიქტების ილუზია, ილუსტრირება... ისინი თავს იჩენენ ისეთ ნაწარმოებებშიც, რომელთაც ნიჭიერი მწერლის დიდი მონდომება აშკარად ატყვია.

თუ კარგად დავაკვირდებით, აშკარად დავინახავთ, რომ ქართული დრამატურგია დარჩა ამ ნეგატიური მოვლენების ამარა, მან თითქმის ვერც ერთ პიესაში ვერ გადალასა ის ფსიქოლოგიური ბარიერი, რომელსაც ქმნიდა მითითებული სენი. და ეს მაშინ, როდესაც ამავე პერიოდში პოეზიასა და პროზაში ამ სენისაგან თითქმის მთლიანად დაზღვეული შედეგები შეიქმნა. ამ ფაქტშიც ვლინდება დრამატურგიისადმი ჩვენი დამოკიდებულების ხარისხი. მუდავნდება სწორედ ის მიზეზი, რაზეც ზემოთ ვლაპარაკობდით: დრამატურგია ჩვენში ჯერ კიდევ სტიქიური სურვილების ბაზაზეა, აქ კი, სადაც ლიტერატურული შთაგონებაა წარმმართველი, აღნიშნულმა მოვლენებმა ლიტერატურას ვერ დარია ხელი — მაინც შეიქმნა დიდებული პოეზია და პროზა.

გავისხენოთ, როგორ ბუნებრივად, საკუთარი არსებით მდინარებს „ყვარყვარეში“ გმირების ვნებათაღელვა, თავისუფლად ვითარდება და მოძრაობს აზრი, ყოველგვარი ყალბი პათეტიკისა და ოპტიმიზმის გარეშე, თვით ცხოვრების კანონისდაკვალად — ყოველ სურათში, ყოველ მოქმედებაში. ამ მოძრავი აზრის სიცოცხლე შეგვიძლია პიესის ნებისმიერი მონაკვეთი აღვიდგინოთ:

გამომძიებელი: — მე თქვენ გახარებთ ისეთ ამბავს, ისეთ ბედნიერებას, რომელზედაც თქვენ ოცნებობდით, რომლისთვისაც სულს ღეფდით. მოემზადეთ დიდი სიხარულისათვის.

შპარშპარე — რაო, რას ბრძანებთ?

გამომძიებელი — რევოლუცია მოხდა, მეფე ტახტიდან გადადგა და დღეს ახალი მთავრობაა.

შპარშპარე — რევოლუცია მოხდა? (თავისთვის) რას ლაპარაკობს ეს კაცი?

(გამომძიებელს) მერე?

გამომძიებელი — თქვენ იმდენი ღვაწლი მიგიძღვით, საფლავშიც არ დაგივიწყებენ, თორემ, ცოცხალს ხალხი თქვენზე შეტად ვის დააფასებს.

შპარშპარე — ეპე (თავს ასწევს) რევოლუცია მოხდა?

გამომძიებელი — დიახ?

შპარშპარე — (ამაყად) მერე?

გამომძიებელი — ქვეყანა გადაეცა თავგანწირულ რევოლუციონერებს.

შპარშპარე — მერე ჩემი თავგანწირვა?

გამომძიებელი — სულ დაგიფასდება.

შპარშპარე — (აღშფოთებით) ამ ამბავს მიმალავდი?

გამომძიებელი — აკი ვთქვი.

შპარშპარე — ენა იმდენი ათოხარკე. სული კინაღამ გამძვრა.

გამომძიებელი — არა, მე მხოლოდ თქვენი ამაგი და თავდადება მოვიგონე.

შპარშპარე — ჩემი ამოდენა ამაგი და თავდადება ახლა წყალში გადააურება, თუ როგორ გგონია!

გამომძიებელი — რას ბრძანებთ, თქვენ დიდი მოღვაწე ხართ. (ქალღღებ მიუთითებს) აქ, ამის შესახებ საბუთებია.

შპარშპარე — აქ კიდეც რაა! (გლაუყრის საბუთებს) შენ გგონია, ახლა ჩემი მთელი ცხოვრება ხელისგულზე გიწერია!

გამომძიებელი — არა, მე რა ვიცი... ამ არმიაში რაც ჩაგიდენიათ, კიდეც ცოტაა... სხვაგანა თქვენი მთავარი გმირობა.

შპარშპარე — ჰოდა, ასე ილაპარაკე.

გამომძიებელი — თქვენს შუბლზე მე ვკითხულობ ღრმა ფიქრების ნიშანს, თქვენ ხართ უდიდესი რევოლუციონერი.

შპარშპარე — ტყუილია თუ?

გამომძიებელი — მე, როგორც შეგნებული დემოკრატი, დაბლა ვიხრები თქვენს წინაშე.

შპარშპარე — მერე, ახლა მე ტუსადი კი არა ვარ!.. არა ვარ... არა ვარ.

გამომძიებელი — არა, თუმცა ფორმალურად ითვლებით, სანამ ჩვენა უფროსი ოფიციალურად არ გამოგიცხადებთ ამ ბედნიერებას, რაც მე გაცნობეთ... მანამდე კი, თავი ტუსადად რომ არ იგრძნოთ, აი, შებრძანდით კაბინეტში, წამოჭექით სავარძელში და...

შპარშპარე — ენა დამოკლე. ბედნიერება, თორემ შენი მოცემულია.

ჩამოხრჩობას რომ მიპირებდით, რას ფიქრობდით? გეგონათ ასე შეგრჩებოდით?

ბამომძიმებელი — მე? (ხმის კანკალით) ჩემს შესახებ ცუდ რაზე ხომ არ ფიქრობთ. ავიხსნით, ბატონო, შე ერთი პატარა კაცი ვარ.

ჰპარაჰპარე — არა, სად მცალია მე ახლა შენთვის, შე ჩიჩიე, შე გლახა.

ასე სრულად არის წარმოდგენილი ყვარყვარეს მეტამორფოზა რაღაც გვერდნასევერის მანძილზე. ყველამ ვიცით, რომ ეს მეტამორფოზა დინამიურია მთელ პიესაში. ნაწარმოების დედააზრი განუწყვეტლივ ვითარდება და ნიჭიც უამრავ ფორმას აწვდის მას სამოძრაოდ. სიუჟეტი კი ამ მოძრაობის რიტმს ექვემდებარება.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, ლიტერატურის ურთულესმა უანრმა ჩვენში ვერ იკისრა ქართველი კაცის სულიერი ცხოვრების ტვირთი ეტარებინა პოეზიისა და პროზის მხარდამსარ. უცნაურია, მაგრამ ფაქტია კიდევ ერთი რამ: ქართულ დრამატურგიაზე მაღალი პოზიციებიდან საუბარი არაბუნებრივად გვეჩვენება, ზედმეტობად აღვიქვამთ. შეიძლება პოზიირობაც კი დავწამოთ საუბრის ავტორს. ეს არის ყველაზე დიდი შეცდომა, ინერციით აშენებული ფსიქოლოგიური ბარიერი, რომელსაც არსებობის არავითარი უფლება არა აქვს. ქართულ დრამატურგიაზე საუბარი სწორედ დიდი ლიტერატურის პოზიციებიდან თუ შეიძლება დღეს. ყოველგვარი შეღავათების დრო წავიდა. ქართული დრამატურგიის უძლურება თითქოს რაღაც ავტონომიად გამოვაცხადეთ და იმავე ავტონომიის ლოკალური საზღვრების შესაფერისი საზომები დავამკვიდრეთ. ამ საზომების მიხედვით კი სერიოზულ მოვლენად გამოვაცხადეთ პიესები, რომელთა ღირებულება ნამდვილი ლიტერატურის ფონზე თითქმის ნულს უტოლდება. ქართული დრამატურგია შორს დგას თანამედროვე ქართველი კაცის უღრმესი სულიერი მოვლენების გამოსატვისაგან. გალაკტიონის შემოქმედებით დაგვირგვინებული მეოცე საუკუნის ქართული პოეტური კულტურა მოიცავს ეპოქასთან შეხების თითქმის ყველა წერტილს, ასალი დროის ურთულეს ფორმას.

მპივე ქვების ქუსლებით დავეყრდნობი პოლიუსს,
როცა ქარი მოსკდება და ცას შეემუქრება, —

წერს ერთ ლექსში გალაკტიონი. ამ სტრიქონების შესხენებით მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო შემოქმედი სალხის სულიერი სიფხიზლისაკენ — მძიმე ქვების ქუსლებით პოლიუსზე დაყრდნობა — უნივერსალური ფორმით გეაუწყებს მზადყოფნას ყოველგვარი სიმაღლის დასალაშქრავად, დროის ნერვიულ სუნთქვასთან პირისპირ შეყრის სურვილს. მკითხველმა მშვენიერად იცის, სადამდე წვდება თანამედროვე ქართული პოეზიის აზროვნების მასშტაბი არამარტო გალაკტიონის შემოქმედებაში, საერთოდ! აღვიდგინოთ ვრცელი მწკრივი საუკეთესო პოეტური ნაწარმოებებისა. გავისხენოთ ეპოქის წარმართველი რიტმის სუნთქვა მათ შემოქმედებაში, გავისხენოთ, რა სიმაღლესთან ტრიალებს მათი აზრი, რა მოვლენებს მიუპყრია მათი გულისყური.

პარალელურად გავისხენოთ ჩვენი დიდი პროზა.

პოეზიასა და პროზას აქვს, რა თქმა უნდა, დიდი ტრადიცია, მაგრამ ეს არგუმენტი მე პირადად კბილებმოცვეთილი მეჩვენება. იგივე ტრადიცია იღვწის დრამატურგიისთვისაც. მთავარია შინაგანი სურვილი და მზადყოფნა ეპოქის ურთულესი მოვლენების გამოსახატავად. ქართულმა დრამატურგიამ ეპოქას ვერ უპასუსა შინაგანი მზადყოფნით, სურვილით — ურთულესი და უღრმესი მოვლენები გადმოეცა. „ყვარყვარე თუთაბერი“ მხოლოდ დიდებულ სტარტად დარჩა. შემდეგ ქართული დრამატურგია იმ ერთგვარი ავტონომიის დაბალ ჭერქვეშ მოიბუზა, მისი რადიუსი უღვთოდ მოკლე აღმოჩნდა. თითქოს წარმოუდგენელი შეიქნა მის სუსტ მსრებს ლიტერატურის დიდი საგანი, საფიქრალი ეზიდა. იგი ვალის მოხდის ამოცანას ასრულებდა, პასუხობდა აქტუალურ თემებს, რომლებიც გარეგნულად ეპოქის მღელვარე სუნთქვას ითავსებდნენ და კმაყოფილდებოდა ამ ამოცანის შესრულებით.

ამიტომაც ქართული დრამატურგია ერთობ თემატურია: უჩვენებს რევოლუციის გამარჯვებას, ხალხის მასების ბრძოლას, ინდუსტრიის სუნთქვას, კოლექტივიზაციის დამკვიდრებას, სამამულო ომს, სოციალისტურ შეჯიბრებას, საბჭოთა ოჯახს, კომუნისტის სახეს, კომკავშირელის ზნეობას...

პოეზიაც და პროზაც ესება ამავე თემებს, მაგრამ სიღრმეშია ჩატანილი თემები — ჩვენს წინ ადამიანის სული დელავს,

იღვწის და ყოველგვარ სისარულსა და ტკივილს განგვატდე-
ყინებს. პიესებში ეს თემები შედაპირსე ტიპტივებს. ეს გახ-
ლავთ თემატური ნატურალიზმი. სედავთ ამ თეკიებს, თითქმის
ესკებით. თემის კაპრიზი სწორსაზოვან კალაპოტს წარმოშობს,
რომელშიც ტლანქი სხეულები მოძრაობენ. თემატურობის
დაღს ვერ გაეკცნენ თვით ისეთი პიესებიც კი, რომელთაც
თავის დროსე დიდი წარმატება სვდათ სცენაზე. იგივე „კოლ-
მიკურნის ქორწინება“, შალვა დადიანის „ოეთნულდი“, „კაკალ
გულში“, უფრო გვიან — „ბედი მგოსნისა“ მისეილ მრევლი-
შვილისა... სიის გაზრდა შეიძლება, თუ თემატურობის წერ-
ქვეშ და სქემატიზმის გზით შესაძლებელია ნიჭის გამოვლენა,
მაშინ ამ პიესებში ავტორთა სულიერი ენერგია მაქსიმალურ-
რად გამოვლინდა. რამდენიმე ემპირიულად ძლიერი სცენა,
ერთგვარი ენთუსიაზმი... მაგრამ როგორც კი სულიერი
ცხოვრების დრმა შრეები მოსწყურდება მკითხველს, მაშინვე
კაჭაბუკული დარჩება. ვფიქრობთ, არად არგებს ლიტე-
რატურულ პროცესს, თუ ამ პიესებს მივაწერთ იმ ღირსებებს,
რაც არ გააჩნიათ სინამდვილეში. არ არის ისინი დღეს მოქ-
მედი ლიტერატურა, ნუ მოვიტხოვთ მათგან ცხოველმყოფელ
სუნთქვას.

იქ, სადაც თემატურობაა განმსაზღვრელი, ილუსტრაციუ-
ლობაც ლაღად სუნთქავს. ქართული დრამატურგია ილუს-
ტრაციულია, რადგან მოკლებულია სულიერი ცხოვრების
დინამიზმს. დრმა პატივისცემა ივარაუდება მისეილ მრევლი-
შვილის „მგზნებარე მეოცნების“ ქსოვილში დიდი რუსი პოე-
ტის მიმართ. მაგრამ ილუსტრაციებით არის გაცოცსლებული
წარსული, იმ დროის ადამიანები. დრამატურგი ნაწარმოების
შექმნისას გვერდს უვლის საკუთარ კონცეფციას, რომლის-
თვისაც უნდა ირჩევდეს თემას. ასეთ დროს შეკვეცილია შე-
მოქმედებითი აზროვნების თავისუფლება, სიღრმე და სიახლე
გამორიცხულია, რადგან ავტორი მისდევს ცნობილი ისტო-
რიული ფაქტების მსოლოდლა ილუსტრირებას, იყენებს ისევე
გრიბოედოვის სტრიქონებს, წერილებიდან ადგილებს — დია-
ლოგების გასამართავად. გვეუბნება: აი, ასეთი იყო სიყვარუ-
ლის სცენა ნინო ჭავჭავაძესა და დიდ პოეტს შორის. ასე
თანაუგრძნობდა გრიბოედოვი დეკაბრისტებს, ამგვარად მოკ-

ლეს პოეტიო. ეს სურათები გამართული დიალოგებით არის აღწერილი, დაცულია სიუჟეტის განვითარების კანონები, შერჩეულია საჭირო პათოსის გადმომცემი სურათები, მაგრამ ყველაფერი თემატურობისა და ილუსტრირების გზით.

მე ვასახელებ პიესებს, რომელთა ლიტერატურული რეპუტაცია მაღალია, რის გამოც ღირს მტკივნეულ საკითხზე მსჯელობა. ის ფაქტი, რომ სწორედ გახმაურებული, აღიარებული პიესების ქსოვილში ჩანს ასე გარკვევით სქემატიზმი, თემატიზმი და ილუსტრაციულობა, მოწმობს ქართული დრამატურგიის დაბალ გადასასედს. რაც შეეხება ათეულობით სხვა პიესას, ერთი ან ორი სეზონის მანძილზე რომ შემორჩებოდა სოლმე სცენას, ან ანშლავს ისვეჭდა იაფფასიანი ეფექტებით, მათზე ლაპარაკი დღეს მსოლოდ იმდენად იქნება გამართლებული, თუ უკმარობის გრძნობის გაძლიერებისაკენ ავიღებთ კურსს. რა თქმა უნდა, არსებობენ გარკვეული დამსახურების პიესები, ისინი პასუხობენ თემებს საქართველოს ისტორიიდან, თანამედროვე ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტებს. ამ პიესების ადგილი ლიტერატურის ისტორიკოსების მსრივ კარგა ხანია მონიშნულია. მრავალგზის თქმულა იმ წვლილზეც, რაც შეაქვთ ნაგულისსმევე პიესებს ქართული დრამატურგიის განვითარებაში. ამ სიის აღდგენა, ან მაგიური თანმიმდევრობის მწკრივის დარღვევა არ არის აუცილებელი, რადგან დრამატურგიის შინაარსს ეს გადანაცვლება თვისობრივად ვერ შეცვლის.

ასეთი კურსი ძლიერი ინერციით დღევანდელი ქართული დრამატურგიის სახესაც განსაზღვრავს. ზოგჯერ ამ ინერციის ძალას მწერალი რაღაც მანქანებითლა თუ აღწევს თავს.

უთუოდ ყველა ამჩნევს, რომ ბოლო წლებში უკიდურესად გამძაფრდა სურვილი ქართული დრამატურგიის აღმავლობისა. და მწერლები, რომელთაც მიმართეს დრამატურგიის ჟანრს, ცდილობენ რაღაც ასალი ხერხით წერონ, თავისებურად უპასუხონ დრამატურგიის მაღალ მოთხოვნებს. ამ სურვილის შედეგია კონცეფციის მომძლავრება: კონცეფცია — ამოსავალ წერტილად და შემდეგ თემის მომარჯვება. ეს ტენდენცია საგრძნობია და იგი ბევრს ნიშნავს. კონცეფციის კარნახით არის შექმნილი, მაგალითად, ვ. კანდელაკის „დრო—

ოცდაოთხი საათი“ და ო. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“.

ჩვენ ვკმაყოფილდებით სოლმე მიმოსილვეებით, არ მივხდეთ ქართული დრამატურგიის ყოველმსრივ ანალიზს, ამით ფაქტიურად გავრიყავთ მას ლიტერატურის საერთო პროცესიდან. პოეზიისა და პროზის თანაბრად ლიტერატურის საერთო ჭრილში დრამატურგიის ანალიზი საჭიროა არა მხოლოდ კრიტიკული აზროვნების სრულყოფისათვის, არამედ პირველ რიგში თავად დრამატურგიისათვის. იგივე სქემატიზმი, თემატურობა, ილუსტრატულობა, როგორც დრამატურგიის მასრჩობელა ტენდენციები, თავის ნებაზეა მიშვებული. იშვიათად თუ ვინმე დაპირისპირებია ამ ტენდენციების უარყოფით ბუნებას კონკრეტული ანალიზით. ყალბი სასიათები, სიტუაციები, ნაწარმოების დამახინჯებული ლოგიკა, თითიდან გამოწოვილი ოპტიმიზმი, იაფფასიანი აგიტაციურობა... არც ამ კუთხით დაგვინასავს ქართული პიესების ნაკლი. ცალკე პიესის განსილვა სომ უიშვიათესი მოვლენაა. ვგულისხმობ ანალიზს და ანალიზზე დანდობილ კამათს, თორემ მიმოსილვები, ზოგადი დახასიათება ქართული დრამატურგიისა საქმიად შეგსდებათ.

მიმდინარე დისკუსიის ორგანულ ნაწილად მეჩვენება აკაკი ბაქრაძის მიერ გაცილებით ადრე გამოთქმული პრინციპული შენიშვნები. შენიშვნები ესებოდა ქართული პროზის ინსცენირებას, რაც საყოველთაო მოვლენად იქცა. წერილში მშვენივრად არის დასაბუთებული, რამდენად ვნებს ეს ინსცენირების გზა თეატრსაც და დრამატურგიასაც. დისკუსიის ინტერესთა სფეროში ეს საკითხი ორგანულად შემოდის და, ჩემი აზრით, არაფერი იქნება უსერსული, თუ ავტორი თავის შესედულებებს უფრო გაადრმავებს და სელასლა შეახსენებს მკითხველს. რატომ არის ეს სასურველი? დისკუსიამ საერთოდ თავი უნდა მოუყაროს და გაამთლიანოს საზოგადოებრივი აზრი ამა თუ იმ პრობლემაზე და ეს მიზანი უთუოდ ამართლებს ადრე გამოთქმული შესედულების დისკუსიის პროცესში ჩართვას.

ლადო ავალიანის მსრივ საგულისხმოა ერთი მძიმე საყვედური: ქართული დრამატურგიის განვითარებისათვის

ჯერ-ჯერობით მართლაც არ არის შექმნილი მინიმალური პირობები. ავტორი ზედმეტობადაც კი მიიჩნევს იდეალურ პირობებზე ლაპარაკს, რაკი მინიმალური არ არის მოგვარებული. საყვედური ანგარიშგასაწევია. საერთოდ არ იქნებოდა ურიგო, თუ ამ კონკრეტული საწუსარის ყველა საკითხს ჩამოვაყალიბებდით და მათ დასაძლევად რადიკალურ ღონისძიებებს გავატარებდით.

მაგრამ ის, რაც კონკრეტული ნაბიჯებიდან იწყება, მიზნად სწორედ დიდი შემოქმედებითი გზის გავლას უნდა ისახავდეს და ამიტომაც ვერ დავეთანხმები ლადო ავალიანს მცირედით დაკმაყოფილების „მოწოდებაში“. მის წერილში აქცენტი პირობების გაუმჯობესებაზეა გადატანილი და არა დიდი სიმაღლეებისაკენ მოწოდებაზე. მაგრამ ეს უკანასკნელი დღეს არ არის უბრალო მოწოდება — იგი ქართული ლიტერატურის პრეტენზიაა დრამატურგიის მიმართ.

ერთი წუთითაც არ მინდა მაგალითების დასახელებით ან მკითხველს ან პოტენციურ მოკამათეებს გაქვავებული არგუმენტების შთაბეჭდილება შეექმნეთ. მაგრამ მეჩვენება, რომ ქართულ დრამატურგიას იშვიათად ვუპირისპირებთ მსოფლიო დრამატურგიის დონეს და ნაკლებ ვფიქრობთ იმ უზარმაზარ განსხვავებაზე, რომელიც ჩვენს სასარგებლოდ არაფერს ამბობს. გამოსასვლის ფორმები, სერხები, სტილი — ყველაფერი მოძრაობს და ვითარდება თანამედროვე დრამატურგიაში... და, პარალელურად, არც ერთი მათგანი არ იძვრის ქართულ პიესებში. ჩვენს შემოქმედებით პროცესში ვერ დავაკანონეთ შინაგანი წყურვილის ნება: დროის შესატყვისი პრობლემების, მსოფლიო მასშტაბის სულიერი მოვლენების, ეპოქის აზრის გამოსატყა დრამატურგიაში. ახალი ფორმების აღმოჩენა და ახალი სტილის „დამკვიდრება“ — აი, რა უნდა არეგულირებდეს ფანტაზიას მწერლისას, როდესაც იგი პიესაზე ფიქრობს.

ვისაც კი ღრმად დააინტერესებს ქართული კულტურის, კერძოდ, ლიტერატურის მსოფლიო ასპარეზზე გატანის პრობლემა, ერთ გარემოებას უთუოდ შენიშნავს: ჩვენს უურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ ინფორმაციებს ყური რომ ვათხოვოთ, ისეთი იდეალური სურათი დაისატება, რომ კმაყოფილი ქართველი უფლებამოსილია ფეხი ფეხზე გადადებული რამდენიმე საუკუნის მანძილზე ყალიონს ეწეოდეს და ტკებოდეს ქართული გენიის ტრიუმფით მსოფლიო გზებზე. რას გვეუბნებიან ეს ინფორმაციები? ეს ინფორმაციები გვეუბნებიან, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიოს ყველა საღისის სულიერ საგანძურში შევიდა, როგორც უდიდესი წიგნი, რომ ბრათაშვილმა განაცვიფრა რუსეთი, საფრანგეთი, გერმანია და ინგლისი, რომ მსოფლიოს მშვიდობის საბჭოს დადგენილებით აღინიშნა რუსთაველის, ბრათაშვილის, ვაჟა-ფშაველას დაბადების დღეები და ყველა ქვეყანამ იზეიმა ეს მნიშვნელოვანი მოვლენა. ეს ინფორმაციები გვაწვდიან უცხოელი სპეციალისტების მაღალ შეფასებას ჩვენი ლიტერატურული ძეგლისას. ეპითეტები, საზომები იმდენად მასშტაბურია, რომ განცდისაგან კარგა ხანს გაბრუებული დადიხარ ადამიანი. ბუნებრივია, გულით გიხარია მსოფლიო ასპარეზის დაპყრობა შენი ქვეყნის დიდი შვილისაგან. გიხარია მსოფლიო აღიარება, რომელიც დიასაც დამსახურებულია თავისი არსით. ამაში ვის შეიძლება ეჭვი შეეპაროს. ახლა ინფორმაციების მწკრივს გააყოლეთ თვალი, ერთმანეთს გადაბმულნი, ისინი ქმნიან კიდევ უფრო იდეალურ სურათს — ჩვენი სულიერი ცხოვრების კონტაქტი დანარჩენ კულტურულ მსოფლიოსთან, თუ ამ სურათს დავუჯერებთ, მაქსიმალურად მოწესრიგებულია.

ჩვენ არათუ აქტიური მონაწილენი ვართ ამ უზარმაზარი პროცესისა, არამედ ვქმნით მასში ერთ-ერთ დიდ მდინარებას, რომლის გარეშე ცივილიზებულ ქვეყნებს ეს პროცესი ვერც წარმოუდგენიათ!

ზოგი რამ მართლაც მშვენიერად გაკეთდა. ჩვენი კოლოსალური პოეტური სამყაროს რამდენიმე ნიშანი მართლაც

კარგად შეიცნო ასევე რამდენიმე ქვეყანამ. პეტრე იბერიის პრობლემის თუნდაც დასმა მსოფლიო მასშტაბით, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი რუსულად, ვაჟა-ფშაველას პოეტური ქვეყნით დაინტერესება რუსეთში, ბარათაშვილის პასტერნაკისეული თარგმანები...

მაგრამ ჩვენი ქვეყნის წარსულსა და აწმყოს, ქართველი სალსის დიდ შემოქმედებით პოტენციას აშკარად არ შეჰფერის თვალს იბრმავებდეს ინფორმაციების თვალისმომჭრელი ელვარებით და გაცნობიერებული არ ჰქონდეს, რა ხვედრითი წონა აქვს სინამდვილეში ქართული კულტურის და, კერძოდ, ლიტერატურის ძეგლებს მსოფლიოს სულიერი ცხოვრების საგანძურში, რა ადგილი უჭირავს მას ვეებერთელა რუქასე. გაცნობიერებული უნდა გვქონდეს, რათა შემდგომ ნათლად დავადგინოთ, სინამდვილეში რა ადგილის დაკავება შეგვიძლია ამავე რუქასე.

ინფორმაციები რეკლამის შინაარსს არ უნდა იძენდნენ. ინფორმაციამ ზუსტი ცნობა უნდა მოგვცეს, სად რა გაკეთდა, სად რა ითარგმნა, სად რა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ქართულმა ლიტერატურამ, თანაც ისეთი სიზუსტით უნდა ითქვას ყველაფერი, რომ მკითხველს წარმოდგენა არ შეექმნას — ასლა მართო ავსტრიაში კი არა, მთელ მსოფლიოში ასე ლაპარაკობენო. ღმერთმა ქნას, ასე იყოს, მაგრამ ასე არ არის და სინამდვილეში კი კმაყოფილნი და მოშვებულნი, ელვარე ცნობებით გაბრუებულნი არავითარ აუცილებლობად არ ვისახავთ თავგამოდებულ ზრუნვას ჩვენი საუნჯის მსოფლიო არენაზე ჭეშმარიტი გატანისათვის. გეგონია თითქოს „რისინ-რისინით“ მიქრის ჩვენი კულტურა უსასრულო გზებზე და მთელი მსოფლიო მის დიდებულ ხელას აღფრთოვანებით უცქერის.

სინამდვილეში: „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ჩვენს წარმოდგენებში იმავე ინფორმაციების წყალობით მსოფლიოს ყველა ქვეყანამ აღიარა და თარგმნა თავის ენაზე, მსოფლიო ლიტერატურის ენციკლოპედიებში დღემდე არ არის შეტანილი, ან თუა შეტანილი, როგორც ერთი რიგითი ლიტერატურული ძეგლი. სინამდვილეში, ჩვენს გარდა, არც ერთ ქვეყანაში არ არის აღიარებული რუსთაველი დანტე ალიგიერის

ბადალ პოეტად. ასევე არსად არ დაუყენებიათ იგი პეტრარკასა და გოეთეს გვერდით, შექსპირისა და მილტონის გვერდით. არც ინგლისში, არც საფრანგეთში, არც იტალიაში, არც გერმანიაში... არც აფრიკაში. არ იმართება საერთაშორისო ლიტერატურული კონფერენციები რუსთაველის რენესანსული იდეების შესასწავლად. სამაგიეროდ იმართება ალიგიერის, პეტრარკას, შექსპირის, დოსტოევსკის, თომას მანის მემკვიდრეობის შესასწავლად.

სინამდვილეში არც გერმანულ, არც ფრანგულ, არც ინგლისურ ენებზე რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ბრწყინვალე თარგმანი არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ამბავი — „ვეფხისტყაოსნის“ ზღაპარი! ზღაპარი კი მსოფლიო ლიტერატურამ უკეთესი შინაარსისა იცის. ზღაპარი და სიუჟეტი რუსთაველის ღირსება არ არის.

სინამდვილეში: მხოლოდ რამდენიმე ლექსია ბართაშვილისა რიგიანად თარგმნილი რუსულ ენაზე. იმგვარად არის თარგმნილი, რუს მკითხველს რომ შესძრავს. სხვაგვარ თარგმანს თარგმანს ნუ ვეძახით. სხვაგვარ აღიარებას აღიარებას ნუ ვუსმობთ. არც მშვიდობის საბჭოს გადაწყვეტილებით გადახდილი იუბილეების გამო აკერია ჩვენი მწერლობა მსოფლიო ლიტერატურას ბაგეზე. ჩაიარა იუბილემ და ჩაქრა დიდებაც. ჩვენი მწერლობით არ ცოცხლობს საზღვარგარეთელი მკითხველის ლიტერატურული ინტერესი, დანტე ალიგიერით კი ცოცხლობს. ჩვენ დავივიწყეთ, რომ ერთი და ორი ფაქტი კიდევ არ ნიშნავს აღიარებას, კიდევ არ ნიშნავს გავლას, კიდევ არ ნიშნავს მსოფლიო პანთეონში დამკვიდრებას.

როდესაც ინფორმაციების და ინფორმაციებით მოწვდილი უცხოელთა მოსაზრებების ციტირებას მოვახდენ, თქვენ ისევ დაგაუჭვებთ ჩემი „სკეპსისი“, ისევ იმედის თვალით და კმაყოფილებით აღსავსენი შესედავთ ცას. მაგრამ ასევე კონკრეტულად იქნება საჭირო სინამდვილის სურათის წარმოდგენა და დაინახავთ, რომ ჩვენი სიხარული ნაჩქარევი ყოფილა. გასაკეთებელი თითქმის მთლიანად წინ არის: აქ აწმყოში და იქ მომავალში. ქართულმა კრიტიკულმა აზროვნებამ სწორედ ეს უნდა დაადგინოს. რამდენი ნაბიჯი და რამდენად ღირსეული ნაბიჯია გადადგმული სინამდვილეში და რა უნდა გაკეთ-

დეს კიდევ, რომ აღიარება აღიარებას ჰგავდეს, იმგვარი იყოს, ქართულ კულტურას მართლაც რომ შეჰფერის.

გზა მსოფლიო კულტურის არენისაკენ ია-ვარდებით არ არის მოფენილი. როგორც დაერწმუნდით, არ კმარა მსოლოდ შექმნა, თუნდაც ასე დიდებულისა. ჩვენს დროში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მსოფლიო არენაზე თვითდადგინების ფაქტორმა, ჩვენი ქვეყნის მთები და ველები, ჩვენი სალსის ძარღვები, გაუღენთილი სულიერი კულტურის მრავალსაუკუნოვანი წევნით, უკვე არ ჯერდება თავისთავში მოცემულ ინტელექტს და სიმდიდრეს. დანარჩენი მსოფლიოს კულტურულ პროცესში ცხოველყოფელი ზემოქმედებისა და მონაწილეობის უნარი გამოცდას მოითხოვს და საჭიროებს კიდევ. ამ უნარის გარეშე სვალ შეიძლება საკუთარი ქვეყნის გეოგრაფიულ საზღვრებშიც ვერ შეიქმნას თუნდაც მსოლოდ შენთვის საინტერესო სულიერი პროდუქცია. თვისებები, რომლებიც საჭიროა მსოფლიო კულტურულ ცხოვრებასთან ღირსეული კონტაქტისათვის, საჭიროა აგრეთვე საკუთარი შემოქმედებითი გენიის ასამოძრავებლად. სვალ უფრო დიდი იქნება ამ ფაქტორის შინაარსიც და მისი ენერჯიაც სხვა ძალით შეგვახსენებს თავს.

მაგრამ გზა მსოფლიო კულტურის არენისაკენ ია-ვარდებით არ არის მოფენილი. ამ გზის გასაველელად იმოდენა სისხლია გასაღები, შექმნას რომ დაჭირდა აქამდე. ჩვენ ზემოთ ტკივილი გამოვსატეთ იმის გამო, რომ „ვეფსისტყაოსანი“ შესაფერისად არ არის აღიარებული. როდესაც ფიტცჯერალდმა ინგლისურენოვან სამყაროს ომარ ხაიამი აღმოუჩინა, ეს ფაქტი იქცა მსოფლიო კულტურის დღესასწაულად. რამ უშველა ომარ ხაიამს? განა ლიტერატურისმცოდნეებმა მანამდე არ უწყოდნენ, რომ ომარ ხაიამი დიდი პოეტი იყო? ყოველი მისი ლექსის სათქმელი იცოდნენ, ყოველი ნიუანსი. ათასგვარი ლიტერატურული წყაროდან ჰქონდათ შესწავლილი დიდი აღმოსაველელი პოეტი და იმ ნაშრომებსაც, იმ კომენტარებსაც, ომარ ხაიამის მანამდე თარგმანებსაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. ყველაფერი ეს ლანდილა აღმოჩნდა თვით ომარ ხაიამის ლექსების ბრწყინვალე თარგმანებთან შედარებით. აქამდე იცოდნენ, რომ ომარ ხაიამი

დიდი პოეტი იყო, სჯეროდათ ეს და ემოწმებოდნენ სპეციალისტებს. ახლა ომარ ხაიაშის პოეტური სამყაროს მადლი, გემო იგრძნეს ჭეშმარიტი თარგმანით; ომარ ხაიაშმა ინგლისურ ენაზე დაიწყო სიცოცხლე. მისი კითხვა შინაგან მოთხოვნილებად იქცა. მთელი მშვენება და სილამაზე პოეზიისა, უშუალოდ ყოველგვარი ნაშრომისა და კომენტარების გარეშე განიცდებოდა და ომარ ხაიაში ინგლისურენოვანი ხალხების სულიერ ცხოვრებაში იღებდა ბინას. ამიერიდან იგი განუყრელი ნაწილი ხდებოდა ამ ხალხის ცხოვრებისა. ინგლისურენოვანი სამყარო კი თავისთავად ნიშნავს მსოფლიო არენას. ნაშრომები, რაც აქამდე წაეკითხათ, კიდევ უფრო სარწმუნო გახდა. ომარ ხაიაშის პოეზია თავისი მშვენიერი ფუნქციით აქტიურ მონაწილედ იქცა მსოფლიო კულტურული ცხოვრებისა. მას უკვე აღარ ჭირდებოდა შუამავალი თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოსთან. არქივის მასალასავით ვეღარ დაიმოწმებდნენ, მარტოდენ ლიტერატურის ისტორიის ფაქტად ვერ მოიხსენიებდნენ. თავისი მძლავრი სიმებით ის გაიბრჯნა თანამედროვე ადამიანის სულიერ სისტემაში და აუღერდა. ვერ ვიტყვი, რომ ასევე ბრწყინვალედ იყოს თარგმნილი რუსთაველი რუსულ ენაზე, კარგად თარგმნილი კი უთუოდ არის. და ესეც კი საკმარისი აღმოჩნდა მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა ინტერესების დასაპყრობად. ამ თარგმანებში არის რამდენიმე შესანიშნავად გამართული ადგილი, რომლის კითხვა უბრალოდ ლიტერატურის მოყვარულისათვის ესთეტიკური სიამოვნების წყაროდ იქცევა. და ამიტომაც ასე ხშირად მიაშურებს სოლმე ამ წყაროს. არ შეიძლება არსებობდეს განათლებული თანამედროვე მკითხველი საბჭოთა კავშირის ხალხებში და განსაკუთრებით არ შეიძლება არსებობდეს რუსი მკითხველი, რომელსაც სულიერი საზრდოს ძიების წყურვილით არ აედოს ზაბოლოცკისა და ნუცუბიძის მიერ შესრულებული თარგმანები ხელში. ვიმეორებ, მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ რუსულ ენაზე ჯერ კიდევ არ არის ისე თარგმნილი, როგორც უნდა იყოს. არ არსებობს ქართველი წიგნიერი კაცი, ვისაც უდიდესი ვნებით, უდიდესი შინაგანი დაძაბვით, მოლოდინით, გატაცებით არ ეკითხოს მაჩაბლისეული თარგმანი შექსპირის ტრაგედიებისა.

მანაბლის შექსპირი, ნურავის გაუკვირდება აქ თქმული, ღირსეულად — რუსთაველის, ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, აკაკის, გალაკტიონის — თანაბრად იღვწის ქართული სულის აღზევებისათვის, გრძნობების გაფაქიზებისათვის, აზრის გარმავეებისათვის. იბრძვის, მონაწილეობს, ცოცხლობს და მოქმედებს. მე არ ვგულისხმობ შექსპირის თეატრალურ სიცოცხლეს, ვგულისხმობ მას, როგორც წმინდა ლიტერატურას, წასაკითხ პოეზიას. შეუძლია ასევე „ვეფხისტყაოსანს“ რენესანსული იდეებით აავსოს ინგლისურენოვანი, გერმანულენოვანი ქვეყნების ლიტერატურათა ცა? არ შეუძლია იმიტომ, რომ ამ ქვეყნებს არ შეუძლიათ იგრძნონ მისი პოეზიის სილამაზე, ეზიარონ მის კოსმიურ მასშტაბებს:

ესე შეფისა პასუსი ერთი კელაჲ ჰკადრა მონამან,
სსუჲან პქრის მისი გონება მისმა თავისა წონამან,
არცა დაადლო ტირილი, არც არა გაიგონა მან,
არცა დახია ბაგეთად საყი ვარდისა კონამან.

ამ სტრიქონების ქსოვილს დავაკვირდეთ. რაოდენი გახვევა მწუსარებისაგან, რა სულიერი მდგომარეობაა დახატული, როგორ ყრუვდება მოხმაურე ქვეყნის მიმართ სიყვარულის ლარზე მოჭიმული რაინდის არსება, როგორ სურათივით აიძვრება სასე თქვენს წინ.

თუ ამავე მსატერული არსენალით არ შესძრა თარგმანმა უცხოელი მკითხველის ცნობისწადილი, რა ფასი ექნება მისთვის ამ სტროფში მოქცეულ ამბავს: ტარიელი ისე ტიროდა, რომ მონის დაძახილი ვერ გაიგოვო. რა ფასი აქვს ამ ამბავს, რა ესთეტიკური ღირებულება? პოეტური სინტაქსი ესთეტიკური შრეების ასაშლელად არის აუცილებელი და ეს პოეტური სინტაქსი არ უნდა დაიკარგოს. ამ მოთხოვნის დონეზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ იქნებოდა უკვე არა ლიტერატურის ისტორიის ძეგლი, მარადიული ადამიანური ვნებებისა და ზნეობრივი კრიტერიუმების ცოცხალი ქვეყანა და ამ ქვეყანას მიაშურებდა მსოფლიო ლიტერატურის მღუღარე პროცესი, როგორც თავის ორგანულ ნაწილს, რამეთუ მსოფლიო ლიტერატურისთვის არ არსებობს ზედმეტი შედეგები,

მკვდარი ქმნილებების სივრცეები, გაქყავებული ნიშანსვეტი-ბის მწკრივი. სოლო უცხო ენაზე მთელი ლამაზი არსით წარმომდგარი შედევრი მისი შუადინებაა მუდამ, შუადინება და არა ნაპირის თავთსელი წყალი, გუბედ ქცევისკენ რომ არის მიდრეკილი. უძველესი ლიტერატურული შედეგებიც კი მითოლოგიურ ცხოველყოფელობას იძენენ ლიტერატურისათვის და ამ დროს „ვეფხისტყაოსნის“ ფეთქებადი სულიერი ცხოვრება როგორ შეიძლება აკლდეს მსოფლიო პროცესს.

გზა კი ნარეკლიანია. ამ გზამ უნდა იაროს სერიოზული ღრმა გამოკვლევების გავლით, მშვენიერი ანალიტური წერილების შუქში, ზუსტი კომენტარების ქვაფენილზე და მანამ უნდა იაროს, სანამ უცხოელთა გულისყური საუკეთესო ძალებს არ დააბანდებს რუსთაველის პოეზიის სათარგმნელად, სანამ არ აღმოუჩენს თავის სალხს ამ უცხო მატერიკს. ამიტომ არის აუცილებელი ღრმა გამოკვლევები.

რა უნდა იყოს ამ აზრში სადაო. მსოლოდ ერთი რამ — სათქმელად არის ეს იოლი(!) და საქმნელად ძნელი. მაგრამ ჩენი არსებობის აზრი სწორედ ამ უღელტეხილზე უნდა გამართლდეს და დადგინდეს: რას ვეპირებით — ვუცადოთ და ვუმზიროთ, როგორ თანდათან, თავისით გაირკვევა ყველაფერი? თუ დღედაღამ ვეძიოთ ყველა ის ფორმა, რაც მსოფლიო ლიტერატურას დაუგროვებია და ვეძიოთ ამ ფორმების გზა, რომელიც ქართულ სულიერ კულტურას გააცსადებს დიდ არენაზე. ეს გზა მარტო იქით მიმართული გზა როდია, ჩვენგან გაწაღდულ გზაზე უზარმაზარი სულიერი ცხოვრების მდინარე თავისთავად დაიძვრის აქეთაც.

„რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში“

ანუ

„ვეფხისტყაოსნის“ გზა

„ვეფხისტყაოსნის“ ქართველი ხალხი შესცქერის, როგორც მაღალ ადგილას დანთებულ ღია სანთელს, რომლის

შუქიც ტაძრის ყოველ კუნჭულს სწვდება. და თუ რამეს უფ-
ლიდა რუსთაველის შთამომავლობა, უფლიდა ამ პოემას. აქ
სიტყვას არ გავაგრძელებ, რატომ და რისთვის. გაფიქორებ
მხოლოდ მრავალგზის თქმულს: „ვეფხისტყაოსანი“ იყო ქარ-
თველი ხალხის სულიერი პოტენციის, მისი არსის სრულყო-
ფილი გამოსატულება. ერის სულიერი ცხოვრების ნაყოფი
ასალ სასიცოცხლო ენერგიას უკანვე უბრუნებდა ისტორიის
ქარაფებზე გადაჩეხილ ქვეყანას. და გასაკვირი არაფერია, თუ
ამ პოემას დაუკავშირდა ქართული კაცის ყველა იმედი,
რწმენა და განწყობილება. ამიტომ ქართული ხალხი უპირ-
ველეს ყოვლისა „ვეფხისტყაოსანს“ უწვლიდა. დაწყებული
სელნაწერის გადარჩენიდან შთამომავალი მისხალ-მისხალ-
წონიდა „ვეფხისტყაოსნის“ ბედსა და იღბალს, ამოწმებდა მის
სიცოცხლისუნარიანობას და ზრუნვას არ აკლებდა, რომ პო-
ემას მთელი თავისი ბრწყინვალეობით ენათებინა. ის ასამდე
სელნაწერი, რომელიც აქამდე შემოგვრჩა, ცხადია, უმნაშენე-
ლო ნაწილს წარმოადგენს ფაქტიურად არსებული სელნაწე-
რების რიცხვისა. სელნაწერთა შესრულების მაღალი კულ-
ტურა კი თავისთავად მეტყველებს, როგორ სდებდა ქართველი
კაცი სულსა და გულს საყვარელ საქმეში. ვასტანც მეექვსემ
და სულხან-საბა ორბელიანმა პირველ წიგნად სწორედ „ვეფ-
ხისტყაოსანი“ დასტამბეს ასლადღაარსებულ სტამბაში. ეს
ფაქტი (უშუალოდ მეფის ინიციატივით შესრულებული ფაქ-
ტი!) აშკარად გვეუბნება, რომ ერის სულიერი ორიენტირის
არჩევანი რუსთაველის პოემა გასლდათ. აქ იყრიდა თავს ქვეყ-
ნის შინაარსის უმთავრესი ნიშნები და იგი გვევლინებოდა შე-
საკრებად სულიერი თვისებებისა. მასში ჩაბეჭდილი იქმნა
ერის ცხოვრების უმთავრესი საიდუმლო. ეს იმ დროს, რო-
დესაც მეფის არჩევანი სავსებით ბუნებრივად შეიძლებოდა
შეჩერებულიყო რომელიმე საეკლესიო თხზულებაზე ან სამე-
ფო კანონმდებლობის კრებულზე. ასლა მით უმეტეს არ არის
გასაკვირი, რომ ქვეყანამ ლიტერატურის უმაღლესი გვარის —
პოეზიის — უპირველეს გვირგვინში „ვეფხისტყაოსანში“ იგუ-
ლისხმოს თავისი არსებობის დადასტურებაც, თვითგამოსატ-
ვაც და მომავლისადმი რწმენაც.

იზრდებოდა დროისაგან მოტანილი საშუალებები და

სიერცე განფენილობისა. მრავლდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები. ჩნდებოდნენ ქართული ლიტერატურით დაინტერესებული პირველი უცხოელები, და უშალ, ცხადია, რუსთაველის პოემაზე მიუთითებდა ქართველი კაცი, სასაიებით, მოწიწებით შესთავაზებდა. თუ უცხოელს რაღაც იღბლად ენა ეცოდინებოდა, მაშინ აღარაფერი აფიქრებდა. თამამად გაუწვდიდა წიგნს, რადგან დარწმუნებული იყო, რომ პოემა „თავსარდამცემ“ შთაბეჭდილებას მოასდენდა. თუ არ ეცოდინებოდა რუსთაველის ენა, მაშინ ყოველ ღონეს ისძარდა, როგორმე ისე აესხნა უცხოელისთვის, მიასლოებით მაინც ეგრძნო პოემის მშვენიერება. საშუალებები მატულობდა, სიერცე ფართოვდებოდა. რუსთაველი ჯიუტად, წვეთ-წვეთობით აგროვებდა თავის თავყვანისმცემლებს არაქართველთა შორის. იგი ასლაც კი უმრავლესობისათვის მსოფლიოში უმდიდრეს, იღუმალებით მოცულ ქვეყანას ჰგავს, უზარმაზარ, მშვენიერ პლანეტად ეგულებათ ლიტერატურის ცის უსასრულობაში, რომელსაც ირგვლივ სხივგაუმტარი ბურუსი აკრავს; მაგრამ ფიქრს ის პლანეტა ეგულება და დაუინებით ესწრაფვის ბურუსს იქით გაღწევას. მრავლდებოდნენ თავყვანისმცემლები, ჩნდებოდნენ ქართველოლოგები — თითო-ორიღა ეწაფებოდა ქართულ ენას. ჩნდებოდა პირველი თარგმანები. პოემა ითარგმნებოდა ხან პროზად, ხან პოეზიად... იზრდებოდა რუსთაველით დაინტერესებული ქვეყნების რიცხვიც. განსაკუთრებით მეოცე საუკუნეში დაჩქარდა „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლიო არენაზე გასვლის პროცესი. პოემის შეცნობისა და აღიარების აუცილებლობა იგრძნო მრავალი ქვეყნის წარმომადგენელმა და საქმე მეტი სისწრაფით დაიძრა წინ. ამ საქმის დაგვირგვინების გზაზე — რუსთაველის შეცნობისა და სრული აღიარების გზაზე უმნიშვნელოვანესი ფაქტი იყო 1966 წელს მსოფლიო მასშტაბით ჩატარებული იუბილე „ვეფხისტყაოსნისა“. მსოფლიოს თითქმის ყველა ცივილიზებული ქვეყანა მონაწილეობდა ამ ზეიმში ამა თუ იმ ფორმით. ზოგი უშუალოდ ესწრებოდა რუსთაველის დღეებს ჩვენში, ზოგიც სპეციალური წერილით ან პოემის ასალი თარგმანით გამოეხმაურა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებას. დიას, როგორც ყველასათვის ცნობილია, მშვიდობის მსოფლიო

საბჭოს გადაწყვეტილებით მოელმა პლანეტამ იდღესასწაულა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი. ეს გასლავთ ჩვენი დროის მაღლი, სასელმწიფო ზრუნვის მასშტაბური გამოხატულება, რუსთაველის მეგლი დაიდგა მოსკოვში. განუსაზღვრელად გაისარდა ინტერესი პოემისადმი და ამას შემდგომ, წლების განმავლობაში, რამდენიმე ასალი თარგმანი მოჰყვა.

რუსთაველის გარშემო დაგროვილი უცხოელთა წერილები და სიტყვები ორ დიდ კრებულად გააერთიანა თბილისის უნივერსიტეტის რუსთაველის კაბინეტმა იმ მიზნით, რომ ნათელი წარმოდგენა გექონდეს რუსთაველის პოპულარიზაციაზე და ხელი მიგვიწვდებოდეს საზღვარგარეთელი ბეჭდვების შესედულებებზე. ეს ორი კრებული საყურადღებოა სხვა მხრივაც. იგი, როგორც მკაფიოდ დასატული სურათი, გვაძლავს ზუსტად განესაზღვროთ, რა გაკეთაღა დღემდე რუსთაველის შეცნობისა და აღიარების ცხაზე მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბით და რა უნდა გაკეთდეს მომავალში, რომ რუსთაველმა უშეღავათოდ, ბუნებრივად და ნამდვილად დაიჭიროს თავისი კუთვნილი ადგილი.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა გადაეყიციოთ პროვინციული სურვილების გამოთქმას — კერძოდ მოთხოვნას — რუსთაველი გვერდით ამოუყენონ უთუოდ ჰომეროსს, დანტეს, შექსპირს, გოეთეს...

რა თქმა უნდა, არაყინ იდავეებს იმაზე, რომ ეს მოთხოვნა თუ სურვილი ქართველი კაცისა გულისხმობს „ვეფხისტყაოსნის“ თვისობრივი სიმდიდრის დანახვის აუცილებლობას. იგი სწორედ უნივერსალურ პოეტურ შინაარსს ხედავს პოემაში და, ცხადია, გამაფრებული აქვს სურვილი ამ შინაარსით გრძნობდნენ და ხედავდნენ „ვეფხისტყაოსნის“ უცხოელნი. ჰომეროსისა და დანტეს გვერდით რუსთაველის დაყენების მოთხოვნაში ივარაუდება რწმენა და მინიშნება იმაზე, რომ რუსთაველის პოემის მხატვრული დონე ჰომეროსისა და დანტეს მერიდიანებზე უნდა ეძებოს მსოფლიო ლიტერატურამ. მაგრამ სანამ უნიკალური ღირსებებით აღჭურვილი თარგმანები არ შესრულებულა, მანამ ამ სურვილს მუდამ პროვინციალიზმის იერი დაჰკრავს და ერთგვრად შეურაცხმყოფელიცაა რუსთაველის მშობელი სალსისათვის.

ფაქტია, რომ პომეროსის, დანტიუს, შექსპირის, გოეთეს, ბაირონისა, თუ სხვათა გვერდით რუსთაყელის დაყენება სწორედ ქართველ ფილოლოგთა ნაშრომებშია შექმნილი. რამდენიმე უცხოელის სიტყვაშიც გამოიყენა ამ ტენდენციამ, მაგრამ აშკარად ეტყობა, რომ უფრო ჩვენი გულის მოსაგებად, ჩვენი სიამოვნებისათვის ითქვა ეს სიტყვა. ან თუ გულწრფელად ითქვა, იმ თითო-ორი ნათქვამს საერთო სურათში არავითარი ცვლილება არ შეუტანია. ჩემი აზრით, გეპარტიებს ამასე დაფიქრება. რუსთაყელის პოემის ჭკუშარიტი შეცნობისა და მსოფლიო აღიარების კურსი სხვაგვარ შრომას გვაუბლებს. იგი მოითხოვს კოლასალური ენერჯის გაღებას კონგენიალური თარგმანის შესასრულებლად, ფიტცჯერალდის ბადალი მთარგმნელის მოსაპოვებლად, რათა მსოფლიო კულტურას ჭორები და მითქმა-მოთქმა კი არ ესმოდას „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო და ვიწრო სპეციალისტების მიერ მინიშნებულ შუა საუკუნეების ძეგლს კი არ სედავდეს მასში, არამედ თავისი ხულიერი ცსოერების განუყოფელ ნაწილად განიცდიდეს პოემას ადეკვატური თარგმანის შემწეობით. ასეთი თარგმანის წყალობით, ცხადია, „ვეფხისტყაოსანი“ ცხოველყოფელ მონაწილეობას მიიღებს დღევანდელი კაცობრიობის ხულიერ ცსოერებაში და არ მოშორდება მსოფლიოს კულტურულ ცსოერებას, ვითარცა სამაგიდო წიგნი. როგორც არ შორდება პომეროსი და დანტი, პეტრარკა და გოეთე, რემბო და ბოდლერი, შექსპირი და ბაირონი.

გზა ამგვარი. შეცნობისა და აღიარებისაკენ გაჭრილია. მაგრამ სანამ გავაანალიზებდეთ, თუ რა ითქვა არსობრივად მნიშვნელოვანი, მანამ ყველა შეიშა და მშეიღობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით გადასდილ დღესასწაულსე წარმოთქმული სიტყვების, დღემდე შესრულებული თარგმანების წყალობით მოპოვებული შედეგი ენახოთ. ენახოთ, როგორ აისახა დასკვნაში მთელი პროცესი შოთა რუსთაყელის პოპულარიზაციისა. პოემის მრავალსაუკუნოვანი ავტორიტეტისა და კეთილშობილი უცხოელი მთარგმნელების დეაწლის საფასურად რუსთაყელი ჯერჯერობით მოხვდა მსოლოდ პოლონეთის, უნგრეთის, იტალიის, ბულგარეთის, საბერძნეთისა და შვეიცარიის მიერ გამოცემულ ენციკლოპედიებში. იქონია თუ

არა დადასტურება ცალკეულ წერილებსა და იუბილეს დღე-
ებში გაცხადებულმა აღფრთოვანებამ და მალალმა შეფასებამ
ენციკლოპედიის საბოლოო დასკვნებში? ჩანს ამ ენციკლო-
პედიათა შეფასებაში რუსთაველი ისეთ პაეტად, როგორაც
ჩვენ იგი გვესახება? როგორიც არის იგი სინამდვილეში?
ღვას იმათ გვერდით, ვის გვერდითაც წარმოვიდგენდით მუ-
დამ მას?

აი; რა არის ბქმული შემთდასახელებულ ენციკლოპე-
დიებში:

პოლონეთი:

რუსთაველი შოთა; ცხოვრების წლები უცნობი (მე-12—
13 ს. ს) — ქართველთა ყველაზე გამოჩენილი პოეტი, ავტორი
უდიდესი ეპოსის „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც მიძღვნილთა
თამარ მეფისადმი. მისი ნაწარმოები მიეკუთვნება მსოფლიო
ლიტერატურის შედევრთა რიცხვს და იითქოს ვეაცნობს
აღორძინების მოახლოებას. პოემის რომანტიკული, ეპიკური
სიუჟეტი მოიცავს ორი მეგობრის — ტარიელისა და ავთანდი-
ლის თავგადასავალს. ნაწარმოები შედგება დაახლოებით 1000
ოთხტაეპიანს სტროფისაგან. სტროფში ოთხი თექვსმეტმარ-
ცვლოვანი ტაეპია, რომელსაც ეწოდება შაირი. ვარდა კიდუ-
რი რიომებისა, გვსედება სშირი აღიტერაციები. ენა უბრალოა,
ამაეე დროს მდიდარი, უსეადაა აფორიზმები და მეტაფორები.
ეპოსი ბექდური სასით პირველად 1712 წელს გამოიცა თბი-
ლისში. თარგმნილია მრავალ ენაზე. პოლონური თარგმანები:
„ვეფხისტყაოსანი“ (1961 წ.) და ფრავმენტები, რომელიც
მოთავსებულია „ქართული პოეზიის ანთოლოგიაში“.

(1961 წ.).

უნგრეთი:

რუსთველი შოთა (მე-12 ს.) — ცნობილი ქართველი პოე-
ტი, ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი კლასიკოსი. მისი
რომანტიკული პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ფეოდალური კულ-
ტურის ბრწყინვალე ქმნილებაა. მასში ავტორი გვიჩვენებს
სამი მეგობრის თავდადებულ ბრძოლას, ამაეე დროს გვიხა-
ტავს რაინდობის, ვაჭართა ცხოვრების საინტერესო სურა-
თებს. სტილი აღმოსავლეთისათვის დამასახსიათებლად მდიდა-
რი და მრავალფეროვანია. პოეტი ძირს უთხრის სქოლასტიკას
და მიწიერი ცხოვრების მშვენიერების ქადაგებით რენესანსის

წინამორბედად იქცა ქართულ ლიტერატურაში. მისი თხზულება პირველად 1712 წელს დაიბეჭდა. ცნობილია უნგრელი მხატვრის მ. ზიჩის მიერ პოემისათვის შესრულებული ილუსტრაციები. პოემის ბრწყინვალე უნგრული თარგმანები ეკუთვნის შ. ვეიროშს.

იტალია:

I. რუსთველი შოთა—ქართველი პოეტი, რომლის სახელსაც უკავშირდება ქართველთა ეროვნული ეპოსი „ვეფხისტყაოსანი“. მისი პიროვნების შესახებ სარწმუნო არაფერი ვიცით. როგორც ჩანს, იგი ცხოვრობდა მე-12 საუკუნის ბოლოს და მე-13 საუკუნის დასაწყისში.

„ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს ქართული სარაინდო რომანის დასაწყისს და ამავე დროს ზენიტსაც. მისი ენის მუსიკალობა და ექსპრესიული ძალა შემდეგ აღარ განმეორებულა. პოემა დაასლოებით 1600 სტროფს შეიცავს. ყოველი სტროფი შედგება ოთხი თექვსმეტმარცვლოვანი ტაეპისაგან, რომლებიც ერთმანეთთან რითმითაა დაკავშირებული. თხრობა აღსაყვება ფანტასტიკური თავგადასავლებით, რომლებიც არაბეთიდან ჩინეთამდე მიმდინარეობენ. პოემა წარმოადგენს ჭეშმარიტი სიყვარულისა და რაინდული კეთილშობილების აპოლოგიას. რელიგიური მრწამსი, რომელიც მას აცხოველებს, არც წმინდა ქრისტიანულია და არც წმინდა ისლამური. სტილი მისი თანამედროვე სპარსული სარაინდო ლექსების გავლენას განიცდის. „ვეფხისტყაოსანი“ დღესაც დიდი სიყვარულით სარგებლობს ქართველ ხალხში. პირველად დაიბეჭდა თბილისში 1712 წელს. ეს გამოცემა მანამდე არსებულ ხელნაწერებზე უკეთესია. დღემდე არ არსებობს კრიტიკული გამოცემა, პოემა თარგმნილია მრავალ ევროპულ ენაზე. მათ შორის ორიგინალთან სიასლოვის თვალსაზრისით გამორჩევა უორდროპის ინგლისური თარგმანი პროზად.

(1936 წ.).

II. რუსთველი შოთა — ქართველი პოეტი, ცხოვრობდა მე-12 საუკუნის ბოლოს, თამარ დედოფლის ხანაში, ავტორი ეპიკური პოემის „ვეფხისტყაოსნისა“. ესაა ქართული ლიტერატურის შედევრი, ასახავს ისტორიულ ვითარებას, სამეფო

ქარის ჩევეებს, გეაცნობს ცხოვრების საინტერესო ეთიკურ მსოფლმხედველობას.

(1960 წ.).

ბულგარეთი:

რუსთველი შოთა (მე-12 ს.) — ქართველი პოეტი, ჰუმანისტი, ავტორი ეპიკური პოემის „ვეფხისტყაოსნისა“, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ქართული ლიტერატურის განვითარებაზე. რუსთველის პოემა ადრეული აღორძინების იდეების მატარებელია. უმღერის მიწიერ განცდებსა და აღამიანურ ენებებს, მისთვის უცხოა რელიგიური მისტიკა, მის საზოგადოებრივ იდეალს წარმოადგენს ძლიერი, ცენტრალიზებული მონარქია, რომელსაც სათავეში უდგას სამართლიანი და განათლებული ხელმწიფე.

რუსთველის მსოფლმხედველობა პანთეისტური და მატერიალისტური ნიშნების მქონეა.

პოემა გამოირჩევა მდიდრული ენით, დასვეწილი ხტილით, ვიღრთა მკაფიო დასასიათებითა და საზგასმული ლირიზმით.

(1967 წ.).

საბერძნეთი:

1. რუსთველი შოთა — იბერთა (ქართველთა) ყველაზე გამოჩენილი პოეტი შუა საუკუნეებისა. დაიბადა, როგორც საყოველთაოდ აღიარებენ 1172 წელს რუსთავეში — მტკვრის პირას მდებარე დაბაში. ზოგიერთი გადმოცემით, რომლებიც ჩვეულებრივ მოჭირილია, 1192 წელს სიბრძნის დასაუფლებლად გაიგზავნა ათენს, სადაც თითქოს მრავალი წელი დაჰყო. ცხოვრობდა საქართველოს დედოფლის თამარის (1184—1211) სასახლის კარზე. (თამარს) ხოტბა შეასხა პოემაში, რომელსაც ეწოდება „თამარიანი“. მისი მეორე პოემა „ვეფხისტყაოსანი“, ჩანს, სპარსულიდანაა გადმოკეთებული.

II. რუსთველი შოთა — უდიდესი პოეტი საქართველოს პოეტებში. დაბადებულია 1150 წლის მასლობელ ხანებში. ადრევე შეისწავლა სპარსული, არაბული, სომხური და ბერძნული. შემდგომ მოიარა საქართველო, მოიხილა ბიზანტიის იმპერია და განსაკუთრებით საბერძნეთი. სწავლისადმი მიწრაფებას ბეჯითად უერთებდა დიდ უნარს, შემართებას, ცხენოსნობაში სიმამაცეს, სსეულის მოსდენილობასა და ცხო-

ველჩოფელ ფანტაზიას. დაეუკაცებულმა ბედნიერების მწვერვალს მიაღწია საქართველოს ოქროს საწარმო — თამარის მეფობის დროს. მის გამგებლობაში მიიღო სასახლის მეჭურჭლეოუსუცესობა. მათი სასკელები (შოთასი და თამარისა) განუყოფელია ქართველთა ეროვნულ სინდისთან. (ეს სასკელები) საფუძვლად დაედო მრავალ პოეტურ გადმოცემას; ხალხურ სიმღერასა და ეპიკურ ქმნილებას. პოეტის პირადი ცხოვრება გახდა თემა დრამატულ თხზულებათა და საოპერო ნაწარმოებებისა, რომელიც შეთხზა კომპოზიტორმა დიმიტრი არაყიშვილმა (მოსკოვი-თბილისი, 1916—1918). მოკლე სასკელი შოთა გახდა სინონიმი ღრმა სიბრძნისა, დაუძლეველი სიმამაცისა, უზენაესი შთაგონებისა, სულის კეთილშობილებისა. (შოთას) სურათი მთავრდება საქართველოს ყოველ ქოსსა თუ სასახლეში ქვეყნის მფარველი წმინდა გიორგის სატის გვერდით. მისი ას ორი აფორიზმი წარმოადგენს ხალხური სიბრძნის უმთავრეს ანბანს, რომელიც განუწყვეტლივ გადმოიცემა სოლმე, ვითარც სახარების სიტყვები. დაწერილებითი ურთიერთობა (თამარ) დედოფალთან ცნობილი არ არის. ჩანს, მასზე უსასღვროდ შეყვარებულმა და (მათ შორის) არსებული სოციალური უთანასწორობით გაბოროტებულმა დაუბრუნებლად დატოვა თავისი სამშობლო. გარდაიცვალა 1225 წელს იერუსალიმში ბერად აღკვეცილი. დაწერა მრავალი ფილოსოფიური, თეოლოგიური, საბუნებისმეტყველო და ასტრონომიული შრომა, მაგრამ უპირატესად ცნობილია დიდი ეპოსით -- „ვეფხისტყაოსნით“, რომელმაც მსოფლიო სასკელი მოუსვეჭა, რაკიდა ქართველთათვის ენის კანონს წარმოადგენს. ამ ნაწარმოებმა უდიდესი გავლენა მოახდინა საქართველოს სულიერი აღორძინების საქმეზე.

(1933 წ.).

შევიცარია:

რუსთველი შოთა — მე-12 საუკუნის ქართველი პოეტი, გადმოცემის თანახმად თამარ მეფის მრჩეველი და მეჭურჭლეოუსუცესი. შემდეგ ბერად შემდგარა იერუსალიმში. დაგვიტოვა ქართული ეროვნული ეპოსი „ვეფხისტყაოსანი“ — რაინდული სიყვარულისა და კულტად ქცეული მეგობრობის

აშბანვი, რომელშიც შეინიშნება გილგამეშის ეპოსის მითიური ბირთვი.

(1967 წ.)

მსოფლიოს სსვადასსვა ენაზე გამოცემულ ენციკლოპედიებში რუსთაველზე მოწვედილი მეცნიერული ინფორმაციები თაბასის საშ გვერდზე ეტევა. ცხადია, აშან გაშაბედვინა მათი უკლებლივ გადმოწერა, სსვა შემთსევევაში გაუმართლებელი იქნებოდა დაუსრულებელი ამოსაწერები. მაგრამ, საწუხაროდ, ეს დაუსრულებლად ამოსაწერი არ არსებობს. თავისთავად მნიშვნელობას როდის არის მოკლებული ის ფაქტი, რომ პოლონეთის, უნგრეთის, იტალიის, ბულგარეთის, საბერძნეთისა და შვეიცარიის ენციკლოპედიებში მოსხედა რუსთაველის სასელი და გვარი. მაგრამ აშკარად მეტს მოველოდით. მეტს მოველოდით თუნდაც აშდენი სმაურისა და გამოსმაურებების გამო. მეტს მოველოდით, რადგანაც უცხოელთა სიტყვებითა და წერილებით ორი დიდი კრებული აივსო, ბევრი სასიამოვნო სიტყვა ითქვა. თითქოს ფართოა აღიარების მასშტაბი, თითქოს მაღალია შეცნობის სარისსა, დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს მშვიდობის საბჭოს გადაწყვეტილებით ჩატარებულ იუბილეს. რეშულტატი კი თითქმის უმნიშვნელო. პოლონეთის, უნგრეთის, იტალიის მეორე, ბულგარეთის, შვეიცარიის ენციკლოპედიები 1967 წელსაა გამოცემული, იუბილედან ერთი წლის შემდეგ. მართალია ენციკლოპედიას არ უყვარს ენაწყლიანობა, მაგრამ მის მკაცრსა და ზუსტ სტილში მით უფრო აშკარად ჩანს სოლმე რა ადგილი მიეკუთვნება ამა თუ იმ მწერალს, ნაწარმოებს, ისტორიულ ფაქტს. ენციკლოპედიებს შორის შედარებით სსვებთან პოლონეთის ენციკლოპედია არ მუნწობს. მასში ის მაინც არის აღიარებული, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მიეკუთვნება მსოფლიო ლიტერატურის შედევრთა რიცხვს“. სსვები საერთოდ სდუშან. კმაყოფილდებიან იმით, რომ რამდენიმე ცნობას, ზოგჯერ სწორსა და ზოგჯერ არაწუსტს გვაწვდიან რუსთაველის ბიოგრაფიისა და პოემის სტრუქტურის გარშემო. ენციკლოპედიაში მოსხედრა თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია, მაგრამ ამ მნაშენელობის სასდვრები თვით ენციკლოპედიის შიგნით განისაზღვრება ნიშანდობლივი

საზომებით. ამ საზომების მისივე კი რუსთაველი მიჩნეულია საყურადღებო პოეტად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად, შუა საუკუნეების სარაინდო პოეზიის წარმომადგენლად. არსად ამ ინფორმაციებში არ იგულისხმება „ვეფხისტყაოსნის“ რაღაც განსაკუთრებული, უნიკალური მნიშვნელობა მსოფლიო პოეზიისათვის, არ იგულისხმება პომეროსის, ღანტეს, პეტრარკას; გოეთეს, შექსპირის, ბაირონის სიმღერები. ინფორმაციების მისედევით პოემის შინაარსი დაყვანილია სარაინდო თავგადასაცემების აღწერასა და სიყვარულისა და კაცთმოყვარეობის იდეების ქადაგებამდე. ეს ზოგადი, უნივერსალურ შინაარსზე ნაკლებ მიმანიშნებელი განსაზღვრებაა; რომელიც მკითხველს პოემის განსაკუთრებულობაზე არაფერს არ ეუბნება. ასე შეიძლება დასასიათდეს შუა საუკუნეების ყოველი რიგითი „სარაინდო ნაწარმოები“.

ზემოთ ვთქვი, მოველოდით და გამაფრთხილებელმა ნიშანმა სწორედ აქ უნდა შეგვასვენოს ალბათ თავი. საოცარი ის კი არ არის, რომ ენციკლოპედიებში ასე ძუნწი ცნობებია რუსთაველზე, რომ უფრო მნიშვნელოვან ენციკლოპედიებში, რომელთა რიცხვი იმდენად დიდია, ეს სუთიოდ ენციკლოპედია სასხენებლადაც კი არ ღირს, რუსთაველი საერთოდ არ მოსვდა, არამედ ის, რომ ჩვენ მეტს მოველოდით. თურმე ნუ იტყვით, გაგვიკვირდა კიდევ ეს ფაქტი. საინტერესოა, რა კეებავს ჩვენს თვითდაჯერებულობას, თვითდარწმუნებას, რომ ამაზე მეტს მოველოდით, გაცილებით მეტს. საინტერესოა, რის საფუძველზე გაგვიჩნდა მეტის მოლოდინის გრძნობა. რა გაკეთდა ისეთი რუსთაველის შეცნობისა და აღიარების ძნელ გზაზე, რომ ყველა მწვერვალი უკვე დალაშქრულად წარმოვიდგინეთ და თავი დავირწმუნეთ, რუსთაველი მთელმა მსოფლიომ აღიარაო. ერთობ დიდ ფასს სომ არ ვადებთ ჩვენ მიერ დასარჯულ შრომას, გაღებულ ენერგიას? სინამდვილეში სად ვდგავართ, რომელ საფესურზე შევდგით ფეხი და რამდენი საფესურია კიდევ ასაელელი? არ შეიძლება ეს კითხვა არ აწვალებდეს ყოველ ქართველს, ყოველ რუსთაველოლოგს, განსაკუთრებით ყოველ მწერალს! ამისათვის, პირველ ყოვლისა, საჭიროა იმაში გავერკვეთ, დღესასწაულის თავბრუ-

დაძმვევ პათეტიკურობასა და სინამდვილეს შორის რა მან-
ძილია.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით მარ-
თლაც უზარმაზარი საქმეები კეთდება. დღეისათვის ვაკეთე-
ბული საქმეების რიცხვი იმდენად გაიზარდა, რომ მათი
ჩამოთვლა ალბათ გაჭირდება კიდევ. მართო უკანასკნელ
თხუთმეტ წელიწადში რამდენიმე ქართველი მწერლის იუბი-
ლე ჩატარდა მსოფლიო მასშტაბით. ამის დაუნახაობა იქნებო-
და არა უბრალოდ უმადურობა, არამედ ღირსებას მოკლებუ-
ლი უმადური ადამიანის კაპრიზი. მშვიდობის მსოფლიო
საბჭოს კურსი ნათელია, გამჭვირვალე. იგი მიზნად ისახავს
მსოფლიოს საღსების მიერ დაგროვილი სულიერი კულტუ-
რის სრულ გამომსუკურებას. აღნიშნულ კრებულში „რუსოვე-
ლი მსოფლიო ლიტერატურაში“ ამის შესახებ სავანგებოდ
არის მინიშნებული რამდენიმე ადგილას. კერძოდ, ჩეხოსლო-
ვაკიის ოფიციალურმა პრესამ („რუდე პრავომ“) აღნიშნა:
„მსოფლიოს მშვიდობის საბჭოს ერთ-ერთი ყველაზე საყუ-
რადღებო ტრადიცია ის არის, რომ საღსმრავალი ერების
კულტურის წარმომამადგენლებთან ერთად (დანტე, სერვან-
ტესი, გოგოლი, შექსპირი) ყურადღების მიღმა არ რჩებიან
ჩვენი პლანეტის ეგრეთწოდებული პატარა ერთა კულტურისა
და მეცნიერების მოღვაწენი. ამით მშვიდობის საბჭო ღიდად
უწყობს სეღს მათ კულტურათა ფართო პოპულარიზაციას და
გარღვევას „ევროპოცენტრიზმის“ იმ ვიწრო ტენდენციებისა,
რომელთა მიმღეეარნი ღაღადებენ – მსოფლიო კულტურის
ცენტრი ევროპაში მღებარეობსო.

მშვიდობის საბჭოს ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებად გვესა-
სება მისი გადაწყვეტილება მსოფლიო მასშტაბით აღნიშნუ-
ლიყო დიდი ქართველი კლასიკოსის შოთა რუსთაველის
დაბადების 800 წლისთავი“.

ყოველ იუბილეს, ყოველ დიდსა თუ მცირე დღესასწაულს
თავისი საზეიმო განწყობილება ასღავს. საზეიმო განწყობი-
ლება ბიძგს აძღვეს პათეტიკურ გამოსეღებს, ზომას გადაცი-
ლებულ სოტბას. ქება-დიღება, პათეტიკა შეენის კიდეც
დღესასწაულს, მით უმეტეს, თუ სტუმარი გულწრფელად
მიესაღმება შენს დღესასწაულს. კრებულში „რუსთველი

მსოფლიო ლიტერატურაში“ წერილების უმრავლესობა, საიუბილეოდ წარმოთქმული სიტყვები და საიუბილეოდ გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ შესავალია. მათ ქვეშ დასმული ოარიღი 1966 ან მომდევნო წლები 1967, 1968, 1969 წ. სულ იუბილეს ვნებათაღელვით არის დამუსტული. იუბილეს დანიშნულება სწორედ ეს იყო — მსოფლიო საღსებისათვის გაეცნო გენიალური ნაწარმოები და მისი შემქმნელი ავტორი. და ეს არის სწორედ ის წინ გადადგმული ნაბიჯი, რაც რუსთაველის 800 წლისთავის აღნიშვნას მოჰყვა. თუ მსოფლიოს მშვიდობის საბჭოს გადაწყვეტილება არა, ეს სიტყვები; ეს წერილები არ გვექნებოდა, ან თუ დაიწერებოდა; დაიწერებოდა თითო-ორთა რომელიმე უცხოელი ქართველოლოგის მიერ, როგორც სდებოდა რუსთაველის იუბილეს გადასდამდე. მაგრამ იუბილესათვის დამასახსიათებელი პათეტიკურობა, თუნდაც გულწრფელი, ჩვენ მეცნიერულ ჭეშმარიტებაში არ უნდა აფურიოთ და იუბილეს დღეებში თვით სტუმართა მსრივაც რამდენჯერმე განმეორებული ფრაზა — „საერთაშორისო აღიარება“ უკვე დაგვირგვინებულ საქმედ არ უნდა მივიჩნიოთ. იქნებ პოტენციურ მოკამათეს გაუჩნდეს კითხვა — ვინ და როდის მიიჩნია საქმე დაგვირგვინებულადო. მას შეუძლია გადაშალოს ჩვენი ჟურნალ-გაზეთები და უამრავ ინფორმაციას წაიკითხავს იმის შესახებ, რომ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიოს ყველა ერის საკუთრება გასდა და მათი სულიერი ცხოვრების განუყრელ ნაწილად იქცა.

იუბილესე ითქვა ერთი-ორი სრული გულწრფელობით აღბეჭდილი სიტყვა, რომელთა ავტორებს შეგრძნობილი აქვთ „ვეფხისტყაოსნის“ უნივერსალური პოეტური შინაარსის მნიშვნელობა მსოფლიოს კულტურისათვის და მათ თვალში ეს პოემა და მისი ავტორი მართლაც დგანან მსოფლიო ლიტერატურის გიგანტების გვერდით.

პოლონელი მწერალი ი. ტუვიმი საქვეყნოდ, ხმამაღლა აცხადებს:

„ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო ეპიკური პოეზიის ერთ-ერთი უდიდესი შედეგია. მისი ავტორი — შოთა რუსთაველი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მე-12 — 13 საუკუნეთა მიჯნაზე. სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება არავითარი ბიოგრაფიუ-

ლი ცნობები ამ ჭეშმარიტად გენიალური პოეტის შესახებ“. მანვე ლექსი მიუძღვნა რუსთაველს, რომელშიც კვიციანის სახელს ახეთ სტრიქონებს:

„პროფესორებს, რომლებმაც დანტე
შენაშნეს მსოფლივ,
ეოხო, ყურადღება მიაქციონ
შოთა რუსთაველს — მე მასზე ვმღერი“.

მეორე პოლონელმა მწერალმა ი. საგურსკიმ თავის სიტყვაში, რომელიც დათარიღებულია შემდეგნაირად—„რენესანსის კავკასიური რგოლი“, ყურადღება მიაქცია რუსთაველას ქვეყნის უძველეს კულტურასაც, იმ ბაზისს, რაზედაც „ვეფხისტყაოსანი“ აღმოცენდა:

„საქართველოს ამ დროისათვის უკვე ჰქონდა საძირკვე-წლოვანი ეროვნული კულტურა, რომელიც სისხლსორცეულად და მითებით იყო მონათესავე სმელთაშუაზღვისპირეთის კულტურისა. ახეთია მითები პრომეთესე თუ მედეასა და იაზონსე. ქრისტიანობის მიღებისთანავე საქართველოს აქეს საკუთარი თავისებური დამწერლობა“.

უნგრელი შ. იშტვანოვიჩი:

„მე-12 საუკუნის ქართული კლასიკური ლიტერატურის შედევრის, მსოფლიო ლიტერატურის გენიალური ქმნილების, რუსთაველის ეპოპეის შესახებ ყველა ასალ ცნობას, თუნდა უმცირესსაც, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. თუ ქართველები სამართლიანად ამაყობენ თავისი დიდი შვილის, ამ დიდი სელოვანის ნაშრომით, მისი თარგმანი ერთგვარად გააბრწყინებს ყველა ერის კულტურას. ჩვენც, უნგრელებიც, სწორედ იმით ვამაყობთ და ვართ უფრო მდიდრებიც, რომ მოგვეპოვება „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი და მას კვიციანის მშობლიურ ენაზე“.

უნგრელი დ. იეში:

„მასარებს შოთა რუსთაველის იუბილე, მასარებს ის საერთაშორისო აღიარება, რასაც სამართლიანად იმსახურებს შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილება. იუბილეზე, ჩვენ, მრავალი ქვეყნის წარმომადგენლებს, საშუალება მოგვეცა, ასლოს გავცნობოდით ერთმანეთს, გვესაუბრა რუსთაველის

პოეზიაზე, თანამედროვე მწერლობის აქტუალურ საკითხებზე. მწერალთა და მეცნიერთა ასეთი დიდი ფორუმი ხელს შეუწყობს სსვადასსვა ქვეყნის ხალხთა დაახლოებასა და მათ შორის ურთიერთმეგობრობის, სიყვარულის განმტკიცებას“.

დანიელი ნ. ბორი:

„მე ვიტყვოდი, რომ საქართველო პოეზიის ქვეყანაა. საქართველოში გამომგზავრების წინ ერთსელ კიდეგ გადავიკითხე შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ასეთი გამოჩენილი ადამიანით ერს ჭეშმარიტად შეუძლია იამაყოს. მე ვიტყვოდი, რომ ასლა ტარდება დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას იუბილე. მისი ნაწარმოებებიც გადავიკითხე (რასაკვირველია ის, რაც თარგმნილია ინგლისურ ენაზე) და ერთსელ კიდეგ დავრწმუნდი, რომ ასეთ პატარა ქვეყანას, როგორც საქართველოა, უდიდესი პოეტები ჭყავს“.

დანიელი ჰ. შერფიგი:

„ქართული ენა თითქოს საგანგებოდ პოეზიისათვისაა შექმნილი. ესაა ენა შოთა რუსთაველისა, ენა თამარის ეპოქის მწერალთა და ფილოსოფოსთა. ამ დიდებული მანდილოსნის დროს ქართულმა რენესანსმა მიაღწია თავის აყვავებას ორი საუკუნით ადრე, ვიდრე ეს იტალიაში მოხდებოდა. „ვეფხისტყაოსანი“ დანტეს „ღვთაებრივ კომედიაზე“ ასი წლით ადრე დაიწერა“.

აქ მოტანილი სიტყვები გულწრფელად გახარებულ და თქმულის ჭეშმარიტებაში დარწმუნებულ სტუმრებს, ოღონდ, როგორც იტყვიან, საქმეში ჩახედულ რუსთველოლოგებს ეკუთვნით. იმათ, ვინც საფუძვლიანად შეისწავლა „ვეფხისტყაოსანი“ ან თარგმნა კიდეც. მათთვის ეს ნაცნობი სამყაროა, მაგრამ იმავე პოლონეთის მეორე შეილი ი. შილდოვსკი შემდეგს წერს:

„მადლიერი ვართ თეატრისა, რომელიც დგამს მაყურებლისათვის უცნობ ნაწარმოებს. ასეთ დადგმას წარმოადგენს „ვეფხისტყაოსანი“ და ამიტომ საჭიროა ამ სპექტაკლის პოპულარიზაცია“.

ე. ი. რაც სპეციალისტებისთვის სელმისაწვდომია, ის მაყურებლისათვის სავსებით უცნობი ყოფილა.

და ასევე უცნობია „ვეფხისტყაოსანი“ თითო-ოროლა

ქვეყნის გარდა მსოფლიოს სხვა ქვეყნებისათვის. ზემოთ საგანგებოდ მოვიტანე პოლონელი მწერლების აღფრთოვანებული სიტყვები, მაგრამ რა აღმოჩნდა! ამავე ქვეყნის ფართო წრისათვის „ვეფხისტყაოსანი“ უცნობი ნაწარმოები ყოფილა. და თუ პოლონეთის სალსი არ იცნობს „ვეფხისტყაოსანს“, თუ იგი მსოფლიოდ სპეციალისტთა ვიწრო წრის კუთვნილებაა, მაშინ რაღა უნდა ეილაპარაკოთ ქვეყნებსე, რომელთაც სპეციალისტებიც კი არა ჰყავთ ქართული კულტურისა. რა უნდა ეთქვათ ამერიკის შეერთებულ შტატებსე, რომელსაც პირველი ცნობები საქართველოს დიდი პოეტის შესახებ აგერ 60-იან წლებში მიწვდა თურმე.

ამიტომ გემართებს ფრაზის--„საერთაშორისო აღიარების“ მიმართ სერიოზული დაფიქრება. ამიტომ გემართებს მოვერით ილუზიას, რომელსაც ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით აჭრელებული და ენაწყლიანობით დამუსტული ინფორმაციების ნაკადი გვიქმნის. მოვერით თვით ამ შესანიშნავ ორწიგნში თავმოყრილ უცხოელი მწერლებისა და სპეციალისტების სიტყვებისაგან დამკვიდრებულ ილუზიას, რუსთაველის საერთაშორისო აღიარებას რომ გვიდასტურებენ, ოფიციალური საერთაშორისო აღიარება არის უდიდესი მოვლენა და ერთი წამითაც არ უნდა დაეკნინოთ მისი მნიშვნელობა. მსოფლიოს მშვიდობის საბჭოს მიერ ნაკარნასევი აზრი ავტორიტეტული და ბეჭედდასმულია. ამდენად სისარულს მყარი საფუძველი აქვს. მაგრამ ოფიციალურ საერთაშორისო აღიარებასა და რუსთაველის პოემის მსოფლიო კულტურისა შუაგულში მოქცევაამდე, იქამდე, როდესაც მსოფლიოს სალსები „ვეფხისტყაოსანს“ ისევე თარგმნიან და შეიცნობენ, როგორც თარგმნეს და შეიცნეს დანტეს, პომეროსის, შექსპირის, ბაირონის, ომარ საიამის და სხვათა პოეზია, დიდი, და ძალიან დიდი მანძილია და ეს ფაქტიური საერთაშორისო აღიარება მიღწეულად არ უნდა მოგვეჩვენოს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი ფაქტიურად მართლაც არსებობს.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით ჩატარებული იუბილე და მთელი ის ასორმოსცდაათწლიანი სამსაღიბი სპეციალისტებისა, რამაც ამ იუბილეს ჩატარების აუცი-

ლებლობაში დაარწმუნა მსოფლიოს მშვიდობის საბჭო, ფაქტიურად არის რუსთაველის შეცნობისა და აღიარების დასაწყისი. დიდი დასაწყისი. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსთაველი გამოვიდა კაბინეტიდან, მკვლევართა წრიდან და მათივე შემწეობით მიიქცია საერთაშორისო ყურადღება. ასლა მიზნად რჩება უმთავრესი — როგორ უპასუხებს რუსთაველის პოემა ამ საერთაშორისო ყურადღებას. ეს კი იმაზეა დამოკიდებული, რა ძალით მივა თანამედროვე კაცობრიობის სულთან და გულთან „ვეფხისტყაოსნის“ ესთეტიკის არსი და გახდება თუ არა იგი ისევე აუცილებელი მის გზაზე, როგორც აუცილებელია „ფაუსტი“, „ღვთაებრივი კომედია“, „ჩაილდ შაროლდი“, „დაკარგული სამოთხე“, „დონ-კისოტი“, „ომი და მშვიდობა“, „იდიოტი“...

ასეთი „მისვლა“, ასეთი ცსოველმყოფელი მონაწილეობის მიღება „ვეფხისტყაოსნის“ შეუძლია და მარტოდენ ჩვენ, ქართველები, არა ვართ ამაში დარწმუნებული. რამდენიმე უცხოელიც მივიდა ამ დასკვნამდე. მაგრამ იმ უცხოელებმა სწორედ იმის აუცილებლობა იგრძნეს, რის შესახებაც რამდენჯერმე მოგვიწია აქ სიტყვის თქმა და რის შესახებაც დაუინებოთ ლაპარაკი კიდევ იქნება უთუოდ საჭირო.

კრებულის „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“ კომენტარებში აღნიშნულია, რომ 1966 წლის 29 დეკემბერს ჩილეს მწერალთა ასოციაციამ ხანტ-იაგოში ჩილეს უნივერსიტეტის საპატიო დარბაზში ჩაატარა საზეიმო საღამო, რომელიც მიეძღვნა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. ერთი მოსხენებით — „გენიალური ქართველი პოეტი, მისი ცსოვრების დრო და „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლიო მნიშვნელობა“ — გამოვიდა გ. ბოტარი. მას მრავალი შეკითხვა მისცეს. ერთი შეკითხვა ასეთი იყო: „თქვენს მოსხენებაში აღმოსავლელი პოეტი გენიალურ დანტეს შეადარეთ, რამდენად სწორად მიგაჩნიათ ასეთი შედარება?“

ბოტარიმ ამ კითხვას შემდეგი პასუხი გასცა:

„რუსთაველი დანტესე გაცილებით მაღლა დგას თუნდაც იმით, რომ მან მთელი საუკუნით ადრე და უკეთაც იქადაგა ის, რაც დანტემ დიდი მოგვიანებით დაგვიწერა. მართალია, რუსთაველის გასული საუკუნის მსოფლიო თითქმის არ იც-

ნობდა, მას ახლაც არ ვიცნობთ ისე, როგორც ეს საჭიროა, მაგრამ აღნიშნული გარემოება რუსთაველის ბრალი სრულე-ბითაც არ არის. ამის მიზეზია ის, რომ „ვეფხისტყაოსანს“ თავისი კონგენიალური მთარგმნელი ჯერ არ გამოსჩენია. ომარ საიამსაც, მანამ ე. ფიტცჯერალდი ინგლისურად თარ-გმნიდა, მსოფლიო არ იცნობდა. მაგრამ ასლა ამ თარგმანით იგი აღმოსავლეთისა და, ვიტყვოდი, მსოფლიო ლირიკოსთა შორის ცისკრის ვარსკვლავივით ბრწყინავს. რა ვუყოთ მერე, ალბათ, რუსთაველსაც მოველინება თავისი ფიტცჯერალდი და მაშინ კომეროსისა და შექსპირის გვერდით მისი დაყენე-ბაც პრობლემა არ იქნება. ყოველივე ამის მიუსედავად საბ-ჭოთა ეპოქაში ამ გენიოსმა ქართველმა უკვე საკმაოდ დამ-კვიდრა მსოფლიოში თავისი ადგილი“.

ჩვენთვის ნათელია, რას ნიშნავს „საკმაო ადგილის დამ-კვიდება“ მსოფლიოში. ამ დამკვიდრების მასშტაბები შავით თეთრზე გამოიხატა ზემოთ დასახელებული ენციკლოპედიების ცნობებში. ეს ცნობები კი „ვეფხისტყაოსანს“ გვისასიათებენ როგორც ერთ რიგით საშუალო ნაწარმოებს, რომლის მოს-ვედრა ენციკლოპედიაში თვით ენციკლოპედიის სპეციფიკით არის გამოწვეული — რაიმე ასე თუ ისე მნიშვნელოვანი მოვ-ლენის არგამორჩენის პრინციპით! ცხადია, როგორც ბოტარი ამბობს, „საკმაო ადგილის დამკვიდრება“ რაღაც რესულტატის სასიით აისახა და მას თვალი უნდა გავუსწოროთ. ენციკლოპე-დია სარკეა, უტყუარი სარკე, მასში ყველაფერი კარგად ჩანს. ილუსიების გამოსახულებას სარკე არ გვიბრუნებს. ილუსი-ები ჩვენსავე ფიქრებში დნება.

სანამ ბოტარის შესედულებას კომენტარს ვავეუკეთებდე, მანამ სჯობს ამ პრობლემასთან სისხლსორცეულად დაკავში-რებული პოლონელი მწერლის, მეცნიერის, ვაცლავ კუბაცკის მოსაზრებებს მივუბრუნდეთ. იუბილეს განწყობილების მიუ-სედავად რუსთაველის პრობლემას ბევრმა უცხოელმა საქმა-ანი თვალთ შეხედა და საჭიროდ ჩათვალა ედიარეპინა, თუ სინამდვილეში რამდენად ცუდად იცნობდნენ „ვეფხისტყაო-სანს“ მის ქვეყანაში და სინამდვილეში რაოდენ ცოტა არის გაკეთებული მისი შეცნობის საქმეში. კუბაცკის ბატყვაში ისიც გამოსჭვივის კარგად, რომ რუსთაველის აღიარება და-

საწყის ფაზაშია, რომ იგი სერიოზული შესწავლისაკენ მიაბრუნებს კულტურული კაცობრიობის ყურადღებას.

„რუსთაველის იუბილე სვამს საქართველოს ძველი და მაღალი კულტურის საკითხს. იმ კულტურისა, რომლის წინაშე საგონებელში ჩაეარდნილან ორიენტალისტები, სილოკრიტიკოსები აკურ ასი წელია იმეორებენ თითქმის უცვლელ შეფასებას. ფრანგებს, გერმანელებს, ინგლისელებს და რუსებს მოეპოვებათ „ვეფხისტყაოსანის“ სრული თარგმანები... მიუხედავად ამისა, საიუბილეოდ ჩვენ არ მოგვიმზადებია ამ ნაწარმოების სრული თარგმანი, თუნდაც რომელიმე რუსული ან დასავლეთეუროპული თარგმანის საფუძველზე. ღარიბია აგრეთვე შოთა რუსთაველის შესახებ ჩვენი დღევანდელი ცოდნა. გასულ საუკუნეში პოლონელი კრიტიკოსები წინ უსწრებდნენ საზღვარგარეთელ მეცნიერებს, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ამჟამად კი ჩვენ შემოვიფარგლებით შემოთხვევითი პუბლიცისტიკით, რომელმაც უმთავრესად ამოიჩემა პარალელი: რუსთაველი — რენესანსი“.

მაშასადამე, რუსთაველის იუბილე სვამს საქართველოს ძველი და მაღალი კულტურის საკითხს. სვამს! ეს იმას ნიშნავს, რომ სერიოზული, უნივერსალური შესწავლა ამ კულტურისა ამის შემდეგ იწყება, რადგან აქამდე იგი ფაქტიურად ბურუსით ყოფილა მოცული და საგონებელში ჰყოლია ორიენტალისტები. ე. კუბაცკი გულწრფელი კაცი ჩანს. მიუხედავად მწარე გემოსი, ეს სიმართლე უნდა მივიღოთ. რადგან სულ ერთია, ჩვენს ილუსიას ქართული კულტურის მსოფლიო აღიარებისა და განფენილობის შესახებ მაინც ვერაინ ვაიზიარებს. ილუსიები მეცნიერული ჭკუშარიტების ადგილს ვერ იკავებენ. კუბაცკი გულწრფელი და მართალია მაშინაც, როდესაც აღიარებს, რომ მათი (პოლონელების) ცოდნა რუსთაველის შესახებ ღარიბია.

აღბათ, ორიოდ ქვეყნის გარდა ასევე ეთქმის სხვა ქვეყნებსაც.

ქართველმა რუსთაველოლოგიამ შესანიშნავად იცის, ქართველი და უცხოელი ფილოლოგების მიერ რა უსარმაზარი შრომა დაისარჯა „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისა და მსოფლიო არენაზე გატანის მიზნით. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ

ეს შრომა ესოდენ დასაფასებელი და მართლაც დაფასებული, მსოლოდ იმ ფაზამდეა მისული, რასაც ენციკლოპედიების განსახლერაში ზუსტი შეფასება მიეცა.

და ქართველმა ფილოლოგებმა, ქართველმა ხალხმა, მით უმეტეს უცხოელმა სპეციალისტებმა მშვენიერად იციან ისიც, რომ მსოფლიოს დიდი ტიტანების ნაწარმოებთა სრულყოფილი თარგმანისა და შეცნობა-აღიარებისათვის ასგზის და ათასგზის მეტი შრომა დაისარჯა. ერთი და ორი კრებული კი არა, უცხოელ სპეციალისტთა მიერ წერილების და წიგნის გორაა დაწერილი „ღვთაებრივ კომედიასა“ და „ფაუსტზე“ როგორც სამშობლოში ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში, სანამ ისინი სრულყოფილად ითარგმნებოდა, სანამ სრულყოფილად შეიცნობდნენ და სანამ მსოფლიო თავის ფარზე აზიდავდა. ამიტომ მათ მსგავსად რუსთაველის შეცნობა-აღიარების გზა მომავალში ძეგს! აქამდე გაწეული შრომა ამ გზის დასაწყისს მოემსახურა და უფრო დიდი პატივი არც არსებობს ალბათ, ვიდრე ეს სამსახურია, იმ დიდ გზაზე კრ ბოტარის მწარე, მაგრამ ზუსტი შენიშვნაა მთავარი ბარიერი. მიზანიც იმ ბარიერის გადალასვაა, ომარ საიამის ფიტცჯერალდისეულ თარგმანს წინ ნაშრომთა, იუბილეთა ისეთივე დიდი მწკრივი (იქნებ უფრო დიდის, როგორიც ახლავს რუსთაველის პოპულარნიზაციის საქმეს) უძღოდა. იმ ღონისძიებებმა იმდენად გააღვიძეს სსვადასვა ქვეყნის ლიტერატურული საზოგადოებრიობის ცნობისმოყვარეობა, რომ ბოლოს და ბოლოს ურიცხვმა ცდამ ნაყოფი გამოიღო. გამოჩნდა ომარ საიამის კონგენიალური მთარგმნელი. თანაც მსოფლიოში ყველაზე უფრო გავრცელებულ ინგლისურ ენაზე ითარგმნა. ინგლისურ ენაზე შესრულებულმა კონგენიალურმა თარგმანმა კომენტარების გარეშე ამოუყენა გვერდით დიდ კლასიკოსებს ომარ საიამი. რუსთაველის ირგვლივ ატეხილი სმაური და გაღებული შრომა მსოლოდ მაშინ მოიტანს სასურველ, ნანატრ შედეგს, თუ საერთაშორისო აღიარების საქმეს დაგვირგვინებულად კი არა — დასაწყისად ჩავთვლით. თუ ვიგულისხმებთ, რომ ეს გაწეული შრომა ჩვენს კმაყოფილებას კი არა, საზღვარგარეთის დიდი და მცირე ერების წარმომადგენელოა ცნობისმოყვარეობის მაქსიმალურ დაძაბვას მოემსახურება.

რათა დაძაბული ცნობისმოყვარეობით გაწეულმა შრომამ და ცდამ რუსთაველსაც აღმოუჩინოს თავისი ფიტცჯერალდი.

ყველა ჭეშმარიტ მწერალს და მეცნიერს შეგნებული აქვს, რომ ასეთი თარგმანი ბუნებაში ჯერ არ არსებობს. ბერძენი პოეტი იან რიცოსი კატეგორიულად აცხადებს:

„ეეფსისტყაოსანი“ მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის იმ შედეგრთა რიცხვს ეკუთვნის, რომლის თარგმანიდან თარგმნა ბოროტებაა დედნის მიმართ და ცოდვია დედაენის მიმართ. ასეთ თარგმანს, რაგინდ კარგიც გამოვიდეს, ფასი არ ექნება, დიდებული ორიგინალის მსოფლიო შარეულ აჩრდილს დაემსგავსება. კარგად ვიცი, რომ ქართველია ერთენული სიამაყე მსოფლიოს საღსთა 20 ენასუა თარგმნალი და გული მტკიეა, რომ ჩემს დედაენასე მისი ვაღმთთარგმნა ჯერ არაეას უცდია. პოემას ვიცნობ რუსული, ფრანგული და ინგლისური თარგმანებით. თქვენი წყალობით წარმოდგენილი მაქვს (წერილის ადრესატი ვასლაეთ ფ. იანაკიპული — ჯ. ღ.) თუ რა გრანდიოზული სიღრმე და თეაღისმომჭრელი ბრწყინეაღება, ახასიათებს „ეეფსისტყაოსანს“, თარგმანებში კი იგი ასეთი მაინცღამაინც არ არის“.

ძალსე ტაქტიანად, მორიღებით შენიშნავს იან რიცოსი, რომ თარგმანებში „ეეფსისტყაოსანი“ ის არ არის, რაც ორიგინალშია და რისი რწმენაც ქართვეღებს გეაქვს, რისი რწმენაც მას თვითონაც აქვს. ამიტომ მოითხოვს დაჟინებით ბერძენი პოეტი, რომ პოემა ქართული ენის ღრმად შესწავლის შემდეგ ითარგმნოს. სსეა თარგმანიღან მისი თარგმნა ბოროტება და ცოდეაა. აქეე უნდა აღინიშნოს, რომ იან რიცოსი თვითონაც შესღგომია ქართული ენის საყუშკლიან შესწავღას.

„ეეფსისტყაოსანი“ ლიტერატურის ისტორიის ძეღლი არ არის. იგი ცოცსაღლი შედეგრია, ცოცსაღლი თავისი ორგანიზმის ყოველი ნერვით. უაღრესად საჭირო თანამედროვე ცივილიზაციისა და კულტურისათვის. უაღრესად ცხოვეღმყოფეღი იღეების არსით და ამ არსის შეცნობა-აღიარების გზას იღუწიებით ჩასერგეა კი არა, სიცსაღის გამჭვირეაღე მშერიით უნდა განჭვრეეა, ბოლომდე გააზრება იმ მანძიღისა, რაც დასაწყისსა, საღაც ახღა ვღგაეართ, და იმ ბოლო წერტიღს

შორის იგულისხმება, სადამდეც უნდა მივიდეთ. ასეზის მეტი მრომის ფასად! ჩვენი გზა მით უფრო რთულია, რომ ქართული კულტურა აგერ ჩვენს საუკუნეში იქცა მსოფლიო ყურადღების საგნად. საუბედუროდ, იგი დიდხანს იყო მოწყვეტილი იმ მორევს, სადაც ინტენსიური ურთიერთობის მოვლენები ტრიალებდნენ. ვეფხისტყაოსნის“ შეცნობისა და აღიარების გზაზე მონაპოვარსა და გასაკეთებელს შორის საეარაუდო მანძილს თუ ფსიზული თვალით ასლავე არ შეესედაეთ, გაიეღის კიდეე 100 წელი 1966 წლიდან და მშეიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით კელავ ჩატარდება რუსთაველის დაბადების ამჯერად უკვე 900 წლის იუბილე და აღმონდება; რომ ორიოდე ნაბიჯილა გადაგვიდგამს წან, რუსთაველის დიდება კი ყურმოკრულ სასეღთა მწკრიეში გაერთიანდება და ენციკლოპედიების უღმობელი სარკე კელავკაც უბრალო რიგით ნაწარმოებად მოისსენიებს მას ისეე რამდენიმე ქვეყანაში. დანტე და ჰომეროსი კელავკაც პროვინციული მიზომების სამიზნე იქნება და მაშინდელი ბოტარის ფართო აუდიტორია კელავკაც გაკვირეების შემცველ კითხვას დაუსვამს: „თქვენს მოსსენებაში აღმოსავლელი პოეტი რუსთაველი გენიალურ დანტეს შეადარეთ. რამდენად სწორად მიჯანით ასეთი შედარება“?

შეგუება ღალაბია

იმ საკითხზე, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, მე პირადად წერილების გამოქვეყნება მომისდა ჯერ „ლიტერატურულ საქართველოში“, შემდგომ „ლიტერატურნაია გაზეტაში“. ამ წერილებს მწვავე გამოსმაურება მოქყვა და იმ გაოსმაურებისათვის პასუხის გაცემაე აუცილებელი შეიქნა. ქართული ლიტერატურის სხვა ენაზე (ამ შემთხვევაში რუსულ ენაზე) თარგმნის პრობლემა იმდენად რთულია და ისეთი წინააღმდეგობებითაა აღსავსე, რომ სრულებითაც არ არის გასაკვირი, დაგეუფლოთ განწყობილება, რომელსაც ამ სიტყვების შინაარსი გულისხმობს: „ამ საქმეს მაინც არაფერი

ეშველება“. ნაცნობი გრძნობაა. ალბათ ყველასთვის ნაცნობი გრძნობაა, მაგრამ თვითონ საქმე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ამ განწყობილებასთან შეგუება აშკარა დალატია. დალატია დიდი, ძალიან დიდი რამისა — ქართული მწერლობის დალატია. ქართული მწერლობის დალატი კი მარტო ლიტერატურის დალატს რომ არ ნიშნავს, ამის ასხნა-განმარტება მკითხველს არ ჭირდება.

ერთ-ერთ ცნობილ რუს მწერალს (მე არ დავასახელებ მის გვარს; რადგან იგი ჯერჯერობით არ ფიქრობს სააშკარაოზე გამოიტანოს თავისი ვინაობა) გადაწყვეტილი აქვს დაწეროს წიგნი ქართული ლიტერატურის რუსულად თარგმნის საერთო მდგომარეობაზე და საქვეყნოდ განაცხადოს კონკრეტული მაგალითების მოტანით, თუ როგორ ცუდად არის თარგმნილი მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის შედეგები. როგორ არის დამახინჯებული ჩვენი საამაყო ნაწარმოების სული და გული. როგორ აქვს გამოცდილი არსებითი ღირსება მათ, როგორ დაუკარგავთ მომხიბვლელი სურნელი. საქმე ესება არა მარტო კლასიკას, არამედ თანამედროვე მწერლობასაც, უნდა გამოვუტყდე მკითხველს, რომ ანალოგიური მიზანი აქვს ამ წიგნის ავტორსაც. მაგრამ ჩემთვის, როგორც ქართველი კაცისათვის, უმჯობესია თავდაპირველად არა ქართველმა, ჩვენი მწერლობის გულშემატკივარმა რუსმა მწერალმა თქვას პირველი სიტყვა. რაკი მას ასეთი კეთილშობილური ჩანაფიქრი ჰქონია. თავისთავად ცხადია, რომ სხვა წონა ექნება რუსი მწერლის სიტყვას, იმ ფაქტს, რომ ამ მოუთმენელ მდგომარეობას არაქართველი მწერალიც გრძნობს. მაგრამ რამდენადაც ჩვენი მწერლობის მეგობრის ჩანაფიქრია თავისთავად სასიამოვნო, იმდენად უსიამოვნოა ის მდგომარეობა, რამაც ასეთი სურვილი გაუღვივა რუს მწერალს. აბა წარმოიდგინეთ, რამდენად დამაფიქრებელია სურათი, რომ თვით სხვა ერის შვილი მიდის ამ გადაწყვეტილებამდე. ამ ადამიანმა იგრძნო ქართული მწერლობის სიდიადე, იგრძნო ურთიერთობით, იგრძნო პასტერნაკის, შაბოლოცკის, ცვეტაევის და სხვა დიდი მწერლების წყალობით. მათ საერთო შეხედულებასაც ენდო. მაგრამ ისიც დაინახა, რომ კარგად თარგმნილი ზღვაში წვეთია, რომ უმ-

რავლესობა უფრო აწკარედის სიმშრალეს დაატარებს თავის თავში და არა ძაღლიანი თარგმანის გემოს. შეისწავლა ეს საკითხი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მთელი წიგნის დაწერაც სცნო საჭიროდ. ჩვენთვის ეს ჩანაფიქრი კიდევ ერთი გამაფრთხილებელი ნიშანი უნდა იყოს და იქნებ გამოსაფხიზლებელი ფაქტიც. დაიწერება თუ არა ის წიგნი, ამის დაბეჯითებით თქმა ძნელია, რადგან სპირად ჩვენს სურვილებსა და მის პრაქტიკულ სორცშესხმას შორის დიდი მანძილია სოლ-მე. მაგრამ იდეა რომ დაიბადა, ეს თავისთავად ბევრს ნიშნავს.

დიდსანს ლოდინიც არ შეიძლება, ამ საკითხზე უნდა დაიწეროს, ერცლად, ბევრისმეტყველი მაგალითების მოტანით, თანაც ქართული კაცისაგანაც უნდა დაიწეროს, რადგან ჩვენ მეტი საშუალება გვაქვს შევადართო სრულყოფილი შედეგების მომსიბველობა იმ უფერულობას, რომელსაც სუსტი თარგმანი დაატარებს თავის თავში.

დღეს, როდესაც მწერალთა კავშირთან საგანგებოდ შექმნილი მთარგმნელთა მთავარი სარედაქციო კოლეგია არსებობს, ეს უმწვავესი პრობლემა, ქართული ლიტერატურის რეალურ ენაზე თარგმნის პრობლემა, შეიძლება წარმატებით გადაიჭრას სხვა პრობლემებთან ერთად.

ერთი შესედეგით თითქოს ძალიან მარტივი ამბავია. იმდენად მარტივი, რომ ვისმეს შეიძლება ეჩვენება კიდევ, რა სადაო უნდა იყოს ეს პრობლემა, ან რა სადისკუსიო საგანი ეს არისო. კარგი წიგნი უნდა ითარგმნოს, ცუდი — არა, კარგი მთარგმნელი უნდა ვეძებოთ, ცუდ მთარგმნელს უნდა ვერიდოთ. მით უმეტეს, რა დისკუსიაა საჭირო, როდესაც ეს ყველაფერი ითქვა ერთ წერილში და ზოგადად ყველანი მომხრენი ვართ კარგის „ვატანის“ პრინციპისა.

დისკუსია, რა თქმა უნდა, არ ჭირდება იმის მტკიცებას, კარგი წიგნი უნდა ითარგმნოს თუ ცუდი, კარგი მთარგმნელი უნდა შეირჩეს თუ ცუდი. დისკუსია ჭირდება იმ პრობლემის გადაწყვეტას, თუ რა ფორმით შეიძლება გადაველობოთ მაკულატურის მოძალებას საკავშირო არენაზე, რა შეუკრავს ხელფესს სელმოცარული მწერლების პრეტენზიებს. და ეს არც ისე ადვილია. ჯერ ენასოთ რამდენი გზაა უნებურად განთავისუფლებული სუსტი მწერლობისათვის: მწერალთა კავში-

რის წევრი ამავე დროს საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრიცაა და მას უფლება აქვს თავისი წიგნი გამო-საცემად შესთავაზოს ნებისმიერ გამოცემლობას, დასმარება-რეკომენდაცია სთხოვოს მწერალთა კავშირს, თვითონ ჩავიდეს და კონტაქტი თვითონვე დაამყაროს ეთქვათ მოსკოვის ამა თუ იმ გამოცემლობასთან. ზოგადად გეთანხმებათ იმაში, რომ საკავშირო არენაზე სუსტი წიგნის გატანა არ არის მიზანშეწონილი, გეთანხმებათ, მაგრამ ეს პრინციპი სხვისკენ მიმართულ კანონად მიიჩნია, თავის თავს ნურას უკაცრავად, არ თვლის სუსტ მწერლად: უარყოფითი რეცენზია კიდევაც რომ დაწეროს ვინმემ, უფლება აქვს არ გაიზიაროს რეცენზი-ის აზრი და დამატებით ითხოვოს წიგნის რეცენზირება; იბრძოლებს, იჩხუბებს, თავს მოაბეზრებს ხალხს და წიგნი გამოვა. ცოდვა გამსელილი სჯობს, პრინციპული, ობიექტური რეცენზიის დამწერებიც ასე იოლად არ მოიძებნება. ცოდვა გამსელილი სჯობს, უმეტესად სწორედ ცნობილი, სასელო-ვანი მწერლები სცოდავენ, ისინი იჩენენ ლოიალობას, ისინი არიან შემწყნარებლები, ისინი სცემენ იოლად თამასუქებს, ისინი გვევლინებიან გულკეთილი მზრუნველების როლში და ფაქტიურად ბარიერიც ამიტომ არის სუსტი, დაბალი, ამიტომ ასე თავისუფლად გადაევლება სოლმე ამ ბარიერს მავანი და მავანი. ერთობ დიდია ამ მავანთა რიცხვი — ბევრი იყრის თავს საბოლოოდ. საბჭოთა ადამიანს, გარდა ამისა, თვითვე აქვს ურთიერთობის დამყარების უფლება სხვა ერის შვი-ლებთან. სანამ ეთქვათ, რუსი მწერალი გაარკვევდეს ღირსე-ული მეგობარი შეიძინა თუ ცუდი, მანამ მაკულატურა ასწრებს დიდ არენაზე გასვლას, და ბუნებრივია, ასე კატეგო-რიულად ვერც მოვთხოვთ სხვას დღე და ღამე იმაზე იფიქროს, არაფერში შეეცდე, სუსტი ნაწარმოები არ ვთარგმნო და ქარ-თული მწერლობის პრესტიჟი არ შევბღალოო. ასე იჭრება ათასი ბილიკი, ასე ჩნდება ათასი შანსი და სწორედ ამიტომ ბატონობს განწყობილება სიტყვებისა—„ამ საქმეს მაინც არა-ფერი ეშველება“.

და აი, ამ განწყობილების კვალად იკიდებს სოლმე ჩვენში დამღუპელი გრძნობა შეგუებისა და იქამდეც კი მივდივართ, რომ ყველაფერს ვეგუებით. მაგრამ ერთი წუთით გავიზროთ,

რას ვეგუებით კონკრეტულად ამ შემთხვევაში, ამ პრობლემასთან დაკავშირებით. რუსულ ენაზე კარგი თარგმანის არსებობა უმნიშვნელოვანესი პირობაა მსოფლიო არენაზე გასასვლელად, ამაზე შეთანხმებულნი ვართ. შეიძლება შევეგუოთ იმ ფაქტს, რომ უმეტეს წილად ქართულ ლიტერატურის რუსული ენის „კარგად მცოდნე“ ქართველი კაცი თარგმნის? ან რუსი მწერალი, რომელმაც საერთოდ არ იცის ქართული და ორიგინალის სიმშვენიერეს სავსებით ვერ გრძნობს? შეიძლება შევეგუოთ ფაქტს, რომ ამ მიზეზით ნაჩქარევად, სასელდახელოდ არის თარგმნილი მთელი კლასიკური ლიტერატურა თითო-ორილა გამონაკლისის გარდა? შეიძლება დავჯერდეთ ერთს ან ორ წარმატებულ ცდას შედეგების თარგმნისას და კლასიკური ლიტერატურის წინაშე ვალმოსდილად მივიჩნიოთ ჩვენი თავი? ზღვაში წვეთია კარგად თარგმნილი. მიუსჯდავად პასტერნაკისა და ზაბოლოცკის დიდი დამსახურებისა, ნურც ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას დავიგულებთ შესაფერისად თარგმნილად. დიდი, ძალიან დიდი მადლობა ამ შესანიშნავ მწერლებს ამაგისათვის, ერთსა და ორ კაცს ყოველმხრივ რომ ამშვენებს, მაგრამ ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებიდან იმდენი რამ არის კიდევ მაღალ დონეზე სათარგმნელი, რომ არავითარი დამშვიდების უფლება არ გვაქვს. სურნელი და არსი, არსი და სურნელი გურამიშვილის, საბას, ბარათაშვილის, ორბელიანის, ჭავჭავაძის, წერეთლის, ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, დავით კლდიაშვილის ეგნატე ნინოშვილის, გალაკტიონის, ტიცვიანის, ლეონიძის, ჯავახიშვილის, გამსახურდიას, ნიკო ლორთქიფანიძის... სურნელი და არსია შესანარჩუნებელი. ეს კი ოკეანის გადამალვას უდრის ცადაწვედნილ მთებს იქით, ისე გადამალვას, ტალღებს შორეული შრიალიც რომ ვერ აღწევდეს სმენამდე. ნურავინ ნუ დაგვაჯერებს, შესწავლილი რუსულით (რა ბრწყინვალედაც არ უნდა ვიცოდეთ) სრულყოფილად თარგმნა შეიძლებოდა. უძალ ქართულას არმცოდნე რუს მწერალს შეუძლია გაცილებით უკეთ თარგმნა. საკმარისია ვაისიგრძეგანო ეს სურათი, რომ ირწმუნო — შეგუება დალატია.

მაგრამ მთელი ეს წუსილი, ეს მსჯელობა, როპლის ამო-

წურვას ერთი შესდევით არავითარი დისკუსია არ ჭირდება, საქმედ რომ იქცეს, სწორედ დისკუსიაა საჭირო. ოპტიმალური ვსებების გამოსანახაჲად თავიანთი აზრი უნდა გვიოსრან არა მარტო მწერლებმა, არამედ მოსკოვის ქართული ლიტერატურის საბჭომ, საკავშირო გამსახკომმა და მსატერული ლიტერატურის გამომცემლობათა რედაქციებმა, საქართველოს მწერალთა კავშირის მთარგმნელთა მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ. არ იქნება ზედმეტი თუ „ლიტერატურნაია გაზეთა“ ამ დისკუსიის დედააზრს თავისი მაღალი ტრიბუნიდან კიდევ ერთსელ გამოიტანდა საჯაროდ, რადგან ეს აზრი უკვე გამაგრებული იქნებოდა იმ ინსტანციების მიერ, ვისაც ძალუძთ რეალურად პრობლემის გადაჭრა. არ შეიძლება უპრინციპო რეცენზირების ტრადიციას ენდოს კვლავ ესოდენ მნიშვნელოვანი საქმე. არ შეიძლება მკაცრი შერჩევის პრინციპის დამკვიდრება ჩვეული სერსებით. ამ ფორმამ ვერ გაუძლო გამოცდას. არ შეიძლება ავტორის პირადი ინიციატივა წყვეტდეს წიგნის ბედს, მისი თარგმნისა და გამოცემის საქმეს. ერთადერთი, წიგნის მსატერული ღირსება, უნდა მოიპოვებდეს მწვანე გზას და ავტორის კონტაქტი გამომცემლობებთან მსოლოდ ამის შემდეგ მყარდებოდეს. მთარგმნელთა მთავარი სარედაქციო კოლეგია ამ თვალსაზრისით საჭიროებს დახმარებას, რადგან მისი მიტოვება პირადი ინიციატივის ამარა ვერაფრით ვერ გააძლიერებს სუსტი წიგნებისათვის გაწეულ წინააღმდეგობას.

მთარგმნელთა მთავარ სარედაქციო კოლეგიას შედარებით იოლად შეუძლია გადაჭრას მეორე პრობლემა — კარგი მთარგმნელების პოვნისა და შემოკრების პრობლემა. თუმცა არც ამ შემთხვევაში იქნება საკმარისი მცირე ენერჯიის გაღება მოძალებული სელმოცარული მთარგმნელების ასარიდებლად. რაც შეესება ერთი უმთავრესი მტკივნეული საკითხის მოგვარებას, ეს, თუმც შორეული ამბავია, მაგრამ მის მოგვარებას საფუძველი აქედან უნდა აჩეყაროს. ვფიქრობ, დადგა ქართველი და რუსი ხალხის ურთიერთობაში ის დრო, რომ რუსი მწერლები, რომლებიც ქართული ლიტერატურის თარგმნას ფიქრობენ, საფუძველიანად დაეუფლონ ქართულს. იგრძნონ ორიგინალის სურნელება ნიუანსების ჩათვლით და

პოქარედებით არ თარგმნიდნენ ვალაკტიონსა და მიხეილ ჯავახიშვილს, ეაუა-ფშაველასა და აკაკი წერეთელს. დაღა დრო, ე. წ. რუსი ქართველოლოგების გაჩენისა, სხვაგვარად მთავარ საქმეს ვერ მოეწვება.

ამ საკითხთან დაკავშირებით საქმიანი საუბარი იმიტომაც გეესასება აუცილებლად, რომ უფლება არა გვაქვს არ მივაკვლიოთ სტიქიურობის ალაგმვის გზას. ეს მით უმეტეს აუცილებელია და სწორედ იმიტომ არის აუცილებელი, რომ მთავარ საკითხზე ყველანი შეთანხმებული ვართ — კარგი უნდა ითარგმნოს, კარგად უნდა ითარგმნოს. ერთი აზრისა ვართ ყველანი ამ საკითხზე და იქნებ ამიტომაც გვეჩვენება, საკითხი ისედაც ნათელია, ამას რა დისკუსია უნდაო. მაგრამ ისიც ვიცით, რომ შედეგია აბურდული. საქმის გამოსწორება რომ ურთულესი პრობლემაა, ესეც კარგად მოგვესხენება. მაშასადამე, ყველა იმ კონკრეტულ თუ ზოგად საკითხზე, რაც ქართული ლიტერატურის თარგმნის პრობლემას ესება, საჭიროა დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნებების სერიოზული სჯაბაასი, რომლის მიზანი იქნება—შეიმუშაოს სასოგადოებრივი აზრი სტიქიურობის ალაგმვის ოპტიმალურ ვარიანტზე. მხოლოდ ამგვარი მიდგომა აიყვანს თარგმნის საქმეს ეროვნული, ამდენად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემამდე და ხელმოცარული მწერლებისა და მათი მთარგმნელების პრეტენზიები თავისთავად დასუსტდება. თავისთავად განმტკიცდება რწმენა, რომ დიდ არენაზე ქართული მწერლობის სახელით გასვლა არანაკლებ მიუწვდომელია, ვიდრე ყველა მიუწვდომელი სიმაღლე ჩვენს წარმოდგენებში, რომლის წინაშეც უნებლიეთ უკან ვიხევთ და იშვიათად თუ შევებდავო. ჩემი აზრით, არ არის შეუძლებელი მოინახოს ფორმა, რომელიც რამდენადმე გაუადვილებს მუშაობას იმ სფეროს, სადაც უნდა გადაწყდეს ქართული მწერლობის ნიმუშების სათარგმნელად შერჩევა. მწერალთა კავშირისა და მთავარი სარედაქციო კოლეგიის მისია ამ გზით გაცილებით გაიზრდება, თუკი ნაგულისხმევი ფორმა, რომლის სასულდების უფლებას მე ჩემს თავს არ მივცემ, მათ გაუადვილებს მათი ავტორების იზოლაციას და მისცემს საშუალებას თავისუფლად, შემოქმედებითად მიუდგეს თარგმნის უზარმაზარ საქმეს, მთელ

პროცესს. თარგმნის პროცესი კი რამოდენა სელოენებაა, ეს ყველამ კარგად იცის. კონტურების სირთულეს შეგასხენებთ მსოლოდ: გასათვალისწინებელია არა მარტო ის, თუ რა უნდა ითარგმნოს, არამედ ისიც, ვინ უნდა ითარგმნოს, ე. ი. მოსაძიებნია კაცი, რომლის სტიქია თარგმნის სელოენებაა (შეიძლება იყოს კარგი მწერალი, მაგრამ ვერ გამოდგეს კარგი მთარგმნელი! გალაკტიონი და ვაჟა ცუდი მთარგმნელები იყვნენ!). თანაც ამ კაცის სულიერი განწყობილება ისევე უნდა ესწრაფოდეს არჩეული მწერლის მწერლურ სამყაროს, როგორც მაცოცხლებელ ჰაერს. არჩეული მწერლის სულიერი სამყარო მთარგმნელისაგან ერთგვარი თვითგამოსატვის საშუალებადაც უნდა განიცდებოდეს. მსოლოდ ასეთ დროს ცოცხლდება მთარგმნელის ენაზე ნაწარმოები და ასეთ დროს იწყებს იგი ასალ სიცოცხლეს. მაშასადამე, კერძოდ ამ შემთხვევაში ჯერ რუსული მწერლობის დრმა ცოდნაა აუცილებელი. ეს შედარებით ადვილია, ყოველ შემთხვევაში, შენსევეა დამოკიდებული შეისწავლი თუ არა დრმად! უფრო ძნელია სხვა რამ — მწერლის პიროვნების შესწავლა, დაასლოება და სწორი ორიენტაციის არჩევა — ვის რა შეიძლება ეთსოვოს. მთავარი პრობლემა რომ მომავალშია გადასატრელი, ამაზე გაკვრით ზემოთ ვთქვი — ჩვენმა კეთილისმსურველმა მეგობრებმა დრმად და საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ ქართული ენა. ეს კონტურების სირთულე! თვით მთარგმნელის უძნელესი შრომა? ვთქვათ, გალაკტიონის პოეზიის არსის წვდომა და რუსული ენის ბუნების მისადაგება ამ პოეზიასთან? აი, ამ მძიმე შემოქმედებითი შრომის საშუალება უნდა მიეცეს მწერალთა კავშირსა და მასთან არსებულ მთავარ სარედაქციო ჯოლეგეიას მავანი და მავანი ავტორების მოგვრება-ვერ-მ ოგერეებას თუ უმთავრესი ძალა და ენერგია შევალიეთ, იმ ნანატრ შემოქმედებით შრომას ვის ვუტოვებთ ანდერძად?! აქ ქართული ენის შესწავლის აუცილებლობაზე ჩამოვარდა სიტყვა. ეს აუცილებლობა გამონაკლისს არ უარყოფს. გონივრული კონსულტაციებისა და კარგი ბწკარედების წყალობით რამდენიმე ნაწარმოები მაინც არის თარგმნილი რუსულ ენაზე რივიანად. არც ის იქნება სწორი, კურსი უცხო ენების მცოდნე ე. წ. სპეციალისტებზე ავიდოთ მარტოოდენ. კარგი

ბჭკარელების წყალობით დიდებულად თარგმნეს თანამედროვე ქართველმა მწერლებმა საზღვარგარეთის ლიტერატურის ნიმუშები — პოეტური თუ პროზაული ნაწარმოებები. აქ მსოლოდ იმაზეა გამასვილებული ყურადღება, რომ არ შეიძლება ზღვარი არ დაედოს ქართული ლიტერატურის ბჭკარელებზე დაყრდნობით თარგმნის დამკვიდრებულ ტენდენციას. უნდა გაიპარჯვოს და დამკვიდრდეს საპირისპირო მოსასრება — ქართული ლიტერატურა ღირს იმად, რომ ჩვენმა მეგობარმა რუსმა მწერლებმა ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლონ რუსთაველის ენა.

ერთი სერიოზული საკითხიც უკავშირდება საკავშირო არენაზე ქართული მწერლობის გატანის პრობლემას. ასალგაზრდა მწერლების წარმოჩენაა ეს საკითხი. საკავშირო ფესტივალზე უურნალ „მოლიაია გვარდიაში“ და „იუნოსტში“ გამომცემლობა „სოიეტსკი პისატელში“ და სხვაგან დიდი ყურადღება ეთმობა მოკავშირე რესპუბლიკათა ასალგაზრდა მწერლებს. ეცნობიან მათ შემოქმედებას, იწვევენ თავისთან, უთმობენ პრესის ფურცლებს, შეაქვთ საგამომცემლო გეგმაში. თავისთავად ეს გახლავთ დიდი ყურადღების გამოსატულება, დიდი საქმეც და. რაც მთავარია, დიდი სტიმულიც ასალგაზრდა მწერლისათვის. მაგრამ აქ მოსალიდნელია საბედისწერო შეცდომების დაშეებაც. ამაზე გემართებს დაფიქრება. ყველაფერი ის, რაც აქ ჩამოვთვალეთ, არის ასალგაზრდობისადმი ყურადღების გამომსატეელი ღონისძიება. და მას უნდა შეესიღოთ როგორც ღონისძიებას, როგორც ერთერთ ფორმას მზრუნველობისას. თუ ასალგაზრდა მწერლებმა ჩათვალეს, რომ ეს ღონისძიება ერთ-ერთი ფორმა კი არ არის მზრუნველობისა, არამედ მათი დიდი ვზის დასაწყისი საკავშირო არენაზე, რომელიც ასკვე იოლად გავრძკლდება, მაშინ ამ ღონისძიებას, ამ ფორმას უკვე კამპანიურობის ელფერი გადაკრავს და ყველაფერი დაღუპულად უნდა ჩაიფივლოს. რატომ დაღუპულად? იმიტომ რომ ამ ასალგაზრდებს, უპირველეს ყოვლისა, საკავშირო პრესის ფურცლები ეთმობათ როგორც ასალგაზრდებს და არა როგორც აღიარებულ მწერლებს, რომელთა მსრებს შეიძლება ეროვნული მწერლობის პრესტიჟი დაეყრდნოს. იმისათვის, რომ სწორად გავუვით

ერთმანეთს, აქვე ვიტყვი: სავსებით შესაძლებელია ამ ასალ-
გაზრდებს შორის რამდენიმემ მომავალში მართლაც გაიტა-
ნოს ქართული მწერლობის სასელი დიდ არენაზე და იმ რამ-
დენიმესათვის ეს ღონისძიებები შეიძლება მართლაც იყოს
დიდი გზის დასაწყისი. მაგრამ თუ ყველამ ასევე დაირწმუნა
თავისი თავი, თუ ფესტივალებს და ჟურნალ-გაზეთებში დას-
ტამბვას არ შევსედავთ, როგორც ყურადღების ფორმას, მაშინ
სათავე დაედება იმ განუკითხავი, სტიქიური თარგმნის პრო-
ცესს, რომლის გამოც ჩვენც ვწუსვართ და რუსეთის ინტე-
ლიგენციაც. მოსკოვის ქართული ლიტერატურის საბჭომ
საგანგებო პლენუმიც კი მიუძღვნა ამ პრობლემას ამას წინათ
თბილისში.

ასალგაზრდებმა შეიძლება ვერც განსაზღვრონ თავიანთი
შესაძლებლობები, შეიძლება ირწმუნონ, რომ მათი შემოქმე-
დება ღირსია დიდ არენაზე გატანისა. და აი, აქ გემართებს
სიფისიზლე. ჯერ ერთი, საკუთარ შესაძლებლობებზე გაზვია-
დებული წარმოდგენები თვითონ მწერლის ნიჭსა და უნარს
ზღუდავს, მეორეც, კვლავ და კვლავ იმატებს რუსულ ენაზე
სუროგატის სვედრითი წონა. მკაცრი შერჩევის პრინციპმა და
ფორმამ, რომლის გამოც ზემოთ ვალაპარაკეთ, ასალგაზრდა
მწერლებიც უნდა დაარწმუნოს, რომ ეს პირველი დასტამბვა
რუსულ ენაზე არის მათი წახალისებისათვის გადადგმული
ნაბიჯი და ამის შემდეგ მართებთ გაათკეცებული შრომა, რა-
თა მომავალში მართლაც შექმნან ნაწარმოები, რისი გატანაც
ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მასაც მოუტანდა სასიკეთს და
ქართულ მწერლობასაც. ან რომლის გატანაც სავსებით გა-
მართლებული იქნებოდა.

დანამდვილებით ვერ ვიტყვი, მონაწილეობდნენ თუ არა
მსგავს ფესტივალებში, იწვევდნენ თუ არა გამოიმცემლობები
თავისთან, მაგრამ იმას კი ყველა ვსედავთ, რომ ოთარ ჭილა-
ძის, რევაზ ინანიშვილის, ჯანსუღ ჩარკვიანისა და სხვათა
წიგნები სულ ასლასან გამოიცა რუსულად (მით უმეტეს მოს-
კოვში), რამდენადაც ვიცო, ტარიელ ჭანტურიას, ემზარ კვი-
ტაიშვილის, ვასტანგ ჯავახაძისა და გივი გეგეჭკორის წიგ-
ნები ჯერაც არ გამოცემულა. შედარებით ასალგაზრდების:
ბესიკ სარანაულის, მამუკა წიკლაურის, თედო ბექიშვილის,

ჯარჯი ფხოველას, გივი აღმაშენებლის, მურმან ჯგუბურიას, თეიმურაზ აბულაძის, გრივოლ ჯულუხიძის და სხვათა წაკნების რუსულ ენაზე გამოქვეყნებას არაყინ არ ჩქარობს. მათ, ვინც აქ ჩამოვთვალე და ვინც მათთან ერთად იგულისხმებოდა, კიდევაც რომ მიეღოთ მსგავს დონისძიებაში მონაწილეობა, რუსულ ენაზე თავიანთი წიგნების გამოცემას მაინც დღეს უნდა შედგომოდნენ, დღეს, როდესაც ბევრი ღირებულა ლექსისა, პოემისა, მოთხრობისა თუ რომანის ავტორები არიან.

და ამ სიკეთეს, რაც ასლავს თეიმურაზ აბულაშვილას, მაკა ჯოსაძის, ენვერ ნიჟარაძის, სოსო სიგუას, დალილა ბუდიანიძის, ლაშა თაბუკაშვილის, ნუგსარ შატაიძის, ნაილი ნეკერიშვილის, ბადათერ არაბულის და სხვათა მისწვევას მოსკოვში, მათი წიგნების გამოცემას ასლი მოძაგაღმა, ამ კუთხიდან უნდა შეესდოს. მე სრული იმედი მაქვს თვით ამ ასაღვასრდების მკაცრი შინაგანი მომთხოვნელობისა, მაგრამ აღმაშენი მაინც აღმაშენი და მათ უმეტეს, ასაღვასრდებს ვერ გავამტყუნებთ, თუ თავს ვერ მოერევიან, თუ იოცნებებენ და ეცდებიან კიდევ სისტემატური სახე მისცენ ამის შემდგომ რუსულ ენაზე თავიანთი წიგნების გამოქვეყნებას. ეს კი არ ექნებოდა სწორი.

მე რამდენჯერმე ვასხენე საკავშირო არენა. დიდი არენა. არავითარი იმედი არა მაქვს, რომ ასლა მაინც გამოგებენ სწორად და ამიტომ აქვე დაესძენ: როდესაც საკავშირო არენას დიდ არენას ვუწოდებ, მე ამით სრულებითაც არ უამცირებ თვით ქართული მწერლობის, როგორც ასპარეზის მნიშვნელობას. სწორედ ქართული მწერლობის წინაშე ვართ ჩვენ პასუხისმგებელნი, აქ უნდა ვთრთოდეთ შიშით და რადიით. მაგრამ მიმდინარე პროცესი ყოველთვის შექმნის პროცესია, რომელიც ამართლებს ძლიერისა და სუსტის თანაარსებობას. რაც შეეხება სხვა ენაზე თარგმნას, ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, მკაცრი შერჩევის პრინციპი უნდა მოქმედებდეს და პასუხისმგებლობა იმ შერჩევის პრინციპის წინაშე გვეკისრება. ამაშია განსხვავება.

ქვესათაურად „შეგუება ღალატია“ შემთხვევით არ შემირჩევია. იგი ყველაზე სრულად გამოხატავს მტკივნეული პრობლემებისადმი ჩემს დამოკიდებულებას. როდესაც ამა თუ იმ საკითხის გარშემო შექმნილ საერთო მდგომარეობას გულდასპით გაეცნობი, აღმოჩნდება, რომ რიგი კონკრეტული შემთხვევებისა საფუძველს იძლევა კმაყოფილებისათვის. კარგ გუნებაზე გაყენებს ამ კონკრეტული შემთხვევების შინაარსი. თითქოს უნიადაგო სდება უკმაყოფილება, უკმარობა, შეშფოთება და მწვავე კრიტიკა. გონებაში გაიბრუნენ ოსიპ მანდელშტამის, მარინა ცვეტაევის, ბორის პასტერნაკის, ზაბოლოცკის, ნიკოლოზ ტისონოვის, არსენი ტარკოვსკის, ალექსანდრე მეჟიროვის, ბელა ასმადულინას, ვეგენი ეიზენშენკოს... სახელები. არც ქართული მთარგმნელები დამაშვრალან მთლად უბრალოდ. მათაც მოასერსეს რიგ შემთხვევებში კარგად ეთარგმნათ რუსულ ენაზე მშობლიური ლიტერატურის ნიმუშები.

მაგრამ, როგორც კი შეეცდები, გაისიგრაძიგანო უმთავრესი რამ, კერძოდ, ქართული ლიტერატურის რუსულ ენაზე თარგმნის პროცესი კანონზომიერია თუ არა, იმ დონეზე მიმდინარეობს, ქართულ მწერლობას რომ შეჰფერის და ესაჭიროება თუ არა, მაშინვე ცხადი გახდება, რამდენად დიდი მიზეზი გვაქვს უკმარობისათვის, შეშფოთებისათვის, ბრძოლის სურვილისათვის. არაფერია გასაკვირი იმაში, რომ საუკუნის უსარმაზარ დროში თითო-ოროლა დიდი მთარგმნელი მოეცლინოს ქართულ ლიტერატურას და ისიც ჩვენი სასიქადულო მამულიშვილების ებიზოდური მცდელობით. ე. ი. არა თავისთავად, არამედ ღვაწლითა და ოფლის ღვრით. მაგრამ ამ მცდელობას არ ჰქონია უწყვეტი, კანონზომიერი პროცესის სასიათი, არც დიდი, შესაფერისი მასშტაბი და რამდენიმე კაცი საგან ეროვნული ლიტერატურის ოკეანის დამღევა არც იყო მოსალოდნელი. პარალელურად კი თვითდინებით თარგმნილი კლასიკური ლიტერატურის რამდენიმე ნიმუში მიიღო საკავშირო მკითხველმა სუროგატის სახით, საამისოდ

შორს წასვლა არ მოგვიხდება. კარგად შევისწავლოთ თარო-
ებზე ჩამწკრივებული წიგნები და სურათიც ნათელი იქნება.
სილო თუ შესწავლაზე უარს ვიტყვით, მთარგმნელია უანგა-
რო შრომის („უანგაროს“ მე წინწკლებში ჩავეხამდი. ჯ. ლ)
დაფასების სურვილის კარნახით, მაშინ მართლა არ უნდა
წარმოვიდგინოთ იდეალური სურათი, ჩვენთვის მაინც უნდა
ვიცოდეთ, რომ უამრავი რამ სელახლა არის სათარგმნი.

ქართული მწერლობის ნიმუშების კარგად თარგმნის შუამ-
თხვევა აქამდე გამონაკლისის სახიათს ატარებდა. მე ვაცხად
რომ ცდა არ დაუკლიათ, იყო მონდომება, მაგრამ კარგად
თარგმნის შემთხვევები მაინც გამონაკლისია. სრულყოფილად,
უნაკლოდ თარგმნის შემთხვევები კი კიდევ უფრო იშვიათი
სილია. ამიტომ, თითო-ოროლა სასისარულო ფაქტით მოკ-
ვრილი სიამოვნება თვითკმაყოფილების წყაროდ არ შეიძლე-
ვა იქცეს. მით უმეტეს, რომ ჩვენთვის ცალ-ცალკე ყველამ
მშვენივრად ვუწყით, რომ საქმეს შევლა უნდა. ამიტომ შექ-
მნილი ვითარება მოითხოვს გარკვეულ დამოკიდებულებას,
მას ან უნდა ეგუებოდეთ, ან არა. შეგუება ჩემთვის პირადად
დალატს ნიშნავს. აქ არაფერია თავისმოსატყუებელი, თუკი
ხელოვნური არგუმენტებით გამოკვებილ ლოგიკას ძილს არ
მოვაგვრევიანებთ და სიმშვიდისკენ არ მივიდრიკებით.

ქართული ლიტერატურის თარგმნის პრობლემით არაოუ
ყოველი მწერალი, ყოველი შეგნებული მამულიშვილი არის
დაინტერესებული. ამ საქმის მოგვარება არც თუ ერთი რა-
მელიმე ორგანიზაციის კომპეტენციის ქვეშ შედის. ყველა
ორგანიზაცია, ვისაც კი უშუალოდ ესება ქართული მწერ-
ლობის, ამ შემთხვევაში, რუსულ ენაზე თარგმნის და გატანის
მნიშვნელოვანი საქმე, თვით ექვემდებარება საზოგადოებრივ
აზრს მთელი თავისი საქმიანობით. ამ საქმეში უშუალოდ
მონაწილეობს ყველა ჩვენთაგანის აზრი და დამოკიდებულება.
ამასვე უფრო პირველხარისხოვანი საქმე ქართველი მწერლი-
სათვის, კერძოდ, ქართველი კრიტიკოსისათვის არც შეიძლე-
ვა არსებობდეს. მასზე ფიქრი სასიცოცხლო მათხოვნისილება
და რეაგირებას მოითხოვს, მით უმეტეს, რომ ბევრი საკამათი
დებულქება გამოითქვა თარგმნის პრობლემებთან დაკავშირე-
ბით. (გ. მიტინი — „პწკარედის ეპოქა“, „ცისკარი“ მე-8 ნომე-

რი) და ზოგი ჩემი მოსახრებაც არასწორად იქნა წაკითხული (ო. ნოდია—„მსატერული თარგმანის პრობლემები“, „ცისკარი“ მე-6 ნომერი).

უპირველეს ყოვლისა, სახიამოვნოა, რომ საქართველოს მწერალთა კავშირიან არსებული მსატერული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის საქმიანობა ვაგეაცნო კოლეგიის მთავარმა რედაქტორმა ოთარ ნოდიამ. ჩემს წერილში აღძრული ზოგიერთი საკითხის განხილვას მან დაუკავშირა მთავარი სარედაქციო კოლეგიის მიერ გაწეული შრომის დასასიათებაც. ეს კი მკითხველისათვის, ლიტერატურული სასოგადოებრიობისათვის, საინტერესო გამოდგა. მსატერული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია უკვე რამდენიმე წელიწადია ჩამოყალიბდა და ძლიერ ორგანიზაციად იქცა. გამოიკეთა მისი მუშაობის ფორმები და შინაარსი, სოლო თაყის წერილში ოთარ ნოდიამ მოგვითხრო კონკრეტულ მიზნებსა და ამოცანებს, რომელთა აღსრულებისათვის იბრძვის კოლეგია.

ოთარ ნოდიას წერილში ბევრი საგულისხმო მოსახრებაა გამოთქმული. მე მათ ქვემოთ საგანგებოდ შეეყვებით, რადგან არ შეიძლება ისინი არ ჩაითვალოს სწორი ორიენტაციის ეტალონებად და საგანგებოდ არ გამასვილდეს მათზე ყურადღება.

მანამ კი რამდენიმე ჩემთვის მიუღებელ შესუღლებასე უნდა ითქვას. ოთარ ნოდიამ, როგორც ჩანს, შედმეტად გაუწია ანგარიში ჩვენში ვავრცელებულ ერთ ავადმყოფურ ჩეყვას, თუ შიშს, რადგან მისი ვარაუდით (ეს ვარაუდი და მეყეობა წერილში ადვილად ილანდება) ამ შიშთან მკყეთრი დაპირისპირება უთუოდ რაღაცას აყენებდა საქმეს, რომელსაც მისი ხელმძღვანელობით ემსახურება მთავარი სარედაქციო კოლეგია. ეს შიში გასლავთ სრული სიპართლას ნისილიზშად მონათელის შიში. ჩყენ დაყეჩყეით რამდენიმე კარგი ფაქტის გასვიადებას და წყალწყალა ობტიმისშით ერთმანეთის სულის გამოკყებას. ამის ნიადაგსე იდეალური სურათების სატყვას და ტრიბუნებიდან ვარდისფერი სიტყვების ფრქვეყვას. მსოლოდ ბრმა ვერ დაინახავს და ვერ შეაფასებს სწორად დიდებული

რუსი მწერლებისა და მთარგმნელების მიერ გაკეთებულ საქმეს, მაგრამ ისევ იგივე ბრმა თუ ვერ დაინახავს, რომ უსარმაზარი საქმე მომავალშია გასაკეთებელი. გინდა თუ არ გინდა გაზვიადებულ ფაქტებსა და წყალწყალა ოპტიმიზმზე დამყარებულ შესედულებებს ანგარიში უნდა გაუწიო, ფრთხილად ისაუბრო მტკივნეულ თემაზე, ან ამთავითვე შეურიგდე უსიამოვნო რეაქციებს. მაგრამ საბედნიეროდ ბოლოს და ბოლოს დგება სოლმე დრო, როდესაც შექმნილი ვითარების მეტი მოთმენა აღარ შეიძლება და გარკვევით უნდა ითქვას ყველაფერი. თარგმანის სტიქიურმა, თვითდინებითმა პროცესმა იმდენად მახინჯი სასე მიიღო, რომ საგანგებოდ ჩააფიქრა როგორც ჩვენში ასევე სხვაგან ყველა, ვისაც კი მეტნაკლებად ესებოდა იგი. თარგმანის პრობლემა სახელმწიფოებრივი ხარისხის საგნად იქცა. საკავშირო და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში სერიოზული დისკუსია დაიწყო ამ თემის გარშემო. „ვობროსი ლიტერატურის“ რედაქცია ამ დისკუსიათა შეჯამებასაც კი შეუდგა. სრული სიმართლის თქმა საქმის შინაარსმა მოითხოვა და მისი კარნახით არ შემოიძლია ოთარ ნოდის რამდენიმე გაორებული მოსაზრება არ განვიხილო.

მე და ოთარ ნოდია სავსებით ერთ პოზიციაზე ვდგავართ, როდესაც იგი გულწრფელად აცხადებს: „კამათს არ იწყებს ის გარემოება, რომ სშირ შემთხვევაში ქართული ლიტერატურის ნაწარმოებები რუსულ ენაზე მსატერულად დაბალ დონეზეა თარგმნილი, ერთფეროვანია, დაკარგული აქვთ სტილური, მსატერული თავისებურებანი, ზოგ შემთხვევაში კი არაფერი აქვთ საერთო თვით ორიგინალთანაც, ისე რომ, ავტორი ვერც კი სცნობს საკუთარ ნაწარმოებს. ეს სინამდვილეა. სწორია ისიც, რომ ცალკეული კარგი თარგმანების არსებობა არ უნდა ნიშნავდეს საქმის საერთო სავალალო ვითარებაზე თვალის დახუჭვას“. მაგრამ საოცრად ვმორდებით ერთმანეთს, როდესაც აქ მოტანილი ციტატის ავტორი ცოტა ქვემოთ ამბობს: „მთავარია შედეგი. და თუკი საკითხის გადაწყვეტას ამ თვალსაზრისით მივუდგებით, უნდა ვთქვათ, რომ ცალკეული ნაკლოვანებების, კუროზის გამოჩნრეკა დიდს არაფერს მოგვცემს. არ არის სწორი, საკითხის გადაწყვეტა ნეგატიური კუთხიდან ვცადოთ, გარდა ამისა, ასეთ გზას საბოლოო ჯამში,

თუ უსაფუძვლო კამათამდე და კინკლაობამდე არ მივყავართ, ფაქტების უბრალო აღმწერსკელების როლში მაინც გამოიყვანართ, ეს კი მუდამ დაგვიანებული რეაქციაა“. თუ ერთ შემთხვევაში ვალიარებთ „საქმის საერთო საველალლო მდგომარეობას“, მეორე შემთხვევაში „საქმის საერთო საველალლო ვითარებაზე“ საუბარს „ცალკეული ნაკლოვანებების, კურიოზის გამოჩრსეკა“ არ უნდა ეუწოდოთ. ითარ ნოდია დამეძოწმება, ალბათ, რომ „ცალკეული ნაკლოვანებების, კურიოზის“ გამოსასწორებლად არც საკაეშირო. მასშტაბით ატყდებოდა დავა და არც მთარგმნელთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის ჩამოყალიბება გასდებოდა საჭირო. ამ კოლეგიის დაარსების საჭიროება სტიქიურობასთან „საერთო საველალლო ვითარებასთან“ დაპირისპირებამ წარმოშვა. „საერთო საველალლო ვითარების“ გამოსწორების მიზნით მთავრობის სპეციალური გადაწყვეტილებაც საჭირო შეიქნა. მასასადამე, სრული სიმართლის თქმას საჭირო, მწვავე სიმართლის შერბილება მომდევნო აბსაცში აბუნდოვანებს დამოკიდებულებას, ადუნებს ყურადღებას. მთარგმნელთა მიერ გაწეული შრომის დაფასებას ჭეშმარიტება არ უნდა შეეწიროს. შრომის დაფასება ტაქტიც არის და მადლიც. მაგრამ ტაქტისათვის ნათქვამი სიტყვა ჩვენე არ უნდა მივიღოთ სიმართლედ, რადგან სიმართლე სულ სხვას გვეუბნება, ჩვენ შრომა უნდა დაეუფასოთ ადამიანებს, მაგრამ ის, რის თარგმნაშიც დიდი შრომაა ჩადებულა, როგორც ესედავით, ვიცით, არ არის სასურველ დონეზე თარგმნილი, სელასლა მოითხოვს თარგმნას, შესაფერისად თარგმნას. სხვაგვარად ქართული მწერლობის აურაცხელი სიმდიდრე დაკარგულია საკაეშირო მკითხველისათვის. ითარ ნოდია მაშინ არის მართალი, როდესაც თვალს არ სუჭავს საქმის „საერთო საველალლო ვითარებაზე“, როდესაც ვალიარებს ამ სინამდვილეს. მხატვრული სარედაქციო კოლეგიის არსებობაც ამ სინამდვილის სრული გააზრებდით არის ჩამოყალიბებული, მას დიდი და ძნელი ამოცანა აქვს გადასაწყვეტი. „ცალკეული ნაკლოვანებებისა და კურიოზებისათვის“ ესოდენ მძლავრი აპარატიუ აღჭურვილი ორგანიზაციის ჩამოყალიბება არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა საჭირო. „ცალკეული

ნაკლოვანებებში და კურთხევები“ თვით მთავარ სარედაქციო კოლეგიის მომავალი მუშაობის თანამდევნი შეიძლება იყოს. და ეს საეხებით მოხაომენი და ბუნებრივი იქნება „საერთო საეკლესიო ეთარების“ დიამეტრულად შეცვლის ძნელ გზაზე. მთავარ სარედაქციო კოლეგიას მიზნად სწორედ ამ მსრივ მდგომარეობის გამოსწორება და თარგმანის მნიშვნელოვანი პროცესისათვის კანონზომიერი სახის მინიჭება აქვს დასახული. დღემდე ეს იმედი გვიჩნდება.

ჩემი წერილი დღემდე არსებულ ეთარებასთან შეურიგებლობის პათოსით არის ნაკარნახევი. სიმართლისათვის თვალის გასწორების გარეშე კი ნათელ მიზანს ვერაფერს დაინახავს. ჯერ სწორ დიაგნოზს სვამენ. მე ვჭვია არ მიპარება, რომ მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ, რომელსაც ოთარ ნოდია ხელმძღვანელობს, იცის ამ სიმართლის შინაარსი და ოპონენტმა შემოთ ჩემს მიერ რამდენჯერმე საზგასმული სიტყვებში გაგვიმუღაენა, რომ მშვენიერად უწყის ყოველივე. მაგრამ აუხსნელია, ჩემი მკვეთრი ფორმულირებები და უკომპრომიზო დამოკიდებულება სინამდვილისადმი რატომ მოინათლა ოპონენტის თვალში თუ ნიპილიზმად არა, პესიმიზმად მაინც. ჩემი წერილი სწორედ იმით მიმართ არის დაპირისპირებული, ვისაც მოიცავს განწყობილება — „ამ საქმეს მაინც არაფერი ეშველება“. ეს სიტყვები ჩემი პოზიციის და განწყობილების გამომსატველად არ არის წერილში ჩასმული! მთელი წერილი სწორედ ასეთი მდგომარეობისადმი შეგუების წინააღმდეგ არის მიმართული. ამასე მეტი ოპტიმიზმი შეიძლება წარმოვიდგინოთ? ოპტიმიზტი კაცის მეტი მსგავს განწყობილებას ბრძოლას ვინ გამოუცხადებდა.

... დღე კიდევ რაკი სიმართლის აღიარებას მივხდეთ, რაკი ნაკლი: სასპარაოზე გამოგვაქვს, ეს განა იმას ნიშნავს, საკითხის გადწყვეტას ნეგატიური კუთხიდან ვცდილობდეთ? ეს უმრავლად ნეგატიურისადმი დაპირისპირებაა. ამასთან საჭირო და აუცილებელი კამათი რატომ გვესახება „უსაფუძვლო კამათად და კინკლაობად“? ჩემთვის ნათელია ოთარ ნოდიას პოზიცია. ჩვენში მართლაც ხშირად იქცევა ლიტერატურული ბრძოლის, დისკუსიის საგანი უსაფუძვლო კინკლაობისა და კამათის საბაზად. მაგრამ ვისი რიღით დაროდემდე ვარიდოთ

ნავი ესოდენ ცხოველყოფელ ლიტერატურულ დისკუსიას, კამათს, თუნდაც მწვავეს. ვისი შიშით და როდემდე. მოდუნდა ქართული კრიტიკული აზროვნების და ლიტერატურის ძარღვები, რადგან სწორედ ამ ნამდვილ მწერლურ პაექრობას არის მოკლებული. პაექრობა (ლიტერატურული, ამაღლებული!) მწერლობის შინაგანი განახლების წყაროა.

კომონენტის წერილს ცოტა არ იყოს უსაფუძვლო შიშის კეპალი ატყვია. კოლეგიის სერიოზული საქმიანობა იქნებ ვინმემ ვერ დაინახოს და ვერ დააფსოსო. თარგმანის პრობლემებსა და ამ საქმის ნაკლზე საუბარი „დაგვიანებული რეაქცია“ არც მაშინ იქნება, როდესაც ჩვენი საწუკვარი მიზნები ასრულდება. როდესაც სტიქიური პროცესი, ეპიზოდური წარმატებანი კანონზომიერების კალაპოტში მოექცევა, როდესაც ეროვნული მწერლობის საუცხოო ნიმუშები შესაფერისად იქნება თარგმნილი... არ იქნება დაგვიანებული რეაქცია, რადგან დიდ საქმეს ნაკლი ყოველთვის ახლავს და თვალის დახუჭვა არასოდეს არ გვეპატიება. ახლა კი მით უმეტეს: მთავარი ხარედქციო კოლეგია მხოლოდ პირველ ნაბიჯს დგამს და როგორი სერიოზულობითაც არ უნდა ეკიდებოდეს თავის საქმეს, ჯერ შედეგი მაინც შორს არის, შედეგი მომავალშია. გაკეთებული ჯერ ხომ არც დღის სინათლეზე არის გამოტანილი. ის, რაც კოლეგიის პორტფელში დევს, როგორც თთარ ნოდისა წერილიდან ირკვევა, არ შეიძლება ლიტერატურულ ფაქტად ჩაითვალოს გამოქვეყნებამდე. შეუძლებელიცაა და არც არავინ მოითხოვს ახლად დაარსებული ორგანიზაციისაგან იდეალური სურათის შექმნას. ჯერ ყველაფერს მხოლოდ საფუძველი ეყრება — ამ უზარმაზარი მიზნის გასრულება კი თაობების საქმეა. ხვალ თუ ზეჲ კოლეგიის მუშაობის შედეგი გამოჩნდება და როცა თქოებს შეემატება ქართული მწერლობის საუცხოო თარგმანები რუსულ ენაზე, ჩვენ ყველანი მივესალმებით მას. მანამ კი ნაკლზე კამათი დაგვიანებული რეაქცია არ იქნება. თანაც ეს კამათი დღემდე არსებულ მდგომარეობას ეხება და არა კოლეგიის მიერ გაწეულ შრომას. კოლეგიის მიერ გაწეულ შრომაზე საუბარი, როგორც ვხედავთ, თვით კოლეგიის ხელმძღვანელს დაჭირდა. ეს ბუნებრივიცაა. კრიტიკას მხოლოდ ლიტერატურულ ფაქ-

ტებზე შეუძლია მსჯელობა, კულისებში გაწეულ სამზადისსე-
ან აგის თქმა ან კარგისა მკრესელობაა. მთავარი ხარედაქციო
კოლეგიის იმედი კი ამ სტრიქონების ავტორს მუდამ აქონდა
და როდესაც კი თარგმნის პრობლემაზე სიტყვა დაუძრავს, ეს
იმედიც უსხენებია. ოთარ ნოდია თაქადვე წერს: „ახეთი რამ,
მართალია, ხელის ერთი დაკერით არ ხდება, მაგრამ პოზი-
ტიური მოღვაწეობის შედეგები არც დიდი ხნით დააყოვნებენ
და აუცილებლად იჩენენ თავს თარგმანებში“. აქ თქმული არ
ესება მარტოოდენ ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანებს,
ესება ქართულიდან სხვა ენებზე და, ცხადია, რუსულ ენაზე
შესრულებულ თარგმანსაც. ჩვენც უნდა დაველოდოხო, მანამ-
დე კი ნიაღვარივით მდერიე ნაკადის მიწყდომა ხაკაემძრო
პრესის ფურცლებზე არ შეიძლება ჩვენ არ გვადელებ-
დეს.

აპონენტის ერთი დებულებაც არის ჩემოვის მიუღებელი:
„თუკი ქაროიელი მწერალი რუს მწერალს მხოლოდ იმიტომ
ხვდება, რომ ხაკუთარი ნაწარმოებები ათარგმნინოს, ამაში
თავისთავად ცუდი არაფერი არ არის, ამ შესეედრების მნიშე-
ნელობა ცალკეული კონკრეტული შემოსეევიით განისაზღვრე-
ბა, კარგის მომასწაეებელია და ნაყოფიერ მუშაობას უწყობს
ხელს. ასეთი შესეედრები მუდამ იქნება, მაგრამ ეს არ არის
გადამწყეეტი მაგისტრალური საზი ლიტერატურული ურთი-
ერთობისა და მთარგმნელობითი მოღვაწეობისა, ძირითადი
მისია ლიტერატურულ ორგანიზაციებსა და გამომცემლობებს
აკისრიათ“.

ავტორებისათვის შეურაცყოფის მიყენება არც მე მაქვს
მიზნად დახახული, რადგან ეთელი, ყოეელი ავტორი იმიტომ
აწერს ნაწარმოებს ხახელსა და გვარს, რომ მოსწონს იგი,
ხხეისაზე ნაკლებად არ მიიხნეეს. ამიტომაც მართალი გულით
და სუფთა სინდისით ესწრაფვის ხაკაემძრო არენას. ამიტომ
არ გულისხმობს ჩემი „უნდობლობა“ ავტორთა შეურაცყო-
ფას. მაგრამ მიამიტობაა ფიქრი იმაზე, თითქოს „ამ შესეედ-
რების მნიშენელობა ცალკეული კონკრეტული შემოსეეეებით
განისაზღვრებოდეს“. მე მინდა შეენიშნო ოთარ ნოდისა,
თუმცა ეეჭვობ იგი ასე გულუბრყვილოდ ფიქრობდეს, რომ
ისეე წყეული ტაქტი არ უღობაედეს სრული სიმართლის

თქმას გზას; მინდა შეენიშნო, რომ რუს მწერალთან დაახლო-
ებას ცდილობენ არა ცალკეული ავტორები, არამედ თითქმის
ყველა ქართველი მწერალი, თითქმის იმდენი, რამდენი ავ-
ტორიცაა საქართველოში, კავშირის წევრიცა და არა წევრიც.
ასაღბედაც და ძველი თაობის წარმომადგენელიც. ვიმეორებ,
მართალი გულითა და სუფთა სინდისით ცდილობენ. ავტორ-
ებს ვერაფერ ვერ მოთხოვს თავისი შემოქმედების ღირსება-
ნაკლოვანებებში ისე გარკვევას, რომ საკავშირო არენაზე გას-
ვლის უფლება აუკრძალონ თავიანთ თავს. მით უმეტეს, რომ
უამრავი ცოდვა დაგროვდა უკვე და „თუ ის ითარგმნა მე
რატომ არა“ სასამართლოს პუშანური განაჩენივით უღიმის
ზეციდან.

ჩვენ რამდენიმე ღიღებულ ქართველი მწერლის ურთი-
ერთობა გვახსოვს რუს მწერლებთან. და აი, ამ შესვედრებისა
და ურთიერთობის დადებით მხარეებზე სულ ტიციან ტაბიძის,
პაოლო იაშვილის, სიმონ ჩიქრვანის — ბორის პასტერნაკის,
ნიკოლოზ ზაბოლოცკის, ვიქტორ გოლცევის მაგალითებით
გვექმნება თუ გვეწმინდება განწყობილება. ასეთი მაღალი დო-
ნის შესვედრათა მაგალითებს რამდენიმე თანამედროვე ქარ-
თველი მწერალიც იძლევა, მაგრამ კანონზომიერი პროცესი-
სათვის სათაფის დასადებად შექმნილ ორგანიზაციას განა იმის
მტკიცება სჭირდება, რომ „მაგისტრალური ხაზი“ ლიტერა-
ტურული ურთიერთობისა აქამდე „დაპყრობილი აქვს ისეთ
პირად შესვედრებს, რომელთა მომხრე არა და არ შეიძლება
ვიყოთ? ამ პირადი ურთიერთობების დამახინჯებული ფორმა
კოლეგიის მუშაობაში შეჭრასაც ეცდება. ამ შესვედრით და-
მეგობრებულ მწერალს კოლეგიასაც მოასვენებს მეგობრად
მავანი და მავანი. ყოველ შემთხვევაში, ცდას არ დააკლებს,
იპოვოს სუსტი ადგილი. ასე აკეთებდა წინათ, ასე წყვეტდა
დიდ არენაზე თავის გატანის საკითხს მწერალთა კავშირში
თუ თბილისისა და მოსკოვის გამომცემლობებში. ასევე შეეც-
დება კოლეგიაშიც მოიკიდოს ფეხი, როგორი დიდი წინააღ-
მდეგობაც არ უნდა შესხედეს იქ, რადგან ფაქტიურად, და ეს
ნურავის ეწყინება; მთარგმნელთა მსატერული სარედაქციო
კოლეგია ისეთივე ორგანიზაციაა, როგორიცაა მწერალთა
კავშირი; „მერანის“ რუსულ გამოცემათა რედაქცია; მოსკო-

ვის გამომცემლობები და თუკი აქამდე ეს პარიერები ცალკეული ორგანიზაციების სახით გადალახეს ამ ავტორებმა, გადალახავენ სარედაქციო კოლეგიის წინააღმდეგობასაც. ამიტომ მიმაჩნდა და მიმაჩნია პირადად მე აუცილებლობად ერთი საზოგადოებრივი აზრის შემუშავება სწორი გზის მონახვის მიზნით. ამიტომ ვწერდი და ასლაც გავიშორებ, რომ მდგრად ნაკადისათვის გზის გადაღობვა ერთ რომელიმე ორგანიზაციას არ უნდა დაეკისროს, ესოდენ დიდი ეროვნული პრობლემის გადაწყვეტა — რუსულ ენაზე. სათარგმნი კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობის ნიმუშების შერჩევა განსორციელდეს სახელმწიფოებრივ დონეზე, მკაცრად კონსპირირებული, საგანგებოდ ამ საქმისათვის შექმნილი ჟიურის მიერ. რათა ამ ჟიურის კარების შეღება ყველასათვის არ იყოს შესაძლებელი, მიუწევდომელი რჩებოდეს ავტორებისათვის. სოლო კონტაქტს, ავტორებთან, იმ ნაწარმოებთან, რომელთაც ჟიური ღირსად ცნობს, ადვილად დაამყარებს ყველა ლიტერატურული ორგანიზაცია და პირველ რიგში მთარგმნელთა სარედაქციო კოლეგია. ცისკრის მე-5 ნომერში მე საგანგებოდ აღვნიშნე ამ პირობის შესახებ, მხოლოდ ჩემს თავს არ მივეცი უფლება, ფორმა იფიციე შემეთავაზებინა. თუ აქ ვაგბუდე ხიტყვის ჩამოგდება, მხოლოდ იმიტომ, რომ რპონენტმა არასწორად გაიფო ჩემი წინადადება. კვლავ და კვლავ მინდა გავიშეორო, რომ არ შეიძლება კოლეგიის, მწერალთა კავშირის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოების ენერჯია მიიანი ავტორების მოგერიებას შეეღიოს. მათი უპირველესი ამოცანაა, სუსტი მწკარედების მომხრეება. დიდსეულბ, მთარგმნელების შემოკრება, სეღასლა სათარგმნი ნაწარმოებების დადგენა და მანამდე შრომა სანამ კლასიკური ქართული ლიტერატურა საკადრისად თარგმნილი არ მივა საკავშირო მკითხველამდე (უცხო ენებზე თარგმნის პრობლემა კიდევ უფრო რთული ამოცანაა, მაგრამ ჩვენი მსჯელობა რუსული ენით ისახდვრება ამ შემთხვევაში), მე ეს მხარდაჭერა მქონდა მსედველობაში, უფრო სწორად არა მხარდაჭერა, არამედ რაღაც უფრო სემდგომი საშუალების გამონახვარადგან არა და არ არის ეროვნული მწერლობის დიდ არენაზე გატანა იმაზე უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი საქმე.

ვიდრე რუსთაველის პრემიის მინიჭებაა. რუსთაველის პრემიის მინიჭება კი არ არის დამოკიდებული ერთ რომელიმე ორგანიზაციაზე, ვთქვათ მწერალთა კავშირზე, ერთ ორგანიზაციას, როგორაც არ უნდა მუშაობდეს იგი, გაუჭირდება ობიექტურობის დაცვა, ავტორთა ბრძოლა უთუოდ გაადვილებოდა და საზომებიც აირეოდა.

სერიოზული დისკუსია რაღაც ამდაგვარი ფორმის მოსახსნავად, ჩემი აზრით, ამიტომ იყო სასურველი. თორემ სხვა მხრივ კოლეგია რომ პირადი ძალების ანაბარა არ არის მივდივარ, ეს ყველაფრიდან ჩანს. მთარგმნელთა მთავარ სარედაქციო კოლეგიას ყოველმხრივ სელშუწყობა აქვს, რომ, როგორც ძლიერი მხა, მზად იყოს დიდი საქმეების საკეთებლად.

მე ნაკლებ მჯერა, რომ კოლეგია შეძლებს იმას, რაც მწერალთა კავშირმა და გამოცემლობებმა, როგორც ორგანიზაციებმა, აქამდე ვერ შეძლეს, რადგან კოლეგიაც ერთი ორგანიზაციაა, ავტორებმა კი იციან, რომ მას სწორედ აქ უჭერენ ან არ უჭერენ მხარს და ბრძოლას არც აქ დაერიდებიან. ამიტომ წინასწარვე განწირული მეჩვენება თბონენტის თვითდაჯერებული ოპტიმიზმი: „აქვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კოლეგიამ საქართველოს მწერალთა კავშირთან ერთად არცთუ უმნიშვნელო მუშაობა ჩაატარა იმისათვის, რათა შეემცირობინა საკავშირო არენაზე რუსი და საკავშირო მკითხველისათვის არასაინტერესო ნაწარმოებების თარგმნა და გამოცემა. ამ მხრივ კოლეგიას კომპრომისის არც ერთი შემთხვევა არ ქონია; კოლეგიაში ხდებოდა რეცენზირება იმ ნაწარმოებებისა, რომელთა გამოცემა განზრახული ქონდათ ცენტრალურ გამოცემლობებს და ელოდებოდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის რეკომენდაციებს. ასეთი გამოცემების რიცხვი თითქმის „ნულის დონემდე“ დაეცა“.

კოლეგიამ რომ სერიოზული მუშაობა გასწია, ამაში ეჭვის შეტანა წარმოუდგენელია; მაგრამ განცხადება—კოლეგიას კომპრომისის არც ერთი შემთხვევა არ ქონიაო, ნაჩქარევია. შესაძლოა, ამ განცდით საქმესთან მისვლამ სიფხიზლე მოგვაკლოს და თვითკმაყოფილებისაკენ მიგვაბრუნოს.

ოთარ ნოდის წერილიდან ძალზე სასიამოვნო იყო ჩვენთვის კოლეგიის მიერ ჩატარებული მუშაობის ვაცნობა. ამკარაა, რომ მთარგმნელობითი საქმიანობა საქართველოში მაღალ კულტურულ და მეცნიერულ რეზერვზე დგება, კურსი აქეთკენ არის აღებული. სადაო და გასარკვევი პრობლემები კი ლიტერატურას არც უნდა დაელოს. განსაკუთრებით საყურადღებო ჩანს კოლეგიის გადაწყვეტილება—შეისწავლოს როგორც ქართულიდან სხვა ენებზე თარგმნილი ნაწარმოებების დონე და ხარისხი, ასევე ქართულად თარგმნილი ლიტერატურის ავტორი, დააზუსტოს, სრულყოფს სია თარგმნილი ნაწარმოებებისა და შექმნას ნაოელი სურათი არსებული მდგომარეობისა. საქმისადმი მეცნიერულ მიდგომას ყოველივე ამის გათვალისწინებით თუ მივაღწევთ.

თავის წერილში ოთარ ნოდია ვრცლად ჩერდება ერთ მტკივნეულ პრობლემაზე — პწკარედის საკითხზე. და, ჩემი აზრით, სავსებით სწორი პოზიცია აქვს შემუშავებული.

პწკარედზე საუბარს ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც უსწრებს და მინდა აქვე შეგახსენოთ ოთარ ნოდის შემდეგი სიტყვები:

„ჩვენ მიუუასლოდით საკითხს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთარგმნელობითი პროცესისათვის. ეს არის ორიგინალიდან თარგმნის საკითხი, რაზედაც არცთუ იშვიათად გამოითქმის აზრი, რომ ქართული ლიტერატურის ნაწარმოები რუსულად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ხარისხიანად ითარგმნოს, თუკი მთარგმნელი მაღალი დონის რუსი მწერალი იქნება და ამასთანავე ქართული ენა ეცოდინება.

ცხადია; მთარგმნელისათვის ორიგინალის ენის ცოდნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მთარგმნელი თარგმანის ენას, ე. ი. მშობლიურ ენას „მწერლურად“ უნდა ფლობდეს, არა გვეგონია, რაიმე ეჭვს იწვევდეს: თუ თავისი ენა არ იცის მავანმა და მავანმა, აზრი ეკარგება მის მწერლურ-მთარგმნელობით მოღვაწეობას“. სათარგმნი მასალისადმი დიდი მოწინააღმდეგეობისა და ორიგინალის ავტორისადმი დიდი პატივისცემის გარეშე შეუძლებელია ერთი ლიტერატურული ქმნილების სხვა ლიტერატურის მსატერულ

ნაწარმოებად ვარდასასვა, გარდაქმნა, აღარ გავიმეორებთ იმასაც, რომ ორიგინალის ენის ცოდნის შექმნისთვის კარგი და მსატერულად ადექვატური თარგმანის შექმნა დამოკიდებულია მწერლის-მოარგმნელის ხულიერ მადლზე, მის ნიჭზე“.

ორიგინალიდან თარგმნის საკითხი; მართლაც; არაერთხელ დასმულა და არაერთხელ მოჰყოლია აზრთა სხვადასხვაობა. მთარგმნელთა მზავარი სარედაქციო კოლეგიის სწორ პოზიციაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული და ამდენად სახისარულთა, რომ ოთარ ნოღია აქ მოტანილ სიტუაქებში ნათელ წარმოდგენას გვაძლევს არჩეულ პოზიციაზე. ნიშნავს თუ არა ორიგინალიდან თარგმნაზე კურსის აღება პწკარედზე უარის თქმას? რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, მაგრამ ორიგინალის ენის შესწავლა რჩება სახურველ მიზნად, რომელსაც გაძუღმებით უნდა ვესწარფოდეთ, თუ გვინდა მთარგმნელობითი საქმიანობა უფრო სრულყოფილი გასდეს, თუ გვინდა მისი განვითარების გზები ვაფართოვდეს. თუ თარგმანს სერიოზულ მნიშვნეღობას ვანიჭებთ, მისი სრულყოფის გზებიც უნდა დაუხსტდეს, სრულყოფის გზები კი ორიგინალის ენის საფუძვლიანი ცოდნისკენ მიგვიღიოებს, იქ ძევს სათავე უფრო სახურველი შედეგისა. ადექვატური თარგმანის მოძოვეების ყვეღაზე საიმედო გარანტიაც ის არის.

კარგი პწკარეღი საუკეთესო საშუაღებაა თარგმნის პროცესში. საუკეთესო საშუაღება! კარგი პწკარეღის შემწვობით ბრწყინვალედ ითარგმნა მსოფლიო ლიტერატურის მრავალი ნიძუში სხუადასხვა ენაზე. ბრწყინვალედ ითარგმნა ქართულ მწერღობის საუცსოღ ნაწარმოებებიც რუსულ ენაზე. ეს უკმაფაქტია. ამიტომ პწკარედს ბევრი დამცველი პყავს. დამცვეღებს ერთომ ანგარიშგასაწვეი არგუმენტებიც. მოაქვთ თაღიანთი მოსაზრებების დასამტკიცებღად. ოთარ ნოღია უროთ ასეთ საინტერესო ეპიზოღზე მოგვიოთსრობს: „როღესაც ჩვენ აძას წინათ ჩატარებული საკავშიროღ მწერაღთა კავშირის ქართული ლიტერატურის საბჭოს გამსვღელ სსღომაზე საქართვეღოს მწერაღთა კავშირში გარკვეული აზრით გავიღლაშქრეთ პწკარეღის წინაღმდეგ (თუძკა უარი არ გვითქვა მის მასზე) და ვახსენეთ რუსი ახაღვაზრდა მწერღების მიერ

ქართულის შესწავლის აუცილებლობა, ამასთანავე დაეხას-
სელეთ — ეინ სწავლობდა ქართულს, ზოგიერთმა რუსმა მწე-
რალმა ეს შეცდომად ჩავეითვალა, ვინაიდან ამაში დაინახა ის
გარემოება, თითქოს კოლეგია უარს ამბობდა ქართული ლი-
ტერატურის ნაწარმოებთა რუსულ ენაზე თარგმნის პროცეს-
ში რუსული სიტყვის გამოცდილი ოსტატების მონაწილეო-
ბაზე. რა თქმა უნდა, ეს ასე არ იყო და არ არის. მაგრამ ისიც
სინამდვილეა, რომ რუსული ლიტერატურის წამყვან ძალებს
პრაქტიკულად აწკარედის გარეშე არ ძალუთი მონაწილეობა
მიიღონ ამ თარგმნელობით პროცესში.

„ცისკრის“ მე-8 ნომერში გამოქვეყნდა რუსი კრიტიკოსის
წერილი „აწკარედის ეპოქა“, რომლის ავტორიც ცნობილია
მწერალი გენრის მიტინი საგულდაგულოდ იცავს აწკარ-
ედს, მიიჩნევს მას თარგმნის პროცესში უნივერსალურ სა-
შუალებად და თამამად აცხადებს, რომ არაერთი ორიგინალ-
ლის ენის სწავლა არ არის საჭირო ხაიმისოდ, რომ ესა იყო
ის შედეგრი ბრწყინვალედ თარგმნოს. გენრის მიტინს,
ქართული ლიტერატურის მცოდნესა და ჭეშმარიტ გულში-
მატიკვარს, არაერთი წერილი გამოუქვეყნებია საკავშირო
პრესაში. ეს წერილები ესება ქართული ლიტერატურის სხვა-
დასხვა თაობის წარმომადგენლებს, უმეტესად თანამედროვე
მწერლების შემოქმედებს. იგი ზოგჯერ ქართული კრიტი-
კოსების პაექრობაშიც ჩაებმება როგორც შინაური კაცი და
პრინციპულ შესედულებებს გამოითქვამს. ეჭვიოტანელია მა-
სი სითბო და განსაკუთრებული ინტერესი ქართული მწერ-
ლობისადმი, მაგრამ წერილი „აწკარედის ეპოქა“ შეიცავს
რამდენიმე მცდარ, მიუღებელ დებულებას და რუცილებელსა.
საწინააღმდეგო მოსახრებაც გაუუხიაროთ მოსკოველ კოლე-
გას.

გენრის მორტინს აწკარედის სასარგებლოდ უაპრაყი შძლავ-
რი არგუმენტი მოაქვს. და ეს არგუმენტები მის სელში არა
მართო იცავენ აწკარედს, არამედ უპირატესობასაც ფნჭებენ:
ენის ცოდნასთან. კრიტიკოსი ბოლომდე ძალავს იმ მთავირ
არგუმენტს, რომელიც არ შეიძლება არ ვადასწონიდეს ორი-
გინალის ენის სასარგებლოდ სასწორს. ჩემთვის აუსსნელსა,
რატომ ჭირდება გენრის მიტინს აწკარედის უპირატესობის

მტკიცება მაშინ, როდესაც პწკარედს არავინ ებრძვის და უბრალოდ მისი დაცვაც კი არ არის საჭირო. პწკარედს მოპოვებული აქვს თავისი საარსებო უფლება და მსოფლიო ლიტერატურის პროცესმა რა ფუფუნებასაც არ უნდა მიაღწიოს მთარგმნელობით პროცესში — პწკარედის საჭიროება მაინც იქნება და თავის კეთილშობილურ მისიას იგი მაშინაც შეასრულებს.

იქნებ გენრის მიტინს პწკარედის უპირატესობის მტკიცების სურვილი იმანაც აღუძრა, რომ გამოითქვა აზრი — მომზადებულიყო მთარგმნელთა კადრები, რომელთაც ორიგინალის ენა (ამ შემთხვევაში ქართული ენა) კარგად ეცოდინებოდათ და ორიგინალიდან თარგმნიდნენ ნაწარმოებებს.

ახეა თუ ისე, გენრის მიტინი კატეგორიულად აცხადებს, რომ არავითარი ენის შესწავლა არ არის საჭირო, მთელ ტვირთს პწკარედი იტვირთავსო. გენრის მიტინი ერთ რამეში მართალია, და ამ მთავარ მიზეზს თუ აბსოლუტურ მიზეზად ვცნობთ, მისი მოსაზრებანი შეუვალი და უაღრესად საინტერესონიც ჩანან: პრაქტიკულად ორიგინალის ენის შესწავლა კარგი მთარგმნელისაგან უტოპიადაც კი ჩანს. მართლაც ძნელია წინასწარ განჭვრიტო, ვინ იქნება მთარგმნელის ნიჭით მომადლებული, ვის შეეასწავლოთ ქართული ენა, მაშინ, როდესაც გაცილებით ადვილია უნიჭიერეს მთარგმნელებად აღიარებული მწერლების დაინტერესება ქართული ლიტერატურით და ზუსტი პწკარედით მათი მომარაგება. მაგრამ რატომ აირეკლა ჩვენს წარმოდგენებში ორიგინალის ენის მცოდნე ბრწყინვალე მთარგმნელთა არსებობა თუ გაჩენა უტოპიად? რატომ გვესახება თითქმის შეუძლებლად, რომ ახლო მომავალში მომრავლდებიან რუსი მწერლები, ეისაც ქართული ენა კარგად ეცოდინებათ?

გენრის მიტინი უშვებს ერთ არსებით შეცდომას, რომლისთვისაც წაყრუება არასგზით არ ეგების. შეცდომა ჩვენი ლიტერატურული ურთიერთობის ქვაკუთხედს ესება. „...დარწმუნებული ვარ, რომ არ შეიძლება ჩვენს შინაგან თარგმანებს, ანუ სსრ კავშირის ხალხთა ენებიდან რუსულ ენაზე თარგმანებს გარეგანი თარგმანების, ანუ უცხოენოვან — დასავლური იქნება ეს, აღმოსავლური თუ სამხრეთული — თარგმა-

ნების საზომებით ვუდგებოდეთ, არ შეიძლება შინაგანი თარგმანების საქმე გარეგან თარგმანებში ნაცად „რელსკზუე“ გადავიყვანოთ. მაშასადამე, არ შეიძლება უარყოფით გზა, რომელმაც უკვე გვაგება ისტორიული მასშტაბის წარმატებანი“ (საზგასმა ყველგან ავტორისაა). გენრის მიტინის აქ მოტანილი მოსაზრება, ჩემი აზრით, დიდ გაუგებრობასუა აგებული. თუ იგი პწკარედს იცავს ან მის უპირატესობას აღიარებს, მაშინ ჯობდა გარკვევით ეთქვა, რომ გარეგანი თარგმანების ორიგინალის ენის ცოდნით შესრულება მცდარი გზა იყო, ისინიც პწკარედზე დაყრდნობით უნდა გაკეთებულიყო. მაგრამ არა, გარეგანი თარგმანების მიმართ გენრის მიტინი აღიარებს, რომ სჯობს, ინგლისელი მწერალი ინგლისური ენის მცოდნე კარგმა მწერალმა თარგმნოს, ფრანგი მწერალი ფრანგული ენის მცოდნე კარგმა მთარგმნელმა, ესპანელი — ესპანურისამ, თურქი — თურქულისამ, გერმანელი — გერმანულისამ, ჩინელი — ჩინური ენის მცოდნე კარგმა მთარგმნელმა და ა. შ.

აქ კი შინაგანი თარგმანები, ანუ თარგმანები სსრ კავშირის სალხთა ენებიდან რუსულ ენასე, სასურველია (მგონი აუცილებელიც!!!) პწკარედზე დაყრდნობით განსორციელდეს. აი, ეს მოსაზრება, რომლის ბოლომდე დაცვას და არგუმენტებით საიმედოდ გამაგრებას ცდილობს გენრის მიტინი, ან უსეში შეცდომაა ან იმით შეიძლება გამართლდეს, რომ კრიტიკოსი საქმის გაიოლების მიზნით გვირჩიეს, ნუ გამოვეკიდებით „უტოპიებს“ და ვეცადოთ პწკარედით ეთარგმნოთ. მით უმეტეს, რომ „ისტორიული მასშტაბის წარმატებანი“ პწკარედის წყალობით არაყროსულ აქნა მიღწეულია.

რაკი გენრის მიტინი დაბეჯითებით იცავს პწკარედს, იძულებული ესდებით, ჩვენც გავიმეოროთ სშირ-სშირად, რომ პწკარედის წინააღმდეგი არაყინ არ არის. მაგრამ საქმე ესება თარგმნის პროცესის შემდგომი სრულყოფის საკითხს, შემდგომი სრულყოფა კი იმას ნიშნავს, რომ პწკარედის წყალობით მიღწეული „ისტორიული მასშტაბის წარმატებანი“ ეპიზოდური ხასიათისად გვეჩვენება დღეს და ეროვნული მწერლობის უნივერსალური ბუნების სრული წარმოჩენისათვის უფრო დიდი შედეგის მომტანი გზების ძიებას ვადგავართ.

აქ ერთ გარემოებასაც უნდა გაეხვას საზი. როდესაც გენ-
რის მიტინი საჭიროდ მიიჩნევს „გარეგანი“ ლიტერატურის
ორიგინალის ენის ცოდნას და სსრ კავშირის სალსთა ენების
შეუსწავლელობას ქადაგებს, იგი უნებურად ამცირებს ქარ-
თულ ფუ სომხურ, აზერბაიჯანულ თუ ესტონურ, ლიტვურ
თუ მოლდავურ ლიტერატურათა მნიშვნელობას. არ შეიძ-
ლება აწკარედი ერთისათვის გამძლე და უნივერსალურ სი-
დად ჩათვალო, ხოლო მეორეს აწკარედის სიღის გვერდით
ორიგინალის ენის ცოდნის ფართო. გაჩასჩასებული სიდიც
აუგო.

რე თქმა უნდა, გენრის მიტინს აზრადაც არ ჰქონია
საბჭოთა კავშირის სალსთა ლიტერატურების დამცირება, მან,
როგორც ჩანს, რეალურ მდგომარეობას გაუწია ანგარიში და
გაზარდა აწკარედის მნიშვნელობა, ვერ გაითვალისწინა, რომ
აწკარედის იმედზე მიტოვებულ საბჭოთა კავშირის სალსთა
ლიტერატურები მეორესხარისსოვანი მწერლობის ჩრდილქვეშ
აღმოჩნდებოდნენ, მათ უნებლიედ ამგვარი იარლიყი აეკრო-
ბოდათ.

ქართულ მწერლობას კი, ისევე როგორც ყოველ ეროვ-
ნულ მწერლობას, თავისი პრეტენზიები აქვს. რუსთაველის,
გურამიშვილის, ბარათაშვილის, აკაკის, ბლიას, ვაჟა-ფშავე-
ლას, დავით კლდიაშვილის; ალექსანდრე ყაზბუგის, გალაკტი-
ონის, ნიკო ლორთქიფანიძის, მისეილ ჯავახიშვილის, კონ-
სტანტინე გამსახურდაას, გიორგი ლეონიძის, ტიციან
ტაბიძის; სიმონ ჩიქოვანის სასელები... მათ მიერ აშენებული
გრანდიოზული ლიტერატურული სამყარო, რომელსაც დღეს
ღირსეული წარმომადგენლები ამმევენებს, გვაფალებს ჭეშმა-
რიტი ლიტერატურული შედეგები მსოფლიო სალსის კუთ-
ენილებად ვაქციით. საამისოდ კი უნდა გამოვიყენოთ ყველა
საუკეთესო საშუალება, მათ შორის ზუსტი აწკარედი და ასლ
კი დროა ვაზრუნოთ უფრო საიმედო და სრულყოფილ. ყორ-
მასუ — ორიგინალის ენის შესწავლასუ. მარტლ ვაჟა-ფშაველას;
პოეტურ სამყარო იკმარაჰს მიხესად, რომ სხვა ერის შვილი
ქართული ენის შესწავლით დაბნტერესდეს, მიხნად გაიხადოს
გრძნობისა და აზრის დვთაებრივ მიმოქცევის ყოველი ნიუ-
ანსის წყდლმა. საბჭოთა კავშირის სალსთა ერთიანობა ვფიქ-

რობ, უფრო უნდა აადვილებდეს დაახლოებას და ენის დაუფლებასაც. დიდმა რუსმა მწერლებმა, რომელთაც ბევრი ბრწყინვალე თარგმანით გაამდიდრეს რუსული ლიტერატურა, გააცნეს რა ქართული მწერლობის ნიმუშები თავიანთ ხალხს, ის აზრიც დაამკვიდრეს, რომ ქართულ ლიტერატურაში ზემოთ ჩამოთვლილი რამდენიმე გენიალური შემოქმედის სახით არსებობს მსოფლიო ლიტერატურისათვის უადრესად საინტერესო პოეტური სამყაროები. მათ დამაჯერებლად ილაპარაკეს ამის შესახებ და ნაწილობრივ, აგრძნობინეს კიდევ თავიანთი თარგმანებით ამ ქვეყნის არსებობა მკითხველს. ცხადია, ისინი ვერც გაწვედებოდნენ ყველაფერს, მაგრამ ჩაუყარეს საფუძველი დიდ, ძალიან დიდ საქმეს. ამ დიდი საქმის ბოლომდე მიყვანა კი ორიგინალის ენის შესწავლის გარეშე წარმოუდგენელია.

გენრის მიტინი წინააღმდეგია ისეთი მთარგმნელების მომზადებისა, ვისაც ენა ეცოდინება და ნიჭიც ექნება: „იმის თქმა მინდა, რომ ამ საქმეში ზიანის მომტანი გახდება კურსის აღება ისეთი მთარგმნელების მომზადებაზე, ვისაც ენა ეცოდინება და ნიჭიც ექნება. რას გვიბრძანებთ იმ მთარგმნელის თაობაზე, რომელიც ენას დაუფუფლება, ხოლო ტალანტი არ აღმოაჩნდება?! სელს მიჰყოფს ასეთი ვაი მთარგმნელი „ოსტატობის“ ტალანტად გასაღებას და გამოაცხობს ე. წ. „წიგნიერ“ თარგმანებს“.

მინდა შევნიშნო გენრის მიტინს, რომ უნიჭო მთარგმნელები ქართულ მწერლობას არც ახლა აკლია, როცა აწკარუდით ითარგმნება იგი და არც მაშინ მოაკლდება, როდესაც ორიგინალის ენის შესწავლას შეუდგება ვინმე, მაგრამ ამ შემთხვევაში ორიგინალის ენის მცოდნე ნიჭიერი მთარგმნელები დაგვიგროვდებიან. რაც შეეხება აწკარუდით მუშაობის უპირატესობას, ამას ვერა და ვერ დავიჯერებთ. ორიგინალის ენის მცოდნეს, თუკი ის ნიჭიერი მთარგმნელია, ინტუაციაც რჩება, რასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გენრის მიტინი და სელთა აქვს გასაღები სხვა ერის სულაიერი ცხოვრებისა, რამეთუ კარგად ფლობს მის ენას. სოლო კიასკის ნიშნის დასმა ყოვლად უსაფუძვლოა, გაუმართლებელი. არ უნდა დამეჭვდეთ იმაში, ინგლისური ენის მცოდნე კარგი მთარგმნელი

უფრო სრულყოფილად თარგმნიდა ბაირონს თუ პუშკარედით შეიარაღებული ასევე კარგი მთარგმნელი. რა თქმა უნდა ენის მცოდნე! ნიკოლოზ საბოლოოცკის მიერ შესრულებული ვაჟა-ფშაველას ლექსებისა და პოემების თარგმანები გაცილებით სრულყოფილი და მაღალმსატერული იქნებოდა, დიდებულ მთარგმნელს ღრმად რომ ცოდნოდა ქართული. ნიკოლოზ საბოლოოცკის რუსული ენის შედმიწევნით კარგად მცოდნე ქართველი მწერლები უწევდნენ კონსულტაციას, მაგრამ, როგორც ჩანს პუშკარედმა ვერ მისცა ყველაფერი მთარგმნელს, ვერ დაანახა მთელი არსით ვაჟა-ფშაველას სოციერთი ნაწარმოები. მაგალითად, ვაჟა-ფშაველას პოემიდან „გველისმჭამელი“ პასტერნაკისეულ თარგმანში გამოტოვებულია სამოცდათექვსმეტი სტრიქონი. ასევე ბევრი სტრიქონია გამოტოვებული საბოლოოცკისეულ თარგმანშიც. „გველისმჭამელი“ უნაკლო ნაწარმოებია, დატვირთული ღრმა ქვეტექსტებით ისევე, როგორც ვთქვათ ლერმონტოვის „დემონი“. განა გამართლებული იქნება, რომ „დემონიდან“ 76 სტრიქონი გამოვტოვოთ თარგმნისას? „გველისმჭამელში“ შედმეტი სტრიქონი არ არსებობს. მაგრამ პუშკარედმა ვერ დაარწმუნა შესანიშნავი მთარგმნელები ამაში, გენიალური სტრიქონები პუშკარედის გზით ადვილამოსაშლელ ადგილებად აღიქვს, ისეთ დეტალებად, ნაწარმოების სულთან არავითარი საერთო რომ არა აქვს. ნაწარმოებს კი ბევრი დააკლდა. პუშკარედმა საბოლოოცკის თარგმანში ერთი ისეთი სტრიქონიც კი შეიწირა, რომლის გარეშეც „გველისმჭამელი“ დედააზრს კარგავს: პოემაში ორი მსატერული კონცეფციაა ერთმანეთს დაპირისპირებული. მინდიას მოსაზრება — ბუნებასთან პარმონიული შერწყმის მისეული გზის გამომსატეელი, რაც წონასწორობის აღდგენის საშუალებად ესასება და თემისეული, რომელიც ცოდად არ თვლის სის მოჭრას, სორცის ჭამას და ა. შ. და ეს მსატერული კონცეფცია (თემისეული) ჩადებულია შემდეგ სტრიქონში — „ის რად ვიცოდვოთ, უფლისგან რაიც არ გვეცოდვებისა“ — და იგი თარგმანში ამოკვეთილია. პირველი კონცეფციის სპირისპიროდ პოემაში არ დარჩა მთორე აუცილებელი კონცეფცია... ასლა მინდა შეენიშნო გენრის მიტინს — თუ ქართული ენა შედმიწევნით კარგად ეცოდინე-

ბოდა ნიკოლოზ ზაბოლოცკის, იგრძნობდა თუ არა ამ სტრიქონის დიდ, გადამწყვეტ მნიშვნელობას და ამოაგდებდა თუ არა მას სხვა სტრიქონებთან ერთად? თარგმანი იქნებოდა თუ არა გაცილებით სრულყოფილი?

ორიგინალის ენის უცოდინარობას როგორ განიცდის მთარგმნელი (კარგიც და სუსტიც), ამის საილუსტრაციოდ თვით გენრის მიტინის მიერ მოწვდილ მაგალითს დავისესხებ:

„გ. მ. გამოდის, რომ მ. ჯგუბურიას შემთხვევაში პწკარედებს არავითარი როლი არ უთამაშნიათ?

ლ. ტ. ითამაშეს! მერე როგორ! კინაღამ უარი არ ვთქვი ჯგუბურიას წიგნზე. საქმე უბრალოდ „ცუდ“ პწკარედებში კი არ იყო, არამედ იმაში, რომ მათ მიკიბულ-მოკიბულადაც ვერ გამაგებინეს მისი პოეტური სამყაროს, წერის მისეული მანერის თავისებურებანი. ეს შემდგომ შევიტყვე, როცა საქართველო დავიარე, ვნასე მისი სოფლები. მას შემდეგ, რაც დაუზოგავად ვუწევდი მურმანს ექსპლოატაციას, ვაიძულებდი რამდენჯერმე წაეკითხა ერთი და იგივე ლექსი, აესხნა უწვრილესი ნიუანსები... ჰოდა, გამიმუღავნდა ცხრა ბეჭდით დაბეჭდილი და არა გარეგანი დინამიკა, მისეული უამთასვლა, მისი ლექსისათვის ორგანული იდუმალება.“

მთარგმნელს დასჭირვებია საქართველოს სოფლები მოევლო, „დაუზოგავად გაეწია ექსპლოატაცია“ პოეტისათვის, რამდენჯერმე წაეკითხვინებინა ერთი და იგივე ლექსი, მოეთსოვა ყოველი ნიუანსის ასხნა... მსოლოდ ამის შემდეგ გაუმუღავნდა „ცხრა ბეჭდით დაბეჭდილი, მისეული უამთასვლა, მისი ლექსისათვის ორგანული იდუმალება“ სოფლების ნასვით, ერთი და იგივე ლექსის რამდენჯერმე წაკითხვინებით, ყოველი ნიუანსის ასხნით მთარგმნელი (განა დიდი მისვედრა უნდა ამას?) ცდილობდა შეეგსო ის, რაც ორიგინალის ენის უცოდინარობით აკლდა! კარგ პწკარედს, თუ თავდაპირველი არ მოსწონდათ, თბილისშივე მოიპოვებდნენ მთარგმნელიც და პოეტიც. არც საქართველოს დათვალიერების საბაბად არ ქცეულა პწკარედი. მთარგმნელი, როგორც თყით აღიარებს, სწორედ იმიტომ აკითხვინებდა დაჟინებით ერთსა და იმავე ლექსს პოეტს და ყოველი ნიუანსის ასხნას სწორედ

იმიტომ სთხოვდა, სამეგრელოს სოფლების ყოფას იმიტომ ეცნობოდა, რომ ორიგინალის ენა არ იცოდა! დანაკლისს იესებდა ამით! სურდა სათარგმნი მასხალის თაეისებურებას და იღუმალება ამ საშუალებით მიწვდომოდა.

მსგავსი დასმარება არ სჭირდება ქართველ მთარგმნელს, როდესაც იგი რუსულ პოეზიას თარგმნის: არ სჭირდება საგანგებოდ რუსული სოფლების დაყლა, ავტორისაგან რამდენჯერმე ერთი და იგივე ლექსის წაკითხვა, ნიუანსების ასხნა. და ვერაინ ვერ დაახასელებს ქართველ მთარგმნელს, რომელიც ნახობდეს, რა იქნებოდა რუსული ენა რომ არ ეიცოდე, რა კარვად ვთარგმნიდი მაშინ პუშკინს ან ლერმონტოვს აწკარედის დასმარებითო! რუს მწერლებს სპირად უყვართ ერთი ცნობილი ჭემმარიტების განმეორება: პოეზია არის ის, რაც თარგმნისას თვალსა და სელს შუა გვიქრებაო. აწკარედში მით უმეტეს იკარგება „ის!“ და როგორ გვინდა თარგმნის პრობლემის, მისი განვითარების გზების შემდეგი სრულყოფა თუ ორიგინალის ენის შესწავლისკენ არ აყიდეს კურსი. ნიუანსები, ინტონაციები, იღუმალება — ყველაფერი ის, რასაც პოეზიის შინაგანი მშვენება ეყრდნობა, ორიგინალის ენის ღრმა ცოდნით შემოდის სრულყოფილად ჩვენში. ვფიქრობ, გენრის მიტინი არ შემოგვედავება იმაზე, რომ რუსი მწერლის, რუსული ლიტერატურის ყველა პატრიოტის ოცნებაა, მსოფლიო, განსაკუთრებით ევროპა, მთელი თავისი მშვენებით გრძნობდეს პუშკინს, მისი პოეზიის იღუმალ მშვენიერებას და თუ ეს მართლაც ოცნებაა, მაშინ, პუშკინის მთარგმნელი რომ რუსული ენის ღრმა მცოდნე იყოს, მის თვალში რუსი სალსის გენია სომ სულ სხვა მადლით შეიმოსებოდა! მე დარწმუნებული ვარ, რომ გენრის მიტინს, აწკარედის თავგამოდებით დამცველს, ვერც კი წარმოუდგენია პუშკინის თარგმნა რომელიმე სახლვარგარეთელმა მთარგმნელმა რუსული ენის ღრმად დაუფლების გარეშე ცადოს. იგი, როგორც რუსი ადამიანი, როგორც რუსი მწერალი, უკმაყოფილოც იქნება და გულნაკლულიც. გულნაკლული იმის გამო, რომ ცხადად გრძნობს, როგორ ვერ წვდება ის ევროპელი თუ აზიელი, ამერიკელი თუ აფრიკელი მთარგმნელი რუსული ლიტერატურის ენის ფასეულ მშვენებებს.

გალაკტიონის პოეზიის ღვთაებრივ ესთეტიკას მთარგმნელის თვალსაყვილი გრძნობების სამყარო უნდა შეეგებოს და არა ინტუიციის ანაბრად დარჩენილი ნიჭი მთარგმნელისა. ამის თქმით განა ინტუიციის ან მთარგმნელის ნიჭის წინააღმდეგ გამოდის ვინმე?

სურვილები და ოცნებები დაიწყებას მიეცეო და პრინციპი ერთსეღ კიდევ გადავსინჯოთ. გენრის მიტინი დაუინებოთ ირწმუნება:

„ტალანტით დაჯილდოებულ მწერალს ენის ცოდნა შეეღის ორიგინალის უკეთ ათვისებაში. ტალანტი უწყობს სეღს, რომ „სხვასაც“ აგრძნობინოს სათარგმნი ნაწარმოების სიღამასე, ტალანტი და არა ორიგინალის ენის ცოდნა! აქ შეცღდა ვ. სკოტი, რამეთუ ორიგინალის ენის ცოდნა, არა თუ შემწეა, არამედ სეღის შემსღელია მსატერული ნაწარმოების სსეა ენასე ადექეატური სორცშესსმის საქმეში. ამ სიძნელის დაძღევა მსოლოდ ჭეშმარიტ ტალანტს სეღეწიფება, თვითმყოფადს ანდა მთარგმნელურს, უნიჭო კაცი და სეღოსანი ეერასოდეს დააღწევენ თავს სსვათა ენის ტყეეობას. ისინი გაებმებიან მასში, როგორც ბუში გაებმება სოღმე ობობას ქსელში. სამაგიეროდ, ასეთები ჩქარობენ — აგვაფარონ ცნობა ენის ცოდნის შესასებ — როგორც ყვეღა თავიანთი ცოდვის გამოსასყიდი ინდულგენცია“.

სავსებით ვეთანსმები გენრის მიტინის ამ მოსასრებაოა ბოლო ნაწილს. უნიჭო ენის მცოდნენი მართღაც სეღოსნებად გვეღვლინებიან, მართღაც ობობას ქსელში ებმებიან, მაგრამ აღბათ ძნელად მოიძებნება კაცი, ვინც გაიზიარებს ორიგინალის ენასთან მისეულ დამოკიდებულებას, ვინც დაეთანსმება იმაში, თითქოს ორიგინალის ენის ცოდნა სეღის-შემსღელი იყოს კარგი თარგმანის შესრულებისას. ვ. სკოტის შესეღულებაც ნაჩქარეად გამოაცხადა გენრის მიტინმა შეცღლომად. არგუმენტად ნაკლებ გამოღგება ის ფაქტი, რომ ორიგინალის ენის მცოდნე ყოვეღი მთარგმნელი მაინც აკეთებს თავღაპირვეღად თავისთვის პწკარედს და შემღევ თარგმნას და რანდავს მას. გენრის მიტინს მსეღვეღობიდან რჩება უმოაერესი: პოეტის ფასეული იღუმაღების და მშვენიერების (აი ის, რაც პუშკინისაღან ეკარგებოღა სსეა ენებზე თარგმნი-

ხან რუსულ მწერლობას) განცდა მხოლოდ ორიგინალის ენის ღრმა მცოდნე მთარგმნელს „ეწიფება ხელთ.“

თავის ვრცელ წერილში გენრის მიტინი ფესმოუცვლელად იცავს პწკარედის უპირატესობას, მაგრამ როგორც ლიტერატურის კარგმა მცოდნემ, მაინც იგრძნო ასეთი მტკიცების უხერხულობა და დასასრულ იძულებული იქნა ელიარებინა სრულიად საპირისპირო მოსაზრება რეალური სინამდვილისათვის ანგარიშის გაწევის მოტივით:

„სოლო აქედან გამომდინარეობს უღმობელი დასკვნა: სათარგმნელ პოეტს ის ურჩევნია, თვითონვე გააკეთოს პწკარედი. „მაშასადამე ჯობს იცოდეს, ვიდრე არ იცოდეს ენა?“ — ნიშნს მომიგებს ჩემი ცბიერი ოპონენტი. ცხადი ჭეშმარიტების და კეთილგონიერების მოთაყვანე.

ღიას, ჯობს. თანახმა ვარ. ეგევე კეთილგონიერება გვკარნახობს, რომ ჩვენი მრავალეროვნული ქვეყნის პირობებში და მანამდე, ვიდრე იგი ასეთად რჩება, ნიჭით ცხებულ ენის არმცოდნე პოეტს და ენის მცოდნე რიგით მთარგმნელს შორის არჩევანი პირველს უნდა მივაკუთვნოთ მუდამ!“

აქამდე გენრის მიტინი, როგორც დავინახეთ, სულ სხვა რამეს გვიმტკიცებდა, კერძოდ იმას, რომ ენის ცოდნა ხელს უშლის მთარგმნელს უკეთესი თარგმანის შესრულებაში და პწკარედს გვისახავდა იდეალურ საშუალებად. აქ უკან დაიხია, აღიარა, რომ ენის ცოდნა სჯობს, მაგრამ მაინც პწკარედის იმედად დაგვტოვა, — რადგან არარეალურად ესახება ქართული ენის ღრმად შესწავლა, ეს ტენდენცია არასასიამოვნოა თავისი არსით. რატომღაც გენრის მიტინი უტოპიად თვლის ქართული ენის შესწავლას და რატომღაც პწკარედით შეიარაღებული ნიჭიერ მთარგმნელს აჯიბრებს ენის ღრმად მცოდნე უნიჭო მთარგმნელთან. რა თქმა უნდა, შეჯიბრში ნიჭიერი მთარგმნელი გაიმარჯვებს. მაგრამ რაკი გენრის მიტინი თვითვე აღიარებს დასასრულ „ცბიერი“ ოპონენტის საპასუხოდ „ენის მცოდნე სჯობიაო“, მაშინ მე აღარ განვაგრძობ მტკიცებას. უბრალოდ მინდა შევნიშნო გენრის მიტინს, რომელსაც არა და არ შეეკადრებდით ეპითეტად „ცბიერ ოპონენტს“, რომ რატომ მაინცდამაინც ნიჭიერ მთარგმნელს ვაჯიბრებთ უნიჭოს, ენის ცოდნას ამოფარებულ ხელმოცა-

რულ მთარგმნელს? სხვაგვარად ვთქვათ, სხვაგვარად ვიკითხოთ: ქართული ენის ღრმად მცოდნე ბორის პასტერნაკი სჯობს თუ ქართული ენის არმცოდნე ბორის პასტერნაკი? ე. ი. ენის ღრმად მცოდნე ნიჭიერი მთარგმნელი? ინგლისური ენის ღრმა მცოდნე მაჩაბელი სჯობს თუ აწკარედის მეოხებით მომუშავე მაჩაბელი? ვფიქრობ უბრალო არითმეტიკა!

მე ვეთანხმები გენრის მიტინს, რომ ისტორიული მასშტაბის წარმატებანი ქართული პოეზიის თარგმნის საქმეში აწკარედის დონეზე შედგა. მაგრამ თარგმნის შემდგომი სრულყოფის გზაზე არსებობს უფრო დიდი სიმაღლე — ორიგინალის ენის ღრმა ცოდნა, რომლისკენაც არ შეიძლება, არ გვექონდეს კურსი აღებული და ძალიან გვიეჭვება ამ სიმაღლისაკენ სწრაფვაზე უარი ეთქვათ იმ დიდ რუს მწერლებს — ქართული პოეზიის საუცსო მთარგმნელებს, ვისაც ქართულ ლექსთან შესვედრა აწკარედის დონეზე მოუწიათ.

კრიტიკული აზროვნების სასურველი დონე მარტოოდენ კულტურის სფეროს მოვლასა და აღმავლობას არ გულისხმობს. კრიტიკული აზროვნება, რომელიც ნაკლოვანებათა დაძლევისა და თვითგანწმენდის გზით თავის სიმაღლეს დაუბრუნდება, უკვე არა მარტო ლიტერატურის, არა მარტო კულტურის ამა თუ იმ სფეროს ვამაძლიერებელ ძალად იქცევა, არამედ აქტიურად იბრძოლებს სელოვნებასთან ერთად ხალხის სულის გაწვრთნისათვის, მისი ზნეობრივი და ფიზიკური სიჯანსაღისათვის.

შემთხვევითი არ არის, რომ ბევრი იწერება დამასანჯეზულ ტრადიციებზე, ჩვევებსა და ჩვეულებებზე. ჩვენს თვალწინ ქართველი ხალხის უნიკალური ტრადიციები იღახება. საჭიროა მაქსიმალური სიფხიზლის გამოჩენა, რომ არ დაიკარგოს ძვირფასი თვისებები, არ გაქრეს საუკუნეობით გამოძერწილი ფორმები. ჩვენი დროისათვის ნიშანდობლივი სიახლეების წინეამ დაბნეულობა არ გამოიწვიოს და ჭეშმარიტად ღირებულის გვერდით მასინჯი ფორმებიც არ შემოგვეპაროს ასალი ტრადიციებისა, სწორი გავრძელება მოენახოს ძველთაძველ თვისებას ჩვენი ხალხისას, რათა მოწინავე ჯანსაღი სულიერი ცხოვრების წესს მივხდეთ და არა მცონარობისა და პროვინციალიზმის ხაცოდავ ორდობეს.

აქედხად ლატერატურული ციოეოეიის ოფეუსოიგეუსი სი-
 ზანი, რასაც კრიტიკული აზროენება უნდა ასორციელებ-
 დეს. ოავისოაეად ვადიზრდება ქაროველი ხალხის ეროვ-
 ნული თვისებების დაციის მაჩნად. ამ წერტილში კრიტი-
 კული აზროენების სიფსიზლე ააეის მაქსიმალურ გამოვ-
 ლენის მაადწევს უხაიუოდ. ქაროული ლატერატურა მუდამ
 ხავანგებოდ შეისწავლიდა დიდი კულტურის შემოქმედ
 წინაპართა ცხოვრების წესს და ამით შეგვახსენებდა იმ დიდ
 ტვირის, რომლის ტარებასაც ენერგიის მაქსიმალური მო-
 ბალაზება სჭირდებოდა. ამას შეგვახსენებდა ჩენი მდიდა-
 რა, შინაარსიანი დროის მოსოენას, წინა ხაზზე ღირსეულ
 დგომას. ღირსეული დგომისათვის კი აუცილებელი სდება
 წარსულის უესეების მაჩსრეკა, წინაპართა ცხოვრების
 სტილას შესენება და იმ მცდარი შეხედულების უკუგდუ-
 ბა, თითქოს ქაროველობა სიზარმაცეს, ბედოელათობას,
 უყაართობას, უდარდელობას ნიშნავდეს, რომ ნამდვილი
 ქართველობა დიდი შრომის, ამტანობის, რაინდობის და სხვა
 ძვირფასი თვისებების შინაარსს გულისხმობს და ამ თვისებებს
 უნდა სრული გამოვლენისათვის თანადგომა კრიტიკული აზ-
 როენებას მსრავ. ის სიფსიზლე კი ჩენი მდიდარი დროის
 ფართო ასპარეზზე ქაროული კულტურის სრულფასოვან გა-
 სელას შეუწყოხს ხელს. ჩემი აზრიო, ქვემოთ თქმული ამიტო-
 მაც ორგანულად უკავშირდება კრიტიკული აზროენების ყოველ
 მტიენეულ პრობლემას.

სივრცის გრძნობა „ვეფხისტყაოსანში“

ლიტერატურას ერის სულიერ წიაღში შეეყავართ. ლიტე-
 რატურის მეშვეობით შეიძლება წაკითხულ იქნას ხალხის
 სულიერი მდგომარეობა ისტორიის ყოველ მოსაბრუნში. ლი-
 ტერატურა ამავე დროს თვით გვაავალებს ამგვარ შეცნობას,
 აუცილებლობის ხარისხამდე აჰყავს შეცნობის სურვილი. იგი
 როგორც ტრადიცია და ამავე დროს ჩვენს ფიქრში გადამდნა-
 რი სისხლი, მოითხოვს შესატყვის ღირსეულ ყოფნას, გვაწ-
 ვდის ძალას და ენერგიას ღირსეული დგომისათვის. სხვა
 ძვირფას თვისებათა შორის „ვეფხისტყაოსანი“ მიგვანიშნებს
 სივრცის უჩვეულო გრძნობაზე.

სიერცის გრძნობა ათასგვარი წახნაგით ამხელს ადამიანის შესაძლებლობებს, მის შინაგან თავისუფლებასა თუ შესღულულობას. ამ თვალსაზრისით შთაბოძავლობა „ვეფხისტყაოსანს“ პერიოდულად ისევე უნდა მიუბრუნდეს, როგორც მაცოცხლებელ უკვდავ წყაროს, რომელიც ზრდის გულს, ფიქრს, ფანტაზიას, ათბობს ძარღვებს და კუნთებს, უფრო სწორად, ალაღებს მათ.

სიერცის უჩვეულო გრძნობას ფლობენ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები. თავისი საფუძველი აქვს მოხაზრებას, რომ რუსთაველმა პოემის მოქმედება სხვა ქვეყნებში გადაიტანა და უშორესი ქვეყნები აქცია გმირთა სამოქმედო ხარბიკლად. მაგრამ პოეტის შინაგანმა მოთხოვნილებამ, ახპარესად ვეებუროელა სიერცე რომ აირჩია, ეს გრძნობაა საგულისხმო უპირველეს ყოვლისა. საგულისხმოა უფრო მეტად, ვიდრე სხვა თვისება პოემისა. ერთ დღეში ასი დღის ხაველის „წარბენა“, ქვეყნიერების მოვლა, ქვეყნის კიდემდე მისვლა, ზღაპრულობისათვის ნიშანდობლივი ელემენტია. „ვეფხისტყაოსანიც“ ეყრდნობა ზღაპრულ ქარგას, მაგრამ ამ გარემოებას მეორესხარისხოვანი როლი ენიჭება, რადგან უმთავრესი ასე საგრძნობია. საგრძნობია კერძოდ ის, რომ სიერცის უჩვეულ გრძნობით რუსთაველის დროინდელი ქართველი კაცის შინაგანი თავისუფლება გამოვლინდა ამ ზღაპრულ ელემენტში. ზღაპრული ელემენტი მსატერული სერსია რუსთაველთან, რომლის წყალობითაც ქართველი კაცის სიერცის გრძნობა გაცხადდა პოეტურ ენაზე.

რუსთაველის პოემაში ძლიერამოსილი საქართველოს ფსიქოლოგია იკითხება. გაღაღებული ენერგიის სისხლმა და ძარღვებმა არ იცის შიში, არ აფრთხობს უშორესი ქვეყნების ჭადალასვა. გმირები გამუდმებით მოძრაობენ, არაბუთიდან ანდოეთში, ანდოეთიდან — მულღაზანზარში, მულღაზანზარიდან — გულანზარში. მათი ფიქრები, ენებები მოადებულია ვეებუროელა მანძილს. ეს მანძილი გმირების სულისკვეთებით სუნთქავს. იგი დამუსტულია მოძრაობის რიტმით. უშფოთველად, დაიმედებულად ტოვებს თავის ქვეყანას ავთანდილი, როგორც სუსერენა. ცხადია, დარიგება-ღაგაღებას აძლეებს შერმადინს. მაგრამ თვით კი უშორეს ქვეყანაში მიდის რამდე-

წიმიე წლით. ეიმედება თავისი ქვეყნის ძლიერება! „მე დამას-
ვედრეთ ქვეყანა მტერთაგან დაულეწელი“. ეს მისი თხოვნაა.
მტრის მოსაგერიებლად საჭირო ძალასა და უნარს იგი ცხად-
ლივ სედავს თანამემამულეებში, სედავს ქვეყნის საერთო
მდგომარეობაში. ამ მდგომარეობაში მყოფ, ე. ი. ზენიტზე
მდგომ ქვეყანას შეუძლია წლების განმავლობაში უაეთიანდი-
ლოდ — უპირველესი სარდლის გარეშეც მშვიდად შეეგებას
ყოველ მოსალოდნელ შემოსევეს და გაპარჯეებული გამოვი-
დეს ომიდან. თავის ძლიერებაში დარწმუნებული ქვეყანა ყო-
ველი ფესვითა და ნერვით მშვიდია. მისი შვილიც დამშვიდე-
ბული მიდის უშორეს ქვეყნებში ვაჟკაცური საქმეების
მოსასდენად. ძლიერება განფენილია კიდით კიდემდე. კიდით
კიდემდე განფენილი ძლიერება კი წარმოშობს ასალ თვისებას,
სივრცეების დაუფლების გრძნობას.

ყოველ ზღაპარში ოცნებაა ქვეყნის კიდემდე მისკლა. იგი
ადამიანური მისწრაფებების, ფანტაზიის ნაყოფია. სწორედ
იმიტომ, რომ ადამიანი მოკლებულია ფრენის შესაძლებლო-
ბას, იგი ზღაპარში ისრულებს ნატვრას, იქ დაფრენს სალი-
ჩებით. ზღაპრის მეშვეობით ებრძვის თავის უსუსურობას და
ამიტომ მოივლის ზღაპრის პირობითობის წყალობით უშორეს
ქვეყნებს. „ვეფხისტყაოსანში“ სივრცის გრძნობა რეალობაა.
გმირები კი არ ოცნებობენ დიდ სივრცეთა დალაშქერაზე,
უკვე ფლობენ დიდ სივრცეს. სივრცე აქ ფანტაზიის ნაყოფი
კი არ არის, დაუტევარი ენერგიით მოსმობილი გეოგრაფიუ-
ლი არეალია. მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნის საქართვე-
ლოს შვილებს განსაკუთრებით გამძაფრებული პქონდათ სივ-
რცის გრძნობა. ეს იყო პოლიტიკური ძლიერების, კულტუ-
რული ძალმოსილების, ზნეობრივი სიმრთელის სინთეზის
დრო. ამ თვისებებით დამუსტული ქვეყანა წარმოშობდა დამა-
ტებით თვისებებს, მას შეეძლო ენერგიისათვის ასალი სალი-
ნარები მიეცა და მისცა კიდევ. ქართული კულტურის კერები
ამ დროისათვის შენდებოდა უშორეს ქვეყნებში — საბერძნეთ-
ში, კვიპროსზე, პალესტინაში, ბულგარეთში. საკმარისია
გაიცნო საგანგებოდ ამ საკითხისადმი მიძღვნილი ორი წიგნი
„ქართული კულტურის კერები“, რომ ცხადი შეიქმნას, რამ-
დენად ჭარბ ენერგიას ფლობდა ქვეყანა, რა ძალებს გადაის-

როდა საზღვრებს გარეთ, სად და რად შეეძლო თავისი კულტურის ტოტებს. მსოფლიოს სულიერი ცხოვრების ყოველ ქრისტიანულ გზაჯვარედინზე იდგა ქართული ტაძარი, კულტურისათვის რომ იდევნოდა. საზღვრებს იქით გასვლა ქართველი კაცის შინაგან მოთხოვნილებად იყო ქცეული. ესაა მთავარი. თავისი უმშვენიერესი ქვეყნის დატოვება არ უჭირდა ფიქრს, გულს, განწყობილებას. სამშობლოს მონატრებას გრძნობა მხოლოდ ძლევამოსილი ქვეყნის შვილებს აქვთ, ვისი ძარღვებიც არ არის დამფრთხალი უბედურებაზე შიშით, კანკალით, ვისი სისხლიც დამშვიდებულია ქვეყნის სეპედნიერობაში დარწმუნებით. ნოსტალგია დათრგუნვილი სამშობლოსა და შეჭირვებული ოჯახის შვილს უჩნდება უცხოეთში და ნოსტალგია მონატრებისაგან დიდად განსხვავდება. ნოსტალგია გვიან მიემალა ქართველ კაცს. ჯერ კი „ვეფხისტყაოსნის“ დროში ვართ. ტარიელი ასევე დაუფიქრებლად ტოვებს თავის ქვეყანას, ძლიერ ინდოეთს. მას პატრონი ჰყავს, ჭკვიანი, გამოცდილი. ქვეყანა მტრის რისხვას — სიყვარულის ღვთაებრივი გრძნობისათვის თავგანწირვა კი სრულ თავისუფლებას ეძლევა. იგი იჭერს პიროვნების მთელ სამყაროს. ტარიელის სიყვარული ძლევამოსილი ქვეყნის შვილის გრძნობათა ფუფუნებაა. ტრაგიკული ტონი და დრამატიზმი ამ სიყვარულის გამადრმავებელი შინაარსი უფროა, ვიდრე ბედისწერა. ტრაგიკულსა და დრამატულ ფერს დანატრებული სეპედნიერი ქვეყნის შვილის შემოქმედებაა ტარიელისა და ნესტანის დროებითი ტანჯვა. არავითარი ძალა არ არსებობს მათი მომრევი სინამდვილეში. ქვეყანა ავთანდილის ბადალი რაინდებით, ზნეობრივი გმირებითაა დასახლებული და დასმარების ხელი ყოველი მხრიდან არის გამოწვედილი. ერუსთაველი ისევე ადვილად ფლობს ვეებერთელა სივრცეს, როგორც ფლობდა მისი სამშობლო პოლიტიკურ უპირატესობას იმდროინდელ მსოფლიოში. თვალსაწიერის სიფართოვე გრძნობის თვისებად იქცა. მაღლა მსედი ქართველი კაცის ოცნება და სინამდვილე გაშლილ კალაპოტში მოედინებოდა და თავის ტოტებს უწვდენდა კიდე-კიდედა. ეს არ ყოფილა სხვათა დამთრგუნველი უფლებამოსილება, მასვილითა და ძალმომრეობით მოპოვებული თვისება — ღირსებების სრული

თეოთგამოსატვა იყო, წელში გამართული ქვეყნის შემწობით, ღირსებების სრული სეიმი კი უკანვე უბრუნებდა ენერგიას ქვეყანას. ამაღლებული სულითა და გულით, ფიქრითა და გრძნობით რუსთაველის გმირი — ქართველი კაცი იდგა საწუთროს ქვეშ ისევე, როგორც თავისუფალ ადამის ძეს შვენის დგომა, ვინც არ იცის რა არის მონობა, რა არის სიდუსჭირე, ვისთვისაც დედამიწა სიკეთის სარბიელია და ამ სარბიელზე — იგი ლაღი და უკადრი მიეა ტანისა მრსეველად. ტაიჭი მიუქს მერანსა, მიეფინების მსე ველად“. ასე კოსმიური მასშტაბის ნაბიჯებით მოძრაობს რუსთაველის გმირების სულიერი სინათლე. უკან რჩება ქვეყანა მშობლიური, როგორც ვეებერთელა ბუდე არწივისა, საიდანაც მსოლოდ ცის ლაღი ფრინველები აეშევიბიან სოლომე.

სიერცის ასეთ გრძნობას წარმოუდგენელია მსოლოდ მესხიერება ინასავდეს. დაპატარაებუღი ბუდის სითბო გაციღეებით უფრო ტკბიღია წვრიღ-წვრიღი ფრინველებისათვის. უცსოეთში მძვინვარებს ნოსტაღგია, რომელიც მსოლოდ და მსოლოდ დაბეჩაებუღი ქვეყნის შეიღთა განწყობიღებაში სარობს და ასე იცვღება ძღიერი ხასიათი. მაგრამ საბეღნიეროდ, ისტორიის ყვეღაზე თვალსაჩინო ადგიღსზე დგას დიღი მნათობი, რომელიც გვაეაღებს მესხიერების წიღად არ ვთმობღეთ უკეთეს თვისებათა რიღს. არ ვურიღდებოდეთ უამთასვღის უკუღმადატრიაღებუღლ ბორბაღსზე დაფღეთიღ ყოფნას. და საკუთარი სხეუღისა და სუღის ნაკუწებისაგან კვღავ ვამთღიანებღეთ არსებობას. კვღავ ვისწრაფვოდეთ სიერცეების ფღობის იმ გრძნობის გასაღვივებღად, ჩვენი დროის მასშტაბებს რომ შეეფერება.

ს ა ს ი ა თ ი

იღია ჭავჭავაძემ თავისი შემოქმეღების ერთ-ერთ უმთავრეს საგნად ქართვეღი კაციის ეროვნული სასიათის აეადმყოფობასთან ბრძოღა აირჩია. ამ ბრძოღაში მან თავისი მრ-

ვალმხრივი დიდი ტალანტის ყველა თვისება ჩააბა: ლექსი, პროზა, პუბლიცისტიკა, თეით ხაზოგადობრივი მოდერნიზაცია და თავისი ცხოვრების წესიც.

1. „მახს ერტყა ვარშემო ძველი ტყრუშული დობე, რომელიც ზოგიერთგან გადაქცეული იყო და ახლანდელს პატრონს არც კი მოსვლია ფიქრად, რომ გაეკეთებინა. ეტყობა, რომ ქართველი!“

2. „მაშინ რაღად დგას ეგრე ცუდად? — შკითხავს გაკვირვებული შკითხველი. იმიტომ, რომ ქართველია, — მოგაგებს სრულიად დარწმუნებული, რომ კაი საბუთი გიასხრათ.“

3. „უერი კარგი შქანდა, სორცი უკეთესი, სმა-ჭამა და ძილი სომ რაღა, შეტი რა უნდა ქართველ კაცს, რომელიც ბედსა და უბედობას ბაღნიო არჩევს.“

4. „კარგი რამ არის ქართველი კაცი. ბედსაც და უბედობასაც თანახმორად ემორჩილება სოლმე.“

5. „ისეე რაღაცის მოჭორება არჩივა „არ ვიცის“ თქმასა, როგორც ამ შემთხვევაში ყველა ქართველმა იცის სოლმე.“

ბრძოლა გადაგვარებისაკენ მიდრეკილი ეროვნული სახიათის წინააღმდეგ სიფსიზლის გრძნობის სასიცოცხლო მოთხოვნისად იქცა. ცხოვრების ლოგიკა ამ ბრძოლის გადასდას აკალებდა ერის საუკეთესო შვილებს.

ქართველობის შინაარსში დეითხავან დაკანონებულია იგულისხმებოდა ყველა აქ ჩამოთვლილი თვისება. ქართველი კაცი უცხოელისა და ადგალობრივი შკეიდრის წარმოდგენებში ამ თვისებებთან იყო ვაიგივებული და ეს არ ყოფილა მარტო-ოდე მცხრამეტე საუკუნისათვის ნაშანდობლივი მოკლენა. დღესაც სშირად ვამართლებთ ყოველ ჩვენს წარუმატებლობას, წინწაუსვლელობას, ერთ ადგილზე ტკეპნას. ბედოვლათობასა და უგერვილობას ქართული სახიათის დიდი სახელით. ამ სახელის არგუმენტად შოტანიო. ყველა ჩვენს მოუგვარებელ საქმეს, საზოგადოებრივ პრობლემას თუ წმინდა ლიტერატურულ საკითსს, ყოველ მანკიერ ტენდენციას, რომლებიც გზებზე ვაფოფრილან, ან ახლად იდგამენ ფეხს, გამართლებას ვუძებნით ეროვნული სახიათის თაყმალუნული არგუმენტის წყალობით. ეს ჩვენი ქართველი კაცის სახიათია და არაფერი ეშველება, ქართველი კაცი რაინდია, დიდბუნოვანი. მომტყ-

გებელი, ნაცნობ-მეგობრების მოყვარული, ანგარიშისგამწვევი! ამას ვერსად წაუსვიალ! ის ჩვენშია. აბა რა კაცობაა, პატივი არ სცე მეგობარს, ნათესავს, რა ბიჭობაა... და ამის გამო საკუთარი არსებობით უნდა ზღოს ლიტერატურულმა პრინციპმა, პოეზიამ, პირუთენელობამ, ობიექტურობამ, უკომპრომისობამ, სამართლიანობამ — ისინი უნდა შეეწირონ ზვარაკად — ყველა ზემოთ ჩამოთვლილ და მართლაც „მაღლა მდგომ თვისებებს“, რომელსაც თურმე ქართველი კაცის ეროვნული სასიათი ჰქვია.

მაგრამ, საბედნიეროდ, ყველა ეს თვისება სრულებითაც არ არის ქართული ეროვნული სასიათის გამომხატველი. ამ ნიშნებით საუკუნეების გაუკუღმართებულმა ცხოვრებამ დატვირთა ქართველი კაცის ბუნება. ის კი თავისთავად, შემოქმედი ჯერის მონასტრისა და ატენის სიონისა, ხუროთმოძღვრების ღვთაებრივ კედლებს შეფარებული ნიჭი და ფანტაზია, ის კი თავისთავად, უნიკალური პოეზიის შემქმნელი, ცხოვრების ურთულესი და უმდიდრესი კანონების პატრონი, სულ სხვა იყო. სხვაგვარი იყო მევენახე და სიმინდის მომყვანი, მოქანდაკე და პოეტი, მეფე და სპასალარი, აზნაური და გლეხი — სხვა იყო ძლიერი საქართველოს შემოქმედი, პატრონი და დამცველი. სხვა იყო მემატიანი-მონასტრის ბერი... ქალი და კაცი, სხვა იყო სასიათით, ბუნებით. ეს სასიათი საუკუნეების განმავლობაში იძერწებოდა, იწვეოდა თავაუღებელ შრომას, მუნწისიტყვაობას, საქმით მეტყველებას, რაინდობას, პირუთენელობას, მისი სასიათის ბეჭედი აზის ოშკს, ნიკორწმინდას, ბანას, კუმურდოს, საფარას, სვეტიცხოველს — ეს მოუსვენარი, მაძიებელი კაცის სასიათი — სრულქმნისაკენ მიდრეკილი ეროვნული გენი. ხორბლის, ვენახის ჯიშები, ყოფა-ცხოვრების ყოველი ნიუანსი გამორიცხავდა იოლი გზით სიარულის ფსიქიკას, უპატიოსნო ხერხებით გამდიდრებას, ქვეყნად თავისი დარჩენის სურვილს. შრომის სიყვარული სიღარბაისლეს ამკვიდრებდა სასიათში. დარბაისელი იყო ქართველი კაცი. ეს თვისება ზრუნვის, დაფიქრების უწყვეტი შრეებით მკვირვდება სასიათში. მათ ამჩატეგული, მცონარე ცხოვრება ვერ წარმოშობს. მიწისა და ქვეყნის ყველა სფეროში „საქმით მეტყველ სულს ზრდიდა,“ ღღენიადაგ

მოფუხფუხეს, რუდუნებით გაუდენთილ არსებობას აჩვენა. „ულტურული შრომის წესს გვიმუქდავენებენ მონასტრის ბერების სელნაწერები. რუდუნება უანგარო სამსახურით აქვს შექნილი ქართველ კაცს. რუდუნება არასდროს არ სმაურობს. შური შრომის სიყვარულში არ წარმოიშობა. სმაურის მოთხოვნა მონაწილეობის სენია, მისი წვენი იკვებება, მონაწილეობა შრომას გადაჩვეული ადამიანის თვისებაა. დარბაისელ და საქმით მეტყველ სულს ერთგულება შეუძლია მსოფლიო. პრინციპულად დაპირისპირებულ კაცთან ბრძოლაშიც კი ერთგულია იგი. არარაინდულ სერსს არასდროს გამოიყენებს. „ვეფხისტყაოსანი“ ზღვა მასალას გვაწვდის ეროვნული სახიანთის შესასწავლად. ქართველი ერის საუკეთესო თვისებების წაკითხვა შეიძლება მასში, გვევალება კიდევ. სახიანთის ყოველი თვისება მეტორმეტე საუკუნის ქართველ კაცში მონუმენტურია, დახრულებული, მოქმედი, ძლიერი. ადგილი არ რჩება სულმდაბლობისათვის, სისუსტიხათვის. შუა საუკუნეების რაინდული ქცევების საერთო ტენჯენცია და ტრადიცია ეროვნული თვისობრივი მდგომარეობის სოციური ნიადაგით არის გამოკვეთილი. და საერთო კანონებს იქით ფეთქს სწორედ კერძოდ ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი თვისებები. ემოციურობისა და რაციონალურის სანთეზისაკენ სწრაფვა, გმირობის გამოვლინების პროცესში გათქვეფილი დარდიმანდობა, გულუსეობა, შემწყნარებლობა. ფანტაზიის ნაყოფი — ყოველი მსატერული ნაწარმოები მისი შემოქმედის ბუნებით იკვებება. ამ წიაღს იგი ვერსად ვერ გაეცემა. შემოქმედი კი თავისი მშობელი საღისის გენიის არის გამოძერწილი, ვერც ის გაეცემა თავის ერადერა წიაღს.

ამიტომ არის „ვეფხისტყაოსანში“ ასე რეალისტური გმირების ენებათაღელვა და მისწრაფებანი. ასე ზუსტია მისი ეროვნული სახიანთი. ისტორიული სინამდვილეც სომ სელთა გვაქვს, თუ ბოლომდე არ ენდობით ფანტაზიისა და შემოქმედების სფეროს. დავით აღმაშენებლის ცხოვრების, შრომისა და ბრძოლის წესი საქართველოს საუკეთესო თვისებათა სრულყოფილი გამოვლინებაა. ამ თვისებების სრულქმნით ამზედა საქართველო პოლიტიკურად, ეკონომიურად და

კულტურულად. ეს ამბევება არ მოჰყოლია მარტოოდენ ერთი კაცის სურვილსა და ნებას — რაოდენ გენიალური არ უნდა ყოფილიყო დავით აღმაშენებლის პიროვნება, იგი ამას ვერ შეძლებდა, თუკი ეროვნული სული და სხეული მას, როგორც საუკეთესო მასალა, არ დაემორჩილებოდა, როგორც საუკეთესო წიაღი, ისე თუ არ შეხვდებოდა. დავით აღმაშენებლის სურვილი და ნება, მისი მონუმენტური ხასიათი სწორედ ქართველი ხალხის ბუნებამ წარმოშვა. ის იყო არსებითად ასეთი, ეს კია — მისი შესაძლებლობები სრულქმნასა და დაგვირგვინებას ესწრაფვოდა. ამისათვის ჭირდებოდა მეწინავე, პატრონი. მას შეეძლო ასეთი პატრონი ეშომა. და ქვეყნის ცხოვრების მთელი წესი ამის შემდეგ კიდევ უფრო დასვეწილი და სტაბილური, ამჟღავნებდა დიდი მიზნების მიმდევარს, მიღწეულით დაუკმაყოფილებელს, თავმდაბალს, სიტყვაძუნწს. მარტო ის რად ღირს, „ქართლის ცხოვრებაში“ ცნობები უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ მოვლენებზე, უდიდეს იმპებზე, ზედმეტი სიტყვის გარეშე რომ არის მოწვედილი. მოკლედ, საქმიანად — მხოლოდ აუცილებელი ცნობა.

დავაკვირდეთ, ზედიზედ ორი დიდი ბრძოლა, თვით დიდგორის ძლიერპოხილი ომის მსვლელობა როგორ არის ჩატეული რამდენიმე აბზაცში, ომისა, რომლის აღწერა ასობით გვერდს გააპართლებდა.

„გაზაფსულს განდიდნა მტკუარი, რომელ ნადინებსა ვერ დაეცია. ამისითა მინდობითა ჩადგეს თურქმანნი ბარდაკს გულდებითა. მაშინ მონასნა მეფემან იგინიცა და ალიონს მტკუარსა გაცურდა ყიფჩაღთა და უზრავსა მას წყალსა. მოსრნა თურქნი. არბია ბარდაგი, და დაყო ორი დღე. და ნებიერად მოვიდა შინა სავსე ალაფითა. თუე იყო ივნისი.

ამათ ესკეითართა ჭირთაგან შეიწროებულნა თურქმანნი და კუალად ვაჭარნი განსკელ-ტფილილ-დმანელინი წარვიდეს სულტანსა წინაშე და ყოველსა სპარსეთსა შეიღებნეს შავად, რომელთამე პირნი, და რომელთამე სკელები, და რომელნიმე სრულიად, და ესრეთ მოუთსრნეს ყოველნი ჭირნი, მოწვევრულნი მათ ზედა, რომლითა აღძრნეს წყალობად თვისა, და იქმნა გლოვა ფრიადი შორის მათსა.

მაშინ სულტანმან მოუწოდა არაბეთისა მეფესა დურბესს.

სარაყას ძესა და მისცა თავისი ძე მალაქი და ყოველი ძალი მისი და აჩინა სპასხალარად ელდეუზი, ძე არდუხისი, კაცი დამანი და მრავალღონე და უბრძანა თურქმანობას. სადღაც ვინ იყო, დამასკოთ და ქალაბითგან ამოღმართ, ყოველსა მსედრობად შემძლებულსა, ამათ თანა ათაბაგსა განძისასა მისითა ძალითა და ყოველთა სომსითისა ამირათა. ქრონიკონი იყო სამას ორმოცდაერთი.

შეკრბეს ესე ყოველნი, შეითქუნეს, შეიმტკიცეს სიძრავლითა ვითარცა ქვიშა ზღვისა, რომლითა აღიეხო ქვეყანა, და აგვისტოსა თურამეტსა მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელ თვით ფერსთა ზედა ვერ ეტეოდეს ამას ადგილთა. ხოლო მეფემან დავით, უშიშმან და ყოველად უძრავმან გულითა, თუ ვითარ წინა განაწყო სპა მისი, და ვითარ ყოველი საქმე მშვენიერად და ღონიერად ჰყო, რაბამ რამე წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით და ყოველად ბრძნად განაგო. არამედ ვგონებ, რომელ ყოველთა ბრძენთა სოფლისათა ენა ვერ შემადლებელ არს მოთხრობად ზედაძმევიწენით ყოველსავე.

რამეთუ პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და იელტოდა, რამეთუ სელი მადლისა შეეწეოდა, და ძალი ზეგარდმო ფარვიდა მას და მკლავთა თვისითა მოსრვიდა ზედაძმევიწენულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელ სეით იყო უსჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოკვითხრობდეს სასწაულსა ამას, მთავარ-მოწამისა ვაიორგისსა, და თავისითა ღონითა მოსრნა სასელოვანი იგი მებრძოლნი არაბეთისანი, და ანუ მეოტთა ვითარ სიძარჯვითა და განკრძალულად სდგენა და მოსრნა, რომლითა აღიყსნეს ველნი, მათნი და ღელენი გმირებითა“.

ყველაფრის დაწერილებით მოთხრობა, ცხადია, ისტორიკოსებისთვის და ჩვენთვის; შთამომავლობისათვის; უკეთესი იქნებოდა: მაგრამ ეს ასლა გვხურს ასე, როცა ესოდენ ბევრი გვაინტერესებს წარსულის შესახებ. მას კი, ჩვენს წინაპარს შრომა, მოძრაობა, საქმის კეთება უყვარდა და გაკეთებულს კოტას თქმა: კვლავ და კვლავ აუცილებელის აღნუსხვა. როცა მორწმუნე სალსს შეჰფერის, უზარმაზარი გამარჯვება საერთო წესის მიხედვით ღმერთის მარჯვენას მიეწერება.

ჩრდილში დგას მეფე, ჩრდილში დგანან ბატალიები, კოლოსალური მასშტაბის ომს რომ ახლდა, ჩრდილში დგას თეთრი ღამეები, მზადება, ჯარების წყობა, ბრძოლის მსვლელობა. ისინი ხომ სათითაოდ იყვნენ ღირსნი დაწვრილებით აღწერი-სა. თვით პირველსარისხოვანი ფაქტებიც კი არ ცვენეს აღ-ნუსსკის ღირსად. არსებითის თქმისა და ფიქსირების სტილია დაკანონებული. ეს სტილი ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდა-რი წინაპრებს. ეს სიტყვაძუნწობა დღეს შეიძლება ჩვენი მემატრიანეების ერთგვარ ნაკლადაც კი აღიქმობოდეს. მაგრამ ენაწყლიან მებისტორიის შიიძლებოდა არც არაფერი ქქონოდა მნიშენელოვანი აღსანუსხაჟად, თუ ენითმეტიყველი ხალსის განსასიერებად წარმოაიდაბოდნენ. წუთისოფლის მკაცრი ბუნება მემატრიანეების სტილსაც ამკაცრებდა.

ასეთი იყო ქართველი კაცის ეროვნული ხასიათი. ეროვნული ხასიათი კი იმის მიხედვით უნდა შეიცნოს ყველამ, რაც სრულფასოვნებასა და სრულქმნაში იგულისხმება, რისი წყალობითაც ქვეყანა თავისი ძლიერების ზენიტს აღწევს. ხასიათი ასეთ დროს მუდავნდება მთლიანად. ამ დროს ჩანს, რისი შემძლეა იგი.

ასეთი იყო ქართველი კაცი: ბრძენი, დარბაისელი, რაინდი, ჰუმანისტი, სტუმართმოყვარე, ამაყი, შემმართველი, მშრომელი, საქმით მეტყველი, სიტყვაძუნწი, ოცნებითა და ფანტაზიით აღსავსე, თავმოყვარე, ერთგული, დიდი მიზნის პატრონი, პატიოსანი, დიდი შემოქმედი, ძლიერი, მტკიცე, მოკასკასე, შინაარსიანად მონადიმე, ფხიზელი, ჭირნახული...

ქართველი კაცის თვისებები ეს არის. ამ თვისების წყალობით აიგო ყველა ციხე, ტაძარი, მონასტერი, სასახლე, შეიქმნა ვენახის უთვალავი ჯიში, აიგო ხიდები, დაიწერა წიგნები...

ეს თვისებები დავითამდე იპერწებოდა საუკუნეების მანძილზე, ასეთად გამუდავნდა იგი, მძლავრად, ღირსეულად, ხალხური სიძლიერების ჰანგებს ჩაელექა, კლდეებში გამოჭრილ ქალაქებს შეეწება სამუდამოდ.

და თუ რამ ანტითვისება იჩენდა თავს, იჩენდა როგორც ტენდენცია, იჩენდა როგორც კეთილ საწყისთან ბრძოლის გამოსატულებად და მალევე დაითრგუნებოდა პირველისაგან,

საუკეთესო თვისებებისაგან, ისინი მართავდნენ არსებობას სტილს.

დავითისა და თამარის შემდეგაც დიდხანს მზეობდა ქართველი კაცის ნამდვილი სასიათი. მონღოლებისაგან ჩამობნელებულ ციხეებში ის დიდხანს მაინც გპირულის კალაპოტში მიედინებოდა. გვიან-გვიან მოიქანცა, გვიან დაეტყო დაუძღურება, შევიწროება, ვაიცრიცა ამ თვისებათა ქსოვილი, მოდუნდა სისხლი და წამოტივტივდა ის მეორე, აქამდე დათრგუნვილი, ქართველი კაცისათვის უცხო, მიუღებელი თვისებების მწკრივი. დამარცხებული, ღონეგამოცლილი ხალხის თვისებების დეფორმირება საუკუნეობრივ პროცესად იქცა. აგრე ადვილი როდი იყო არსებითის, საკუთარის გადალექვა. უამი-უამ ის დიდებული თვისებები აფეთქდებოდნენ და ოქროს ხანის შესატყვის ენერგიას გამოავლენდნენ. მაგრამ სინამდვილეს სად გაექცევი. მაინც მძლავრობდა სხვა რიგის თვისებები, მაინც შემოეჩვია ქართველი კაცის ბუნებას, ცხოვრების წესს არასრულფასოვნების სენი, იმატა შურმა, ღალატმა, სისუსტემ, უმიზნობამ. იკლო ერთსულოვნებამ. ხელი დარია სიძაბუნემ, შიშმა, სიმსდალემ. „ვეფხისტყაოსნის“ ქართველებსა და დავით გურამიშვილის ქართველებს შორის დიდი განსხვავებაა.

მოისრა სშირი ქვეყანა, გასდა ვერანად, ტრამლადა,
სულ წარიტაცეს თუ ვინმე შამბში მოურნა წამლადა.
დადედლებულნი შიშისგან აღარ ვარგოდნენ მამლადა,
არაყინ დარჩა ფარსავი, პატრონად, ქვეყნის მამლადა.

ეტყობა, სიპართლის თქმასაც გადაეჩვია ხალხი. სიცრუეზე აიგო ურთიერთობა და ცხოვრების ამ მოვლენის უკურე-აქციად უღერს გურამიშვილის სიტყვები.

მართალს ვიტყვი, შევიქმნები ტყუილისა მოამბე რად,
ვერას ვუქებ საპაგელთა უფერულთა პირსაფერად,
მე თუ გინდა თაყი მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად,
ვინც არა პგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად.

პუდმივი გაჭირვებით, დაღმართზე დაქანებული ისტორიით, გამუდმებული გვემით გატანჯულმა ხალხის სულმა დეფორმირება იწყო. სიამაყეს საფუძველი ჰქონდა გამოცლი-

ლი და სიამაყე სასიათში კომიკურის იერს იძენდა, სურდა დარბაისლობა შეენარჩუნებინა, სიდარბაისლის მკვებავი ნერვი ჰქონდა დასუსტებული და მოჩვენებით სიდინჯეს აძალებდა ქცევას, თავმდაბლობა გმირს შეენის, გმირობა არ შეეძლო და თავმდაბლობა არტისტობად იქცა. რაინდობისათვის მიწესრიგებული სულიერი და ფიზიკური სიმხნევეა საჭირო. თავად წონასწორობა ჰქონდა დაკარგული — სხვისი წონასწორობა როგორ უნდა აღედგინა, მაგრამ რაინდის სასელს რომ ვერ ელეოდა! და დონ-კისოტის მდგომარეობაში აღმოჩნდა. დიდი ეროვნული მიზანი ხელიდან გამოეცალა და წერილ-წერილი სათავისო მიზნების სამსახურში ჩამდგარი ილეოდა, დიდ საქმეს მოკიდებული სიტყვათმრავლობაზე გადადიოდა. სიკასკასეს კარგავდა ქართველი კაცი — ორთაბრძოლებისათვის დამახასიათებელ სიკასკასეს. სიკასკასეს ძლიერებით გამოკვებილი სილაღე ასულდგმულებს მსოლოდ...

ძლევაშვილი, მდიდარი, ლაღი, დამოუკიდებელი საქართველოს შვილები თავიანთი სულისკვეთებით, განწყობილებით, მოქმედებით, ყოველდღიური ცხოვრების ყოფითი მხარეებითურთ საოცნებო სიმადლეზე დარჩა, როგორც მოკონება.

დავით კლდიაშვილის გმირებს რომ დააკვირდები, შეგზარავს ის დაშორება, რაც ნამდვილ საქართველოს შვილსა და ამ გადაგვარებულ თაობას შორის იგრძნობა. კლდიაშვილის გმირების ტრაგედია უმეტეს წილად სოციალურის ლოკალურ საზღვრებში გვაქვს მოქცეული. მაგრამ ეკონომიური დაძაბუნება ერთი მხარეა, ყველაფერი მისით და მსოლოდ მისით როდია განსაზღვრული. ეკონომიური დაძაბუნება ფორმაციის ცვალებადობის შედეგია და მას დიდი წილი უდევს თავადაზნაურთა ხასიათის დევალვაციაში. მაგრამ დავით კლდიაშვილის პერსონაჟთა ღრმა სულიერ მოვლენებში, ისტორიული მისიის დაკარგვით გამოიწვეული დაკნინება(კ იკითხება. აუცილებელი როდია ფორმაციის ცვლილების დროს ძველი კლასი თვისებადაკნინებული და დამცირებული გამოეთხოვოს ასპარეზს. იგი ღირსეული მეტოქეობითა და ბრძოლით თმობს გვიან ასპარეზს. ღირსეული მეტოქეობით! აი, ღირსების ეს გრძნობა აქვთ დაკარგული დავით კლდიაშვილის გმირებს. და რასაც

ისინი ეკონომიურ სივიწროვეს აბრალებენ, ბრალია უფრო დიდი მიზეზის. და ამის დანასეა ჩვენ გემართებს აქედან. გემართებს იმის დანასეა, რომ ეს დაცემა ქართველი კაცის სასიათში მომსდარი საბედისწერო ცვლილებების ბრალია, „შავბედობის“ გაჭიანურებულ ხანას რომ მოჰყვა. იგი დეფორმირებული ხასიათით შეეგება მეორე დიდ ტრავმას — ფორმაციის ცვლილებას.

დავით კლდიაშვილის გმირებში ძლიერი, მდიდარი, ლაღი საქართველოს ერთენული ხასიათის ნამტვრევებია თითქოს მიმოფანტული. ნაშთი ღირსეული ხასიათისა მიწურვილა. აზნაურობასთან თითქოს მეტად არის ხაზგასმული კუდაბზიკობა, თორემ მისი კვალი ყოველ პერსონაჟში იკითხება. სიამაყე საგრძნობია ქართველ კაცში ჩაბუდებული თვისება — რაღაც აუხსნელი, დაუდგენელი ღირსების გამო სიამაყისა, თითქოს თვალნათლივ ვხედავთ, რომ არაფერი განსაკუთრებული, სხვა ხალხის შეილზე აღმატებული ქართველ კაცს არა აქვს რა, არა აქვს ის დიდი საფუძველი, რის გამოც თავისი ქართველობით თავი უნდა მოჰქონდეს, მაგრამ მაინც თან დაატარებს ფარულ სიამაყეს. ხომ არ იგულისხმება ამ ფარული სიამაყის საგანში ოდესღაც ძლევამოსილი საქართველოს შეილობა, რაც წარსულს ჩაბარდა, მაგრამ სისხლსა და ხორცს დაუტოვა თავის დროს ესოდენ ბუნებრივი, ზომიერი და აუცილებელი ნიშანი ხასიათისა — სიამაყის გრძნობა... და ქართველ კაცს არ სურდა, ცხადია, შემდეგ უფლება დაეკარგა ამ გრძნობაზე. შინაგანად ვერ თმობდა და შინაგანადვე ებღუდებოდა მას. კანონიერი სიამაყის გრძნობას კი საფუძველი სჭიროდა. თავისუფალი, ძლიერი, ფესზე მდგარი, ძლევამოსილი საქართველოს შეილობა და მისგან გამოკეცილი ეროვნული ხასიათი სჭიროდა. ეს კი დაიკარგა და ფარული სიამაყის გრძნობა აუხსნელი, დაუსაბუთებელი დარჩა. მისი გამუდამებისა და გამოვლენის ფორმები უკვე თანდათან იღებდა კომიკურ იერს.

თავმომწონეობა მარტოოდენ კლასობრივად დაბლა მდგომი გლეხობისადმი რომ ყოფილიყო მიმართული, მდგომარეობა შედარებით მარტივი იქნებოდა, მაგრამ თავადაზნაურული თავმომწონეობა თვით თავადაზნაურთა წრეში და გლეხის

თავმომწონეობა გლეხების წინაშე, ის თავმომწონეობა, რომელიც კაცურ კაცობისათვის საჭირო საზღვრებსა და ბუნებრივ ფორმებს გასცილებოდა და მკვეთრად სასგასმული გვეცემოდა ივანეში, უკვე ქართველი კაცის ეროვნული სასიათის ღრმა დეგრადაციის მაუწყებელი ნიშანი იყო. სიამაყე და თავმომწონეობა მეთორმეტე საუკუნის ქართველი კაცისა ღირსეული ყოფნისა და ცხოვრების ერთი საუკეთესო ნიშანი იყო. სიამაყე და თავმომწონეობა სასელმწიფოებრივად გაღასული და შინაგანად დაქუცმაცებული ქართველი კაცისა შემდგომ და შემდგომ სასიათის სიმახინჯედ აღიქმებოდა. დავით კლდიაშვილთან სასაცილო ცრემლის ტბით არის დალტობილი, რადგან სასაცილოს ყოველ მუხლში ტრაგედიის ნერვი ფეთქს. „ვეფხისტყაოსნის“ ლაღი და დარდიმანდი გმირები არასოდეს არ განიცდებიან ანაქრონიზმად. იმდროინდელი ქვეყანა მსგავსი გმირებით არის დასახლებული (მათ მხოლოდ ზღაპრული სამოსელის ჩამოცლა აკლიათ): მთლიანი, დაურღვეველი სასიათები, „ამა სოფლის უბედურების“ კაცურად ვადამტანნი, მებრძოლნი... და მშვიდობიან ცხოვრებაში ასევე ლაღნი და დარდიმანდნი. დარდიმანდობა ჯანსაღი ნერვების და შინაგანი სრულყოფილების გამოსხივებაა ქართულ სასიათში.

დავით კლდიაშვილის გმირები მოჩვენებითი ოპტიმიზმით, მოჩვენებითი დარდიმანდობით და მოჩვენებითი სილალით გამოდიან ამ ქვეყნის არენაზე. თითქოს სცენაზე დგანან და როგორც გამოუცდელი მსახიობები, ვერ მაღავენ გულში უმშვენიერესი სატრფოს დაკარგვით მიყენებულ ჭრილობებს. ისინი შენიღბულნი, შეჭირვების მორევით პირთამდე ავსილნი ძალად უდარდებობენ და არხევენ წელს... და იქვე კომიკური სიტუაციებია. კომიკური მტერია ყოველგვარი უსაფუძვლოსი, მისი მხილების ძალა უკომპრომისოა, დაუნდობელი. სადაც საფუძველი არ არის, იქ კომიკურია ჩანადმული, დაეყრდნობი და აგაფეთქებს. ასე ფეთქდებიან ყოველი ფესის ნაბიჯზე დავით კლდიაშვილის გმირები. შეხედეთ ამ გმირებს, ერთი წუთით მოაშორეთ კლასობრივი მოტივი, დაინახეთ ისინი, როგორც ქართველები, როგორც ქართული სასიათები: ეს კუდაბზიკობა, ეს ყოყლოჩინობა, თავმომწონეობა, ტრაბახი, ეს მოჩვენებითობა, ავადმყოფური თავმოყვარეობა, სულ

ნამტვრევებია დიდი ეროვნული ქართული სასიათისა, ნარჩენებია, რომელთაც, საფუძველს მოკლებულემა, მახინჯი სასე მიიღეს. სხვაგვარად ახსნა წარმოუდგენელია. სოციალური პროცესები ერთადერთი მიზეზი რომ იყოს, მაშინ ფორმაციათა გზაგასაყარზე ქართველ თავადაუზნაურთა თუ გლეხობის სასიათები იდენტური უნდა იყოს რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის თავადაუზნაურთა თუ გლეხობის სასიათებისა და რაც მათ საერთო ნიშნებს იქით რჩება, ქართველი თავადაუზნაურობისა და გლეხობის ნიშანდობლივ თვისებებად, სწორედ ის გვევლინება დეფორმირებული ეროვნული სასიათის სატად. აი, ის პლატონ სამიანიშვილა, მონა ავადმყოფური თავმოყვარეობისა, მეზობლისაგან დავარდნილ ცხენს ინათხოვრებს, ოღონდ არ ითქვას, რომ ფეხით დადის, ფეხით სიარულს კადრულობს. იგი ამაყი, იგი ღირსების თავყანისმცემელი კაცი... არა და ცხენი დავარდნაზეა, ზურგი გადატყავებია, ფერდები ჩაცვენია, სადაცაა ჩაიკეცება. „ისე სხვის დასანახავად მიმყავს, ბატონო, ისე სხვის დასანახავად, თვარა!“ „სხვის დასანახავად“ კაცურ-კაცად ყოფნა ადამიანთა საზოგადოებაში სხვა ნიშნებით არის განმტკიცებული. როდესაც თავმოყვარეობა უსაფუძველოა, როდესაც იგი შინაგანი მოთხოვნილების გამოსატულება არ არის, მაშინ კომიკურის ნაღმზე ფეთქდება. დაყინებულმა ლტოლვამ გარეგნული ფორმის შენარჩუნებისაკენ, როდესაც შიგნით აღარაფერი აღარ არსებობდა, კონტურებიც დაურღვია უძვირფასეს ადამიანურ თვისებებს ქართველი კაცის სასიათში — სიამაყეს, დარდიმანდობას, შემართებლობას...

ილიას, აკაკის, ვაჟას, ყაზბეგის... ისტორიისაკენ დანდობილად მიბრუნებული მზერა ერთს საგანს დასტრიალებს — ქართველი კაცის ეროვნული სასიათის საუკუნეობრივი ნიშნების თანამედროვეათათვის დანახებას. მათ მიზნად დაიგდეს ისტორიის მოსახვევებში ჩარჩენილი თვისებების შესხენება. ამისათვის დაიწერა „თორნიკე ერისთავი, — ამისათვის მეტყველებს იქ ენერგიის სიკასკასე და სიციცხალე, როგორც ასაღვაზრდულობის ნიშანი, ამისათვის დაიწერა „ბაში-აჩუკი“ — თავგამოდების, ერთგულების, თავგანწირვის საუკეთესო მაგალითი. ამისათვის დაიწერა „ნათელა“, როგორც ერთია-

ნობის განცდის მაცოცხლებელი ჰიმნი. ამისათვის დაიწერა ილიას „აჩრდილი“, „კაცია-ადამიანი?!“, „ოთარაანთ ქვრივი“, ლექსები. უნდა გადარჩენილიყო ჯანსაღი არტერია ქართული სასიათისა, უნდა გადარჩენილიყო ქართველი კაცი. ამ საგანმა ილიას შემოქმედება პოეტურ პროგრამად გაამკვირვა — ეროვნული ღირსებების მტვერწყარილი ფენების გაცოცხლებას შეუდგა მისი სულიერი წვა. ამისათვის გაპოისპო ვაჟა-ფშაველას გენიამ მითოლოგიის უღრანიდან კაცური თვისებებით აღჭურვილი გმირები. ამიტომ აფიცებდა ყაზბეგი ხანჯალზე თავის გმირებს.

ტრადიციებში სასიათი იკირება. და თუ ხალხი ტრადიციებს ავდებულად ეპყრობა, მის სასიათს უჭირს. ტრადიციების დამასინჯება ჩვეულებრივი ამბავი გახდა დღეს და ქართულ მწერლობას არაერთხელ მოუსდა ხმის ამოდება ტრადიციის სელმყოფთა წინააღმდეგ. კაცის ზნეობისა და ქცივის ახალ-ახალი ფორმები საგანგაშო სიგნალებს იძლევა და ეს ფაქტიც შენიშნულია. შენიშნულია ყველას მიერ. ქართველი კაცის სასიათში მომხდარი გადაფასებათა ღრმა პროცესი გამუდმებით საჭიროებს მკურნალს და ილიას, აკაკის, ვაჟას, კლდიაშვილის თუ სხვათა განუწყვეტელი ცდა ამ მიმართულებით ვერ მოითმენს წამით ჩათვლემას. მეოცე საუკუნე ასპარეზის მოპოვებისა და საკუთარი თვისებების სრული გამოვლენის საუკუნეა. აქ უნარსა და სურვილზე, შინაგან მობილიზებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. კიდევ უფრო ბევრი იქნება დამოკიდებული სვალ. სვალისათვის კი მზად უნდა ვიყოთ. მზად უნდა იყოს ქართველი კაცის ეროვნული სასიათი, გაჯანსაღებული და ძალამოკრებილი უნდა შეეგებოს იგი უფრო დიდ მოვლენებს, რასაც მომავალი უმზადებს მსოფლიოს ყველა ხალხს.

ქართველი კაცის სასიათის საუკეთესო ფორმებისაკენ შემოაბრუნება ქართული მწერლობის უპირველესი ამოცანაა. იგი გამუდმებით უნდა წერთიდეს თავისი ხალხის სულს. მე მჩრევენება, რომ დავით კლდიაშვილის მამსილებელმა პათოსმა მისგანვე გამუდმებულ დაავადებულ თვისებებს ქართველი კაცის სასიათში საუკუნოდ გადაუკეტეს გზა. გადაუკეტეს მსილებით. ეს უღრნიდა ვეებერთელა მღვიმის გაჩანჩახებას,

სადაც მასინჯი არსებანი ფიქრის სარკეში ეკეკლუცებოდნენ თაყიანთ „მშვენიერ აღნაგობას“. დავით კლდიაშვილის სინათლემ ერთბაშად დაანახა უამრავი მანკი საკუთარი სულისა ქართველ კაცს და ჩაუქრო ყოველგვარი სურვილი ამ მანკთან შერიგებისა.

მაგრამ ცხოვრება ახალ-ახალ განსაცდელსა და გამოცდას უმზადებს მერყევ სასიათს. დროადრო ისეთი საზომებიც იცვლება, რომლის უღალატობაში დარწმუნებული ვართ სოლმე.

საოცარი სიცხადით შეიგრძნო გადაფახებული საზომების საშიშროება ვაჟა-ფშაველამ. რაინდული სულისკეთების საქართველოს მის დროს უკვე გამოცლილი ჰქონდა ღირსებათა მთავარი სერსემალი. უკვე სსვაგვარად აისხნებოდა კაცურ თვისებათა მადლი, „სსვა კუთხე“ ჩაერია საქმეში. სსვა კუთხიდან კი კაცურ-კაცობად, ვაჟკაცობად ცხოვრების ისეთი წესი საღდებოდა, რომელთანაც არა და არ შეიძლებოდა შერიგება.

კაი ყმა ურთულესი ცნებაა ქართველი კაცისათვის. ყოველი სალხი ასევე რთულ შინაარსს სდებს მასში. ურთულესია იმიტომ, რომ კაი ყმის თვისებები ურთულესი გზის გავლით იძერწება. კაი ყმის შინაარსი აქანდაკებდა ქართველ კაცს საუკუნეების მანძილზე. ყველაზე ძვირფასი თვისებების ჯაჭვი კრავდა ამ ფენომენს და კაი ყმის შინაარსს დაფუძნებული საქართველოს ისტორია დიდხანს რჩებოდა გაუტყველ სიმაღლედ. ეს იყო არა მარტო პოლიტიკური ძლიერების გარანტია, არამედ სალხის ზნეობრივი სიმრთელის უწმინდესი წყარო. ამ წყაროს მაცოცსლებელ წვეს ისრუტავდა ერი. „კაი ყმის“ სსვა კუთხით წაკითხვა უკვე თავისთავად ნიშნავდა ბზარს ეროვნულ სასიათში, თავისთავად გულისსმობდა შეღავათს. ეს უკვე ნიშნავდა იმას, რომ კაი ყმობის მძიმე ტვირთს ქვეყანა ველარ ზიდავდა და ცდილობდა რომელიმე სიმაღლიდან მაინც გამოჩენილიყო კაი ყმად. და ზნეობრივი სიმრთელის შესაძლებლობაც იმ რომელიმე სიმაღლიდან შეენარჩუნებინა. ის კი, კაი ყმის შინაარსი, ყოველი მხრიდან სიმართლეს მოითხოვდა, ნათლის სვეტით გამაგრებული მისი შინაარსი ნასუფრალ დიდებას ეერ დაჯერდებოდა. ვაჟა-ფშაველამ დიდი

თანამედროვეობის მსგავსად მშვენიერად ქეიგრაძო, რომ კაი ყმის შინაარსი გადასხვაფერებულიყო, საგრძნობლად გაღარიბებულიყო. მის მონოლითურ მთლიანობაზე ლაპარაკი უკვე შეუძლებელი გამხდარიყო. როდესაც ილიამ კაცური კაცის ცნების გაჩენა შენიშნა და ამ მოვლენის იქით ჩასაფრებული უბედურება დალანდა, თავისთავად ნათელი იყო ყოველივე, მაგრამ ცხოვრების წესში კვლავ და კვლავ დატრიალებული კაი ყმის გამაღიზიანებელი ასალი შინაარსი პასუსს მოითხოვდა. ან შერიგებას ან პასუსს. ქართველი კაცის მდიდარი წარსულის მცოდნე ვაჟა-ფშაველას არ შეიძლება არ სცოდნოდა, როდენ დიდი იყო დაცილება კაი ყმასა და იმ „კაი ყმას“ შორის, რომელიც ასე მოკალათებულიყო ცხოვრების შუაგულში. კაი ყმას ეძახდნენ კაცს, რომელსაც სწეობრივ თვისებათა კომპლექსიდან ისლა შეენარჩუნებინა, რაც ყველაზე უკეთ გამოადგებოდა მოჩვენებითობას... და ხალხის თვალში, ნაცნობ-მეგობრების თვალში იგი ამ თვისებების წყალობით დიდხანს რჩებოდა კაი ყმის ეტალონად.

დღეს მოარული გამოთქმაა „კარგი ბიჭი“... და კარგი ბიჭი ჰქვია ბევრს და კარგი ბიჭის ნათლიის პრეტენზია ბევრმა დაიტოვა. ამ ნათლობის იქით საკუთარი კარგი ბიჭობის გარანტიაც ივარაუდება.

კაი ყმა ურთულესი ცნებაა ქართველი კაცისათვის, კარგ ბიჭსა და კარგ ყმას შორის დიდი მანძილია და კაი ყმის შინაარსის გაყალბებას ქართველი ხალხი ვერც ერთ დროში ვერ მოითმენს. ყოველთვის სელუსლებლად იტოვებს თავანკარა წყაროს. თუკი ვინმე ამ წყაროს ამღვრევას შეეცდება, დროზე უნდა შევაჩეროთ. ამიტომ კაი ყმის პრობლემა მტკივნეული თემაა. :1

მტკივნეული იყო იგი ვაჟას დროსაც. ნირშეცვლილი ცხოვრება აბუნდოვანებდა ხალხის თვალში კარგი ყმის შინაარსს, საზომებს რევდა და გარკვეულობას აკლებდა. დრო და დრო კარგი ყმის შინაარსის შესხენება აუცილებელი ხდებოდა. ვაჟამ პუბლიცისტური სიმკვეთრით დასვა ეს კითხვა თავის ცნობილ ლექსში. დასვა და უპასუხა. თანამედროვეთ ის დავიწყებული არსი მოაგონა, რაც კაი ყმის ხასიათში უნდა იყოს ჩაკირული. არ შეიძლება ვაჟა-ფშაველას აზრის არც პე-

რიურაისის მოტანა, არც ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოდგენა. კაი ყმის თვისებათა მეტი სიცხადით წარმოჩენის მიზნით თავს ნებას მივცემ მხოლოდ ეს პოეტური ინტერპრეტაციები კაი ყმის შინაარსზე ერთმანეთისაგან გამოვეყო.

1. ვინც მიეგების მტერს წინა,
წინ-წინ ვინც რისხვას იტყოდეს.
2. სახე-ხისხლ-გადამღინარე
ტკივილს არ გამოიტყოდეს.
3. თავზარსა სცემდეს სიკედილსა,
ზედ ქორებულად ფრინავედეს.
4. სიცხეში სიოდ დაპბეროს,
დაათბოს, როცა იყინავედეს.
5. პირველად ომის დამწყები,
პრძოლის ველს ბოლოს სწირავედეს;
6. ხსეები იყოფდნენ ნადაელსა,
ის ისევე მტრის წინ გრვეინავედეს;
7. მიძღვნილსა საუფროსისა
ამხანაგებსვე სწირავედეს
დარაჯად ედგას ლაშქარსა,
როს ის ღრმა ძილით ხერინავედეს,
სწორ ფიქრს აძლევედეს თემ-სოფელს,
ცდუნება არა სძირავედეს.
8. მტრის ჯაერის ედგას ლოგინი
მტრის ჯაერი საბნად ფარავედეს...
9. იქ იდგეს სმალ ამოწედილი,
სად ძალა აღმართს ჰკეალავედეს,
გაბეჩავებულს სიმართლეს
უსამართლობა ხძალავედეს.
10. სხეისი იუბნოს სახელი,
თავის გარჯასა ჰგმალავედეს.
მზედ იდგეს ხეესურეთისა,
უხეად შუქს ჩამოპლალავედეს.
11. სჯობს, მოკედეს მშიერ-ტიტეელი:
კედებოდეს, არა გმინავედეს;
თავის სამარსად, სუღრადა,
მართო სასელსა ხწირავედეს.
12. ვადღეგრძელებდეთ ცოცხალსა,
მკედრისა ესეთ შესანდობარი.
წყლული სცნას დედის კოცნადა,
თავის ლოგინად — სამარი,
საკაცე — თავის ლურჯადა,
ქვა-ლოდი — ნაბდად საფარი,

ქალისა, რძლისა ქეთინი
ეგონოს, სიცილ-ხარხარი,
დენი ცრემლისა—სორსოჲა,
ღრუბელთა გადმონაჲარი.

13. ხულეის შაიდეჲს ხჷლიანი

ლაღი ლაღისა ცსენითა.
წინ მიუპლოდეს არწივი
სმით მოყაჲსჷსჷ, ფრენითა,
ქება უყიელონ გმირებჲა,
გადასრულებჲა ჩვენითა
ერეკლემ სელი მახეიოს,
დაისეას თავის გვერდითა,
გამაეგებოს თამარი
მცინარი, თავის ფეხითა,
ვასარებულა უფალი
კარგ ყმას ჯეარს სწერდეს ჴენითა.
ანგელოზები ხარობდნენ,
აღ-ქაჯნი იყენენ წყენითა.

ეს თვისებები კაი ყმის მოძრავი, ცოცხალი აზრის შინა-
არსია. მისი შეცვლა არ შეიძლება.

კარგ ბიჭს და კარგ ყმას შორის დიდი დაშორებაა, კარგ
ბიჭს კაი ყმის სინონიმად ვსმარობთ დღეს. ჴერელობა უწმინ-
დეს ცნებებთან დამოკიდებულებაში მომაკვდინებელია. უნდა
გამოვტყდეთ, რომ კარგ ბიჭს ერთი სასარგებლო კუთხით
დავუწყეთ ცქერა. კარგი ბიჭი ჰქვია დღეს, ვინც ხელს გაუ-
მართავს მეორეს, თუნდაც იმ მეორის სელის გამართვა არ
ეკუთვნოდეს, გაუმართავს და უსათუოდ დანაშაულს ჩაიდენს
სხეათა მიმართ. კარგი ბიჭი ჰქვია, ვინც ნაცნობ-მეგობრებს
არგია, თუნდაც ეს რგება ქვეყნის ვნებას გულისსმობდეს.
კარგი ბიჭი ჰქვია, ვინც სსვასაც მსუყედ აცსოვრებს და თეი-
თონაც მსუყედ ცსოვრობს. კარგი ბიჭი ჰქვია, ვინც ცოტას
აკეთებს და ბევრად აჩვენებს ქვეყანას. კარგი ბიჭი ჰქვია სა-
თავისოდ და საჩვენოდ მოხერხებულს. კარგი ბიჭი ჰქვია ერ-
თის მიმართ პირუთვნელს, მეორეს მიმართ პირფერს, კარგი
ბიჭი ჰქვია, ვინც ყველასთან კარგ ურთიერთობაშია და ყვე-
ლასთან მეგობრობა შეუძლია, ცუდ კაცთანაც და კარგ კაცთა-
ნაც...

ეს კარგი ბიჭები ჩვენ შორის დადიან, ჩვენ ვიცნობთ მათ.

თითო-ოროლა ბიჭს საქვეყნო საქმეც აქვს გაკეთებული. და იმ საქვეყნო საქმის ფარდის უკან... ბნელი საქმეების ჯარი დგას. და მაინც კარგი ბიჭი პქვია.

კაი ყმის თითო-ოროლა თვისეპით აღჭურვილი კარგი ბიჭები მომრავლდნენ. თვალეში ნაცარს გვაყრიან, თვალეში ნაცარს, რადგან, როგორც კი ფხიწლად განსრეკ მათი თვისებების ქსოვილს, მაშინვე ვაუა-ფუაყელას სტრიქონები დაიქუსებენ:

არა, თქვენ სადიაცნო,
რო კროსებივით სძლებითა;
ღამით მაძრება დასწევით,
ღილით მშიერები სდგებითა,
თავის ჯამს ჩასცქერთ, საქვეყნოდ,
არცა როს გამოსდგებითა,
თავისად სცოცხლობთ, მცონარედ
ლეში ალაღოთ, პკედებითა;
ვაიკებთ კარგის გარჯასა,
იწყინსთ და შურითა სდებითა;
უქმად ჩამაღლეეთ ხიცოცხლეს,
უქმად საფლავეში სწევითა.
დაკარგავთ სააქაოსა,
ვერც საიქიოს სწედებითა.
არ იცით, დახინდით რისადა,
ან რისათვისა პკედებითა!

ჩვენ არა გვაქვს უფლება თავს ვიტყუებდეთ და არეული სასომეხებით ვსომავედეთ ზნეობრიობის საწყაოს. თავის ჯამს ჩამაცქერალი კარგი ბიჭობის მოქნილი ფანტაზია, გარეგნულ ეფექტებს რომ ესწრაფვის, არ შეიძლება შეცდომების წყაროდ მოგვევლინოს. ჩვენმა პასუხისმგებლობამ წარსულისა და მომავლის წინაშე, არ უნდა დაუშვას ეს. არ უნდა დაუშვას კაი ყმისა და კარგი ბიჭის შინაარსის დეფორმირება. ჩვენში გაღვივებული სურვილი კარგი ბიჭის არსებობისა, არ უნდა იქცეს მიზეზად შეღავათის დაშვებისა. დრო არ უშვებს შეღავათს. საგნებს თავ-თავისი სახელი უნდა პქონდეს. არ არის კარგი ბიჭი კაი ყმა! უბედურების სათავე უფრო შორეული მწვერვალისაკენ მიგვანიშნებს. მიზეზი უფრო ღრმაა და ავის-მეტყველი. თუ ეროვნული ხასიათი იგუებს კარგი ბიჭობის ამ შინაარსს, რაც დღეს ბატონობს ჩვენში, მაშინ ამ ეროვნული

სასიათის საქმე იმაზე უფრო ცუდად ყოფილა, ვიდრე წარ-
მოგვიდგენია. ეს კარგი ბიჭები ბუნებით მგლები და მტაცებ-
ლები არიან. მაგრამ ისინი ნაკლებ არიან დამნაშავენი, ჩვეუ-
მათი ცხოვრების შინაარსში კარგი ბიჭობის სინონიმი გვინდა
დავინახოთ. ე. ი. იმგვარადვე გვინდა ვიცხოვროთ! ეს გას-
ლავთ გადაგვარებისაკენ მიდრეკილი კაცური სასიათის შინა-
განი მოთხოვნილება. ან ასეა ან დროზე უნდა აუჯანყდეს
ჩვენი პრინციპები გაყალბებულ შინაარსს. დროზე გადაიგდოს
იგი ზურგიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ყინი დაეუფ-
ლება ყველაფერს, მისი ფილოსოფია იქცევა ვნებათა ღელვად,
და მერე, ვეჭვობ, წინააღმდეგობა გაუწიოს ჭეშმარიტი საზო-
მებისაკენ დაბრუნების სურვილმა. ეს ვნება ზუზუნებს ქა-
რიშხალივით, მთელი ტყე რომ მოუქცევა მკლავებში. ქარ-
თველ კაცს კი მირიადი სათოფურიდან გულზე აქვს
დაბჯენილი ეროვნული ღირსებების მკაცრი თვალი; იგი
აკალებს ყოველ დროში კქონდეს დიდი მიზანი, ამ მიზნის სამ-
სასურში ჩააყენოს ენერჯია. „უქმად სიცოცხლის ჩამოსაღე-
ვად“ „და „უქმად საფლავში ჩასაწოლად“ ცხოვრების ტკბილ-
ტკბილ წუთებად გაწალიკებას წარსულის მკაცრი თვალი და
თანამედროვეების მძაფრი ბრუნვა არავის დაანებებს. ქვეყანა
მხოლოდ ღირსეული ყოფნით ინარჩუნებს სასიცოცხლო
ენერჯიას. ტკბობა საიქიოსთან გადებული ხიდია. მტერსაც
არ ვუსურვებდით მასზე შედგომას.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	5
საქართველო არ არის პატარა ქვეყანა	7
ქართული კრიტიკის სკოლა	19
კრიტიკასთან დამოკიდებულების კულტურა	26
რატომ ტოვებენ კრიტიკოსები ასპარეზს?	54
კრიტიკის მოუთმენელობის ფსიქოზი და ლიტერატურული ბრძოლის წყურვილი	63
გასუკიადების ენებათაღელვა	100
ჭეშმარიტი ინტელექტის ფორმა და შინაარსი	145
ლიტერატურული ცხოვრება	151
ნიჭიერი მწერალი	152
მწერლის სამუშაო დრო	156
ტომეულები	165
ცარიელი თაროები	173
იუბილედან იუბილემდე	179
ისევ სვალის იმედით	186
მოვლის ნიჭი	193
თაობა	204
მიზნამდე შორი და მწელი გზაა	232
ქართული კულტურის გატანის მდგომარეობა	250
„რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში“ ანუ „ვეფხისტყაოსნის“ გზა	256
შეგუება ღალატია	277
მანძილი უკმარობასა და თვითკმაყოფილებას შორის	288
სიერცის გრძნობა „ვეფხისტყაოსანში“	312
ხასიათი	316

ГВИНДЖИЛИЯ ДЖАНСУГ НИКОЛЛЕВИЧ

О ЧУВСТВЕ МЕРЫ В СОВРЕМЕННОЙ ГРУЗИНСКОЙ КРИТИКЕ

(На грузинском языке)

Издательство «Мерани»

Руставели, 42

Тбилиси

1979

რედაქტორი მ. წიკლაური

მხატვარი ა. თოდრია

მხატვრული რედაქტორი სპ. ცინცაძე

ტექნიკური რედაქტორი თ. ნათიშვილი

კორექტორები: ნ. ლოლაძე, მ. სანადირაძე

გამომშვები ნ. ხავეთასი

გადაეცა წარმოებას 17.05.1979. სელმოწერილია საბეჭდად 21.11.1979 წ.
უე 00489 ფორმატი 84×108¹/₃₂. ქალაქი საბეჭდი № 1. გარნიტურა
ნაკადული. ბეჭდვა მაღალი. პირობითი საბეჭდი ფურცელი 17,64. სააღრი-
ცხეო-საგამომცემლო ფურცელი 15,44. ტირაჟი 2000. ეგს. შე.ივ. № 2509

ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მერანი“, რუსთაველის 42

თბილისი 1979

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და
წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბი-
ლისის ი. კუპცავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის
გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Госу-
дарственного комитета Грузинской ССР по делам
издательства, полиграфии и книжной торговли, пр.
Дружбы № 7.